

იოსებ ომაძე

ნამცვრევი

სამი მოთხრობა და ნოველები
თბილისი, 2008 წ.

Copyright: იოსებ ომაძე, 2008 წ.

ISBN 978-9941-0-0360-8

ავტორისგან

2005 წელს გამოვიდა ჩემი მოთხრობების შემაჯამებელი კრებული “ვემშიდობები XX საუკუნეს”, რომელშიც შევიდა თითქმის ყველა ამ ჟანრის ნაწარმოები, გარდა სამი მოზრდილი მოთხრობისა და კრებულისა “მხიარული ზაფხული ბაკურიანში”.

შემდგომ, ძველი მასალების გადათვალიერებისას, აღმოვაჩინე დაუბეჭდავი თუ დაუმთავრებელი რამდენიმე მოთხრობა. ისინი მოვიყვანე წესრიგში, დაეუმატე ის სამი მოთხრობა და რამდენიმე ახალი დაწერილიც და შევადგინე ეს კრებული, რომელსაც ვუწოდებ “ნამცვრევი”.

ამბობენ, ვაზის გაკრეფის დროს დარჩენილი ყურძენი – ნამცვრევი – განსაკუთრებით ტკბილიაო... ეს კრებული ვერ დაიკვეხნის რაიმე ერთიანობით – აქ მოხვედრილი ნაირფერი მოთხრობებიც ხომ “გამორჩენილია”.

რამდენად “გემრიელი” გამოდგება ისინი მკითხველისთვის, ძნელი სათქმელია, მაგრამ მათი გადაკითხვა (ზოგი მათგანი 40-ზე მეტი წლის წინათ არის დაწერილი!) ჩემში ნაღველშეპარულ სიამოვნებას იწვევდა...

2008 წლის 13 იანვარი.

სარჩევი

ქებათა ქება კახეთს მოთხრობა

კარი I. თბილისი – გიორგეთი	2
კარი II. აბა, ბიჭებო, დროზე!	5
კარი III. მწვერვალ ჯვარისთავისკენ	6
კარი IV. ლეკები დაგვიმეზობლდნენ!	9
კარი V. სად ვემებოთ ცხენი?	11
კარი VI. ნამდვილად დამთხვეულები არიან!	12
კარი VII. კარგი ფენსაცმელი ვისა აქვს, იმით დავლიოთ!	15
კარი VIII. პროფესორი კვაპატაძე ჩამოდის!	18
კარი IX. დილაბინდში სიკომ წამოვყარა ზეზე	21
კარი X. ბელაქანი – ზაქათალა – სარჭის ველი – წყარო	23
კარი XI. მინგეჩევირი – განჯა – გეი გელი	26
კარი XII. გეი გელი – მტკვრის ჭალა – ელდარის ველი	29
კარი XIII. ნაზარლების ხევი – დედოფლისწყარო	32
კარი XIV. ყუშისხევი, ტარიბანელი მწყემსები	34
კარი XV. დიდი შირაქი – კასრისწყალი –	

ქარისხვევი – პანტიშარა	40
კარი XVI. ლეკისწყლის მთვარე დამცინავად იღიმება... ..	42
კარი XVII. შემოდგომის ზეიმი	46
კარი XVIII. ნახვამდის, კახეთო!	50

ვტოვებთ ბილიკს მოთხრობა

კარი I. მოგზაურობის დასაწყისი	51
კარი II. გაგაცნობთ ყველას	53
კარი III. ტიმოთესუბანი	55
კარი IV. ბორჯომის ნაკრძალი	59
კარი V. ქვაბისხვევი	61
კარი VI. დღეს კინოს ნახვა არ ეწერათ	64
კარი VII. უბველესი გზა	66
კარი VIII. ნადირა, კვირია, ირემა... ..	67
კარი IX. მოვასწრებთ დღესვე ქვევით ჩასვლას?	68
კარი X. ამირანის დღიურიდან	70
კარი XI. წაღვერი – თეძამი	71
კარი XII. მოგწონს?	72
კარი XIII. თითო-თითო კარტოფილი	74
კარი XIV. დღეობა	76
კარი XV. ტაბაწყური – რველი – კორტანეთი – ზანავე	78
კარი XVI. ჯოჯოხეთისხვევი	81
კარი XVII. ბორჯომი – თბილისი	83

საფეხბურთო კომედია სალაღობო მოთხრობა

კარი I. ტასოს პირველი შეხვედრა ფეხბურთთან	84
კარი II. ტყასო, ფეხბურთია, მაყურებინე, ღმერთი არა გწამს?	87
კარი III. როგორ, ფეხბურთის სანახავად არ უნდა წავიდე? უკეთესი რა უნდა ვაკეთო?	90
კარი IV. აქ ექიმთან მომიყვანე თუ ფეხბურთზე სალაყოფოდ მოეხეტე?	92
კარი V. პლეზანოვის გამზირზე მიედინება მოზიმზიმე ბრბო... ..	97
კარი VI. ზევით-ქვევით რომ დატორღიალობენ ამხელა მუტრუკები, გადაირია ქვეყანა?	98
კარი VII. გაჩერდი, ქალო, წერას ხომ არ აუტანისხარ!	102
კარი VIII. დამაგვირგვინებელი	106

ნოველები

ზამთრის დღის ჩანახატი	107
წეროები	107
ანანური, წვიმს... ..	108
ნინოწმინდა	109
კახელი კაცი და აფეთქებული ნუში	111
გასეირნება თბილისის ქუჩებში	116

აბოს სიკვდილი	117
ო, ჩემო მზეო!	118
წათე	120
ამბავი ძაღლის გადარჩენისა	121
მხატვარი	122
მოკლეფეხა დეტექტივი	124
გადათელილი ბუჩქები, გადამტვრეული ხე... ..	126
კვირადღე	127
სეანსი	130
სტუმარი	131
ზრდილობა სად დაკარგე?	131
გესაღმებით, ფეხბურთის მოყვარულებო!	132
ერთდროული თამაშის სეანსი	133

ქებათა ქება კახეთს მოთხრობა

კარი I. თბილისი – გიორგეთი

გზები, გზები!..

რამდენია ამქვეყნად!

მრავალი გამიფლია კიდევ – ფეხით თუ მანქანით, ასფალტის გატკეცილი გზებიცა და უბრალო, მტვრიანი შარებიც, მთების კლდოვანი საძრომებიცა და ტყის გრილი ბილიკებიც! ველის ბალახებიც მითელია, მთის ანკარა მდინარეები გადამილახავს... და ღმერთმა უწყის, რამდენი მიღევს კიდევ წინ, მანქანითაც და ფეხითაც; წვიმასა და თქეშში, პაპანაქება სიცხეში და გრიგალოდ ქვეულ ქარშიც; ყელამდე მდინარეში და წელამდე ბალახში, ცად აზიდულ ტყეში და მზით გადატრუსულ ტრამალებში, დილის ნამიან ბალახში და საღამოს კი, ზოგჯერ ღამეც, დაცვარულ ბუჩქნარში... ღამის თევა კარავში, მადლა, ტყიან მთებში და სულ მადლა, იალაღებზე; თევზაობა ალაზანზე, ნადირობა კაკაბსა და გარეულ ღორზე; შუადღისას შოთის პურის გატეხა, საოცრად გემრიელი რომ გეჩვენება სიარულით დაღლილს; მზის ამოსვლა და მზის ჩასვლა აქამდე ნაცნობ ადგილებში – აი, რა მომეღლის ამ თვენახვერის განმავლობაში; შეხვედრები და საუბრები ასევე მოხეტიალე კოლეგებთან და გლეხებთან, მონადირეებსა და მეცხვარეებთან... ათასი ახალი ადგილი, ლამაზი და უჩვეულო, ათასი ახალი სახე, პიროვნება და აზრი... არა, თუმცა ჩემთვის ეს არ იქნება პირველი მოგზაურობა კახეთში, მაინც ველაგ, თითქოს საყვარელ ადამიანთან შეხვედრისთვის ვემზადებოდე...

ამას ვფიქრობ და მანქანიდან ვიხედები. უკან, ხეობაში, თბილისი დავტოვეთ, წინ კი – კახეთია! იტყვი “კახეთს” და უნებურად წარმოიდგენ კახურ მსხვილ, ბარაქიან ჩურჩხელასა და ღვთიურ ღვინოს (მხოლოდ მათი სახელების ჩამოთვლისასაც კი მთელი კახეთის გეოგრაფიასა და მისი მიწის ძალას შეიცნობ: ანაგა, გურჯაანი, ტიბაანი, ხირსა, წინანდალი, მუკუზანი, თელიანი, ყვარული...); გაიხსენებ პურის მწიფე ყანებით მოქრულ შირაქის ველსა და ცივ-გომბორის ტყიან ფერდობებს, წარმტაც ფერადოვან ალაზნის ველსა და კავკასიონის ლურჯ გრეხილებს...

მანქანა კი მიჰქრის...

“გაზ-69“-ში ხუთნი ვსხედვართ – ერთი პატარა გეოლოგიური ექსპედიცია. ყველაფერი თან მიგვაქვს, მთელი ბარგი-ბარხანა, რაც დაგვჭირდება საველე პერიოდის განმავლობაში. თბილისიდან ადრე დილით ვაპირებდით გამგზავრებას, მაგრამ სანამ მანქანამ სათითაოდ ჩამოგვიარა სახლებში, მერე ბაზარში ცოტა სანოვაგეს ვიყიდვით, ბენზინს ავიღებდით – უკვე შუადღემაც მოატანა. როგორც იქნა, გავედით ხმაურიანი ქალაქიდან, იწყება ახალი გარემო, ახალი შთაბეჭდილებები... ბიჭები გახალისდნენ – ოხუნჯობენ, ჰყვებიან ათასგვარ ამბებს...

მშვენიერი დღეა. კალენდრით შემოდგომის პირველი თვე რა ხანია, დაიწყო, მაგრამ თბილისში ჯერ კიდევ ცხელა. იქნებ გარე კახეთის ტრამალებზეც პაპანება? იქ ხომ ძალიან ძნელია მუშაობა, სანამ ველებსა და ნახევრად უდაბნოებში ცოტა მაინც არ აგრილდება. ამიტომ ჯერ მთიან კახეთს ვესტუმრებით, მდინარეების – არეშის, კაბალისა და სხვების – ტყიან ხეობებს. სულ ხუთი მარშრუტი გვაქვს იქ გასაკეთებელი გეოლოგიური აგებულების წინასწარ გასაცნობად. შემდეგ წელს კი გეგმაში გვაქვს უფრო დაწვრილებითი სამუშაოების ჩატარება. ოქტომბერში ამ მთიან ზოლში აცივდება, გარე კახეთში კი აგრილდება და ჩვენც იქით გადავინაცვლებთ. იქაც რამდენიმე ასეთივე სა-

კონტროლო-მისაბმელი მარშრუტი გვაქვს დაგეგმილი. აი, ეს არის სულ ჩვენი წლებანდელი ამოცანა.

– დაიჭი! – ჩემს გვერდზე მჯდომმა უფროსმა გეოლოგმა მოსე ნარებლიძემ შოთის პურს ნაჭერი მოახლირა და გამომიწოდა. ყველას მოგვშივროდა. ილუკებოდნენ გეოლოგი მარკოზ გიგლიშვილიც, შოფერი შაქრო დიდთუაშვილიც; ჩვენში შორის ყველაზე ხნიერი და დარბაისელი, გეოლოგიური პარტიის უფროსი სიკო გულგოვანიც მაღიანად მიირთმევდა ხმელა პურს და აცმაცუნებდა ჭადარაშერთულ უღვაშებს. რას იზამ, ველზე გადის პარტია და მისი ყველა წევრი ერთგვარად თანასწორი ხდება; იშლება ასაკობრივი, თანამდებობრივი და სხვა საზღვრები.

ქალაქის საზღვრებს გავცდით და მანქანამაც სინქარეს უმატა. უმატა კი არა, მთლად გადაიარა! ეს ვინ ყოფილა შაქრო, კაცო! უდარდელად დაუდია მარცხენა ხელის იდაყვი ფანჯრის რაფაზე, მარჯვენათი კი მართლაც მარჯვედ მართავს საჭეს. კახეთის გზატკეცილზე კი საკმაოდ ხშირი მოძრაობაა მანქანებისა.

– შაქრო, ბიჭო! მამახეციერთან გეჩქარება? – ვითომ ხუმრობს მარკოზი. ხელებით მაგრად ჩაფრენია სკამს და ყოველ წამს მოელის მანქანის გადაბრუნებას. მეც, ცოტა არ იყოს, შევფიქრიანდი, მაგრამ ხმა არ ამომიღია, დანარჩენებიც ჩუმად არიან.

– კარგი გზაა, მე ვარ პასუხისმგებელი! – ამბობს შაქრო.

გავუსწართ ერთ მანქანას, მეორეს, მესამეს... მერე თანდათან შევეჩვიეთ მაღალ სინქარეს. რამდენიმე “ვოლგაც” ჩამოვიტოვეთ უკან, შაქროს უკვე ყველას იმედი გვაქვს. საერთოდ, ჯანიანი ბიჭია შაქრო და თვალის უჭრის. ჩვენ ყველანი, საველედ გამოხადებულები, მაგრად ვართ ჩათბუნებულები: მე ძველი პალტო მაცვია, სხვებს – თბილი ქურთუკები, შაქრო კი მხოლოდ თხელი, ყავისფერი სვიტრის ამარა არის წამოსული; ისიც იდაყვებამდე დაუკოტავებია და დაკუნთული, შავი ბალნით უხვად შემოსილი მკლავები მოუჩანს.

გავიარეთ ვაზიანი, სართიჭაღა, პატარძელის ბაღები... შემხვედრი მანქანები შუილ-წულით ჩაგვიქროლებენ გვერდზე, ფანჯრებიდან საკმაოდ ცივი ქარი უბერავს. ახლა ყველაზე უფრო აზარტში მარკოზი ჩაგარდა:

– მიდი, შაქრო, უნდა გაქო!.. – მიუმდერებს და ყოველი გასწრებული მანქანის შემდეგ ღლაბუცობს: – საღამო! უპ, ბოდიხი, ნახვამდის!

შაქრო მაინც ფრთხილი მძღოლია, აზარტს მთლიანად არ ემორჩილება, სოფლებში შესვლისთანავე უკლებს სინქარეს. ნინოწმინდა, საგარეჯო... რაღაც უჩვეულო შეგრძნებას ბადებენ ეს სახელები, უმეღესი დროიდან რომ შემორჩენიათ ამ ადგილებს... მოგაგონებენ დავით გარეჯელისა და წმინდა ნინოს გარდასულ საუკუნეებს... შემდეგ – მანავი, ჩაილური... აჰა, ჩაილურის წყალიც. წყლისა კი რა მოგახსენოთ, მხოლოდ ქვიშა ჩანს, დამშრალია ხევი. ალბათ ამის გამო არის დამცინავი თქმა: ჩაილურის წყალი დალიაო... ბადიაური, კაჭრეთი... ჩრდილოეთით – ციფ-გომბორის მთები ისვენებენ, მზით განათებულები; ალაგ-ალაგ მის კალთებზე შეფენილი სოფლები მოჩანს. კაჭრეთიდან თბომავალი ექაჩება გურჯაანისკენ სატვირთო შემადგენლობას. მალე აქ ელმავალიც გაივლის.

ასფალტიანი გზის სამხრეთით დიდი სარწყავი არხი გაჰყავთ, არხს იქით კი ალაგ-ალაგ კომბაინები მიდოლავენ. მწვანე კვადრატებად გამოიყოფა სიმინდის ყანები; რელიეფიც უფრო რბილია ჩრდილოეთთან შედარებით. აგერ მივადწიეთ ჩალაუბანსაც, საკმაოდ დადაბლებული ციფ-გომბორის ტყიანი ქედიც გადაგვევით. მერე – ბაკურციხეა. აქ ერთი გზა გურჯაანისა და თელავისკენ მიდის, მეორე კი წნორისკენ მიემართება. ჩვენ მარჯვნივ ვუხვევთ – წნორის გავლით ლაგოდენში უნდა მივიდეთ; მაგრამ ლაგოდენამდე კიდევ კაი ძალი სოფლებია გასავლელი: ბაკურციხე, კარდენახი, ანაგა, ვაქირი... ერთმანეთზე გადაბმული ეს სოფლები ციფ-გომბორის ქედის ჩრდილო-დასავლეთ კალთაზეა შეფენილი და მიხვეულ-მოხვეული გზაც ერთი სოფლიდან მეორეში მიიკლაკნება. დროდადრო, სახლებსა და ხეებს მოფარებული, ქვევით გაშლილი ალაზნის ველი მოჩანს. უყურებ, უყურებ დაბლა ლამაზ, ოდნავ დაბურუსებულ, ფერადოვან ხალიჩას ალაზნის ველისა და ამ დროს ან მოსახვევში მოხვდები ან ხეები ჩამოგეფარება – თითქოს მზეთუნახავმა, დამორცხვებულმა, სახე დამალაო... და დაძაბული იცქირები იმავე მხარეს, უცდი, როდის გამოჩნდება ისევ... შორს კიდევ, ველს იქით, მუქი ლურჯი კავკასიონი გაწოლილა, – უზარმაზარი, წაგრძელებული, შორეული, – თითქოს ამ ზღაპრულ სილამაზეს დარაჯობსო. და როცა გაიფიქრებ, რომ აი, იმ სიმაღლეზე უნდა აძვრე, იქ იბლოტიალო – მხერა ველარ მოგიცილებია, სანამ ალაზნის ველის ხალიჩა ისევ არ გამოჩნდება.

შაქრო გაუთავებლად იძლევა ხმოვან ნიშანს – სოფლის გზაზე მიდი-მოდის ხალხი; მანქანა ირწევა, გვერდს უქცევს ხან ურემს, ხან – ერთმანეთზე გამოდევნებულ ფორმიან მოსწავლეებს, ხან – ჯოხის კაკუნით მიმავალ მოხუცს. ალაგ-ალაგ აივნებზე მოჩანს გასაშრობად გაფენილი ჩურჩხელეების ღოღოლები, ჩხები და აკიდოები, ძაფზე ასხმული ჩირი... წყაროებთან შექუჩული ხალხი ყურადღებით აყოლებს თვალს მანქანას, თითქოს ნაცნობი დაინახეს, ან სულაც მანქანა პირველად გამოჩნდა ამ სოფელშიო...

უჰ!.. გზა ალაზნის ველისკენ ეშვება, გამოჩნდა წნორის ელევატორის მაღალი, ყუთისმაგვარი შენობა.

ესეც წნორი. პირდაპირ თუ წავალთ, მოვხვდებით დედოფლისწყაროში ან ხირსაში. ჩვენ მარცხნივ ვუხვევთ, ლაგოდუხისკენ მიმავალ ლარივით სწორ გზაზე. მაღე ალაზნის მივადწიეთ. მღვრიე, ტალახისფერი წყალი მდოვრედ მიიზღაზნება. ხიდს იქით ჭიაურის ტყე იწყება. უზარმაზარი ვერხვები მიუყვება მდინარის ნაპირებს; გზის გასწვრივ ალაგ-ალაგ აკაციებიც გამოერევა, მუხებიც ერთ ადგილას სულ მუხნარია, წმინდა მუხნარი. წინათ აქ უზარმაზარი ტყე ყოფილა; ახლა სახნავიც ბევრია, მოუჭრიათ საუკუნოვანი ხეები...

საქობო, ვარდისუბანი, მერე – ნინიგორი... რა კარგი ქართული სახელები რქმევიათ ამ სოფლებს!

სიკო გულოვანი გვიხსნის ალაზნის ველის შესაძლო გეოლოგიურ აგებულებას, რაზედაც სხვადასხვა მეცნიერს ერთმანეთისგან დიდად განსხვავებული თვალსაზრისი გააჩნია. განსაკუთრებით საინტერესოა ალაზნის დეპრესიისა და კავკასიონის სამხრეთი ფერდის გეოსინკლინის ურთიერთ დამოკიდებულება...

სიკომ შაქროს მანქანა გააჩერებინა და გადმოვიდა, ჩვენც გადმოვყევით. გავიარ-გამოვიარეთ, ფეხი გაგმართეთ, თან გულდასმით ვუსმენდით სიკოს ახსნა-განმარტებებს. და უცებ... უცებ ყველაფერი გადამაფიწყა ჩემს თვალწინ გადაშლილმა სურათმა! კი, კარგი ყოფილა მანქანიდან აქეთ-იქით ცქერა, მაგრამ, როცა ათასი რამ იზიდავს შენს მხერვას მოძრაობის დროს, როცა ყოველ წამს კალეიდოსკოპურად იცვლება გარემო, მთავარს თურმე შეიძლება ჯეროვანი ყურადღებით აღარ მოეპყრო, ან იქნებ სულაც გამოგრჩეს...

კავკასიონი..

განა შეიძლებოდა, წარმომედგინა, რომ აქ ასეთი ნაზი, – დიახ, ნაზი! – თან დიდებული და თვალისმომჭრელი იყო! ალაზნის იდეალურად სწორი ველი და შემდეგ უცებ – ნახტომისებურად! – იწყება პირდაპირ კედელივით ამართული კავკასიონის ციცაბო კალთები... და არავითარი მთების წინა გორაკები ან გარდამავალი საფეხურის მსგავსი სხვა რამ – არაფერი! უთვალავი ხევებით დაღარული და ხუჭუჭა ტყის კაშკაშა, მოხეიმიე, მუქი მწვანე სარტყლით შემოსილი კავკასიონის სამხრეთი ფერდი რა კონტრასტს ჰქმნის ალაზნის ველის მორუსო-მოწითალო ფერებთან! და სიმაღლეში მთები ისეთი ჯიქური სისწრაფით იმატებს, რომ აქედანვე, ალაზნის ველიდანვე, მოჩანს ღია მწვანე ალპური საძოვრები, აქა-იქ – მწვერვალთა მოტველილი, რუხი თავები... უფრო ქვევით კი – ცა! ლურჯი, ულურჯესი!.. და არც ერთი დრუბელი, არც ნისლის ნაფლეთიც კი – არაფერი, მხოლოდ მზიანი ცა, გამჭვირვალე ჰაერი... მზის სხივებით აფერადებული მთები ისე ახლოს გეჩვენება, რომ სურვილი გებადება – სულმოუთქმელად აირბინო ამ ციცაბო კალთებზე და მწვერვალიდან გადახედო მთისიქეთს, დადესტნის მთებს... მაგრამ მთების სიახლოვე – ილუზიაა! მწვერვლების სიმაღლე აქ საში ათას მეტრს აღწევს...

უცებ ვიღაცა ხელს მკიდებს მკლაფზე და მანჯღრევს.

– ე, ბიჭო, რა დაგიღია პირი და მისჩერებისხარ ეშმაკებს! რავა, რჩები აქ თუ?

ეს მარკოზია. შაქროს მანქანა უკვე დაუქოქია. არა უშავს, კიდევ ბევრჯერ მექნება საშუალება, ვუყურო ამ მთებს... როგორ გარინდებულან, გაქვავებულან, ცის ნათელ ფონზე მკვეთრად გამოკვეთილან ეს ერთიმეორეზე ხელისხელგადახვეული ქედები; მაინც, თითქოს მოელი, რომ ყოველ წამს მზად არიან, შეინძრნენ, გამართონ დევური მხრები, დასცხონ ომახიანი საბრძოლო სიმღერა...

გზა უკვე მთის ძირებს მიუყვება. სოფლები ერთმანეთზეა გადაბმული და მხოლოდ გზის პირად დადგმული ფარი გიჩვენებს, სად თავდება ერთი სოფელი და სად იწყება მეორე. ნინიგორი, კავშირი, შრომა, მდინარე შრომისხვეი – და ლაგოდუხსაც მივადწიეთ.

ხიდს იქით ლაგოდუხი ბაზრით იწყება. ჭრელი ხალხი ირევა დახლებთან, ჩვენც მათ შევერიეთ. გატყეცილი დედასპურები, ცხელ-ცხელი, მისი გასაგვიჟებელი სურნელი რომ შორიდანვე პირდაპირ ცხვირში გეტაკება და ყურძნის მტევნები, რომელთა ტკბილ, დამათრობელ მარცვლებს გაბმული ბზუილით თავს ევლებიან-დასტრიალებენ და ვერაფრით შორდებიან ფუტკრები – მეტი რა გვინდა?..

მანქანაში მოვკალათდით. ვხლენთ პურს, ყურძნის წვენი ჩამოგვდის ნიკაპზე, ხელები გვეწებება... უჰ, რა კარგია!..

იმავე გზით უკან ვბრუნდებით, სადმე უნდა მოვძებნოთ ჩვენი გეოლოგიური პარტიის ბაზისთვის ადგილი.

სოფელი გიორგეთი. გაკახელებული რაჭველების ოჯახში დავბინავდით. ჩამოვალაგეთ ჩვენი ბარგი-ბარხანა, მეორე სართულის ერთ ოთახში გავშალეთ საწოლები, ზედ დავალაგეთ საძილე ტომრები და წამოგვორდით, მანქანაში ჯაყვავით დაქანცულები.

ჩვენი მასპინძელი, ბიძია ალექსანდრე, გვეპატიჟება სადილად, მაგრამ ჩვენ ისე ვართ გაჭყეპილნი ყურძნით, რომ სულს ძლივს ვითქვამთ.

კუარი II. აბა, ბიჭებო, დროზე!..

მეორე დილით გვიან გამოგვეღვიძა.

– ჰო-ჰო, რა ხვრინვა გამოაცხვეთ! – ვამბობ მე. – სამი საათი ვიწვრიალე, ვერაფრით მოვატყუე თვალი. მთელი სიმფონიური ორკესტრი იყო!

მარკოზი მაშინვე კვერს მიკრავს:

– ხვრინვის სამი ბრწყინვალე ვარსკვლავის დებიუტი განსაცვიფრებელი გამოდგა! ტრიო “ლოს პანჩოს”! შაქრო, მოსე და ბატონი სიკო – თამადად..

– მე? – უკვირს სიკო გულოვანს და უხერხულად იღიმება. – სინდისს გეფიცებით, ჩემს დღეში... კაციშივლს არასდროს უთქვამს ჩემთვის...

– ო-ო-ო, ბატონო სიკო, რასაკვირველია, თქვენს როლს ვერ შევადარებთ იმ დამსახურებას, რომელიც მოსეს და, განსაკუთრებით, შაქროს მიუძღვით, მაგრამ სათანადო წვლილი საერთო წარმატებაში შექმნისდაგვარად ნამდვილად ღირსეულად შეგქონდათ.

ჩემს ხუმრობით ნათქვამ სიტყვებს კიდევ უფრო გაკვირვებული მზერა მოჰყვა სიკოსი, თითქოს თანამდებობის პირთა, და მათ შორის – პარტიის უფროსთა, ხვრინვა ჯერ ისტორიისთვის უცნობი ყოფილიყოს.

– არა, ხანდახან, როცა ნასვამი ვარ, კიდევ შეიძლება, მაგრამ ახლა... ვერაფერი გამიგია... ნუთუ მართლა ვხვრინავდი?

– თქვენ, ბატონო სიკო, – ამბობს მარკოზი, – პატარას წაიხვრინავდით, ასე, სამი-ოთხი კუმბეტრი შეშა თუ იქნება თქვენს ანგარიშზე. მოსეს ხვრინვა უნდა გენახათ, მაგის ფშვინვაზე და შემდეგ ხრრ-ფშ-ხრრ-ფშ... – ფანჯრები იღებოდა და იკეტებოდა, იღებოდა და იკეტებოდა, სინდისს გეფიცებით!

მარკოზი გამოძვრა საძილე ტომრიდან და ყველაფერი ეს ფრიად ხატონად ხელებით გამოსახა.

მოსე ჩუმიად იღიმება, შაქრო კი თვით გადადის შეტევაზე, ჩემზედაც არ თქვას რამე:

– წადი, წადი!.. დაიწყებ აქ ბებიანემის ზღაპრებს. ჩემზედაც იტყვი, ხვრინავდაო!

– ჰა-ჰა-ჰა! – გადაფიჩინდა მარკოზი. – ბიჭო, შენ იყავი, რაც იყავი. ეტყობა, ძაან მაგარი, მუხის კუნძი შეგხვდა, ჯიგარო, იმათი ხვრინვა შენს ხროტინში ძალიან მოკრძალებული ჩანდა – ოთახის კედლები ხანზარებდნენ, გარმონივით ფართოვდებოდნენ და იკუმშებოდნენ! ჩემმა მზემ, შემეშინდა, კედლები არ დაიქცეს-მეთქი და გარედან ბოძები შევუყენე. არა გჯერა? აი, ნახე, გარეთ გადი და შენი ბედნიერი თვალებით თვითონ ნახე!

მარკოზი ისეთი დაწმუნებით ლაპარაკობდა, რომ შაქრომ კინაღამ მართლა გაიხედა გარეთ, ჩვენმა სიცილმა შეაჩერა.

– აი, გინდათ, განახოთ, როგორ ხვრინავდით; – აღარ გაჩერდა მარკოზი, – ბატონი სიკო მუშაობდა მაღალ რევისტრში, ასე ვთქვათ, სოლოს უსტვენდა. მხატვრული სტვენა ვარიაციებით, ჩიუ-ჩა-უ! მოსე მეორეს ეუბნებოდა: ღღ-შშშ, ღღ-შშშ... თუმცა საკუთარი ინტერპრეტაციით ავითარებდა თემას. შენ, შაქრო, მძლავრ ბანს ბუბუნებდი – ფორტისიმო! ყველანი ერთად კი – ტუტი! ო-ო-ო! – მარკოზმა ორივე ხელი მაღლა ამართა და გაასავსავა, ამასთანავე საშინელი გაბმული ცხვირისმიერი ხროტინი ამოუშვა. – მეშინია, ჩვენი მასპინძელი რაჭველი კაცია, მაგრამ დღესვე არ გაგვყაროს აქედან...

– აბა, გვეყოფა! – სერიოზული სახით გამოძვრა საძილე ტომრიდან სიკო. – ადექით! დღეს ათასი საქმე გვაქვს მოსაგვარებელი: მარშრუტები უნდა დავგვემოთ, ცხენები დავიქირავოთ... აბა, ჩქარა, უკვე შუადღეა!

– დილა მშვიდობისა! როგორ მოისვენეთ? – შემოვიდა ამ დროს ოთახში ჩვენი მასპინძელი ბიბია ალექსანდრე. გამხდარი, შუა ხანს გადაცილებული კაცია, ჭაღარა უღვაშებში თავაზიანად ეღიმება.

– იცოცხლეთ, კარგად, დიდი მაძლობა. ალექსანდრე ბატონო, აქ თქვენს მეზობლობაში ცხენს ვერ მოგვაქირავებს ვინმე? – ჰკითხა სიკომ.

– ცხენი რავა არ ყავთ, მარა ძვირია, ძვირს აფასებენ. ხომ იცით, ახლა ზოგი შეშას ეზიდება, ზოგი – თივას... სეზონია, ბატონო.

– მაშინ სპილოები დავიქირავოთ ან აქლემები, ა? ბიბია ალექსანდრე, რა ეღირება აქლემი? – ჰკითხა მარკოზმა და მშაკაცურად გადახვია ხელი მხრებზე.

– აქლემი რათ გინდა, ბიბია, ამ გორებზე...

– მარკოზ, გეყოფა ოინბაზობა, – ამბობს სიკო. – დღეს შენ იქნები მორიგე; წყალი მოიტანე და ჩაი დაადგი. აბა, ბიჭებო, დროზე!.. არჩილ, მოსე, აბრძანდით!

საძილე ტომარას ერთი კარგი თვისება აქვს: აქ სჭირდება ბევრი სწორება – გამოძვრები, ერთ-ორ ადგილას აშლილს ხელს გადაუსვამ და ეგ არის სულ. მერე ცოტას წაივარჯიშებ და გახვალ აივანზე. ჩვენი ოთახი მეორე სართულზეა და ხის ფართო აივანიდან მოჩანს სწორედ ის ადგილები

კავკასიონისა, სადაც ჩვენ მოგვიწევს მუშაობა. სიკო შლის ტოპოგრაფიულ და გეოლოგიურ რუკებს და ნატურას აღარებს; რუკები ორიენტაციაში კომპასით მოჰყავს.

– მოსე, შენ და არჩილი ცხენის დასაქირავებლად წადით, ბიძია ალექსანდრე მიგასწავლით, – ამბობს სიკო. – შენ, შაქრო, მანქანას მიხედე, თუ საჭიროა, ბენზინის თადარიგიც დაიჭირე. მოსე, ცხენი ხვალიდან დაგეჭირდება, არ დააგვიანოთ.

მე და მოსე მივყვებით ბიძია ალექსანდრეს, სიკო გეოლოგიურ რუკას ჩაჰკირკიტებს, შაქრო მანქანასთან ტრიალებს, მარკოზი საუზმეს აწყობს...

ასე იწყება პირველი დღე, ჩვენი პირველი საველე დღე.

კარი III. მწვერვალ ჯვარისთავისკენ

ესეც პირველი მარშრუტი!

ტყიან ფერდზე ყველაზე წინ გეოლოგიური პარტიის უფროსი სიკო გულგონი მიდის. შორიდანვე მკაფიოდ გამოიყოფა მისი ჭადარა თავი, თუმცა ჯერ ორმოცდახუთი წლის თუ იქნება. ჭროლა თვალებით გულდასმით აკვირდება ქანთა გაშიშვლებებს და ხშირ-ხშირად უკაკუნებს გეოლოგიურ ჩაქურს. დროდადრო პატარა ბოთლიდან ქანზე აწვეთებს მარილმჟავას – თუ აშიშინდება და ბუშტულებს გამოჰყოფს, კარბონატული ქანი ყოფილა. ოდნავ უკან, თითქმის გვერდით, მიჰყვება უფროსი გეოლოგი მოსე ნარებლიძე და იწიწკინის შავ უღვაშებს, რომლებიც თითქმის უფარავს პირს. მათ თხუთმეტიოდნე ნაბიჯში მივდევ მე და სადავით თეთრი, ყავისფერხალებიანი, ლამაზი ცხენი მომყავს. ცხენზეა აკიდებული მთელი ჩვენი ბარგი: საძილე ტომრები, სურსათი და დაკეცილი კარავი. სულ უკან მოადგამს თავის უსაშველოდ გრძელ ფეხებს ქერა, ხუჭუჭთმიანი მარკოზ გიგლიშვილი. ჩვენს მარკოზს სიკოს თოფი უღარდელად ამოუჩრია იღლიაში და ლულები პირდაპირ ლამაზა ცხენსა და მე გვიყურებს.

– რას უჩვენებს, ბიჭო, შენი დანჯღრეული საათი? – მეკითხება მარკოზი.

– რას და ჩემს უკანასკნელ წუთებს... თუ ძმა ხარ, გასწი იქით, ეგ თოფი რომ მოგიშვერია, თორმეტის ნახევარია.

კაი დრო გასულა. მართალია, დილით ადრე წამოგვანტუნა სიკომ, მაგრამ ასეა ყოველთვის: ათას რაღაც წვრილმანზე უამრავი დრო იკარგება და მარშრუტზე დაგვიანებით გავდივართ. ჯერ ხომ ცხენი უნდა მიგვეყვანა სოფელ მთისპირამდე; ეს საქმე მარკოზმა ითავა, ჩვენ კი იქ მანქანით მივედით. მერე მარკოზმა მოინდომა, მისთვის, ცხენზე ამხედრებულისთვის, ფოტოსურათი გადაედლოთ, კუდაბზიკა აზნაურივით გაიჯგომა. ბარგის ცხენზე აკიდებას არ იკითხავთ? თითქმის მთელი საათი ვწვალობდით და მაინც ვერ გავაკეთეთ საქმე ხეირიანად: ჩვენი ავლადიდება უშინოდაა ახორხილი ცხენის ზურგზე და ჩემი გამოუცდელი თვალისთვისაც კი ცხადია, რომ რაღაც ისე ვერ აკიდეთ საპალნე, როგორც საჭიროა. თანაც სულ სერ-სერ უნდა ვიაროთ: გაუწყვებით ჯვარისსას ქედს, სანამ არ მივალწვეთ მწვერვალ ჯვარისთავს და მერე – კავკასიონის წყალგამყოფს.

– ე, ბიჭო, რა მათხოვარივით მიჩანჩალე, მოსე და სიკო აღარ ჩანან! – მეუბნება მარკოზი.

– ხომ ხედავ, როგორი აღმართია, ცხენი ძლივს მოდის... ნელ-ნელა დავეწვივით.

– ბოდიჩი! პარდონ! მარა ჩვენი სარდალი ისეთი მარშით მიდის წინ, ნამდვილად დაღესტანში იქნება უკვე გადასული.

– ვინ სარდალი?

– სიკოა, სხვა ვინ. ნამდვილი ბელადია, არა თუ? გუშინ როგორ დაიწყო მბრძანებლობა: “მარკოზ, შენ კარტოფილი გათალე; მოსე, ბარგი რატომ შეგიკრავს უშნოდ, ჩამოხსენი! შაქრო, ბენზინი არ დაგვაკლდე, ახლავე გავარდი ვარდისუბანში!” – გამოაჯავრა მარკოზმა. – “ჩქარა! დროზე! ადექით! დაწვივით!”

მე გამეცინა.

– მაიტა, მაიტა ეგ სადავეები, ცოტა ცოცხლად! – მეუბნება მარკოზი და ცხენს მართმევს. – სარდალი რომ აყაყანდება, მაშინ გაიცინე. აი, ასე უნდა გაუძღვე ცხენს, ისწავლე! ტემპო ალევრო ვივარე!

მარკოზი ცხენიანად წინ გაგუშვი და უკან მივყვი, რადგან მეშინოდა, ცხენიდან რამე არ ჩამოვარდნილიყო.

ნელ-ნელა მივუყვები აღმართს, მალე დამცხა. ჯერ ჩემი ძველი პალტო გავიხადე, მერე ხალათი, ბოლოს სულ გაეშიშვლდი წელს ზევით. სიგრილე ვიგრძენი სუსტი ნიავისგან, თუმცა ფოთლები არც იძვრის ტოტებზე. რცხილა, წიფელი, წაბლი... ალაგ-ალაგ მუხის თითქოს მხატვრის მიერ ფაქიზად გამოქანდაკებული ფოთლები ამუქებს სიმწვანეს. ბილიკზე ხმელი ფოთლები და შარშანდელი მოსავლის გაშავებული რკოები ყრია. ავხტი, მუხის დაბალ ტოტს წავეპოტინე, მწვანე რკოები მოფ-

წყვიტე. ისინიც თითქოს გენიოსმა მხატვარმა შექმნაო, ისეთი იდეალურად სრულყოფილი ფორმა მი-
უცია ბუნებას. პატარა ბავშვივით ვერთობი: ვათამაშებ ხელში რკოებს, შემდეგ ჯიბეში ვიყრი.

მზე თანდათან მადლა იწვევს; როცა ზევით ვიხედები, სუფთა ლურჯი ცა თითქოს მოუქარგავს
ერთმანეთში გადახლართულ რტოებს. წაბლის ტოტების ბოლოში მწვანე ზღარბები მობუზულან,
რამდენჯერმე ქვა ვესროლე, როგორც იქნა, ერთი ჩამოვადღე. წავავლე ხელი და მწვავედ დამიჩხ-
ვლიტა თითები. მიწაზე დაგდებულს ფეხსაცმლის ქუსლს ვურტყამ და აი, უკვე გაყავისფრებული
წაბლის ნაყოფი ხელთ მაქვს. პირში ვიდებ და ხმაურით ვტეხ სურნელოვან ნაყოფს...

ნეტარებაა!..

ისევ ვიყურები მადლა, ვეძებ ქვას ან ჯოხს... გატაცებაც ამას ჰქვია! სულ მაგიწყდება, რისთვის
ვარ აქ წამოსული, ამხანაგები სად არიან... ამ წუთში მე ათი წლის ქალაქელი ბიჭი ვარ, რომელმაც
ტყეში, ბუნებაში შეტოპა!

შორიდან მარკოზის ძახილი მესმის. აბა იქით, ჩქარა!

აღმართში სირბილით ავიჭერი კარგა დიდ მანძილზე. ვხედავ: მარკოზი ზის გატანჯუ-
ლი სახით, გვერდზე ცხენიდან ჩამოღებული ტვირთი უდევს. აღმართში ჩქარი სიარულის გამო ჯაყ-
ჯაყისგან ცხენის ზურგიდან ყველაფერი ამოტრიალებულა და მუცლის ქვევით მოქცევია...

ისევ აგვიდეთ ცხენს ბარგი, სადავეს ვიდებ ხელში და დინჯად მივუძღვები წინ. მარკოზი ჩამოგ-
ვრჩა.

გაუთავებელი აღმართია. მზის სხივები თითქმის ვერ აღწევენ მიწამდე. მხოლოდ ბილიკის გას-
წვრივ, სადაც უფრო შეთხელებულია ტყე, მზის ათინათები ჭრელად ხატავს ბალახიან ზედაპირს.
პირი გამიშრა. შინდის, ზღმარტლის ქვეტყე ყოველ ფეხის ნაბიჯზე იწვდის თავის ტოტებს-ხელებს;
განა შეიძლება, მოითმინო და ჩაშავებული, მსხვილი შინდი არ მოკრიფო? უჰ, რა მუავე ყოფილა!
ფერით კი გადამწიფებულიც გეგონება. ალბათ მუდმივ ჩრდილში რომ არის, იმის ბრალია. ზღმარ-
ტლიც მწვლარტა ჯერ, ქვასავით მაგარი. მხოლოდ თხილი იჭმევა, მაგრამ მისთვის ჯერჯერობით
აღარ მცალია, ისევ წინ! ნეტა როდის დაილევა ეს საშინელი აღმართი? გულს ბაგაბუგი გააქვს,
ცხვირსახოცით ვიმშრალე გაოფლილ სახეს, მომწყურდა. ისევ ვეტანები კბილის მომჭრელ შინდს.

საუბარი მესმის. სიკო და მოსე უზარმაზარი რცხილის ძირში მიმჯდარან და რუკას ჩასცქერიან.
აქ ქანების გაშიშვლება არსად ჩანს, ალბათ ის უნდა დააზუსტონ, სწორი გზით თუ მივიდვართ.

ცხენი ბალახიან ფერდობზე გაგუშვი და სიკოს გვერდზე მივუჯექი. გაოფლილი ზურგით მივეყ-
რდნე რცხილის გრილ ტანს, უჰ, რა შეგებაა! დადლილ, მოზრიალე ფეხებს რომ გაშლი, თავსაც ხის
ტანს მიაყრდნობ და მადლა იყურები, ფოთლების სამეფოში, თვალი რომ ისვენებს ზურმუხტის
ზღვის ცქერით – მაინც რა მრავალფეროვნებაა, სიმწვანის ტონების რა მდიდრულ გადასვლებს ხე-
დავ!.. უფრო ზევით თვალს გჭრის მზით განათებული ფოთლების სიხასხასე, სულ მადლა კი ალაგ-
ალაგ მოჩანს უძირო, ლურჯი ცა...

მერე თვალებს ხუჭავ და ყურს უგდებ ტყის სიჩუმეს, შენი ამხანაგების ლაპარაკი თითქოს არც
გესმის... თუმცა ტყის სიჩუმე ვინ გაიგონა, ყველაზე წყნარ ამინდშიც კი; მესმის ჩემთვის უცნობი და
უხილავი ჩიტების ჭყიპინი, სტვენა, ჭახჭახი...

თვალებს ვახელ, ჩემს გვერდით ხენვით ჯდება მარკოზი. ჰო, პირველ საველე დღეს ასე იცის:
გვიჭირს ხოლმე რთული რელიეფის დაძლევა – დიდ ფიზიკურ დატვირთვებს ჯერ შეუჩვევლები
ვართ. ალბათ სიმაღლეც მოქმედებს, თუმცა რა უნდა ამოგვევლო, მხოლოდ შუადლევა.

– ჯერ ჩადუნინის თავზე არ ვართ მისულები, ყიყლიყოსთან რა გვინდა, ეჰ, აგერაა, – ამბობს
მოსე და თითს დაატარებს რუკაზე.

– რა ყიყლიყო? – თავი წამოწია მარკოზმა. – ქათმების ფერმასთან ხომ არ ვართ? სანადირო
არაფერი ჩანს და ქათმებს მაინც დავხოცავ! – აჩხაკუნებს ორლულიან თოფს.

– ყიყლიყო მთას ჰქვია, შე ბენტერა, – პასუხობს მოსე, მერე ისიც ჩვენსავით იხდის ხალათსა
და მაისურს. – უჰ, მოვითქვი სული... აბა, თუ მეტყვი, მარკოზ ბატონო, რატომ გრძნობ შენ ჰაერის
მოძრაობას, ხომ ხედავ, პატარა ნიავეც არაა.

მარკოზი პაპიროსის აბოლებს, არაფერს პასუხობს.

– ახლა ხდება ჰაერის მოძრაობა, ვერტიკალური გადაადგილება... საერთოდ, ტყეში ჰაერი ყო-
ველთვის მოძრაობაშია, რადგან მისი ტემპერატურა მიწის ზედაპირთან და ზევით, ხეების თავზე,
განსხვავებულია... – და მოსე გვთავაზობს საკმაოდ რთულ თეორიას.

– ოჰ, მორჩი ზღაპრებს, კაცო, ისედაც დადლილები ვართ, – აწყვეტინებს მარკოზი. – შენ ჯობს,
ის მითხრა, ყიყლიყოსთან მალე მივალთ თუ არა.

ვიყურები ტყის სიღრმეში, სადაც წიფლებისა და რცხილების უზარმაზარი ნაცრისფერი ტანები
გამოიყოფიან საერთო მწვანე ფონზე და უცებ თითქმის ხედ ჩემს ცხვირთან გამჩნევ პატარა საგანს,
რომელიც ზევიდან ქვევით მოძრაობს ჰაერში. ერთი ციცქნა ობობა! ნელა ქანაობს გრძელ, თითქმის
უხილავ ძაფზე ჩამოკიდებული და დროდადრო მკვეთრად მისრიალებს ქვევით. მარკოზიც ამჩნევს
მას და პაპიროსის ბოლს შეაფრქვევს – ობობა მოწყვეტით ვარდება მიწაზე.

ძალიან მეზარება ადგომა, მაგრამ რას იზამ – მივდივარ ცხენის მოსაძებნად...

შემდეგ ისევ დაუსრულებელ აღმართს მივუყვებით. მარკოზი ხშირად კითხულობს, როდის იქნება ყიფლიყო, მოსე და სიკო ალაგ-ალაგ ფიქლების გამოსავალს სინჯავენ, ნიმუშებს იღებენ, ტილოს პარკებში აწვობენ. ყველას საშინლად მოგვწყურდა, წყალი კი არ წამოგვიღია. ისევ შინდი თუ გვიშველის, მე საბოლოოდ მომჭრა კბილი და მაინც ვერ ვეშვები.

ფლოქვების ხმა გვიახლოვდება, მალე დაღესტნელები წამოგვეწივნენ. ცხენებზე ტომრები და ხურჯინები გადაუკიდიათ, კაცები და ქალები ფეხით მოდიან. ქალებს ფეხზე ჭრელი, ლამაზი წინდები აცვიათ, ტანზე – შინნაქსოვი მძიმე კაბები. ქართულად გვესალმებიან და გვისწრებენ. უკვე საკმაოდ ფართო ბილიკზე ვართ გასულები; ქვევით ის ახალსოფელში ჩადის, ჩრდილოეთით კი დაღესტანში გადადის. ამ გზით დადიან ლეკები ბაზრობებზე აფენში, კაბალში, ბოდბისხევეში.

ბილიკი თითქმის სულ სერს მიუყვება. მარცხნივ მდინარე შორსხევის ტყით დაფარული ღრმა ხეობაა, მარჯვნივ – მდინარე არემისა; წინ მოჩანს უტყეო, თითქოს სამართებით სუფთად გადაუპარსიათო, კავკასიონის მაღალი წყალგამყოფი ქედი. ამ მოტველებილ მწვერვალებს იქით უკვე დაღესტანია.

ლაპარაკის ხალისი არავის აქვს. გზა ალაგ-ალაგ გავაკდა კიდევ. აი, ბილიკით გაჭრილი ფერდიდან წყარო გადმოსჩქეფს – ცივზე ცივი და ანკარაზე ანკარა. პურის ჭამას სწორედ ასეთ ადგილას აქვს გემო!

რა მაცოცხლებელია მთის ჰაერი! შოთის პური, პომიდორი და ყველი საოცრად გემრიელია, ცივი წყალი, წყალი კი არა – ყინულია. გრილა რცხილის ჩრდილში, მწვანედ ხასხასებს გარემო; მზეს კი არა, ლურჯ ცასაც კი ვერ გაუსწორებ თვალს, ისეთი კაშკაშა სინათლე იღვრება ზეციდან!

ყველაფერში იგრძნობა, რომ საკმაო სიმადლეზე ვართ ამოსულები.

ისევ მადლა-მადლა მივიწვევთ. ძალ-ღონე მოგვემატა ჭამისა და დასვენების შემდეგ; გაგხალისდით, ვაკაკუნებთ ჩაქუნებს ქვიშაქვებსა და თინაფიქლებზე, ვინიშნავთ რუკაზე მათ გამოსავლებს; შემდეგ ისევ ვუტყვით ბილიკს აღმართში.

ალაზნის ველიდან რა ახლოს ჩანდა მთის მწვერვალები, აი, თუნდაც ეს – ჯვარისთავი, მაგრამ სინამდვილეში მთელი გრძელი ქედის – ჯვარისას – სერ-სერ გავლა გვიწევს. თვალი მაინც არ იღლება გარშემო ცქერით. საითაც გაიხედავ – მთები, მთები, მთები... რცხილის, მუხის, წიფლის და სხვათა ნაცრისფერი ტანები, მწვანე რტოების ტალღები, მზის სხივების თამაში მადლა ფოთლებში; ირგვლივ გამეფებული სიჩუმე – და ჩვენი ლაპარაკი, ცხენის ფლოქვების ხმა... ტყის მაცოცხლებელი, გრილი ჰაერი, ტყის სუნი – ნედლი ბალახებისა და ფოთლების სურნელისა, ოდნავ – ხავისისა და ნეშომპალისა...

ნელ-ნელა ყველაფრისადმი გარშემო გიდუნდება ყურადღება, მხოლოდ ბილიკს მისჩერებისარ და ნატრობ, როდის იქნება შემდეგი შესვენება, რომ ბალახზე და ხმელ ფოთლებზე გაიშხლართო და დაღლილობისგან გახევებული ხელ-ფეხი დაასვენო... შემდეგ ისევ: ნაბიჯ-ნაბიჯ ერთი საფეხურიდან მეორეზე, უფრო მაღალზე, ბილიკის მოხვევა და ქვიანი საფეხურების ახალი წყება... მუხლებში ძალა გეცლება, ნიკაბიდან, წარბებიდან, ცხვირის წვერიდან ოფლის წვეთები ეცემა დატკეპნილ მიწაზე, ზოგჯერ შეხედავ წინ მიმავალთა ზურგების რწევას, შენი ფეხები კი თითქოსდა თავისთავად მიაბიჯებენ...

უჰ!.. ტყე თავდება – იწყება იალაღები. ფერდობები გალაღებული, ფერადოვანი ბალახ-ყვავილე-ბითაა დაფარული; მხოლოდ მწვერვალთა თავებზე, და ალაგ-ალაგ ფერდობებზეც, რუხ-მონაცრისფრო ფიქლების გაშიშვლებებს გამოუხედავთ მზის სინათლეზე. საოცარია, გავაკდა. აი, პატარა მინდორიც. აქ ლეკთა სასაფლაოა, სიპი ქვებით შემოფარგლული რამდენიმე ოვალი.

– ღამე აქ გაჩერდეთ, – ამბობს სიკო და საათზე იხედება.

მძიმე ზურგანთები მიწაზე ცვივა, ყველანი ვსხდებით და სულს ვითქვამთ. სიკო რუკას შლის. არც ისე ბევრი გაგვივლია სოფელ მთისძირიდან – სულ ათი-თორმეტი კილომეტრი. მწვერვალი ჯვარისთავი სამ-ოთხ კილომეტრშია ჩრდილოეთით. მთელი დღე მისკენ მივისწრაფოდით და მაინც ვერ მივადწიეთ. ახლა თითქოს დაცინვით შეუჭმუნია ნაოჭები მოტველებილ თავზე.

მალე ხუთი-ექვსი ლეკი მოვიდა ჩვენს ნაკვალევზე, შემდეგ – კიდევ რამდენიმე ოჯახი. ჩვენგან მოშორებით ცეცხლი დაანთეს – იქვე, ფარების მსგავს პატარა ხუხულასთან.

წყარო ბალახიან ფერდზეა და ალპური საძოვრების ზედ საზღვარზე – უფრო ზევით ერთი ხე ან ბუჩქიც კი არ იზრდება. წყაროდან ორმოცდაათიოდე ნაბიჯზე პატარა მოსწორებული ადგილია, სადაც კარვის გაშლა მოხერხდება. აქედან ტყეც ახლოა ფიჩხისთვის და წყაროც.

მზე ჩავიდა და საოცრად სწრაფად იწყო დაბნელება. აცივდა. ყველანი დავტრიალდით: ორნი კარავს ვშლით, მარკოზი ფიჩხს აგროვებს და ცეცხლს აჩაღებს, სიკო გულოვანი ვახშმის მომზადებითაა გართული.

კარი IV. ლექები დაგვიმეზობლდნენ!..

დაღამდა.

საკმაოდ გრილა, მაგრამ იმოდენა კოცონი დავაგიზიზიეთ, რომ ცოტა მოშორებით თუ არ დაჯექი, იმ კარტოფილებივით შეიბრაწები, რომლებიც ეს-ესაა გეახელით. ამას გარდა, “დავაყუმბარეთ” საქონლის ხორცის კონსერვები, რომელთაც მსუყე ოსშივარი ასდის და ზედ დავაყოლეთ ტკბილზე ტკბილი და ცხელზე ცხელი ჩაი – რა უნდა გინდოდეს კიდევ? საჭმელმა და კოცონის სითბომ მოგვთენთა, ძილისკენ გვძღვეს, მაგრამ მაინც ისე დავიღალეთ, ადგომა და კარავში გაშლილ საძილე ტომრებში შეძრომა გვეზარება.

ასე ვსხედვართ, ზანტად ვსაუბრობთ და ხან ცეცხლის მოთამაშე აღს მივჩერებივართ, ხან გრილ, ბალახიან მიწაზე ვინაცვლებთ გვერდს. ირგვლივ სიწყნარეა, მხოლოდ ხმელი ტოტების ტაკ-ცუნი ისმის, როცა ცეცხლი მოედება. იქვე პალოზე დაბმული ჩვენი ცხენი გემრიელი ხრამუნით ძოვს ბალახს. მთვარემ ნელ-ნელა მორცხვად ამოიხედა აღმოსავლეთიდან და მუქ ლურჯად, თითქმის შავად, იდუმალად განაბულ მთებს ვერცხლისფერი შეურია, ზღაპრული ფერებით ააეღვარა. ახლომახლო ხეების თეთრმა ტანებმა გამოანათა. ზევიდან დავყურებთ მუქ, იდუმალ ტყესაც, შორხევის ხეობასაც და კიდევ უფრო სამხრეთით – ალაზნის ველსაც, ხოლო ჩვენ კი თვით დავცქეროვან ჯვარისთავისა და სხვა მწვერვალთა უტყვეო თავები, უფრო ზევიდან კი – თვალს გვიპაჭუნებს უთვალავი ვარსკვლავი... უნებურად ფიქრობ, რომ, შესაძლოა, ჩვენთვის უცნობ ციურ სხეულებზე, ერთ-ერთზე მაინც, ჩვენსავით სხედან გეოლოგები თავიანთი პლანეტის რომელიმე ქედზე და ასევე ფიქრობენ, როგორც მე ახლა... ირმის ნახტომი ხომ ჩვენი მზის გალაქტიკაა და ყოველი თვალთ დასანახიც და ადამიანისთვის მიუწვდომელი ნისლეულიც – კიდევ სხვა გალაქტიკა...

ალაზნის ველიდან კი სულ სხვა გალაქტიკა გვინათებს, ბევრად უფრო შუქიანი და ელვარე... ეს ალაზნის ველს გაღმა, ციფ-გომბორის ქედის ჩრდილო-აღმოსავლეთ ფერდზე შეფენილი, ერთიმეორეზე გადაბმული სოფლებისა და ქალაქების სინათლეებია. აი იქ, სადღაც მარჯვნივ, თელავი უნდა იყოს, იქ – გურჯაანი, იქ – ბაკურციხე... თითოეული მოციმციმე ნათურა, სხივიანი ვარსკვლავი, ვიღაცას გზას უნათებს, სხვას – დღეს უგრძელებს, სამყაროს ხილვის საშუალებას აძლევს და, მაშასადამე, სიცოცხლის საერთო ვადასაც უგრძელებს, რადგან ჩვენ ამქვეყნად სწორედ იმისთვის ვართ მოსულნი, თვალი და გული გარემოს ხილვით გაგახაროთ, გონება ხილვით გაგიღრმავოთ, ვიცხოვროთ და გუყუროთ ცხოვრებას...

გუყურებ ამ ირმის ნახტომად წავგრძელებულ უამრავ სინათლეს სოფლებისას და საოცრად შორი მეჩვენებიან იქ მცხოვრები ადამიანები, თითქოს წინა დამე ერთ-ერთ ამ სოფელში არ გამეთიოს. თბილისი კი თითქოს ერთი წელიწადია, რაც დავტოვე... და ჩემთვის ძნელი წარმოსადგენია, რომ ჯერ კიდევ ორი დღის წინ ამ დროს სტადიონზე ვიჯექი. ჩვენ პატარა ტრანზისტორული რადიომიმღები ევაქვს წამოდებული თან, მუსიკასაც შეგვიძლია მოვუსმინოთ, ახალ ამბებსაც და ფეხბურთის მატჩის ტრანსლაციასაც. ახლაც არ იქნებოდა ურიგო მუსიკის მოსმენა, მეზარება მხოლოდ მისი გამოტანა კარვიდან...

– ქვაბი გვათხოვე! – გვესმის უცებ ქალის ხმა.

ყველანი შევერთით, ისე მოულოდნელად წამოგვადგა თავს ორი ქალი. მათი სახეები კარგად ვერ გავარჩიე, ალბათ საშუალო ხნისა იქნებოდნენ.

– გათხოვებთ, მაგრამ გამოურეცხავია... – უხერხულად აწურა მხრები მოსემ.

– იყოს, იყოს, – გამოართვა გამურული ქვაბი ლექის ქალმა და მერე ამხანაგთან ერთად ფერდს მაღლა აჰყვა, სადაც სულ ზევით, ლექთა სასაფლაოსთან, ცეცხლი ენთო.

ჩვენ ცოტა გამოეცოცხლდით, დაღლილობაც დავგავიწყდა და ძილის სურვილმაც გაგვიარა; ამის მიზეზი კი მარკოზი გახლდათ.

– ბიჭებო, ლექები დაგვიმეზობლდნენ, აგერ, ზევით.. – დაიწყო მან.

– მერე? ახალი ამბავი... – ზანტად უპასუხა მოსემ.

– რა და, ცხენი არ მოგეპარონ.

– ეჰ, კარგი ერთი, ვის რად უნდა, სული ძლივს უდგას, – თქვა მოსემ.

– თითქმის ხელით ამოვიყვანეთ, უფრო სწორად – ამოვიტანეთ, – დავამატე მე.

– ჰო, “არ ვარგა, არ ვარგა” იმაზე და როცა მაგ ქეციან ბენრეკში ხუთას მანეთს გადაგახდევინებენ, მაშინ რაღას იტყვი?

შემდგომი საუბარი ამგვარად წარიმართა:

მე. ძველს?

სიკო. ძველს კი არა, ახალს, ახალი ხუთასი მანეთი, აბა!

მოსე. ცხენის დამალვა ჩვენს დროში ასე ადვილია?

მარკოზ. ბიძია ალექსანდრემ არ მოგვიყვა გუშინ? მოიპარავენ ცხენს, გადადენიან ქელს გადაღმა და შეჭამენ!

სიკო. მიდი და ეძებე მერე.
მოსე. ცხენს ჭამენ, კაცო?
მე. ბარგს რაღა ვუყვოთ, შენ ჩაიტან ქვევით ზურგით?
მოსე. არა, რას ამბობ, წინათ იყო, რომ იპარავდნენ, ახლა სადღაა.
სიკო. ალექსანდრემ რომ თქვა? კარგი ერთი, თუ კაცი ხარ!
მე. თითო-ორი შებოხვევა, შესაძლოა, დღესაც იყოს...
მოსე. ესენი ბაზრობაზე იყვნენ, ქურდები კი არ არიან.
მარკოზ. ამაზე ხელსაყრელ შემთხვევას ვერც ინატრებდნენ! შინ მიდიან და გზად ცხენსაც წაი-
 ყოლიებენ...
მოსე. ვიდაცა მამაძაღლს, შესაძლოა, ცხენი მოუპარავს, ყველას ხომ არ დააბრალებ.
მარკოზ. რა იცი, იქნებ სწორედ ის ერთი ათევეს ღამეს შენს გვერდით.
სიკო. ღამე მორიგეობა უნდა დავაწესოთ... ოთხნი ვართ, ხომ? ორ-ორი საათი მოგვიწევს ყველას.
მარკოზ. წილი ვყაროთ... აჰა, ახლა არ მიგხვდით?! ისინი ვითომ ჩვენს ქვაბს მოიტანენ, სინამდვი-
 ლეში კი შეგვამოწმებენ, სძინავთ თუ არაო!
სიკო. მარკოზ, თოფი დატენე! ბიჭებო, ცხენი კარვის გვერდით დააბით, მორიგემ თვალი არ მოა-
 ცილოს! მარკოზ, შენზეა ხომ სამეურნეო ნაწილი ჩაბარებული? ცხენს კი გადავარჩინოთ, მარა ქვაბს
 რაღა ვუყვოთ, ვკარგავთ!
მარკოზ. ქვაბს ვინ ჩივის, ძილიც გაგვიმწარდება, ბატონო სიკო. ისინი ალბათ დილით ძალიან
 ადრე აღგებიან, ალიონზე...
სიკო. მაშინ ჩვენც ადრე უნდა ავდგეთ და ქვაბი გამოვართვათ... აბა, ჩქარა, ყველამ თავთავისი
 თეფში დროზე გარეცხოს და დავიძინოთ.
მოსე. თქვენ, ბატონო სიკო, როდის გირჩევნიათ მორიგეობა?
მარკოზ. ბატონი სიკო გავათავისუფლოთ მორიგეობიდან...
სიკო. აბა-აბა, არავითარ შემთხვევაში! თუ პატივი გინდათ დამდოთ, პირველად მე ვიმორიგეებ,
 მერე – მოსემ, მერე – არჩილმა და ბოლოს – შენ.
მარკოზ. მოდი, ბანქო ვითამაშოთ და ვინც დარჩება, ყველას თეფშები დარეცხოს.
სიკო. მაგის დრო ახლა არ არის, დროზე, დროზე! დარეცხეთ თეფშები და დაიძინეთ, ათი საათი
 სრულდება.
 ყველანი გაფუღებით გზას წყაროსკენ. უკან დაბრუნებისას ყველამ სათითაოდ ფეხი წამოგვარით
 კარვის სამაგრ თოკებს და კარავში შევძვერით.
 სიკომ გვერდზე დაიდო თოფი, გამომართვა ჩემი მანათობელციფერბლანტიანი საათი და მორიგე-
 ობას შეუდგა.
 ერთხანს კიდევ მესმოდა ჩვენი ცხენის ფრუტუნის, მარკოზისა და მოსეს ბორგვა ვიწრო საძილე
 ტომრებში, შემდეგ ძილს მივეცი თავი.

კარი V. სად ვეძებოთ ცხენი?

საერთოდ სიზმრის ნახვა მაინცდამაინც არ მიყვარს: ან აუსრულებელი საოცნებო ამბებით ავა-
 დლებს, რომ შემდეგ გაღვიძებისას გულაცრუებული დაგტოვოს, ან ათასგვარ ჯოჯოხეთურ ფათე-
 რაკებს გადაყვებო: უძირო უფსკრულში ვარდები, მდულარე კუპრში სული გეხუთება და სხვა და
 სხვა... ამჯერად მესიზმრებოდა, თითქოს პირცეცხლიან მფრინავ გველეშაპზე მჯდარი ლეკი დაეშვა
 კარავთან, ჩვენს თეთრ, ყავისფერხალებიან, ლამაზ ცხენს ადვირში ხელი მოჰკიდა და – ჰერი!.. გააქ-
 როლა დაღესტნის მთებისკენ. მე უკან გამოვუდექი; ფეხის ერთი დაკვრით მწვერვალიდან მწვერვალ-
 ზე ვსტები, მაგრამ მფრინავი გველეშაპი კიდევ უფრო სწრაფია... თანაც, თოფს ვუმიზნებ – არ ვარ-
 დება, მთებს ათასი ხელი გამოება – მებლაუჭებიან, მაბრკოლებენ, თოკებით მკოჭავენ... განძრევაც
 აღარ შემიძლია, გველეშაპი თვალთაგან მეკარგება... მთელი ძალ-ღონე დავძაბე, თავგამოდებით გა-
 ვიბრძოლე და უცებ... რაღაცამ ვულკანივით იფეთქა, გამაყრუებელმა გრვინვამ მილიონ ნაწილად
 გამფანტა, ჩემი მტვერი ცას შეაბოლა...

და გამომეღვიძა!..

შვებით ამოვისუნთქე, თუმცა გული მიკანკალებს, ცივმა ოფლმა დამასხა. ნახევრად სიბნელეში
 საძილე ტომრიდან ამოძრომას ვცდილობ, მაგრამ რაღაც თოკები მებლანდებიან ხელეში, ზევიდან
 სახეზე დაწოლილი ბრეზენტი მახრჩობს, ჩემს გვერდით კი ვიდაცეები ბორგავენ, იგინებიან... სული
 მესხუთება, ხელებს განწირულად ვიქნევ, ვგორავ... ფეხით, თავით, ხელით მინდა, სადღაც გარეთ,
 სამშვიდობოს გავეძვრე... ამ დროს ჩემს ყურთან თოფი გავარდა ზათქით, ფეხზე წამომახტუნა – და
 უცებ განათდა!..

კარავი გადაგვძვრა და სამი ნახევრად შიშველი და მეოთხე ჩაცმული მამაკაცი შიშნაჭამი თვალებით ერთმანეთს შევეყურებთ.

თვალისმომჭრელი დილაა. გაფითრებული სიკო გულოვანის ხელში ორღულიანი თოფი ბოლავს.

– ბიჭებო, ცხენი სადაა, მოიპარეს? – კითხულობს იგი.

მივიხედ-მოვიხედეთ – ცხენის კვალიც არ ჩანს. მღუშარედ შევეყურებთ ერთმანეთს. კარვის თითქმის ყველა პალო ამომძვრალია, თვითონ დაჭმუჭვნილი კარავი, საძილე ტომრები, ჩვენი ნივთები – ყველაფერი უწესრიგოდ მიყრილ-მოყრილია გარშემო.

– ეშმაკმა დალახვროს, – იწყებებს მარკოზი, – მთელი ღამე სულ ცხენზე ფიქრმა მომიშხამა და მაინც მოგვპარეს!

– სულ ერთი-ორი წუთის წინ გამეღვიძა, – ამბობს დარცხვენით სიკო, – ცხადად გავიგონე, ვიდაცამ ცხენები გააქროლა... ჭიხინი და ფლოქვების ცემა...

– აბა, ბატონო ფილოსოფოსო, – ეუბნება მარკოზი მოსეს, – სად ვეძებოთ ცხენი? არ მოიპარაგდნენო, რომ ამტიციებდი, ახლა ეს მოგვახსენე: ცხენის მწვადი რა გემოსია?

ხემოდან, ლეკების სასაფლავს მხრიდან, ძახილი შემოგვესმა. ათამდე ქალი და კაცი გადმომდგარიყო და ჩვენ გვიცქეროდა. შემდეგ ერთმა ქალმა იწყო ციცაბო ფერდობზე ჩამოსვლა; ცოტა ხანში ვიდაც კაციც გამოედგნა. ორივენი სწრაფად ჩამოდიოდნენ ჩვენსკენ. კაცმა გზაში გადაუსწრო ქალს და პირველი მოვიდა. შავგვრემან სახეს ერთი კვირის შავი ჯაგარი უფარავდა. შავი ქურთუკი ეცვა და მძალაყელიანი ჩექმები.

– რათა ისროლე? ცხენი გაიქცა? – ქართულად გვკითხა.

– ჩვენი ცხენი? რა იქნა, მოიპარეს? – მივაყარეთ კითხვები, თან საჩქაროდ შარვლებს ვეცით, რადგან ქალი გვიახლოვდებოდა.

– გაიქცა, გაიქცა...

– დაინახე? საით გაიქცა?

– ტყეში, ტყეში გაიქცა... იქით, იქ გაიქცა... – მიგვითითა ხელით წყაროსკენ.

ცუდად არის საქმე – წყაროს ქვევით ტყე იწყება, მასში შენ ცხენს იპოვი?

– ერძა-ა! – წამოიძახა მოსემ, – აწი ახალსოფელში იქნება ჩასული!..

ყველანი ცხვირჩამოშვებულები ვდგავართ. მოვიდა და იქვე კაცის გვერდით ჩუმად დადგა შუახნის ლეკის ქალი, ხელში ჩვენი ალუმინის ქვაბი უჭირავს, რომლის საგულდაგულოდ გახეხილ, პრი-ალა გვერდზეც დილის მხიარული მზე ირეკლება.

– რა ვქნათ? მაინც ვცადოთ მოძებნა, – პაპიროსი გააბოლა მარკოზმა.

– ბატონო სიკო, რატომ ისროლე? – ეკითხება მოსე.

– ღმერთმა დასწყევლოს, ჩამძინებია, – ამბობს სიკო, – ვეღარ გაგაღვიძე... ღამე არავის გაგღვიძებიათ, ხომ?

– ძალიან დაღლილები ვიყავით, – თითქოს ბოდიშობს მოსე.

– პირველად რომ ისროლეთ, მაშინ გამომეღვიძა, – ვამბობ მე.

– ერთი-ორჯერ კი გამომეღვიძა, მაგრამ მეგონა, ჯერ ჩემი რიგი არ იყო, – ნამძინარეე სახეზე ხელისგულს ისვამს მარკოზი.

– ჩაშლილა ჩვენი მორიგეობა, – თოფს საძილე ტომარაზე დებს სიკო. – ვიფიქრე, ცოტას წამოვწვები-მეთქი და არ ჩამძინებია? კი მარა, კარავი რომ თავზე ჩამოგვექცა, საყრდენი ჯოხები ვინ გამოაცალა, ჰა?

– ცხენის ბრალია, ბატონო სიკო, – ვხვდები მე. – არ უნდა დაგვება ასე ახლოს კარავთან... კარვის მეორე მხარეს რომ მოექცა, თოკი გამოსდო და წააქცია.

– ჰო-ო-ო... კარავი რომ დამაწვა სახეზე და თან ცხენის თოკი გადამეჭირა ზევიდან, ვიფიქრე – თავს დაგვესხნენ, უკვე მკოჭავენ-მეთქი და გამოვკარი ჩახმახს თითი...

– ვინმეს რომ მოხვედროდა? – ამბობს მოსე. – ცხენი კი გადარია და...

– ზევით ვისროლე, ჭერში... მერე მეორეც ვბუთქე. ჰო, რაღას ვდგევართ ახლა, ცხენი კი არ დაგვიცდის... აბა, ჩქარა, გავიშალოთ ტყეში! არჩილ, შენ ქვევიდან დაუარე, მარკოზ, შენ აქეთ წადი... არ იხმაუროთ, ცხენი დაფეთებულია, ნელა მიეპარეთ. მე და მოსე ხევ-ხევ ჩავალთ.

– მოხმარება უნდა? აი, იქ გაიქცა, – თქვა ლეკმა, შემდეგ ხელი დაუქნია ზევით თავისიანებს, ქვებით ჩამოდით, დახმარება სჭირდებათო. – ეჭვი!..

ჩვენ და ლეკები შევესიეთ ტყიან ფერდობს. მაღლე სულ წელამდე დავსველდი ნამიან ბალახსა და ბუჩქნარში ძრომიადით. რამდენჯერმე ფეხიც დამისრიალდა ციცაბო ფერდზე, ხეების დაბალ ტოტებს წავეტანე თავის დასამაგრებლად და ფოთლებიდან თავზეც დამაწვიმა. ბოლოს, გავიგონე, ზევიდან გვეძახდნენ.

მარკოზი უკვე ჩაისთვის კოცონს აწყობდა. იქვე ჩვენი ღამაზა წყნარად ძოვდა – ლეკის ბიჭს ეპოვა ახლოს: გრძელი საბელი გახლართულიყო ჩირგვებში. მოსე კარავს კეცავდა, რომელსაც ორ

ადგილას დაფლეთილნაპირებიანი ნახვრეტები ჰქონდა. სიკო გულოვანი ზურგჩანთებთან იდგა, ხელში არყის ბოთლი ეჭირა და სათითაოდ უსხამდა პატარა ჭიქაში მის გარშემო შეჯგუფულ ლეკებს.

კარი VI. ნამდვილად დამთხვეულები არიან!

მთაში დიდი უსიამოვნებაც კი ვერ მოქმედებს მადაზე. საუზმის დროს, რასაკვირველია, სალაპარაკო არ გამოგვევლინა, თან ხშირ-ხშირად შეგხედავდით ხოლმე ჩვენს ლამაზას, რომელიც კულის უღარდელი ქნევით არხეინად ძოვდა ქორფა ბაღასს.

მოსეს მშვენიერი აზრი ებადება: რა იქნება, რომ ორი მარშრუტი გაგაერთიანოთ? ესე იგი, მივიდეთ ჯვარისთავთან, მთავარი ქედის წყალგამყოფზე გავიაროთ და მდინარე კაბალის ხეობაში ჩავიდეთ? ამით დროსაც მოვიგებთ და ენერჯისაც, რადგან შემდეგ აღარ მოგვიხდება კაბალის ხეობით მაღლა ასვლა და ისევ უკან დარუნება – მეორე მარშრუტიც გაკეთებული გვექნება.

აქ ახალი პრობლემა წარმოიშვა: ცხენს რა ვუყოთ? ვინ იცის, იქ როგორი ბილიკებია, გაივლის კი ცხენი? ბოლოს, სიკომ გადაწყვიტა, მე და მარკოზი დავბრუნებუღიყავით ცხენიანად ძველი გზით სოფელ მთისძირში, ის და მოსე კი ცოტა საჭმელს წაიღებდნენ და საღამომდე დაამთავრებდნენ მარშრუტს კაბალის ხეობაში.

მაინცდამაინც არ მესიამოვნა უკვე ნაგალი გზით უკან დაბრუნება, მაგრამ რას იზამ, ასეა საჭირო. მოსემ და სიკომ ჩაალაგეს თავიანთ ზურგჩანთებში პური, ყველი, პომიდორები, ნიმუშების ასაღებად ოციოდე ნაჭრის პარკი და გზას გაუდგნენ, რადგან ჩვენზე ბევრად უფრო გრძელი და მძიმე გზა უნდა გაეფლათ.

მე და მარკოზს არსად გვეჩქარება. დაგრეცხეთ ჭურჭელი, შეეკარით ბარკი და ავკიდეთ ცხენს. შემდეგ მაღლა ავედით ლეკთა სასაფლაოსთან და ბილიკზე გავედით. უკანასკნელად შევხედეთ ჯვარისთავის რუხ, დანაპრაღიანებულ შუბლს. ეჰ, არ მოგვიწია მე და მარკოზს მის მოღუშულ შუბლზე განავარდება!

ამ დროს ვერტმფრენის ძრავის ხმაური შემოგვესმა. აი, ჩვენ, გეოლოგებს, რომ მოგვცა! რის ცხენი, რა ცხენი!

გავჩერდით და ცაზე დავუწყეთ ძებნა. მანქანა არსად ჩანს... ალბათ ჯერ შორსაა, რახრახი თანდათან გვიახლოვდება.

და უცებ... უცებ ბილიკზე ჩაიქროლა წითელმა მოტოროლერმა!

საიდან გაჩნდა აქ – ღმერთმა უწყის, მიწიდან თუ ამოძვრა!

წამიც – და დადმართში მიმქროლაგი მოტოროლერი გაუჩინარდა ტყეში, ჩვენთან კი დატოვა სიცილი და მოღურჯო ბოლქვები დამწვარი ბენზინისა. ძლივს მოვასწარით შემჩნევა, რომ მანქანას ჭრელხალათიანი ახალგაზრდა მართავდა, მის უკან კი დედოფალივით წამოსკუპებულიყო შარველიანი ქალიშვილი, ქარისგან გაწეწილი ქერა თმებით.

კარგა ხანს ვიდექით პირდაღებულნი.

– გიჟია, ვინ არის! – წამოიძახა ბოლოს მარკოზმა. – აქ გვეშინია, ცხენი გადაგვეჩეხებაო, მას კი გოგოც თან წამოუყვანია!

საინტერესოა, როგორ მოახერხეს დაღესტნიდან აქ ამოსვლა? ალბათ საკმაოდ მოუხდებოდათ მოტოროლერის ხელით თრევა, თუმცა, არც შემდეგ მოვლით ხელისგულივით ბილიკი.

– არა, ძმაო, ნამდვილად დამთხვეულები არიან ორივენი! – მარკოზის ხმაში ვერ გაიგებდი, რა უფრო მეტი იყო – განცვიფრება, გაკიცხვა თუ შური და სინანული, რომ მასაც არ შეუძლია აი ასე დაჰკრას ფეხი და, ყოველგვარი წინააღმდეგობისა და სიძნელის მიუხედავად, წავიდეს შორეულ, საოცნებო მხარეებში...

ღიახ... თითქოს სურვილიც გვაქვს, მონდომებაც, ქვეყანა მოვიაროთ, ახალ ადგილებს, ახალ ადამიანებს და საკუთარ თავსაც გავეცნოთ... მერე გამოხტება საიდანღაც ეჭვი, ან შიში, ან, უბრალოდ, სიზარმაცე: როგორ იქნება და რა იქნება, და ღირს თუ არა წასვლა და ცუდ ამინდში რა ვქნათ... და ათასი მიზეზი კიდევ. მოკლედ, გვეზარება ხელის განძრევა, გვირჩვენია, იოლი გზით წავიდეთ: ან ზღვისპირას, კეთილმოწყობილ და თუნდაც კეთილმოწყობელ კურორტზე, ან მთაში – ისევ და ისევ კურორტზე, სადაც გზებიც მოასფალტებულია და ცივი ღუდის შეიძლება დალიო... და მომბეზრებელი ერთფეროვნება განიცადო. არიან ბედნიერი ადამიანებიც, რომლებიც მანქანით, მოტოციკლით ან თუნდაც ფეხით მოგზაურობენ და არ დაგიდევენ იმას, რომ უკანასკნელი მოდის ტანსაცმელი არ აცვიათ, არც რბილ და თბილ ლოგინებში ნებივრობენ დამით, არც მომბეზრებულ ბანქოსა და ნარდს თამაშობენ... ზოგჯერ დასველდებიან კიდევ, ბევრჯერ ცარიელი პურის ნატეხი ექნებათ სადილად, არცთუ იშვიათად ღია ცის ქვეშ მოუწყვთ დაძინება... სამაგიეროდ იგრძნობენ, რომ არიან ადამიანები, იგრძნობენ ბუნებასაც – ტყის სიმწვანესა და ცის სიღურჯეს, ვარსკვლავების სიშორესა და მთების სიახლოვეს... ბედნიერები!..

ჩვენც ბედნიერები ვართ: აქ, მაღლა, იალაღებზე ვდგავართ და ვხედავთ ქვევით ტყიან ფერდობებს, სულ ქვევით კი – მორუსო ალაზნის ველი გაშლილა ფართოდ; არც კი ჩანს მისი კიდევანი – შორეთი იბინდება ცხელი მზით ალივლივებულ ჰაერში... აქ კი, მაღლა, ჯერ საკმაოდ გრილა, ბალახებზე ნამის მარგალიტები ჯერ არ გამშრალა; ფიქლებიც სველი, მუქი ლაქებითაა დაფარული.

მარკოზმა გადააგდო ძირამდე დაყვანილი პაპიროსი და წამოვდა. მე აღვირით ვექაჩები ლამაზას და მარკოზს უკან მივყვები. კიდევ კარგი, აწი სულ თავდადმართი იქნება, თორემ გუშინდელი სიარულისგან ფეხის კუნთები ისე მტკიცია, რომ ძალაუნებურად მოკლე-მოკლე ნაბიჯებით მივდივარ.

ტყეში შევედი. მარკოზი თავის გრძელ ფეხებს მარდად ადგამს და მალე თვალთავან მეკარგება. მე დადმართში ცხენს ვუფრთხილდები, არ ვჩქარობ, თანაც მეშინია, ბარგი მუცელქვეშ არ მოექცეს.

უზარმაზარ რცხილებში მზე ვერ ატანს. ჩრდილში კიდევ უფრო აგრილდა, მერე ცოტა შემცივდა კიდევ და ხალათზე პალტო გადავიცვი. ნეტა მარკოზი სადაა? მივდივარ და ცხენის ზურგზე მონოტონურად ირხევა საპალნე. ალაგ-ალაგ ვჩერდები, ჩაშავებულ, მაგრამ მჟავე შინდს ვკრეფ და პირისკენ მივაქანებ. დადმართში ადვილი სავალია, საათნახევარში თითქმის ნახევარი გზა გავიარე. მარკოზს ისევ ვერ ვხედავ. იქნებ გამოვცდი გზაში სადმე? გაჩერდი, ნახევარ საათს ვუცდი, თან თხილს ვკრეფ. ცხენი ისე მაღიანად ძოვს ბალახს, თითქოს მთელი დამე ამით არ იყო გართული.

კიდევ საათნახევარში უკვე სოფელ მთისძირს ვუახლოვდები. აქ მაინც მიმტყუნა ბარგმა: თითქმის მთელი საათი ვიწვალე, ბოლოს, მთელი ძალების დაძაბვით, როგორც იქნა, ისევ ავკიდე ცხენს მძიმე ტვირთი. კიდევ კარგი, უკვე მთისძირში შევდივარ, ვაკეზე გამოვედი. სოფელში ერთი ეზოს წინ დავისვენე. აქ მინდოდა მომეცადა მარკოზისთვის, მაგრამ მითხრეს, ორი საათი იქნება, რაც მაღალმა ქერა ბიჭმა გაიარა უკვე... ჯანდაბას მისი თავი, სად ეჩქარება, მარტომარტოს სიარული მაინც არ ეზარება?

სოფლის შემდეგ გზა ვენახებში გადის. ვაზი ისეთი დანასეტყვია, რომ ჩამოძარცვულ, თითო-ორლა გაყვითლებულ ფოთოლს შორის კარგა ხანი გინდა, ერთი განახევრებული მტევანიც კი რომ იპოვო, სამიოდე გაუბედურებული მტევანი ძლივს მოვაგროვე. ესეც მეყოფა პირის გასასველებლად, შოთის პურთან შეტანებულს უკეთესს ვერაფერს ინატრებ.

საშინლად დაცხა. მოკლე გზა მიმასწავლეს სოფელ გიორგეთისკენ. გზაში უზარმაზარი კაკლის ჩრდილში არტეხიული ჭის მილიდან გადმოსჩქეფდა ყინულივით ცივი წყალი. არ ვიცი, წყლის დანახვა ვის უფრო გაუხარდა – მე თუ ცხენს.

უკანასკნელი კილომეტრები – და ჩვენი სახლიც გამოჩნდა, სადაც მეორე სართულის ღია აივანზე მარკოზი და შაქრო ნარდს თამაშობდნენ.

– ოჰო, ჯიგარო, უკვე მოხვედი? ცირკი ხარ, ცირკი, აი! სადა ხარ დაკარგული?! – გადმომხვიზვინებს ზევიდან მარკოზი და შაქროსაც აიყოლიებს.

* * *

ჩემს ლოგინზე ვარ გაშოტილი აივანზე. ბინდდება. პირველი ვარსკვლავი აკიაფდა ნაცრისფერ ცაზე. მთები დამუქდა. ჯვარისთავის წვერი ჯერ კიდევ მოჩანს. თვალს ვაყოლებ მარჯვნივ მწვერვალების რიგს – აი, ასე გაუყვებოდნენ ქედ-ქედ სიკო და მოსე, შემდეგ აი იმ ხეობაში ჩავიდოდნენ... ჩვენი მანქანა კი მათ უცდის კაბალის ხეობის ბოლოში. სულ ნახევარი საათი უნდათ იქიდან შინ მოსასვლელად. ცხელი ჩაი და ვახშამი უკვე მზადაა.

დამის თორმეტ საათს გადასცილდა, როდესაც მანქანის ფარებმა ჭიშკარს მოანათა. მოსე და სიკო არ მოუყვანიათ.

– რა ქენით?

– არ ჩანან, – ამბობს მარკოზი, – მოგვბეზრდა ამდენი ცდა და წამოვედით... თან, რომ იცოდე, როგორ მომშვიდა.

– ვერ მოასწრებდნენ, – აცხადებს შაქრო. – ხუმრობაა მთაში სიარული? დაიძინებდნენ სადმე.

– რას ამბობ, კაცო, როგორ დაიძინებდნენ, საძილე ტომრები ჩვენ გამოგვატანეს.

– ჰა? – დაფიქრდა შაქრო. – მა რა უნდა ვქნათ?

– უკანვე უნდა დაბრუნდეთ და მოუცადოთ.

– დღეს ძალიან დავიდალე, ხომ იცი, – დაქანცული სახით ჯდება საწოლზე მარკოზი, ხელში კარაქიანი პური უჭირავს და იღმურძლება, – თვალები თავისით მეხუჭება...

– შაქრო, მიდი მანქანა დაქოქე, მე წამოვალ.

– მოიცა, საჭმელს ვჭამ ცოტას და წამოვალ, – თავი გამოიდო მარკოზმა.

მარკოზმა და შაქრომ ჭამა მოათავეს თუ არა, ჩვენნაირი მანქანა მოადგა ჭიშკარს. შუა ეზოში შევეგებეთ სიკოსა და მოსეს, ზურგჩანთები და ჩაქურები ჩამოვართვით, ის მანქანა მაშინვე უკან გაბრუნდა.

– აბა, ჩქარა, სუფრა გავაწყობთ! – დავფაცურდი მე.
 – არაფერი არ გვინდა, ყელამდის ვართ, ყელამდის! – იუარა სიკომ, თან სველ ტანსაცმელს იხდიდა. – სასტიკად გვეძინება... ერთი თავი დამადებინა ბალიშზე...
 დაღლილობის მიუხედავად, სიკო და მოსე კიდევ თითქმის მთელ საათს ლაპარაკობდნენ, დანარჩენები პირში მივჩერებოდით და მათ ოდისეც ვისმენდით. ჯერ, თურმე, გზა წყალგამყოფზე ბევრად უფრო გრძელი და ძნელად სავალი გამოდგა, ვიდრე ეგონათ – სიკო და მოსე დიდხანს მიდიოდნენ ვიწრო ბილიკით, სანამ ჯვარისთავს და მერე ჩაღუნიანისთავს შემოუვლიდნენ ჩრდილოეთიდან. შემდეგ უნდოდით კაბალის შენაკადის – ლაკოსხევის – ხეობაში ჩასულიყვნენ მწვერვალ ყაზითაღას გადავლით, მაგრამ მცდარი გეზი აიღეს, მოკლე გზა ეგონათ და სულ უგზოუკვლად კი იბლოტილეს უკიდურესად ციცაბო ფერდობებზე. ხეობაში ჩავიდნენ და უგზოობის გამო იძულებულნი იყვნენ ხან ერთ ნაპირზე გადასულიყვნენ გზის გასაგრძელებლად, ხან – მეორეზე, რადგან ლაკოსხევის ხეობა ვიწრო კანიონს ჰქმნიდა. ამ დროს კიდევაც დაუღამდათ. მთის ცივ მდინარეში ხანდახან წველამდე წვდებოდათ აქაფებული, სწრაფი წყალი და მათი ბედი, რომ დარი იდგა, თორემ პატარა წვიმაც კი აადიდებდა და პირდაპირ გააგიჟებდა ლაკოსხევისა და კაბალსაც. ხეობაში მთვარის შუქი ვერ აღწევდა და უკუნ სიბნელეში ვერ შეამჩნიეს, როგორ გავიდნენ ლაკოსხევიდან კაბალის ხეობაში. მერე ხეობა გაგანიერდა, გააკადა და ორივენი, გალუმპულები, გაეშურნენ სინათლისკენ. მათ ბედად განმარტოებით მდგარ შენობაში გეოლოგებმა აღმოაჩინეს... გეოლოგები! ეს უკანასკნელები თურმე სადაზვერვო სამუშაოებს ატარებდნენ პოლიმეტალებზე მთებში. სიკოსა და მოსეს მაშინვე არაყი ახუხებინეს, შემდეგ დამშეული კოლეგები მაგრად გამოაძღეს და თავიანთი მანქანით მოიყვანეს ჩვენთან.

კარი VII. კარგი ფეხსაცმელი ვისა აქვს, იმით დავლით!

საკვირველია, როგორი საუცხოო ამინდები დაიჭირა, თითქოს საგანგებოდ ხელს გვიწყობს სამუშაოების უსწრაფესად დამთავრებაში.

დილით ადრინად გამადვიდა ერთი მეტიჩარა მამლის ყივილმა. სხვებს, დაღლილებს, სძინავდათ. აივანზე გამოვედი, მზის ირიბი სხივები ჯერ ვერ ვერ მათობდა. მთები მკვეთრად გამოიყოფოდა ლურჯი, მოწმენდილი ცის ფონზე. ისეთი ცხოველი, ხასხასა ფერებით ელვარებდა მათი მწვანე ფერდობები და მოლურჯო-მომწვანო წვერები, რომ უნებურად უცნაური შედარება გავიფიქრე – მთებს თითქოს პირი დაუბანიათო.

საკმაოდ გვიან ვისაუბრეთ, რომლის დროსაც სიკომ გამოაცხადა, რომ დღეს დავისვენებდით. დასვენება მართლაც არ გვაწყენდა, თან ერთი საკვირველი ამბავიც მოხდა: უცერად ქარი ამოვარდა, კავკასიონის თავზე ერთი ეული ღრუბელი გაჩნდა, მერე მას მეორე მიემატა, მესამეც; ღრუბლები ჩამუქდა, ჩაშავდა... ნახევარ საათში მთელი ცის ტატნობი ღრუბლებით დაიფარა, გარემო ჩამუქდა, ჩამობნელდა. ელვებმა ცა დახაზეს და ცა შხაპუნა წვიმამ დასცხო. გაკვირვებული ვიდექი აივანზე წყნარი, ნათელი დილა მაგონდებოდა – და ვუყურებდი წვიმის თავდასხმას დედამიწაზე.

საღამოსპირს ცა სრულიად მოიწმინდა, გრილოდა.

– დალევის დროა, – ხუმრობით გამოაცხადა მოსემ, თან ჭურჭელს რეცხავდა, რადგან ბანქო ვითამაშეთ და წააგო.

– ლხინი ხვალ მოგველის, – გეოლოგიური ჩანაწერების დამუშავებას წუთით თავი ანება სიკომ, – ჩვენმა გუშინდელმა მასპინძლებმა დაგვპატიუეს – გვინახულეთო. ხვალ მოკლე მარშრუტი გავაკეთოთ ბაისუბნის ქედზე და საღამოს ვესტუმროთ.

– აბა, ბატონო სიკო, ერთი-ორი ბოთლი არაყის შოვნა დაგვჭირდება, აბა, ისე ხომ ვერ მივალთ, – თქვა მარკოზმა და კამათელი გააგორა – ის და შაქრო ნარდს თამაშობდნენ.

– მიდი ბატონ ალექსანდრესთან, ჰკითხე, სად ვიშოვით, – უპასუხა სიკომ.

მარკოზი უკმაყოფილო წამოდგა – ნანობდა, რა მრჯიდა, რატომ ამოვიღე ხმაო – და ქვევით ჩავიდა პირველ სართულზე, მაგრამ არაყის საშოვნელად შორს წასვლა არ დასჭირვებია. ათიოდე წუთში დაბრუნდა, ხელებში ორი ლიტრიანი ბოთლი ეჭირა; უკან ბიძია ალექსანდრე მოჰყვა, მაგილაზე დადგა ახალმოხარშული ღორის ხორციით სავსე დიდი თეფში.

– ბიძია ალექსანდრემ გვიფეშქაშა! – ბოთლები მაღლა ასწია მარკოზმა.

– ბოდიში, შვილებო, ყურადღება ვერ მოგაქციეთ... – უხერხულად იღიმება ბიძია ალექსანდრე და მარკოზის მიერ შეთავაზებულ პაპიროსს უკიდებს. – სულ ფერმაში ვტრიალებ, მარა მაინც...

– რას ბრძანებთ, ბატონო ალექსანდრე, – პასუხობს სიკო, – პირიქით, მეტისმეტად გაწუხებთ, გუშინ შუადამისას აგაფორიაქეთ...

– ამ დილით დავბრუნდი ფერმიდან და ქალი მეუბნება, გეოლოგები დაიკარგნენ, – წყნარად იცინის ბიძია ალექსანდრე და თვალებს მხიარულად გვაველებს ყველას. – გაგვიკვირდა, ასეთ ნასწავლ ხალხს რა დააბნევედა: რუკა არ გაკლიათ თქვენ და კომპასი, ჩემო ბატონო.

– პატარა ვერ მოვზომეთ, ბატონო ალექსანდრე, და დაგვაგვიანდა. ისე კი, კარგად გადავრჩით, ასეთი წვიმები ხშირად თუ იცის აქეთ შემოდგომაზე?

– წვიმები რაგა არ იცის, კაი ხანია, ველოდით, ჩემო ბატონო. ახლა რომ მოდგება, სულ იწვიმებს და იწვიმებს...

კარგა ხანს გველაპარაკა მოსაუბრეს მონატრებულმა ბიძია ალექსანდრემ, – ხან ამინდზე, ხან ოჯახზე – ბიჭი ამთავრებს წელს უმაღლესსო, ხან მთისა, ხან ბარისა; ბოლოს, წასვლისას, დაგვაპატიუა – ვენახში მოურიდებლად შედით, ყურძენი მწიფეაო, თან ვაშლიც გასინჯეთო.

დაღამდა. მოწმენდილ ცაზე გამოჩეკილი დიდ-პატარა მოციმციმე ვარსკვლავები ცივად კანკალებდნენ, ჩამუქებული სველი მიდამო ჩამყუდროვებულყოფ.

ადრინად შეგვეერთ საძილე ტომრებში, თუმცაღა შემდეგ საუბარში კარგა დრო გავიდა.

* * *

დილის ცხრა საათისთვის უკვე სამუშაო ადგილზე ვიყავით.

სიკო გულოვანს აი, რა ეწერა საველე წიგნაკში:

“მესამე მარშრუტი: ბილიკით სოფელ ბაისუბნიდან ბაისუბნისა და უღელტეხილის ქედების გავლით უღელტეხილ მსხალგორამდე. მიზანი: ჭრილის სტრატეგრაფიული ერთეულების (ზედა და შუა იურის, ზედა და შუა ლიასის) გაცნობა, ურთიერთკონტაქტების ხასიათის შესწავლა და წყებების პარალელეზაცია მეზობელ პლანშეტზე გამოყოფილ ერთეულებთან. მანძილი: დაახლოებით 20 კმ მეტად რთული რელიეფის პირობებში”.

შაქრო ირონიულად გვიცქერის, როგორ ვიკიდებთ ზურგჩანთებს, – ჩვენი მუშაობა გართობად მიაჩნია.

– წავედი. ხუთ საათზე დაგხვდებით გადასასვლელზე. მარკოზ, ნიმუშებს რო აიღებ, ლამაზ-ლამაზი ქვები ამოარჩიე, – იცინის შაქრო და მანქანას აბრუნებს უკან წასასვლელად. – ხომ იცი, გეოლოგებთან მივდივართ სადამოს სტუმრად, ასეთი საჩუქარი ეამებათ.

– შაქრო, შენ მანდ არყიან ბოთლებს მიხედე, არ გაგიტყდეს! – უკან მისძახის სიკო, მაგრამ მანქანა უკვე სოფლის ორღობეში მიქრის.

დღეს მხოლოდ ნახევარ მარშრუტს ვაკეთებთ, რომ შემდეგ მოვასწროთ ჩვენს კოლეგებთან სტუმრობა. უნდა ვიაროთ სერ-სერ იმ ადგილამდე, სადაც ბაისუბნის ქედს კვეთს ლაგოდენი-ყვარლის საავტომობილო გზა; სწორედ იქ დაგხვდება შაქროს მანქანა.

მიგუყვებით აღმართს. ბაისუბნის ქედი არც ისე მაღალია, სოლიგით არის შეჭრილი ალაზნის ველში და კავკასიონის დაბალ წინამთებს წარმოადგენს. მისი კალთები ჯაგრცხილითაა დაფარული, აქა-იქ ზღმარტლის, ასკილის, შავი და წითელი კუნელის ბუჩქებია, არის მაცვალიც. მალე დაგვცხა და ტანზევით გაეშიშვლდით. ასე მივდივართ მთელი დღე, მუშაობის უკვე ჩვეულ რიტმში ჩაბმულნი: ვუაკაუნებთ ჩაქუჩებს თიხაფიქლებსა და ქვიშაქვებს, ვინიშნავთ საველე წიგნაკებში გაშიშვლებათა გეოლოგიურ აღწერას, ვიღებთ ნიმუშებს. შუადღეზე ვსაუზმობთ და ვისვენებთ ნახევარ საათს. ხუთის ნახევარზე მივადწიეთ შეხვედრის დათქმულ ადგილს.

შაქროს მანქანა გზის პირად დაუყენებია, თვითონ კი ხვრინავს. ახალგაარეცხილი მანქანის ტენტი ჯერ ისევ სველია.

– შაქრო, მანქანა სად გარეცხე?

– კაბალზე.. კაი წყალია, – თვალებს იფშენეტს შაქრო.

არ იქნებოდა ურიგო, ჩვენც გვებანავა, მტვერი და ოფლი ჩამოგვერეცხა, მით უმეტეს, სტუმრად მივდივართ.

კაბალის წყალი ცივი და სუფთაა. ნუთუ ასე მალე დაიწმინდა გუშინდელი წვიმის შემდეგ? ტანზე ხორკლები დაგვაყარა, საჩქაროდ ჩავიცვით. მესიამოვნა გათბობაც და იმის გრძნობაც, რომ მტვერის კარგა სქელი ფენისგან განთავისუფლდა ჩემი სხეული, სამაგიეროდ, კუჭი აგვეწვა ყველას.

– აი, როცა ასეთი დამშეული ხარ, მაშინაა სტუმრობა კარგი, – ამბობს სიკო.

ჩვენი მანქანა კაბალის განიერი ხეობით მიდის. რამდენიმე წუთის შემდეგ ხეობა თანდათან დავიწროვდა. მანქანა პატარა არხზე გადაბულ ბოგირზე გადავიდა და შეგორდა კენტად მდგომი ერთსართულიანი სახლის ეზოში.

– თუ არავინ დაგხვდა, მაშინ ნახე ჩვენი ცოდვა, – ამბობს მარკოზი. – ამ ორ ბოთლ არაყს კი მოგუყვლით, მაგრამ ზედ რა დავაყოლოთ?

ყოველგვარი შიში უსაფუძვლო გამოდგა, ყოველ შემთხვევაში, საბოლოოდ მაინც.

უპირველეს ყოვლისა, ჩვენკენ დინჯად გამოემართა ფრიად სერიოზული გამომეტყველებისა და თვალთა მზერის ფილოსოფიური იერით აღსავსე კუდბამბურა უზარმაზარი ნაგაზი. იქვე მანქანასთან უხმოდ დაჯდა და ჭკვიანი თვალებით შემოგვაცქერდა – აბა, რას იზამენო. რა თქმა უნდა, მანქანიდან გადასვლა ფიქრადაც არ გაგვივლია, პირიქით – ყველანი, რაც შეიძლებოდა შიგნით შევიყუეთ: იქნება ხუმრობის გუნებაზეა და ღია ფანჯარაში შემოხტომა განიზრახოს?

– მარკოზ, გადადი, ბიჭო, ხელი ჩამოართვი, ხომ იცი, გამარჯობა პირველად სტუმარმა უნდა თქვას! – მოატრიალა თავი უკან შაქრომ.

– მე უკეთესს გეტყვი: მიდი, დაიძინე და შენს ხვრინვას რას გაუძლებს, იმ წამსვე გაგვეცლება, – უპასუხა მარკოზმა.

– ერთს კიდევ რომ იხუმრებდე, მარკოზ, ძაღლისთვის ისიც საკმარისი იქნება, – ამბობს მოსე.

– გაწყდა ხალხი? მიდი, დააპიპინე! – ველარ მოითმინა სიკომ.

სიგნალის ხმაზე ოთახიდან განიერ აივანზე გამოვიდა ახალგაზრდა, მაღალი ქალი, მის უკან გამოტანტალდა ოთხი-ხუთი წლის პერანგისამარა ბიჭი, რომელიც დედას ძალიან ჰგავდა. ბიჭმა დაავლო ხელი წიკებლას და ნაგაზს გამოუდგა, რომელმაც, კუდამოძუებულმა, გაქცევით უშველა თავს. ჯიბეში ხელი ჩაიფყავი და გოლიათისგან ჩვენს მშველელ პატარა სამსონს ერთი მუჭა მწვანე რკობი გაეუწოდე.

ქალმა შინ მიგვიპატიჟა, კაცები სამუშაოდან მალე დაბრუნდებიანო. შაქრო და მარკოზი მაშინვე ნარდს ჩაუჯდნენ.

ნახევარ საათში მეორე “გაზ-69” მოვიდა და ჩვენს მანქანას გვერდზე მიუდგა. გადმოვიდნენ ხუთნი: ოთხი გეოლოგი, მათ შორის – ერთი ქალიშვილი, და მძღოლი.

ხელის ჩამორთმევა, გაცნობა, საუბარი, სიცილი...

მათი მანქანა მაშინვე გაბრუნდა და ოც წუთში უკანვე მოგრიალდა. იქიდან გადმოვიდეს რამდენიმე ყუთი და ელდა მეცა: ოცდაათი თუ კიდევ მეტი ბოთლი ღვინო... რა დალევეს ამდენს?!

ერთმა საათმა სწრაფად გაიარა საუბარში. ვილაპარაკეთ მუშაობაზე, მოვიგონეთ საერთო ნაცნობები. ამასობაში ორმა ქალმა სწრაფად მოამზადა ყველაფერი და მალე მივუსხედით გეოლოგიურ სუფრას. იცით, რა არის გეოლოგიური სუფრა? აქ ყველაფერი უპრეტენზიოა: ვერ ნახავთ ორ ერთნაირ თეფშს ან კოვზს, რადგან სახლიდან წამოსვლისას ყველას თავთავისი მოაქვს; ვერც რთული რეცეპტებით მომზადებულ კერძებს – აქ არის ბლომად მოხარშული კარტოფილი, კიტრისა და პომიდორის სალათა ზედ დაჭრილი ხახვით, მწვანილით, ყველი, სუფრის თეთრი ღვინო და წაგრძელებული, გატკეცილი შოთის პურები, რომლებიც ხმლებს ჰგვანან. ამათ დაემატა ჩვენი ორი ბოთლი არაყი და ცოტა ხნის შემდეგ – ახლად მოხარშული ცხვრის ხორცი.

მადას არაგინ უჩიოდა. ჯერ ჩამოატარეს ჭიქით არაყი. არაყს ვერ ვსვამ-მეთქი, დავაჯერე ხალხი. თამადად წამოაყენეს სიკოს კანდიდატურა, როგორც ასაკით ყველაზე უფროსის, მაგრამ მან იუარა. ბოლოს, ისევ მასპინძელთაგან დაგვიდგა თამადად კოტე – ზორბა, ჯერ კიდევ საკმაოდ ახალგაზრდა კაცი, ჩვენი მშველელი პატარა გმირის მამა. ჭიქები სულ ხუთი თუ ექვსი აღმოჩნდა. თამადამ სწრაფად გამონახა გამოსავალი: ყველას თითო ბოთლი ღვინო დაუდგა წინ.

– ყველამ, როგორც ესიამოვნება, ისე დალიოს... პირდაპირ ბოთლიდან მიირთვიო, მაგრამ ერთი პირობით: ოთხ სადღეგრძელოში თითო ბოთლი უნდა გამოიცალოს! – გამოაცხადა კოტემ.

– არა, მე ვერ დავლეგ, – შევიცხადე მე, – საერთოდ არ ვსვამ, სინდისს გეფიცებით!

მაშინვე აქეთ-იქიდან შემომიტიეს:

– რას ამბობ, კაცო, ავად ხომ არ ხარ?... დალიე, დალიე, რას ინაზები, მირონივით ღვინოა, არ გაწყენს...

– მე ნახევარი კუჭი ამომატრეს და მაინც ვსვამ!

– ნელ-ნელა წრუპე, ნელ-ნელა, არც ჩვენ ვართ, კაცო, ლოთები! რამდენიც შეგიძლია, იმდენი დალიე!

– სირცხვილია, ქალებთან თავს იჭრი?

– ქართველი არ ხარ? ჩვენი საქართველოს, ჩვენი მშობლების, მეგობრების სადღეგრძელო არ გინდა დალიო?

არ მიშველა ხვეწნა-მუდარამ, სიკო გულოვანიც კი მარწმუნებდა:

– ამდენი ხალხი გეხვეწება, პატივი უნდა სცე... მეც კი არ მიხარია ახლა ღვინის სმა, მარა ჩემს სიამოვნებას კი არ ვუყურებ... მიდი, ნუ გეშინია, არც ღვინო ჩანს ცუდი.

უსერხულ მდგომარეობაში ჩავვარდი – ყველა მე მომჩერებოდა. გავსინჯე ღვინო – სიმაგრე თითქმის ვერ შევატყვე, გემოთიც არა უშავდა. ბოლოს ჩაიქინე ხელი: ეს მსუბუქი ღვინო ხო მარ მომკლავს-მეთქი, მოვწრუპავ ნელ-ნელა, როგორი შეძლებაც მექნება.

ოთხი სადღეგრძელო სწრაფად ითქვა – ხალხი მოწყურებული იყო. დაიწყეს ბოთლების გადმოპირქვაება იმის ნიშნად, რომ ბოლომდე გამოცლილები იყო.

– პატივცემულო თამადა, – წამოდგა ამ დროს მთასავით ახალგაზრდა, ჩვენი მასპინძლების შოფერი, – კაცო, რანაირი თამადა ხარ, ხალხი ფხიზელია.

– ჰო, კარგი თამადა მაშინ იქნებოდა, – თქვა მოსემ, – ყველანი რომ მაგრად დავმთვრალიყავით და ერთმანეთისთვის ცხვირ-პირი დაგვემტვრია... აი, ეს იქნებოდა ნამდვილი ქეიფი და ნაღდი პატივისცემა!

მარკოზი რაღაც ჭირად ჩემს პირისპირ მოხვდა სუფრაზე. თვალს არ მაცილებდა, ახლა კი წამოხტა და ხელი წაავლო ჩემს ბოთლს:

– ა, ბატონო თამადა, არჩილი არ სვამს და ჩვენი რა ბრალია. შუამდევ არ დაუყვანია, მერე იტრაბახებს, ყველანი დავათვრეთ.

– დალიოს, ბოლომდე დალიოს! – აგუგუნდა სუფრა.

მოსემ ვითომ დააპირა გამოსარჩლება, მაგრამ ტყუილად დაშვრა. მომაცულებინეს ბოთლი და ღვინოსთან ერთად მეც გაეთავადი. მერე ახალი, სავსე ბოთლები დაგვიდგეს წინ. ამის შემდეგ ყველაფერი აირია ჩემს გონებაში, უცებ მომეკიდა სასმელი. ვეღარ ვარჩევდი – ვინ რას ლაპარაკობდა, რამდენს ვსვამდით... ღვინო წყალივით მირაკრაკებდა ყელში... მაგრამ ის მაინც მახსოვს, ერთხელ მარკოზმა რომ სადღეგრძელო წარმოსთქვა. უფრო სწორედ, ჯერ მე “დამამუშავა”, მერე თვით გატყლარჭული და აბნეულ-დაბნეული სადღეგრძელო მოაყოლა. ყველაფერს დაახლოებით ასეთნაირად ამბობდა (რასაკვირველია, ფრიად მიახლოებით და მოკლედ გადმოვცემ):

– მეგობრებო!.. დიახ... აი, შენ, არჩილ, რომ არ სვამდი... ჰა?... ვითომ არ გვკადრულობ? შეგძლე-ბია სმა, ხომ სვამი... მე ვიცო... ჩვენზე ჭკვიანი გვონია თავი, თუ დიდხანს იცოცხლო გინდა?... ხომ გავიგონია, ყურთან და უფრო ქოთნები ერთად წავალთ საიქიოსო... ჰო... რა მინდოდა მეთქვა?... შენც უნდა მოკვდე, მე, ყველანი... დალიე და გაიხარე..! მაინც ჭები შეგჭამენ საფლაგში... არც ჭკუა გიშველის... დალიე, დალიე, ნუ ინაზები... აქ სტუმარი ხარ ამ ქვეყანაზე, დალიე და ეს შეგრჩება... დრო გაატარე, მეგობრებში მოილხინე... არჩილ, მისმინე... ღვინო, ღვინო!.. აი, რა აძლევს გემოს ცხოვრებაში – პატარა სიხარულს, სიამოვნებას... (ამ დროს მოსემ წამჩურჩულა: “გახსოვს, ო. ჰენრის ერთი გმირი ამბობს, ომარ ხაიამი ნაღდად ღვინის გამსაღებელი ფირმის აგენტიო...”). რაო, ომარ ხაიამიო?... ვენაცვალე სულში! ჰო... სადღეგრძელოს გაუმარჯოს!.. დიახ, ჩვენი პატარა საქართველო აყვავებული თაიფულია... სად ნახავ სხვაგან ასეთ მხიარულ და პურღვინიან ხალხს... საქართველო მეღვინეობის კლასიკური ქვეყანაა!.. არსად არ არის, მთელი მსოფლიო რომ დაიარო, ქართველ ქალებზე ულამაზესი ტურფები!.. (მოსე: “რამდენი ქვეყანა გინახავს?”). ჰო, რას ვამბობდი? კეკლუც საქართველოში გვაქვს ბუნების ისეთი მრავალფეროვნება... თოვლიანი მთები, ზღვა, უდაბნოც კი... ციტრუსები... ღვინო... დიახ, საქართველოში გვაქვს უძველესი კულტურული ტრადიციები, რაინდობის კულტი... შრომაც ვიცით და ღხენაც... (მოსე: “გვეტყობა, აგერ გაიხედ-გამოიხედე, შორს წასვლა არ დაგჭირდება!”). რომ ჩაუფიქრდე, რაოდენი სიბრძნეა ყველაფერში... იშრომე, მერე – ილხინე!.. დაისვენე!.. დიახ, დიდებულია პატარა საქართველო, ერთი ხელის დადება... გრემი, შუამთა... ჩვენი პატარა და ტურფა საქართველო... მე ამ პატარა სასმისით და დიდი გრძნობით მინდა, დავლიო სადღეგრძელო... მე... აი, იმ დიდ გრძნობას გაუმარჯოს... რომელსაც ამ ტკბილ სუფრაზე...

ახმაურებულ ტკბილ სუფრაზე თითქმის არ ისმოდა მარკოზის ლაპარაკი, სახეები დაწითლდნენ, ყველას სურდა, თავისი გულის საღარო გადმოეშალა. მარადიული ძმობის ფიცი, სიცილი...

– აბა ერთი, კარგი ფესსაცმელი ვისა აქვს, იმით დავლიოთ!..

– ყველამ საკუთარიდან დალიოს!..

– მე საზაფხულო, დაჩვრეტილი მაცვია და წვეთიც არ მერგება...

– მე რაღა მეშველება, ჩექმები მაცვია...

– გულს ნუ დასწყვეტ, ცალი ჩექმა ათხოვე, შე კაცო!

– გოგო მოდის მოხვეულში...

– რას შვრები, ბიჭო!..

– დილიხორი მაქვს, ღვინო თავზე დავისხა!..

– მეც დამასხი, მეც!

– ვასოს დაასხით, ვასოს, იქნებ მელოტზე თმა ამოუვიდეს!

– ვიცეკვოთ, ვიცეკვოთ, ტაში, ტაში!.. მაგიდაზე ადი, მაგიდაზე! ნუ გეშინია, თეფშები ალუმინისაა!

– თამადაო ჩანჩალო...!

აირია მონასტერი... თამბაქოს კვამლში სადღაც მიცურავენ სახეები, ბოთლები, კედლები... არეული ხმები, სადღეგრძელოები, სიცილ-ხარხარი, სიმღერა, ძმობა-ამხანაგობის ფიცი... თავი მიბრუნის, ყველაფერი ტრიალებს, თვალები მეღულებს... დროის შეგრძნება დამიჩლუნგდა. კარგა ხანია, სხვებს მოვეშვი და აღარ ვსვამ. მარკოზი აღარაფერს მეუბნება, სრულიად გადავავიწყდი; ხარივით სვამს მოყულებულ ბოთლს. სხვებიც წამდაუწყობი ეწაფებიან, სადღეგრძელოებსა და ბოთლებს აღარ ით-

ვლიან... თვალებს ვხუჭავ, მისუსტებული, მოთენთილი – სადღაც ვვარდები... ვგონებ, ჩავთვლიმე კი-ღეც...

ერთი საათი ვემშვიდობებით მასპინძლებს. ფეხარეულნი, გამოვდივართ სუფთა ჰაერზე. მე მივათ-რიე მოსე თუ მოსემ მიმართია მანქანასთან – ღმერთმა უწყის; უფრო კი, მგონი, ორივემ სიკო მი-ვათრიეთ. მარკოზი ისეთი ხმით ბლაღდა რაღაც სიმღერას საყვარელ დედიკოზე, რომ ალბათ ახლო ტყეში ერთი მგელი ან დათვი აღარ გაჩერებულა. ხელიხელგადაჭლობილი მოიყვანა რამდენიმე კაც-მა, რომლებიც წარმატებით უწყობდნენ ხმას.

სათითაოდ ვემშვიდობებით მასპინძლებს ახლა უკვე მანქანასთან. საბოლოოდ, გულანუყვებულებ-მა, ყველამ ნაზად ვაკოცეთ სველ, გრილ ცხვირში კუდბამბურა ნაგაზს და მანქანაში შევლაგდით.

შაქრომ ძრავა აამუშავა და ფარები ჩართო, მანქანა დაიძრა. მივწექი რაღაცაზე და ძრავის ღუ-ღუნში რბილში, ღრმაში ჩავიძირე. უკანასკნელად გაიფლავა გარემოს აღქმაში მარკოზის ხრინწიანმა სიმღერა-ბღავილმა, აცაბაცად ცდილობდნენ მისთვის მხარის აბმას სიკო, შაქრო და მოსე...

კარი VIII. პროფესორი კვაპატაძე ჩამოდის!

ხმამაღლმა ყაყანმა გამომადგოდა. ძლივს გავახილვე თვალები. წელათრევით გადმოვედი მანქანი-დან და თვალმოჭუტვით მივატყვერდი რუს, თიხიან მიწას – მზით თვალისმომჭრელად განახნახებულ გარემოს თვალი მოვარიდე; ვერც კი გავარჩიე ხეირიანად, სად ვიყავით. თუმცა ეს არც შაქრომ, სი-კომ და მოსემ იცოდნენ, მით უმეტეს, არ იცოდა მარკოზმა – როცა მანქანიდან გადმოვდიოდი, მძი-ნარეს ზევიდან გადავაბიჯე. უხერხულად წოლისგან გააკავებული კისერი და წელი გავავარჯიშე; კარგად მოწყობა მანქანაში შეუძლებელი იყო: მკვეთრად დაფერდებული მანქანა მარცხენა წინა და უკანა თვლებით წყლიან არხშია ჩასული.

მაღე მანქანიდან გამოძვრა თმაბურძენილი, თვალვდასიებული მარკოზიც და ახლა უკვე ოთხ-ნი ჩავცქერით მიწას. წყურვილი მკლავს. არხში რომ წყალი ცოტა უფრო სუფთა იყოს...

მზე საკმაოდ მაღლაა აწეული. ალბათ კაბალის ხეობაში ვართ; ალაზნის ველთან მიახლოებას-თან ერთად, აქ ის თანდათან ფართოვდება. აი იქ კი, მოშორებით, საღაც ტირიფებისა და ვერ-ხეების მწვანე ზოლი გაჭიმულა, კაბალა უნდა მიედინებოდეს.

– რაღა ეშველება ამ საქმეს? – ცდილობს გადმოაპურტყოს გამშრალი პირიდან მარკოზი.

– რა იმედი გაგწყვეტია, შე კაცო, თალგამი მიწაშია და იმას ამოაძრობს ადამიანი, მანქანა კი, ხომ ხედავ, მიწის ზევითაა, – პასუხობს სიკო.

ნახევარი საათის შემდეგ, ტალახში ამოგანგლულები, ვდგავართ მანქანის საფეხურებზე და კა-ბალისკენ მისასვლელ გზას ვეძებთ.

ბანაობისა და მანქანის გარეცხვის შემდეგ ვპოულობთ გზას და გავდივართ ასფალტზე. სიჩქარე მატულობს, ხასიათიც გვიკეთდება და ყველაფერი, ჩვენს თავს წუხელ გადახდენილი, მხოლოდ კო-მედიურ ელფერში გვესახება.

– ჰა, შაქრო, რაო, დაგესიზმრა, თითქოს შინ ვიყავით უკვე მისულები? – იცინის სიკო. – ახლა გადავრჩით და აწი...

– აწი აღარ დაველე, – იმეშუნება შაქრო, – ან დავრჩეთ ხოლმე, რა ძალა გეადგას...

– არა უშავს, მე ვიცი მანქანის მართვა, – აცხადებს მარკოზი. – სამი წელია, წიგნაკი ავიდე.

– ო-ჰო-ჰო, აბა აღარაფერი გვიჭირს! – აწყვეტინებს მოსე. – არხს კიდევ რა უჭირს, მაგრამ რომ გავიღვიძოთ და მთვარეზე აღმოვჩნდეთ?

– ხრამში გადახტომისგან არც ახლა ვიყავით დაზღვეულები, – სიკო ცდილობს, სხვა მხარეს შეატრიალოს საუბარი და ერთგვარად დაიცვას მარკოზი. მარკოზიც იყენებს ამ შესაძლებლობას:

– არჩილ, ნახე, იქ რა გოგო იყო? – მეკითხება.

– ვინ გოგო, ბიჭო? დალიე-დალიეო, რომ მაყუდებდი იმ ლიტრიან ბოთლებს, შენ ძლივს გხედავ-დი ჩემს წინ, ისე ამერია თვალბში ყველაფერი.

– იფ, კარგი გოგო იყო! იმ ბიჭებს რომ მოჰყვა, არ გახსოვს? გეოლოგია. მერე კაბა ეცვა, ხავერ-დის, შინდისფერი.

– იმ გოგოს, ჩემო მარკოზ, ოთხი წლის შვილი ჰყავს, – ვამბობ მარლენის ჯინაზე.

– ვითომ? ჰე-ჰე-ჰე... ეგ ტყუილი ვისთანაც გაგსვლია... – მარლენი ხითხითით ჩამყურებს თვალბ-ში, უნდა ამოიკითხოს, სიმართლეს თუ ვამბობ. – ის პატარა ბიჭი კოტესი არ იყო? კოტესი ცოლიც იქ იყო...

– სწორს ბრძანებ, მაგრამ იმ გოგოს, შენ რომ ამბობ, თბილისში ჰყავს შვილი დატოვებული, – მესმარება მოსე. – გოგო ჰყავს, თუ არ ვცდები, მისი ქმარი კიბერნეტიკის ინსტიტუტში მუშაობს, – უმატებს მეტი დამაჯერებლობისთვის.

მარკოზი ხმას აღარ იღებს. ყველაზე ცუდ გუნებაზე კი მაინც შაქროა, ალბათ ვერ მოუნელებია თავისი საჭესთან ესოდენ ტრაგიკომიკური შედეგით დასრულებული დაძინება.

შინ მისულებს წერილები დაგვხვდა. გაუხდელად, ფეხზე დამდგარნი, ხარბად ვხსნით კონვერტებს. დელაჩემის წერილი მივიღე. იგივეს იწერებოდა, რასაც ჩვეულებრივ: “თავს გაუფრთხილდი, არ გაცივდე, ჭკვიანად იყავი...” და მისთანანი.

– ხალხო! – გამოაცხადა სიკომ, როცა ერთ-ერთ წერილს გაეცნო, – კვაპატაძე ჩამოდის, ორ-სამ დღეში აქ იქნება!..

– ვინ კვაპატაძე, სარდიონი? – იკითხა მარკოზმა. მარკოზს წერილი არ მიუღია, რადგან თავის დროზე დაეზარა დაწერა.

– ჰო, სარდიონ კვაპატაძე, პროფესორი. აქედან წერილი მივწერე და, ხედავთ, მაშინვე მიპასუხა. ზაფხულში შეეთანხმდით, რამდენიმე მარშრუტი ერთად გაგვეკეთებინა, – თქვა სიკომ.

– შეძლებს? კაი სამოცი წლის იქნება, – დაეჭვდა მოსე.

– მთაში, რასაკვირველია, გაუჭირდება... ჩვენ ნამეტანს კი არ შევაწუხებთ, გავივლით-გამოვივლით უფრო ადვილ მარშრუტებზე. ახლა ერთი პრობლემა უნდა გადავჭრათ: რა ვაჭამოთ პატივისცემ სტუმარს და სად დავაძინოთ? – დაფიქრდა სიკო. – მოხუცებული კაცია, რაც არ უნდა იყოს. რბილ ლოგინს ბატონი ალექსანდრე მოგვიხეივებს. საჭმელი? პროფესორ კაცს მარტო პომიდორის სალათს და პურს ხომ არ შეეთავაზებთ.

– ბატონო სიკო, როგორც ჩანს, კვაპატაძე ხვალ-ზევ ჩამოვა და ჩვენი მარშრუტები რომ გაუკეთებელი დაგვრჩება? – გამოთქვა მოსახერხებელი მოსემ. – სამი, უფრო სწორედ, ორნახევარი მარშრუტი გვაქვს კიდევ აქ გასაფლელი. ჯერ ადრეა, დღესვე შეგვიძლია, გუშინ დაწყებული მარშრუტი მაინც დავამთავროთ ბაისუბნის ქედზე. შაქრო კი მანამდე ლაგოდების ბაზარში სანოვაგეს იყიდის.

– კარგი აზრია, – მოუწონა სიკომ, – შაქრო, კარგი ხორცი იყიდე, ხილი, ყურძენი... ცხვრის ხორცი არ გინდა, საქონლის იყიდე, კვაპატაძეს უფრო მოეწონება; იცოდე, მჭლე აარჩიე.

– მარკოზი წამომყვეს, – თქვა შაქრომ, – ორივენი უკეთესად ავარჩევთ. ბენზინის ტალონებიც მომეცით.

ერთი საათის შემდეგ შევუდექით შეწყვეტილი მარშრუტის გაგრძელებას იმ ადგილიდან, სადაც ბაისუბნის ქედს ყვარელი-ლაგოდების საავტომობილო გზა კვეთს, შაქრო და მარკოზი კი აქედან ლაგოდებისკენ წავიდნენ მანქანით.

სიკო, მოსე და მე მივუყვებით ბილიკს ჩრდილოეთისკენ; მივუყვებით კი არა – მივჩანჩალებთ. ნახევარ საათში გული ამოგვივარდა სამივეს, ალბათ გუშინდელი დროსტარება იჩენს თავს. მივხსენით ერთი მუხის ჩრდილში, სულს ძლივს ვითქვამთ. ვსხედვართ და ადგომა აღარ გვინდა... თან სალაპარაკო თემაც ადვილად მოგებნეთ: პროფესორ კვაპატაძის სტუმრობა და მასთან დაკავშირებული საკითხები. შემდეგ – ისევ ბილიკი; ხან – მზიანი, ხან – შგების მომგვრელი ჩრდილით დაფარული. კიდევ კარგი, სუსტი ნიაგი ჰქრის, თორემ მთლად გავსაგათდებოდით.

ერთი საათი მივდივართ – მივზოზინობთ აღმართში, ძლივს ვადგამთ ფეხებს და ცხვირსახოცებით ვიმშრალავთ აალებულ სახეებს. ისევ ვსხდებით ხის ძირში... თვალები გველულება, მთელი სხეული მოშვებულ-მოთენთილია... ასე გადის ერთი საათი. სიკო ბრძნულ გადაწყვეტილებას იღებს: დღევანდელი მარშრუტიდან ხეირიანი არაფერი გამოვა, ჯობს, შინ დავბრუნდეთო. გადავუხვიეთ მარჯვნივ ბილიკზე, რომელიც ჩაგვიყვანს სოფელ ხიზაბავრაში, სადაც შაქრომ უნდა მოგვაკითხოს მანქანით. გახვალისდით, საკმაოდ სწრაფად მივდივართ – ცნობილია: ცხენი რომ თავლისკენ იზამს პირს, მათრახი აღარ სჭირდება. ისე კი, სიმართლე რომ ითქვას, ასეთ ბილიკზე დინჯად ვერც ივლი – ტყიანი ფერდი მეტად ციცაბოა და ბილიკიც პირდაპირ ჩადის. დაღმართში ჯერ სწრაფად ჩავდივართ, შემდეგ უფრო ვუმატებთ სიჩქარეს და ნახევრად ჩავრბივართ, ბოლოს კი – ჩავრბივართ, ჩავრბივართ, ჩავრბივართ... სისწრაფე მატულობს, ვცდილობთ, დავამუხრუჭოთ, მაგრამ სულ უფრო შეუჩერებლად მივგორავთ თავდაღმართში... ერთი მოსახვევი, მეორე... აქ საჭიროა დიდი მოქნილობა და სწრაფი რეაქცია; იფ, რა კარგია, თითქოს სლალომის ტრასაზე მიჰქრინხარ!.. გვერდზე ელავენ ხეები, ქვები, ძირკვები... აგერ სიკომ ფესვს გამოსდო ფეხი, გადატრიალდა, დაგორდა, უკან მიმქროლაგი მოსე ბილიარდის ბურთივით შეასკდა, შეჰკვივლა – ორივენი განერთხნენ მიწაზე... გაივივით ვხარხარებ, ვცდილობ, მათ გვერდი ავუქციო, გადავდივარ ბილიკიდან... ფეხი მისხლტება და... დედამიწა ამოყირავდა, ხეები დატრიალდნენ, ქვასავით მიწას დავეხვეყვე, ყირას გადავვი და ხოხილით ჩავიტანე ქვევით კარგა დიდ მანძილზე ხმელი ფოთლები და მიწა... მტვრის ბუღმა ამივსო ცხვირ-პირი და თვალები...

წამოვჯექი და მესმის სიკოსა და მოსეს სიცილი: მიწაზე სხედან, ფერდებს ისინჯავენ, თან მე მიყურებენ და ისე იკრიჭებიან. მეც სიმწრით ვიღიმები, ძლივს ვღებები ფეხზე და კოჭლობით ვღებამ რამდენიმე ნაბიჯს, ვამოწმებ ყოველ სახსარს... შემდეგ ყველანი ვფორთხავთ ბუნქებში და ნელ-ნელა ვავსებთ დაცარიელებულ ზურგჩანთებს.

ისევ ბილიკზე გაგლივართ. ფეხი მსუბუქად მაქვს ნაღრძობი, სიკოც კოჭლობით მოდის, მოსეს ლოყაზე კი კარგა დიდზე ხმელ ტოტს ნაფხაჭნი დაუტოვებია. ამ გიჟურ რბოლაში გაყოფილიანდით, მოგვეწურდა. გავაკებაზე ლელვის ხე შემოგვხვდა, წვრილი, მომჟავო ნაყოფი ესხა. იქვე ახლოს მოხუცი ნაჯახს აჩაკუნებდა. გამოგველაპარაკა, ჩამოვჯექით მორზე, დავისვენეთ. შემდეგ მოხუცის მორი მე და მოსემ გავიდეთ მხარზე და ლაპარაკ-ლაპარაკით ბალახებში მივაბიჯებთ სოფლისკენ.

ხიზაბავრა ხენილშია ჩაფლული, გარშემო გორაკთა კალთებიც მწვანედ ხასხასებს; მხოლოდ სათიბი, რომელზედაც ჩვენი ბილიკი გადის, რუხ-ყვითლად ბზინავს მზეზე. შემდეგ თამბაქოს სურნელოვან პლანტაციას ვკვეთთ. საცაბა სექტემბერიც მიიღევა და ნუთუ ასეთი, თითქმის ზაფხულივით მცხუნვარე მზე იცის აქეთ?

სოფელი ხიზაბავრა თურმე მესხეთშიც ყოფილა. 1918 წელს თურქების შემოსევისას სოფლის ნაწილი აიყარა და კახეთს გადავიდა. აი, სწორედ აქ ჩასახლებულან, სოფელს კი მშობლიური სოფლის სახელი დაარქვეს...

მიუტანეთ მორი ჭიშკრამდე სიტყვაწყლიან მოხუცს; არც სხვა მხრივ გამოდგა ძუნწი.

– აბა, შეიღებო, შემობრძანდით, თითო ჭიქა ღვინო ავწიოთ...

ღვინის ხსენებაზე ყველას ძმარი მოგვადგა პირში, საჩქაროდ გამოვემშვიდობეთ მოხუცს, რომელიც გაკვირვებული უყურებდა ჩვენს “გაქცევას” – წესიერად შინ შეპატიჟებაც არ ვაცალეთ.

გამოვედით სოფლის მთავარ ქუჩაზე – სწორედ იმ ადგილას, სადაც წყალსადენის მილიდან წყალი გადმოსჩქეფდა და ქალები შეგროვილიყვნენ წყლის ასაღებად და სასაუბროდ. გავიჭყიპეთ ცივი, გემრიელი წყლის სმით, წელამდე დავიბანეთ კიდევ, მანქანის მოსვლას კი საშველი არ დაადგა.

მაგრამ, როცა მანქანა მოგრიადლა – პირი დავადეთ!

ჩვენი დასაჯდომი ადგილი თითქმის არც იყო დარჩენილი, ისე გამოეტანათ სურსათ-სანოვაგით მთელი მანქანა. ორი გაძეპილი ზურგჩანთა, სამი გატენილი ხელჩანთა, პარკები, ბოთლებით საგსე ყუთი, უამრავი ქალაღლებსა და გაზეთებში გახვეული რაღაც-რაღაცეები...

– არა, მე არაფერ შუაში ვარ, – სიცილით თავი იმართლა შაქრომ, – მარკოზმა ივაჟკაცა.

ოცდაათი შოთის პურიც იდო ზევიდან (თუმცა სულ ათიოდ წუთში ოცდაექვსამდე დავიყვანეთ), აგრეთვე ვეიდათ: ორმოცდაათი კვერცხი, სამი კილოგრამი ხორცი, ხუთი მოფართხალე თეთრი ქათამი, ოცი ცალი ნაირ-ნაირი თევზის კონსერვი (ორი იქვე გავხსენით), ოცი ბოთლი “ბორჯომი”, ყველი, ყურძენი, ხილი და კიდევ რომელი ერთი ჩამოვთვალო (ხილი და ყურძენი დიხაც რომ მაშინვე თითქმის გავანახევრეთ)...

– რას შევბით, ხალხო! – როცა დანაყრდა, მაშინ აყვირდა სიკო, – კვაპატაძეს რაღა ვაჭამოთ, თუ ჩვენ შევსანსლეთ აქ ყველაფერი!

– თუ გვესტუმრა უკვე და გვიცდის ბაზაში კბილების კაწკაწით! – გაიცინა მოსემ.

საშიში არაფერი იყო, შინ არავინ დაგვხვდა. დავტრიალდით და მოვემზადეთ სტუმრის მისადებად: მარკოზმა სოფელში კარგი ღვინო იშოვა ბიძია ალექსანდრეს დახმარებით; გავაუტეთ ერთი ქათამი და ბიძია ალექსანდრეს მეუღლეს, დეიდა მაროს, ჩავაბარეთ საბოლოოდ მოსამზადებლად; მშრალად მოვხარშეთ ხბოს ხორცი... გვიან ღამემდე ვსაქმიანობდით ყველანი (თუ მარკოზისა და შაქროს ნარდის ქვების გაუთავებელ რახარუხსაც საქმიანობად ჩავთვლით)...

ღლით გვიან გაგვეღვიძა. საჩქაროდ ავდექით, თუმცა სტუმრები შუადღეზე ადრე მაინც ვერ ჩამოაღწევდნენ თბილისიდან. საუზმის შემდეგ მარკოზმა და შაქრომ მაშინვე ნარდს მიაშურეს, სიკო და მოსე გეოლოგიური რღიურების დამუშავებას ჩაუჯდნენ, მე კი ქანთა ნიმუშები მომყავდა წესრიგში.

ღღე ისე მიიწურა, არავინ გამოჩენილა. მხოლოდ მაშინ დავსხედით საჭმელად, როცა სრულიად დაბნელდა და სტუმრების ჩამოსვლის იმედი გადაგვეწურა – სადილიც ის იყო ჩვენი და ვახშამიც.

ისევ – დილა, კვლავ – ლოდინი. საქმეები მოვათავეთ და ახლა წერილების წერას შევუდექით, შემდეგ წიგნები გადავშალეთ (მარკოზი და შაქრო ისევ ნარდს შლიდნენ). ეს ღღეც ლოდინში დავვაღამდა. შეგვეშინდა, ორი დღის გაკეთებული კერძები არ გაფუჭებულიყო და გეახელით, ამგვარად, “გავასაღეთ” ჩახოხბილიცა და ხბოს ხორციც. მეტისმეტად დამწიფებული ხილიც ამოვარჩიეთ და ზედ დავაყოფეთ.

მესამე ღღეს ახალი ქათამი გაიპუტა, შაქრო და მარკოზი ერთ საათს მოცდნენ ნარდის თამაშს და ლავოდების ბაზარი მონახულეს. დანარჩენები უკვე წიგნებს ვუცვლიდით ერთმანეთს და ლოგინებზე ვიცვლიდით გვერდს. დროდადრო შორს, კავკასიონის გადაჭიმულ ქედს გავხედავდით, ჯვარისთავს ვუყურებდით და თვალებს ვასვენებდით. ჩვენი ტრანზისტორული მიმღები რომ არ გვექონოდა, საღამოს არაფერი გვეშველებოდა, რადგან ბანქოცა და ჭადრაკიც ჭირივით მოგვებურდა (მოსეს ბანქოში მარცხი ჩვენი ჭურჭლის მთელი კვირის განმავლობაში რეცხვად დაუჯდა).

ერთ მშვენიერ ღღეს კი, როცა უკვე ყველაზე ნაკლებ მოველოდით, ჩვენს ჭიშკარს მოადგა მწვანე ფერის მანქანა “გაზ-69” და იქიდან გადმობრძანდნენ ნანატრი ძვირფასი სტუმრები: პროფესორი

სარდიონ კვაპატაძე, შოფერი რობინზონა და სათვალისანი ახალგაზრდა – ასპირანტი ჯანსუღ კელ-კელაშვილი.

ამ დროისთვის ცოცხალი მხოლოდ ერთი ქათამი იყო დარჩენილი. მაშინვე გააგდებინეს, საწყალს, თავი.

K

კარი IX. დილაბინდში სიკომ წამოგვყარა ზეზე...

სალამოს მიეუჯექით “საბანკეტო” მაგიდას. პროფესორი სარდიონ კვაპატაძე სუფრისა და ჩვენი ყურადღების ცენტრშია. შევეყურებთ მის მელოტ, პრიალა თავს, თაფლისფერ წვრილ თვალებს და ჭაღარა შეკრეჭილ უღვაშებს, რომლის ქვევითაც ელაგენ ახალგაზრდულად ჯანმრთელი კბილები და ძირფესვიანად ასუფთავებენ ქათმის ბარკალს; ამასთანავე, პროფესორი ხალისიანად გვიყვება თბილისურ ახალ ამბებს. გამხდარი, ჩია ასპირანტი ჯანსუღ კელაშვილი ჭუტავს ახლომხედველ თვალებს და ხმადაბლა ესაუბრება მის გვერდით მჯდომ მოსეს. ერთად დაუმთავრებიათ უნივერსიტეტი და სათქმელიც ბევრი დაუგროვდათ – კარგა ხანია, ერთმანეთი არ უნახავთ. ქერა, ჭორფლიანი შოფერი რობინზონა გულმოდგინედ აკნატუნებს ქათმის ძვლებს და წამდაუწუმ ისხამს ღვინოს, არც კი უცდის, სანამ თამადა სიკო გულოვანი მორიგ სადღეგრძელოს წარმოსთქვამდეს. სიკო ისეა გატაცებული სარდიონთან გეოლოგიურ თემებზე საუბრით, რომ სადღეგრძელო კი არა, ჭამაც არ ახსენდება – ერთი საწყალი ბოლოკი მთელი საათია ხელში უჭირავს და ვერ მოუხერხებია მისი პირში ჩადება.

– სიკო, ნახეთ აზერბაიჯანლების მიერ შედგენილი რუკა? – ეკითხება კვაპატაძე, – განჯის პლანშეტი გამოუციათ ორასიათასიანი მასშტაბის; აქ მაქვს, სპეციალურად წამოვიღე. საინტერესოა, რომ დაშიუხის ქედზე ბიურგიუთუს მთაზე გამოყოფილი აქვთ ზედაიურული კირქვები; სხვათა შორის, დედოფლისწყაროს მასივის გაგრძელებაზე.

– საინტერესო იქნებოდა ნახვა და შედარება, – თავს უქნევს სიკო. – კირქვები რა ხასიათისაა, მასიურია თუ ბრეჩიული?

– ვნახოთ, ხომ? წავიდეთ, გავიაროთ, გზაში ცოტა წავინადიროთ კიდევ. თქვენ თუ მოინადირეთ რამე?.. ღორებზე თუ იყავით? კურდღელი კი იქნება აუცილებლად...

ამგვარად მიმდინარეობს მთელი საუბარი. ორნი ლაპარაკობენ, დანარჩენები ვუსმენთ ან ხმადაბლა თუ გადაგულაპარაკებთ ერთმანეთს. ჩემთვის ცხადი ხდება, რომ ბატონი პროფესორი ახალგაზრდულადაა გატაცებული გეოლოგიით და... ნადირობით! ძლიერ გაუკვირდა, როცა შეიტყო, რომ ჩვენს რაციონში ნანადირევი ჯერ სრულებით არ ყოფილა. რა უნდა გვეთქვა? მთელი ჩვენი “ნადირობა” იმით ამოიწურა, რომ ერთხელ მარკოზმა ბუჩქებზე მჯდარ შაშვს ესროლა რატომღაც და იმასაც დააცილა.

– ჰო, იქ, ტყეში, ვერაფერი მოკალით?.. ლიასის ფიქლები?.. დიაბაზი ფენობრივადაა თუ კვეთს შემცველ ქანებს?.. ალპურ ზოლში როგორ და შურთხი არ შეგხვედრიათ?.. არა?.. ჯიხვები თუ ნახეთ?.. ჰო, ჯიხვებზე ნადირობა აკრძალულია... დათვიც იქნება და მგელიც, აბა!.. ქვედა ლიასური ფიქლები შეიძლება იყოს წყალგამყოფს ცოტა სამხრეთით...

გადაწყდა, რომ ბიურგიუთუს კირქვების გამოსავალი უნდა გვენახა აჯინოურის წინამთებში, აზერბაიჯანში.

– ბატონო სარდიონ, რა გზით წავალთ? – დაინტერესდა რობინზონა.

– ლაგოდეხიდან საინგილოზე გავივლით – ზაქათალა, ბელაქანი... შემდეგ კახამდე არ მივალთ, სამხრეთით გადავუხვევთ. იქიდან გამოვბრუნდებით და გარე კახეთის ჭრილებზე ვიმუშავებთ. ეჰ, ნეტა ძადლი წამომეყვანა... ლიცენზიები მაქვს წამოდებული – ოც კაკაბზე და ხუთ კურდღელზე; ნაცნობმა მიშოვა მონადირეთა კავშირში. მწყერიც იქნება დარჩენილი, სულ არ გადაფრინდებოდა...

* * *

დილაბინდში სიკომ წამოგვყარა ზეზე:

– აბა ჰე, დროზე, დროზე, შორი გზა გვაქვს გასავლელი!

ერთ საათში ყველაფერი მზად იყო ჩვენს გასამგზავრებლად. დღეიდან სადაც დაგვიღამდებოდა, იქ გაგვითენდებოდა, ჰოდა, როცა ჩვენი ბარგის დატვირთვის შემდგომ სახელდახელო საუზმისთვის მივუსხედით მაგიდას, აღმოჩნდა, რომ ერთი კაცი სრულიად გადაგვაგვიწყდა – ბატონი პროფესორი არსად ჩანდა! აღექსანდრე ბიძიამ პირველ სართულზე, ერთ ოთახში საგანგებოდ რბილ საწოლზე გაუშალა ლოგინი.

– მარკოზ, ჩაირბინე ქვევით, კვაპატაძეს უთხარი, მობრძანდეს, – სთხოვა სიკომ, – საუზმე მზად გახლავთ-თქო.

მარკოზი ერთ წუთში ამობრუნდა:

– ბატონო სიკო, კვაპატაძეს სძინავს. ბიჭებო, როგორ უსტვენს ცხვირით...

სიკოს სერიოზულმა გამომხედვამ დააჭკნო მარკოზის ის-ის იყო დაწვებული იმპროვიზაცია.

– მერე, ვერ გააღვიძე?

– რა ჩემი ტოლია, ბატონო სიკო, ვერ ვიზამდი მაგას... – ხელები გაშალა მარკოზმა.

– ე-ე-ე, შე გლახაკო! – სიკო გულფანის წამოღება და რიხიანად ჩაუყვია კიბეს.

ჩვენ, მშვიდრები, გაშლილ სუფრასთან დავრჩით; ჭამის დაწვება უხერხული იყო, მაგრამ ვერ გავუძელით ცდუნებას და ბიჭებმა აქა-იქ თითქოს სხვათა შორის ზოგმა ლავაშს წაატეხა ყუა, ზოგმა პომიდორს გაუსინჯა გემო...პიბებზე გაისმა ამომავალი სიკოს ფეხის ხმა და ყველამ საჩქაროდ გადავყვალაპეთ ნახევრად დაღეჭილი ლუქები. დაღვრემილი სიკო უხმოდ დაჯდა სკამზე, ჩვენ არაფერი გვიკითხავს.

ვსხედვართ ასე, ნერწყვს ვყლაპავთ, არც საუბრის ხასიათზე ვართ – გეშია. ნახევარ საათში მარკოზი ისევ ჩავიდა ქვევით და ახალი ამბავი ამოგვიტანა:

– კვაპატაძე მეორე გვერდზე გადაბრუნდა!..

ნელ-ნელა ამოვიდგით ენა, ავლაპარაკდით ამაზე, იმაზე... სიკო უფრო და უფრო იღუშება, ჩუმად ზის, მხოლოდ შიგადაშიგ ეუბნება მარკოზს:

– თუ კაცი ხარ, ერთხელაც ჩაირბინე... – და საათს დასცქერის.

მარკოზიც დაუზარებლად ჩარბის-ამორბის კიბეზე და ყოველ ახლად გამოჩენისას ახალ-ახალ “რელაციას” ვეთავაზობს:

– სარდიონმა, მაღლობა უფალს, ხვრინვის შეწყვეტა ინება...

– პატივცემულმა პროფესორმა, როგორც იქნა, ინება თვალების გახელა...

– კვაპატაძე ჭერზე ლაქებს მეცნიერულად სწავლობს... აქ მეტისმეტად ხომ არ ხმაურობდით, ძილი ხომ არ დაუფრთხეთ?..

– გაიზმორა, მერე საბანი გადაიძრო და ფეხით ფეხი მოიფხანა...

– ლოგინზე ზის და ცალი ფეხით შინიდან წამოღებულ ფლოსტებს ეძებს...

– პირს იბანს. შემომჩივლა, აქ ძალიან რბილი წყალი ყოფილა და საპონი ვერაფრით ჩამოვიბანელო...

– პირს იპარსავს. სავარცხელი მთხოვა, ალბათ უღვაშებს დაივარცხნის...

როგორც იქნა, ველირსეთ: პროფესორი კვაპატაძის ბრწყინვალე პერსონა საკუთრივ ამოგვეცხადა – პრიალა მელოტი, მხიარული თვალებით, ოდეკოლონის მძაფრი სუნითა და ახალთახალი რეზინის მაღალყელიანი ჩექმებით. ტანთ ემოსა ძველი პიჯაკი და ასეთივე ხაკისფერი გალიფეს შარვალი – ტყის მცველს ამ მეცხვარეს ჰგავდა.

კარი X. ბელაქანი – ზაქათალა – სარჯის ველი – წყარო

ჩვენს მანქანაში სამნი ვსხედვართ: მე, მარკოზი და შაქრო. მეორე მანქანაში, რომელსაც რბილი სკამები აქვს, დანარჩენები გაჭირვებით მოთავსდნენ, სამაგიეროდ, ჩვენს მანქანაშია მთელი ბარგი-ბარხანა.

ლაგოდები, შემდეგ – სოფელი ცოდნა და მივადექით მდინარე მაწიმისწყალს. მაწიმი ჯერ ჩვენმა მანქანამ გაფონა, შემდეგ კი უკან მომავალიც გადმოძვრა.

საინგილოში ვართ. ირგვლივ ჩვეული ხედებია. აქეთ-იქიდან ჩამწკრივებული უზარმაზარი კაკლის ხეები ჩრდილავენ ასფალტიან გზას, რომელიც ზედ კავკასიონის მთისძირს მიუყვება: მარცხნივ, თითქმის უშუალოდ გზის კიდიდან, რცხილის, წიფლის, მუხის ხეებით შემოსილი ფერდობი იწყება; მარჯვნივ – ალაზნის ველი გადაჭიმულა აქა-იქ ვერხვის, მუხის, იფნის ჯგუფ-ჯგუფად მდგომი ხეებით. შეიძლება იფიქრო, თითქოს ლაგოდები ჯერ არ გაგვევლოს – ისეთი ნაცნობია ყველაფერი...პერტი კია – უსასრულოდ ბევრ მდინარეზე გადავდივართ. საკმარისია დახედო რუკას და ცხადი ხდება მდინარეთა სიხშირის მიზეზი: დიდი მდინარეები მაწიმისწყალი, ბელაქნისწყალი, კატხისწყალი, თალასწყალი, ქურმუხისწყალი, გიშისწყალი და სხვები – მთებიდან ალაზნის ველზე გამოსვლისას ასმაგად იტოტებიან დელტის მსგავსად.

გავიარეთ ბელაქანი, ზაქათალა. ზაქათალაში მოგვიხდა გადაგვეხვია მთავარი გზიდან; დიდხანს ვიბოლიაღეთ მიხვეულ-მოხვეულ ქუჩებში, სანამ თალაზე ფონს მივადგებოდით. ხიდი წყალს წაუღია. ეს რაა!.. ზაქათალის ქუჩები სავსეა ქვიშის, როჭკანარის, თიხისა და ათასგვარი სხვა, ცოტა ხნის წინ მოვარდნილი ღვარცოფის მიერ მოტანილი, მასალის ფენებით. მრავალი სახლი დანგრეულა, ხეები ძირფესვიანად ამოთხრილა, ასე რომ, იმ დროს საჭირო გამხდარა სამხედრო ნაწილების მოშველიება ხალხის გადასარჩენად. აი, რა ჰქნეს კავკასიონის კალთებზე მოსულმა ხანგრძლივმა წვიმებ-

მა. კაპიტალური ხიდებიც კი მთელი თითქმის არსად შერჩა ამ რაიონს და ამჟამად უწყინარი მდინარეების ფონებზე გავდივართ.

საინტერესოა გარშემო ბუნების ხილვა, მაგრამ მე უფრო მაინტერესებს რომელიმე სოფელში შესვლა, ინგილოებთან გასაუბრება, ინგილოური კილოს მოსმენა, მისი მელოდიის შეცნობა... სამწუხაროდ, მე მარტო არ ვარ წამოსული და ჩემი ნატვრა განუხორციელებელი რჩება.

ზაქათალის შემდეგ გზა ორად იყოფა: ერთი მიდის კახში, მეორე – მარჯვნივ, ალიაბადისკენ. აქ, გზათა გასაყარზე, წამოგორდით ბალახზე ათიოდ წუთით კაკლის ხის სასიამოვნო ჩრდილში და დასვენების შემდეგ გეზი ალიაბადის მიმართულებით ავიდეთ.

ისევ მდინარეები; გზის ორივე მხარეს მუხათა გარინდებული გვარდიული ჯარი საპატიო ყარაულივით ჩამწკრივებულია; წყლისპირებში თმაგაშლილი ტირიფები დახრილან მდინარისკენ და საკუთარ ანარეკლს აკვირდებიან; ტანთეთრი ვერხვები ნელა არხევენ მწვანე, სარჩულის მხრიდან კი – ვერცხლისფერ ფოთლებს...

რაც უფრო აღმოსავლეთით მივიწევთ, ბუნება თანდათან იცვლება: იგრძნობა სარჭისა და აჯინოურის ტრამალების სუნთქვა – სიმწვანე კლებულობს; მას შემდეგ კი, რაც სოფელ დაშიუხთან გადაგვევით მდინარე აგრიჩი და გადავუხვიეთ ასფალტის გზიდან მარჯვნივ, დაშიუხის დაბალი ქედის დამრეც კალთებზე სულ მოყვითალო-რუხი ტონი გაბატონდა, მის მთისპირებში კი – ოქროსფერი.

მტვრიან გზაზე მანქანა რბილად მიიწევა, წინ მიმავალი რობინზონას მანქანისგან დაყენებული ბუნი სუნთქვას გვიკრავს. მალე ის მანქანა სანახევროდ აღებული პურის ყანის პირას ჩერდება, ჩვენი მანქანა მას გვერდზე მიუდგა. გზიდან ორასიოდ მეტრის დაშორებით კომბანინი თუხთუხებს. სარდიონ კვაპატაძემ საჩქაროდ ამოიღო ბუდიდან თოფი, წელზე პატრონტაში შემოირტყა და ყანაში შევიდა. მას გვერდიგვერდ მიჰყვნენ სიკო და მოსე თოფებით. შემდეგ მათი გზები მარაოსებრ გაიშალა; ცოტა ხანში მონადირეებს მიჰყვა მარკოზი, თუმცა მას თოფი არ ჰქონდა.

მზის გავარვარებული თვალის მხურვალეობა აუტანელი გახდა. ბარგით გაჭედილ მანქანაში დაიხუთებოდა კაცი, ისევ გარეთ ყოფნა ვამჯობინე. წელამდე გავშიშვლდი და მანქანის მოკლე ჩრდილში დავჯექი. შაქრო და რობინზონა გარეთ გამოტანულ მანქანების სკამებზე მოკალათდნენ, ჯანსუღ კელკელაშვილი სადღაც დიდი ხნით გადაიკარგა.

ჯანსუღი მაშინ გამოჩნდა, როცა რობინზონამ ის-ის იყო მორიგი შოფრული ამბავი მოათავა – თუ როგორ წავიდა ფულის გასაკეთებლად და როგორ დაიჭირა ავტონისპექტორმა.

– ვერაფერი ვიპოვნე, – შემოგვიჩვენა ჯანსუღმა და ჩემს გვერდით ჩამოჯდა; იქვე მიაგლო წერაქვი.

– რას ეძებდი?

– მე ხერხემლიანთა პალეონტოლოგიაში ვმუშაობ. ძნელია რაიმეს პოვნა, ალბათობა ძლიერ მცირეა; აქ შეიძლება შეგხვდეს სამხრეთის სპილოს, ბიზონის, ბრტყელშუბლა სპილოს, მარტორქას, ხმალეშვა ვეფხვის განამარხებული ძვლები. არ არის გამორიცხული, რომ შედარებით სრული ჩონჩხიც აღმოჩნდეს.

– სპილოს და მარტორქას აქ რა უნდა, – დაეჭვდა შაქრო.

ჯანსუღმა აუხსნა, რომ ამ ადგილებში წინათ სუბტროპიკული და ტროპიკული ჰავა იყო, ცხოვერობდნენ სულ სხვა ცხოველები, ვიდრე ახლა. დროდადრო ზღვა ფარავდა ხმელეთს, შემდეგ უკან იხევდა... რობინზონა და შაქრო როგორც კარგ ზღაპარს, ისე უსმენდნენ ჯანსუღის ნაამბობს – ინტერესით, მაგრამ უნდობლად. მათ ვერ გაეგოთ, ვის რად უნდოდა ახლა იმ გადაშენებული სპილოებისა და ვეფხვების ძვლები?

დროდადრო შორიდან აღწევდა სროლის ხმა. კარგა ხნის შემდეგ სხვადასხვა მხრიდან თითქმის ერთდროულად მოვიდნენ ჩვენი მონადირენი. აღვზნებულებს, ოფლის ნაკადები ჩამოსდიოდათ სახეზე; სულმოუთქმელად გამოსცაღეს რაც კი წყლის მარაგი გქონდა დარჩენილი მათარებში. კვაპატაძეს ორი მწყერი ჰქონდა ჩამოკონწიალებული ქამარზე, მოსემ ერთი მწყერი ამოიღო ჯიბიდან, სიკო კი ხელცარიელი მობრძანდა.

ცოტა წავიხემსეთ. მონადირეები ჰყვებოდნენ მათი გმირული შემართების ამბებს. ყველაზე მეტს კვაპატაძე ლაპარაკობდა, გახარებული იყო, რომ სხვებზე მეტი ნადავლი ჰქონდა, თუმცა ვაზნები კი ბლომად დაეწვა. მარკოზი აჰყვა ლაპარაკში, თითქოს მასაც ენადიროს.

– აქეთ დამფრთხალია მწყერი, – ამბობს კვაპატაძე, – ხალხი მიდი-მოდის, მოსავალს იღებენ. უფრო შორს უნდა წავიდეთ, აი, იქით, მშრალი ხევი და მის ნაპირზე ძეძვის ბუჩქები რომ ჩანს, იქ გააჩერეთ მანქანები; ჩვენ ასე ყანა-ყანა გავუყვებით და იქ გამოვალთ.

სიკომ და კვაპატაძემ ისევ დაიჭირეს თოფები ხელში, მარკოზიც წამოღდა ფეხზე. მოსემ უარი განაცხადა შემდგომ ნადირობაზე და თავისი თოფი გახარებულ შაქროს გადასცა.

– აბა ერთი ვსინჯო, რა ხილია! – ჩაიღიმა ფართო უღვაშებში შაქრომ და ათიოდე ვაზნა ჩაიყარა ჯიბეში. – ჯარში რო ვიყავი, მას მერე თოფი ხელში არა მჭერია, ნადირობით კი არასდროს მინადირნია.

– ნუ გეშინია, – გაამხნევა მოსემ, – ახალბედას ბედი სწყალობს.

მონადირეები წავიდნენ, დარჩენილებმა ყველაფერი ავალაგეთ და გავემგზავრეთ დათქმული ადგილისკენ. წინ რობინზონას მანქანა გაეშვიტო, უკანას კი მოსე მართავდა.

მივედით პატარა ხევამდე, რომელშიც ცოტაოდენი მღვრიე წყალი მოდიოდა.

ფერგადასულ ბალახზე კოტრიალისგან გვერდები გვეტკინა, როცა, როგორც იქნა, მონადირეები ისევ გამოჩნდნენ. ჯერ სიკო და კვაპატაძე მოვიდნენ, ხვნეშით დასხდნენ ბალახზე; სიკოს ორი მწყერი მოეკლა, ბატონ სარდიონს – ერთი.

– აღარაა მწყერი... რამდენი ვიარე, კაცო, და მხოლოდ ორჯერ ამიფრინდა, ისიც შორს, – თქვა კვაპატაძემ და ცხვირსახოცი მოისვა გაოფლილ სახეზე.

– ძაღლი უნდა გყავდე, ძაღლი, ისე არაფერი გამოვა, – სიკო, როგორც ჩანს, ამჯერად კმაყოფილი იყო – კვაპატაძეს აჯობა. – წასვლის დროა, ბიჭები რომ არ ჩანან? ბათქაბუთქი ბევრი მესმობა, ტყუილად დაწვავდა წამალს.

შაქრო და მარკოზი მოულოდნელად წამოგვადგნენ თავზე, იმ მხრიდან, სულ რომ არ ველოდით. სიკომ და ბატონმა სარდიონმა პირები დაადეს – მარკოზმა ოთხი მწყერი დადო ბალახზე, მორცხვად მდიმარე შაქრომ კი ჯიბიდან კიდევ სამი ცალი ამოიღო.

კვაპატაძე მაშინვე ჯეელივით წამოხტა ფეხზე:

– ყოჩაღ, ყოჩაღ!.. შვიდი სად შეგხვდა, ბიჭო!

– რვა, ბატონო სარდიონ, ერთი ცოცხალია, ხელში უჭირავს მარკოზს, – ამბობს რობინზონა და ართმევს მარკოზს ფრთამოტეხილ ფრინველს; ფრთხილად უსვამს მოუხეშავ თითებს კოხტად გამოყვანილ, აბრეშუმივით სრიალა კისერზე და ჭრელ თავზე. მობუზულ ერთი მუჭა მწყერს შიშისა და ტკივილისგან აკანკალებს, მრგვალი თვალები თითქოს გაშტერებია.

– თქვი ახლა ნამდვილი, რამდენს დააცილე? – ეკითხება კვაპატაძე შაქროს. – სულ არ მინადირაო, ვის ატყუებდი, ყმაწვილო?

– როგორ გეკადრებათ, ბატონო! – დამნაშავესავით თავს იმართლებს მოღიმარი შაქრო და შარვალზე მიკრულ ბირკებს იცილებს. – ტყუილი არ მითქვამს. ორი დავაცილე: ერთი – სულ პირველ გასროლაზე და მერე – კიდევ ერთი.

– ჯეელია და, რაც მთავარია, არც ზარმაცია, – ამბობს სიკო. – ბევრი იარა და ბევრიც მონადირა. შეხედე, შარვალზე რამდენი ბირკა აჰკიდებია.

– ახალგაზრდაა, რატომ არ უნდა ერჩოდეს გული. ეჰ, სადღაა ძველი შეძლება! – ჩივის კვაპატაძე და ხელს იდებს მკერდზე, მაგრამ, როცა შაქრომ ხუმრობით შესთავაზა მოხმარება მანქანაზე ასვლაში, პროფესორი სერიოზულად გაბრაზდა.

სამანქანო გზა ვიწრო, დაკლაკნილ ხევში შევიდა. უნდა გადაგვევით უტყეო დაშიუხის ქედი. სველ ხევში მძაფრად იგრძნობა ნაკელის სუნი, ალბათ ამ გზით გადადენიან საქონელს. ავობდით ბალახითა და ძეძენარით დაფარულ ქედზე. ალაგ-ალაგ პურის ყანები მოჩანს. დავეშვით სამხრეთით სარჯის ველისკენ, შემდეგ მარცხნივ გაეშვიტეთ, ჩაუარეთ რამდენიმე ცხვრის ბინას; გამოვარდნილი უზარმაზარი ნაგახები კარგა მანძილზე ბრაზიანი, ბოხი ყფით მიგვაცილებდნენ. ასე, ქედის ძირძირ სიარულით, ბოლოს მივადექით ადგილს, საიდანაც საკმაოდ ახლოს ნაცრისფრად მოჩანდა ჩვენთვის საინტერესო კირქვების კედლები. დაახლოებით ერთკილომეტრიანი აღმართის ფეხით ავლა მოგვიწია, სანამ კირქვების ციცაბო გამოსავალს თავზე მოვექცეოდით.

სამხრეთით კირქვები შევეულ კედლად ეშვება, ფრიალოს სიმაღლე რამდენიმე ათეული მეტრი იქნება. კირქვები ფართო ნაპრალებით დიდ ბლოკებად არის დასახსრული; ნაპრალებში ხარობს ბროწეულის, ლეღვის, თრიმლის, ღვიის, ჩიტავაშლას ბუჩქნარი, ხოლო ჩრდილო, დამრეც ფერდზე – ალაგ-ალაგ ბერყენასა და მუხის ცალკეული ხეები და ძეძვის ეკლიანი ბარდებია. სწორედ ამ მხრიდან ავედით სულ ზევით. ჩვენს ქვევით, სამხრეთით მოჩანს სარჯის ბრტყელი, გადაყვითლებული, სანახევროდ შავად გადახსული ველი. შორს, ნაცრისფერ ღრუბლებში გამოიმკვრალი გადახრილი მზის სხივები აბრეშუმის მარაოსავით იშლება და ეცემა რუხ გაწოლილ ქედებს. ზედ ჰორიზონტთან, იქ, სადაც ყველაფერი უფორმო, ნაცრისფერ ბუნდოვანებაში ითქვიფება, გამჩნევ ვერცხლისფრად მზინავ ზოლს. ყველანი თავს ვანებებთ კირქვებზე ჩაქურების კაკუნს და იქით ვიცქირებით. მაღე ასეთივე ზოლი აღმოვაჩინეთ უფრო მარცხნივაც. ნუთუ იქ მინგეჩევირის წყალსაცავია? დამტვერილებსა და გაოფლიანებულებს საოცნებოდ წარმოგვიდგა მისი ნაპირები. გარდა ამისა, მე მგონი, ბატონ სარდიონს წარმოდგენაში თვალი მოსჭრა მის ახალ ბადეში ახტუნავებულმა ვერცხლისგვერდა თევზებმა...

შორსაა მინგეჩევირი? ამოიღეს რუკა. მარცხნივ გამომჭვირვალ ვერცხლის შუქი აჯინოურის ტბისა გამოდგა, მარჯვენისა კი – მართლაც მინგეჩევირის წყალსაცავისა.

მზემ ჰორიზონტს აკოცა, როდესაც ყველანი მანქანებთან შევეგროვდით. წყალსაცავზე წასვლა უკვე გვიანი იყო, გადავწყვიტეთ, აღმოსავლეთით განგვეგრძო გზა და პირველსავე ცხვრის ბინასთან დაგვანაკებულიყავით.

რამდენიმე კილომეტრის გავლის შემდეგ გზამ გაუხვია ვიწრო, ღრმა და გრძელ ხევში. კიდეც ცოტა გავიარეთ და პირდაპირ წყაროს მივადექით, მერე რა წყაროს! ამ ნახევრად უდაბნოში ედემად ჩანდა ეს ადგილი: ცივი და გამრიელები წყალი მილიდან ცხვრების სარწყულებლად მოწყობილ გრძელ და ვიწრო აუზში ისხმებოდა, იქიდან კი პატარა გუბურაში გადადიოდა. მყუდრო ხევის კალთებზე შინდის ბუჩქებს აქა-იქ შერჩენოდა რბილი, ჩაშავებული, დამტკბარი ნაყოფი; ზედ გუბურასთან გარეული ვაზი – კრიკინა – ამგვრადიყო ბროწეულის ბუჩქზე. აქ ნასოფლარი ჩანს: ცოტა ზევით ეკლესიის ნანგრევები და საფლავის დიდი ქვებია სომხური წარწერებით. გარშემო ტყემალი, ბროწეული, კვრინჩხი, ასკილი ენაცვლება ერთმანეთს, უფრო ზევით კი იწყება დაბალტანიანი მუხნარი...

უზარმაზარი კოცონი დავანთეთ. რად გვინდოდა ამხელა? რაღაც თავისთავად გამოგვივიდა – ხმელი ძეძვი ბლომად იყო. და ორმაგად გააგემრიელა ჩვენი ვახშამი მწყრის ჩახოხბილმა, კახურმა ღვინომ და... და ირგვლივ შემოჯარულმა, წყვილიდით მოცულმა, კალთებმა, წყლის საამო ჩხრიალმა, ცამდე ავარდნილი მხურვალე ალის თამამმა თამაშმა და ხარბი ცეცხლის მშვიერმა ტკაცუნმა...

ტანში ნელ-ნელა სითბო და სილბო ჩამიდგა, ვეღარ ვუსმენდი დანარჩენების ლაპარაკს, სადღეგრძელოებს, მხოლოდ ერთი რამ მსურდა: ჩაგმძვრალიყავი ჩემს საყვარელ საძილე ტომარაში, ნებიერად გაეშოტილიყავი და თვალები დამეხუჭა...

სწორედ ამ დროს, ჩემდა მოულოდნელად, კვაპატაძემ აღფრთოვანებით წამოაყენა იდეა: ახლა მანქანით წავიდეთ კურდღელზე სანადიროდო. მე მეგონა, მთელი დღე წაწალით ფეხზე ძლივს იდგომება-მეთქი და ფეხმარდი კურდღლის გამოდევნება არ მოინდომა? შაქრომ და მარკოზმა სინარულით დაუჭირეს მხარი, თუმცა ამგვარი ნადირობა კანონით აკრძალულია.

საჭეს რობინზონა მიუჯდა – აბა “დიპლომანი” მონადირე, შაქრო, ხომ არ მოცდებოდა მანქანის წაყვანაზე! და ჩვენი მანქანის ხმა და შუქი მაღე შთაინთქა დამეში...

დარჩენილებმა ჭურჭელი დავრეცხეთ და საჩქაროდ შევძვერით საძილე ტომრებში. ჩემი ტომარა პირდაპირ ქვებიან მიწაზე გაგშალე მანქანის გვერდზე. ერთხანს ვუყურებდი მაღლა, მუქ ცაში იშვიათ ღრუბლებს შორის გამომზირალი ვარსკვლავების ციმციმს, მერე ერთბაშად აყიყინებული ბაყაყების ხმამაც კი ვერ შემეშალა ხელი – ტკბილად ჩამეძინა.

ბახს!.. – იგრიალა უცებ თოფმა სულ ახლოს და აქეთ-იქიდან ხევის უხილაგმა ფერდებმა ბანი მისცეს.

თავი წამოვყავი. უკუნ სიბნელეში მოჩანდა მხოლოდ ორმოციოდე მეტრის დაშორებით მდგომი მანქანის ფარები, რომლის თვალისმომჭრელი შუქი პირდაპირ თვალებში მცემდა. ჩაუცმელი, სხვებთან ერთად იქით გავიქეცი, სადაც მანქანიდან გადმოსული მარკოზი კონდახს ურტყამდა რაღაცას მუქს, მოფართხალებს, მგორავს... ბოლოს, ცხოველმა ერთი გაიქნია ფეხი და დაწყნარდა. ყველამ თავი მოვიყარეთ მედიის გარშემო. დიახ, ეს იყო გაქუცული მელა, რომელიც სულ ხუთიოდე წუთის წინ გვესტუმრა, მწყრების გამოხრული ძვლების სუნით დაკვადიანებული. ჰოდა, სწორედ ამ დროს ბრუნდებოდნენ უშედეგო ნადირობიდან ჩვენი დევგმირები. მეღია ხმაურმა და სინათლემ დააფრთხო; გაიქცა და როცა გზაზე გადაბოდა, მანქანის ფარებმა გაანათა; შაქრომ იმ წამსვე ალაღბედზე ისროლა ფერდის ბუჩქნარისკენ, სადაც მეღამ მოასწრო შეძრომა და ჩვენი კუდიგრძელია ნელა ჩამოფოფხდა-ჩამოგორდა, მომაკვდავი, გზაზე – აქ კი მარკოზმა მოულო ბოლო.

დიდხანს ვიდექით, მანქანის ფარების შუქზე ვათვალისწინებდით მედიის წვეტიან, თითქოს დამცინავ სახეს, დაკრეჭილ კბილებს, მბზინავ მოწითალო ბეწვს; ვაქებდით შაქროს მარჯვე თვალსა და ხელს...

– მაგის გატყავება ახლა არც კი ღირს, – თქვა ბოლოს კვაპატაძემ. – არ უნდა მოგვეკლა, დიდი სარგებლობა მოაქვს – მინდვრის თავგებსა და სხვა მღრღნელებს ანადგურებს. ბევრი მონადირე სულ ტყუილუბრალოდ ემტერება, თუმცა... რომ მომესწრო, მეც ვესროდი! ასეთ დროს არაფერი გახსოვს, რა არის ნადირობის აზარტი, კაცო!.. – გაელიმა კვაპატაძემ. – ესა ვართ ადამიანები, ოღონდ კი ჩვენი სურვილის ჭია გავახაროთ და რას არ ვაკეთებთ... რამდენჯერ უწყინარი ჩიტებისთვისაც კი გვისვრია, სრულიად უსარგებლოდ და უაზროდ.

ღამის სიგრილეში გავეშურე შიშველი ფეხების დასაბანად, რადგან გზაზე თითის სიმსხო მტვრის რბილი ფენა იღო.

კარი XI. მინგეჩევირი – განჯა – გეი გელი

– დღეს რა რიცხვია? – იკითხა დილის საუზმის დროს მარკოზმა.

აღმოჩნდა, რომ გუშინ თბილისის “დინამოს” ფეხბურთელთა გუნდს უნდა ეთამაშა როსტოვში, ჩვენ კი ფეხბურთი ნადირობაში არც გაგვხსენებია. მარკოზმა დიდხანს აწვალა რადიომიმღები, მაგრამ ფეხბურთის მატჩის შედეგს მაინც ვერ მიაკვლია: უკვე საკმაოდ გვიანი იყო და უკანასკნელი ცნობების გამოშვებას ვერ მივუსწარი. ფეხბურთის თემამ ყველანი ჩაგვიტოვია და საუზმის ბოლომდე სულ ამაზე ვლაპარაკობდით.

– მინგეჩევირში გაგიგებთ ყველაფერს, გაზეთებსაც ვიყიდით, – ბრძანა კვაპატაძემ და, ამრიგად, საბოლოოდ გაირკვა ჩვენი შემდგომი გზის მიმართულება.

კარგა ხანს ვიარეთ თითქმის უსიცოცხლო, რუხბალახიანი ველებით, შემდეგ სარწყავი ადგილებიც განვვლეთ და მინგეჩევირსაც მივადწიეთ. უკვე შუადღე სრულდებოდა, ახალი გაზეთები ჯიხურებში ჯერ არ მოეტანათ. ფეხით დავიარეთ რამდენიმე ქუჩა ქალაქის შუაგულში: ყველგან ასფალტია, სამოთხსართულიანი სახლები, ნორჩი ხეები ფილაქნის გაყოლებით... რადაცით რუსთავს გვაგონებს ეს ქალაქი: აქაც ყველაფერი ახალია, გამგელელებიც უმეტესად ახალგაზრდობაა. ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ ცუდი ის იყო, რომ ვისაც კი შევეკითხეთ ფეხბურთის ამბები, ყველამ გვითხრა, არ ვიცითო. რას იხამ, აქ სულ სხვა ცხოვრებით სუნთქავენ, სხვა რამ აწუხებთ თუ ახარებთ... ვიგრძენით, რომ დიდ ქალაქს ვიყავით მოცილებულნი. და უცებ მოგვენატრა თბილისი – დილის გაზეთებით, ტრამვაის ხმაურით, კინოთეატრებით, სტადიონებით, ადამიანთა სიმრავლით, აურზაურითა და ჟრიაშივლით...

ბოლოს, ერთმა ახალგაზრდამ, თუმცა შედეგებისა არაფერი იცოდა, მაინც დაგვაიმედა მეტისმეტად დარბილებული რუსულით: ახლავე დიდ, დიდ გულშემატკივართან მივიყვანეთ.

რამდენიმე წუთში ჩვენს წინაშე წარსდგა თავმოტვლებილი, უზარმაზარლიპიანი, შავუღვაშა გოლიათი და დიდის ამბით სათითაოდ ჩამოგვართვა ყველას ხელი:

– გამარჯობა, თბილის და?!

როცა დაგუდასტურეთ, რომ მართლაც თბილისიდან ვიყავით, გახარებულმა ჩვენც გვახარა: “თბილისმა მოიგო – ორით ერთზე, როსტოვმა წააგო!”

ჩვენი ახალი ნაცნობი ჩვენზე არანაკლებ გახარებული იყო: ერთხელ კიდევ ჩამოგვართვა ყველას ხელი, მოგვილოცა; ადგილზე ვერ ისვენებდა ადგზნებისგან ამოდენა კაცი, დაცუნტრუკობდა, დახტოდა, მხიარული თვალებით შემოგვცქეროდა და დაწვრილებით გვიყვებოდა მთელი შეხვედრის მსვლელობას როსტოვში: ვინ როგორ ითამაშა, ვინ გაიტანა გოლები და რომელ წუთზე; არც ის დავიწყებია, რამდენი ქულა დაუგროვდა ახლა თბილისის “დინამოს”, რომელ ადგილზეა სატურნირო ცხრილში, რამდენი გატანილი და გაშვებული ბურთი აქვს და მისთანანი – ყველაფერი დაწვრილებით... დიდი ქომაგი გამოდგა – სათითაოდ აღმაფრენით დაახასიათა “დინამოს” მოთამაშეები. ვილაცამ ინამუსა და ჰკითხა, ბაქოს “ნეფთჩიში” რაღა ქნაო.

– ბაქომაც მოიგო! – სახეგაციისკროვნებულმა მოგვიგო მან და ახლა ამ შეხვედრაზე გვესაუბრა; მერე კიდევ სხვა ქალაქებში გამართულ დანარჩენ შეხვედრებზე – ნამდვილი ფეხბურთის ენციკლოპედია გამოდგა! ლაპარაკისას ხელებს იქნევდა, უხაროდა, რომ ბოლოს და ბოლოს შესძლო საქმის მცოდნე, დაინტერესებულ პიროვნებებთან საყვარელ თემაზე გემრიელად ესაუბრა.

– “იახში, იახში” – კარგიაო, თავს ვუქნევდით ჩვენც, ბოლოს დაგამატეთ: – სალოლ, სალოლ! – დავემშვიდობეთ დიდის ამბით, ისევ ხელის ჩამორთმევით, გაგარდვიეთ ჩვენს გარშემო შემოკრებილ ცნობისმოყვართა თუ ფეხბურთის მოყვარულთა წრე და მინგეჩევირის წყალსაცავისკენ გავეშურეთ.

მინგეჩევირის “ზღვამ” გამაკვირვა თავისი სილაჟვარდითა და წყლის გამჭვირვალეობით – ნუთუ ეს მუდამ მღვრიე მტკვრის წყალია? მოლივლივე წყლის ზედაპირი გადაჭიმულა ჰორიზონტამდე, მხოლოდ ალაგ-ალაგ შორეულ ნაპირებზე მოჩანს ხრიოკი ბორცვები და კედელივით ციცაბო, შიშველ, რუხ ქანთა გამოსავლები. მხოლოდ აქ, მშვენიერ ქვიშიან პლაჟთან, დაურგავთ ნაძვები. სანაპიროზე ხალხი ირევა – წყალი ჯერ კიდევ თბილია, ბევრნი ბანაობენ; ჩვენც საჩქაროდ ჩავდგაფუნდით წყალში, მზაგრობის მტვერი და ოფლი ჩამოვირეცხეთ; შემდეგ ცხელ ქვიშაზე წამოვგორდით... მაგრამ მზე ცოტა ხნით ღრუბელს მიეფარა თუ არა, მაშინვე აცივდა, ხორკლები დაგვაყარა ტანზე.

– როგორი ღურჯი იყო, – გაიშვირა თითი წყლისკენ სიკომ, – და როგორ წამიერად გამუქდა, განაცრისფრდა!

– ჰო, დაეთანხმა კუპატაძე, – ფერების თამაში და სხვა ასეთი... სიკო, თუ გინახავს შენ გეი გელი? აი, იქ სულ სხვა სილამაზეა, რიწის ტბას ადარებენ! იქ კურორტიცაა გაშენებული, არ ყოფილხარ?

– შორს არის?

– არა. განჯას გაივლი, მერე მთებში უნდა ახვიდე. ერთხელ თათბირის შემდეგ წაგვიყვანეს ექსკურსიაზე აზერბაიჯანელმა გეოლოგებმა. დიდად მოვიხიბლეთ მაგ ტბის სილამაზით. იცი, როგორი წარმოშობისაა? ვულკანის ამოფრქვევის შედეგად წარმოშობილი ლავური ნაკადით გადაიკეტა მდინარის ხეობა და აი, ამ ბუნებრივმა ჯგებრიმა შექმნა ტბა. წავიდეთ ვნახოთ!.. – ანთო უცებ კუპატაძე. – აქ, ასე ახლოს იყო, შესაძლებლობა გქონდეს და არ მოინახულო? თანაც გეოლოგიური თვალსაზრისითაც მეტად საინტერესოა. იქ ტურისტული ბაზაცაა, ღამეს გაგვათევენებენ.

სიკო ყოყმანობდა – ისედაც ბევრი დრო დაგეგმეთო, მაგრამ საბოლოოდ პროფესორ კვაპატაძეს უარი ვეღარ შეჰკადრა.

უკვე მიგეჩვიეთ მოხეტიალე მოგზაურების მდგომარეობას, მზად ვართ, თუგინდ დედამიწის კიდემდე და უფრო შორსაც წავიდეთ! მადა მშვენიერი გვაქვს, ირგვლივ ცქერაც არ მოგეწყენია!

განჯის შესასვლელში ქუჩები ანგრეულ-დანგრეული დაგვხვდა; ბევრგან ახალ სახლებს აგებებენ, გარეუბანში მოჩანს მშენებარე ალუმინის უზარმაზარი კომბინატის ფოლადის კონსტრუქციები... ერთსართულიანი მიწისბანიანი სახლები საერთოდ ვერ დავინახე, მე კი მეგონა, ჯერ ბლომად იქნებოდა შემორჩენილი.

ბაზარი ქალაქის ცენტრალურ ნაწილში ყოფილა. ახლა დავრწმუნდი, რომ თუ გინდა სადმე ძველი ყოფის ნაშთები იხილო, ბაზარზე უკეთეს ადგილს ვერ მოძებნი. განჯაში სწორედ ბაზართან ვნახე ინით თმაშეღებილი რამდენიმე დედაბერი, ბოხოხქუდიანი ძველებური ტიპები, მექუდეების, მუწადებისა და სხვათა წვრილი სახელოსნოები, მიწისბანიანი სახლებიც...

საზამთროს ჭამით გავიტყვიპეთ და შევუდექით ქალაქიდან გასასვლელის ძებნას. აქ ცუდი ოინი გვიყო ანგრეულმა ქუჩებმა: ვიბოდინაღეთ აქეთ-იქით, უთვალავჯერ გავუხვიეთ-გამოვუხვიეთ, დავიბენით და ბოლოს მილიციონერის სასტუმროს გაგვყინა ადგილზე. რასაკვირველია, მოძრაობის წესების უხეშად დარღვევისთვის ხეირიანი არაფერი გველოდა. შავგერემანმა ახალგაზრდამ მიიღო ხელი ქუდთან და შოფრებს საბუთები მოსთხოვა. აქ საქმეში ჩაერია სარდიონ კვაპატაძე – ეგონა, ჩემი ავტორიტეტით რაიმეს ვუშველიო, მაგრამ სცენაზე პროფესორის გამოჩენამ გავლენა ვერ მოახდინა მილიციონერზე – ჩვენი პროფესორი გარეგნულად უკეთეს შემთხვევაში საწყობის გამგეს ან ექსპედიტორს თუ ჰგავდა... სამაგიეროდ, ჩვენი მანქანების სანომრე ნიშნებმა იმოქმედა.

– იხ თიბლის და? – თბილისიდან ხართო, თეთრკბილა ღიმილით იკითხა მილიციონერმა, მერე დაუმატა: – მეზობლები ვართ, ძმები ვართ!

ამას მოჰყვა სათითაოდ ხელის ჩამორთმევა და გზის დაწვრილებით ახსნა ხანლარისკენ. თუმცა, რამდენიმეჯერ კიდევ დაგვებნა გზა – მრავალჯერ მიმართულების კითხვისა და სწავლების მიუხედავად.

ქალაქი ხანლარი ძლიერ ახლოსაა განჯასთან. აქ სიკომ მოინდომა, ჩაიხანაში შევსულიყავით, – “როგორ, აზერბაიჯანში ვიყო და ჩაი არ დაველო?” – მაგრამ გადავწყვიტეთ, უკანა გზობისთვის გადაგვედო: ჩვენი უზომო საზამთროჭამიობა ჯერ კიდევ იჩენდა თავს და, მეორეც, უკვე საკმაოდ გვიანი იყო, სადამომდე ტბაზე უნდა ავსულიყავით.

მაღე აღმართები დაიწყო – აღმართები და ნისლი. აღმართებს დროდადრო მოკლე დაღმართები მოჰყვება და მაშინ ცოტა იშვიათდება ბურუსი. წინ მიმავალი რობინზონას მანქანა ხანდახან გვეკარგება რძისფერ ნისლში. წვრილი, უხმო წვიმა მოდის თუ ბურუსის წვეთები ედება საგნებს – მაღე ცივი სინესტის უსიამოვნო შეგრძნებამ მოგვბუზა. ველების ცხელ ჰაერს შეჩვეულებმა, საჩქაროდ ამოვიდეთ გადანახული თბილი ტანსაცმელი. რაც მაღლა ავდივართ მთაში, მით უფრო ცივა და ახლა კი ნამდვილი, გაცრილივით წვრილი წვიმა ასველებს პრიალა ასფალტსაც, ციცაბო ფერდობებზე შეფენილ ფოთლოვან ტყესაც. უქარო ამინდია, ხეთა ფოთლები უძრავად დახრილან ქვევით და მათი ბოლოებიდან მძიმე წვეთები წყდებიან. ირგვლივ ყველაფერი გარინდებულა, მხოლოდ ჩვენი მანქანების ძრავათა ხმაური და სველ ასფალტზე საბურავების შრიალი ისმის; ლაპარაკისას პირიდან ორთქლის თეთრი ბოლქვები გვებოლება, მაგრამ საუბარიც გვეზარება – გვეჩვენება, თითქოს ეს ერთფეროვანი გზა არასდროს გათავდება...

გამოჩნდნენ კურორტ აჯიქენდის პირველი თეთრი სახლები. ბურუსი ბოლავს სახლთა სახურავებზე, მიძვრება ხეთა პრიალა ფოთლებში, დროდადრო გვატყუებს – თითქოს იფანტება, შემდეგ კი, კიდევ უფრო მკვრივი, ნელა მიცურავს ზედ მიწასთან... გვი გელამდე უკვე ახლოსაა.

კიდევ რამდენიმე მოსახვევი და აღმართი შეიცვალა პატარა სწორი მოედნით, რომელზედაც პავილიონ-რესტორანი წამოშჭიმავთ. ამით მივხვდით, რომ ტბა სადღაც ახლოს უნდა ყოფილიყო. ასეც გამოდგა. დიდხანს ჯდომისგან გაკავებული ფეხებით მივედით ამ მოედნის კიდესთან. ათორდე მეტრის სიმაღლის უადრესად ციცაბო ფერდის შემდეგ თეთრი, მკვრივი ბურუსის ბოლქვებიდან ბუნდოვნად ჩანდა ხეების მუქი მწვანე ტოტები, სისველისგან თითქმის შავი ხეთა ტანები, უფრო შორს კი – ბურუსის თეთრი ფარდა ფარავდა ყველაფერს.

ესეც შენი გვი გელის ტბა!

– აქედან ოცი-ოცდაათი მეტრი თუ იქნება ტბამდე, – გაიშვირა თითი კვაპატაძემ.

– ოცდაათი? – გაიღიმა სიკომ. – რა მნიშვნელობა აქვს, თუნდაც ოცდაათი კილომეტრი იყოს...
 – დილისთვის ბურუსი გაიფანტება, – ოპტიმისტურად განეწყო კვაპატაძე. – ახლა აქ რომ ვუცადოთ ბურუსის გაფანტვას, ერთ საათში კიდევ დაბნელებდა. ტურისტულ ბაზაში მივიდეთ, სხვა რა დაგვრჩენია.

უკანვე გამოვბრუნდით და რამდენიმე ასეული მეტრის შემდეგ მანქანები მიადგნენ ჭიშკარს, რომლის თაგვიც ახერბაიჯანულად ეწერა: “კეთილი იყოს თქვენი მობრძანება!”

ტურისტულ ბაზაში კეთილად შეგვხვდნენ: გამოვვიყვეს ცალკე ოთახი (საწოლებზე უარი ვთქვით – საძილე ტომრებს არ ვუღალატეთ), საგანგებოდ ჩვენთვის გააკეთეს ვახშამი (ამ საქმეს წავახმარეთ განჯაში ნაყიდი ჩვენი ხორცი), ვახშამდე დაგვითმეს მაგიდის ჩოგბურთი.

ვახშამს ცოტა შეაგვიანდა. ჯერ კარგა ხანს ვუყურე ჩოგბურთის თამაშს, რამდენიმე ხელი თავადაც წავაგე; შემდეგ ვიხეტილეთ ტურისტული ბაზის შემოგარენში; დაგვრუნდი და დასვენების ოთახში კიდით-კიდემდე გადავიკითხე ტურისტთა კედლის გაზეთი, რომელშიც შეიმჩნეოდა ძახილის ნიშნების სიმრავლე – ავტორები ცდილობდნენ თავიანთი გრძნობები გამოეთქვათ... წერილები დაახლოებით ამგვარი შინაარსისა იყო: “ჩვენ დიდხანს გვემასხვრება ეს შესანიშნავი ტბა, შესანიშნავი ადამიანები, შესანიშნავი ტურბაზა და აქ გატარებული შესანიშნავი დღეები! განსაკუთრებით შესანიშნავი იყო მთაზე ასვლა (სახელი დამავიწყდა), საიდანაც გადაიშალა შესანიშნავი ხედები! მხოლოდ ერთი რამ იყო სამწუხარო: ნისლის გამო ვერ ავედით მეორე, კიდევ უფრო მაღალ შესანიშნავ მწვერვალზე, საიდანაც გადაიშლებოდა კიდევ უფრო შესანიშნავი პანორამა. რა შესანიშნავი იყო, როდესაც გზაში ნისლმა მოგვისწრო და ბეწვზე გადავრჩით ხევში გადაჩვენებას! ჩვენ არასდროს დაგვაგვიწყდება, როგორ მოვხვდით შხაპუნა წვიმაში, შემდეგ გზა დაგვებნა და ორი დღე ვიხეტილეთ მწივრებმა! სიხარულით გავიხსენებთ, როგორ ვბანაობდით გვი გელის შესანიშნავ ტბაში და შემდეგ სამი ჩვენთაგანი რამდენიმე კვირა იწვა ფილტვების ანთებით! რა შესანიშნავი იყო, როცა...” და ასე შემდეგ.

უნდა ვაღიარო, რომ ვახშამი მართლაც შესანიშნავი გამოდგა! არანაკლებ შესანიშნავი იყო გართობის სადამოც, რომელიც ტურისტებმა მოაწყვეს. რასაკვირველია, უკრავდა შესანიშნავი ტრიო: მელოდე, კონტრაბასისტი და აკორდეონისტი, მაგრამ ისეთი ხმაურით, რომ დიდი ჭაღით განახჩახებულნი სასადილოს კედლები ზანზარებდა (მაგიდები და სკამები სხვაგან გაიტანეს). განსაკუთრებით ეშხში იყო შესული მელოდე: გადარეულივით უბრაგუნებდა დიდ და პატარა დოლებს, თან ჟღერდალით უხათქუნებდა თითბრის თეფშებს. ჩვენი ბიჭები ცეკვაში მანცდამანც ვერაფერი შეილესი გადმოდგნენ: გახუნებული საველე ტანსამოსით, ბრაგუნა ჩექმებით ბევრს ვერ იფოქსტოტებდნენ; სამაგიეროდ, როცა წამყვანმა ლეკური გამოაცხადა და მელოდე საბოლოოდ დასაბმელი გახდა, ჭეშმარიტად გეასახელა რობინზონამ. ეჭვი მაქვს, რომ რობინზონას ცეკვა რომელიღაც თვითმოქმედ დასაშინი აქვს ნასწავლი და ალბათ წამყვანი სოლისტიც იყო: იმდენი იხტუნა თითის წვერებზე და იგორი-ალა მუხლის თავებზე, რომ პირწმინდად დაამარცხა ერთი ადგილობრივი ჯეელი, რომელიც თავიდან ვითომ ექიშებოდა. როცა რობინზონამ მესამე სიჩქარე ჩართო, რიტმულმა ტანსაცემამ ტრიოს ბრაგაბრუგი თითქმის ჩაახშო; ხელის მტევნები გვეტიკინა, რობინზონა კი, ხომ მოკვდა ბიჭი, იმდენი აცეკვეს... აღარ უშვებდნენ, სანამ არ გაიქცა და ჩვენს ზურგებს ამოეფარა. შემდგომ ცეკვებზე ტურისტები ქალიშვილები სულ რობინზონას ძეხნაში იყვნენ, მაგრამ ის იმალებოდა, რადგან... არც ერთი ევროპული ცეკვა არ იცოდა! სამაგიეროდ, ჩვენ ბიჭებს გაუკვალა გზა; განსაკუთრებით მარკოზი აქტიურობდა, ხან ერთ ქალიშვილს ეცეკვა, ხან – მეორეს; ელვანტურად დააბოტებდა თავისი უზარმაზარი ჩექმებით და რამდენიმე მაღალქუსლიანი ფეხსაცმლით შემკული კოხტა ფეხიც იმსხვერპლა...

გვიან ღამით დაგვრუნდით ჩვენთვის გამოყოფილ ოთახში.

შემოდგომის ღამე აქ, მთაში, საკმაოდ ცივი და ნესტიანი იყო. ფანჯარაში მოჩანდა შავ უკუნში ლამპიონების მქრქალი, ბუნდოვანი, ცეცხლოვანი ბურთები. იატაკზე დავაგეთ საძილე ტომრები და მაშინვე შიგ შევძვერით. მოკლე ხანში ოთახი გაივსო კვინტეტის ხვრინით – ჩვენს ტრიოს ჯანსუღი და რობინზონაც შეუერთდნენ; კვაპატაძის ინტელიგენტურ სტვენას ანგარიშში არ ვაგდებ.

და როცა წარმოიდგენ, როგორი ცივი, წვიმიანი ნისლი დაბობდავს გარეთ, შენ კი თბილად ხარ მოყურებული შენს ბუნაგში, თანაც დღეს იმდენი იმგზავრე სწორ, მზისგან გადახრუკულ ტრამალებზეც, მიხვეულ-მოხვეულ, დაბურუსებულ აღმართებზეც, რომ თვალები გელულება და იძირები რადაცაში, საოცრად თბილსა და რბილში...

კარი XII. გვი გელი – მტკვრის ჭაღა – ელდარის ველი

გათენდა და ჩვენ პირველად ეს გავიფიქრეთ: ამინდი თუ გამოკეთდა?

სამწუხაროდ, სანუგეშო ვერაფერი ვპოვეთ – ისევ თეთრი ნისლი, სიცივე და უხმო, წვრილი წვიმა...

წამოსვლისას მაინც მივედით ტბის ნაპირთან – მის ციცაბო ფერდთან – და არც გვინანია: ბურუსი ცოტა გაფანტულიყო და მაღლა ასულიყო, ასე რომ, გვი გელი, როგორც იქნა, ვიხილეთ.

არ ვიცი, შესაძლოა, მზიან დღეს ტბა მხიარულ ანარეკლებს გზავნის, ნათელი ფერები თამაშობენ მის ზედაპირზე, მაგრამ ახლა გვი გელი ჩვენს წინაშე წარსდება, როგორც ახალგაზოგადობა, ჯერ კიდევ პირდაპირი, მზეთუნახავი პატარაალი, რომელიც ცუდი სიზმრისგან გუნებაზე ვერ არის, მოღუშულია თითქოს გვემალება, მორცხვად ცდილობს, მოიხვიოს სახეზე ბურუსის თეთრი მანდილი. ფოთლოვანი ტყით შემოსილი მისი ციცაბო ნაპირები ზევით რძისფერ ბურუსს შეუბოლავს, ნაპირებს შორის კი გვი გელის ზურმუხტი ჩასმულია გარსაცმში უფრო ღია მწვანე ტყეებისა. გარინდებული, უშფოთველი წყლის ზედაპირი უჩვეულო სანახავია, თითქოს სიზმარში ხარ და ყველაფერი გაშეშებულია თითქოს გაყინულა ზედაპირი ამ მწვანე ფერისა. მაგრამ დროდადრო ამ გლუვ სარკეს თევზის ნახტომი ხევა, კუდს ტყლაშუნით გაიქნევს (აქაც კი გვესმის) და დანაოჭებულ წყლის ზედაპირზე წრიულად იშლება წვრილი ტალღები. რიწის ტბაზე წიწვოვანი ტყეები და ცა ლურჯად და ცისფრად ირეკლება ღრმა წყალში, გვი გელის ტბაზე კი უღრუბლო ამინდში ალბათ ცა და ფოთლოვანი ტყეები მოციხვრო-მომწვანო ღრმა კოლორიტს იძლევა. მაგრამ ახლაც, ბურუსის მიუხედავად, ეს სიჩუმით მოჯადოებული, იდუმალი სიმწვანით ჩამუქებული, რაღაცნაირი შინაგანი სხივით გაშუქებული ძვირფასი ქვა ატყვევებს ჩვენს მზერას; თითქოს შიგნიდან მწვანედ ანათებს დაძაბული, ხასხასა ფერით.

რაც უფრო დიდხანს აკვირდები გვი გელს, “მწვანე ტბას”, მით ლამაზი გეჩვენება, მეტ ფერთა თამაშს და ელვარებასაც კი ამჩნევ. ბურუსის გაწეწილი ფთილები კი ნელა მიბობლავენ ციცაბო ფერდობებზე და იმის მსგავს გარემოს ქმნიან, როგორსაც კინოში ხმარობენ ხოლმე, როცა ადამიანის სიზმარში მოქმედება ან ოცნების სურათები სურთ გადმოსცენ, არარეალური გარემო გაგრძნობინონ...

და გვი გელის ეს შინაგანი შუქი, მისი შემოღვრის ბურუსით დანადგლიანებული ნაპირების ხატი, დიდხანს მიმეცებოდა გზაშიც, როცა მანქანა დაღმართში მოქროდა. ტბის მუქ მწვანე ელვარებას ვადარებდი სველი ხეების სიმწვანეს, მათ თითქოსდა მშვენიერ ფერს, მაგრამ არ მშორდებოდა გრძნობა, რომ ეს ერთგვარად ჩვეულებრივი, ათასჯერ ნანახი სიმწვანე იყო და არა გვი გელის უცნობი, განუმეორებელი ფერი – წყლის სიღრმეებიდან წამოსული, იდუმალი მომხიბველობით აღსავსე.

თავდაღმართში შედარებით სწრაფად ჩამოვგორდით მტკვრის ველზე და, ღრუბლიანობის მიუხედავად, სულ მაღე ვიგრძენით ჰაერის სითბოც და მზის სხივების სიმხურვალეც. განჯის ნაცნობ ბაზარში ხანმოკლე სტუმრობის შემდეგ გავწიეთ გარე კახეთის მიმართულებით.

ასფალტიანი გზა სოფელ ენიქნდთან შეწყდა, სადაც მანქანები ბორნით გადავიდნენ მტკვრის მარცხენა ნაპირზე. აქ, უზარმაზარი ვერხვების ჩრდილში, ფარდულივით შენობა იდგა – ჩაიხანა. ამჯერად განჯაში საზამთრო არ გაგვხსენებია და ამიტომ სიამოვნებით შევეურთდით სიკო გულოვანს, რომელმაც მაშინვე შეუკვეთა ცხელ-ცხელი მუქი ჩაი და კენიტი შაქარი.

სამ-სამი ფიალა რომ გამოვცალეთ და პირველი ოფლი მოვიწმინდეთ სახეზე, აღმოვაჩინეთ, რომ შაქროს თავისი ფიალისთვის პირი არ დაუკარებია.

– ბავში კი არ ვარ ან ავადმყოფი, ამ სიცხეში ჩაი დაველიო!

მაგრამ გარშემო არც ღვინო იყო და არც წყალი, თუ მხედველობაში არ მივიღებთ მტკვარს, რომელზედაც პოეტიც კი ვერ იტყოდა, ანკარააო; შაქროს სწყუროდა, ძალიან სწყუროდა და ჩვენს ვაჟკაცს მოუწია, დიდი ჭოჭმანის შემდეგ, ხელში აეღო მრგვალი ფიალა და ჩვენსავით თავგამოდებით შეებერა სურნელოვანი სითხისთვის, თუმცა მისი ჩაი უკვე გაცივებულიც იყო.

შვილი, რვა, ზოგმა ათი ფიალა ცხელი ჩაიც კი გამოსცალა, მოთენთილებმა მანქანებს მივაშურეთ – აღარ გვწყუროდა, შეებას ვგრძნობდით და თითქოს გავგრილდით კიდევ. წასვლის წინ ცოტა კიდევ დავისვენეთ; შემდეგ რობინზონას მანქანა პირველი დაიძრა და მტკვრის ბული დააყენა გზაზე.

შაქრო არ ჩანდა. ბული ჩადგა, ჩვენ ლამის დაგვეძინა. მარკოზი წავიდა შაქროს მოსამებნად და მაღე მასთან ერთად დაბრუნდა. შაქროს ოფლიანი სახე სამოვარით ლაპლაპებდა.

– შენ ეს გვიბრძანე, – მიუბრუნდა მარკოზი შაქროს, – რამდენი ფინჯანი დააყუმბარე?

– თხუთმეტი დავლიე, – ძლივს ამოსუნთქა შაქრომ, – კიდევ დავლევდი, მაგრამ აღუღებული წყალი გათავვდა. შეიძლება, ასეთი პატარა სამოვრის ქონა? იქნება კაცს უნდა, ცხელი ჩაი დალიოს, თან ასეთი ხალხმრავალი ადგილია, ბორანია...

ვერხვნარი ჭალა დამთავრდა. უწვრილეს ფხვნილად ქცეული ღია ყვითელი ფერის თიხა ხშირ ბოლქვებად ბოლავდა მანქანის ბორბლებიდან. რობინზონას მანქანა გვიცდიდა ბოლო ხის ძირში. აქ “სამხედრო საბჭო” გაიმართა. პროფესორი კვაპაბატაძე წინადადებას იძლეოდა. მტკვრის ნაპირს აყვლოდით აღმა, იქ მოგვეძებნა ბადის სასროლი კარგი ადგილი და გვეთევაზავა. სიკო გულოვანს კი

უნდოდა, ტყუილად არ დაგვეკარგა დრო და გზა განგვეგრძო; დანარჩენები გარეგნულად ნეიტრალიტეტს ვიცავდით – მაინც არავინ არაფერს გვეკითხებოდა. რასაკვირველია, დიდი ხნის ჭიჭყინის შემდეგ საბოლოოდ კვაპატაძის გეგმა იქნა მიღებული და ისევ მტკვრისპირა ჭალაში შევიდნენ მანქანები.

ისევ თეთრად აბოლდა მტვერი. ვერხვებისა და მუხების უზარმაზარ ხეებსა და ბროწეულისა და მაცვლის ქვეტყეში მანქანები მიჰყვებოდნენ ნატარებ ადგილს, ნაკვალევს, თორემ გზას მას ვერ უწოდებდი. დიდხანს მივიდიოდით, ტყეს კი ბოლო არ უჩანდა. ბუჩქთა ეკლიანი ტოტები წამდაუწუმ გველოებოდნენ, დროდადრო მანქანებშიც ჰყოფდნენ ხელებს დასაკაწრად. რამდენჯერმე მტკვრის ნაპირს მივადექით, მაგრამ კვაპატაძის მოსაწონი ადგილი ვერ ვნახეთ. როგორც იქნა, ახალი თათბირის შემდეგ, გადაწყდა ისევ უკან დავბრუნებულიყავით...

და ისევ ზღაზღანით მიდიან მანქანები, ისევ ტვინის გამლაცხებელი ოღროჩოღრო “გზა”, ქვეტყის ბუჩქნარის თითქმის ერთიანი კედელი ნელი სვლის მიუხედავად, ისეთი მტკვრის ბული ღებება, ძლივს ვსუნთქავთ; ცხვირ-პირი მტკვრის გაგვევსო, ისე ამოვიგანგლეთ, ნამდვილ მეწისქვილეებს დავემგვანეთ: წამწამებზე, წარბებზე, თმაზე სქელ ფენად დაგვედო თეთრი მტვერი. კარგია აქ ჭალის ტყე, ყოველმხრივ კარგი, მაგრამ მხოლოდ მაშინ, თუ ფეხით დადიხარ...

როცა ჭალიდან გამოვედით და მზე ისევ ვიხილეთ, გაგვიხარდა. თუმცა აქაც მიწის გზა იყო და მტვერიც საკმაოზე მეტიც ედო, მაინც უფრო თავისუფლად ამოვისუნთქეთ; თან მანქანებმა სინქარეს მკვეთრად უმატეს და ნიაგმაც დაგებერა. რუხი ველებით მივემართებით ჩრდილოეთისკენ. ალაგ-ალაგ გადახრუკული ბორცვები და გორაკებია. გზის გასწვრივ გაჭიმულ მავთულებზე ხშირ-ხშირად სხედან ყაპაპები. ცუდი რამ არ იფიქროთ ასეთი უცნაური სახელის გაგონებაზე; მოციფრო-მწვანე პრილა სამოსელი და წაგრძელებული ნისკარტი აქეთ ამ ბელურაზე უფრო მოდილო ფრინველებს. რად არ მიფრინავენ მანქანის მიახლოებისას და რატომ სხედან ასე ბლომ-ბლომად ნეტავი? ერთ ადგილას ჩვენმა მონადირეებმა გააჩერებინეს მანქანები და უკვე აღებულ სიმინდის ყანაში გაიარ-გამოიარეს, მაგრამ მწვრის კვალიც ვერ ნახეს, მხოლოდ ფეხის გამართვა შერჩათ.

გადავიარეთ პალანთეიქიანის დაბალი ქედი და ივრის ჭალებიც გამოჩნდა. მარცხნივ აიმართა მთა ელდარის პირამიდა, განათებული უკვე გადახრილი მზის სხივებით. ელდარი ივრის მარჯვენა ნაპირზეა, მისი სამხრეთი ფერდი ციცაბოა, კარგად მოჩანს ქვიშაქვების ნაცრისფერი ფენების მორიგეობა; ჩრდილო ფერდი კი დამრეცია, მცენარეულობითაა დაფარული და შორიდან მუქი ლურჯი ფერისაა, თითქოს მთას ცალი მხრიდან შავი ნაბადი მოუხურავსო.

გზა იორზე ფონით გადადის. წყალთან ჩამოვხტით, არცთუ გრილი და არცთუ გამჭვირვალე წყლით ჩამოვიბანეთ მტვერი და ოფლი. მერე, ხარჯი ხარჯიანო და წყალთხელ მდინარეში ჩავწექით კიდევც... წავიხემსეთ, შოფრებმა მანქანებიც გარეცხეს და ისევ გზას გავეუდქით.

ნაპირებზე იალღუნის მწვანე ბუჩქებით დამშვენებული ივრის მოყვითალო ზოლი მაღე თვალთაგან დაგვეკარგა. აზერბაიჯანული სოფლები ივრის პირას: ფოილუ, სალახლი, ბოლოს – ქესამანი, და საქართველოს მიწაზე შეედგით ფეხი. განსხვავებას კი ვერაფერს შეამჩნევ: უკან დავტოვეთ რუხი ველები და გორაკები აქა-იქ იშვიათი მწვანე ლაქებით და ვინ ვხედავთ ასეთსავე, გადაყვითლებული ბალახით დაფარულ ტრამალებს და ბორცვებს... ეს კია, რომ ბორცვები წინ მალდებიან და გზა უფრო აღმართიანი ხდება.

ხელმაჯვანივ გტოვებთ მოსწორებულ ელდარის ველს, მივდივართ ასევე ბრტყელი ივრის ველზე. წინ კი გადაგვიწვინენ ურჩხულებივით ნაზარლებისა და ქაღალის ქედები. ერთი შეხედვით, არცთუ მაღალი ჩანს ისინი, მაგრამ აქ სხვა სიძნელეა დასაძლევია: უნდა ვიპოვოთ გზა, რომელიც ნაზარლების ხეზე გადის; ჰოდა, მიდი და აირჩიე მიმართულება, როცა მთელი ველი უთვალავი გზითაა დასერილი. რამდენიმე მანქანა გაივლის ერთი და იმავე მიმართულებით მზისგან გადატრუსულ სწორ ველზე და ახალი გზაც კეთდება – მუდმივი გზები აქ თითქმის არც არის.

ჩვეულებისამებრ, წინ რობინზონას მანქანა მიდის; მტკვრის ბულში გახვეული, მიძვრება ბორცვებს შორის დაკლაკნილ გზაზე, შემდეგ ჩერდება. ჩვენც მივედით, ყველანი გადმოვიდვართ მანქანებიდან, გარშემო ვიხედებით. გზა აქ წყდება, როგორც ჩანს, წყალსადენს აშენებდნენ საძოვრებისთვის და ეს გზაც მას შემდეგ დარჩა.

დასავლეთით გაწბილებული მზე გაწითლებულა, დასამალავად ემზადება. ირგვლივ სიჩუმეა, ჰაერიც კი არ იძვრის; გამხმარი ბალახით აქა-იქ შემოსილი გორაკთა ბზისფერი ფერდობები თანდათან ნაცრისფრდება – მოსაღამოვდა, უნდა ვიჩქაროთ.

მანქანები ჩამორბიან უკან დადმართში, ისევ მიჰქრიან ველზე გზათა ლაბირინთში. რობინზონა ახლა სხვა მიმართულებას ირჩევს. ისევ აღმართს შევუყვებით, შემდეგ დამრეც ფერდზე ეს გზაც წყდება. გადმოვიდვართ მანქანებიდან, დავეყრებთ რუკას, გარშემო ვიცქირებით – ორიენტირებს ვუძებთ – და უკვე დაღლილი ხმებით ვყაყანებთ.

– ყარფუზი, ჯო, ყარფუზი! – გვესმის შაქროს ყვირილი.

გავიხედეთ: შაქრო დახრილა, უფრო მეტიც – მუხლებზე დამდგარა და მიწაზე დაფოფხავს. აქ ბაღია ყოფილა, გზა თურმე ამიტომაც მოდიოდა. ეგერ, მოშორებით, რაღაც ხუხულა დგას, ალბათ ყარაულისა. რწყავენ, თუ როგორ ხარობს აქ საზამთრო? შაქრო გუულდამშვიდებით იღებს მიწიდან საზამთროებს, ატრიალებს ხელში, გუულდასმით სინჯავს, თითქოს საკუთარ ეზოში იყოს – გვერდზე არც კი იხედება.

– ბიჭო, რჩევის თავი გაქვს? ჩქარა ვინმე არ დაგინახოს!

– ე-ე-ე, პაპიჩემის ბაღიაა, ჯო! – კახურად უქცევს შაქრო. როცა უკან ბრუნდებოდა, უკმაყოფილოდ გააქნია თავი: – რა ცუდად მოუვლია პაპაჩემისა ბაღისთვინა, ჰა!

მართლაც, საზამთროები პატარები და არცთუ ტკბილები გამოდგნენ. ალბათ მოსავალი რა ხანია უკვე აღებული იყო და ეს უსარგებლო ნარჩენები დატოვეს. მათი წყლიანი გული წყურვილს მაინც კარგად ჰკლავდა.

დამდება, დროა, სადგომზე ვიზრუნოთ. ისევ ველზე ვბრუნდებით, იქ სწორი ზედაპირი მაინც არის საველე საწოლების გასაშლელად.

ქვიშაქვიან გორაკებზე ხორციფერას დაბალ ბუჩქთა ტოტები დავამტვრიეთ – ნედლიც კი მშვენივრად იწვის შიშინ-ტკაცანით; მაღალ ალში ნაპერწკლები გაიფლავებს და კიდევ უფრო ზევით, ვარსკვლავებისკენ მიისწრაფვის. მაღალი ალი კი საჭიროა, ორიენტირად გამოდგება, რადგან ვახშმის შემდეგ ჩვენი მონადირენი სადღაც გადაიკარგნენ, აქ კურდღელი ბლომად იქნებაო. ღმერთმა ქნას, ერთი მაინც არ გაუშვან...

შუაღამეა. მონადირეებს კარგად შეაგვიანდათ. ვარსკვლავებიანი გუმბათი ნელა ტრიალებს, მთვარე ნელ-ნელა მაღლა მიბობდავს, ათვალღერებს მიდამოს. ვეჭვობ, რაიმე დაინახოს: თვით მეტად ახალგაზრდაა, ნათელი არ ჰყოფნის, გარშემო კი ერთი პატარა, მბუჭტავი სინათლეც კი არ ჩანს მთელ ივრის ველზე, თითქოს ქვეყნის კიდევ ვიყოთ. კავკასიონის ქედზე რომ ვიყავით ჯვარისთავთან ღამით, მაშინ რამდენ ნათელი წერტილებით დაწინწკლულ სოფელს ვხედავდით ალაზნის ველსა და ციფ-გომბორის კალთაზე... აქ კი იღუმალი, ყრუ სიბნელე განფენილა ყველგან; გარშემო შავ გორაკებს სრულებით ვერ ანათებს ჩვენი კოცონი, პირიქით, თითქოს კიდევ უფრო აბნელებს გარემოს. სიჩუმეში შორიდან მოტანილი ძაღლთა ყეფა ისმის; ალბათ ცხვრების ბინებიდან მოდის ეს ხმა, უკვე ჩამოსული იქნებიან ფარები იაღლებიდან.

ძრავის ხმაური ნელ-ნელა გვიახლოვდება. აი, ორმა ბრიალა თვალმაც გამოანათა და მაღვ მანქანაც მოგრიადლა. მონადირენი გადმოდიან, ყველა თბილად შეფუთულა – საკმაოდ გრილი ღამეა და, მით უმეტეს, მანქანაში შეგცივდება, როცა ქარი გცემს.

მიწაზე კოცონის პირას რბილად ეცემა თეთრი საგანი. კურდღლის ღია, დიდ თვალეში ალი წითლად ირეკლება. სანადირო დანით შეიარაღებული კვაპატაძე არავის ანებებს კურდღლის გატყავებას, სანამ ნადირი რობინზონას უკანა ფეხებით დაკიდებული უჭირავს. მოსულნი აღვზნებულნი არიან დიდი გმირობის გამო და, რასაკვირველია, უმცირესი წვრილმანებით გვიყვებიან ნადირობის ამბებს: რამდენი კურდღელი გაეჭკათ, რამდენს დააცილეს... მხოლოდ შაქროა გაჩუმებული, იღიმება – ეს კურდღელი მისი აყვანილია.

ლაპარაკს ყურს აღარ ვუგდებ. საძილე ტომარაში შექრომა და ფეხების გაშოტვა ახლა ყველაფერს მირჩევნია. საკვირველია, რა ტკბილად გეძინება, როცა თავზე ვარსკვლავები დაგნათიან და ნელ ნიავს მოაქვს ჭრიჭინობელების ხმა და ველის ბაღახის ნაზი სურნელი...

კარი XIII. ნაზარლების ხევი – დედოფლისწყარო

დილაადრიან მეღვიძება. უჩვეულო სიმსუბუქესა და ძალ-ღონის მოზღვავებას ვგრძნობ. როგორც ჩანს, კარგად გამოვიძინე, უფრო კი ალბათ ველის ჰაერის წყალბაა – ისეთი მსუყე, გრილია, რომ პირის დაბანა არც გჭირდება გამოსაფხიზლებლად. თუმცა, ძალიანაც რომ გინდოდეს, წყალს აქ სად იშოვნი, წყალი მხოლოდ იორშია. თუ სამხრეთისკენ გაიხედავ, ივრის მოყვითალო ველის შემდეგ, ათიოდ კილომეტრში მოჩანს მდინარის მწვანე ჭალა, რომელიც ზოლად გასდევს ჩრდილოეთიდან ელდარის ქედს. ელდარის მთის აღმოსავლეთით კი დილის პირდაბანილი მზე იჭყიტება, ყვითელ მბრწყინავ ნიაღვარს აფრქვევს გარემოს... ერთი მამლის ყვილილა გვაკლია და იდილიური სურათი იქნებოდა.

ფეხზე ამდგარნი მხოლოდ კვაპატაძე და სიკო გულოვანი არიან, კურდღლის გატყავებულ წითელ სხეულს დასტრიალებენ, ახალგაზრდებს სძინავთ. გავრბივარ მეზობელ გორაკზე, ხორციფერას ტოტებს ვამტვრევ. საჩქარო კი არაფერია, მეხალისება ამ გრილ დილას ავირბინო ბორცვზე, მოვაგროვო საწვავი, შემდეგ გადავხედო გარემოს, სირბილითვე დავეშვა ფერდზე და შეუსვენებლად ისევ ავირბინო მეორე გორაკზე.

საუზმეზე უწყლობა ვიგრძენით. არა უშავს, ნაზარლების ხევი წყარო უნდა იყოს.

ამჯერად სწორად ავირჩიეთ მიმართულება: გზა დაიკლაკნა ბორცვებს შორის და მალე გვერდინ დასწვება მეტად ვიწრო ნაზარლების ხევში, რომელშიც ორი მანქანა ყველაზე ვერც კი აუქცევს გვერდს. აქეთ-იქიდან თითქმის შვეული კედლებია კირქვებისა და კონგლომერატების, აქ გამოდის ეგრეთწოდებული შირაქის წყება – მეოცის-პონტის კონტინენტური ნალექები.

ავყევით მალა ხევს. ბორბლებქვეშ წყალი ჭყაპუნობს, ნაკადული გზას მიიკვლევს ხევის ქვიშიან ფსკერზე; ალაგ-ალაგ იკარგება, რომ რამდენიმე მეტრის შემდეგ ისევ გამოჟონოს ზედაპირზე.

ხევში გრილა, მზე ჯერ ვერ აღწევს მის ძირამდე, მხოლოდ მალა, ხევის კედლების თავზე, მოწითალოდ ანათებს ბროწეულისა და ძეძვის ბუჩქებს. ბროწეული ხევშიც ბევრი იზრდება, მის ნაყოფებს აქა-იქ უკვე გაუღიათ ლალისმარცვლებიანი სალარო, ეპატიუებიან ყველას – ჩვენ, ჩიტებს: მოლით, გემო გაგვისინჯეთო.

– კურდღლის ხორცს მოუხდებოდა, – თქვა კვაპატაძემ და ბროწეულის მარცვლების ახალი ულუფა ჩაიყარა პირში.

წყაროს პირას ვისხედით ხევში, ქვებზე. ბროწეულმა წყურვილი გადაგავიწყა. ამ წყაროს წყალს არცთუ სასიამოვნო გემო ჰქონდა. გარშემო ცხვრები გვერტყა, წყლის დასალევად მოედნათ. ორი მოხუცი მწყემსი სიამოვნებით ქაჩავდა შეთავაზებულ სიგარეტებს და გვესაუბრებოდა. საუბარი, კვაპატაძის თაოსნობით, ნადირობის საკითხებს შეეხებოდა. კვაპატაძემ უკან დაბრუნება შემოგთავაზა:

– მოლით, ამ ხევს ჩაუყვით; გზა რომ ხევში ჩამოვიდა, იმის ქვევით, მე მგონია, ზღვიური აღჩაგილის ნალექები უნდა იყოს, მდიდარ ფაუნას ვნახავთ...

– შენ ეს მიბრძანე, რაზე ვინადირებთ იქ? რომელი ფაუნა გაინტერესებს? – სიკო შეეცადა, შეერბილებინა ნათქვამი, მაგრამ უნებურად “შენობით” მიმართვა გამოუვიდა და კვაპატაძე მიხვდა – სიკოს აღიზიანებდა დროის ფუჭი დაკარგვა.

– კურდღელიც არის საკმაოდ, მელაც, – თქვა ერთ-ერთმა მწყემსმა.

– სიკო, დღეს კაკბის ხორცი უნდა გაგასინჯო, – გაიცინა კვაპატაძემ და სიკოს ხელი დაჰკრა მხარზე, – დიდი ხნით არ გაგჩერდებით. იქ წყლიანი ხევია, კაკაბი აუცილებლად იქნება. უნდა ვიჩქაროთ: კაკბები დილით ადრე ჩამოდიან წყლის დასალევად და მერე საკვების საძებნელად მიფრინავენ. დროს ნულარ დაგვარგავთ, წავიდეთ.

დავუყვით ხევს ქვევით. ბაყაყები, როგორც ჩანს, ჯერ არ აპირებდნენ ზამთრის ძილს – წამდაუწუმ ხმაურით ხტებოდნენ წყალში. ჩავიარეთ ის ადგილი, სადაც გზა ხევიდან მარჯვნივ უხვევდა და ისევ ხევით განვაგრძეთ სვლა. აქ მშვენიერი გეოლოგიური ჭრილის გაკეთება შეიძლებოდა. ბოლოს, იძულებული გავხდით, გავჩერებულყავით და ახლა მივხვდი, რატომ გადაუხვია გზამ ხევიდან: აქ ხევი ძალზე დავიწროვდა, თან ქვიშაქვების უზარმაზარი ლოდინებით იყო ჩახერგილი – მანქანა ვერ გაივლიდა.

კვაპატაძე ჩამოხტა გაჩერებული მანქანიდან და, თოფმომარჯვებული, მკვირცხლად გაეშურა რუხი გორაკებისკენ. კაკბებს უყვართ ბუჩქნარით შემოსილი ასეთი ფერდობები, სადაც შეიძლება ბროწეულის ტკბილ-მომყავო მარცვლებისა და საკმლის ხის წვრილი ნაყოფის აკენკვა.

დანარჩენები მანქანებთან დავრჩით და ვუსმენდით რობინზონას გაუთავებელ ამბებს შოფრებისა და საგზაო ინსპექტორების ურთიერთობის შესახებ. როცა შორიდან რამდენიმე ბათქი მოგვესმა და დავინახეთ, როგორ გადმოფრინდა და მახლობელი გორაკის მოფარებულ ფერდზე შრიალით ჩაჯდა კაკბების გუნდი, შაქრამ ვეღარ მოითმინა, დაავლო ხელი სიკოს ორღულიანს, ჯიბეში საჩქაროდ ჩაიყარა ვახნები და ძუნძულით მოუსვა აღმართში. მეც უკან ავედევნე.

ავედით უახლოესი გორაკის წვერზე და გავიხედ-გამოვიხედეთ. ჩვენს წინ გადაიშალა ერთიმეორეზე მიწყობილი ბორცვების წყება. აქა-იქ ფერდობებზე ბრიალა კოცონივით გადაწითლებული თრიმლის ბუჩქებია, აგრეთვე: ფოთოლგამარცული მკაწრაგ-მჩხვლეტავი ძეძვი, წვრილი შენაყოფა ჩიტავაშლა და ალაგ-ალაგ – უროს გაყვითლებულ-გახვეებული, უხეში ბალახი...

იცით, რა არის კაკაბზე ნადირობა? კაკბებს კლდოვან, იშვიათი ბუჩქნარით დაფარულ გორაკებზე შეხვდები, ანდა, უფრო იშვიათად, უროთი გადაყვითლებულ ფერდობებზეც ჯდება. შენი თვალით დაინახე, სადაც დაეშვა კაკბების გუნდი, ჩქარობ, თან ფრთხილობ, ეპარები იმ ადგილს, დაძაბულად მოელი კაკბების ხმაურით აფრენას, რომ უკან ბათქი დაადევნო... მაგრამ ნურას უკაცრავად! არც არაფერი წამოფრინდება და გულდაწყვეტილი დააბოტებ სწორედ იმ ბუჩქებთან, სადაც ერთი წუთის წინ კაკბები დასხდნენ. შენ კი მიიჩქარი, მაგრამ კაკბები რა, სულელები არიან? იმათაც აქვთ ფეხები, მარდად გარბიან და არ თაკილობენ კარგა დიდი მანძილის გაგლასაც. გულმოსული ოფლს იწმენდ, სულს ითქვამ აღმართის შემდეგ და უცებ გვერდით გესმის კაკბების კუტკუტი... ახლა იმათ ხმაზე იღებ მიმართულებას, უკვე ნასწავლი ხარ, მაინცდამაინც არ ჩქარობ, კაკაბი კი, თუმცა მეტიმეტად ფრთხილი ფრინველია, ზოგჯერ გაისუსება და უცებ თითქმის შენს ფეხქვეშოდან ზრილით აფრინდებაპმთელი გუნდი... შენ მოულოდნელობისგან შეკრთები (შეგვშინდება-მეთქი, როგორ ვთქვა!) და სანამ თოფს ასწევდე და დაუმიზნებდე, კაკაბთა გუნდი უკვე მეზობელი ბორცვის თავზეა

და მოფარებულ ფერდზე ეშვება. და არ გეგონოს, მწვერივით ადვილი იყოს მისი ჩამოგდება (რასაკვირველია, თუკი სათოფე მანძილზე მოახერხე მისგლა): ისარივით სწრაფად მიფრინავს, თან “ჭღრ-ჭღრ...” – ჭუკჭუკებს ფრენისას; ხან ხშირ-ხშირად აფართქალებს ფრთებს, ხან აჩერებს და პლანურივით მისრიალებს; შემდეგ ისევ ააფართქალებს ფრთებს და აი, უკვე უძრავი ფრთებით მიმქროლავი მთელი გუნდი ორმოცდაათიოდე მეტრის დაშორებით მდოვრედ მოხაზავს რკალს ბორცვის თავზე და ლამაზად ეფარება შენგან უხილავ ფერდობს... ახლა კი, თუ გული გერჩის, უნდა გაიქცე ამ აღმართ-დაღმართებში იმ ადგილისკენ, კაკები კი ამ დროს სულ არ ფიქრობენ, რომ მოგიცადონ – და აი ასე, კუკუმაღულობანას თამაშში შეუმჩნეველად მისდევს საათს საათი. რა გასაკვირველია, რომ მე და შაქრომ ბევრი ვირბინეთ, გულები ამოგვივარდა, კაკები საკმაოდ გნახეთ და ერთი ვაზნაც კი არ დაგვიხარჯავს... ჩამოვსხედით ფერდობის ქვებზე დასასვენებლად, თაკარა მზე კი გახურებულ სახეებს კიდევ უფრო გვწვავდა (აქ ამ დროსაც მზე ზოგჯერ ბზიკივით იკბინება) და სწორედ ამ დროს გაგვიღიმა ბედმა.

ორი ბათქი გაისმა შორიახლოს და მალე მომფრინავი კაკების გუნდი გამოჩნდა, რვა-ათი ფრთა იქნებოდა. წაგვარი იდაყვი შაქროს – კაკები ზუსტად ჩვენსკენ გამოემართნენ. შაქრო ფეხზე წამოხტა და თოფი მოიმარჯვა. უფრო ადრე კაკებმაც შეგვაძინიეს და ჩვენგან ათი-თხუთმეტი მეტრის დაშორებით ფრენის მიმართულება იცვალეს – მარცხნივ გაუხვიეს და გაიფანტნენ. შაქროსთვის ეს უფრო ხელსაყრელიც იყო: ფრინველები მიზანში ადვილი ამოსაღებნი გახდნენ. ორი კენტი გასროლა – და ორი კაკები მოწყვეტით ჩამოვარდა მაღალ ბალახებში. ერთი კაკები მაშინვე ვიპოვეთ – იქვე ეგდო უსიცოცხლოდ, მეორემ საქმე გაგვიჭირა. გორაკებს შორის მცირე ხევში სულ გადავაფოთილეთ ყველაფერი, შავი ბირკებით გაგვეზეპა შარვლები და ნარეკლითაც საკმაოდ დავიჩხვლიტეთ ხელები – მეორე კაკები არსად ჩანდა. ბოლოს, ძლივს მივაგენით მისი ჩამოვარდნის ადგილიდან კარგა შორს: დაჭრილიც კი გაქცეულიყო (ერთა ჰქონდა გადამტვრეული) და შევუშულიყო თრიმლის ბუჩქში.

ამის შემდეგ შაქრო მთლად გადაირია: გიჟივით არბოდა-ჩამორბოდა ბორცვებზე, გახარებული და გახალისებული. ოფლი ღვარად ჩამოსდიოდა სახეზე, ადგზნებისგან ხელები უკანკალებდა, სახე და მკლავები ძეძვნარში ძრომივით სულ დაეფხოჭა; მაინც არ აცილებდა დაძაბულ მზერას საეჭვო ადგილებს... ორჯერ კიდევ აგვიფრინდნენ კაკები, ორჯერვე დააცილა შაქრომ: პირველად აჩქარდა, მეორედ კი დააგვიანა გასროლა.

– ეჰ, ძალიან შორს იყვნენ... – შაქრომ მბოლავ თოფში ახალი ვაზნები ჩადო.

– აბა, რა გეგონა, კაკები ეგრე იოლად მიგიშვებდნენ ახლოს? ჭკუით უნდა მოქმედება, ყმაწვილო, ჭკუით! – კვაპატაძე მოგვიახლოვდა, ერთი კაკები მოენადირნა და მაინც კმაყოფილი ჩანდა; ხენეშით ჩამოჯდა ქვაზე: – ეჰ, სადღაა მაგის გული!.. ბიჭოს, ორი კაკები?.. ძაღლი წამომეყვანა, კარგი იყო... შეხედე, კაცო, რა მძიმეა!

კაკები მართლაც მოზრდილი ვარიების ტოლა იქნებოდნენ. ფრთამოტეხილი დროდადრო შეფრთხილდებოდა, ცდილობდა, ხელიდან გამსხლტომოდა. მისი მრგვალი, თაფლისფერი თვალი უძრავად, თითქოსდა უშფოთველად შემომყურებდა, მაგრამ თვითონ ისე დაძაბულად, ხშირ-ხშირად სუნთქავდა, რომ შემეცოდა; გცდილობდი, დაზიანებულ ფრთას არ შევხებოდი. კვაპატაძემ ხელი გადაუსვა წითელ ნისკარტზე, კოხტად გამოყვანილ თავზე, მუქ ზურგზე; მკერდზე სისხლის ლაქები ემჩნეოდა, მოიბუზა, დაპატარავდა...

– წავიდეთ, ხომ? – კვაპატაძე ხენეშით წამოდგა ზეზე. – აღარ ვარგვიარ სულ, ერთი გუნდიც კი ვერ დაეშალე. წინათ თითო ნადირობაზე თხუთმეტი-ოცი კაკები ამიყვანია... ჰო, ისიც მართალია, კაკები მაშინ მეტი იყო, ბევრად მეტი.

თითქოს ნიშნს გვიგებენო, უკან წამოსვლისას ხშირად გვიფრინდებოდნენ კაკები. შაქროს გულმა ვერ მოუთმინა და ერთ გუნდს გამოეკიდა. კვაპატაძეს გაეცინა, მაგრამ, დარწმუნებული ვარ, თვითონაც ხალისით მიბამავდა, რომ შეძლებოდა.

მანქანები ჩრდილში იდგნენ. რობინზონას კაბინაში ეძინა, დანარჩენები არ ჩანდნენ. ამ ადგილას წყალი უკვე დაკარგული იყო ქვიშაში, ცოტა ზევით წავედი და იქ შევისხი სახეზე გასაგრძელებლად. ერთ საათში შაქრო მოვიდა, შორიდანვე ასწია მაღლა ხელები – სამი კაკები დაგვანახა.

– აბა ჩახოხბილის მასალა მზად გვაქვს, – თქვა კვაპატაძემ, მერე მე მომიბრუნდა: – წამოდი, ერთი ქვევით ჩავიაროთ, ჩვენები იქ უნდა იყვნენ.

ამ დროს მოსე, სიკო, მარკოზი და ჯანსუღი გამოჩნდნენ ხევში აყუდებულ უზარმაზარ ლოდებს შორის. აღზაგილის ფაუნიანი ქვიშაქვებისა და თიხების ნატეხები ამოალაგეს ზურგჩანთებიდან. ნიმუშები თითოეული ცალ-ცალკე გავახვიეთ ქაღალდებში და ფეხით აღმა ავუყვევით ხევს.

მთელი დღე აუჩქარებლად მივდიოდით ნაზარლების ნესტიან ხევში, მანქანები უკან მოგვეყვებოდნენ. ალაგ-ალაგ დიდი ხნით ვჩერდებოდით, ვისატავდით გაშიშვლებებს, ვიწვრდით მონაცემებს. წყაროსთან წყლის სმით გავიჭვიპეთ; მშვივრები ვიყავით და ბროწეულის ლაღისფერი მარცვლები რომ არა, მუშაობა გაგვიჭირდებოდა.

როცა გადახრილმა მზემ დასავლეთით ბუჟტვა დაიწყო, მანქანებს მივაშურეთ. დღეს ძლიერ დავილაღეთ და გვარინანადაც მოგვშივდა. ცხადია, ჩამავალი მზის სხივებით მოწითალოდ შეფერადებული ბორცვები ჩვენში მაინცდამაინც დიდ ინტერესს ვერ აღძრავდნენ, მხოლოდ როცა მირზაანს მივუახლოვდით, ნავთობსარეწების კოშკურების ტყემ გამომაფიზლა ცოტა ხნით. მასიური რკინისბოლოიანი ქანქარა ისე იხრებოდა მიწისკენ, თითქოს ნავთობის ამოტუმბვას კი არ ემსახურებოდა, არამედ შიოდა და ვიდაცას მოწყალების გაღებას შესთხოვდა.

დედოფლისწყაროში რომ შეგვდით, უკვე ყველგან ბდღვრიალებდა ლამპიონები.

რაც შეეხება ჩახოხბილს, მე მისი აღწერისგან თავს შევიკავებ; არ გეგონოთ, ძველი მონადირის სარდიონ კვაპატაძის კულინარული ნიჭის შეფასებისგან მინდოდეს თავის არიდება, პირიქით, ქების მეტს რას ვიტყვოდი, მაგრამ რამდენიც უნდა ვილაპარაკო, მაინც ვერაფერს გაგრძნობინებთ; ამისთვის საჭიროა, თქვენ თვითონ გასინჯოთ კაკბის ჩახოხბილი, ხოლო თუ გინდათ მისი გემო კიდევ უკეთესი იყოს, გირჩევთ წინდაწინ სიცხით გათანგულ კლდოვან გორაკებზე სულ ცოტა სამი-ოთხი საათი სდიოთ თქვენს მომავალ საკბილოს.

კარი XIV. ყუშისხევი, ტარიბანელი მწყემსები

დედოფლისწყაროს ჩრდილოეთიდან კირქვის დაბალი მთები აკრავს. გორაკები თამარი, ორი ძმა და სხვები კირქვების კარიერებით არის დასერილი, იქიდან დროდადრო ყრუ აფეთქებების ხმა ისმის; დედოფლისწყაროს სამხრეთით კი ამ მიდამოების ყველაზე მაღალი მთა – ნიკორაცხე ანუ ელია – არის თეთრად აწოპილი. დღეს ღრუბლიანი ამინდია, მხოლოდ ხანდახან თუ გამოაჩენს მზე აბრეშუმის ხელებს ღრუბლებიდან. მაინც, რატომღაც დედოფლისწყარო მზიანის, ნათელის, სუფთას შთაბეჭდილებას ტოვებს; ისეთი მხარე უნდა იყოს, სადაც მზესუმზირა პალიან ლაღად გრძნობს თავს. გარშემო აღებული პურის ყანების ყვითელი ლაქებია, ზედ დედოფლისწყაროს მეზობლად ქოჩების ტბა ლივლივებს და მასზე შავ, ხშირ წერტილებად ჯგუფ-ჯგუფად დასრიალებენ გარეული იხვები, ყურყუმელები.

მაღე ამ ჩვენს აღფრთოვანებას ცივი წყალი გადაესხა – არა მხოლოდ გადატანითი, არამედ პირდაპირი მნიშვნელობითაც: ისეთმა გულის გამაწყალებელმა წვიმამ დაუშვა, ყველამ ცხვირები ჩამოვუშვიო... გარდა, რასაკვირველია, მარკოზისა და შაქროსი: აქაურ ნავთობის მაძიებლებთან, სადაც ჩვენ ბინად შევიხიზნეთ, ნარდი აღმოჩნდა.

პირველ დღეს წვიმიანობა მაინცდამაინც არ გვწყენია. პირები გავიპარსეთ, ერთი კვირის გაზეთები გადავიკითხეთ, დავისვენეთ. ხალხს ტროპიკული აფრიკიდან ჩამოსულები ვგვონებოდით: აბანოში ორი საათის განმავლობაში ხეხვამ ბევრი ვერაფერი გვიშველა, ისევე ისე გარუჯულები დაფრჩით. მხოლოდ ახლა მივაქციეთ ყურადღება, რომ ყველანი მავრებს ვგავდით – ესეც შენი შემოდგომის მზე!

– მირზაანში მაინც მივიდეთ გეოლოგებთან, – შემოგვთავაზა სიკო გულოვანმა, როცა რამდენიმე დღე გავიდა და წვიმა გადაღებას არ აპირებდა. – გარე კახეთში თუ ასეთი გაბმული წვიმები იცოდა, რას ვიფიქრებდი.

– რომ გავეჩხიროთ ტალახში? – დაეჭვდა კვაპატაძე. – ყველაფერი დამბალია, აქაური გზების ამბავი ხომ იცი.

მაინც წავედით – მირზაანამდე გზას მაგარი საფარი აქვს და არ შეგვშინებია (ნიკო ფიროსმა-ნაშვილის მშობლიური სოფელი არ გეგონოთ – ეს მირზაანი ნავთობის სარეწების დასახლებაა, აწ თითქმის დაცარიელებული).

საოცრება მერე დაიწყო. რამდენიმე კილომეტრით დავცილდით დედოფლისწყაროს სამხრეთ-აღმოსავლეთით და მიდამო სრულიად მშრალი გახდა, ერთი წვეთი არ იყო ჩამოვარდნილი!..

მირზაანში გეოლოგები არ დაგვხვდნენ; ასეთ მშვენიერ ამინდში მარშრუტზე სიარულს რა სჯობს! ღრუბლიანი დღეა, მზე არ აცხუნებს, დამატებით კიდევ – ნიაგი უბერავს, მაღალ, გადაყვითლებულ უროს გორაკთა ფერდობებზე ისე აღვლევს, თითქოს პურის ყანა იყოს.

ჩვენც მარშრუტს დავადექით: ყუშისხევს დაგუყვით სამხრეთისკენ. კიდევ კარგი, ყველანი წამოვედით, გარდა რობინზონასი, ის თავისი მანქანით დარჩა. სამთო კომპასები და ზურგჩანთები ყოველი შემთხვევისთვის წამოღებული გვქონდა, გეოლოგიურ ჩაქუნებზე ხომ ზედმეტია ლაპარაკი – ისე ვართ შეჩვეულები, თუ ხელში არ გვიჭირავს, თითქოს რაღაც გვაკლია, უხერხულად ვგრძნობთ თავს.

ჩვენი ავტომანქანა “გაზ-69” ხევში მშვენიერად მოგვეყვებოდა უკან, ყველაზე უსწორმასწორო ადგილებიც კი ვერ აჩერებდა. დროდადრო ფეხით მიმავლებს შაქრო მანქანით გაგვისწრებდა, შემდეგ გადმოვიდოდა და კარგა დიდ მანძილზე ფეხით მოგვეყვებოდა, სწყინდებოდა მანქანაში მარტო ყოფნა.

ერთგან წვრილმარცვლოვან კონგლომერატებში ძალიან დიდი ლოდინი იყო გამორეული. ყველანი შევჩერდით და გავაბით დისკუსია ამ ფენომენის წარმოშობის ასახსნელად.

– აი მეტიარა! – თავისებურად გაიაზრა შაქრომ. – სად გაერია პატარებში, კაცო და! თუ მათი მასწავლებელია, ჰა?

თუ ჩვენ ერთ ადგილზე დიდხანს ვიდევით, – ვიხატავდით გაშიშვლებას, ჭრილს ადგწერდით ან გეოლოგიურ რუკას ჩავკირკიტებდით, შაქრომ თოფით ხელში დაწანწალებდა გარშემო გორაკებზე, ისევ კაკების მონადირების ემსში ჩავარდა. ამჯერად ბელი არ უღიმოდა, თვალის კი არ მოუკრავს მათთვის. მხოლოდ ერთხელ მეღია-კუდიგრძელია შეეფეთა, მოწითალო-მოშავო კუდი მოიქნია და პირდაპირ დანარჩენებისკენ გამოიქცა, თავგზააბნეული; შემდეგ ერთ ადგილას დატრიალდა და გვერდზე ისკუპა, თვალთაგან დაგვეკარგა.

– ეგ არი ნამდვილად, – თქვა შაქრომ, – კაკებს მელა დააფრთხობდა... აბა, ასე როგორ იქნება, კაცო, ერთი კაკაბიც არ ჩანს?

– შესაძლებელია, გარეული კატების ბრალიცაა, – თქვა კვაპატაძემ. – ხომ ნახეთ, ერთ ადგილას კაკების ფრთები და ბუმბული იყო გაფანტული ბუჩქებში.

– არა, მე უფრო მგონია, აქ სხვა მიზეზი უნდა იყოს: გაიხედეთ აი იქით, – სიკომ სამხრეთისკენ გაიშვირა ხელი, – ხომ ხედავთ, იმ გორაკებზე ცხვრის ფარაა. რამდენიმე საათის წინ აქ იქნებოდა, სადაც ახლა ჩვენ ვდგავართ და, რასაკვირველია, კაკაბს აქ რა გააჩერებდა, სხვაგან გადაინაცვლებდა.

მზემ გამოიხედა, სითბო ვიგრძენით. კოცონივით წითლად მოგიზგიზე თრიმლის ბუჩქები მძაფრ, კაშკაშა, მოელვარე კუნძულებს ჰქმნიდნენ უროთი, კეწეწურათი, შვრიელათი გადაყვითლებულ ბორცვებზე. ჯანსუღ კელკელაშვილს, როგორც იქნა, ბედმა გაუღიმა: ყუშისხევის მალაღ ნაპირზე დიდი ხნის ქექვის შემდეგ აღმოაჩინა გაყვითლებული ძვლების ნამსხვრევები. გახარებულმა, ყველას სათითაოდ ხელში დაგვაჭყერინა უცნაურკბილებიანი ყბის ნატეხი, რამდენიმე უფორმო ძვლის ნატეხი... ამის შემდეგ ჯანსუღს თითქოს ძალ-ღონე გაუთიკვდა, სულ ერთიანად გადათხარა იქაურობა. ჩვენც ყველამ დროებით ვუღალატეთ საველე გეოლოგიას და ერთი საათით ხერხემლიანთა პალეონტოლოგებად გადავიქცით. გამალებით ვქექავთ გეოლოგიური ჩაქუჩებით მკვრივ ნიადაგს. მოსახმარებლად მოსულმა შაქრომ ცოტა ქვევით ნიადაგის ფენის შემდეგ მიაკვლია ნაცრის ფენას, რომელშიც შემდგომი გათხრის შედეგად ნახა გამომწვარი თიხის ფილა, კაჟის დამუშავებული ნატეხები, თიხის ჭურჭლის ნამტვრევები... ერთ წამში ყველანი არქეოლოგებად ვიქცით – ახლა ნივთიერი კულტურის ძეგლთა ნაშთებს ვეძებთ...

საუბარიც ამ თემას უტრიალებს. ყველაფერი ნანახი მოგვაგონებს, რომ საუკუნეების წინ, შესაძლებელია, აქ ამ გადატრუსულ და ქვალორდიან გორაკებზე, ცივილიზაცია ჰყვარდა და ეს ნამოსახლარები ალბათ დამყრობთა ცხენების ფლოქვებქვეშ წარმოიშვა. ძველთაძველი კამბეჩოვანი – ასე ერქვა გარე კახეთის ამ ნაწილს წინათ; თუ სულ მთლად წალკოტი არა, მუდმივად მცხოვრები მოსახლეობით დასახლებული ადგილი ნამდვილად იქნებოდა. ახლა კი მხოლოდ ქარი და მზეა ამ ადგილების მუდმივი ბინადარი... რუხი ბორცვები სევდით იგონებენ ძველ მჩქეფარე ცხოვრებას...

მრავალი და მრავალი მნახველის გულში ეს ადგილები სწორედ ასეთ განწყობას იწვევენ – სევდასა და ნაღველს. ამ უკაცური, ერთფეროვანი პეიზაჟების ხილვა თითქოს სხვა გრძნობებს ვერც გამოიწვევს... მაგრამ ეს ხომ ასე არ არის! პეიზაჟების ერთფეროვნება? არაფერი მაგის მსგავსი! უსიცოცხლობა, უძრაობა? არავითარ შემთხვევაში! მხედველობაში არ მაქვს თუნდაც ის, რომ ჩვენ და ბევრი ჩვენისთანა დროდარო მონახულებენ ამ ადგილებს: მწყემსები ცხვრის ფარებით, მონადირეები, მეცნიერები... აქ ყოველ ნაბიჯზე სიცოცხლე დუღს: ეგერ მალლა ცაში ველის არწივი უგლის წრეებს; ყუშის ხევის მოსახვევში ფრთხილი ქედნების გუნდი თეთრად აფარფატდა ჰაერში; ყოველი მხრიდან კალიების წინწრიხი ისმის; აგერ თუნდაც ფეხქვეშ რომ დაიხედო – ჭიანჭველები გაჭიმულან ძეწკვად, ბუდეში ზამთრისთვის ბალახთა თესლს იმარაგებენ; ღმერთო ჩემო, რამდენი ხვრელია ყოველ ფეხის ნაბიჯზე: სულ წვრილიდან, – ჩხირი თუ შეეტევა, – მოზრდილ სორომდე. რას იზამ, თუკი ზერელე თვალი ბევრს ვერაფერს შენიშნავს: ამ ადგილების ბინადარნი უპირველეს ყოვლისა იმაზე ზრუნავენ, რომ დაიმალონ, შეინიღბონ – საკბილოს ჩაუსაფრდნენ ან, პირიქით, საფრთხე აიცილონ... ბევრნი ღამით გამოდიან სანადიროდ: მელა, მგელი, ტურა, გარეული კატა, აფთარი; ამბობენ, კოწახურის ქედის კრანჩებზე საკმლის ხის, აკაკის, ბერყენისა და ღვიის ნათელ არიდულ ტყეებში დათვიც ბინადრობსო. სიცოცხლე აქ ჩაკვდა? მერე რა, რომ ზოგიერთი ბალახი გაფრთხილებულა, გამხმარა, მათ მოათავეს სეზონის მიხედვით თავიანთი მოღვაწეობა. აბა დაუკვირდით, გარშემო რამდენი სახის ბალახია, რომელთა უმეტესობის სახელიც კი არ ვიცით! მერე რა, რომ ისინი მყვირადა, ხასხასა ფერებით არ გამოირჩევიან, გარდა, რასაკვირველია, თრიმლისა, რომელიც გვიან შემოდგომაზე ფოთლებს ალისფერ წითლად იღებავს, თითქოს გაშინებს – ნუ მომეკარებიო. ჩვენ მაინც მოვწვევით რამდენიმე ფოთოლი, თითებს შორის მოვსრისოთ და დაგვენოსოთ: რაოდენ მძაფრი, სასიამოვნო სურნელი აქვს! ან აი, ეს ნაცრისფერი ბალახი, ტაფობების გამარილიანებულ

ნიადაგებზე რომ ხარობს, სადაც სხვები ვერ ძლებენ – ნუ დაგვეზარება, დავიხაროთ და მოვწყვიტოთ... ეს ავშანია, ცხვარი მას ყველაზე მეტად ეტანება. აბა გასინჯეთ, თუ სურნელით ზაფრანას ჩამოუფარდებოდეს!

საქმით გართულებს, კარგა დიდი მანძილი გაგვივლია სამხრეთისკენ, შიმშილმა და წყურვილმა შეგვახსენა თავი. რაკი სტუმრად მივდიოდით, საჭმელი თან არ წამოგვიღია; ყუშისხევეში კი თუმცა წყალი მორაკრაკებს, მისი დაღვევისგან თავს ვიკავებთ: გემოც არ უფარგა და ავამღვრიეთ კიდევ (სანახევროდ წყალში მივჭყლაპუნობთ – აქ ქანთა უკეთესი გაშიშვლებებია). მეფრინველეობის ფერმაშიც ვერ ვიშოვეთ წყალი. თეთრი ქათმების ჯარი დასეირნობდა საქათმის გარშემო, ჭყიპინა ბელურები დახტოდნენ მიწაზე, უსირცხვილოდ კენკავდნენ ქათმებისთვის განკუთვნილ საჭმელს.

სამხრეთით მალე გავვედით ტარიბანის ფართო ველზე. აქ ქანთა გაშიშვლებები ალა-რაა, ველი უნდა გადაგვევითოთ, რომ, კიდევ უფრო სამხრეთით, მივადწიოთ კოწახურის ქედამდე. გამოჩნდა ცხვრების ფარა, უზარმაზარი ნაგაზები ბრაზიანი ყეფით გამოეკიდნენ მანქანას. ნახევარი კილომეტრის შემდეგ მწყემსების ბინასთან შემოგვეგება ხანშიშესული მამაკაცი, ძაღლებს დაუტაცანა. ხის დიდი კასრი თითქმის სავესე იყო წყლით, თან ჯერ ისე არ გამოთბარიყო, რომ გემო დაჰკარგოდა. იქვე საბარგო მანქანა წასასვლელად ემზადებოდა, ალბათ იმით მოაქვთ წყალი. ცხვრებს რა უჭირთ, ყუშისხევის მლაშე წყალსაც მშვენიერად სვამენ.

ოქროსფერი ბზის გროვასთან დავსხედით მშრალ, თბილ მიწაზე დასასვენებლად. ხნიერი მწყემსების მზით დამწვარ სახეებზე ღიმილის დროს ღრმა ნაოჭები იწურებოდნენ, შორს ხედვას შეჩვეული მოჭუტული სუფთა თვალები დაუნახამებლად გვიყურებდნენ. საუბარი ხტოდა ერთი ამბიდან მეორეზე და მესამეზე: ამინდი, ცხვარი, ყოფაცხოვრება, პოლიტიკა... ცხვრის ფარა ახლომასლო გორაკების ფერდობებზე მიედინებოდა, ჩვენი მასპინძლების ამხანაგები ქანდაკებებივით იდგნენ ბორცვთა წვერებზე.

ღიას, ჩვენ მასპინძლობა გაგვიწიეს და მერე როგორი!

ქოხიდან გამოვიდა დიდულგაშა ძიაკაცი, ცალ ხელში ფართო ალუშინის ჯამი ეჭირა, მეორეში – ლიტრიანი ბოთლით არაყი, იღლიაში – პურის აგური. ჯამიდან ორთქლი ასდიოდა ცხელ-ცხელ ხაშლამას. მშრალად მოხარული ცხვრის მსხვილად დაჭრილ ნაჭრებს, მსხვილი მარილით მოყრილს, როცა პირში ჩაიდებ და ხევე, გლეჯ, წეწავ, ნერწყვით პირგამოვსებული, თავბრუსმდამხვევი სურნელება რომ სუნთქვას გიჩერებს და თვალებს განაბვინებს – აი, რა არის ხაშლამა! ცხელ-ცხელი, არყით ჩაკოკლოზინებული, სითბო და ნეტარების ჟრუანტელი რომ დაგივლის ტანში... შავი პური ძალიან მოუხდა ხაშლამას, თითქოს სხვანაირ პურთან ისეთ გემოს ვერ ჩავატანდით. ჩვენი მასპინძლები მოშორებით ისხდნენ ჩამქრალ კერასთან, რომ სტუმრებს უფრო ღაღად გვეგრძნობ თავი. ბევრი ვეხვეწით, მაგრამ, დიდი მადლობის გადახდით, იქვე დარჩნენ, ჩვენი მანქანის ბრუნებზე გაშლილ სუფრას გუდის ყველიც მიუმატეს. გემრიელი კი იყო, მაგრამ ძალზე მარილიანი, წყლის სმას ვერ ავუდიოდით.

პატარა ჭიქიდან რიგრიგობით ვწრუპავდით არაყს. კვაპატაძემ ჯერ პირველი ჭიქა დალია და შემდეგ სადღეგრძელო მიაყოლა. არ ვიცი, რატომ მოიქცა პირიქით, ცარიელ კუჭზე მძაფრად იმოქმედა სასმელმა, თუ ისედაც მეტისმეტად მაგარი იყო ოდნავ მღვრიე სითხე. ასე იყო თუ ისე, პროფესორმა კვაპატაძემ ღირსშესანიშნავი სიტყვა გვაჩუქა, ნამდვილად ცოდვაა ასეთი მარგალიტი უკვალოდ დაიკარგოს და ამიტომ ჩემს თავს ნებას მივცემ, დაახლოებით გადმოგცეთ მისი შინაარსი:

– მეგობრებო, ბიჭებო! მე მინდა, შევსვა ჩვენი შაქროს სადღეგრძელო. ჰო, მე უკვე შევსვი... კიდევ შევსვამ! იმიტომ, რომ შაქროს სახით ჩვენ გვყავს, ამხანაგებო, შესანიშნავი ადამიანი. ღიას, შესანიშნავი... ის შოფერია, რასაკვირველია, მაგრამ მონადირეც არის! ის სულით, გულით, მთელი არსებით არის მონადირე! ეს მისი ნიჭია, ღმერთს მიუცია მისთვის მახვილი თვალი, მტკიცე მკლავი და... ყველაფერი დანარჩენი. ჰო, ყნოსვა, ეფრო სწორედ, გუმანი – ის მეექვსე თვისება ანუ გრძნობა, ურომლისოდაც მონადირე არ არსებობს: ნადირის გრძნობა, მისი ადგილის გუმანით მიგნება... თქვენ ნუ მეტყვიან ახლა, ეს კაბალისტიკააო, მისტიკააო, არარეალურიო... არა, მას აქვს ნადირობის ინსტინქტი, ეს ჩასახული აქვს მას თავიდანვე, ამხანაგებო, გენებით გამოჰყვა. ალბათ მისი წინაპრები, შორეული წინაპრები, ნადირობის დეკაცები იყვნენ, ნამდვილი ნადირობის ღმერთები. რასაკვირველია, ცოდნა და გამოცდილება ბევრს ნიშნავს; შეიძლება შესანიშნავი თოფიც გქონდეს, სტაჟიც არ გაკლდეს, მაგრამ... მაგრამ თუ ნიჭი არ გაქვს, არაფერი გამოვა. შეიძლება, ხელი და თვალიც გიჭრიდეს, გულადიც, დაუღალავიც იყო და მაინც მონადირედ არ ვარგოდეს; ესე იგი, დე იურე შენ ირიცხები მონადირედ და დე ფაქტო კი – რა მოგახსენოთ!.. ყველა ეს თვისება, ბუნებით მონიჭებული, შოფრობამ განუვითარა ჩვენს ძვირფას შაქროს, დავხმარა, ღიას... ამასთან მას, როგორც ჩანს, შოფრობის ნიჭიც აქვს! შოფრობასაც ნიჭი სჭირდება! ღიას, მე ახლა ისე ახლოს არ ვიციან, როგორც სიკო ბატონი, მაგრამ თამამად შემიძლია ვთქვა, რომ შაქრო კარგი შოფერია, სანდო მძღოლია. რა არის შოფერი? ეს არის, მეგობრებო, უადრესად რომანტიკული პროფესია. სუსტი ნებისყოფის ან მშიშარა კაცი შოფრად არ ივარგებს... ასე არაა, შაქრო? ჰო, შენ გენაცვალე! არ უნდა შეგე-

შინდეს, არ შეკრთე, არ დაიბნე ათასი სიძნელე მოგელის გზაში, ზოგჯერ ხიფათიც, – აი, აქ გამოჩნდება, რაცა ხარ! კარგი ვაჟკაციც უნდა იყო, გამგები, ამხანაგური. შენ ყველას იმედი უნდა გქონდეს და შენი – ყველას... აბა, ასეა საქმე! უნდა დაეხმარო, შენც გაჭირვებისას ხელს გამოვიწვდიან... ვტყუი თუ? მაშინ მოკვდეს სარდიონი... ჩვენ კიდევ, გეოლოგები, განსაკუთრებულ პირობებს ვუყენებთ შოფრებს, ყველა კი არ გამოგადგება. ახლა ამ უგზობაზე რომ ჩამოვედით, ყველა კი არ დათანხმდებოდა ყუშისხვეით ჩამოსულიყო. მიზეზს ათასს მოიგონებდა: ეს – მანქანა დასამტვრევი სადა მაქვსო, ეს – აქ ვერ გაივლისო... კაცმა მოინდომოს და ხომ იცი... ხომ გახსოვთ, მდინარეზე რომ გადმოვდიოდით – მაწიშზე – ლაგოდებთან... რობინზონა ცუდი ბიჭი არაა, მაგრამ შეჩერდა – ფონზე პირველად ისინი გადავიდნენ! აი ასე!.. მაშ, კარგად იყავი, ჩემო შაქრო, შოფერს რომ სჭირდება, ის ვაჟკაცობა, მარჯვე ხელი და მარჯვე თვალი გქონდეს ყოველთვის! ისე, სხვათა შორის, ნადირობაშიც ქე გამოგადგება, ჰა-ჰა-ჰა!.. იცოცხლე, იცოცხლე და იდღეგრძელო!.. გეოლოგები, იცოდეთ, არ ვართ ცუდი ხალხი; შაქრო, სულ ჩვენისთანა გამტან და უღალატო ხალხთან გქონდეს საქმე! ჩვენც და თქვენც ერთნაირად დაგხეტილობთ, ერთი გზა გვაქვს!..

და კვაპატაძემ შაქროს ძმაკაცურად გადახვია ხელი.

არაყი, როგორც ჩანს, არცთუ შემწყალე აღმოჩნდა, მალე გამოავლინა ახალი ორატორული ნიჭი მარკოზის სახით:

– ამხანაგებო!.. მისმინეთ, მეგობრებო! ჩვენ ამ პატარა, ტკბილ სუფრასთან შევიკრიბეთ, რომ... ჰო, ესე იგი, ამხანაგებო, ჩვენი კეკლუცი საქართველო პატარა, თუ შეიძლება ითქვას, თაიგულია!.. სად, რომელ ქვეყანაში ნახავ კიდევ ასეთ მხიარულ, ლხინის მოყვარულ, დარდიმანდ ხალხს... როგორც ცნობილია, ამხანაგებო, საქართველო უძველესი დროიდანვე...

– მეღვინეობის კლასიკური ქვეყანაა... – წაეხმარა მოსე.

– მაცალე, კაცო... მეღვინეობის კლასიკური ქვეყანაა ძველთაგანვე. ამას მრავალი წერილობითი წყარო ადასტურებს... აგრეთვე, ყურძნის მრავალი ადგილობრივი ჯიშის. “სხვა საქართველო სად არი!” ხომ გაგიგონიათ პოეტის ნათქვამი. მართლაც, სხვაგან სად ნახავ ბუნების ასეთ საოცარ მრავალფეროვნებას...

– შავი ზღვა, თოვლიანი მთები... – გააგრძელა მოსემ.

– ჰო, შავი ზღვა, თოვლიანი მთები, ციტრუსები, ულამაზესი ქალები...

– უძველესი რაინდობის კულტი, ძველთაძველი ტრადიციები... – ჩაერია ისევ მოსე. – ჯერ იშრომე, მერე ილხინე...

მართლაც, ადვილი მისახვედრი იყო, შემდეგ რასაც იტყოდა მარკოზი. როგორც ჩანს, საგანგებოდ აქვს დამუშავებული ეს სადღეგრძელო და ერთი და იგივე გაცვეთილ აზრებს ათასჯერ ნახმარი სიტყვებით მოსახს.

შემდეგ მოსემ გადაისვა ხელი შავ უღვაშზე და ასწია ჭიქა:

– მეგობრებო და ამხანაგებო!.. თუ სადღეგრძელოს თქმაზე მიდგა საქმე, მეც გეტყვით ორიოდ სიტყვას. იცით, რის თქმა მინდოდა? აი, ჩვენ აქ მოვედით – მშვირები, მწყურვალეები... უცნობი ხალხი შემოგვეგება, ჰოდა, ადვილი შესაძლებელია, აღარც შეგხედეთ შემდგომში. არც გვითქვამს რამე, არც გვითხოვია; გამოგვიტანეს ეს საჭმელი, ალბათ შიათ, გზაზე დგანან და იქნებ მიირთვანო... მართლაც, ჩვენთვის ეს ყველაფერი, რასაც აქ ვხედავთ, დღეს, ახლა, უფრო ტკბილი გგეჩვენება, ვიდრე სხვა რომელიმე უხვი სუფრა, რჩეული წვეულება. იქ ხშირად მიდიხარ, რათა უბრალოდ ვაღლი მოიხადო, ზოგჯერ ფრიად უსიამოვნოც... გეოლოგი ვარ და ბევრჯერ შემთხვევით ასეთი რამ: უცნობი კეთილი ადამიანი დაგპატიჟებს; ხან ხილს მოგაწვდის, ხან გულით ცივ წყალს დაგაღვინებს. ამას, მე მგონი, უფრო თავისი გულისთვის აკეთებს, იმიტომ, რომ, მე დარწმუნებული ვარ, ხშირად მას უფრო უხარია, თუკი რამეთი გასიამოვნებს, ვიდრე შენ. ის დღე მისთვის კეთილი დღეა, ბედნიერი დღე, იმიტომ, რომ უხარია, ვიდაცის, უცხოს გახარება, ხელის გამართვა... და ხშირად მიფიქრია: ეჰ, როდისმე აუცილებლად დაგბრუნდები აქ, მოვინახულებ ჩემს კეთილისმყოფელებს, ხელს მაგრად ჩამოვართმევ, მდიდრულ საჩუქარს ჩამოვუტან, გავახარებ-მეთქი... ველაპარაკები თბილად, გადავუხსნი ჩემს გულსა და ფიქრს, მისასაც გავიზიარებ... და ასეთი ადამიანებისადმი უფრო თბილი გრძნობა მაქვს, ვიდრე ზოგიერთი ნათესავისადმი... იმიტომ, რომ ეს სრულიად შემთხვევით შეხვედრილი პურადი ადამიანები უფრო სულით გენათესავენინ, რასაც ვერ გამოსთქვამ, ვერ გადმოსცემ სიტყვებით... ვიფიქრებ ხოლმე: აი, ამ ადამიანთან აუცილებლად უნდა მივიღე კიდევ, დავაფასო, ტკბილი სიტყვა მაინც ვუთხრა... მაგრამ არ გამოდის ეს ოხერი, რას იზამ – არ გამოდის. ხან საქმე გაკავებს, უდროობა, ხან ჩვენ თვითონ ვსუსტობთ, ენერგიასა და მონდომებას ვაკლებთ, კეთილ საქმეს შემდეგისთვის გადავდებთ. თავს იმით ინუგეშებ, რომ შენც ასევე გააწვდი დახმარების ხელს, ყურადღებას არ მოაკლებ თავის დროზე, თუკი შესაძლებლობა გექნება, ვინმე უცნობს შეეხილო... ამ მწყემსებისთანა კეთილი ადამიანი ქვეყანაზე ბევრია, კარგი ხალხი უღევია... მაშ, გაუმარჯოს ამ კეთილ ადამიანებს, რომლებიც ჩვენ ყოველთვის გვახსოვან!..

– გაუმარჯოს, გაუმარჯოს!..

მზე უკვე კარგა გვარიანად გადაიხარა, როცა ჩვენ აუჩქარებლად წამოვიშალეთ სუფრიდან. მარკოზი და სიკო სიმღერის ხასიათზე დადგნენ, მოსეც შეეცადა, აჰყოლოდა მათ. სარდიონ კვაპატაძემ მოისურვა, სამხრეთით გაემზავრებოდა და დაუფრთხილავდა, კოწახურის ქელი აინტერესებდა. ხომ არ ეგონა, მისი ფერდობები კოწახურის ბუჩქებით იქნებოდა და ფარული და მუავე ნაყოფი მოუნატრა მსუქანი ხორცის შემდეგ დასაყოლებლად? ასეა თუ ისე, გადაგვეთეთ ტარიბანის ფართო ველი და არცთუ ხანგრძლივი, მაგრამ ციცაბო აღმართის აგლის შემდეგ კოწახურის ქელს მოვექცით თავზე. შაქრომ მანქანა წყალგამყოფზე გააჩერა. ყველანი გადმოვედით, გარდა კვაპატაძისა, რომელსაც ტკბილად ეძინა ძარის კუთხეში – ღორიან აღმართზე ჯანჯღარმაც კი ვერ გააღვიძა.

კოწახურის ქელი... მისი ფერდობები დასერილია მშრალი, უსიცოცხლო, ციცაბო ღრანტეებით. აქა-იქ საკმლის ხის, აკაკისა და ღვიის დაბალი ხეები; ბროწეულისა და ვადისფერწვრილყვავილე ბიანი ხორციფერას ბუჩქები; ძებნარი, ალაგ-ალაგ ყვითელი უროთი დაფარული მომცრო ხალიხები... სამხრეთით – ახლოს, მდოვრე იორის მწვანე ჭალები, უფრო შორს – ფიჭვითა და ღვით გამუქებული ელდარის მთის ჩრდილო ფერდი...

გზა იგრისკენ კოწახურის ქელის სამხრეთ ფერდზე, აღჩაგილის ყვითელ თიხებში კიდევ უფრო ციცაბოა, მაგრამ შაქრო წყალგამყოფზე დიდის გაჭირვებით აბრუნებს მანქანას და ისევ უკან მივდივართ. გვერდზე ვუვლით ცხერის ცარიელ ბინებს, მანქანა სწრაფად მიჰქრის დაღმართში. და უცებ... უცებ შაქრო მკვეთრად ამუხრუჭებს. მის გვერდით მჯდომი სიკო კინაღამ გამოსხლტა მანქანიდან, კვაპატაძე ჩვენს ფეხებზე გადმოვორდა.

– რა მოხდა? – იკითხა სარდიონმა და დაბეჭდილი მხარი მოისრისა.

შაქრო თოფით ხელში გარეთ იდგა და მალლა ცაში იცქირებოდა. კვაპატაძემ გარეთ გაიხედა და მაშინვე ისიც გადმოხტა მანქანიდან:

– სარსარაკო! ათამდე იქნება... – კვაპატაძემ ხელით თვალები მოიჩრდილა: – იშვიათად მოდიან, მაგრამ თუ ნახე, ბლომად არიან ხოლმე. ავშნის თესლს ჭამს, ე, იქით დასხდებიან ახლა... უჰ!..

სარსარაკები ძალიან მალლა მიფრინავდნენ, შემდეგ ჩვენგან მოშორებით უფრო დაბლა დაემგნენ, ალბათ ველზე ადგილს ირჩევდნენ დასასხლომად. დიდ ფრთებს მეტად ლამაზად, ნარნარად იქნევდნენ; ფრთების დაბლა დაქნევისას მათი ბოლოები კიდევ უფრო ქვევით იზნიქებოდა და ფრთები ირკალებოდა ორ ნახევარწერად; ყოველი დაქნევისას პერიოდულად რკალები რკალებს მოსდევდა. ასეთი ნატიფი, თუ შეიძლება ითქვას, მელოდიური ფრენა ჯერ არ მენახა. სახელიც ამ ფრინველს რომ მისი ფრენის მუსიკალობას ასახავს – სარსარაკი... სწორედ რომ ასარსარაკებს, ათამაშებს, თითქოს მდოვრედ და ამავე დროს სწრაფად იქნევს ფრთებს.

– აბა ჩქარა, მანქანაში! – დაიყვირა შაქრომ.

დაიწყო გიჟური რბოლა იმ ადგილისკენ, სადაც ფრინველები დაემგნენ. მაგრამ გავედით თუ არა ველზე, სარსარაკები აიჭრნენ ჰაერში და გადაინაცვლეს უფრო შორს... მანქანის სგლის მიმართულე ბის შეტრიალება, გამხმარი ბალახებით დაფარულ უსწორმასწორო ველზე ჯაყჯაყი და სარსარაკე ბამდე კაი ასი მეტრი რჩება, როცა მთელი გუნდი ჰაერში აიჭრება – არაფრით გვიშვებენ ახლოს... საბოლოოდ ფრინველები სულ მალლა ადიან, სწრაფად გვშორდებიან, შემდეგ წერტილებად იქცევიან და მალე აღარც გამოირჩევიან ღია ნაცრისფერ ცაში...

დიდხანს შეგვურებთ თეთრი ღრუბლების ქულებს, შემდეგ ვსხდებით მანქანაში.

მტვრიანი გზა ბოლავს ჩვენს უკან. აღარავის ეძინება, გამოფხიზლდით და აყვავდით. მანქანა შაქროს არც ისე სწრაფად მიჰყავს, რადგან ასე ნაკლები მტვერი შემოდის. როცა სახლისკენ მივდივართ მთელი დღის წანწალის შემდეგ, ყველას კმაყოფილების გრძობა გვეუფლება ხოლმე. ბედნიერები ვართ, რომ ვიმუშავეთ, ბევრი ახალი რამ ვნახეთ, წინ კი დასვენება გველის – ზოგს წიგნი და გაზეთი, ზოგს – რადიომიმღები და ზოგს – ნარდი... ახლაც ასეთი განწყობით მივდივართ, შაქროს კი ისევ გამოცოცხლება შემოაქვს წამოძახილით:

– გველი!..

ძრავა აღრიაღდა, მანქანა შუა გზაზე მოყვითალო მტვერში დახვეული მოკლე ბაგირისკენ მიჰქრის, რომელსაც ცალი ბოლო მალლა აქვს აწეული – გიურზას თავია ამ ბოლოზე. მანქანა გასცდა გიურზას, შაქრომ მოატრიალა მანქანა და გააჩერა. გიურზა ახლა სიგრძეზე გაწოლილა მტვერში, იგრისება, ისევ ეხვევა, მაგრამ წინ, გზისპირა ბალახებისკენ, თითქმის ვერ მიიწევს – ეტყობა, ბორბლებმა ხერხემალი დაუზიანა.

გადმოვივართ მანქანიდან, უფრო ახლოს მივდივართ: ვუშენთ ქვებს აწეულ თავში, ვურტყამთ ჩაქურებს... ყოველი დარტყმის შემდეგ დაფეთებულები უკან მივხტივართ – ასეთიც კი, ხერხემლგადამტვრეული, შიშის ჟრუნტელს გვეგვის მთელ ტანში და, როცა ყალყზე დამდგარი სამკუთხა მოყავისფრო-შავ თავს იქნევს ჩვენსკენ, მისი უმოძრაო თვალთა მზერისგან შემცივრულივით გვეჭყანება სახე და გული საგულედან გვეკარგება; თითქოს სიზმარში ვართ, მონუსხულები, დამძიმებულ ფეხებს დაძაბულად და ძალის ძალათი საჩქაროდ ვდგამთ უკან. ხვდება ერთი ქვა, მეორე... მეათე... გან-

წირულად იგრძნობა ადგილზე, ფართოდ ადებს პირს, ასარსალებს ენას... და აი, უკვე თავს ვეღარ სწევს მაღლა, მხოლოდ კუდი რიტმულად, განწირულად იკლაკნება...

ახლოს მივდივართ.

ახლა, ოქტომბერში, გიურზა არც ისე საშიშია, იშვიათადაც შეხვედები, მზეზე გასათობად თუ გამოძვრება სვრელიდან.

მკვდრის შეხვედაც კი გვზარავს. რუხ-მომწვანო, აქერცლილი მსხვილი ტანი გახუნებულ ბაღა-ნებში თითქმის შეუმჩნეველია და ეს კიდევ უფრო მოქმედებს ადამიანზე; იმის შიში, რომ ყოველ წამს შეიძლება, უხილავს ფეხი დაადგას... მაინც, რატომ იწვევს თითქმის უკლებლივ ყველა ადამიანში გველი ზიზღისა და პანიკური შიშის ასეთ ძლიერ გრძობას? ზოგიერთში მისი სახელის ხსენებაც კი ფერის წასვლას იწვევს. ძველებს მოუგონიათ, გველი სიბრძნის განსახიერებააო, წინათ რელიგიური სექტაც კი არსებობდა – ოფიტებისა, რომლის მიმდევრებიც თავყვანს სცემდნენ გველს, როგორც სიბრძნის სიმბოლოს, ექიმებსაც ძველთაგანვე ჰყავთ შეყვანილი მისი გამოსახულება თავიანთ ემბლემაში. ამ ბოლო დროს ერთგვარი გამართლებაც აქვს ამას: გიურზას შხამი ოქროზე მეტად ფასობს და მისგან მეტად ძვირფას წამლებს ამზადებენ. გვიანდა გვახსენდება, რომ მეცნიერებმა კარგა ხანია, განგაში ასტეხეს – გიურზას მოკვლა არ შეიძლება, პირიქით, უნდა დავიცვათ, მისი რაოდენობა ბუნებაში მცირდებაო.

გვეყოფა ამ თემაზე საუბარი.

მანქანა ტარიბანის ველზე მიდის ჩრდილოეთისკენ. საღამოვდება. ხელმარცხნივ დაბალი, მომრგვალებული გორაკების ძირში ელექტრონის შუქი კიაფობს უკვე. იქ ჭაბურღილები დვას, ხმაური ისმის: მიმდინარეობს ნავთობზე ბურღვა. კარგი იქნებოდა იქ გავლაც, გასაუბრება, მაგრამ გვეჩქარება – დედოფლისწყარომდე დაახლოებით ერთი საათის სავალია და მტრედისფერ ცაზე კი უკვე მორცხვად ციმციმებს პირველი ვარსკვლავი.

სწრაფად დამდება. დედოფლისწყაროს კირქვების მასივის თეთრი ხრეშითაა მოკირწყლული გზა, ბინდბუნდში მკვეთრად გამოიყოფა.

ფარების სინათლეზე გაიელვა თეთრმა საგანმა. შაქრო მაშინვე აჩერებს მანქანას, მაგრამ კურღელი უკვე აღარსად ჩანს, ალბათ ჩამუქებულ ბორცვებს შორის მიხტის.

ისევ ვაგრძელებთ გზას. შაქრო კაბინის გვერდზე დამაგრებულ ხელის ელექტროფარას ატრიალებს, კაშკაშა შუქის ვიწრო ზოლით გულდასმით სინჯავს ბუჩქებსა და მაღალ ბაღახებს. აი უკვე, მგონი, მიაგნო კიდეც: რაღაც სკუპ-სკუპით გარბის აღმართში, მაგრამ ეს გრძელეკუნდა მელიკოა. მოშორებით ჩერდება, ცნობისმოყვარედ გვითვალთვალებს, მისი ორი თვალი მწვანე მუგუზლებივით ანათებს სიბნელეში, როცა სინათლე ხვდება; არ ჩქარობს წასვლას... მერე ისევ გარბის, თავი კი ჩვენსკენ აქვს მაინც მოღერებული. რამდენიმე ასეული მეტრის იქითაც ციმციმებს მომწვანო, წყვილ-წყვილი მუგუზლები – იქ უკვე რამდენიმე მელაა ერთად შეყრილი.

და ასე, თითქმის მთელი გზის გასწვრივ, ასფალტზე გასვლამდე, ხან მარჯვნიდან, ხან მარცხნიდან დროდადრო გვხვდებოდნენ დამის საშოვარზე გამოსული მელიები. ერთხელ კი მძიმე ფრთების ქნევით ზანტად აფრინდა შავი ბუ, შემდეგ მოშორებით დაჯდა ნახნავში და ისევ აუბრიალდა უზარმაზარი თვალები. ასფალტი კი სველია, ნუთუ დედოფლისწყაროში ისევ წვიმდა?..

კარი XV. di di Si r aqi – kas r i swyal i – qar i sxevi – pant i Sar a

დილაა, ნიმუშებს ვალაგებთ. ჯანსუდ კილკილაშვილს საკუთარი ზურგჩანთიდან ამოაქვს სამჯერ მეტი ძვლები, ვიდრე მოიწია. გაკვირვებული ისწორებს სათვალეს და გუნება უფუჭდება: ცხვრის ახლად გამოხრული ძვლები სითეთრით ელავს. მარკოზი კუთხეში ჩუმად ხითხითებს და თვალს გვიკრავს.

მაინცდამაინც კარგ ხასიათზე არც ჩვენ ვართ. ლაპარაკისას პირიდან ორთქლის ქულები იბოლქვება. ველის სიმხურვალის შემდეგ ნოტიო სიცივისგან გვაჟრჟოლებს.

– სიკო, ელდარში წავიდეთ, იქ გაფრდეთ, მშრალი იქნება, – სთავაზობს კვაპატაძე და ფანჯრიდან გასცქერის სველ ეზოებსა და სახლებს. – სანამ გადაღებულია, დავტვირთოთ მანქანები...

– ჰო, წვიმის დაწყებამდე გავასწროთ. მაინც იქით გვაქვს სამუშაო და დედოფლისწყაროდან წასვლა-ამობრუნებას კი სჯობს ელდარში გადავბარგდეთ... აბა ჰე, ბიჭებო, დროზე, დროზე... მარკოზი და არჩილი უცებ გაგარდნენ ბაზარში, ორი ქაღალდის დიდი პარკი წაიღეთ.

ერთ საათში მანქანები უკვე დიდი შირაქის ველზე მიჰქრებიან. გზა მშრალია. მაღე ღრუბლებიდან მზეც იჭყიტება და გვახალისებს. სასიამოვნოა წვიმაში მობუზული დედოფლისწყაროს ნაცრისფერი ტონების ნაცვლად მზის კაშკაშა სხივების დაჭერა სახეზე, მისი ალერსიანი სიტბოს შეგრძნება. თუმცა სწრაფად მიმავალ მანქანაში შემოდგომის ცივი ჰაერი იჭრება, მაინც არაფრად ვაგდებთ. დიდი შირაქის ტრიალი ველი მწვანედ ხასხასებს: საშემოდგომო ხორბალი ამოწვერილა, მზეზე ზურ-

მუხტად ელვარებს. გზაზე ყოველ ნაბიჯზე ქორთა ტორთლები სხედან, თითქმის ბორბლებქვეშეიდან აფრთხილდებიან ჰაერში. ტორთლები, ტორთლები!.. გარე კახეთის გორაკ-ველებზე გამავალ რომელ გზაზე არ შეხვდები ამ მუშტის ოდენა, ნაცრისფერ მაგალობლებს! დიდიდან სადამომდე სულ ასე სკუპსკუპობენ გზაზე ჩვენი მანქანების წინ და მხოლოდ სულ ბოლო წამს, როცა გგონია, უკვე მანქანას ვეღარ გაექცევიანო, შურდულიდან გატყორცნილივით აიჭრებიან ზევით ჰაერში.

ხელმარცხნივ, შორს, მოჩანს ზემო ქედის, არხილოსკალოს, ქვემო ქედის სახლები; ხელმარჯვნივ – ერთმანეთს ენაცვლება რუხი, ხრიოკი გორაკები – გზა დიდი შირაქის ველს თითქმის შუაზე ჰყოფს. მზე, მზე, მზე... ეტყობა, შემოდგომის ამ წვიმიან დღეებშიც კი მზე არ აკლია ამ მიდამოებს.

– შირაქი – საქართველოს ბეღელია, – ამბობს კვაპატაძე, როცა ერთგან მანქანები ჩერდება და ყველანი გადმოვიდვართ, ფეხს ვშლით.

გაჩერების მიზეზი გნობობია. მუქნაცრისფერ-მოყავისფრო ფრინველთა გუნდი ჩვენგან არც ისე შორს დაჯდა, მაგრამ თოფები მზად არაგის ჰქონდა. სანამ ვაზნებს ეძებდნენ, გუნდი ნახნავში სეირნობა-სეირნობით კარგა შორს წავიდა და აღარ გამოვეკიდეთ. ეს იყო ერთადერთი შემთხვევა, როცა გნობები შეგვხვდა, ალბათ მათი რაოდენობა ძალზე შემცირდა. ზომით კაკებზე ბევრად პატარებია, სხეულის დამახასიათებელი მოყვანილობით კი მსგავსნი არიან.

ველი დამთავრდა და მცირე გორაკებს შორის დაღმართის ჩათავების შემდეგ გამოჩნდა ელდარის მეცხვარეობის მეურნეობის თეთრი, ერთსართულიანი შენობები კასრისწყლის ხევში. ტყუილად ვათვალიერებ მიდამოს, ვერსად ვხედავ ელდარის ფიჭვებს, რასაც ასე მოველოდი. მხოლოდ ჩრდილოეთით, ფერდზე, სოფელ კასრისწყალს აკრავს აკაციების პატარა კორომი, დანარჩენი ფერდობები გაყვითლებული ბალახითა და აქა-იქ ბუჩქნარითაა შემოსილი. თვით დასახლებაშიც უმეტესად აკაციის შიშველ ტოტებს ვხედავ. მოშორებით, ბორცვებს შორის, ქვის ყორებით შემოფარგლული ცხვრის ფერმების შენობები დგას. მათკენ მიემართება მუქი, ცხვრის ჩლიქებით დაბეკნილი გზები.

დავბანაკდით ერთ-ერთი თეთრად შეღებილი სახლის ცარიელ ოთახში. ჩვენი ბარგი უცებ ჩამოფტვირთეთ. ჯერ კიდევ დილაა, ერთი საათი არც კი დაგვიკვირდა აქ ჩამოსასვლელად და თავისუფლად შეიძლება, წავიშუშაოთ კიდევც.

მივდივართ მარშრუტზე. ცოტა ხანს კასრისწყლის ხეობას მიყვებით, შემდეგ ნახევრად დამშრალი მდინარე უხვევს სამხრეთისკენ და ლეკისწყალს უერთდება, ჩვენ კი ისევ სამხრეთ-აღმოსავლეთით ვაგრძელებთ გზას და გავდივართ ჯეირნის ველზე. წინ მოჩანს ზიღჩას მთა, აქაურები მას შავმთას ეძახიან; მართლაც, მის მწვერვალზე ღვიის, საკმლის ხის, აკაკის, მუხის ხეები და ბუჩქნარი ძალიან მუქ მწვანე, თითქმის შავ ქულად ახურავს მთას, რაც მკვეთრად განსხვავდება მის მოყავისფრო-მომწვანოდ აჭრელებულ ფერდობებთან – “ზიღჩა” ახერბაიჯანულად ხალიჩის წყალს ნიშნავს. ჯეირნის ველზე ალბათ დიდი ხანია, რაც ქურციკს ანუ ჯეირანს ვეღარ ნახავ; აქ კი არა, მთელ გარე კახეთშიც საეჭვოა, სადმე იყოს შემორჩენილი – ვერ გადაურჩა ბრაკონიერის ხარბ თვალს. ჯეირნის ველი ახლა ალაგ-ალაგ გადახსულია, ჩრდილო ნაწილში კი ვენახი გაუშენებიათ. წყალი, წყალი იყოს და აქ რა არ იხარებს!

სამხრეთ-აღმოსავლეთით ველი ვიწროვდება და თანდათან გადადის ქარისხევის ხეობაში. ის მარჯვნიდან უერთდება ალაზანს. ქვიშითა და როჭუნარით სავსე ხევში გზა თავდაღმართში მიდის, ალაგ-ალაგ წყალიც მიწანწკარებს. ალაზნის მარჯვენა ნაპირი აქ მთავორიანია; თუმცა გორაკების სიმაღლე სამასი-ოთხასი მეტრი თუა ზღვის დონიდან, ამ უადრესად დახრამულ და ახორხლილ-დახორხლილ ადგილებში ცხენით გავლაც კი გაგიჭირდება გზის გარეშე; ტყუილად კი არ უწოდებენ ასეთ ადგილებს ალესილებს – იმდენად მკვეთრი უსწორმასწორობა ახასიათებს რელიეფს გამოფიტვის შედეგად, რომ შორიდან შედარებით მდგრადი ქვიშაქვების ცალკეული ბლოკები აწვეტილან მალლა, თითქოს გიგანტური ცხოველის დაკრეჭილი კბილებიაო. ხევში მკვეთრ უსწორმასწორობას მწყემსები ღრანტეებს ეძახიან, ხოლო მთაზე – კრანჩებს. ეს ღორღიანი ღრანტეები და ქვიანი კრანჩები ალაგ-ალაგ შემოსილია ღვით, თრიმლით, აკაკით, ძეძვით, ბერყენით, გადაყვითლებული ბალახით... ღრანტეებში, სადაც ზოგიერთ ადგილზე სინოტივე გამოჟონავს, უფრო მაღალი და მწვანე ბალახია. ბროწეულისა და კოწახურის ნაყოფი სრულად დამწიფებულია.

მივადექით ალაზანს. მეორე ნაპირზე საინგილოა. ალაზანი აქ სწრაფია, მაღალ ნაპირებში მოქცეული, მიაქანებს მუქ ნაცრისფერ, მღვრიე ტალღებს. ფშატისა და ქაცვის ვერცხლისფერფოთლებიანი ბუჩქები ზედ წყალთან იზრდებიან. სწორ ადგილებში, დანახილზე, ვერხვთა მძლავრად განტოტილი ხეებია; ნიავე ნელა ატოკებს მათ ფოთლებს და ქვიშნარ-სილნარზე ჩრდილებისა და განათებულის ნაქარგის კალეიდოსკოპურ თამაშს იწვევს.

ისევ უკან მოვიდვართ იმავე გზით – სხვა გასასვლელი აქ არ არის, მდინარეზე ხიდი კი როგორ იქნება, როცა ათეულ კილომეტრზე გარშემო ერთი სოფელიც კი არ მოიძებნება. არა უშავს, კარგი საქმე გაგაკეთეთ – აფშერონის ნალექებს გავეცანით, თან ზურგჩანთები გამოვტენეთ ბროწეულის ნაყოფებით.

გბრუნდებით ლეკისწყლის ხეობაში და მივემართებით სამხრეთით, ისევ და ისევ ალაზნისკენ; გარემოც მსგავსია, ოღონდ ხეობა უფრო ფართოა და პატარა მდინარე მილიკლიკებს მიხვეულ-მოხვეულ კალაპოტში.

წყალი წმინდაა. შაქრო პეშვით იღებს და მოსვამს, მაგრამ მაშინვე იფურთხება და იწყევლება: წყალი მწარეა – აქაური ქანები შეიცავენ ჰალიტს, თაბაშირსა და მირაბილიტს, რომლებიც ადვილად გამოიტანებიან წყლით.

გზა მდინარის კალაპოტში გადის, თითქმის სულ წყალ-წყალ მივდივართ; მანქანათა ბორბლები პრიალებს, ჩქარი სიარულისგან წყალი შადრევნებად დგაფუნობს აქეთ-იქით, მანქანათა სამხერ მინასაც კი ასველებს. ზოგ ადგილას ლელი და ჩალამ-კალამი დაბურულა.

სულ ბოლოს, როცა უკვე ალაზნთან შესართავს ვუახლოვდებოდით, წინა მანქანა გაჩერდა. შაქრომ მაშინვე გადმოიღო თოფი, მიხვდა, რაშიც იყო საქმე: დაახლოებით ასი მეტრის დაშორებით კაკების გუნდი დაეშვა მდინარის კალაპოტის ქვიშაზე.

შაქრო სხვა მონადირეებთან ერთად ფრთხილად გადმოდის მანქანიდან და ნელ-ნელა ეპარება გუნდს. კაკები მარდად გარბიან თავდადმართში. მონადირეებს ეშინიათ, საბოლოოდ არ დააფრთხონ ისინი და ჩერდებიან; მაშინ კაკებიც ანელეებენ სვლას. მერე მონადირეები ისევ ეპარებიან, კაკები ისევ ეცლებიან სირბილით... შაქრომ დაუმიზნა იქვე ახლოს ნაპირზე ბალახებს და ესროლა, შემდეგ მეორე ლულიდან დაადგენა ბათქი აფრენილ კაკებს და ერთი მათგანი ჩამოიღო. სხვებმაც არ დააყოვნეს და კვაპატაძემ და მოსემ კიდევ თითო-თითო ჩამოაგდეს. შაქროს პირველი გასროლაც შედეგიანი გამოდგა, თუმცა დამჯდარი კაკებისთვის მოხვედრება, როცა მას ფრთები არ აქვს გაშლილი, ძნელია. ამრიგად, ოთხი კაკაბი მოვიპოვეთ. ასეც ხდება: როცა საგანგებოდ მიდიხარ სანადიროდ, შესაძლოა, ვერც ვერაფერს შეხვდე, ახლა კი გზა-გზა, ქანთა გაშიშვლებების თვალთვრებასთან ერთად, ასე გაგვიღიმა ბედმა. ალბათ ეს კაკები ნაპირზე გამხმარ ბალახებში შეგოგდნენ და გაისუსნენ – მონადირეები ვერ შეგვაძინებენ და გვერდით ჩაგვივლიანო, მაგრამ ამჯერად კოვზი ნაცარში ჩაუვარდათ.

ისევ ალაზნის მივადექით. აქედან მინგეჩვირის წყალსაცავამდე სულ ახლოსაა. წავიხემსეთ. სიკოს ადრე ტყუილად ეშინოდა, ბატონ პროფესორს რა მივართვათო; სარდიონ კვაპატაძე ისე მაღიანად შეექცეოდა დედოფლისწყაროში ნაყიდ შოთის პურს, ყველსა და მოხარშულ კვერცხებს, რომ შეგეხარებოდათ.

შემდეგ რამდენიმე კილომეტრით უკან დავბრუნდით და მარცხნივ გავუხვიეთ ბუღა მოედნისკენ. კაცმა რომ თქვას, აქ არც ერთი ბუღა არ იყო, რასაც ვერ ვიტყვი კაკებზე – მგონი, სწორედ ამიტომ აირჩია კვაპატაძემ აქეთ გამომგზავრება, თუმცა, არც გეოლოგიურად არის უინტერესო ეს ადგილები.

როცა გახედავ აღჩაგოლის სასწაულებრივად ჩაწყობილ ფენებს, რომლებიც ბუღა მოედანს დასაველეთით აკრავს, ნამდვილად იფიქრებ, რომ თუკი სადმე რელიეფის სიღამაზეა, ყველაფერი გეოლოგიური აგებულების “ბრალია”. აქ შეიძლება ერთი ადგილიდან ამ მიდამოების მთელი გეოლოგია ხელისგულივით თვალსაჩინოდ დაინახო. ჩავიხატეთ საველე წიგნაკებში, ფოტოსურათიც გადავუღეთ – ყველაფერი გაგაკეთეთ, რაც ბუნების ამ ფენომენს ეკადრებოდა: ხშირად კი არ შეხვდები ასეთ ცხად და ლამაზ გეოლოგიურ სურათს, რომელიც თამამად შეიძლება, გამოვიყენოთ ბუნებაში გეოლოგიური მუხეუმის ერთ-ერთ თვალსაჩინო ნიმუშად.

ბუღა მოედნიდან ქედებს შორის ქუმროს ვიწრო გასასვლელით შეიძლება სამხრეთით ელდარის ველზე გასვლა; შემდეგ, დასაველეთით, არც გეოლოგისა და არც მონადირისთვის მიმზიდველი არაფერია. შეიძლება მხოლოდ მხატვარი დაინტერესდეს ამ ფართოდ გაშლილი ნახევრად უდაბნო ველით, მისი მეჩხერი, გაყვითლებული ბალახით დაფარული, სიცხისგან დამსკდარი რუნმიწიანი სწორი ზედაპირით, ოქროსფერი ტრიალი ტრამალით. შორეულ ჰორიზონტზე მონაცრისფრო-ყავისფერი, გაზმორებულ კატასავით გაწოლილი, დაბალი ქედებია. ზევით, გაცრეცილ ცაზე, ელვარე, მცხუნვარე, თუმც კი შემოდგომის მზე ბრიალებს. მაღლა, ძალიან მაღლა, ნარნარად უვლის წრეს ფრთა-გაშლილი ველის არწივი; დაბლა, მიწაზე – სწრაფად მისრიალებს მისი მუქი ჩრდილი...

ცხვრის ბინებთან ვუხვევთ მარჯვნივ და პანტიშარის ვიწრო ხეობით ვკვეთთ პატარა ქედს. ხევში შესვლამდე დაბალ ბორცვებზე და შემდეგ თვით პანტიშარაშიც ხშირად გვიფრინდებიან კაკები, მაგრამ აქ თოფებიცა და ჩვენი წინანდელი ნადავლიც შორს გვაქვს შენახული: ეს საკმლის ხის, ღვისა და აკაკის ნათელი ტყით შემოსილი გორები უკვე ვაშლოვანის ნაკრძალია.

ვიწრო ხეობაცა და გზაც უცნაურ მკვეთრ მოსახვევებს აკეთებენ, მაღალი, თითქოს თლილი კედლებით შეპოჭილნი; მხოლოდ აქა-იქ, კლდოვან გამონაშვევებზე მიყუჟულან შავჯაბა, გრაკლა, ხორციფერა, თრიმლი, ფუჭფუჭო...

გზა მაღლა-მაღლა მიძვრება, ექცევა ხეობის თავზე, მიიკლაკნება უკვე აფშერონის ყვითელ ბორცვებზე; შემდეგ რელიეფის ნოჭები უფრო და უფრო სწორდება, ჩნდება შავი ნახნაგები და

სრულიად მოულოდნელად მორიგ ხეობაში გამოგვეცხადა ელდარის დასახლება, მოშორებით კი – ფერმები, საიდანაც ისმის ძაღლების ყეფა.

საცაა სინათლესაც აანთებენ სახლებში; ფერმებისკენ მიედინებიან ცხვრის ფარები, ბოლოში თითო-ოროლა ძროხაც ზანტად მიაღაჯებს მტვრის ბუღში...

დასავლეთით იჭვის პორიზონტი; მზე უკვე დაიმაღლა, მთელი დღის ხეტივლით გვარიანად დაქან-ცული.

კარი XVI. ლეკისწყლის მთვარე დამცინავად იღიმება...

– ე რა კარგი მანქანები გქონიათ, – ამბობს ჩვენი მასპინძელი, ბეითალი გიორგი და ხელს უთბ-თუნებს “გაზ-69”-ის ფრთას. სრულებით არ ჰგავს ექიმს, თუნდაც საქონლისას: მზით გაშავებული, გაუპარსავი სახე რამდენიმე ღრმა ნაოჭს დაუსერავს, თუმცა ჯერ ოცდაათიოდე წლის თუ იქნება. ტანსაცმლითაც მწყემსი გეგონება: თბილი, გახუნებული ქურთუკი და ჩექმებში ჩატანებული გაურ-კვეველი ფერის შარვალი აცვია; თავზე ახურავს შავი კახური ქული.

– რაო, მოგწონს? – უღიმის სარდიონ კვაპატაძე. – სანადიროდ როგორია, ჰა?

– ამაზე უკეთესი რაღა უნდა იყოს. კურდღელზე პირდაპირ მისწრებაა.

– გარეული ღორი თუ შემორჩა აქეთ ალაზნის ნაპირებს? – ეკითხება კვაპატაძე.

– როგორ არა. აქ ერთი მეცნიერი იყო თბილისიდან, ჰელმინთოლოგი. ნებართვა ჰქონდა ხუთი გარეული ღორის მოსაპოვებლად, მერე ჰკრიდა და ნაწლაგებში პარაზიტ ჰკიბს ეძებდა. მგონია, აღ-მოაჩინა კიდევ რაღაც ახალი სახეობა და დისერტაციაც დაიცვა. ბარე ოცი ღორი მაინც შეეწირა მის მეცნიერულ გამოკვლევებს, ნამეტანი მოყვარული გამოდგა ტახის ხორცისა. გასულ წელსაც ჩა-მოვიდა ერთი მეცნიერი, გარე კახეთის ფრინველებს სწავლობდა იმან რო ხოხობები, დურაჯები, კა-ბები გაანადგურა, ა-პა-პა! შესწავლით კი შეისწავლა, მაგრამა აღარც რა დატოვა ცოცხალი!

– დასახერცია მამაძაღლები! – ვითომ ხუმრობს კვაპატაძე და მისთვის საინტერესო საკითხს უბრუნდება: – მაშ, არის ხომ ღორი?

– არი, არი. წინა კვირასაც მოკლეს ღორისხევეში. ქარისხევეშიც უნდა იყოს. მეც ვიცი ერთი ისე-თი ადგილი... – ეშმაკურად მოჭუტა თვალი გიორგიმ. – ისეთი ადგილია, რო... იქ არ შეიძლება ღო-რი არ მოვიდეს.

– სადაა? – მოუთმენლობა ვერ დაფარა კვაპატაძემ და ისეთი მავედრებელი თვალებით შეხედა გიორგის, როგორითაც სტუდენტი უყურებს გამოცდის დროს ლექტორს, ნუ ჩამჭრიო. – წავიდეთ, კა-ცო, ჰა?

– დღესა? დამე მთვარე თუ იქნება? – ასწია თავი გიორგიმ და სხვებმაც შეხედეთ ჩამუქებულ ცას.

ჩვენ მტვერს ვიბერტყავდით და მანქანიდან ზურგჩანთებს ვიღებდით. ნახევარ საათში დაბნელდე-ბოდა. აღმოსავლეთით ამოდირდა ნორჩი მკრთალი მთვარე – აღარც ნამგალივით თხელი, მაგრამ არც პირსავსე.

– არა უშავს, შეიძლება, – თქვა გიორგიმ. – ლეკისწყალზე ხომ ყოფილხართ? მდინარის ერთ შამბნარიან მოსახვევში იცის ჩამოსვლა ღორმა წყალზე. კარგ ადგილას ჩაგუსაფრდებით და...

– აბა, წავიდეთ ახლა, – შეაწყვეტინა კვაპატაძემ და მოუთმენლად მოჰკიდა ხელი. – არ დაგვაგ-ვიანდეს..

– კარგი, მაშ თოფს მოვიტან. ჟაკანი ხომ გაქვთ?

– ბატონო სარდიონ, არ უნდა ივასშმოთ?.. მერე, მთელი დღის სიარულით არ დაიღალეთ?.. – სცადა კვაპატაძის “გონს მოყვანა” სიკომ, მაგრამ ტყუილად დაშვრა. სარდიონი შევარდა ჩვენთვის გამოყოფილ ოთახში და თავის ჩემოდანში ჟაკანის ტყვიით დატენილ ვაზნებს დაუწყო ძებნა.

მაღე მოვიდა გიორგიც ძველთაძეველი ორლულიანი თოფით; ლულათა ბოლოს, “ნესტოკებთან”, თეთრი ჩვარი იყო დახვეული.

– რაო, გეშინია, არ გასკდეს შენი “ხირიმი”? – ირონიულად გაიღიმა კვაპატაძემ და საკუთარი ძვირფასი, მბრწყინავი თოფი გამოიღო ბუდიდან.

– არა, ასე სიბნელეში მოსახერხებელია დასამიზნებლად, – მშვიდად მიუგო გიორგიმ. – მთვა-რიანი დამე კი იქნება, მაგრამ მაინც ასე უკეთესია. ღორს კი დაინახავ, თორემ თოფის სამიზნე ცუ-დად ჩანს.

ჯანსუღმა საველე აფთიაქიდან მარლის ნაჭერი ამოიღო და კვაპატაძემ სასწრაფოდ მიბაბა გი-ორგის მაგალითს; ასევე მოიქცა შაქროც, რომელსაც თოფი ათხოვა სიკომ. ჟაკანის ტყვიები კვაპა-ტაძემ უწილადა შაქროსაც და გიორგისაც. მონადირეებთან ერთად წასვლის სურვილი გამოვთქვით უთოფოებმაც – მე და ჯანსუღ კელკელაშვილმა. დანარჩენებმა ამჯობინეს მიერთმიათ გემრიელი ვახშამი (ხედ ცხელი ჩაის დაყოლებით!) და შემდეგ ლოგინებზე წამოგორებულიყვნენ.

და აი ჩვენ ხელთ პურის ხმელა ნაჭრები გვიჭირავს და ვლოდნით, გარშემო კი სიბნელის კედლებია აღმართული. უკან დაგვრჩა ელდარის დასახლების სინათლეები, წინ შუქის ნატამალიც არ ჩანს, მხოლოდ ჩვენი მანქანის ფარები მკვეთრად გამოჰყოფს სიბნელიდან გზასა და გზისპირა ბაღებს. თითქოს კინოთეატრში ვსხედვართ და ფილმს ვუყურებთ, მაგრამ ამ ეკრანზე კი მოქმედი პირები არ ჩანან; მხოლოდ ბორბლებით ნატკეპნი გზის ორი “ლიანდაგი” უსასრულოდ მიიკლანება. მოსახვევებში მოქმედ პირებად ზოგჯერ გვევლინებიან გორაკთა ყვითელი ფერდობები და ერთხელ კურდღლის თეთრმა ლაქამაც გადაიბრინა მანქანის წინ. შაქრომ მკვეთრად დაამუხრუჭა და ხელი ჩემსკენ გამოიწვდინა (მისი თოფი ჯერჯერობით მე მიჭირავს), მაგრამ შემდეგ ჩაიქნია ხელი და – ისევ მივექრივართ დაღმართში... და არაფერი არსებობს ახლა ჩვენთვის გარშემო სიბნელისა და ჩვენ წინ განათებული ხეობის ვიწრო ზოლის გარდა. ძრავა ღუღუნებს, მანქანა უკვე მიდგაფუნობს წყალთხელში; სიცივისგან მობუზულები, ლაპარაკით ვიქცევთ თავს. კვაპატაპის გვერდით გამოცდილი მონადირე იჯდეს და საუბრის ცეცხლი მიინაგლოს?

– ტახზე ნადირობა დღისით არის კარგი, – ამბობს გიორგი. – საგანგებოდ დაგეშილი ძაღლებით რომ შევესვით უღრანს... იქით, ალაზნის მარცხენა ნაპირზე, დიდებული ტყეებია. ჩაუსაფრდები ხესთან და ელი...

– ეჰ, ძაღლი მეც მყავდა! – ცხარედ აწყვეტინებს კვაპატაძე. – ისეთი ძაღლის მნახველი არ ვიყავი, ძმაო! მაგრამ რად გინდა, მომპარეს! ისეთი ჭკვიანი ძაღლი იყო, იშვიათი ყნოსვა ჰქონდა... გიორგიც იგონებს ორ-სამ შემთხვევას, როდესაც უბადლო ჯიშისა და თვისებების სანადირო ძაღლები მომპარეს პატრონებს.

– ძვირფასი ძაღლი ჩემს მეგობარსაც ჰყავდა! – ისევ იგონებს კვაპატაძე და აღვზნებისგან უღვაშზე ისევამს ხელს (სიბნელეშიც ვგრძნობ ამ უესტს). ის შაქროს გვერდით ზის წინა სავარძელზე და უკან თითქმის მთელი ტანით მობრუნებული ელაპარაკება გიორგის. – მეორე ისეთი ძაღლის მნახველი არ ვარ და ალბათ ვეღარც ვნახავ ოდესმე. ჭკუა, ყნოსვა, გამბედაობა – პირდაპირ განსაცვიფრებელი... ჰე-ჰე-ჰე... – უცებ ქირქილებს სარდიონი, – ერთი ამბავი მახსენდება...

– ძაღლმა გაგაცინათ? – კითხულობს ჯანსუღი.

– მოკვდა საწყალი, აბა... ერთი მეგობარი მყავს, დოცენტი, იმისი იყო. ჰოდა, წავედით ერთხელ მტკვრის ჭაღებში ტახზე სანადიროდ, – აქეთ, ქვევით, აზერბაიჯანში, ჩვენს მეგობრებთან. ბლომად შევიყარეთ ხაღხი. მეც მყავდა ძაღლი, მარა ჯერ ლეკვი იყო, ყოველად გამოუსტდელი, შტერი. იმ ჩემი მეგობრის ძაღლი, ადა, ყველა ძაღლებში გამოირჩეოდა. რამდენჯერ შეგვხვავი, მაჩუქე ან მომყოდე-მეთქი, მარა გაგიგონია!.. თავს ერჩია. მე მაინც არ ვკარგავდი იმედს: მის ცოლს ჭირვით ეჯავრება ძაღლები, დასანახად ვერ იტანს – სისხლი გამიშროს, ან მე ან ეგ ძაღლი, აირჩიო, – ათასჯერ მაინც უთქვამს ქმრისთვის. მერე გაბრაზებული დაამატებდა: შენ და შენს ძაღლს ორივეს გაყრით სახლიდანო. მოკლედ, ჰქონდათ ერთი დაკადაკა. როგორც გითხარით, ჩემს მეგობარს ადა ყველაფერს ერჩივნა, ისე უყვარდა და როგორღაც ახერხებდა მის დაცვას. ამ ადას ერთი თვისება ჰქონდა: თუ ნადირს წამოაგდებდა, გამოეკიდებოდა და არაფრით არ მოეშვებოდა, სულ უკან მისდევდა. ან ჯანი სად ჰქონდა ამდენი ან სუნთქვა არ ეკეროდა? მაშინაც, აზერბაიჯანში, წამოაგდეს ტახი ძაღლებმა და გამოეკიდნენ უკან. ჩვენ მდინარის პირას ვიყავით ნახევარკალად, შუაში ტახი გვეყავდა გამომწვევეული, ვერსად წაგვივიდოდა, – უკან მდინარე უკეტავდა გზას. მარა მაგარი ტახი გამოდგა: გაარღვია გაუგალი ჯაგები და გაგვექცა... წავიდა და წავიდა. ძაღლები ნელ-ნელა ჩამორჩნენ, ტახს რა ძაღლი გაუძლებდა. ეს ჩემი მეგობრის ადა კი არ ჩანს. უყვირა პატრონმა, ხმის ჩახლქამდე უძახა – არაფერი გამოვიდა, დაიკარგა ძაღლი. წავიდა ძაღლის საძებნელად, რა უნდა ექნა; მეც გავეყვი. ვიარეთ ბევრი, ვიარეთ, ვიარეთ, – ერთ ადგილას ყეფა შემოგვესმა. გავიქეციით და მივაღდექით მდინარის ნაპირს. ყეფა სადღაც უფრო შორიდან გვესმის. გავიხედეთ – მეორე ნაპირზე ჩვენი ადა არ დარბის?! ტახს დასდევს უკან. რომ არ მოეშვა ძაღლი, გადაუცურავს ღორს მტკვარი, რა უნდა ექნა, ჰოდა, იქ უარეს დღეში ჩავარდა: ვეღარც წინ, ვეღარც უკან! იქ აი ასეთი ფლატე იყო, მაღალი ნაპირი, ჩიტი თუ აფრინდებოდა, თორემ ღორი ვერ ავიდოდა. ჰოდა, დარბის საწყალი ღორი აქეთ-იქით: გაიბრუნს ოციოდე მეტრს – დანასილი ადგილი თავდება, წყალი ფარავს; მოუხვევს ტახი და მორბის უკან, სანამ ისევ წყალთან არ მოუჭრება გზა... ადა დასდევს კულში, არ სცილდება. წყალშიც მეორედ აღარ უნდა ღორს ჩასვლა – ოქტომბრის მიწურული იყო, როგორც ახლა, ძაღლიან ცივი, შუა ზამთარივით, წყალიც ყინულივით იქნებოდა. ესროლა ჩემმა მეგობარმა ღორს, მეც ვესროლე. დავაცილეთ, შორი იყო. ახლა კი ისკუპა ტახმა წყალში და დაუყვა ქვევით მდინარებას, მერე გამოვარდა ჩვენს ნაპირზე და გაქრა. ძაღლიც გამოვიდა, მარა ჩამორჩა. ჩემმა ამხანაგმა დაუძახა, შეეშინდა – კიდევ არ გამოედევნოსო. სადღა ჰქონდა საწყალ ძაღლს მაგის თავი – არაქათგამოლეული, ძლივს მოლასლასდა პატრონთან, სულ კანკალებდა. აიტატა მეგობარმა ხელში; ჯერ გაამშრალა, მერე აიყვანა, ჩაისუტა. რა არ იღონა, მარა მის ძაგბავს არაფერი ეშველა... მერე მოკვდა, საწყალი, ალბათ ფილტვების ანთება დაემართა. წავიყვანეთ შინ და რამდენიმე დღეში გათავდა... აბა! გაცივდა, ვერ გაუძლო ფილტვების ანთებას. მეც რომ გავიგე ამხანაგისგან – მო-

ვდაო, ძალიან მეწყინა... ისე მეწყინა, ვითომ ჩემი ყოფილიყო. მას მერე ასე ძალიან გამოიცვალა – არც ერთი არ გამოადგა. რა ვიცი, იქნებ გულიც აღარ მისდიოდა, სულ ადა ახსოვდა... ჰოდა, შარშან დავაპირეთ მწყერზე წასვლა. რაღაც არ მოხერხდა: ხან მე გამომიჩნდა საქმე, ხან – ამინდი არ ვარგოდა, ხან – რა. ერთხელ მეძახის, მოდი ჩემთანო, მირეკავს. რა ამბავია-მეთქი, სანადიროდ ხომ არ აპირებ მაინც-მეთქი. მოდიო, ახალი ღვინო მაქვსო, ვილაპარაკოთო. მივედი, ჩამიყვანა სარდაფში, ჩემი ხელით დაწურული ღვინო დაველიოთო. ჩაგვეტეთ კარი, დავსხვდით რაღაც ყუთებზე, წინ ჭიქები დავიდგით. დაასხა და ესო, ბოდი, ჩემი ადას შესანდობარი დაველიოთო. კარგი-მეთქი, ვუთხარი, ასწია ჭიქა და როგორც ცოცხალ ადამიანს, ისე მიმართა. მეცინება, ვუჭახუნებ ჭიქას – კარგი ძალი იყო-მეთქი. რა გაცივებსო, გაბრაზდა, ჩვენ ახლა ადას საფლაგზე ვდგავართო თუ ვზივართო, მისი წლისთავის დღეა დღესო... ფეხზე ადგომით არა, მარა ჯდომით მართლა ვისხედით – იმ მაცხონებულს ადა მართლა სარდაფში არ დაუშარხავს?! ცოლმა უთხრა თურმე, მოაშორე აქედან, შორს გადაადგე ეგ მძორიო, ჩემს მეგობარსაც ღამით ჩუმად ჩამოუტანია ქვევით, საკუთარ სარდაფში და იქ გაუთხრია ორმო და დაუსაფლაგებია... აბა, ისე ვდარდობდი, სხვაგან სად უნდა წამეღოო. მეც დაველიე ადას შესანდობარი, ადას რომ შეეფერებოდა, ისეთი წლისთავი აღვნიშნეთ. თან მეგობარი მაფრთხილებდა, ხმამაღლა არ წამოგტდეს ადას სახელი, ცოლმა არ გაიგოს, თორემ გადამა-სახლებსო... აბა! ეჰ, რა ძალიან დაგეარგეთ!..

– აღარ მივედით? – იკითხა შაქრომ. – ავერ შამბნარია, გაგაჩერო ამ მოსახვევში?

– ჰო, გააჩერე! – უპასუხა გიორგიმ. – შუქი ჩააქრე. ამ მოსახვევშიც არის შამბნარი, მაგრამ ღორები უფრო ქვევით ჩამოდიან წყალზე. იქ უფრო ბლომადაა შამბი, ბილიკიც ვიცი, რომლითაც გამოვლენ... ბიჭებო, ვისაც თოფები არ გაქვთ, ჯვოს, აქ დარჩით. თუ გინდათ, წამოდიოთ, მაგრამ... ჰო, ხომ იცით, შესაძლოა, შეგვიშალოთ ხელი: რაც მეტი ხალხი იქნება, ხმაურიც იმატებს... მერე, რად გინდათ, გახვევებში იყოთ; მაინც ვერაფერს დაინახავთ და ტყუილად ფეხებიც დაგიბუღებთ...

ყველანი გადმოვდივართ მანქანიდან. მონადირენი ლანდებივით გაქრნენ, ცოტა ხანს მხოლოდ მათი ჩექმების წყალში ჭყაპაჭყუბი ისმის; მე და ჯანსუღმა კი გავიარ-გამოვიარეთ ფეხის გასამართავად.

ირგვლივ დამაბრმავებელი უკუნი და უშფოთველი სიჩუმეა, მხოლოდ მთვარის ანარეკლი ღივლივებს ალაგ-ალაგ გუბესავით დამდგარ წყალში. მერე თვალები ნელ-ნელა ეჩვევა სიბნელეს: ვარჩევთ თეთრ რიყის ქვებს, ირგვლივ გორაკებიც მთვარის სუსტი ნათელით გამოიყოფიან; ნაპირზე უფორმო შავ ბუჩქებს და ოდნავ უფრო ღია ფერის შამბნარს რაღაც საიდუმლო ელფერი დაპკრავთ... ვარსკვლავებიც გავარჩიეთ, ოდნავ ბუჩქებზე. სიწყნარეა, ნიავიც კი არ იძვრის, ლეკისწყლის მდინარეებაც სრულებით არ ისმის, ან რა ხმა უნდა ჰქონდეს, – სულს დაფავს, ძლივს მიიკვლევს გზას ქვიშნარში.

მე და ჯანსუღი არ ვსაუბრობთ, თითქოს გვეშინია, რომ აი ახლა, ამ შამბნარში ჩუმი შრიალით მიმაგალ გარეული ღორების კოლტს დავაფრთხობთ... მაგრამ ირგვლივ ისეთი სიჩუმეა, რომ ძნელი დასაჯერებელია, ბუნებაში რაიმე მოძრაობდეს, არ ეძინოს ან არ ისვენებდეს, ეძებდეს სარჩოს. მთვარე ნელ-ნელა მადლა იწევს, სულ უფრო ანათებს გარემოს, ჩრდილები მოკლდება. ახლა გამოჩნდა, რომ მარჯვნივ, მოსახვევში, საკმაოდ ღია ფერის (ალბათ აღჩაგილის ყვითელი თიხებისა) მადალი ფლატე ყოფილა, მარცხნივ კი, შამბნარს იქით, – ბროწეულის ბუჩქები და რაღაც ხეებია.

– რას აკეთებენ ნეტა ახლა ჩვენები? – უნებურად ვამბობ მე.

– სხედან დადარაჯებულნი და თვალს არ აცილებენ ბილიკს. გრილა, ჰა? შენ არ გცივა? ისინი ალბათ ფიქრობენ, ორ-სამ ღორს მაინც გავაგორებთო.

– ორი-სამი რა, ქორწილია? ერთი ტახიც ყელამდე გვეყოფა.

– მეც მასე ვფიქრობ. გიორგის იმედი აქვს, აქაურია, ბევრჯერ უნადირია, გამოცდილია, თორემ ჩვენები მაინცდამაინც...

– იქნებ შაქრომაც იყოჩაღოს.

ვსაუბრობთ, თან გარშემო შემოჯარულ სიჩუმეს ვდარაჯობთ, ყოველ წამს სროლის ხმას ველით. მთვარე კიდევ უფრო მადლა აბობლდა, კიდევ უფრო აცივდა. გრილმა ნიავემ დაუბერა ჩრდილოეთიდან, ააქანავა და ააშრიალა შამბნარის გამხმარი თეთრი თავები. მანქანაში შევძვერით, აქ ნაკლებად გვაწუნებს ცივი ქარი.

ლოდინს საშველი არ დაადგა. ჯანსუღმა ფშვინვა ამოუშვა, მეც მეძინება, მაგრამ თავს ვიკავებ. გამოვდივარ მანქანიდან და მიმოვდივარ მდინარის ხრაშუნა ქვიშაზე.

ღამე უზომოდ გაიჭიმაო, ვერც კი იტყვი, უფრო ადგილზე გაიყინა... მაგრამ არა, მთვარე საგრძობლად გადაიხარა დასავლეთისკენ, გაბაღრული სახით დაჰყურებს გორაკებსა და ლეკისწყლის ხეობას. სწორედ ეს ადგილები აინტერესებს და მიტომ გაფაციცებული აკვირდება მიდამოს: აბა, ხომ პირნათლად ვარ თქვენთან, ნახეთ, როგორ გაგინათეთ ყველაფერი, რადას უცდით, სროლის ხმა რატომ არ ისმისო.

ისევ მანქანაში შევძვერი. კარის ჭრიალზე ჯანსუღის ნამძინარევი ხმა მესმის:

– არ მოსულან?

– არა.

საკმარისი იყო ჩამოვმჯღარიყავი, ჩემი კისერი ჩვარივით რბილდება, თავი გვერდზე იხრება მომჭკნარი ყვავილივით და რაიმე დასაყრდენს ეძებს. აღარაფერი მაინტერესებს ამქვეყნად, აღარც ტახი, აღარც თვით ძილიც კი – ისე საშინლად მეძინება...

– არჩილ, არჩილ, ლაპარაკი ისმის, მოდიან! – მანჯღრევს ჯანსული.

ასე მგონია, თავის დადებაც ვერ მოვასწარი, მაგრამ სინამდვილეში თურმე რამდენიმე საათი გასულა ჩემი წაძინებიდან.

გათენებამდე არც ისე დიდი დროა დარჩენილი. ვრთავ წინა ფარებს და მაშინვე გარშემო ყველაფერი სიბნელეში ინთქმება შუქით განათებული ვიწრო, თვალისმომჭრელი ზოლის გარდა.

გამოჩნდნენ მონადირენი, გვესმის ჩექმების ჭყლაპუნი წყალში, ხელით თვალებს იფარებენ შუქისგან, შემდეგ უხმოდ მოძვრებიან მანქანაში, ხელებს ისრესენ – ალბათ გვარიანად შესცივლათ.

– როგორაა საქმე? – მაინც კითხულობს ჯანსული.

– მივქარეთ აი! ტყუილად ვისხედით ამდენ ხანს, – თითქოს თავისთვის ბურტყუნებს სარდიონ კვაპატაძე. – თუ ღორი მოსასვლელი იყო, ადრევე მოვიდოდა... შაქრო, არ წავიდეთ?

შაქრო მაწვდის თოფს და ქოქავს მანქანას. ვიხუტებ თოფს და ვიბუზები. წამში დავიძინებდი, რომ ცივი ქარი არ ქროდეს სწრაფად მიმავალი მანქანის ყველა ხერხელიდან. არც დანარჩენები არიან გუნებაზე, უხმოდ გასცქერიან განათებულ გზას და მანქანასთან ერთად ირწვივიან.

ხელმარცხნივ კი, დაბლა ცაზე, დამცინავად იღიმება მთვარე.

* * *

შუადღეზე ვიღვიძებთ. ღორის სუკების ნაცვლად ცივ ჩაის მივირთმევთ.

საღამოს მარშრუტიდან დაბრუნდნენ სიკო გულოვანი, მოსე, მარკოზი და რობინზონა. ისინი დიდიდან უჩვენოდ წავიდნენ სამუშაოდ.

– დღესაც ხომ არ აპირებთ ტახზე წასვლას? უფრო სწორედ, ამ ღამეს, – დაუფარავად დაგვცინის სიკო ვახშმის დროს.

– ეჰ, არა, ჩემი ბებერი ძვლები მეტს ვეღარ გაუძლებს, – ვერ მიუხვდა სიკოს ირონიას ბატონი სარდიონი; მხრებზე თბილი ქურთუკი აქვს წამოხურული და ხარბად სვამს ცხელ ჩაის. – ხვალ კაკბებზე ხომ არ ჯობს წასვლა? ბუღა მოედანზე ბებერი ვნახეთ. ეჰ, ერთი ძაღლი რომ მაინც გვყავდეს...

– იქ რა გეინდა, ბატონო სარდიონ, ხომ ვიყავით უკვე და ყველაფერი ვნახეთ... თუ იქიდან კიდევ სადმე წავაღო? – კითხულობს სიკო.

– იქიდან პირდაპირ თბილისში, – პასუხობს კვაპატაძე. – უკვე თვის ბოლოა, რაღა დარჩა – ერთი კვირა და ოქტომბერიც მიიწურება, აცივდა უკვე.

– თბილისში? გადაწყვიტეთ უკვე თბილისში დაბრუნება? – სიკო გულოვანმა, გაკვირვებულმა, ჩაის ჭიქა დადგა მაგიდაზე. – ჩვენ... ჩვენ ვერ წამოვალთ, ბატონო სარდიონ.

– რატომ? აბა, ისე შინ ხომ ვერ მიხვალ, ორი-სამი კაკაბი და ერთი კურდღელი მაინც უნდა მიიტანო, გუშინდელი კაკაბები ხომ უკვე შევჭამეთ.

– არა, არა, ამიტომ არა... ჩვენ ორი მარშრუტი დაგვრჩა გასაკეთებელი ლაგოდუხის რაიონში, ბატონო სარდიონ.

– მერე რა, მომავალ წელს ხომ დეტალურ ჭრილებს აიღებთ.

– არაფრით არ შეიძლება, გეგმა დამტკიცებულია, ერთი მარშრუტი მაინც უნდა მოვასწროთ. დასავლეთით რა ხდება, მაქვს წარმოდგენა, არა უშავს, მაგრამ აღმოსავლეთით, ლაგოდუხთან, უბრალოდ მაინც არ გავიარო? – სიკო წამოდგა და ოთახში გაიარ-გამოიარა. – სამი რუკა მაქვს წამოდებული ამ რაიონის და სამივე სხვადასხვანაირია, ერთმანეთს არ ემთხვევა. შენი თვალით რომ ნახავ, სულ სხვაა...

– ერთი დღე რა არის მერე, შე კაცო! თუ გინდა, ალაზანზე წავიდეთ, გიორგიმ თქვა, ფუთიან ლოქოს დაგაჭერინებთო...

– არა, არა, – სიკოს ეხათრებოდა, გადაჭრით იმის თქმა, ისედაც ბევრს მოვცდითო და განსაკუთრებული სირბილით ელაპარაკებოდა. – არა, ბატონო სარდიონ, ამინდი რომ გაფუჭდეს, ის ერთი დღე შეიძლება, გადამწყვეტი აღმოჩნდეს... ნოემბერში კი ვეღარ წამოვალ თბილისიდან, სავლელე პერიოდში მითავდება.

განაწყენებული კვაპატაძე გაჩუმდა.

კარი XVII. შემოდგომის ზეიმი

საკმაოდ გრილი დილაა. დაღვრემილ შაქროს ტაბტი მიჰყავს მანქანა ლაგოდებისკენ. მარშრუტზე მივდივართ: უნდა გავუყვეთ ლაგოდებიდან ბილიკს (უფრო სწორედ, სოფელ ვაშლოვანიდან, რომელიც ლაგოდებს ჩრდილოეთით აკრავს) და მწვერვალ კაპუცინეს გავლით გავიდეთ კავკასიონის წყალგამყოფზე. შაქროს ალბათ ბუღა მოედანზე წასვლა ერჩივნა, არც მარტო დარჩენა უნდოდა.

– ბატონო სიკო, მარკოზი დარჩეს ჩემთან, საღამოსთვის ხომ მაინც უნდა დაბრუნდეთ, დაღლილები იქნებით და მომზადებულ კერძს დაგახვედრებთ, – შეეხვეწა შაქრო, როცა სოფელ შრომას მივუახლოვდით.

– თუ გინდა, მთელი დღე ნარდი ეთამაშო? – იცინის მოსე. – მიწერ-მოწერით ნარდის თამაში თუ არსებობს? თქვენთვის მისწრება იქნებოდა.

– გააჩერე, გააჩერე მანქანა, – ამბობს სიკო გულოვანი და რუკას იღებს. – აი აქეთ, მარცხნივ შეუხვიე, ჯობს, აქედან წავიდეთ, იქით ნაკრძალია და შესაძლოა, ნებართვის აღებას მთელი დღე მოვანდომოთ.

ასფალტიდან გადახვევის შემდეგ, გავუყვეთ შარაგზას, რომელიც მალე ბოლო სახლების შემდეგ ტყის გზად გადაიქცა. გადავიარეთ პატარ-პატარა ნაკადულები; ოღოროღორო გზა დამთავრდა ტყის კარგა სიღრმეში, უფრო შორს ტრაქტორიც კი ვერ გაივლიდა. აქედან უკვე ფეხით მოგვიწევს მთებში წასვლა ბილიკით.

– ბატონო სიკო, იქნებ დარჩეს მარკოზი! – ერთხელ კიდევ სთხოვა შაქრომ. – იქ მაინც რას აკეთებს, დასეირნობს.

– რაო, შენ მთებში სიარული სეირნობა გგონია? ჩვენი მუშაობა გართობაა? – ცოტა არ იყოს, გაცხარდა მოსე. – ერთი შენ წამოდი და ნახე, რა სეირნობაცაა.

– ბატონო სიკო, მართლა, შაქროც წამოვიდეს, რა იქნება? – თქვა მარკოზმა.

– წამოვალ, რატომაც არა... მოგეხმარებით, ბატონო სიკო, – თქვა შაქრომ.

– მოგეხმარები? რაში უნდა მოგეხმარო, ქანებს შენ ვერ გამოიცნობ და გეოლოგიურ ჭრილს შენ ვერ გააკეთებ, – უპასუხა სიკომ, რომელიც აქამდე თითქოს ვერ ამჩნევდა, რომ მას ელაპარაკებოდნენ და მანქანიდან ჩამოსვლის შემდეგ თავაუღებლად ჩაჰკირკიტებდა გეოლოგიურ და ტოპოგრაფიულ რუკებს.

– წამოვიდეს, წამოვიდეს, ერთხელ არ უნდა ნახოს, მარშრუტის გაკეთება რა ხილია? – ვთქვით ერთხმად მე, მოსემ და მარკოზმა.

– მანქანა? მანქანა სად დავტოვოთ? ტყუილია ყველაფერი... – ბოლოს გაიქნია თავი სიკომ.

– მაგის დარდი ნუ გაქვთ! – წამოიძახა განარებულმა შაქრომ. – აქვე დავტოვებ, სოფელში. რომელიმე ეზოში დავაყენებ...

– ჯანდაბას თქვენი თავი, – ჩაიქნია ხელი სიკომ.

– ახლავე, ნახევარ საათში აქ გაგზნდები, – საჩქაროდ დაქოქა მანქანა შაქრომ, – აქ მომიცადეთ.

სიკო ჩამოჯდა წაქცეული ხის ტანზე და თავი ისევ რუკებში ჩარგო; მარკოზმა პაპიროსი ამოიღო, მე და მოსემ ჩამოცვენილი, წითელ-ყვითელი და რუხი ფოთლებით დაფარულ მიწაზე გავიარ-გამოვიარეთ.

ფოთოლცვენაა...

თუმცა ნიავი არ იძვრის, მაინც დროდადრო წიფლებიდან, რცხილებიდან, წაბლებიდან მოწყდება ფერშეცვლილი ფოთოლი და ფრიალ-ფრიალით უხმოდ მოფარფატებს ქვევით, რომ ზევიდან მიემატოს ფოთლების რბილ საბანს, რომლითაც მთელი მიდამოა დაფარული. რა სიწყნარა ირგვლივ! თითქოს ტყე ჩუმად აცილებს უკანასკნელ თბილ დღეებს, დამწუხრებული იგონებს ზაფხულის სიმცხუნვარეს... არა, როგორ შეიძლება იყოს დამწუხრებული ტყე, როდესაც ირგვლივ აალებული ფერების თამაშ-თარეშია, ცეცხლის გრიგალია; წითელი, ყვითელი, ყავისფერი, მომწვანო-ყვითელი, რუხ-ნაცრისფერი და ვინ მოთვლის კიდევ რამდენი ცხოველი, საგსე, ნათელი ფერების მჟღერი მაჟორული სიმფონიაა!.. შრიალით მთარდევს მუხლებამდე ფოთლების ნაყარს და თავი სიზმარში გგონია: თითოეული ფურცელი განუმეორებელ ფერთა შეხამებით გხიბლავს, ტონებისა და ნახევარტონების უღამაზეს გადასვლებს გთავაზობს ყოველ ნაბიჯში... მხოლოდ ამის სახილველად ღირდა თბილისიდან აქ ჩამოსვლა. შეგიძლია, ერთი ნებისმიერი ფოთოლიც კი აიღო და დაუსრულებლად ათვალიერო უჩინარი გენიოსი მხატვრის ეს შედევრი...

გარშემო კი შედევრების მთელი ზღვაა და ერთობლიობაში ფერადოვან ხალიჩას ჰქმნის. მოგეწონა, გინდა შეინახო აი, ეს ფოთოლი, რაოდენ ლამაზი და გამორჩეულია, მაგრამ აი, მეორე, კიდევ

უფრო ცხოველი ფერების თამაშით დაჯილდოებულნი! აგერ კიდევ მესამე, მეოთხე... და ბავშვივით გახარებული, წამდაუწუმ იხრები ახალი ფოთლის ასაღებად ან ტოტზე შერჩენილს წასწვდები... მაგრამ რამდენი დაგეტყვა ხელში, რამდენი შეგიძლია წაიღო? მალე აღარ იცი, რა უნდა ქნა დაგროვილი ფოთლების სიმრავლისგან; ყოველი მათგანის გადაგდება გენანება, არადა, კვლავ და კვლავ თვალს გტაცებს მორიგი უჩვეულო ფოთოლი... ჰაერში ნელი, ჩურჩულივით ოდნავ გასაგონი შრილით მოფრინავენ ფრთახატულა პეპლებივით მოფარფატე ფოთლები...

ფართოდ თვალგახელილები ვიცქირებით ირგვლივ; ამ აგიზოზებული სილამაზის ხილვა წინ და წინ გვიტაცებს და ვერც კი ვამჩნევთ, რომ საკმაოდ დავშორდით მარკოზსა და სიკოსს... მაგრამ იმდენად ნელა მივაბიჯებთ, რომ ისინი შაქროსთან ერთად გვეწვიან და ყველანი ერთად, მოჯადოებულებივით გაჩუმებული, მივიკვლევთ გზას ამ ფანტაზიურ ტყეში...

შედარებით ვაკე ადგილი თავდება, შედმართი დაიწყო. შემოდგომის ტყე კი ისევ ისე სახეიმოდ ასრულებს ამ წლის უკანასკნელ რიტუალს...

– ბილიკი არ ჩანს, საით მივდივართ? – კითხულობს მარკოზი.

– არა უშავს, ლუი მეთოთხმეტემ ხომ ბრძანა, სახელმწიფო ეს მე ვარო, ჩვენც ვთქვით: “ბილიკი ეს მე ვარ!” – გაეპასუხა წინ მიმავალი მოსე.

– ჰოდა, წავიდეთ წინ და წინ! – დაუმატა სიკომ. – ბილიკს ადრე თუ გვიან მივაგნებთ.

დაიწყო ნამდვილი აღმართი, როგორც ამ მთებს ეკადრებათ და მართლაც, საიდანდაც გამოჩნდა ბილიკი; ვერც კი შევამჩნიეთ, როდის დავადექით მას. აქ ხეები კიდევ უფრო ხალასი ფერებით იყვნენ შემკულნი; ყვითელს ჭარბობდა ძოწისფერი და შინდისფერი; ფოთლებიც ნაკლები იყო შერჩენილი ხეებზე, ნეკერჩხლები კი სრულიად გაშიშვლებულნი იდგნენ. ფეხქვეშ ბლომად ეყარა ალაგ-ალაგ – რკო, ალაგ-ალაგ – წიწიბო, წაბლის ნაყოფი. ჯიბეები დავივსეთ წიწიბოთი; შაქრომ რამდენიმე რკო დაიჭირა ხელში და შეათვალაიერა.

– ბიჭო, შენ რკოსა და თხილს ვერ არჩევ ერთმანეთისგან, – დასცინა მარკოზმა. – ტყეში რომ დაიბნე, შიმშილით მოკვდები.

– თხილს ამ დროს რა უნდა, – უპასუხა შაქრომ, ხელისგულზე ათამაშებდა პრიალა რკოებს, რომლებსაც ერთ ბოლოზე “ქულები” ესურათ.

გამოჩნდა თიხაფიტლების პირველი გაშიშვლებები. რამდენიმე ნიმუში ავიღეთ და მარკოზმა ჩაიღო ზურგჩანთაში. შემდეგ აღმართი ცოტა შერბილდა, რადგან ქედის სერზე გავედით. ბილიკის მარცხენა მხარეს ფლატის კიდეს მივადექით – თითქმის შევუღ კედლად მიდიოდა ნაცრისფერი ფიტლების შვავ-ნაშადი. ამ ქარაფის პირას შევჩერდით და კარგა ხანს დავეყურებდით რუხ-მოწითალო ალაზნის ველზე გზების ღაბირინთსა და ალაგ-ალაგ სოფლების სახურავების კალეიდოსკოპს – თითქოს თვითმფრინავიდან ვათვალაიერებდით ყოველივეს.

მარკოზი დაჯდა ფოთოლგაძარცული აკაკის ძირში და ფეხები გამართა, გვერდზე ზურგჩანთა დაიღო.

– ეგ არი თქვენი მუშაობა? – დაადგა თავზე შაქრო. – ჯერ ნახევარი საათია, მოვდივართ და უკვე ისვენებ, ჩაქუჩის ქნევამ დაგდალა? მოიტა აქ და თუ გინდა, მთელ ლოდიანს მოგიმტვრევ! მოიტა, მოიტა, განახო, როგორ უნდა მუშაობა!

– მოიცა, კაცო, ჩაქუჩი სად მიგაქვს! შენ რა იცი, რომელი ქანი გეჭირდება და რომელი არა... აღებასაც ცოდნა უნდა, ჭირიმე, – ქვები აქ მილიონია, ყველას ხომ არ წაიღებ.

– აბა, მაშ კარგი, ამ ზურგჩანთამ ხომ არ გატკინა წელი? გეოლოგი გქვია რაღა! – შაქრომ დაავლო ხელი ზურგჩანთას და მხოლოდ მაშინ იგრძნო მისი სიმძიმე. მართალია, ნიმუშების ბლომად აღება წელს არ გეჭონდა გათვალისწინებული, მაგრამ წინასწარ გასაცნობად უკვე ავიღეთ ხუთი-ექვსი ცალი. ზურგჩანთაში მათი ქონა თითქმის შეუმჩნეველი იყო, იმდენად მცირე ადგილი ეკავათ, მაგრამ ოთხ-ხუთ კილოგრამს მაინც იწონიდნენ. რასაკვირველია, ეს ტვირთი არც მარკოზისთვის იყო სამძიმო, მაგრამ მაინც დაანება ზურგჩანთა შაქროს – ამ უკანასკნელმა უკვე ღვედებში მკლავები გაუყარა.

აუჩქარებლად მივდივართ სერ-სერ შემოდგომის ნათელ ტყეში. ხელმარცხნივ ჩართლოსხევის ხეობაა, ხელმარჯვნივ – შრომისხევისა, და რომელი უფრო ლამაზია, ძნელი გადასწვდებია. ადრე ხომ ალყაში ვიყავით მოქცეული: საითაც გაიხედავდი, აბრიალებული ფოთლების ზემო გვერტვა გარს – წინაც და უკანაც, თავზევითაც და მიწაზეც; ახლა შეგვიძლია, გუცქიროთ ალის აბობოქრებულ ზღვას, რომელიც მოსდებია უწყვეტ ხალიჩად მთავრეხილებსა და ხეებს... რაც უფრო ზევით-ზევით მივძვრებით აღმართში, მით უფრო გვიან შემოდგომაში აღმოვჩნდებით, მით უფრო მძაფრი ფერები მეფობს გარშემო.

შაქროს სახეზე ოფლმა გამოჟონა, მძიმედ სუნთქავს; შესაძლოა, მასზე სიმალღემ იმოქმედა, თუმცა, ჯერ რა სიმალღეზე ავედით – ორი ათას მეტრამდე ზღვის დონიდან ჯერ შორსაა; ალბათ უფრო იმან დადალა, რომ მთაში სიარულს არაა დაჩვეული... თანაც მარკოზი ხშირ-ხშირად აწვდის ახალ ნიმუშებს და ზურგჩანთა თანდათან იბერება.

– მარკოზ, ნიმუშებს გაუხვევლად რატომ აძლევ? – ვეკითხები მე.

– სუ!.. – პირზე ხელს იღებს მარკოზი და შაქროსკენ იხედება, ხომ არაფერს მიხვდაო.

ათ წუთს ვჩერდებით და ვისვენებთ, გარემო სილამაზით ვტკბებით. შაქრო გამხმარ, მიმჭკნარ ფოთლებზე ჯდება და საბერველივით ქშინავს, სად აქვს აქეთ-იქით ყურების თავი.

გარშემო კი თითოეული ხე, ბუჩქი, თითქოს კარნავალი იყოს, დანარჩენებს ეჯიბრება სიტურფეში და მზის სხივებში ქარვისფრად, ლალისფრად ეღვარება, კეკლეუცობს ფერადოვანი სამოსით. პოეტი ამაოდ შეეცდებოდა, გადმოეცა ყოველივე ეს ლექსში ან თუნდაც ამალღებულ, საზეიმო ჰიმნში. თვით გენიოსი მხატვარიც კი მხოლოდ გარეგნულ და ამიტომ ბევრად ცივ ასლს გადაიღებდა, დეტალებს განაზოგადებდა, გააუხეშებდა პეიზაჟს. აქ ხომ თითოეული ხე განუმეორებელი ხმით მღერის და ამას მიახლოებით მხოლოდ დიდებული ქორალი თუ შეედრება...

ისევ ზევით... საწყალი შაქრო ძლივს მოლასლასებს, სახეზე ხვითქად ჩამოსდის ოფლი; დანარჩენებისთვის კი აგრილდა – სიმაღლის მატებასთან ერთად. იალაღებამდე ცოცხლა დარჩა. აქ ხეები თითქმის შიშველია, გარემომ ოდნავ პირქვეში იერი მიიღო.

სადილობის დრომ მოაწია. თუმცა მხოლოდ ათიოდე კილომეტრი გამოვიარეთ, მაგრამ ასეთ აღმართში, რასაკვირველია, ვერ ირბენ და, მეორეც, დიდი ხნით ვჩერდებოდით მუქი ნაცრისფერი ფიქლებისა და ქვიშაქვების გაშიშვლებებთან დასაკვირვებლად და, იშვიათად, ნიმუშების ასაღებადაც. შაქროს ტვირთს ქვების ნაწილი ჩუმად მოვაცილე და გადავყარე.

პურს, მოხარშულ კვერცხებსა და ყველს (კვაპატაძის სტუმრობის გამო, იძულებული ვართ, მომჭირნეობა გაეწიოთ) ბიძია ალექსანდრეს ვენახის დათაფლული, ნახევრად დაჩამინებული ყურძენიც დაგავყოლეთ.

მოვასვენეთ აღმართისგან ამოგდებული გულები; შაქრო გამხიარულდა კიდევ. მზიანი ადგილი კი ამოვარჩიეთ, მაგრამ მაინც მობუზულები ვსხედვართ; ალპურ ზოლში კიდევ უფრო ეცივება და ალბათ ჩვენი თბილი ტანსაცმელიც ვერ გვიშველის.

წინ, ისევ წინ. ამქვეყნად ყველაფერს აქვს ბოლო და ტყეც გათავდა. საცოდავი შესახედავი გახდა აქ: შავი, ფოთოლგამარცული ტოტებით წყნარად დგანან ხეები ციცაბო ფერდობზე; ტყის ზევით კანტიკუნტად თითო-ოროლა ჩია ტანის ხე კიდევ ბოგინობს და მერე უტყეო იალაღებია. ბალახი აქ ჯერ კიდევ მწვანეა. ცხვრის ფარა თეთრად შეგფენია ფერდობს. კაპუციხეს მწვერვალთან მოლურჯო-ნაცრისფერი შუალაისური ფიქლები შიშვლდება, ზურგჩანთას კიდევ რამდენიმე ნიმუში ემატება და შაქროც წელში საწყლად იკაკვება, ძლივს ადგამს მძიმე-მძიმე ნაბიჯებს.

დასვენება ათი-თხუთმეტი წუთით, მერე ერთი საათი სიარული და მუშაობა, ისევ დასვენება და აჰა, მთა კაპუციხესაც მოვექეციეთ მომრგვალო მწვერვალზე. მწვერვალს სამხრეთისკენ ციცაბო ფერდი აკრავს, მის ქვევით კი ვხედავთ ტყის გამოსათხოვარ ზეიმს.

კაპუციხედან კავკასიონის წყალგამყოფამდე ჯერ კაი ძალი მანძილია; თუმცა არც ისეთი აღმართებია, როგორებიც უკვე გამოვიარეთ, იქამდე მისასვლელად რამდენიმე საათი მაინც დაგვჭირდება. უკვე მოსაღამოვდა... რა ვქნათ? ახლა ადრე ბინდდება – გვიანი შემოდგომაა და შესაძლებელია, ტყეში დაგვადამდეს... სიკო რუკას იღებს და გულდასმით აკვირდება. ჰო, წინ გეოლოგიურად ახალს ნაკლებად ვნახავთ, ამიტომ ჯობს, ახლავე უკან გავბრუნდეთ; მაგრამ არა სერ-სერ, ძველი გზით, არამედ ბევრად მოკლე ბილიკით, რომელიც შრომისხვევის ხეობის ძირს მიუყვება. აი აქედანვე, კაპუციხიდან დავეშვებით ციცაბო ბილიკით შრომისხვეთან და რომც დაგვადამდეს, აღარ შეგვეშინდება დაბნევის ან გზის დაგრძელების – მდინარის ნაპირ-ნაპირ მიდის ბილიკი.

ხმა პარტიის უფროსისა – ხმა ღვთისაო, საჩქაროდ ვიბრუნეთ პირი შინისკენ. კაპუციხის სამხრეთ ფერდზე ჩქარი ნაბიჯით თითქმის ჩავრბივართ გველივით დაკლაკნილი ვიწრო ბილიკით.

მაღლე ტყეშიც შევედით. ბილიკის მიხვევ-მოხვევისთვის სად გვცალია – პირდაპირ, მოკლევზე ვჭრით გზას ჩამოცვენილი ფოთლებით დაფარულ დაქანებულ ფერდობზე. ხრიალ-შრიალით ჩავრბივართ, დროდადრო გადავკოტრიალდებით კიდევ, მაგრამ საშიში არაფერია, ფოთლების რბილი საბანი თუ ლეიბი გვიცავს. აგერ შაქროც დაგორდა, ძლივს შეჩერდა – ნორჩ რცხილას სტაცა ხელი; ზურგჩანთის თავი გადაიხსნა და მთელი ნიმუშები მიმოიფანტა.

– მარკოზ, აბა, მიეხმარე! – დაუძახა სიკომ. – დაიღალა კაცი, შეეშველე!

– შაქრო, ბენზინი შემოგელია? – იცინის მარკოზი.

მარკოზს მეც ვეხმარები ნიმუშების შეგროვებაში; რასაკვირველია, მხოლოდ ნამდვილ, გახვეულ ნიმუშებს ვდებთ ზურგჩანთაში, “ბალასტს” გვერდზე ვყრით – შეასრულა თავისი დანიშნულება. ზურგჩანთა მაინც მძიმეა და მარკოზი ახლა ისე მკვირცხლად ვეღარ მოგვეყვება ქვევით.

– ალეგრო მა ნონ ტროპო! სწრაფად, მაგრამ არცთუ მეტისმეტად!.. – ყვირის მარკოზი.

ტყეში, სინათლე ბევრად ნაკლებია; სწრაფადაც ბინდდება. უკვე აღარ გვაქვს იმედი, რომ დაბნელებამდე სოფელს მივალწევთ, მდინარემდე მისვლა მაინც მოვასწროთ – იქ შედარებით ვაკეზე ვივლით.

უკვე ერთი საათია, ასე ჩავრბივართ ტყიან ფერდობზე – ბინდში, ფერდაკარგულ ხეებს შორის; მდინარე კი ისევ სადღაც ქვევით მიშხუის. გავოფლიანდით. ხეების მხოლოდ სილუეტებსა და ვარჩევთ, მაგრამ მაინც ჩავრბივართ, როგორც შეგვიძლია. მარკოზი საგრძნობლად ჩამოგვრჩა, ვუცდით. ზრიალუბენ ჯაფადამდგარი მუხლები, თვითნებურად იკეცებიან, აღარ უნდათ გვემსახურონ... შემდეგ ისევ მივაშრიალებთ ქვევით გამხმარ ფოთლებს. ბილიკი ხომ რა ხანია, დაგვკარგეთ და რომც ვიპოვოთ – ველარ გავარჩევთ, ბნელა. არემარეს ირგვლივ ნათელი ეფინება – ხელმარცხნივ მთვარეს ამოუჭყეცია მთების იქიდან ცოტათი და ხეთა კენწეროებს ანათებს; ჩვენ ხან დაგვემალება, ხან ისევ გამოჩნდება. აჰა, მდინარეც... მოისვენეს მუხლებმა, სამაგიეროდ, წამდაუწუმ ჩექმის ცხვირს ამოვარცყამთ ხოლმე ხან ქვას, ხან კიდევ რას აღარა. უსწორმასწორობისა და ჭალის ბუჩქნარის მიუხედავად, უკვე უფრო სახალისოა სიარული – გააკადა. მცირე ხანში მთვარეც წამოგვეხმარება და სულ კარგად იქნება საქმე. ნიმუშებიანი ზურგჩანთა ახლა მე მომაქვს. ხელმარცხნივ გადავიწიეთ, მდინარეს ოდნავ დავეშორდით, რადგან აქ, ტყეში, შედარებით ადვილი სასიარულოა სიბნელის მიუხედავად – დიდი ქვები და ქვეტყე არ არის.

ნაკლული მთვარე ამოგორდა, ცივად გაანათა გარემო; ძირს გრძელი ჩრდილები გაწნენ ხეებისა. სიარულის დროს მთვარეს თუ შეხედავ, ხეებს შორის ხან შემოგვცინებს ერთი წამით, ხან ისევ დაგემალება; მერე ისევ გტყორცნის ვერცხლის სხივებს; ჩამუქებულ ხეებს შორის საოცრად ლამაზად ჩანს, თითქოს დამალობანას გვეთამაშება... მაგრამ სჯობს, დროდადრო წინაც გავიხედო – ფოთლებით სასვე ღრმა ორმოში ჩავევარდი.

სამი საათია, რაც დაბნეულა, წინ კი სინათლე არ ჩანს. მივიღვართ ყველანი ერთად, ფეხქვეშ ფოთლებს მივაშრიალებთ, მოშორებით მდინარე მიჩხრიალებს. მთვარის შუქზე ფოთლების ნაფენი თევზის ქერცლებივით ქათქათებს.

ხელმარჯვნივ, მდინარის გაღმა, სოფლის პირველმა სინათლეებმა გაიციალეს...

სხვა გამოსავალი არ გვაქვს – ვიკაპიწებთ შარვლის ტოტებს და დიდი ქვებით ჩახერგილ შრომისხევიში შედარებით წყალთხელ ადგილს ვეძებთ. თუმცა რა, წყალი კი არა, პირველად რომ ფეხი ჩავეყავი, ნამდვილი მღუღარეა!..

კარი XVIII. ნახვამდის, კახეთო!

არც ერთი გავცივებულვართ. ცხელმა ჩაიმ თუ გვიშველა, რომელიც, შუალამის მიუხედავად, ბიძია ალექსანდრემ დაგვახვედრა. მხოლოდ შაქრო ვერ გახლავს გუნებაზე – ძლივს დადის, ხელ-ფეხის კუნთები სტიკია, წელშიც სიმწრით ისრება.

– შაქრო, ადვილია ხომ მთებში სიარული! – ეკითხება მარკოზი, როცა თითქმის შუადღეზე ვიკრიბებით აივანზე სასაუბროდ. – ხვალაც ხომ წამოგვეყვები მარშრუტზე?

შაქრო ხმას არ სცემს, აივანზე შემოჭრილ მზეს ეფიცება.

– არა უშავს, შაქრო, – ამხნევებს მოსე, – ორ-სამ დღეში გაგივლის. პირველი მარშრუტის შემდეგ ჩვენც შენს დღეში ვიყავით.

“მაგრამ ქვევით პირთამდე გატენილი ზურგჩანთა არ გვითრევიან”, კინაღამ წამომცდა, თავი დროზე შევიკავე.

საწოლებზე წამოგორებულები ვისვენებთ. მშვენიერი, მზიანი დღეა, ნამდვილი სამარშრუტო, მაგრამ დღეს ველარსად წავალთ – ძალიან დაღლილები ვართ და გვიანიც არის. ბოლო მარშრუტი – ლაგოდეხის ნაკრძალში – ხვალისთვის გადაიდო. დღეს ბენზინს მოვიმარაგებთ და საშვსაც ავიღებთ ნაკრძალის ღირექციაში.

საღამოს მოიდრუბლა, წამოწვიმა.

– ო, ეს წვიმა ასე ადვილად არ გადაიდებს, – ამბობს ბიძია ალექსანდრე და გაფანჩული უღვაშებიდან პაპიროსის მოლურჯო ბოლს უშვებს. – მიკვირს, ასე დიდხანს გასტანა დარებმა.

სიკო გულოვანი გეოლოგიურ რუკას თავს ანებებს და ჩამუქებულ მიდამოს დიდხანს გასცქერის.

– რადიო რას იტყვის, საინტერესოა... ყოველი შემთხვევისთვის, ადრე დავიძინოთ.

აივნიდან ოთახში გადავბარგდით, სიცივემ და სინესტემ შეგვაწუხა.

დილით პირველად ფანჯარაში გავიხედე.

არ წვიმს, ღრუბლებიც არ ჩანს. გვიანი მზე ცერად ოდნავ ეხება ნაწვიმარ მიდამოს, სინესტის სუნი დგას, ცივა.

აივანზე გამოვდივარ, გავყურებ ჩრდილოეთით კედელივით აღმართულ ლურჯ კავკასიონის ქედს... ლურჯს მხოლოდ ნაწილობრივ: ზემო ნაწილში კალთები და მწვერვალები თეთრად ქათქათებს, მზის სხივები ირეკლება პირველი თოვლისგან. ჯიხვები ალბათ ქვევით ჩამოვიდნენ, ტყეს შეაფარეს თავი – გაზაფხულამდე.

ყოველგვარ მარშრუტზე ზედმეტია ლაპარაკი...

ახმაურდა ჩვენი გეოლოგიური ბანაკი – დროა, სახლისკენ, თბილისისკენ ვიბრუნოთ პირი.
 გული მღელვარებით გვიცემს.
 რამდენიმე საათში თბილისს ვიხილავთ...
 და როცა შორიდანვე დავინახავთ მამადავითსა და ტელეანძას და ვიგრძნობთ დიდი ქალაქის
 სუნთქვას, მთელი გრძნობით წარმოვთქვამთ:
 “გამარჯობა, ჩემო თბილის-ქალაქო,
 დაკარგული შენი შვილი მოვედი!”

* * *

ნახვამდის კახეთო!..
 მივდივართ, მაგრამ არ გტოვებთ; თან მიგვეყვება შენი ტყიანი მთები, ალაზნის ველის ხალიჩა,
 გარე კახეთის ოქროსფერი ტრამალები; ვარსკვლავებით მოჩითული ღამის ლურჯი საბანი და მზით
 გასხივოსნებული მაღალი ცა; შენი პური და ღვინო, ხეხეები, გორაკები, ალაზნისა და ივრის ჭაღე-
 ბი... შენს მიწაზე მოსიარულე ადამიანები – მათი ღიმილი, შრომა, ხმა... მართალია, ჩვენი პროფესი-
 ის წყალობით, უმეტესად უკაცრიელ ადგილებში ვიკვლევდით გზას, მაგრამ ეს ხომ უკანასკნელი
 სტუმრობა არ არის ჩვენი... და მომავალში დროც მეტი გვექნება, მეტსაც ვნახავთ, მოვისმენთ, გავი-
 აზრებთ; ჩვენ ხომ ბევრი რამ დაგვრჩა გასაკეთებელი, გასაცნობი. იმასაც მოვინახულებთ, რაც ამ-
 ჯერად ვერ ვიხილეთ... და განა შეიძლება, კახეთში იყო და არ აბობლდე გრემის კედლებთან, არ
 აუყვე ალავერდის ტაძრის ხეულ კიბეს, არ მოისმინო ფოთოლთა ჩურჩული შუამთაში, არ დაუკ-
 ვირდე დავით გარეჯის იდუმალ მღუმარებას?..
 რამდენჯერაც უნდა მოინახულო კახეთი, თუნდაც გაჭაღარავდე ხეტიალში, მაინც თითოეული
 ახალი ნაბიჯი მშობლიურ მიწაზე გვამდიდრებს, გვამაღლებს, გვაფაქიზებს... გვამდიდრებს სილამა-
 ზის ხილვით, გვამაღლებს გრძნობათა სიხალისით, გვაფაქიზებს სიკეთესთან და სითბოსთან ზიარე-
 ბით...

მანქანა მიგუგუნებს თბილისისკენ...
 შინ დაბრუნებაც გიხარია და აქაურობის დატოვებაც გიმძიმს... მაგრამ არა უშავს, მომავალში
 ჩვენი დაბრუნება – უეჭველია!
 მანქანა მიდუღუნებს, მიირწევა...
 განა შეიძლება, კახეთი არ ნახო? და თუ ნახე, კვლავ და კვლავ არ მოინახულო?
 მომავალ შეხვედრამდე, კახეთო!..

1964 წლის 30 ნოემბერი –
 1965 წლის 27 ოქტომბერი,
 თბილისი.

გტოვებთ ბილიკს მოთხრობა

კარი I. მოგზაურობის დასაწყისი

დასაწყისი მოგზაურობისა ვერ გამოდგა მაინცდამაინც სახარბიელო...
 წვიმა გამეტებით უხათქუნებს სატვირთო მანქანას, ცივი შხეფებიც საკმაოდ ცვივა აქეთ-იქიდან
 – ბრეზენტის ტენტი ძველია, ალაგ-ალაგ გახვრეტილი, ძარის წინა მხარეც კი ვერ არის მჭიდროდ
 დაგმანული.

ისმის, როგორ ხმაურობს წვიმა ასფალტზე, გზის გასწვრივ დარგულ ხეთა ფოთლებს აშრია-
 ლებს; მანქანა გუგუნით მიდგაფუნობს, დროდადრო გვერდზე გრიალით ჩაიქროლებენ შემხვედრი
 მანქანები.

გიგლაც და ამირანიც უკან იყურებიან – იქითა მხარე არაა ტენტით დაფარული – და ხედავენ
 ასფალტის სველ, მბზინავ ზოლს, მასზე წვიმის მსხვილი წვეთების ცეკვას; გზის ორივე მხარეს
 უკან-უკან გარბიან გალუმიშული მწვანეკაბიანი ხეები – მოღუშულნი, მძიმედ რომ აშრიალდებიან ცი-
 ვი ქართო...

ამირანი ცოტა ხანს დგას ძარის ბოლოში; აქედან უკეთ ჩანს გარემო: მწვანედ მოხასხასე ვენახთა მწკრივები, ალაგ-ალაგ გადაკვეთილი ტანმალაღი ალგების ქარსაფარი ზოლებით; აქა-იქ უკვე აღებული პურის ყვითელი მართკუთხედები; წვიმისგან დაბზურსებულ სოფელთა მუქი ლაქები...

წვიმა შენეულა, გარემო თითქოს ოდნავ განათდა, გამოჩნდა მუხრანის ველის მეორე კიდეზე, ქედის კალთაზე, სულ დაბლა, როგორ მიიპარებიან ნელა ღრუბლისა თუ ნისლის თეთრი ფთილები; საგურამოს მხარეს არაფერი ჩანს. ძარის ბოლოს განსაკუთრებით ძლიერად ანჯღრევს, თან გამთოშავ ქარს ძარაში შემოაქვს ბორბლების მიერ გზიდან ატაცებული, ტალახიანი წინწკლები, ამიტომ ამირანი ერთხანს უყურებს უკან მიმქროლავ გზას, შემდეგ ისევ ბრუნდება კაბინასთან ახლოს, გიგლას გვერდით.

მანქანა ისევ წვიმის ზოლში მოხვდა, ისევ დასცხეს წვეთებმა ტენტის დოლს... უკვე მომაბეზრებელი ხდება ასეთი ერთფეროვანი მგზავრობა. ბიჭები საძილე ტომრებზე წამოწვენენ, თუმცა შოფერი მაგრად მირეკავს და საკმაოდ დანჯღრეული მანქანა უსაშველოდ ჭრიჭინებს და რახრახებს. ასე ვერ მოისვენებ, მაინც ჯდომა ჯობს – და ისევ აკანტურებენ თავებს გამოუძინებელი ბიჭები, კისრები თითქოს მომჩვარული ჰქონდეთ; ლაპარაკის ხასიათზეც არ არიან.

ერთი კვირის წინ გეოლოგიური პარტიის უფროსმა გიორგი ჯანდაშივილი (რომელიც ახლა კაბინაში ზის შოფრის გვერდით) დაწესებულების გრძელ დერეფანში ამირანი და გიგლა პირველად შეახვედრა ერთმანეთს.

– აბა, ლომებო, გაიცანით ერთმანეთი! – თქვა მაშინ ბატონმა გიორგიმ და ორივეს ზურგზე მოუთათუნა ხელები. – ერთი თვე ერთად მოგიწევთ ბლოტიანი ტყე-ღრეში.

– გიგლა!

– ამირანი!

ყმაწვილებმა მარჯვენები შეაგებეს და თვალთაც დაზომეს ერთიმეორე. ორივესთვის სიმაღლე საკმაოდ გაემეტებინა ბუნებას, ოღონდ ეს იყო, რომ გამხდრები იყვნენ. გიგლას შავი სწორი თმები წამოზრდოდა; როგორც ჩანდა, ესარგებლა სასკოლო არდადეგებით და “თანამედროვე სტილზე” უნდოდა დაეყენებინა; ამირანს კი თავი ერთი კვირის წინ პირწმინდად გადაეხატრა, ოდნავ წამოზრდილ თმაზე დროდადრო ისვამდა ხელისგულს.

გეოლოგიური პარტიის უფროსი გიორგი ჯანდაშივილი, – შუახნის, სულ მთლად გაჭაღარაგებულ, რომლის აჩქილ-აფოფრილ თმას ვერა და ვერ ერეოდა სავარცხელი, – იქვე იდგა და წყნარად ედიმებოდა შავ უღვაშებში...

დღეს, რასაკვირველია, შეიძლებოდა, ცოტა მოგვიანებითაც გამოსულიყვნენ თბილისიდან – წადვერამდე ოთხ საათზე მეტი არ დასჭირდებოდათ მანქანით მისასვლელად, მით უმეტეს, რომ კოკისპირულად წვიმა გათენებდნენ; მაგრამ ბატონმა გიორგიმ, როგორც წინდაწინ იყვნენ შეთანხმებულნი, სისხამ დილით მოასწრო მანქანით ბიჭების სახლების შემოვლა და უკვე შეიღის ნახევარზე საბურთალოს ბაზრის წინ გააჩერა მანქანა “გაზ-51” შოფერმა იმედომ – სანოვაგე უნდა შეეძინათ. იმედო, თავსხმა წვიმის მიუხედავად, ხალისიანად დაჰყვებოდა ბიჭებს ბაზარში და გაჭრობაში შეელოდა: სიტყვაწყლიანად ევაჭრებოდა გამყიდველებს – აბა, ცოტა დაუკელი, რას ამბობ, კაცო, ამაზე ბევრად უკეთესი პომიდორი უფრო იაფადაც ფასობსო; რომ წვიმს, იმიტომ ხომ არ აძვირებო, ხომ ხედავ, შენი პომიდორი სირცხვილით გაწითლებულაო, – და ამ ხუმრობა-ლაყობაში ორ-სამ კილოგრამს რომ ააწონინებდა, ნახევარ კილოს ისე სდებდა “ხალტურად” ტაშტზე, რომელიც საგანგებოდ პომიდორისთვის ჰქონდათ წამოღებული. მოკლედ, აწონის ბოლოს, ათი კილოგრამი პომიდორის ნაცვლად, თორმეტ-ცამეტი მაინც გამოვიდოდა. შემდეგ იგივე ამბავი განმეორდა ბადრიჯნის, ხახვის, კარტოფილის, ხილის და სხვათა ყიდვისას; ამასთან, რაც უფრო მატულობდა ტვირთი, მეტს ლაზდ-ანდარობდა ბიჭების სამხიარულოდ იმედო. ბოლოს, კარგი, უძარღვო მწვანე ლობიოც ბლომად შეარჩია იმედომ და დროც იყო, დაბრუნებულიყვნენ – ბიჭებს სულ უკვირდათ, ამდენ სანოვაგეს ვინ გაასაღებსო; არ დაიჯერეს იმედოს ნათქვამი, რამდენიმე დღეში ბორჯომში ან ხაშურში მოგვიწევს ისევ ბაზრის მონახულებაო.

საკვირველია, ამდენი წყალი სად დაგროვდა ზეცაში – უკვე გორს უახლოვდებოდნენ, წვიმა კი არ ნელდებოდა.

მანქანამ სვლა შეანელა და გაჩერდა.

– ხომ არ გცივათ, ლომებო? – ამოიხედა ძარაში ბატონმა გიორგიმ, შემდეგ ზევით ამოძვრა. – წადი, იმედო, წადი! თბილები ხომ წამოიღეთ? წადვერში დამლამობით საკმაოდ გრილა ამ შუა ზაფხულშიც კი... თუ რომელიმეს შეგცივდათ, ჩადით იმედოსთან.

ყმაწვილებმა დაიმორცხვეს, თორემ, რასაკვირველია, რა სჯობდა ახლა თბილ კაბინაში ჯდომას.

– რა მოგიწევინათ, ლომებო, ჰა? ასეთ დროს კარგია სიმღერა, აბა, დაგმახოთ...

ამირანი და გიგლა ჩუმად იყვნენ.

– რაო, სიმღერები არ იცით? ვაი, სირცხვილო! აბა, ამყევით! – და ბატონმა გიორგიმ ჯერ საგულდაგულოდ გაისწორა თავზე სვანური ქული, მერე კი ბანით დაიწყო: – “ჟუჟუნა წვიმა მოვიდა...”

ბიჭებმა ჯერ მიკნავებული ხმებით გაუბედავად სცადეს აყოლა, მაგრამ შემდეგ თანდათან გახურდნენ და ისეთი თავგამოდებით დააგუგუნეს სიმღერა, რომ იმედომ მანქანა გააჩერა და იკითხა, რა ამბავიაო.

შემდეგ... შემდეგ ციციანთელა დაფრენდა ნელ-ნელა და სამივე ერთხმად ეხვეწებოდა, გაენათე-ბინა მათთვის სიყვარულის გზა; სიმონა დოლიძე, გულმოკლული, მაინც ვაჟკაცურად ჰყვებოდა სამარიდან გმირობისა და ღალატის ამბებს; იმერეთის ვიწრო, მწვანე ხეებით დაჩრდილულ შუკაში ცხენოსანთა მხიარული გუნდი მითოხარიკობდა და მიიმღეროდა...

და აღარაფრად მიაჩნდათ ციცი ქარი, მომბებრებელი წვიმა, მანქანის რახრახი...

წვიმა შეწყდა. მანქანა გორის დაცარიელებულ ქუჩებში მიჰქროდა. ქალაქიდან გავიდნენ და აღმართს შეუყვანენ თუ არა, გზა სავსებით მშრალი გახდა: როგორც ჩანს, აქეთ საერთოდ არ მოეწვი-მა.

მალე მზეც გამოჩნდა, დათბა კიდეც.

ისე ხმამაღლა მღეროდნენ, რომ მალე დაიღალნენ.

ამირანი ლექსების კითხვის გუნებაზე დადგა, იკითხა, წინააღმდეგი ხომ არ ხართო; უღევი სცოდნია ზეპირად, უფრო – გალაკტიონისა და ლადო ასათიანის.

ბატონმა გიორგიმ კაბინის სახურავზე დააკაკუნა და გააჩერებინა მანქანა.

– აბა, იმედო, ტენტი მოგხსნათ!

იმედო უკმაყოფილო ბურტყუნით გადმოვიდა კაბინიდან:

– აი დარდი! მოხსენი – გადააფარე, მოხსენი – გადააფარე, ტენტი სულ დაიფხრიწა!

– აბა, აბა, სიზარმაცე არ გამაგონო! აგერ ლომებივით ბიჭებია და მეც მოგეხმარები.

მართლაც, ხუთი წუთის შემდეგ დაკეცილი ტენტი ძარის კუთხეში ეგდო.

და მანქანიდან გადაიშალა ქართლის მიწის დიდებული ხელი!

მწვანედ ახასხასებული ქართლის ველი, ველის სამხრეთ კიდეზე – მტკვრის ჭალები, მის გაღმა კი – თრიალეთის ქედის ხევსუბებით დასერილი, ნაძვნართ ჩამუქებული კალთები; ალაგ-ალაგ ზედ ტყის კიდეზე მიყუჟულან პატარა, მყუდრო სოფლები.

– აბა, ამ ადგილს თუ იცნობთ? ეს სოფელი ქვიშხეთია, – წამოდგა ფეხზე ბატონი გიორგი და მანქანის სვლის მიმართულებით გაახედა ბიჭები. – ამ ვიწრო ადგილს კი, სადაც მტკვარი მაღალ ნაპირებს შორის არის მომწყვდეული, ტაშისკარი ეწოდება. აქედან იწყება ბორჯომის ხეობა.

გადარახრახდნენ რკინიგზის გადასასვლელზე და დაიწყო...

დაიწყო ასფალტიანი გზის განუწყვეტელი მიხვევ-მოხვევა და, საჭის ყოველ შეტრიალებაზე, ხედების კალეიდოსკოპური ცვლა: ციცაბო, ხეებით დაღარული ფერდობები, რომელთაც საკმაოდ მეჩხერი, დაბალი ფოთლოვანი ტყე შეჰპარვია და რომელშიც აქა-იქ თუ გამოერევა ნაძვთა პატარა კორომი ან ეულად მდგომი ნაძვი; გზის პირად ხშირად შიშვლდება ზოლებრივი, მუქნაცრისფერ-რუხი დასტები თიხაფიქლებისა და ქვიშაქვების მორიგეობისა; ქვევით მტკვრის ტალახისფერი ზოლი მიიკლაკნება და იმეორებს ხეობის ყოველ მიმხრას... საითაც გაიხედავ, ოთხივე მხრიდან – მთები, მთები, მთები... მართალია, არც ისე მაღალი; თითქმის თითოეულ მათგანს ჩრდილო ფერდობზე მუქი ნაბადი – ნაძვის ტყე – მოუგდია, თითქოს უნდა, სიცივისგან დაიცვას თავი...

გაიარეს მდინარესა და ფერდობს შორის მომწყვდეული სოფლები...

გაზაფხულზე მტკვარს ევაჟკაცა და ალაგ-ალაგ შეესანსლა კარგა დიდი ნაჭრები ნაპირისა; ზოგან სააგტომობილო გზასაც კი მისწვდა და ჩარეცხა. მტკვრის გაღმა გამავალი რკინიგზის ხაზიც ბევრგან დაზიანდა და აღსადგენი გახდა.

ბატონი გიორგი დაწვრილებით უყვებოდა ამ უმაგალითო წყალდიდობის ამბებს, ხეობაც თვალს იტაცებდა ნაირფერობით და მალე ბორჯომსაც მიაღწიეს. ცხადია, გზის პირას მოწყობილი დეკორაციული წყაროდან თბილი ბორჯომის წყალი მიირთვეს, შემდეგ გზა განაგრძეს, გაზაფხულის კატასტროფულ წყალდიდობას გადარჩენილი ერთადერთი ხილით გადავიდნენ მტკვრის მარჯვენა ნაპირზე და წაღვერისკენ მიმავალ გზას დაადგნენ გუჯარეთისწყლის ხეობაში.

ეს ხეობა კიდევ უფრო ვიწროა, დაკლაკნილი გზა ისევ მდინარის ნაპირს მიუყვება, ამჯერად – გუჯარეთისწყლისა. ეს მდინარე შედარებით წმინდაა, სიდიდით მტკვარს ერთ ლუკმად არ ეყოფა.

ბატონი გიორგი აქაც ჩვეული ენერგიით აცნობდა ახალგაზრდებს გარემოს გეოლოგიურ აგებულებას, ეგრეთწოდებულ ბორჯომის ფლიშზე და მეოთხეული ასაკის ვულკანიზმზე მთელი ლექციაც კი ჩაუტარა, მაგრამ, სამწუხაროდ, გიგლა და ამირანი ყურადღებით არ უსმენდნენ: გეოლოგიაზე ფრიად ბუნდოვანი წარმოდგენა ჰქონდათ, ან, შესაძლოა, მიზეზი ისიც იყო, რომ მოზღვავებული შთაბეჭდილებებით დაიღალნენ კიდეც.

კარი II. გაგაცნობთ ყველას

წაღვერი!

პირველსავე დამეს იგრძნეს ამირანმა და გიგლამ აქაური გრილი ჰაერის სიმსუფე.

დილით ყველაზე გვიან გაიღვიძეს, გამოვიდნენ ოთახიდან მზით განათებულ აივანზე და გარემოს სილამაზეც გადაიშალა მათ თვალწინ: გუჯარეთისწყლის ვიწრო ხეობა, ციცაბოკალთებიანი, წიწვოვანებით დაფარული მთები – ბევრად უფრო მაღლები, ვიდრე ბორჯომის ხეობაში.

გეოლოგების სახლი ფერდობზეა, საკმაოდ მაღლა მდინარიდან და აქედან კარგად ჩანს დაბის სახურავები, უწესრიგოდ რომ მიმოფანტულან ხეობის ძირში.

აქვე აივანზე მიუსხდნენ ბიჭები სასაუბროდ გაწყობილ მაგიდას, თვალმოჭუტვით, სიამით მიეფიცნენ უკვე კარგა მაღლა წამოსულ მზეს და გამალებით აამუშავეს დანები, ჩანგლები, კოვზები და, რაღა თქმა უნდა, ყბებიც. ბიჭების სანაქებო მადა დეიდა მაკას დაუფარავ აღტაცებას იწვევს. უკვე კარგა ხანია, რაც დანარჩენებმა მოათავეს დილის საქმეები და მხოლოდ ბიჭებს ელიან, რათა “მუავე წყლის” დასალევად წავიდნენ. ამირანმა და გიგლამაც არ დააყოვნეს, სუფრიდან წამოდგომისთანვე, ბატონ გიორგის რჩევით, თავიანთი საძილე ტომრები აიგნის რიკულზე გადაჰკიდეს გასამზეურებლად, შემდგომ კი მთელი გეოლოგიური პარტია ერთსულოვნად გავიდა პატარა შუკაში; მხოლოდ შოფერი იმედო არ ჩანდა, უფრო სწორედ, მისი მხოლოდ ფეხები ჩანდა მანქანის ქვეშიდან – რაღაცას ჩხირკედელაობდა, თან ბაიათსაც ღიღინებდა.

რადგან ყველამ თავი ერთად მოიყარა, მოდით, ბარემ გავიცნოთ ისინი.

ყველაზე წინ ორღობის დაღმართში გარბის ორი ბიჭუკეა, ორივე თავგადასხოტრილი და ერთნაირად ჩაცმული; ორივე ყურისწამლებად კივის და არავითარ ყურადღებას არ აქცევს ნათელას, ახალგაზრდა გეოლოგ ქალს, რომელიც სირბილით მისდევს მათ და ხმის ჩახლენამდე უყვირის შვილებს: “ლევან! ზურიკო! დამაცათ, თუ თქვენ კიდევ სადმე წავიყვანოთ!” ხმა საკმაოდ ძლიერი აქვს და სრულიად შეეფერება მის ახოვან ტანს, მაგრამ ბიჭები ისე არიან გატაცებულნი დაღმართში გიჟური რბოლით, რომ საკუთარი ღრიალის მეტი არაფერი ესმით. აი, წინ გასწრებულმა ქვას გამოსდო ფეხი და დაენარცხა მიწას. გარემოს აყრუებს ოთხი წლის ზურიკოს ღრიალი.

მისი ტყუპისცალი ლევანი შეშინებული ჩერდება ღობესთან და თვალგაშტერებული უცქერის მოახლოვებულ დედას. ძნელი დასადგენია, რამდენად ჰგვანან ძმები ერთმანეთს; ზურიკოს სახე ტირილისგან ისეა დამანჭული, რომ შედარება ძნელდება; ისე, განსხვავება საკმაოდ უნდა იყოს – ლევანი ქერათმიანია, ღია ნაცრისფერი თვალები აქვს, ზურიკო კი წაბლისფერთმიანია, თაფლისფერთვალეობა.

ნათელა ჯერ დავარდნილ ზურიკოს დასწვდა, წამოაყენა და მოსცხო უკან, მერე კი ადგილზე გაჩერებულ ლევანსაც მიუხდო საკადრისი. უკან მიმავალთა ჯგუფს გამოეყო დეიდა მაკა – ორმოცდახუთიოდე წლის მაღალი, გამხდარი ქალი, რათა თავის საყვარელ პატარებს გამოსარჩლებოდა. დეიდა მაკაც გეოლოგია, ორი ქალიშვილი ჰყავს, ორივე – სტუდენტი, და ერთი ნაბოლარა ბიჭი – ხუთი წლის ნოდარი, რომელიც ამჟამად ბორჯომშია საბავშვო ბაღთან ერთად ჩამოსული. დეიდა მაკა სულ პატარა ნოდარიკოზე ფიქრობს, გული მის სანახავად მიუწევს, და ამიტომ ასეთი თავგამოდებით იცავს ხოლმე ზურიკოსა და ლევანს, როცა ნათელა მათ დასჯას განიზრახავს; ასეთი რამ კი დღეში ათასჯერ ხდება – ბავშვები სიცელქით არიან დამუხტულნი.

დეიდა მაკას შემდეგ მოდის მანანა; ისიც გეოლოგია, ოცდათხუთმეტი წლის იქნება, ჭრელი კაბა აცვია. შემდეგ მოდიან ბატონი გიორგი და პარტიის უფროსი გეოლოგი ვახტანგი. მათ მოსდევენ ფეხბურთზე მოსაუბრენი – ამირანი და გიგლა, გეოლოგიური პარტიის ახალი წევრები. ისინი სულ ერთ თვეს დაჰყოფენ მათთან ერთად, რადგან სექტემბრიდან ისევ სკოლაში უნდა განაგრძონ სწავლა, მომავალ წელს სიმწიფის ატესტატს აიღებენ.

ყველანი გადავიდნენ ხიდს მდინარე გუჯარეთისწყალზე, გასცდნენ დაბის ბოლო სახლებს და ფერდობზე შეფენილ ნაძვნარს მიაშურეს.

ბილიკი ვიწრო ხევის კიდეს მიუყვება, ზევიდან ნაძვები მწვანე კარგად ესურვის. ორასიოდე მეტრის შემდეგ, მინერალური წყლის გამოსავალთან შედგნენ. გამოლექილი ნივთიერებებისგან გაყვითლებული მილიდან გადმოსჩქეფდა გაზიანი, ოდნავ გოგირდწყალბადის სუნიანი, სასიამოვნო დასალევი წყალი. იქაურობა გადათეთრებული იყო: თეთრქუდიანი და თეთრწინსაფრიალი ბავშვები დარბოდნენ და ფუსფუსებდნენ ირგვლივ; ნაწილი სილისგან სასახლეებსა და ციხესიმაგრეებს აგებდა, დანარჩენები ან წყალს უშხაფუნებდნენ ერთმანეთს ან სხვა, ასეთივე, ფრიალ პატივსაცემი საქმიანობით იყვნენ გართულნი. ბავშვებს შორის დადიოდა ორი თეთრხალათიანი ქალი, რომლებიც ცდილობდნენ, მცირე წესრიგი მაინც დაემყარებინათ ამ ორომტრიალში.

ზურიკო და ლევანი გაზიანი წყლის სმით მანამდე იტყვიპებოდნენ, სანამ ნათელამ ძალით არ მოაცილა ისინი მილს, შემდეგ ერთხანს წყნარად იდგნენ, ალბათ ფიქრობდნენ, რა ვიცუფლუტოთო – საბავშვო ბაღის ბავშვთა ცქერამ ახალი მუხტი შესძინათ. წამომწყები ამჯერადაც ზურიკო იყო:

ომის ბილიკზე გამოსულ ინდიელთა საბრძოლო ყიჟინით გამოიქცა, თავი დახარა და ის იყო, აპირებდა, ერთი დარტყმით შეემოწმებინა ამირანის მუცლის სიმკვრივე თუ სიმტკიცე, რომ... ამირანი ამ დროს ჭიქიდან სვამდა წყალს, გამოსცალა და შენიშნა კიდევ აგრესიულად განწყობილი ზურიკო – ძლივს მოასწრო გვერდზე გახტომა. გამოქანებულმა ბავშვმა თავი ვეღარ შეიკავა და სილაზე მოადინა ზღართან. ამის შემხედვარე ლევანმა შუა გზაზე შეწყვიტა იერიში და განზე გადავა, შეშინებული თვალი დედისკენ გააპარა. ნათელას ჭიქა არ მოუცილებია ტუჩებიდან, ისე დაემუქრა ორივეს მუშტით.

ბატონი გიორგი მიტრიალდა და ზეზე წამომხტარ ზურიკოს შეხედა, რომელსაც ისე უბრწყინავდა თვალები, რომ ნამდვილად რაღაც ახალი გმირობა ჩაიფიქრა, მაგრამ გეოლოგიური პარტიის უფროსის მზერამ ადგილზე გააჩერა – ბავშვებს მისი ერიდებოდათ თუ ეშინოდათ, ერთადერთთან მასთან თავს შებორკილად გრძნობდნენ.

– რა გქნა, ბატონო გიორგი, არ ვიცი... – წარმოთქვა ნათელამ საწყალობელი ხმით. – ცალცალკე ბიჭები ჭკვიანად იქცევიან, დამჯერებიც არიან... როცა ერთად არიან, პირდაპირ გიჟდებიან, ეშმაკი შეუჩნდებათ, ვერაფრით ვაჩერებ.

– ცალ-ცალკე შენი ოქროები უცოდველი კრავებია, მაგრამ როცა ერთად არიან, ტყუპები კრიტიკულ მასას აჭარბებენ და ხდება აფეთქება, – ღიმილით ამბობს ვახტანგი.

ბატონ გიორგის გაეცინა:
– ატომგულური რეაქცია! – შემდეგ ამირანსა და გიგლას მიუბრუნდა: – აბა, ყმაწვილებო, გაგვახსენეთ ერთი, რას ეწოდება კრიტიკული მასა და სად იყენებენ მას...

ბიჭებმა დაიმორცხვეს.
– ფიზიკა არ გიყვართ? თუ ჯერ არ გისწავლიათ ატომგულური ფიზიკა? – ბატონი გიორგი იღიმებოდა, მაგრამ ხმაში ეტყობოდა, ოდნავ გაწბილებული იყო. – ფიზიკა კარგად უნდა იცოდეთ, ისე თქვენგან გეოლოგები ვერ დადგება.

გიგლა და ამირანი ისევ ჩუმად იყვნენ. მათ არასდროს უფიქრიათ, გეოლოგები გამხდარიყვნენ; მართალია, მათი მამები გეოლოგიურ დაწესებულებაში მუშაობდნენ, მაგრამ ერთი ბუნალტერი იყო, მეორე – საწყობის გამგე. ბიჭებს მართლაც ძალიან უნდოდათ, ერთი ზაფხულის თვე მაინც ევლათ გეოლოგებთან ერთად, მათმა მშობლებმა კი ბატონ გიორგის სთხოვეს: ოღონდ საველე სამუშაოებზე წაიყვანეთ, თუნდაც მუშებად, და მეტ სიკეთეს რაღას იზამთ, ჩვენს შვილებს გეოლოგად გახდომა აქვთ გადაწყვეტილი – ყასიდად დაამატეს...

ამირანი მიმოდოდა ბავშვებს შორის და ბუტბუტებდა: “კრიტიკული მასა... კრიტიკული მასა...”, შემდეგ შედგა და ლექსი წარმოთქვა:

– კრიტიკულმა მასამ
თავი დაიფასა, –
თუ არ იცი ესა,
ვერ გაიკვლევე გზასა!

ყველას გაეცინა.
უკან სავალი გზა უფათერაკოდ განვლეს. ბატონი გიორგი უყვებოდა გიგლასა და ამირანს, რამდენი რამ უნდა იცოდეს გეოლოგმა; აი, ამირანს გაუკვირდა, არ მოელოდა, რომ ერთ გეოლოგიურ პარტიაში ამდენი გეოლოგი მუშაობდა, მაგრამ ისინი სინამდვილეში სულ სხვადასხვა დარგის სპეციალისტები არიან. მაგალითად, ნათელა ქანთა ფიზიკურ თვისებებს სწავლობს – მათ ფორიანობას, გამტარებლობას, სიმტკიცეს, ხვედრით წონას და ასე შემდეგ; მან კარგად უნდა იცოდეს ფიზიკა. ქალბატონი მაკა მაკროფაუნისტია: ის სწავლობს ქანებში ჩარჩენილი ნამარხი ორგანიზმების ნაშთებს, რაც შემდგომ საშუალებას აძლევს გეოლოგებს, გამოჰყონ ესა თუ ის დასტა, დაათარიღონ ის ანუ განსაზღვრონ მისი გეოლოგიური ასაკი; იგი, გეოლოგიასთან ერთად, ბიოლოგიასაც უნდა დაეუფლოს. ასევე, პალეონტოლოგია მანანაც, ოღონდ ის მიკროფაუნას სწავლობს, ანუ განამარხებულ ორგანიზმთა იმ ჯგუფს, რომლებიც სიმცირის გამო მიკროსკოპის დახმარებით შეისწავლება. საველე სამუშაოების დროს გეოლოგიური პარტიის თანამშრომლები, ქანთა ნიმუშების გარდა, საანალიზოდ იღებენ სინჯებს წყლისა, ნავთობისა, გაზისა, წყალში გახსნილი გაზისა და სხვა – ზოგს ბუნებრივი გაშიშვლებებიდან, ზოგსაც ჭაბურღილებიდან. ამჯერად ორი თანამშრომელი ქალი თბილისში დარჩა: ერთი – ქიმიკოსი, მეორე – ქანთა მინერალოგიური შემადგენლობის შემსწავლელი პეტროგრაფი. თვით ბატონი გიორგი და ვახტანგი ფართო პროფილის გეოლოგები არიან, საკმაოდ ერკვევიან ზემოწამოთვლილ და ბევრ კიდევ სხვა, გეოლოგიისთვის საჭირო, სპეციალურ და დამხმარე სამეცნიერო დისციპლინებში, მაგრამ ძირითადი სფერო მათი ინტერესებისა არის საერთოდ გეოლოგიური აგებულების შესწავლა ამა თუ იმ რეგიონისა, უპირატესად – ტექტონიკისა და სტრატოგრაფიისა...

ამ საუბარში ბინასაც მიაღწიეს.

იმელო ისევ მანქანის ქვეშ საქმიანობდა, ოღონდ ახლა მის გვერდით ბალახზე ბლომად მიმოფანტულიყო სხვადასხვა ნაწილები და იარაღები.

გიგლა და ამირანი ჩაცუცქდნენ, რათა საჭიროებისამებრ დახმარებოდნენ იმელოს; იქვე იდგნენ ზურიკო და ლევანიც – წყნარად იყვნენ, თუმცა წამდაწწვამ ფეხებში ებლანდებოდნენ უფროსებს. ზურიკო ადგილზე მოუსვენრად ცქმუტავდა, დროდადრო ზევით იხედებოდა, სადაც აივანზე ბატონი გიორგი იჯდა და გეოლოგიურ რუკას ჩაჰკირკიტებდა. ბოლოს, ზურიკომ ვერ გაუძლო უქმად დგომას, ყურისწამლებად იკივლა და ღობისკენ გაიქცა. იქ სწრაფად გადასწია გვერდზე ფიცრის ქვედა ბოლო და წარმოქმნილ საძრომში გაუჩინარდა; მას ყვირილითვე უკან დაედევნა ლევანიც.

ლევანი და ზურიკო მეზობელ სახლში ცხოვრობდნენ ნაქირაგებ ბინაში – დედასა და ბებიასთან ერთად; როცა ნათელა მარშრუტზე მიდიოდა, ბიჭებს ნათელას დედამთილი მწყემსავდა.

დედა უკვე შინ მისული დახვდათ, ოღონდ, ცხადია, ნათელა სხვა მხრიდან, ჭიშკრიდან შემოვიდა ეზოში.

კარი III. ტიმოთესუბანი

მეორე დღესაც მშვენიერი დარი იყო, სწორედ რომ სამარშრუტო, მაგრამ იმელო ისევ რაღაცას ჩხირკედელაობდა – მანქანა ვერ იყო მოწესრიგებული.

გადაწყდა, ყველანი სოფელ კიმოთესუბანს ანუ ტიმოთესუბანს წასულიყვნენ ფეხით – ახლოა, ოთხი-ხუთი კილომეტრი თუ იქნება წადვერიდან. ასეთ ამინდში გასეირნებაც სასიამოვნოა და კიმოთესუბნის ცნობილ ტაძარსაც დაათვალიერებენ. ბატონ გიორგის არც ის გამოჩენია მხედველობიდან, რომ ამირანსა და გიგლას წინა დღით გამზადებული ქანთა ნიმუშების გადასახვევი ქაღალდების დასტა და ზურგჩანთა წამოეღოთ – იქვე მინერალური წყლის მისაღებად ჭაბურღილი გაჰყავდათ და კერნის ნიმუშთა აღება არ იქნებოდა ურიგო. მხოლოდ დეიდა მაკა ოდნავ შეფიქრიანდა – დავიღლები, გამიჭირდება სიარულიო, მაგრამ ბოლოს წასვლაზე მაინც დაიყოლიეს.

და აჰა, გოგოლაძეების უბნიდან დაიძრა ლაშქარი (გეოლოგები სწორედ ამ უბანში ცხოვრობენ, სადაც თითქმის მხოლოდ გოგოლაძეების გვარი სახლობს) და აღმა აუყვნენ გუჯარეთისწყლის ხეობას. წადვერს მალე გასცდნენ: მტვრიანი გზა ვიწრო, კლდოვან ჭიშკარში შევიდა, რომლის სათავეში, მდინარის მარცხენა ნაპირზე, უზნარიალის ან, როგორც აქაურები უწოდებენ, მხეთამზეს ციხეა ქარაფზე გადმოკიდებული, უფრო სწორედ, მისი ნანგრევები.

ერთ დროს, გეოლოგიურად არც ისე შორეულ წარსულში, – მეოთხეული პერიოდის დროს, – ვულკანის ამოფრქვევის შედეგად მდინარის ხეობა ამოუესია ამონთხეულ ლავას, მაგრამ მდინარე არ შეჰპუებია წარმოქმნილ ზღუდეს და ვულკანოგენი ქანების ჯებირი ჩაუჭრია.

განვლეს ორასიოდე მეტრი ვიწრო კანიონში, სადაც მდინარე და გზა ძლივს ეტეოდა და შემდგომ ხეობა ისევ გაიშალა, მაგრამ გუჯარეთისწყლის მარცხენა ნაპირზე მაინც ციცაბო კედლებია, ალაგ-ალაგ გამოქვაბულებს დაუფრენიათ შავი ხახები.

მოუსვენარი ბავშვები წინ გარბიან, დროდადრო ნათელას გაანჩხლებული ყვირილი ისმის: “ლევან, მოდი აქ!.. ზურიკო!.. ზურიკო, ვის ვეძახი მე?! დაანებე თავი ბოჩოლას! ლევან, ნუ გარბიხარ გიჟივით წინ, მანქანა მოდის! ზურიკო, ნუ ჩამოგვრჩი! ნუ ჯდები მტვრიან გზაზე!” ლევანი და ზურიკო ცოტა ხნით წყნარდებიან, შემდეგ კი ისევ ძველებურად აყვირებენ დედას. ქანცგამოცლილი ნათელა აღარ უშლის მათ, ოღონდ თვალს კი ადევნებს; თან ჰყვება, როგორ მოვლოდნენ ბატონ გიორგის ჩამოსვლას ამ ორი დღის წინ – გეოლოგიური პარტია ფინანსურმა კრიზისმა მოიცვა და იძულებული იყვნენ, ტრადიციაც კი დაერღვიათ – რამდენიმე სადამოს კინოში არ წასულან.

ბავშვები ხან პეპლებს დასდევენ, ხან – ყვავილებს ჰკრეფენ. დეიდა მაკა, ნათელა და მანანა ბატონ გიორგის უსმენენ, რომელიც თბილისურ ამბებზე საუბრობს; ყველაზე წინ ამირანი, გიგლა და ვახტანგი მიაბიჯებენ – მათ ბავშვებსაც კი გაუსწრეს. სამივენი წელზევით გაშიშვლებულნი არიან – ვახტანგი საკმაოდ გარუჯულა უკვე მზისგან, ამირანი და გიგლა თეთრონები არიან.

აგვისტოს თაკარა მზის მცხუნვარებას ხეობის ზემო ნაწილიდან მონაბერი ნიაგი ანელებს.

მალე კიმოთესუბნის ბაღებში ჩაფლული სახლები დაიწყო. მთავარი გზიდან მარცხნივ გაუხვიეს ორღობეში; იქვე, ასიოდე მეტრში, იდგა ჭაბურღილის კოშკი და ისმოდა ძრავის ხმაური – ბურღვა გრძელდებოდა.

რცხილის, ცაცხვისა და იფნის მაღალი ხეების სიმწვანიდან დიდებულად გამოკრთის კიმოთესუბნის ანუ ტიმოთესუბნის ტაძრის აგურით ნაგები კედლები. ეკლესიას გარშემო დაბალი ყორე უფლის, მისასვლელთან აგურისვე ნახევრად დანგრეული სატრაპეზოა.

სტუმრებს ხელოვნური ფეხის ჭრაჭუნით ეგებება ძველის მცველი ივანე ხრიკაძე, ხანშიშესული ადგილობრივი მკვიდრი. როგორც ძველ ნაცნობს, ისე ესალმება გიორგი ჯანდაშვილს; ატყობს, რომ

გეოლოგიურ პარტიას მისთვის უცნობი წევრებიც ახლავან და დაუზარელად ჰყვება წმინდა მარიამის სახელზე აგებული ტაძრის შესახებ.

ტაძრის შიგნით სასიამოვნო სიგრილე და თითქოს საუკუნეებით დაგროვილი სიმყუდროვე ხვდებათ. ისმის მოკრძალებული ჩურჩული – აქ ლევანი და ზურიკოც კი ვერ ბედავენ ჟრიაბულს. ტაძრის აკუსტიკა აძლიერებს ხმას – ივანე ხრიკაძე ჯოხის კაკუნით გადადის ტაძრის ერთი კედლიდან მეორისკენ და მომსვლელთ უჩვენებს ხან ღვთისმშობელ მარიამს, ყრმა ქრისტე რომ უზის კალთაში, ხან – თორმეტი მოციქულის გამოსახულებას სამ სხვადასხვა ადგილას, ხან ქრისტეს დატირების სცენას. ხრიკაძე სინანულს გამოთქვამს, რომ გასული საუკუნის დასაწყისში ტაძრის შიგა კედლები შეუთეთრებიათ და მეტი წილი იმ დროისთვის კედლებზე შემორჩენილი ფრესკებისა დახიანებულა. ეს ადგილები ახლა რესტავირებულია. მაღალი გუმბათის ქვეშ კედლებზე ვერ მოუხერხებიათ შეთეთრება იმ დროს და იქ განსაკუთრებით კარგადაა შემორჩენილი ფრესკების ფერთა სიხასხასე და ფერადოვნება, მათ შორის – დიდი ოქროს ჯვარი გუმბათის ჭერზე და თორმეტი მოციქულის გამოსახულება გუმბათის ყელის კედლებზე.

შემდეგ გამოდიან გარეთ, მზის ბრწყინვალეობაში, ცის სილამუვარდში, ტყის მწვანე სიკაშკაშეში, მაცოცხლებელ ჰაერზე. ეზოში მოთიბული ბალახი ხმება, გამაბრუებელ სურნელს ავრცელებს ირგვლივ; ლევანი და ზურიკო კისკისით გორაობენ მასზე. ხეებზე უხილაგი ჩიტები გალობენ; ამ მყუდრო ხეობის უშფოთველობას მხოლოდ ჭაბურღილის ძრავის მონოტონური დუღუნის არღვევს.

დიდად სასიამოვნოა ასეთი ენაწყლიანი და ბევრის მცოდნე, თავისი კუთხის დიდი ქომაგის მოსმენა, როგორც ივანე ხრიკაძეა. ბატონ გიორგის მრავალჯერ აქვს მოსმენილი მისი ნაამბობი, მაგრამ ახლაც დიდ ინტერესს იჩენს: პატივცემული ივანე ბევრ ახალ ამბავს იხსენებს და უკვე ნაცნობ მონათხრობსაც საინტერესო წვრილმანებით ამდიდრებს.

სოფელი კიმოთესუბანი ანუ კიმოთესუბანი დაახლოებით ორასი წლის წინ აღმოცენებულა აქ. პირველად თურმე სამინი მოვიდნენ და დასახლდნენ: კიმოთე ინასარიძე (მისი სახელისგან წარმოიშვა სოფლის დასახელებაც), არბოლიშვილი და სიმონ ხრიკაძე (ივანე ხრიკაძე ამტკიცებს, რომ უკანასკნელი ჩემი პაპა იყო). ეს სამი გვარი ახლაც უმრავლესობას შეადგენს სოფელში. არბოლიშვილები ახალგაზრდის მაზრიდან მოსულან, ხრიკაძეები კი გორის მაზრის სოფელ ძვილეთიდან. ხრიკაძეები წინათ ყოფილან ტატიშვილების ყმები – სულხანიშვილები. სიმონ სულხანიშვილი არ დამორჩილებია მებატონეს – ჩემი გვარი რით არის შენსაზე ნაკლებით და გამოქცეულა. ეს რა ხრიკი მიყო, – უთქვამს მებატონეს და მისთვის ხრიკაძე შეურქმევია. ივანე ხრიკაძის თქმით, გამოქცევისას სიმონ ხრიკაძეს მოუსწრია მხოლოდ კაჟიანი თოფისა და ყავარივით ბრტყელი, ვერცხლით მოჭედილი, გრძელი ხანჯლის წამოღება; გადმოხვეწილა სოფელ საკირეში, იქიდან კი – გუჯარეთისწყლის ხეობაში, ახლანდელი სოფელ კიმოთესუბანის ადგილზე. მაშინ აქ ნასოფლარი იყო – აქაურობა ხომ თურქებმა მრავალჯოხის დაარბიეს. ივანე ხრიკაძე განსაკუთრებით უსვამდა ხაზს: ხის კარი ტაძარს პირველად ჩემმა პაპამ შეაბაო; მანამდე ტაძარში ზამთრობით ნადირი აფარებდა თავს – ამ ადგილას ტყე ისეთი ხშირი ყოფილა მაშინ, რომ თურმე ცას გაბარჯდული ხეების ტოტები ფარავდა. როცა ხალხი ნელ-ნელა ისევ დასახლდა, ერთ მოსახლეს ძროხა დაეკარგა და მხოლოდ მაშინ იპოვნა, როცა უკვე მოზრდილი ხბო მისდევდა გვერდით.

ბაღიან დაცხა. ყველამ იფნის ჩრდილს შეაფარა თავი. ცოტა უცნაურადაც ისმოდა ივანე ხრიკაძის საჩივარი – თოფლი აქ, ხეობაში, დიდი იცის ზამთრობით და ტაძრის ფანჯრებში შუშა ვერ ჩავსმევინე, რომ თოფლი და წვიმა არ შედიოდეს შიგო.

– აბა, ყმაწვილებო, თუ მიაქციეთ ყურადღება: სასულიეროსთან ერთად საერო მოტივებიც ჭარბადაა ტაძრის მოხატულობაში, – მიმართა ბატონმა გიორგიმ გიგლასა და ამირანს.

– შუბოსანი აბჯარასხმული მეომრები რომ არიან სვეტებზე და კედლებზე? – კარგა ხნის შემდეგ იკითხა ამირანმა.

– არა მხოლოდ ისინი. შეგატყვეთ, უყურადღებოდ უსმენდით ივანეს საუბარს, ალბათ ბიბლიურ სიუჟეტებზე სუსტი წარმოდგენა გაქვთ. – ბატონი გიორგი ღიმილით ლაპარაკობდა. – ყმაწვილებო, ბიბლიის შინაარსის ცოდნა არ გაწყენდათ, ისე მსოფლიო ხელოვნების მრავალი შედევრი თქვენთვის ძნელად გასაგები იქნება... ის მაინც მითხარით, თქვენი აზრით, რომელ საუკუნეში უნდა იყოს აშენებული კიმოთესუბანის ეკლესია? მეშვიდეში? თუ მეჩვიდმეტეში? ტაძრის გარეგნულ ფორმებს მიაქციეთ ყურადღება.

ბიჭები მართლაც გაფაციცებით აკვირდებოდნენ ეკლესიის დასავლეთისა და სამხრეთის კარიბჭეებს, გუმბათის საკმაოდ მაღალ ყელს, რაიმეს თქმა კი, რაღა თქმა უნდა, უძნელდებოდათ. ტაძრის კედელზე მიკრული დაფიდან შეიძლებოდა ყველაფრის გაგება, მაგრამ ახლა მისი წაკითხვისა რცხვენოდათ.

– როგორც ჩანს, თქვენ, სამწუხაროდ, არც ქართული არქიტექტურის განვითარების ისტორიაზე გაქვთ წარმოდგენა, თორემ არქიტექტურული ფორმებისა და პროპორციების მიხედვით ივარაუდებდით, რომ, თუმცა კიმოთესუბანის ტაძარი აგურითაა ნაგები და არა ქვით, როგორც XII საუკუნის მი-

წურულის და XIII საუკუნის დასაწყისის სხვა სახელგანთქმული ძეგლები, ის სწორედ იმ დროს აუგიათ, მეფე თამარის ბრწყინვალე ეპოქაში. სხვათა შორის, აგურითვეა ნაშენები, და ამით კიმოთესუბანს ჰგავს, ამავე ეპოქის ყინწვისის ტაძარიც...

დრო იყო, უკან დაბრუნებაზე ეფიქრათ. ზურიოსა და ლევანს მოშივებოდათ, ცელქობას მაინც არ იშლიდნენ, თივაზე გაუთავებლად კოტრიალობდნენ, სანამ ივანე ხრიკაძემ არ დაუტაცხანა და ნათელამაც უკან მოსცხო ორივეს.

კიდევ ერთხელ შეაგელეს თვალი კიმოთესუბნის აგურის წითელ კედლებს, მზერით აჰყვინენ საძირკვლიდან და სულ ზევით, გუმბათის გადახურვამდე, სადაც მზის სხივებში ელავდა ფირუზისფერი ქაშანურით დაფარული კერამიკული დეტალები გუმბათის ყელის გარეთა კედელზე; დიდი მადლობა მოახსენეს ტაძრის მცველს და მასთან ერთად დაიძრნენ სოფლისკენ ხეებით დაბურული გზით.

ნახევარი საათით მოუხდათ ჭაბურღილზე გაჩერება. აქ სიღრმიდან ამოტანილი ნიმუშები – კერნები – აიღეს საანალიზოდ და სოფელ კიმოთესუბნის ორდობეს დაუყვინენ თავდადმართში.

მთავარ გზასთან გავიდნენ და როგორ გინდა, ცოტა ხნით მაინც არ შეჩერდნენ და არ გაგრილდნენ, როცა გზის პირას ხედავს საკმაოდ მსხვილი მილიდან მოჩხრიალე ბროლივით გამჭვივრვალე წყლის ჭავლის! იქვე, ღობესთან, გრძელ სკამზე მოხუცები და ხანშიშესულნი მიმსხდარან, მასლაათობენ.

ბატონი გიორგი ამირანსა და გიგლას ეუბნება:

– ძალიან მიყვარს მოხუცებთან საუბარი, საინტერესო ხალხია... ბევრი რამ უნახავთ ამ წუთისოფელში, ბევრი განუცდიათ; ამასთანავე, მათი უმეტესობა ენაწყლიანი გახლავთ და სიამოვნებით აყვება ამ მთისა და იმ ბარისა; განსაკუთრებით გახალისდება, თუ შეამჩნია, რომ ყურადღებით უსმენ.

სოფლის სტუმრებს კი ყველაფერი აინტერესებდათ: ტაძრის ამბები, კიმოთე ინასარიძის პიროვნება, ივანე ხრიკაძის წინაპრები, სოფლის დღევანდელი აგ-კარგი, კიმოთესუბნის პირდაპირ – გუჯარეთისწყლის მეორე ნაპირზე – ფრიალო კლდეში გამოჭრილი გამოქვაბულები...

მოხუცების თქმით, პირველად ამ ადგილას კიმოთე ინასარიძე მოსულა და, რადგან ტაძრის მცველი თვითონ გვარად ხრიკაძეა, ამიტომ ამბობს, ეს ტაძარი პირველმა სიმონ ხრიკაძემ აღმოაჩინა და კარიც მან შეაბაო. ბატონი გიორგი უფრო იმან დააუჭვა ხრიკაძის ნაამბობში – სიმონ ხრიკაძე ჩემი პაპა იყო. როგორ იქნებოდა მისი პაპა ორასი წლის წინ მოწიფული ვაჟკაცი? ალბათ პაპის პაპა თუ იქნებოდა. განსაკუთრებით ბევრი ისაუბრეს ფრიალოში მერცხლის ბუდეცავით გამოკიდებული გამოქვაბულების შესახებ. სამი გამოქვაბულია, სამივეს შესასვლელი ქვით აქვს ამოშენებული, ოდონდ დატოვებულია თითო ოთხკუთხა ფანჯარა, რომლებშიც ხის ჩარჩოებია დატანებული. რამდენჯერმე ასულან მანდო, უამბეს მოსულთ სოფლელებმა, ოდონდ ყველა სხვადასხვანაირად ასახელებდა ამსვლელთა ვინაობას – ფანტაზია არც მოხუცებს აკლდათ. გამოქვაბულთა გვერდზე თეთრი საღებავით რაღაც წაუწერიათ, იმასაც კი სულ სხვადასხვა პირების გაკეთებულად მიიჩნევენ. ერთმა შუახნის ქალმა ისიც კი თქვა, რომ მაგი ორმა ახალგაზრდა მეგრელმა ქალმა გააკეთა, მაგრამ მერე ქვევით ვეღარ ჩამოვიდნენ და ბორჯომიდან მეხანძრე მაშველთა გამოძახება გახდა საჭირო, რომლებმაც ზევიდან მოუარეს ფრიალოს, თოკები ჩამოუშვეს და იმით ზევით აქაჩეს საწყალი გოგონები, იდლიებში თოკებგაყრილები.

ერთმა მოხუცმა ლევანდაც გაურია: კიმოთესუბნელ ქალიშვილს ძალით გათხოვებას უპირებდნენ ვილაც ბიჭზე, გოგოს თურმე არ უნდოდა და ყოველ საღამოს ერთ-ერთ გამოქვაბულში ადიოდა, სადაც სასიძოც კი ვერ ბედავდა ასვლას, არამც თუ სხვათ; მერე შეატყვეს, რომ ძალითაც კი ვერას გახედებოდნენ და გაანებეს თავიო.

წყაროსთანაც დაახლოებით ერთი საათი დაჰყვეს. შიმშილმა ახლა დიდებსაც უბიძგა წასასვლელად. ყველაზე წინ ეკა დეიდა მიდიოდა, ყველას აჯობა; დილის შიში, ამოდენა გზას ვერ მოვერევიო, არც გახსენებია. შემდეგ გიგლა გაიჭრა წინ; ნიმუშებიანი ზურგჩანთა მის ზურგზე რიტმულად ირხეოდა. დანარჩენები შეჯგუფულად მიდიოდნენ, მათ მალე მაკა დეიდაც შეუერთდა. ლევანი და ზურიკო შესაბრალისად აკრუსუნდნენ – დავიდალეთო. ერთმა მათგანმა ვახტანგის მხრებზე ჰპოვა ბინა, მეორე – ამირანის მხრებს მოაჯდა. ბავშვებმა ყიჟინა დასცეს და ახტუნავდნენ, გაჰყენდეთ, ვნახოთ, ვის ჰყავს უკეთესი ცხენიო, – კინალამ ძირს ჩამოცვივდნენ. ნათელამ შეაშინა ისინი: თუ არ გაჩერდებით, ჩამოგყრით და აქ დაგტოვებთ ბუჩქებშიო, – როგორც იქნა, დააწყნარა გამხიარულებული ბავშვები. დადლილები იყვნენ და მალე ორივეს თვლენა მოერია – მხრებზე ვეღარ ჩერდებოდნენ და ისევ ფეხით წამოტანტალდნენ, დედასთან ხელიხელჩაკიდებულნი.

გადახრილი მზე მიგორავდა დასავლეთში და მას მიჰყვებოდნენ ფეხების ფლასტუნით ჩვენი გმირები. მზის სხივებში სულ უფრო მეტი მეწამული გამოერია და გარინდებული ხეობა ჯადოსნური ფერებით ააფერადა; საოცარი სიმშვიდე და სიწყნარე სუფევდა ირგველივ.

უკვე კლდოვან კანიონს უახლოვდებოდნენ, როცა მანქანა გამოჩნდა. იმედოს გვერდით გადიმებული გიგლა იჯდა, მაგრამ მისი ღიმილი ცოტა გაფერმკრთალდა, როცა ბატონმა გიორგიმ უსაყვედუ-

რა დანარჩენების მიტოვება. დიხს, გეოლოგებს არ უყვართ ინდივიდუალისტები; მარტოდ სიარულს განა არ ერჩივნა სხვებთან ერთად საუბარში, აზრთა გაზიარებაში ხალისიანად გელისა გზა?

გიგლამ კაბინაში ადგილი დაუთმო მაკა დეიდას, იქვე მოკალათდნენ ლევანი და ზურიკო. ზურიკოს მაშინვე ჩაეძინა მაკას კალთაში, ხოლო ლევანმა საინტერესო საქმე გამოიჩინა – ხელი ჰქონდა წაველებული საჭეზე და იმედოს ეხმარებოდა მანქანის მართვაში.

ასე მიაღწიეს წაღვერს, შემდეგ შესახვევის აღმართიც დასძლიეს და თავიანთ ეზოში შეგრიდდნენ.

თუ ისიც გაინტერესებთ, შემდეგ რა მოხდა ამ დღეს, მოგახსენებთ: სანამ ბიჭებმა ნიმუშები დააბინავეს და ხელ-პირი დაიბანეს, ქალებმა სუფრა გაშალეს. აი სადილის (უფრო ვახშამი ეთქმოდა) მენიუც: I თავი – არ ვიცი, რა დავარქვა და გემრიელი კი იყო – ხორცის კონსერვი + ახალი კარტოფილი + პომიდორი = ?; II თავი – აჯაფსანდალი, III და უკანასკნელი – ცხელი, მუქი ჩაი, შინდის მურაბით. შინდის მურაბა იმედოს გამოატანა დედამისმა შუშის დიდი ქილით. მანამა შარი მოსდო იმედოს – ე რა კურკიანი მურაბა შემოუტყუებია დედაშენსო; მერე ვახტანგი ჩივის, რომ ამ კურკიანი მურაბის გასაღება აქვთ მისჯილი... გიგლა და ამირანი ვერ ხვდებიან, რომ ასეთი საუბარი ყოველ საღამოს იმართება ჩაის სმის დროს – იმედოს ეხუმრებიან; თუმცა იმედოს მაინცდამაინც არ სწყინს და ყოველ საღამოს აცხადებს: ჩქარა გათავდება ეს მურაბა და ბევრჯერ მოგენატრებათ, მაგრამ, ნურას უკაცრავად, მეტს აღარაფერს წამოვიღებ და იმასაც ვნახავ, თქვენ როგორ უკურკო მურაბას იშოვით.

იმედოს ამ მონოლოგის შემდეგ ვინმე აუცილებლად დაამატებს იმედოს საყვარელ გამოთქმას: “აი დარდი!” – ეს ფრაზა ტრადიციული გახდა გეოლოგიურ პარტიაში და ხშირად გამოიყენება სულ სხვადასხვა ემოციების გამოსახატავად.

ამ დღეს, უფრო სწორედ – საღამოს, კიდევ ერთ ტრადიციას არ უღალატეს და კინოთეატრს ეწვივნენ: არცთუ ახალი ფილმი გადიოდა – “ლოყლაპია”, ლუი დე ფიუნესის მონაწილეობით, – მაგრამ მაინც სიამოვნებით ნახეს.

კარი IV. ბორჯომის ნაკრძალი

დილიდანვე დაღვრემილი ამინდია; გორაკებზე ნაცრისფერი ნისლი დაბობლავს, წვიმა სცრის, გრილა.

ასეთ ამინდში წიგნის კითხვას არაფერი სჯობს. ამირანი და გიგლა ერთხანს ბიბლიოთეკიდან ნათხოვრ წიგნებს აყილებდნენ გულს, შემდეგ ქალებთან ერთად ბანქოს ჩაუსხდნენ სათამაშოდ. იმედოც აქვია, ყველაზე აზარტული მოთამაშეა; დროდადრო მის დასაშოშმინებლად მანანა კურკიან მურაბას ახსენებს. ვახტანგი ფოსტაში წავიდა და დაიკარგა. ბატონი გიორგი აივანზე გაშლილ სკამლოგინზეა წამოგორებული და გულდასმით კითხულობს – ეჟენ ფრომანტენის წიგნი “ფერწერის ძველი ოსტატები” ყურადღების სრულ დამაბვას მოითხოვს.

მოაღწია სადილმაც. შემდეგ ცოტა ხანს ისევ ბანქოს თამაში გააჩაღეს. დეიდა მაკასა და მანანას მალე მოსწყინდათ და თავიანთ ოთახში დაბრუნდნენ საქსოვად და სასაუბროდ. გიორგი ჯანდაშვილმა იქვე სკამლოგინზე წაუძინა – მას ყოველთვის ღია აივანზე სძინავს ნებისმიერი ამინდის დროს.

ვახტანგი და ამირანი უაზროდ დაყიალობდნენ აივანზე. იმედო და გიგლა მანქანის კაბინაში ისხდნენ და რაღაცაზე საუბრობდნენ. ყველაფერი სევდანარევი სიწყნარეს მოეცვა; წვიმის წვრილ, უხმო ბადეში დაბურუსებული დაბა მოზუხულიყო.

და უცებ ვულკანმა ამოხეთქა! ორმა ვულკანმა ერთად!

კიბეზე აქოშინებულნი ამოვარდნენ ლევანი და ზურიკო, ბრავაბრუვით გაირბინეს აივანი და ქალთა ოთახის კარს მთელი ძალით შეასკდნენ. კარი ისეთი ზათქით გაიღო, რომ მაკა და მანანა გულგამსკდარნი წამოხტნენ ლოგინებიდან; ძაფის გორგალი გაგორდა იატაკზე და რაღაც უაზრო და უსიტყვო სიმღერის ღრიალით ბავშვებმა ფეხბურთი გააჩაღეს... შემდეგ წუთს გამოჩნდა სირბილით გულამოვარდნილი ნათელა და სულ მოკლე ხანში ჩვენმა გმირებმა დამსჯელი ოპერაციის ჩატარების შედეგად ისეთი ღრიალი მორთეს, რომ ბატონ გიორგისაც გაეღვიძა აივანზე. ტირილის მოსათავებლად ბავშვები ისევ ბებიასთან გაისტუმრეს.

გეოლოგიური პარტია კი შეუდგა მომაბეზრებელი წვიმის შედეგად შექმნილი მდგომარეობის განსჯას.

ერთხელ კიდევ იმსჯელეს აგვისტოს ბოლომდე გასაკეთებელ გეოლოგიურ ჭრილებზე, მრავალი საღაო თუ გადაუჭრელი საკითხი განიხილეს. განსაკუთრებით დიდხანს ბჭობდნენ ლომისმთაზე გასაკეთებელ მარშრუტზე.

ამირანი და გიგლა კი ამ დროს ოფლში იწურებოდნენ: სხვა საქმე მაინც არაფერი გაქვთო და ბატონმა გიორგიმ მათ დააგალა დაეწერათ დღიური, რომელშიც უნდა შეეტანათ ყველაფერი, რაც

კი მათ თვალსა და გულს მოხვედებოდა. გარდა ამისა, გააფრთხილა, რომ ორ-სამ დღეში ერთხელ არ დავიწყებოდით წერილების მიწერა თბილისში მშობლებისთვის. მათ ყურებს მაინც არ გამოეპარათ, რომ ძალზე ხშირად ახსენებდნენ რომელიღაც ლომისმთას. დაინტერესდნენ და იკითხეს, რა მთაზეა საუბარი, სად მდებარეობსო. “თავის დროზე ნახავთო, – ღიმილით უპასუხა ბატონმა გიორგიმ, ახლა კი დღიურების წერას მიუბრუნდითო”.

გაცხოველებულმა საუბარმა ვახშმის შემდეგაც გასტანა, ასე რომ იმ დღეს კინოში აღარ წავიდნენ.

* * *

რადაცამ იქუხა და საწოლი მღელვარე ოკეანეში ჩაგდებული ნაფოტივით ირხევა და ყანყალებს; სახლის კედლები ისე ცახცახებენ, თითქოს ქალაქის არიან, სკამები და მაგიდა ცეკვავენ, გარეთ გასხლტომა უნდათ; სახურავი ხან მოიხდება ქუდივით, ხან ისევ დაიხურება; ეზოში ხეები ტორტმანებენ, თითქოს დევი ცდილობდეს მათ ძირფესვიანად მოთხრას და მთებიც კი ზანზარებენ... უცებ დევი იძაბება და მთელ ხეობას უკუღმა გადმოატრიალებს, ყველაფერი თავდაყირა დგება...

ამირანი თვალებს ახელს. ვერაფრით მიეჩვია დილის ექვს საათზე გაღვიძებას. ეგონა, მხარი დევის ლაზათიანი ნჯღრვისგან სხეულს მოსცილდებოდა – თურმე ბატონი გიორგი ფრთხილად არხედა მას, აღვიძებდა.

ფანჯრის ოთხკუთხედი მტრედისფრად ძლივს ბუჭტავს. საკმაოდ გრილა, შეიძლება ითქვას, ცივა კიდევ. ჭერში შიშველი ნათურა ანთია. პარტიის დანარჩენი წევრები უკვე ჩაცმას ამთავრებენ. ტკბილია საძილე ტომარაში ნებივრობა, მაგრამ უნდა წამოდგე, რას იზამ...

ბატონი გიორგი მაისურის ამარა დადის აივანზე და ვარჯიშობს. ამირანს ტანში აჟრჟოლებს. ეტყობა, ბატონ გიორგის დიდ სიამოვნებას ანიჭებს ასეთ სიცივეში ღია აივანზე ძილი... თბილისში კი ამ დროს ალბათ ყველა ფანჯარა ღიაა და, სიცხისგან დახუთულნი, ლოჯინში ბორგავენ, ზევიდან გადაფარებულ ზეწარსაც კი იცილებენ...

პირდაპირ მისწრებაა ამ სიცივეში ცხელი ჩაი. დილის ნოყიერი საუზმე სიამოვნებით მიირთვეს და სამარშრუტოდ გამოწყობილნი ნათელას ელოდებიან; მაგრამ რად გინდა მისი ცდა, როცა ისევ წამოწვიმა... ალბათ დღესაც გაუცდებათ სამუშაო დღე.

ეტყობა, ბატონ გიორგისაც აღარ ეპარება ამაში ეჭვი, მაგრამ მაინც შეჰყურებს ზეცას – იქნებ გადაიღოს წვიმამო.

– აბა, ლომებო, – მიმართავს იგი გიგლასა და ამირანს, – მოგიწევთ ისევ თქვენს საერთო რვეულებს მიმართოთ. ხომ ჩაწერეთ სამი დღის შთაბეჭდილებები? ისიც აღნიშნეთ, რა ხარვეზები მოგეპოვებათ ცოდნაში, რა გაქვთ შესასწავლი: რელიგიის ისტორია, ხელოვნების ისტორია – ზოგადად მაინც უნდა გაეცნოთ. ან საქართველოს ისტორია ავიღოთ... საქართველოს ეს კუთხე – თორი, თორ-გუჯარეთი, – მრავალ ქარტეხილგამოვლილია, მდიდარი ისტორია აქვს, ამას თუნდაც უამრავი ნა-სოფლარი, ნანგრევი, ციხე, ტაძარი მოწმობს...

– მეტი რაღა უნდა დაგწეროთ, ვიყავით კიმოთესუბანში, ეკლესია დავათვალიერეთ...

– ივანე ხრიკაძის ნაამბობი ჩაიწერეთ? დღიური კარგი რამ არის, ბევრ რამეს გაგახსენებს შემდგომ. თან, როცა წერის დროს განვლილი დღის ამბებს იხსენებ, უფრო კარგად გამახსოვრდება, უკეთესად, უფრო ღრმად აფასებ ყველაფერს. ხშირად სულ სხვა კუთხით დაინახავ მოვლენასაც და ადამიანსაც. დღეს, ცხადია, ბევრს ვერაფერს ჩაწერთ – ერთი და იგივე წვიმიანი მიდამო ჩანს... ლევანიკო და ზურიკო მაინც გამოჩნდებოდნენ...

ბიჭები მიხვდნენ, რომ, მოჩვენებითი სიმკაცრის მიუხედავად, ბატონ გიორგის ბავშვები ძალიან უყვარდა და ცელქები მოენატრა კიდევ.

– ეჰ, ჩემი ბიჭი როგორაა, მოუკვდეს დედა!.. – მწუხარე ხმით წარმოთქვა დეიდა მაკამ. – სულ მივატოვე მე სასიკვდილემ, რა ხანია, არ მინახავს... დღეს მაინც წავსულიყავი...

ბატონი გიორგი მიუხვდა გულისნაღებს.

– შე ქალო, წავიდეთ და ვნახოთ შენი ნოდარი, საქმის გამკეთებლები მაინც არ ვართ. ქვებისხევის ნაკრძალში შესვლის ნებართვაც უნდა ვითხოვოთ და ბარემ საშვიც ავიღოთ. ეს ჯერ კიდევ გუშინ უნდა მოგვეფიქრებინა.

შინ დარჩენა არავინ ისურვა, ნათელასა და მისი ოჯახის გარდა.

ნახევარ საათში სველი ასფალტით ჩასრიალდნენ ბორჯომში.

აქ ცოტა გაუჭირდათ: პარტიცემული ნოდარის საბავშვო ბაღი “პლატოზე” იყო დაბანაკებული; ეს “პლატო” ანუ ვულკანური ზეგანი, ბორჯომის ეკერის მტკვრის მარჯვენა ნაპირთან – მაღალი, ფრიალო კედლები აქვს. ბორჯომის ის მხარე, საიდანაც წინათ საავტომობილო გზით აღიოდნენ “პლატოზე”, ახლა თვით არის მოწყვეტილი ქალაქის დანარჩენ ნაწილებს – მასთან დამაკავშირებელი ყველა საავტომობილო ხიდი აღიდებულმა მტკვარმა წაიღო გაზაფხულის არნახული წყალდი-

დობის დროს; ფეხით კი შეიძლება გადასვლა – რამდენიმე ბაგირზე დაკიდებული საცალფეხო “კონწიალა” ხიდი გაუდგიათ საგანგებოდ.

გამოსავალი მალე მოიძებნა: ბულდოზერებით რკინიგზის ჩარხისწყლის სადგურის მხრიდან გაუყვანიათ ფრიად მიხვეულ-მოხვეული დაკიდებული გზა. კიდევ კარგი, ბორჯომში დღეს არ უწვიმია, გზაც ცოტა შემშრალი იყო და ვაივავლახით, როგორც იქნა, მანქანამ ძრავის ღრიალით ააღწია “პლატოს” ნაძვანარამდე.

ღეიდა მაკას არ უნდოდა, რომ ნოდარიკოს ის დაენახა. უკვე გამოცდილი ჰქონდა: ბავშვი ატირდებოდა და არ მოეშვებოდა – არ წახვიდოდა. ამიტომ საგანგებოდ ამოვიდა კაბინიდან ძარაში, შეიბურა თავსაფრით სახე, რომ შეიღეს არ ეცნო და არ აღნავლებულიყო. საჩუქრების გადასაცემად და ამბის გასაგებად მანანა წავიდა. ყველანი დიდი გულისყურით აკვირდებოდნენ, როგორ გაერია მანანას შალის წითელი კაბა თეთრ ტანსაცმელში გამოწყობილ ბავშვებში. შორიდან ამ უკანასკნელთ ერთნაირი იერი ჰქონდათ, მსგავსად ინკუბატორის წიწილებისა.

ამ მანანამ მოჰკიდა ხელი ერთ თეთრწინსაფრიან და თეთრქუდიან ბავშვს, ერთხანს ასევე თეთრხალათიან აღმზრდელ ქალებს ესაუბრა, შემდეგ კი ნოდარი გამოასვირნა მანქანისკენ, რათა დედას უფრო ახლოს ენახა.

ამირანი და გიგლა განსაკუთრებით აკვირდებოდნენ მოახლოებულ დეგემირს. ჩვეულებრივი ბავშვი იყო – ფუნჩულა, ოდნავ ფერმკრთალი; მხიარულად ეტიტინებოდა ღეიდა მანანას...

მანანამ რაღაც ჩოჩქოლი შენიშნა მანქანის ძარაში და მაშინვე გაატრიალა უკან ბავშვი.

ღეიდა მაკა უხმოდ ტიროდა, დანარჩენები უხერხულად ცდილობდნენ მის დაწყენარებას – როცა მან უღარდელად მობაჯბაჯე შეიღო დაინახა, ყელში ბურთივით რაღაც მოაწვა... უკვე აპირებდა თავსაბურავი მოეხსნა, ქვევით ჩამხტარიყო და ჩაეხუტებინა შეიღი, მაგრამ მამაკაცებმა შეაკავეს.

ცოტა ხანს კიდევ დაჰყვეს იქ. ღეიდა მაკა კაბინაში დატოვებს დასამშვიდებლად, კაცები კი ნაძვანარში გაიფანტნენ. სასიამოვნო იყო გამხმარი წიწვების სქელი ფენით დაფარული ტყის ნიადაგზე უხმაუროდ სიარული – თითქოს ფუმფულა, რბილი ხალიჩა იყო ფეხქვეშ დაგებული; ამ ხალიჩაზე არც ბალახი და ბუჩქი იზრდებოდა, ნაძვებს გაეშალათ მწვანე ტოტები. ფისის მძაფრი სურნელი ჰაერს დამატებლად სასიამოვნოს ხდიდა, რომელიც უნდოდან უსასრულოდ ღრმად ესუნთქათ – მსუყე და მაცოცხლებელი. ხეთა მოყავისფრო-ნაცრისფერ ტანებსა და მწვანე რტოებს შორის ქვევით მოჩანდა მადალი, ტყიანი მთებით შეკრული გუჯარეთისწყლის ხეობა.

ბორჯომში იმავე გზით დაბრუნდნენ, შემდეგ განვლეს ქალაქი და აწყურისკენ მიმავალ ასფალტიან გზას დაადგნენ. შორს არ წასულან – ბორჯომთან სულ ახლოს, მტკვარადმა რამდენიმე კილომეტრის დაშორებით, გზიდან მხარმარჯვნივ, ხელოვნურად გაშენებულ ფიჭვების ტყერში ორსართულიანი მცირე შენობა იდგა და მასთან მიაგრიალეს მანქანა – აქ უნდა აეღოთ საშვი.

ბორჯომის ნაკრძალის ღირექციაში კარგა ხანს გაგრძელდა საუბარი. ნაკრძალის ღირექტორმა დაგით მენაბდემ საინტერესოდ მოჰყვა იმ ღონისძიებებზე, რომლებიც ხორციელდება ბორჯომის ხეობის ნაძვანართა დასაცავად მისი საშიში მტრისგან – ნაძვის დიდი ლაფანჭამისგან. თეთრხალათიანმა მეცნიერ-მუშაკმა ქალიშვილმა სტუმრებს სანახავად მოუტანა პატარა მუყაოს ყუთი, რომლის ფსკერზეც დადოდა მომცრო, მუქი ფერის ხოჭოები – ლაფანჭამიები. ესენი არიან ნაძვის დიდი ლაფანჭამიები? მაშ, მცირე ლაფანჭამია რამოდენადა იქნება? ზიანი კი ამ უსახურ მწერებს მართლაც დიდი მოაქვთ... შუშის ქილაში ნაძვის ხის ქერქზე მიყუჟულ ლაფანჭამის რამდენიმე მატლს დასეული ჰყავდა და მუსრს ავლებდა რიზიფორა – მისი ბიოლოგიური მტერი, რომელიც ჩეხოსლოვაკიიდან შემოუყვანიათ. შემდეგ ისაუბრეს ბორჯომის რაიონში არსებულ არქიტექტურული ძეგლების შესახებ, რამდენიმე ადგილას წარმოებული არქეოლოგიური გათხრების შესახებ, პარტიის გეოლოგიური სამუშაოების შესახებ, გაზაფხულზე მტკვრის კატასტროფული წყალდიდობის შესახებ...

კეთილ ნაცნობებად გამოემშვიდობნენ ერთმანეთს.

გეოლოგიური პარტიის მთელი შემადგენლობა ჩასხდა თუ არა მანქანაში, მაშინვე წვიმამ დაუშვა და მხოლოდ მაშინ ოდნავ შესუსტდა, როცა წაღვერს მიადწიეს.

საღამოს გადაიღო კიდევ; ასე რომ, კინოში წასვლა არ დასზარებიათ. ნახეს კინოფილმი “ამაო ბედნიერება”, მთავარ როლებს ასრულებდნენ მიშელ მორგანი და ბურვილი. მოკლედ, დიდი იღბალი აქვთ მშვენიერი ფრანგული ფილმების ნახვისა!

კარი V. ქვაბისხევი

როგორც იქნა, როგორც იქნა – მზიანი, კისკასი დილა გათენდა!

ადრიანად მიდიან მარშრუტზე.

მანქანა გასცდა ბორჯომს და მტკვრის ნაპირზე გამავალ გზატკეცილს დაუყვა დინების საწინააღმდეგო მხარეს – მიდიან ქვაბისხევისწყლის ხეობაში გეოლოგიური ჭრილის გასაკეთებლად. თით-

ქმის ყველანი წამოვიდნენ, მხოლოდ დეიდა მაკა დარჩა შინ, დაჰპირდა მათ – გემრიელ სადილს დაგახვედრებოთ.

ოჰ, რა თვალისმომჭრელი დილაა!

კარგია, რომ მანქანას ტენტი მოხსნილი აქვს. ბატონი გიორგი დაუზარელია – გატაცებით ჰყვება ყველაფერზე, რაც კი გარშემო გამოჩნდება; სანახავი მართლაც ბევრი რამ არის.

აი, თუნდაც ბორჯომის ხეობის ტყით შემოსილი ფერდობები, ხეობის ძირში მტკვარი მიბორგავს, რაღაცას ებუტბუტება აქა-იქ შერჩენილ ძველთა ძველ ციხეებს, უსაყვედურებს თვითდამშვიდებებს, გულჩათხრობილობას, თითქოს ვერ ამჩნევს ამ ძველ მებრძოლთა კედლებზე ნაპრალებს – იარებს თუ დროის ნაოჭებს... თვით კი, მარად ახალგაზრდა, ებრძვის ნაპირებს და აკი ბევრისთვის მიუღწევია: გაზაფხულზე აღიდებულს, გამძვინვარებულს, თითქმის მთელი ხეობის გაყოლებაზე ჩამოუჭამია ნაპირები, დაუტბორავს და ალაგ-ალაგ ჩაურეცხია რკინიგზა; საავტომობილო გზაც ახლა ზოგან ახალი ტრასით მიდის, რადგან წყალს არც მისთვის დაუყრია ხეირი; ჩითახევეჰის უზარმაზარი მიმყვანი არხიც დაუნგრევია და ზოგან მისი კვალიც კი არ დაუტოვებია, არხის მეზობლად გამაგალი რკინიგზაც ზედ მიუყოლებია. ახლა ახალი გზა კარგა შორს შემოუყვლის ამ ადგილს.

ერთი საათი ასფალტზე უცებ გაიღია და სოფელი ქვაბისხევიც გამოჩნდა. სწორედ აქ უნდა შეუხვიონ მხარმარჯვნივ: აუყვებიან მტკვრის მარცხენა შენაკადს – ქვაბისხევისწყალს.

ამ ხეობაში, სოფელ ქვაბისხევიდან ხუთიოდე კილომეტრის დაშორებით, ჭაბურღილი გაუყვანიათ მინერალური წყლის მისაღებად; იქამდე მისაღწევად ზუსტად ერთ საათს მოუნდა მანქანა და ისე დაინჯდნენ ყველანი, რომ გარემოს სილამაზისგან სიამოვნების მისაღებად მხოლოდ მანქანის გაჩერების შემდეგ მოიცალებს.

აქ, სადაც ჭაბურღილი დაუდგამთ, ხეობა ფართოვდება, მარცხნიდან უფრო მომცრო ხეობა უერთდება – ლაშიდელისწყლისა. ფიჭვების კორომთან მშვენიერი ნაკადული მოჩხრიალებს დარიდან, ცივი გემრიელი წყლის სმით ვერ ძღებოდნენ და ამ დროს შეამჩნიეს, რომ მანქანაში ჯაყჯაყში კიდევც მოშვიებიათ. ქალები ხელდახელ შლიან გაზეთებს ყვითელი ბაბუაწვერებით გადაპნტილ მწვანე მოლზე, ზედ ლაგდება სანოვაგე და აჰა – გაწვდენილი ხელების ჯარი შეესია შესამუსრავად. ბატონი გიორგი ერთხანს ყოყმანობს, სიცხის დადგომამდე უნდა წაიმუშაოს და კუჭიც თავისას მოითხოვს; ბოლოს, ხელს ჩაიქნევს და ისიც მოტყეს პურის ყუას.

– ისე ვილუკებით, თითქოს დილით მაკამ მშვიგრები გამოგვიშვა! – ამბობს მანანა.

– ვცდილობთ, რომ იმედოს დიდი ჯაფა არ დაადგეს სუფრის ალაგების დროს! – ხუმრობს ვახტანგი.

– რამ გაგამგელათ ასე, შუადღეს რაღას მიერთმევთ? – უკვირს ბატონ გიორგის, თან ისიც მაღიანად ილუკება.

– აი დარდი! – ამბობს მანანა; მერე წუხს, გავსუქდიო. ყოველდღე აპირებს დიეტის დაცვას, მაგრამ ჯერჯერობით ეს სურვილი განუხორციელებელი რჩება.

ბატონი გიორგი პირველი წამოდგა ზეზე.

– აბა, იმედო, მიხედე აქაურობას, ჩვენ წავედით!

ყველანი წამოიშალნენ, ხალისიანად არიან განწყობილნი – მოენატრათ ნამდვილი გეოლოგიური მარშრუტი და ერთხელ კიდევ საგულდაგულოდ ამოწმებენ თავიანთ მზადყოფნას. შემდეგ ზურგჩანთები მოხერხებულად მოიგდეს ზურგზე, ხელში გეოლოგიური ჩაქურები უჭირავთ, არც სამთო კომპასები და საველე წიგნაკები დაგიწყებიათ – ყველანი ბატონ გიორგის შეჰყურებენ, მან უნდა მისცეს გასვლის ნიშანი.

– ბიჭებო, – მიუბრუნდა ბატონი გიორგი გიგლასა და ამირანს, – ისტორიული წუთი დგება თქვენს ბიოგრაფიაში – იწყებთ შრომით საქმიანობას! გილოცავთ ამ გზაზე შედგომას და, ამის აღსანიშნავად, არ იქნება ურიგო, რომ შენ, ამირან, და შენ, გიგლა, თითო თეთრი კენჭი გადაყლაპოთ!

ნათელა მაშინვე მთარბენინებს ორ მოზრდილ რიყის ქვას და ბიჭებს სთავაზობს. ყველანი ხუმრობის ხასიათზე არიან. მარშრუტზე გასვლის წინ წუთით ჩერდებიან და თვალს ავლებენ გარემოს: ტყით აქორჩილი ხეობის ციცაბო კალთებს, ხეობის ძირში დაკლაკნილ პატარა გამჭვირვალეწყლიან მდინარეს, რომელსაც თითქმის ყველგან შეიძლება, ზედ გადაეგლო ერთი ნახტომით... ყვავილებით ავსებულა იქაურობა, გამაბრუებელი სურნელი დგას, ისმის გაბმული ზუზუნი – მოფუსფუსე ფუტკრების ჯარი დასტრიალებს სტუმართმოყვრულად გადაშლილ ყვავილებს; ფუტკრებს მხარს უბამენ ნაირფერი ხოჭოები და ფრთაფარფატა, ხატულა პეპლები – ყოველი სულდგმული დილიდანვე შესდგომია ყოველდღიურ საზრუნავს.

ადამიანებიც აფუსფუსდნენ; გიგლასა და ამირანისთვის დადგა ყველაზე უფრო საინტერესო დრო: მათ პირველად უნდა ეხილათ გეოლოგების სამუშაო დღე; რით იყო იგი სხვა სამუშაოთაგან განსხვავებული? ან კონკრეტულად რას გააკეთებდნენ, ვის რა უნდა მოემოქმედებინა – ბატონ გიორგის, ვახტანგს, მანანას, ნათელას... ყველაზე უფრო კი, ცხადია, ის წუთი აღეგებდათ, როცა “მადანს” იპოვინდნენ.

გავიდა უკვე ერთ საათზე მეტი და, ბიჭების დაკვირვებით, არავინ აკეთებდა რაიმეს განსაკუთრებულს – ყველაფერი საკმაოდ პროზაული და მონოტონურიც კი მოეჩვენათ. აბა, რა არის იმაში მიმზიდველი ან გასაკვირველი, რასაც გეოლოგები ახლა ასრულებდნენ? ბატონი გიორგი ყველაზე წინ მიდიოდა, ჩაქუჩით უკაკუნებდა ქანებს, ალაგ-ალაგ კომპასს ამოიღებდა და რაღაცას გულდასმით ზომავდა, ზოგან კი მოამტვრევდა ქანის ნატეხს და დიდხანს გულდასმით აკვირდებოდა. ქაღებ-სა და ვახტანგს საველე წიგნაკები ჰქონდათ მომარჯვებული და გაცხარებით წერდნენ შიგ ბატონ გიორგის ნაკარნახევს: ქანთა ტიპებს, მათი წოლის ელემენტებს... გარდა ამისა, ვახტანგი და ნათელა ზონრით ზომავდნენ დასტების სისქეს ანუ, როგორც გეოლოგები ამბობენ, სიმძლავრეს და იმასაც იწერდნენ.

გიგლა და ამირანი კი რაღას აკეთებდნენ? მათ ზურგჩანთები მოეკიდებინათ ზურგზე და ერთს ნათელა აწვდიდა პარკით ნიმუშებს, მეორეს კი – მანანა. ამისთვის წამოიყვანეს ისინი – ნიმუშების სათრევეად? მაღე მათთვის უფრო საინტერესო საქმე გამოინახა – ქანთა ნიმუშების მომტვრევა: ქაღებს უძნელდებოდათ საკმაოდ მკვირივი ქვიშაქვების დამორჩილება, თან დაკვირვებასა და ჩაწერას ვეღარ ასწრებდნენ; ასე რომ, ჩაქუჩები ბიჭების ხელში გადავიდა და თავდაპირველად ისეთი თავგამოდებით დაერივნენ კლდის გამონაშეგვრს, რომ ქაღები იმ ადგილს საჩქაროდ გაეცალან:

– არიქა, ბიჭებო, იქნება ჩამოაქციოთ ლოდიანი და ქვეშ მოვეყვით ყველანი!

მაღე ბიჭები მიხვდნენ, რომ არც ისე ადვილი იყო, დიდხანს გემუშავნა ჩაქუჩით, თან საჭირო ზომისა და ფორმის ნიმუში გამოგეჩორკნა; ხელები დაეღალათ, ერთი-ორჯერ თითებიც დაეწკვეპათ და ისე აზარტულად აღარ უხათქუნებდნენ ჩაქუჩებს – უკვე გამოზომილად მუშაობდნენ, თან ცდილობდნენ გაეგოთ, რა იყო ამ ნატეხებში საინტერესო და სხვებივით კარგა ხანს ატრიალებდნენ ხელში ნიმუშებს. მათი გამოუცდელი თვალისთვისაც კი შესამჩნევი გახდა, რომ, მოჩვენებითი ერთფეროვნების მიუხედავად, ქანთა ფერი, სიმკვრივე, მარცვლების ზომა და სხვა მახასიათებლები მუდმივად იცვლებოდა – ხან თანდათან, ხანაც მკვეთრად...

ბიჭები საკმაოდ დაიღალნენ, მათი ინტერესიც შენედა, გეოლოგები კი ისევ ისე მოუღელვლად წერდნენ რაღაცას, გატაცებით უზიარებდნენ ერთმანეთს შთაბეჭდილებებს, ხშირად ხმამაღლა კამათობდნენ კიდევ და უამრავ, ბიჭებისთვის გაუგებარ, სიტყვებს ხმარობდნენ – ძალიანაც რომ სდომოდათ, მათ საუბარს მაინც ვერაფერს გაუგებდნენ. იგრძნეს: გეოლოგებს ცოდნა და გამოცდილება ბევრად მეტის დანახვის და გაგების უნარს აძლევდა და მათი ინტერესების სამყაროში ვერ შეესვლებოდათ.

ბიჭებმა უფროსების საუბრის ყურის გდებას თავი ანებეს, თან, საოცარი იყო, მოშივდათ კიდევც – სულ ორი-სამი საათი თუ გავიდა, რაც მარშრუტზე გავიდნენ. ერთი სული ჰქონდათ, შესვენება როდის გამოცხადდებოდა, ეს კია, გეოლოგებთან ყოფნა არ მოგწყინდება – ხუმრობის საბაბს ყოველთვის იპოვნიან. ამჯერად გიგლას დაადგეს კბილი: როცა დამძიმებული ზურგჩანთის თრევა მობეზრდა, დაიწყო ციციქნა მდინარის ერთი ნაპირიდან მეორეზე ხტომა, ერთგან სველ ქვაზე ფეხი დაუტედა და სტუცა კიდევ წყალში; წონასწორობის დასაცავად მეორე ფეხის მდინარეში გაგრილებაც მოუხდა. ყველანი საქმით იყვნენ გართულნი და, ამირანის გარდა, ამ საცირკო ნომერს თვალი შეასწორო მხოლოდ მანანამ. მაშინვე სიცილი აუტყდა, დანარჩენები მიახედა და, რასაკვირველია, ყველამ თითო რამ ურჩია გიგლას ხუმრობით. ბატონმა გიორგიმ ისიც კი სთხოვა, თუ კაცი ხარ, გვასწავლე ერთი, როგორ მოახერხე მაგ მდინარეში ჩასვლა, ჩვენც გვინდა გაგრილება.

შუადღეს გადასცდა, როცა მანქანასთან მიაღწიეს. შესვენება არ იქნებოდა ურიგო. მდინარე იმედო მანანამ და ნათელამ კინაღამ ფეხით გამოათრიეს კაბინიდან – სუფრა გიცდისო.

იმედო კარგა ხანია, რაც გეოლოგებთან მუშაობდა, არ სჭირდებოდა სწავლება, როდის რის გაკეთება იყო საჭირო; ამჯერადაც ყველაფერი წინდაწინ გაემზადებინა: პომიდორი და კიტრები დაერეცხა, პური და ყველი დაეჭრა, მოხარშული კარტოფილი გაეფცქენა; არც მარილი და აჯიკა დაეკლო სუფრისთვის.

– იმედო, იმ გორაკზე რომ ხე იზრდება, იმაზე ლურჯი დროშაა თუ რა ჩანს? – იკითხა უცებ ამირანმა.

– დროშა კი არა... მომწყინდა, რა უნდა გამეკეთებინა, იმ გორაკზე ციხის ნანგრევებია და ავძვარი მაღლა, ადვილი არ გეგონოთ! ერთი ლურჯი ჩვარი მქონდა, ხის კენწეროზე ის მივაკარი – ისე ასვლას რა ფასი ექნებოდა.

– ეგ გახლავთ ქართულ ისტორიულ წყაროებში არაერთგზის მოხსენიებული დემოთის ციხე, – ამბობს ბატონი გიორგი, – ამ ადგილს კი, სადაც ჩვენ ვსაუზმობთ, ციხის ჭალა ეწოდება.

ამირანი მაშინვე ფეხზე წამოხტა:

– გიგლა, გავიქცეთ? სანამ აქ ჭამას მორჩებიან, ასვლა მოვასწორო!

ბიჭებს დადლა სულ გადაავიწყდათ. დამრეცი, ბუჩქნარიანი ფერდობი სწრაფად აიარეს, შემდეგ ცოტა გაჭირდა აბობლება, მაგრამ ბოლოს მაინც მიაღწიეს უმაღლეს წერტილს. ამირანმა ესეც არ

იკმარა და იმ ხეზეც აძვრა, რომლის წვერზეც ნიავი აფრიალებდა იმედოს ვაჟკაცობის დამადასტურებელ საბუთს.

ძველთაძველი ციხის ნანგრევებიდან იშვიათი სილამაზის ხედი გადაიშალა. მდინარე ქვაბისხევისწყალი აქ ჭრის შუაეოცენური ასაკის ვულკანოგენურ ქანებს; ამასთან ჭრილში მორიგეობაა მასიური მაგარი ტუფობრექჩიებისა და ტუფური ლავების და შედარებით უფრო რბილი – თხელშრეებრივი ტუფური ქანების, რომლებიც შედარებით ადვილად იფიტებიან. ამიტომ მასიური ტუფური ბრექჩიები ქმნიან შვეულად მდგარი შრეების წყებას; ერთი შრე მეორისგან დაშორებულია დაახლოებით ათეული მეტრებით – თითქოს შიგადაშიგ ჯებირით გადაუკედლიათ მდინარე, ამ უკანასკნელს გაურღვევია ის, შემდეგ უფრო ქვევით მეორე ჯებირი გაუკეთებიათ, რომელიც მდინარე ქვაბისხევისწყალს ისევ გაუჭრია და ასე შემდეგ.

ბიჭებს უნდოდათ, სასწრაფოდ დაშვებულყვენ ქვევით, მაგრამ დაინახეს, რომ გეოლოგიური პარტიის დანარჩენი წევრებიც შესეოდნენ ფერდს ციხის დასალაშქრავად. ქალებისთვის განსაკუთრებით ძნელი დასაძლვეი გამოდგა უკანასკნელი მეტრები, მაგრამ საბოლოოდ არავინ შეარცხვინა გეოლოგის სახელი. მართალია, მანანას კივილი მთელ ხეობას ეფინებოდა, როცა თითქმის მთელი პარტია გაერთიანებული ძალებით რის ვაივაგლახით ცდილობდა მის ათრევას.

და აი, ყველანი ერთხმად ყვირიან, იქნევენ ხელებს, უკიჟინებენ ქვევით, მანქანასთან დარჩენილ იმედოს... მერე ერთხელ კიდევ ავლებენ მზერას ქვაბისხევის ხეობას, ფრიალოების გამონაშვებებზე მიყუჟულ ფიჭვებს და იწყებენ ქვევით დაშვებას. მანანას ჩამოყვანა ისევ მთელ კომედიურ წარმოდგენას შეადგენს, და, ბოლოს, ყველანი დამრეც კალთაზე ბალახებში ბილიკს დაუყვებიან.

აღვზნებულ მანანას არაფრით შეუძლია დაწყნარება, სიცილით მიიჭრა ამირანთან, გრძელ თმებში სწვდა და ხუმრობით ჩამოქაჩა:

– აბა, გრძელთმიანო პოეტო, რას გვეტყვით? ჩქარა – ლექსი!..

– გამიშვი, ვაიმე!.. გამიშვი და ვიტყვი! – ელრიჯება ამირანი; ჯერჯერობით ვერ გაუშინაურდა მანანას, თორემ თავისი გრძელი ხელებით მანანას თმებს კარგ დღეს არ დააყრიდა. კიდევ კარგი, ამ სცენას არ შეესწრო იმედო, თორემ უბოდიშოდ სწვდებოდა თმებში მანანასაც და ნათელასაც და ორივეს ააკივლებდა.

ყველანი მიდიან ყვავილებით მოჩითულ მინდორზე მანქანისკენ და ამირანი ხელების ქნევით ხმა-მაღლა თხზავს:

– მიწას აცვია მწვანე ქულაჯა,

ზედ დაუბნეგია ღილებად ყვავილები...

თეთრი გვირილები, ყვითელი ბაბუაწვერები...

– რითმა, რითმა რაღა უყავი, გრძელთმიანო? – უკიჟინებს მანანა.

– მაცალეთ... დამუშავება მერე იქნება, ექსპრომტად არ გამომდის.

– აბა, მაშინ, მჟაგე წყალთან, ბატონო პოეტო, ხომ გამოგივიდა? – მანანა ისევ ცდილობს, სწვდეს ამირანს თმებში, მაგრამ ამირანი უკვე დადარაჯებულია და მარჯვედ უსხლტება, გარბის დაღმართში.

– მოდი, მე მომქაჩე თმებში, მაგაზე უკეთეს ლექსს დაგიწერ! – ეხვეწება გიგლა. მანანა მის გადახოტრილ თავს უტყაპუნებს ხელისგულს, თითქოს საზამთროს სინჯავსო:

– მკვახეა ჯერ!

– აი დარდი! – ამბობს გიგლა.

სიცილ-კისკისით უახლოვდებიან მანქანას. ბატონმა გიორგიმაც ამირანს თმები ცოტათი მოქაჩა და ღიმილით უთხრა:

– რას ჰგავს ეს გრძელი თმების მოდა, ბერად შედგომას ხომ არ აპირებ? ერთი ეკლესია ამ ხეობაშიცაა, შორს კი არ არის.

– თითქმის მთელი ხეობა ავიარეთ და ეკლესია არსად შემიმჩნევია, – გაუკვირდა ნათელას.

– აქვეა, ფერდობზე, ტყეში: ხეობის ძირიდან არ ჩანს, – უპასუხა ბატონმა გიორგიმ და განაგრძო: – ცოტა არ იყოს, შეგვაგვიანდა და, თუ გინდათ მარიამწმინდის ნახვა, დროზე მივხედოთ საქმეს. შენ კი, ამირან, მაინც გირჩევ, შეიკრიჭო თმა – ადამიანსაც დაემსგავსები და აგვისტოს სიცხეც არ შეგაწუხებს... თუმცადა რა – ჩემი უმცროსი ბიჭიც მასე ბერივით დადის, უფროსების არც დაცინვა ჭრის, არც რჩევა-დარიგება. ჩემი ქალი გულზე სკდება, მე კი მაინცდამაინც არ განვიცდი, ვიცვი: ეს დროებითი მოვლენაა, ასაკობრივი “ავადმყოფობაა” ერთგვარი... ორ-სამ წელიწადში დავაჟკაცდება და ორიგინალობის ასეთი გამომჟღავნებაც შარშანდელი თოვლივით გაქრება. ასეა, ხომ, ამირან?.. მერე შენც სიცილით მოიგონებ, როგორ გიპირებდით ბერად აღკვეცას.

მუშაობა ხალისით განაგრძეს, თუმცა იმ დღეს ვეღარ მოასწრეს გეოლოგიური ჭრილის აღწერის დამთავრება და ეკლესიის მონახულებაც მეორე დღისთვის გადასდეს.

ბაზაში დაბრუნებულებს კი დეიდა მაკამ მართლაც რომ დიდებული ღობიო დაახვედრათ. საკმაოდ კი დაიქანცნენ ამ დღეს, მაგრამ არ დავიწყებიათ არც იმედოს გახუმრებოდნენ ჩაის დროს უკურკო მურაბის თაობაზე და არც კინოს დაჰკლებიან.

კარი VI. დღეს კინოს ნახვა არ ეწერათ

მეორე დღეს მოახერხეს ეკლესიის ნახვა.

უკვე საღამოსპირი იყო, როცა სამუშაო დაამთავრეს, ამჯერად მაკა დეიდაც წამოვიდა.

ხეობის ციცაბო ფერდზე დაკიდებული ბილიკით ყველანი ზემოთ მიიჩქარიან. ბილიკი უხვევს ფრიალო კლდის ძირთან, სადაც ნაპრალიდან ანკარა, ცივი წყარო გადმოსჩქეფს. გემრიელი წყალია, ვინ იტყვის უარს, წყლით გული გაიგრილოს და სული მოითქვას უზარმაზარი ხეების ჩრდილში, მით უმეტეს, რომ თაკარა დღე იყო.

კიდევ ერთი მოხვევა ბილიკისა და გამოჩნდა პაწაწინტელა ეკლესია, სანახევროდ კლდეში ჩამჯდარი, როგორც ძვირფასი თვალი ბეჭედში. კარები დაკეტილი იყო, მაგრამ ბიჭები გადაძვრნენ ალაგ-ალაგ გარღვეული სახურავიდან. ცოტა ხანში გიგლასა და ამირანს ბატონი გიორგი, ვახტანგი და იმედოც მიემატნენ, ქალები კი გარეთ დარჩნენ და იქიდან ისმენდნენ ბატონ გიორგის ნაამბობს:

– წმინდა მარიამის სახელზე აგებული ეს ეკლესია წარმოადგენს ტიპიურ ბაზილიკას, სამნავიან უგუმბათო ნაგებობას. შესასვლელი მხოლოდ ერთი აქვს, როგორც ხედავთ, დასავლეთის მხრიდან. შესაძლოა, წინათ ეკლესია მთლიანად იყო მოხატული, ამჟამად მხოლოდ ნაშთებია შემორჩენილი მარჯვენა ნაგის ერთ-ერთ კუთხეში. ხედავთ, ბიჭებო, რამდენი წმინდანია ფრესკაზე, მათ ქვეშ წითელი საღებავით შემოვლებულ ჩარჩოში ქალი და კაცია გამოსახული, ალბათ საერო პირები. მათ თავებთან რომ წარწერებია, – “შოთა” და “იაი”, – აკადემიკოს ნიკო ბერძენიშვილს აფიქრებინებს, რომ ისინი დიდგვაროვანი აზნაურის სახლის წევრები უნდა ყოფილიყვნენ; ალბათ მათ მოახატვინეს ეს საყდარი. ვინ იცის, იქნებ ეს “შოთა” შოთა რუსთაველიც იყოს... კაცსაც და ქალსაც წითელი კაბები აცვიათ, რატომ უყვარდათ დიდგვაროვნებს ნეტავ წითელი ფერი?

ბიჭებმა პირველებმა ვერ გაუძღეს ეკლესიის კედლების დახშულ გარემოს და ისევ გადაძვრნენ უკან. დეიდა მაკა აჩქარებდა ყველას, დროულად გასცლოდნენ აქაურობას, თორემ ამ სიმაღლიდან ქვევით, ხეობის ძირში ჩახედვა ცუდად მოქმედებს ჩემზეო, ვინ გიჟმა მოიგონა ამ ქარაფის პირას სალოცავის აშენებაო.

– მარიამობისას რომ მოხვიდეთ აქ, ქვევით, ხეობაში, უამრავი ხალხი იყრის თავს; გააქვს კოცონებს ტკაცატკუცი, ლურჯი ბოლი ადის ზევით, იკვლის საქონელი... მდინარის პირას ათევენ ღამეს, ხატობენ, – ეს უკვე ბატონი გიორგი დგას ქალთა გვერდით და საუბრისას შარვალს იფერთხავს.

– მარიამობა როდისაა? – იკითხა ამირანმა.

– ხიხო მე ვარ თუ შენა, პა? – მხარზე ხელი დაჰკრა იმედომ. – წმინდა მარიამის დღესასწაული 28 აგვისტოზე მოდის. წინა საღამოს მთელი ჩვენი სოფელი გაიკრიფება ხოლმე ეკლესიის ეზოში, არის მწვადების შიშხინი... უჰ, კარგად მოვილხენთ ხოლმე!

მანქანასთან მალე ბრუნდებიან რცხილნარ-ნაძვნარში ჩამორბენილი ბილიკით. საათნახევარში ალბათ შინაც იქნებიან და კინოსაც მიუსწრებენ. მაგრამ, როგორც ჩანს, ამ დღეს კინოს ნახვა არ ეწერათ, მის მაგივრად გეოლოგიური პარტიის პატარა თვითმოქმედი კონცერტი ჩატარდა. თითქმის ორი საათი იცადეს გზაში: ერთ ადგილას, სადაც მტკვარს გზის მოზრდილი ნაწილი შეეყვალა და მხოლოდ პატარა გასაძრომი იყო მანქანებისთვის დარჩენილი, სწორედ ამ ვიწრობაში ძრავა ჩაუქრა უზარმაზარ თვითმცლელს, რომელიც ვერაფრით გააგორეს – ვერც წინ და ვერც უკან.

იქ გზის გახსნის ცდაში დაულამდათ კიდევ და ბატონ გიორგის თაოსნობით სიმღერების მთელი წყება დააგუგუნეს; შემდეგ მანანამ ლექსები წაიკითხა, მაგრამ ის კი ვერ გაიხსენა – ვისი; შემდეგ ისევ იმღერეს. ვიწრობაში გაჩხერილ თვითმცლელს კი უშედეგოდ ისევ და ისევ ექაჩებოდნენ მანქანები ბაგირით.

– ერთი ნაჭერი კარაქიანი პური მომცა ახლა! – წამოსცდა უცებ ამირანს; გიგლამ ცხვირს დააცემინა.

– ეთანხმები, ხომ? – გაიცინა ბატონმა გიორგიმ. – გეოლოგებთან თუ მუშაობთ, ბევრ მოულოდნელობას უნდა მიეჩვიოთ. შენ, ბიჭო, გუშინ წყალში რომ გატოპე, ხომ არ გაცივდი?

– აი დარდი! – ამბობს ამირანი.

– ეგ არაფერი, ჩემო ამირან, – განაგრძო ბატონმა გიორგიმ, – შესაძლოა, შემდგომ ისეთი ჭრილიც გავაკეთოთ, რომ მთელი დღე მდინარეში ვიაროთ. რას იზამ, გეოლოგები დიდი უხიავი ხალხი ვართ – თუ მოგზაურები ან უბრალოდ გამგლეღნიც გზით მიდიან ან ბილიკით, ჩვენ მაინცდამაინც

მდინარეში უნდა მივტოპავდეთ ან ტყის გაუფალ ჯურღმულში მივტოვებით – ვეძებთ ადგილს, სადაც უკეთესი გაშიშვლებებია ქანების.

– საწყალ ქალებსაც სად არ გვაპრომილებოთ!.. დღეს იმ ეკლესიის ქარაფიდან რომ გადმოვიხედე, მუსხლები მომეკვითა, – ჩაურთო დეიდა მაკამ.

– აი დარდი! – ეუბნება ნათელა.

– ჰო, ერთი ამბავი გამახსენდა!.. – ბატონი გიორგი უფრო მოხერხებულად მოეწყო მანქანის ძარაზე დაგდებულ ნიშუშებიან ყუთზე. – მაშინ ახალგაზრდა ვიყავი, ომიდან ორი თუ სამი წლის დაბრუნებული. მაკა, პანტელეიმონ ღლონაძე ხომ გახსოვს? იმასთან ვმუშაობდი რაჭაში, მდინარე რიცეულას ხეობაში. ფრიალო კედელი იყო დასასინჯი, ფაუნა უნდა მოგვეძებნა. რასაკვირველია, ყველას ეზარებოდა იქ ძროხიანი, გუყურებით ერთმანეთს და ვიყავით ასე გაჩერებული... ჰო, იქ მდინარე იყო კიდევ გადასაცური, ის ფრიალო კედელი მდინარის პირს მიუყვებოდა. ბოლოს, მე გამოვიდე თავი; გავიხადე ტანსაცმელი და ნიფხვის ამარამ ხელში ჩაქუჩით გადავცურე მეორე მხარეს. დიდი ვაიგაგლახით ავფოფხდი ამ ფრიალოზე, დანარჩენები მიყურებენ: თუ ერთი გამომეშალა ფეხქვეშ რამე ან ხელი ვერ მოვჭიდე კარგად კლდის გამონაშევერს, ნახვამდის – მდინარეში მოვადენ ტყაპანს... ბევრი ვჩიჩქნე ჩაქუჩით და ბოლოს, ფაუნას მივაკვლიე. დაუძახე ქვევით წარმოდგენის მყურებლებს – კარავანის ფაუნა არის-მეთქი; მერე მოვტყევე რამდენიმე ნიშუში და მოვემზადე ქვევით ჩასასვლელად. კლდის გამონაშევერებს უნდა მოვეჭიდო ან კედელს მივეყრდნო, მაგრამ ახლა ხელში ნიშუშები მიკავია, რა უნდა ვქნა, კბილებით ხომ არ დავიჭერ ამ ნიშუშებს? ვეღარც ქვევით ჩავდივარ... მაშინ არც მაცია, არც მაცხელა და, ქალებთან ბოლიში, პერანგის ამხანაგიც გავიხადე, შიგ გავახვიე ნიშუშები, ჩამოვიკიდე მკლავზე და ასე დავიწყე ნელ-ნელა ჩამობობლება. კვირა დღე იყო, ხალხი მაშინ უმეტესად ფეხით დადიოდა, სად იყო ამდენი მანქანა, ჰოდა, მდინარის მეორე ნაპირზე, გზაზე, მიდიან რაჭველები და პირდაღებულები შესცქერიან ბუნების იშვიათ მოვლენას – ტიტლიკანა მამაკაცი მიფროთხავს ფრიალოზე ჩაქუჩის ქნევით და არ აქცევს ყურადღებას გამვლელ ქალთა ვიშიშსა და მამაკაცთა ხორხოცს...

კარი VII. უძველესი გზა

– დაისვენეთ, ლომებო? – იკითხა ერთ საღამოს ბატონმა გიორგიმ. რამდენიმე დღე შორი მარშრუტები არ გაუკეთებიათ, იქვე, გუჯარეთისწყლის ხეობაში მუშაობდნენ; საღამოს ადრე ბრუნდებოდნენ და ვახშობამდე მდინარეში ბანაობასაც კი ასწრებდნენ. – აბა, მოემზადეთ, ხვალ დილით ლომისმთაზე წავალთ. სანამ კარგი ამინდებია, ბარემ მოვითავოთ... ხომ იცით თქვენი მოვალეობა? ნიშუშებისთვის პარკები და ეტიკეტები მოამზადეთ, თბილი ტანსაცმლის წამოღება არ დაგავიწყდეთ – მთაში ეციება, საძილე ტომრებს კი იმ სიმაღლეზე ვერ ვათრევთ, მხოლოდ მათ შალითებს წამოვიღებთ და იმით დავკმაყოფილდებით... არა უშავს, იქ მხოლოდ ერთი-ორი ღამე უნდა დავრჩეთ, მოვითმენთ როგორმე.

როგორ, ნუთუ დადგა ლომისმთაზე გამგზავრების დრო? რამდენი ილაპარაკეს ამ ლომისმთაზე, მის სიმაღლეზე, იქაურ სიცივეზე... ბატონმა გიორგიმ ტოპონიმიკური კვლევის შესახებაც ჩაატარა პატარა ლექცია, განსაკუთრებით აინტერესებდა ამ მთის სახელწოდების წარმოშობა, რასთან უნდა იყოს დაკავშირებული; იქ შავი ფერის კირქვებია გაშიშვლებული ზედ ლომისმთაზე, როგორსაც საქართველოში სხვაგან ვერსად შეხვდებითო.

მოკლედ, მზეს ჯერ კიდევ ეძინა თავის ბუნაგში, მთელი პარტია კი უკვე მანქანაში მოკალათდა და დაიძრნენ ბორჯომისკენ. საკმაოდ ციოდა, მხიარულება მაინც არ მოჰკლებიათ, ყველაზე მოუთმენლები – გიგლა და ამირანი – უკვე ლომისმთაზე იყვნენ ფიქრებით და იქიდან გადაშლილ ხედებს აკვირდებოდნენ... მაგრამ, სანამ ყველაფერი სინამდვილედ იქცეოდა, ჯერ უნდა მიედწიათ ქვაბისხევის ხეობამდე, შემდეგ თითქმის ერთი საათი ეჯანჯლათ ამ ხეობაში, გაეგლოთ უკვე ნაცნობი ფერდობები, სადაც ალაგ-ალაგ ახალმოჩინილი ადგილები ჩანდა – ამ საქმეში წვლილი გიგლასა და ამირანსაც მიუძღოდათ და ამან ერთგვარი სიამაყის გრძობაც დაბადა მათ გულეში... ამ ხეობაში ვინმე უცხო რომ მოიყვანონ, გიგლასა და ამირანს რამდენი რამის ნახვება შეუძლიათ: იციან, სად არის გემრიელი წყაროები, ყველაზე ღამაზი ყვავილები სად იზრდება, ციხეზე მოხერხებული ასასვლელი გზა, მარიამწმინდის ეკლესიის ფრესკებზე კი ძველი ქართულ ანბანით აწერია: “შოთა” და “იაი”... ახლა კი მანქანა გვერდს უვლის ჭაბურღილის მიტოვებულ კოშკს და ხეობის აღმართში წინ და წინ მიიწევს – იქითკენ, სადაც ხეობა სულ უფრო ვიწროვდება, ვიწროვდება და, აჰა, აქტიდან უკვე ფეხით უნდა გაავრძელო გზა...

– აბა, იმედო, უჩვენოდ არ მოიწყინო!

– აი დარდი! – იკრიჭება იმედო.

– იმედო, თუ ძმა ხარ, იმ მურაბას კურკები დააცალე, დრო ბევრი გექნება! – ელაზდანდარება მანანა.

ყველანი ემშვიდობებიან იმედოს, ბატონი გიორგი ერთხელ კიდევ აფრთხილებს, რომ ზეგ, შუადღეზე, იმედო თავისი მანქანით უნდა დაუხვედეს პარტიას ამ ხეობაში ჭაბურღილთან; თან არ იქნებოდა ურიგო, თუ სანოვაგესაც ბლომად წამოიღებს ბაზრიდან, რადგან იმ დროისთვის ალბათ სურსათის მარაგი ამოწურული ექნებათ...

შემდეგ ყველანი იკიდებენ ზურგჩანთებს, ხელში იკაგებენ ჩაქურჩებს და მიუყვებიან ბილიკის აღმართს. იმედო დიდხანს უყურებს მათ, შემდეგ კაბინიდან საზურგე და საჯდომი გადმოაქვს და ნებიერად იშხლართება ზედ – შუალამისას წამოხტნენ ყველანი და რა გასაკვირველია, რომ ახლა იმედო ძილს მისცემს თავს.

დანარჩენები კი ამ დროს უკვე დაკიდებული ბილიკით მადლა-მადლა მიძვრებიან ტყიან ფერდობზე. ჯერ მხოლოდ აღრიანი დილაა, მზესაც კი არ დაუჭყეცია თვალი, საკმაოდ თბილად ჩაცმულებს სიგრილისგან მაინც ტანში აჭრიალებთ. გადის ნახევარი საათი და ახლა უკვე ოფლი ხვითქად ჩამოსდით სახეზე; მაღიმაღ ჩერდებიან, ქშენით ითქვამენ სულს – ბილიკი ყველას სიქას აცლის. ბატონი გიორგი გზის გამკვალავია, მას ვახტანგი მიჰყვება ფეხდაფეხ, შემდეგ მოდიან ნათელა, მანანა და დეიდა მაკა, ბოლოს კი – გიგლა და ამირანი.

მაღე ყველაზე ბოლოში ვახტანგმა გადაინაცვლა – დეიდა მაკას ჩამოართვა ზურგჩანთა და ძნელ ადგილებში ასვლაში ხელსაც წაახმარს; შემდეგ ბატონი გიორგიც ართმევს მანანას ზურგჩანთას, ამირანი კი – ნათელას. სიარულის სიჩქარე დაეცა, ხშირ-ხშირად ჩერდებიან დასასვენებლად, წიწვოვანებში აღმა მიმავალ დაკლაქნილ ბილიკს კი არბენა ისევ არ ეზარება – ზევით ასაძრომს ბოლო არ უჩანს.

ბატონ გიორგის მაინც კიდევ ჰყოფნის ენერჯია, რომ ახალგაზრდებს აუხსნას: ეს ბილიკი არის ალბათ უძველესი გზა, რომელიც სამცხიდან იმერეთში გადადიოდაო; გზაწერილი გადაივლის ლომისმთას და მიდის მარეღის-ლეღვანისა და ვახანისკენ ქვემო იმერეთში...

მოულოდნელად გავიდნენ წყალგამყოფზე: მხარმარცხნივ მდინარე მელრუკის ხეობაა, რომელიც მარეღისთან ჩასვლისას ერთვის ბჟოლისხევს – შავი ზღვის აუზისაა, მხარმარჯვნივ კი – ქვაბისხევი დარჩა, რომელიც სოფელ ქვაბისხევთან ერთვის მდინარე მტკვარს, კასპიის ზღვის აუზისაა. სადაც ახლა სხედან და ისვენებენ, იმ ადგილს შავსერი ეწოდება. ყველაფერ ამას ფიჭვის ფესვის გამოწვევით ჩამომჯდარი ბატონი გიორგი ჰყვება, დანარჩენებიც მიგდებულან აქა-იქ და, უკიდურესი დაღლილობის მიუხედავად, სიამაყით გასცქერიან მზით განათებულ ხეობებს – ხომ მოგექცით თავზეო!

ისევ წინ, ისევ მადლა და მადლა... ბილიკი წყალგამყოფს – შავსერს – სერ-სერ მიუყვება, სიარული ბევრად გაადვილდა. ტყე ნელ-ნელა მეჩხერდება. მაღიმაღ ჩერდებიან დასასვენებლად. მზე თანდათან ძალას იკრებს, აიძულებს ყველას, გაიხადონ ზედმეტი ტანსაცმელი. საკმაოდ გრილა, მზე მაინც ახერხებს ზურგისა და თავის კინკრიხოს გახურებას; მსუყე ჰაერს ხარბად ისუნთქავენ და მაინც არ ჰყოფნით, ალბათ სიმაღლის გამო – თითქმის ორი ათასი მეტრის სიმაღლეზე ავიდნენ. საცაა უნდა გამოჩნდეს ლომისმთის მწვანე ბალახით დაფარული მომრგვალებული თავი.

დაიწყო გაუთავებელი აღმართ-დაღმართები და აჰა, უკანასკნელი სუნთქვისშემკვრელი და ოფლისმღვრელი იერიშის შემდეგ, ყველანი გადიან მწვანე ბალახით მოხასხასე უნაგირზე და შვებით გასცქერიან ფერდობზე შეფენილ რამდენიმე შენობას ფერმისა, სადაც მათ ელოდათ ახლადგამოცხვარი ცხელი მჭადი, სურნელოვანი ლობიო, ახალი ნადუდი და ციფ-ციფი, უგემრიელესი წყაროს წყალი...

კარი VIII. ნადირა, კვირია, ირემა...

ფერმაში მომუშავენი – ორი ქალი და ორიც კაცი – სოფელ სერბაისიდან გამოდგნენ. კაცები გვარად არევაძეები იყვნენ, ორივეს სახელიც ერთნაირი ჰქონდა – შოთა.

კარგად დასვენების შემდეგ, მაკა დეიდა, მანანა და ნათელა მეორე, უფრო დიდ სადგომში გადავიდნენ – რამდენიმე ასეული მეტრის დაშორებით; იქ კიდევ სხვა მომუშავეები დახვდათ ფერმისა; კაცებმა კი ხვალინდელი უსაკეთებელი ჭრილის დასაზვერად გასწიეს.

ლომისმთამ ნისლის მანდილი შემოიბურა. ორიოდე ნაბიჯში აღამიანი იკარგება. თმები დაუსველდათ, ბატონ გიორგისა და ვახტანგს უღვაშებზე დაასხდნენ გამჭვირვალე მარცვლები, ძვირფასი ალმასებივით მოელვარე.

რაც მადლა მიდიან მწვერვალისკენ, მით უფრო ცივი ქარი უბერავს, მკვრივდება ნისლი – თითქოს ბამბაში არიან ჩაფლულნი. გარშემო არაფერი ჩანს, ისევ ქვევით დაბრუნება ჯობს; რაც მთავარია, ნახეს, რომ მოშავო ფერის კირქვათა გამოსავლები მართლაც არის აქ, ფერდობზე.

როგორც კი ქვევით, წყაროსთან დაბრუნდნენ, მზემაც გამოანათა, დათბა.

ნახირთან ერთად გაუტიეს ფერმისკენ, მოსაღამოვდა.

ის იყო დასაძინებლად თადარიგს შეუდგნენ, რომ ამირანის ფრუტუნმა მიიქცია ყველას ყურადღება.

– რაო, რა მოხდა, ამირან, სასაცილო ხომ არაფერი გაგახსენდა? – ჰკითხა ბატონმა გიორგიმ.

– ძროხების სახელებია სასაცილო: მურგვა, ნამცეცა, ავარა, ფანდურა...

მწყემსები ამ დროს შინ მორეკილ საქონელზე საუბრობდნენ, ითვლიდნენ, რვეულში ამოწმებდნენ, ყველა იყო თუ არა.

– აბა, ბიჭებო, ამოიღეთ თქვენი უბის წიგნაკები! თუკი ასე იმოქმედა თქვენზე ძროხათა სახელებმა, ჩაიწერეთ ისინი, თან გაარკვიეთ, რატომ დაარქვეს ესა თუ ის სახელი.

– ვინ რამდენი ჩამოიწველა, ისიც გინდათ? – კითხულობს ერთი შოთა.

– გადაცმული რვეიზორები ხომ არ ხართ? – ხუმრობს მეორე შოთა.

– გიგლა, წიგნაკი ხომ არ დაგრჩა? – ეკითხება ბატონი გიორგი.

– ალბათ ამირანმა თავისი წიგნაკი უკვე გაავსო ლექსებით და ახლა გიგლასას შეუტია, – გახტანგი ხუმრობით ეჯიკავება ამირანს.

– რა იცი, იქნებ ლექსის თემადაც გამოდგეს, ფერადოვანი სახელებია. იქნებ სახუმარო შაირებიც დაგვიწერო, ჰა? – ეღიმება ბატონ გიორგისაც. – ერთიც ვნახოთ და პასტორალური პოემაც გამოაცხო!

ხნიერმა ქალმა კოყრებიანი თითი ჩამოაყოლა სიას რვეულში და დაუზარელად ჰკარნახობდა ძროხათა სახელებს და პასუხობდა კითხვებს.

– წერ?.. ნადირა, კვირია, ირემა, ლომია... ჩაწერე?.. მურგვა – ჩაფსკენილია მორგვევით და ეს სახელი იმიტომ დაარქვეს; ნამცეცა – პატარა დაიბადა, დოლია – თეთრია, ქორორა – დიდი თმა აქვს, ფანდურა – ამ ძროხის დედასაც ფანდურა ერქვა, ძალიან მომწონს ეს სახელი; დედა ბევრს იწველიდა – თითო ვედროს გაავსებდა და მისი სახელი შეილსაც დავარქვი; მერცხალა, აქლემა – მადალი დაიბადა, მაისა – ამ თვეში დაიბადა, ლამაზა, ზვიადა – ჩხუბის გამო ცალი თვალი დაჰკარგა, ტყემლა – ტყეში დაიბადა, კოხტია, ავარა – ცელქია, ცქვიტა, ყაზარა, ნიშია – შუბლზე თეთრი ლაქა აქვს, შამილა – დედის სახელი დაარქვეს, მასავით შავია, ნაპონა – ტყეში იპოვნეს, ირემა – კოხტა მოზვერი იყო, წაბლა, ჯონკა, ნუკრია – თვინიერი ძროხაა, ამ სახელს ხშირად ვარქმევთ, ლომა, ფირუზა, ჯირითა, შავთვალა, მაცადინა – მეორე ძროხაც გვყავს მაცადინა: ერთი მეთაურია ძროხების და საჭმელი პირველს უნდა მიუტანო, თორემ იქაურობას დაანგრევს, კიკინა, კვირტა, ლეკურა – ეს სახელი სამ ძროხას ჰქვია, ნისლა, ჯირითა – დედა-შვილს ჰქვია, ცანგალა, სურმა, ბზილა, ჭოტია – რქები აქვს დიდი, ჭოტა, გოგონა – ეს სახელიც ორ ძროხას ჰქვია, მაყვალა, ხატულა, არმეგონა, ბროლია, თაგუნა... მეორე სადგომში მეტი ძროხა გვყავს, მერე იქაც გაიკითხე.

– რას მექიშება ჯირითა, გულზე გაგხეთქავ ჯიბრითა! ზვიადამ უთხრა კიკინას, ჭოტიამ რატომ მირქინა? – ბუტბუტებდა ამირანი.

ამით დასრულდა საზეიმო ნაწილი და მოემზადნენ დასაძინებლად: ტანისამოსის გახდის მაგიერად, რაც კი რამ ჰქონდათ წამოღებული, ყველაფერი ჩაიცვეს, ჩაძვრნენ საძილე ტომრების შალითებში და ზვიადან კიდევ მასპინძელთა ტყაპუჭები გადაიფარეს. ერთი ციცქნა ფიცრების საწოლზე, სადაც წესიერად მხოლოდ გიგლა ან ამირანიც ვერ გაიზმორებოდა, ახლა ოთხი კაცი მოთავსდა მოკუნტული, მჭიდროდ “ჩალაგებული”; სიცივისა და დაღლილობის გამო კარგა ხანს არ დაეძინათ.

კარი IX. მოვასწრებთ დღესვე ქვევით ჩასვლას?

დილის შვიდი საათია. გუშინდელი ნისლისა და სიცივისგან მხოლოდ მოგონებად დარჩა. თვალისმომჭრელად ანათებს მზე და, ოდნავ წამოიწია მადლა თუ არა, მამაკაცებმა წელზევით გაშიშვლება ამჯობინეს. ცხელა, მთელი დღე მუშაობა აუტანელი იქნებოდა, რომ პატარა ნიაგი არ აგრილებდეთ.

გეოლოგიური ჭრილის აღებას იწყებენ ლომისმთიდან ჩრდილოეთით – დაახლოებით ერთი კილომეტრის დაშორებით. დასავლეთითა და სამხრეთ-დასავლეთით ამართულან სხვა მწვერვალებიც: სამეცხვარიო, რკინისჯვარი, მეღრუკი... 2000 მეტრზე მეტ სიმაღლეზე არიან ზღვის დონიდან და აქედან მშვენიერად მოჩანს მტკვრის აუზი აღმოსავლეთით და მდინარე ჩხერიმელას აუზი დასავლეთით. ორივე აუზის ვიწრო, დაქანებული ხეობები თითქმის შავია წიწვოვანი ტყისგან, მხოლოდ მადლა აზიდული უტყეო მწვერვალები ხასხასებენ მწვანედ; ალაგ-ალაგ მათი ზურმუხტისფერი ხეობები ისერება ღია ფერის ფართო ჭრილობებით – ქარაფებით და ღია ნაცრისფერი ნაშალი ქანებით დაფარული ადგილებით. ქვევიდან, სადღაც უფსკრულიდან, ძლივს აღწევს ყრუ ხმაური ვიწრო ხეობებში თავიქვე კისრისტეხით დაქანებული პატარა მდინარეებისა. ერთ-ერთი მათგანი, მდინარე მეღრუკის

მარცხენა შენაკადი, თეთრ დაკლანდილ ძაფად მოჩანს აქედან და დიდ სურვილს ბადებს მისი ცივი წყლით გაიგრილო გული. წყალი კი მართლა ცივი იქნება – სამეცხვარიოს და რკინისჯვრის ზედ მწვერვალებთან ერთი კვირის წინ მოსული თოვლის თეთრი ნაფლეთებია შემორჩენილი. ყოველი მხრივ, საითაც კი გაიხედავ, მთების ძეწკვებია გამწკრივებული და რაც უფრო შორია მთაგრეხილი, ბაცდება ლურჯი ფერი, მით უფრო იდუმალ სიმკრთალეს აძლევს სიშორე; სულ ჰორიზონტთან კი – თითქოს ჰაერში მირაჟით გამოკიდებულა ღია ფერის დაკბილული კონტური.

ნათელა კილოგრამიან ნიმუშებს იღებს, დეიდა მაკასა და მანანასაც გაეხსნათ მადა (სხვა დროს როდის მოუწევთ კიდევ აქ ამოსვლა, ღმერთმა უწყის!) და ბიჭების ზურგჩანთები თანდათან მიმდებ. დიდი ხნით სხდებიან ათასგვარ ნაირფერ ყვავილებში, მაღალ, სურნელოვან ბალახებში; უსმენენ მოწინწრისხე, მოთრითინე, მოზუზუნე მწერების ფუსფუსს, გეოლოგების ჩაქურების კაკუნს ქანთა გაშიშვლებებზე; ეფიცებიან მცხუნვარე მზის სხივებს; ხანდახან ზანტად წამოდგებიან, წამოკიდებენ ზურგჩანთებს და წინ წასულ გიორგისა და ვახტანგს ეწვიან, შემდეგ ისევ წამოგორდებიან ბალახზე და განაგრძობენ შეწყვეტილ საუბარს.

ზაფხულის დღე ჯერ გრძელა, განსაკუთრებით იწვლება იგი, თუ ერთი სული გაქვს სამუშაოს დასრულებამდე... და როცა ეს წამიც დადგა, ბიჭებს ძალიან გაუკვირდათ, რომ ჯერ მხოლოდ ოთხი საათი იყო. ცივ წყაროსთან ძლიერ დამშეული გეოლოგიური პარტიის წევრები საფუძვლიანად დაწყვიტდნენ.

– მოვასწრებთ დღესვე ქვევით ჩასვლას? – იკითხა დეიდა მაკამ. – თავდაღმართში სწრაფად ვივლით.

– წმინდა გიორგის ეკლესიის ნანგრევებს განახვებთ ღომისმთის წვერზე, არ გინდათ? – შესთავაზა მათ ბატონმა გიორგიმ.

– მერე, ისევ აქ მოგვიწევს საშინელი ღამის გათევა? – შეეშინდა მანანას. – სიცვიისგან კინაღამ დავიხოცეთ! არ თქვამთ ახლა, აქ დავრჩეთო, თორემ ვიკივლებ!

– მაშინ დღესვე დავეშვით ქვევით, ხეობაში, ჭაბურღილთან რომ ძველი ფიცრული შენობაა შემორჩენილი, იქ გავათიოთ ღამე, – გადაწყვიტა ბატონმა გიორგიმ.

– სიცვიე და სივიწროვე მაინც არ შეგვაწუხებს! – შვეებით ამოისუნთქა დეიდა მაკამ.

ხუთი საათი სრულდებოდა, როცა ისევ აიკიდეს ზურგჩანთები.

ამჯერად გადაწყვიტეს, სხვა შენაკადით ჩასულიყვნენ ქვაბისხევის ხეობაში და არა იმ გზით, რომლითაც ღომისმთაზე ამოვიდნენ. მართალია, ეს ახალი გზა უფრო მოკლე იყო, მაგრამ, სამაგიეროდ, ბევრად ციცაბო და მოუხერხებელი ჩანდა – რუკაზე ვერ ნახეს ქვევით ჩასასვლელი ბილიკიცი კი.

ერთხელ კიდევ მოაგვლეს თვალი მათ წინაშე გადაშლილ ხედებს, სურდათ უკანასკნელად ეხილათ და შეეგრძნოთ... რა? ბევრი რამ... რასაც ძნელად თუ აღწერს კაცი. ან რა სიტყვებით შეიძლება, გადმოიცეს ყვავილების ნაირფერობა და სილამაზე, ბალახების სიმწვანე, ნაკადულების ხან წყნარი რაკრაკი, მათი უშფოთველი დინება აყვავებულ ნაპირებს შორის, ხან თეთრად აქაფებული ნიადგარი, რომელიც გიჟით მიხტის და მიდრიალებს დიდ ქვებსა და კლდეთა ნამსხვრევებს შორის... მთელი წიგნის დაწერა მოუნდებოდა აღწერას წყალგამყოფიდან გამოჩენილი ვიწრო, მუქი, თითქმის შავი, წიწვოვანებით და ფოთლოვანი ტყით დახუჭუჭებული ხეობებისა, მთაგრეხილების მკვეთრი კონტურული ხაზებისა, აქა-იქ ქვევით ხეობებში ფთილებად ჩაწოლილი გაჩეჩილი ნისლის ჩუმი, შემპარავი დინებისა, მთის გრილი, მსუყე ჰაერისა, ელვარე მზის ცეცხლოვანი ბურთის სხივების თამაშისა – მაღლა ცაში, ღრუბლებში, მთა-გორაკებზე და ხეობებში...

სულ მალე ლირიკისთვის აღარავის ეცალა – მართალია, ნიმუშები კაცებმა თანაბრად გადაინაწილეს ზურგჩანთებში, მაგრამ ქალებს საკუთარი ტვირთიც საკმაოდ ჰქონდათ, თან მაღალ ბალახებში და ბუნქნარში გზის გაკვალვა მეტად მომქანცველი შეიქნა. ბოლოს და ბოლოს, ბილიკიცი გამოჩნდა – ქვევით ჩახერგილი, ხან მაყვლების ბუნქნარში მიდგრება, ხან ჭანჭყობზე გადადის. არც ახალი ჩექმები აყრით ხეირს – სულ თავდაღმართში სიარულით ფეხზე თითთა წვერები გადაეტყავათ და დაუწყლულდათ... მაინც ხალისიანად მიაბიჯებენ – ბილიკი უკეთესი სავალი ხდება, უკვე განედგამოხედვაც შეგიძლია და ხევის სილამაზეც თავისას შეგება. ნაძვების სწორი ტანები ამართულან, პატარა მდინარე მიიკლაკნება და სხვადასხვა ხმაზე ელიკლიკება მწვანედ შემოსილ ფერდობებს; სიგრძლე, ტყის სუნი და ხეების ჯარი ერტყმით ირგვლივ.

დეიდა მაკას ფეხი დაუცდა, გადაკოტრიალდა, წელამდე ბალახებში ჩაიმაღა:

– მიშველეთ, წავიქეცი!..

– აი დარდი! – მაშინვე პასუხობს ნათელა და პირველი მიეშურება დასახმარებლად; მივიდა, წამოაყენა.

დეიდა მაკას ფეხი სულ გადატყავებია. ყველანი მასთან შეგროვდნენ. გიგლა ჩექმებს იხდის და დაწყლულებულ ფეხის თითებს შვევით ამოძრავებს.

– შეხედე, რას მიგავს!

– აი დარდი! – აცხადებს ამირანი და ისიც იხდის ჩექმებს; მას უარესად ჰქონია საქმე – ფეხის თითებზე წყალჩამდგარი ბუშტუკები გამსკდარა და გადაღვლილა.

– რაო, ზღვაზე ხომ არ სურთ შენს ფეხებს გამგზავრება? – ეხუმრება ვახტანგი.

ღეიდა მაკას სახელდახელოდ გამოუთაღეს საყრდენად ჯოხი, თავდაპირველად ცოტა წაეხმარნენ და ახლა კოჭლობით, გაჭირვებით მოხანხალბეს. მაღიმაღ ისვენებენ, ხევე ბოლო არ უჩანს...

როგორც იქნა, ოდნავ გაგაკდა, შემდეგ საავტომობილო გზაც გამოჩნდა და ერთი კილომეტრის გაველის შემდეგ ჭაბურღილსაც მიაღწიეს. ერთ დროს მუშებისთვის აქ აშენებულ ფიცრულში ახლა დანჯღრეული საწოლების გარდა სხვა აღარაფერი იყო შერჩენილი, თუმცა ამ გარემოებას მოგზაურნი სრულიად არ შეუწუხებია.

დაეძინათ კალიებისა თუ რაღაც მწერების წინწრისში და ასევე გაეღვიპათ მათ გაუთავებელ ხმიანობაში. დილით გიგლა და ამირანი მათ ჯავრს იყრიან – ხოჭოების კოლექციას აგროვებენ; დრო ამისთვის საკმაოზე მეტიც აქვთ, მანქანა ხომ მხოლოდ ოთხი საათისთვის დაიბარეს. საკვები მცირე შემორჩათ, – მხოლოდ პური და ცოტა შაქარი, – და ადგომისთანავე გამოუყვანეს მათ წირვა.

ბიჭებმა მწერებს კოლოფში კარგა ბლომად მოუყარეს თავი. მათ თავგამოდებას ქალები გულგრილად ადევნებდნენ თვალს და მხოლოდ დროდადრო სიცილით იჭაჭებოდნენ. ამირანმა და გიგლამ ნადირობა მოშორებით ამჯობინეს და არ გამოჩენილან, სანამ მანქანის პიპინმა არ მოუხმთ. აბა, უნდა გენახათ, როგორი ბლლარძუნი გამართეს იმედომ და ბიჭებმა! კოტრილობდნენ ბალახზე, ერთიმეორეს აგორავებდნენ... ქალებიც კი რილით უახლოვდებიან იმედოს ხელის ჩამოსართმევად – მას ჩვევად აქვს მისაღმებისას მხარში ხელის წაკერა ან წაჯიკავება კიდევ შემხვედრისა.

სამწუხაროდ, იმედოს დაეიწყებია სურსათის წამოდება, კიდევ კარგი, ბორჯომის ბაზარი მხოლოდ ერთი საათის სავალში იყო...

წადვერში კი ელოდათ მთელი საწყობი კონსერვებისა, კომპოტებისა და იმედოს სახელგანთქმული მურაბაც.

იმ საღამოს, რაღა თქმა უნდა, ჩაი შინდის მურაბით მიირთვეს და პირველად მოხდა, რომ უკურკო მურაბის შესახებ იმედოს არავინ გახუმრებია.

კარი X. ამირანის დღიურიდან

დილით მხოლოდ ბატონი გიორგი დგება ჩვეულებისამებრ ადრიანად, ექვს საათზე; დანარჩენები სულ სხვადასხვა დროს წამოიზღაზნებიან და მაშინვე მიუჯდებიან ბატონ გიორგის მიერ გაშლილ სუფრას. გიგლა და ამირანი ყველაზე გვიან არიან სუფრის სტუმრები – თითქმის დღის თერთმეტ საათზე; შემდეგ ისევ ლოგინებს უბრუნდებიან – ახლა საწოლებში სამოთხეში გრძნობენ თავს, ლომისთავზე გატარებული ღამე რომ აგონდებათ. მთელ ტანზე კუნთები სტკივან, განსაკუთრებით – ფეხებისა.

შუადღის შემდეგ ღეიდა მაკა და მანანა გრანდიოზული სადილის კეთებას შეუდგნენ, კაცებმა კი, ნათელას შვილების – ლევანისა და ზურიკოს ჩათვლით, მდინარეს მიაკითხეს. გუჯარეთისწყალში ანუ თორისწყალში ჭყუმპალაობამ დიდი შვება მოჰგვარათ.

* * *

ამირანის დღიურიდან.

16 აგვისტო. დღეს ვმუშაობდით გუჯარეთისწყლის ხეობაში. ცოტა წვიმდა. საავტომობილო გზას მივუყვებით ფეხით. ხეობის მეორე ფერდზე ბორჯომ-ბაკურიანის ვიწროლიანდაგიანი რკინიგზის ხაზი გადის. პატარა ვაგონებიდან ხალხი იჭყიტება, ბავშვები ხელს გვიქნევენ, გვიყვირიან; ჩვენც ვესალმებით. შუადღეზე ერთი საათი დავისვენეთ. ხეობის მოსახვევში წყაროს პირას ვისაუზმეთ; პომიდორიანი ერბო-კვერცხი ცივი იყო, მაინც მომეწონა. კოლო-ქინქლის ლაშქარი დაგვესია, წელზევით გაშიშვლებულებმა ისევ ჩავიცვით ხალათები. წყაროსთან უზარმაზარი მორი აგლია. რამდენჯერმე მოვიდნენ შეშის მაძიებლები ხერხებით, ცულებით, სოლებით, წაიმუშავებდნენ ნახევარ საათს, ხეს ვერაფერს დააკლებდნენ და დაანებებდნენ თავს; ცოტა ხანში სხვა ხერხიან-ცულებანი გამოჩნდებოდნენ ბედის საცდელად და ისინიც მალე იღებდნენ ხელს თავიანთ განზრახვაზე. ჩვენ ვუყურებდით მათ უშედეგო ქიჩმაჩს და სიცილით ვიჭაჭებოდით, მთელი დღე მხიარულად გავატარეთ.

საღამოს კინო “ლონდრე” მომეწონა.

17 აგვისტო. მაკა ღეიდა მანქანით წავიდა ბორჯომს, შვილი მოენატრა. დანარჩენები ვიყავით მზეთამზის ციხის სანახავად. ბატონი გიორგი ამბობს, მას უზნარიანის ციხე ჰქვიაო. ციხე წადვერის განაპირასაა, ციცაბოზეა ამართული. ნათელა, მანანა და გიგლა გზით წავიდნენ, მე და ბატონმა გიორგიმ ჯერ მუხავე წყალი დავლიეთ, შემდეგ კი ტყის ბილიკით გავემართეთ ციხისკენ. ბილიკი გუჯა-

რეთისწყლის მარცხენა ნაპირს მიუყვება. გრილად ვიარეთ, დანარჩენები უკვე ციხეზე ასულნი დაგვხვდნენ. ვიძრომიალეთ ნანგრევებზე. აქ სამი ზოლია ერთიმეორეზე მაღლა, ალაგ-ალაგ მოსწორებული ადგილებია მშვენიერი მოლით. ყვავილების დიდი თაიგული შეგვკარით. შინ დაბინდებისას დაგბრუნდით.

ღეიდა მაკასა და იმედოს მიერ ბორჯომში ნაყიდი საზამთროები უგემური გამოდგა.

18 აგვისტო. დილიდანვე წვიმს. მაინც წავედით სოფელ ხცისში, ხაშურის რაიონში. იქ არ წვიმდა. სისაურის ტყესთან გადავედით მტკვრის მარცხენა ნაპირზე; იქაა სოფელი ხცისი, რომელსაც ჩამოუდის პატარა მდინარე ხციურა. ვმუშაობდით მის პატარა ხეობაში. ხევი მწვანით არის დაბურული, მზიან დღესაც ალბათ ეგრილება. მოღრუბლულია, წვიმას აპირებს. დაგლიეთ გოგირდოვანი წყალი.

19 აგვისტო. ვიყავით სოფელ დვირში, სადაც ბურღვის ბაზაში ვნახეთ ქვაბისხევის ჭაბურღილის კერნები. კერნები იგივე ქანებია, რომლებიც ბურღვის დროს ჭაბურღილის სიღრმიდან ამოაქეთ. საშინლად ცხელოდა. მე და გიგლა კერნიან მძიმე ყუთებს ვაწყობდით. ტანზე გავიხადეთ და მზეზე გაეშავდით. ძალიან დავიღალეთ.

20 აგვისტო. მე და გიგლა მდინარეზე მაგრად გავირუჯეთ. დავისვენეთ, მარშრუტზე არ წაგვიყვანეს. ღეიდა მაკას ფეხი სტეკია, ისიც შინ დარჩა. უკვე დაბნეულა კიდეც, ჩვენები კი არ დაბრუნებულან. ხვალ თემის ხეობაში უნდა გავემგზავროთ.

კარი XI. წალვერი – თეძამი

მანქანას წალვერიდან ბორჯომამდე ჩასასვლელად ოციოდე წუთი ჰყოფნის. ამჯერად გეოლოგიური პარტია სრული შემადგენლობით მიემგზავრება მარშრუტზე. გზა საკმაოდ შორი აქვთ: მდინარე თეძამის ხეობას უნდა ესტუმრონ. შემდეგ წელს გეოლოგიური პარტია თრიალეთის ცენტრალური და აღმოსავლეთ ნაწილის ხეობებში იმუშავენ და ერთი-ორი ჭრილი ახლა უნდათ წინდაწინ ნახონ მომავალი სამუშაოების რაიონში.

ცხელი დღეა. დილაადრიან ვერ მოხერხდა გამგზავრება სიგრილეში და ახლა იმედოს თავი თითქმის სულ გარეთ აქვს გამოჩრილი კაბინის ფანჯრიდან. ღეიდა მაკა ალბათ უარეს დღეშია, გახურებულ კაბინაში იმედოს გვერდით ზის.

ტენტგადახდილ ძარაზე კი ქარი ქრის, სიცხე არ იგრძნობა. ხაშური, გორი... მანქანის მონოტონურ ყანყალში კილომეტრი კილომეტრს მისდევს, მბზინავ ასფალტზე შიშინით მისრიალებს საბურავები. შიდა ქართლის მღოგვისფერი ვაკე, შემოსაზღვრული რუხი გორაკებით... იგოეთთან ასეთი გორაკების ერთ წყებას მდინარე ლეხურა ჰკვეთს. მანქანამ მთავარი გზიდან გადაუხვია, ამ ხეობას ქვევით დაუყვა კასპისკენ. კასპის შემდეგ დიდხანს მოჩანს ცემენტის ქარხნის მაღალი, თეთრად მბოლავი მილები; მანქანა კი უკვე მეტეხთანაა. მტკვრის მარჯვენა, მაღალ ნაპირზე მოჩანს დიდი სოფელი, სახლების გროვიდან ამაყად აზიდულა ტაძრის გუმბათი.

– ამ ტაძრის ეზოში და თვით ტაძარშიც გადაიღეს კინოფილმ “ლონდრეს” ბევრი ეპიზოდი, – ამბობს ბატონი გიორგი.

ბიჭებს ჰგონიათ, ბატონმა გიორგიმ ამ ქვეყანაზე ყველაფერი იცის, ამასთანავე დაუზარელად ჰყვება, თუკი ვინმე დაინტერესდება.

ხიდი მღვრიე მტკვარზე, შემდეგ – მეტეხის ვიწრო ქუჩები. მეტეხს ზევით მეორე დიდი სოფელია – ახალქალაქი, თითქმის შეზრდია მეტეხს. ახალქალაქში მხარმარჯნივ უხვევს მანქანა შუკაში, შემდეგ გასცდა სოფელს – თემის ნაპირზე გავიდნენ. მდინარეს ფართო, ქვიშითა და სილით ავისილი კალაპორტი გაუკეთებია; ახლა წყალმცირე ჩანს, მანქანა თავისუფლად მიდგაფუნობს მასში. გზა მიიკლაკნება ქვიშნარ-როჭკანარში, მაღიმაღ კვეთს მდინარეს; შეიძლება კი ამას გზა ეწოდოს?

ჯანჯღარს არ უჩანს ბოლო – თემის ხეობას მიუყვებიან აღმა; მოძრაობენ არა უმეტეს ოთხი-ხუთი კილომეტრის სიჩქარისა საათში, ფეხით მოსიარულე უფრო სწრაფად ივლის. ხეობა თანდათან ვიწროვდება, ფერდობები ციცაბო ხდება, აქა-იქ ქარაფებიც წამომართნენ – ალბური ასაკის ვულკანოგენური წარმოშობის ქანები. აგერ მარჯვენა, მაღალი ფრიალოს თავზე ჯავახასი ციხე მოჩანს. ბატონი გიორგი ჰყვება, რომ თემის ხეობაში წინათ საუკუნეების განმავლობაში გადიოდა მნიშვნელოვანი სავაჭრო და სტრატეგიული გზა და ამ ხეობის მფლობელი ერისთავი, ცოტა არ იყოს, ზვიადობდა. ხეობის გასამაგრებლად აშენებულია რამდენიმე ციხე-სიმაგრე; ჯავახასი, რკონის, კლდეკარის. წინათ ამ ხეობაში ცხოვრება დულდა და გადმოდულდა, შემდგომში კი – მინეღდა. სულ ცოტა ხნის წინათ კი აქაური სოფლებიდან ხალხი გადაუყვანიათ, ქართლის ვაკეზე და სხვა დაბლობ ადგილებში დაუსახლებიათ.

აი, ერთ-ერთი ნასოფლარი – რკონი; მას თავს დაჰყურებს მაღალ კლდეზე გადმომდგარი რკონის ციხე. აქ მანქანამ მთავარი ხეობიდან ხელმარცხნივ გაუხვია – მდინარე სამოჭალოსწყლის ხეობაში.

კიდევ ორი-სამი კილომეტრიც და ვიწრო ხეობის შედარებით გაფართოებულ ნაწილში ბუჩქნარით ალაგ-ალაგ დაფარულ მწვანე მინდორზე ჩერდება მანქანა. იქვე ახლოს წყაროც აღმოჩნდა და აი, უკვე ისმის ნაჯახის კაკუნი, ჭურჭლის წკრიალი, ხმამაღალი ლაპარაკი...

ბატონი გიორგი და ვახტანგი ხვალინდელი სამუშაოების ადგილის დასაზვერად გაეშურნენ, დანარჩენები კი ბანაკში აფუსფუსდნენ: გიგლა და ამირანი ბარგი-ბარხანისგან სცლიან მანქანას, იმედოს წყალი მოაქვს ვედროთი, მაკა დეიდა, ნათელა და მანანა სადილის, უფრო ალბათ – ვახშმის, სამზადისში არიან... შემდეგ მამაკაცები კარავს შლიან ქალთათვის, თავიანთთვის კი გასაშლელ საველე საწოლებს პირდაპირ ბუჩქების გვერდით დგამენ. ეს ბუჩქები ძილის წინ გარდერობის მაგიერობას სწევენ: მათზეა გადაფენილ-გადაკიდებული პირსახოცები, წინდები, ფეხსაცმელები, ხალათები, შარავლები...

საღამოს ათ საათზე ყველანი საძილე ტომრებში ძვრებიან. ბნელა, სიწყნარეა, ბუნებაც ისვენებს. შავ ფონზე ციციანთელები წამით ნაპერწკალივით გაიფლავებენ. ისმის ჭოტების ურთიერთგადაძახილი, მიღველფილი კოცონი აღარ შიშინებს და ტკაცუნობს. ქალთა საუბარიც მინელდა. მამაკაცები დიდხანს შესცქერიან განსაკუთრებულად შექიანი ვარსკვლავებით მოხატულ ცას, მერე მდინარის ლიკლიკ-დუღუნში ძილის საუფლოს ესტუმრებიან.

* * *

ბატონი გიორგი და ვახტანგი შეშლილებივით წამოვარდნენ ზეზე, თან საძილე ტომრები ჰბორკავდათ.

– მგლები, მგლები! – გაჰყვიროდნენ გიგლა და ამირანი.

იმედო კაბინის კარს უბრახუნებდა მუშტს და ჯოჯოხეთურ ხმაურს ღრიალსაც უმატებდა.

მხოლოდ კარვიდან არ ისმოდა ბაიბური.

ცოტა ხანში იმედომ ჩაფერფლილ კოცონს ბენზინი გადაასხა; ალმა იფეთქა.

ჩაუცმელი მამაკაცები ცეცხლის გარშემო იდგნენ და საუბრობდნენ. კარვიდან მხოლოდ ჩუმი ფრუტუნის და ხითხითი ისმოდა.

და ბიჭები მიხვდნენ: ისინი დეიდა მაკამ “გაჰყიდა”. არ უნდა გაენდოთ მისთვის ინსცენირების საიდუმლო... მაგრამ ბატონი გიორგი და ვახტანგი ხომ მაინც წამოახტუნეს...

კარი XII. მოგწონს?

დილის რვა საათია. გეოლოგიური პარტია, იმედოს გარდა, უკვე ნასოფლარ სამოჭალოშია. იქ, გორაკზე, ხატის სერზე, ნახევრად დანგრეული, უბრალო ფორმების ნასაყდრალია. იქვე ახლოს მესაქონლეობის ფერმაა. მწყემსებმა მათ ყველი აჩუქეს.

მაღლე ზურგნანთაში ყველთან ერთად სულ უფრო მეტი ნიმუშიც გროვდება. სამოჭალოსხევში ორი გეოლოგიური ჭრული უნდა გაკეთდეს. მუშაობა კარგად არის აწყობილი და საღამოსპირს მთელი გეგმა შესრულებულია. კაცები წველზევით გაშიშვლებულნი დადიოდნენ მთელი დღე – ცხელ მზეზე დაიხრუკნენ.

საღამოს ხუთი საათია. სასიამოვნოა მდინარე თეძამში ბანაობა. იმედოს მანქანა კარგ ადგილას გაუჩერებია – ნასოფლარ რკონში, მდინარის მარცხენა ნაპირზე, უზარმაზარი კაკლის ქვეშ. აქ საბანაოდ მოხერხებული ადგილია. მარჯვენა ნაპირის კლდოვან ფერდობზე და შვერილებზე ამაყად წამომართული ერისთავთა რკონის ციხე-სიმაგრე დაჰყურებთ.

– მე თქვენ სიურპრიზი მოგიმზადეთ, – ამბობს ბატონი გიორგი. – აბა, ვის სურს წამოსვლა?

– მე დაფრჩები, – მაშინვე გამოაცხადა მანანამ, – ვიცი, რამე ეკლესია ან მონასტერი იქნება.

– დიახ, მერედა, არ გაინტერესებს რკონის სამონასტრო კომპლექსის ნახვა? – გაუკვირდა ბატონ გიორგის. – როგორც გენებოს... ვინ მოდის?

დეიდა მაკას ფეხის ტკივილი ჯერ კიდევ აწუხებდა, მაგრამ არ მოისურვა დარჩენა; იმედო მთელი დღე კაკლის ჩრდილში კოტრიალობდა და, რასაკვირველია, პატარა გასეირნება თეძმის ხეობაში საკმაოდ მიმზიდველი მოეჩვენა.

ვახტანგი მაშინვე ტანთ ჩაცმას შეუდგა, ამირანიც აპირებდა ნაპირზე გასვლას, მაგრამ შეატყო, რომ გიგლას ბანაობის შეწყვეტა არ სურდა და შეყოყმანდა.

ბატონი გიორგი კვლავ შეეხმიანა მათ.

– ჩვენ არ მოვდივართ, ვბანაობთ! – გასძახა ამირანმა და მხარულით მოუსვა.

– აი დარდი! – გაეპასუხა იმედო.

საუბრე გზას გაუყვნენ ბატონი გიორგი, ვახტანგი, დეიდა მაკა, იმედო და ნათელა.

ბიჭებს თავთხელ წყალში ჭყუმპალაობა მალე მობეზრდათ, თან აგრილდა კიდეც. ცოტა ხანს მოლზე იკოტრიალეს, შემდეგ კი მათ მანანამ დაუძახა და ყველანი ვახშმის სამზადისს შეუდგნენ. რატომღაც სურსათი შემოაკლდათ, განსაკუთრებით – პური არ ეყოთ და ამიტომ კარტოფილიც მოხარშეს.

როცა საექსკურსიოდ წასულნი დაბრუნდნენ, სუფრა უკვე გაშლილი დახვდათ.

უმაღლობას, როგორც ყოველთვის, არავინ უჩიოდა. ნათელა იღუპებოდა, თან მანანას ესაუბრებოდა; სხვებიც ლაპარაკის ხასიათზე იყვნენ – ეტყობა, ნახულმა მათზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა.

– ბიჭებო, თქვენ რომ უნახავი დაგჩათ მონასტერი? – ჰკითხა დეიდა მაკამ. – ვინ იცის, მოგიწევთ კიდევ როდისმე ამ ხეობაში ამოსვლა და ასეთი სიამოვნება კი მოიკელით... ფეხმა ცოტა შემაწუსა, მაგრამ დიდად კმაყოფილი დავრჩი.

– აი დარდი! – თქვა გიგლამ.

ახლა ბატონმა გიორგიმაც უსაყვედურა ბიჭებს:

– წასვლა-წამოსვლა, გავლა-გამოვლა არ უნდა შეგეზაროთ... რაც მეტს ნახავთ, მოისმენთ, ადამიანებთან ცხოველი ურთიერთობა გექნებათ, მით მეტს შეიძენთ ინტელექტუალურად. წიგნებით ბეგრის გაგება, შეცნობა შეიძლება, კითხვა მეტად მნიშვნელოვანი წყაროა; თქვენ, ვიცი, ასე თუ ისე გიყვართ წიგნი, მაგრამ ძალიან ბევრიც რომ გაიგო წიგნებიდან, მაინც საკუთრივ ნახულს სხვა ფასი აქვს. ჩემი მეგობრის შვილის შესახებ გიამბობთ... მამამისი გეოლოგია, საკმაოდ ცნობილი და დაფასებული, წიგნების დიდი მოყვარული – უზარმაზარი ბიბლიოთეკა აქვს, შეილსაც შეაყვარა კითხვა. ეზოში ბაგაშვებთან მოთამაშეს ვერ ნახავდით, მთელი დღეები შინ იჯდა და წიგნებში იქექებოდა. წარმოიდგინეთ, სხვადასხვა ენციკლოპედიებიც კი გადაკითხული ჰქონდა. როცა ეს ბიჭი წამოიზარდა, მეტად უშნო რამ დადგა: მსუქანი, მოუქნელი, დათვივით დაბაჯბაჯებდა. უშუალო ცხოვრებაზე მეტად ბუნდოვანი წარმოდგენა ჰქონდა. მაგალითად, ერთხელ თურმე სოფელში იყო და მსხლის ქვეშ იჯდა, მისი ნაყოფის ჭამით კინაღამ გასკდა, მაგრამ როცა ჰკითხეს, რა ხეა ესო, გაჭირვებით, გონების დაძაბვით უპასუხა: რა ვიცი, განა კაკალი არ არისო... ანეკდოტს ჰგავს სწორედ.

ამირანსა და გიგლას რა ეთქმოდათ, ჩუმად ისხდნენ.

– მაინც რა ნახეთ ისეთი განსაკუთრებული? – იკითხა მანანამ.

– რკონის დიდი სამონასტრო კომპლექსი არ გაგიგონია? – კითხვითვე უპასუხა ბატონმა გიორგიმ.

– შორსაა? – დაინტერესდა გიგლა.

– ძალიან ახლოსაა, კილომეტრნახევარი თუ იქნება; გზა სულ ტყე-ტყე მიდის, – თქვა ნათელამ.

– იქ მრავალი ნახევრად დანგრეული ნაგებობაა, დიდებული ტაძარი... ფრესკები...

– სამნავიანი ბაზილიკაა, – განაგრძო ნათელას სიტყვები ბატონმა გიორგიმ, – შემკულია ქვის ნატიფი ჩუქურთმებით. ჩრდილოეთ მინაშენში შემორჩენილია ფრესკების ნარჩენები: ქრისტეს განბანა, ქტიტორის – აღმშენებლის – გამოსახულება ტაძრის მოდელით ხელში... მთელი კომპლექსი ნაგებობებისა ზედ მდინარის პირსაა, მეორე ნაპირზე, მთის კლდოვან შევირღზე, სალოცავი არის აშენებული. იქვე, თემის დინების საწინააღმდეგო მხარეს, ცოტა ზევით, შესანიშნავი ერთთაღიანი ქვით ნაგები ხილია გადებული – ამ ხეობაში ხომ უძველესი სავაჭრო-საქარავნო გზა გადიოდა თრი-ალეთიდან შიდა ქართლისკენ. აბა, ბიჭებო, თუ იცით, კიდევ სად არის საქართველოში შუასაუკუნებრივი ხიდეები შემორჩენილი? არ იცით?... ერთი მაინც?... მე რამდენიმე მინახავს. სოხუმთან ახლოს, მდინარე ბესლეთზე არის შესანიშნავი ხიდი ქართული წარწერით, მდინარე კინტრიშზე, ქობულეთის რაიონში; ზემო აჭარაშიც არის – მდინარე აჭარისწყალზე.

– დაღლილი რომ არ ვყოფილიყავი... – ნანობს მანანა.

– ხვალ სხვა რამეს ნახავთ – იკვის საყდარს. პატარა, კოხტა ეკლესიაა, შესანიშნავი ფრესკებითაა შემკული, – გულს უკეთებს ბატონი გიორგი. – ახლა კი დროულად დავიძინოთ, ხვალ სისხამ დილით უნდა წამოვხტეთ, დიდი ჭრილი გვაქვს გასაკეთებელი და საღამომდე უნდა მოვასწროთ დასრულება. გიგლა, ამირან, მანანა – როგორც ჩვენზე დასვენებულებმა, აალავთ ყველაფერი... კოცონს წყალი დაასხით, გარშემო ტყეა. უკვე ბნელა, კარვის გაშლას დიდხანს მოვუნდებით და ქალებმა მანქანის ძარაში დაიძინეთ – სწორედ სამი საწოლი ეტევა. აბა. დროზე, დროზე!..

კოცონს დააზვინეს ზევიდან ხმელი ტოტები – აღმა ცას უწია. ფუსფუსით შეუდგნენ ძილისთვის მზადებას. ნახევარ საათში საძილე ტომრებში იყვნენ გამოკვართულნი და უსმენდნენ თემის ხმაურიან რბოლას. მხოლოდ მანანა და ამირანი განაგრძობდნენ საქმიანობას – მდინარის პირას ჩაიტანეს ჭურჭელი და სილით კარგად გახეხეს.

უკუნი ღამეა, ბებერი მთვარე აგვიანებს ამოსვლას. მანანა და ამირანი ახლა კოცონთან სხედან და უცქერიან, როგორ იღველფება ნაკვერჩხლები.

- ამირან, რაზე გაჩუმებულხარ, ლექსი ხომ არ ჩაიფიქრე? – ეკითხება მანანა.
- რა დროს ლექსია, მეძინება...
- აი დარდი! არა, სწორედ ლექსის გუნებაზე მოვედი, აბა, მისმინე... მანანა ხმადაბლა კითხულობს ლექსს, რათა მძინარენი არ შეაწუხოს.
- მოგწონს?
- რა უჭირს... – დიპლომატიურად პასუხობს ამირანი. – შენია?
- ჰო, ერთ დროს ვჯახირობდი... ეს ლექსი განსაკუთრებით მომწონდა. მისმინე...
- ამ ლექსს კიდევ რამდენიმე მოჰყვა. მანანას მონოტონური დუდუნე თველემას ჰგვრიდა ამირანს; იფიქრა, მანანა ახლაც ჩუმ-ჩუმად უხდიდა ხარკს ყმაწვილობის დროინდელ გატაცებას... ამირანს თვალები მისდა უნებურად ეხუჭებოდა, ლექსებს კი, როგორც ჩანდა, ბოლო არ ექნებოდა...
- მოდი, ახლა მე წავიკითხავ ერთ ლექსს!.. – შეჰბედა ბოლოს მანანას და დაიწყო:
 “ახლა, როცა ამ სტრიქონს ვწერ,
 შუაღამე იწვის, დნება,
 სიო, სარკმლით მონაქროლი,
 ველთა ზღაპარს მეუბნება...”
- ამირანი ნელა კითხულობდა, გრძნობას თითქმის არც კი ურევდა ხმაში, ალბათ არც იყო ეს საჭირო – სიტყვები თავისთავად ამბობდნენ სათქმელს.
- როცა ლექსის კითხვა დაასრულა, მღუშარებამ ცოტა ხანს არც ერთი არღვევდა, ბოლოს, ამირანი ამოიღო ხმა:
- ახლა შენ წაიკითხე...
- არა, არა, უკვე გვიანია, – აწრიალდა მანანა, – სხვა დროს...

კარი XIII. თითო-თითო კარტოფილი

ბატონმა გიორგიმ, როგორც ყოველთვის, კარგა ხნით დაასწრო ადგომა მზის სხივებს. საკვირველი ის იყო, რომ ამჯერად მასზე ადრე ამდგარიყვნენ ამირანი და გიგლა – საწოლები უკვე მიეტრევიდნათ. “ალბათ მდინარეს მიაშურეს საბანაოდ, – იფიქრა ბატონმა გიორგიმ, – ან კოცონისთვის ფინის აგროვებენ”.

გეოლოგთა ბანაკი აჟრიაშულდა, მალე ჩაიდანაც ამღერდა კოცონზე, ბიჭები კი არ ჩანდნენ. ცოტა არ იყო, ყველას შიში შეეპარა გულში. ქალები უკვე ხმამაღლა გამოთქვამდნენ წუხილს; ბატონი გიორგი ამშვიდებდა მათ, თუმცა თვითონაც შეფიქრიანდა.

უკვე ჭურჭელი დარეცხეს და ააღაგეს, მანქანაზეც ააბარგეს ყველაფერი, ამირანი და გიგლა კი ცამ ჩაყლაპა თუ მიწამ – ვერ გაიგეს. იმედო მაღიმაღ ახმინებდა მანქანის საყვირს, ქალებმა ხომ ხმა ჩაიხლიჩეს ყვირილით. ბოლოს, ბატონი გიორგი, ვახტანგი და იმედო სხვადასხვა მიმართულებით დაიძრნენ დაკარგულთა საქებნელად.

დრო კი მიდიოდა, მზე განუხრელად მიიწვედა მაღლა-მაღლა. მწყემსებმა ჩამოიარეს სამი ცხენით, არავინ შეგვხვედრიათ, თქვეს, თითო პაპიროსი მოსწიეს და დაუყვნენ გზას ქვევით.

ცოტა ხანში გიგლა და ამირანიც მოვიდნენ; კი შეატყვეს დახვედრილით, რომ კარგა გვარიანად ააფორიაქეს ისინი, მაგრამ ამას ისინი მაინცდამაინც არ შეუწუხებია. მათთვის საგანგებოდ ცეცხლზე დატოვებული ჩაიდანის ისევ შიშინებდა; ბიჭები უზრუნველად შეუდგნენ დილის ტრადიციული ჩაის სმას. თან ჰყვებოდნენ, თუ რა ნახეს რკონის ძველისძველ ტაძარში, შემდეგ როგორ იბანაგეს თეძამში... საყვედური ბიჭებისთვის არავის უთქვამს, ყველანი ბატონ გიორგის დაბრუნებას ელოდნენ. ჯერ იმედო მოვიდა, თავისებურად თითო მუჯღუგუნი უთავაზა ორივეს და “სად დაიკარგენით, პატრონმაძლებო”, მხოლოდ ეს თქვა; მას ვახტანგი მოჰყვა, უხმოდ დაჯდა ქვაზე, ბატონი გიორგი კი იგვიანებდა.

ბიჭებმა იგრძნეს, რომ საქმე ვერ იყო კარგად და ლაპარაკს მოუკლეს. ჩააღაგეს თავთავიანთ ზურგჩანთებში სანიმუშე ტოპრაკები და ნაკოცონარის გარშემო დადებულ ქვებზე ჩამოსხდნენ.

როგორც იქნა, ბატონი გიორგიც გამოჩნდა, ცალ ხელში გეოლოგიური ჩაქუჩი ეჭირა, მეორეში – რამდენიმე ნიმუში. ფეხზე წამომხტარ ბიჭებს ერთი შეხედა, შემდეგ მოტანილ ნიმუშებზე დაიწყო საუბარი.

- აბა, წავედით! – თქვა ბატონმა გიორგიმ და პირველი აბობლდა მანქანის ძარაში.

მანქანა დაუყვა გზას თემის დინების მიმართულებით და სულ მალე შეჩერდა მის მარჯვენა შენაკად შავწყალასთან – ამ მდინარის ხეობაში უნდა იმუშაონ დღეს.

ყველანი წასასვლელად მოემზადნენ, ბიჭებმა ზურგჩანთები მოიკიდეს – სამანქანო გზა შავწყალას ხეობაში არ იყო.

ბატონმა გიორგიმ ბიჭებს მიმართა:

– იცოდეთ, გიგლა და ამირან! თქვენ გეოლოგიურ პარტიაში იმყოფებით სამუშაოდ!.. ხაზს ვუსვამ – სამუშაოდ! მაგრამ გასართობადაც რომ იყოთ წამოსულნი, ანარქიას მაინც არ დაუშვებ! აქ კოლექტივია და მისმა თითოეულმა წევრმა კეთილ ინებოს და დაიცვას დისციპლინა, ყველასთვის სავალდებულო წესები...

– ჩვენ რკონის მონასტრის ნახვა გვინდოდა... – წამოიკნავლა გიგლამ, მაგრამ ბატონმა გიორგიმ მაშინვე შეაწყვეტინა:

– ყველაფერს თავისი დრო აქვს! თქვენს თავნებობას ის მოჰყვება, რომ დღეს თაკარა მზეში მოგვიწევს მუშაობა – აქამდე ჭრილის საგრძნობი ნაწილი უკვე აღებული უნდა გექონდეს... ვეჭვობ, რომ დღეს მოვასწროთ მისი დასრულება, ასე რომ, ერთი დღე ზედმეტად უნდა დაგრჩეთ აქ.

– პური რომ აღარ გვაქვს? კარტოფილიც გვითავადება... – თქვა მაკა დეილამ.

– ესეც ჩვენი გმირების წყალობაა! – განაგრძო ბატონმა გიორგიმ. – გამომგზავრების წინა დღეს საგანგებოდ დაგტოვე ისინი მორიგეებად: თან დაისვენებდნენ ახალგაზრდები, თან ყველაფერს მოამზადებდნენ მეორე დღისთვის-მეთქი... დილით, მარშრუტზე გამგზავრების წინ, ყველაფერი გამზადებულია: მაგიდაზე საუზმეა გაწყობილი, ქაღალდებიანი და ტოპრაკებიანი ზურგჩანთები იქვე დევს, წასადები საუზმეც ჩაწყობილია, ამირანსა და გიგლას კი სძინავთ... ვინ იზრუნა? ქალბატონმა მაკამ. საღამოს იგივე ამბავია, ბიჭები მთელი დღე მდინარეზე ერთობოდნენ, მათი საძილე ტომრებიც კი მზეზე ქალბატონმა მაკამ გაფინა. მათ კი არც ბაზარი გახსენებიათ, არც – პურის ყიდვა, არც – სადილის მომზადება... ნიმუშების გადახვევითაც კი არ შეიწუხეს თავი. კარგი მორიგეები იყავით, ხომ? მართალი გითხრათ, თემის ხეობაში თქვენი წამოყვანა არ მინდოდა, მერე გადავიფიქრე – შემეცოდეთ... როგორც ჩანს, შევცდი.

ბიჭები მღუშარედ უსმენდნენ.

მზე უკვე საკმაოდ აცხუნებს. მიდიან მდინარე შავწყალის კალაპოტში. მდინარე წყალთხელია, სულს დაფავს თეთრად თვალისმომჭრელად გაფიცხებულ ქვიშნარ-როჭკანრში...

უხმოდ მიაბიჯებენ. მდინარის რიყე ძალიან დავიწროვდა, რამდენიმე მეტრის სიმაღლის ციცაბო ნაპირებს შორის მოექცა. ხევი მკვეთრ მიხვევ-მოხვევებს აკეთებს, აქა-იქ კლდოვან გამონაშვებებზე ბუჩქნარი და ბალახები მიყუჟულან.

შემდეგ ხეობა ოდნავ ფართოვდება და ხელმარცხნივ გამოჩნდა დამრეცი ბუჩქნარიანი კალთა, რომელზეც მკვეთრად გამოინაკვთა მომცრო, წითელი კრამიტით გადახურული კოხტა ეკლესია – იკვის საყდარი.

ბატონი გიორგი ხეობაში გზას განაგრძობს – ახლა იკვის მონახულებისთვის დრო არ ჰყოფნით. ცარცული ასაკის ნალექებში შევიდნენ – ღია ფერის მძლავრი კირქვოვანი ქანები ჩაუჭრია შავწყალას – ხეობის ციცაბო ფერდები ზოგან ბუჩქნართაა დაფარული, აქა-იქ კი კირქვის თითქმის შეგული, თეთრად მოქათქათე კედლებია.

ისევ მზის გავარგარებული თვალი დასცქერით, ისევ მოლიკლიკე მდინარის ლოდნართა და თეთრი ქვებით ამოვსებულ კალაპოტში იკვლევენ გზას.

ხეობა თანდათან იმდენად დავიწროვდა, რომ მის ძირზე მხოლოდ პაწაწკინტელა მდინარე მიიკლანება. დიდხანს მიუყვებიან ზევით შავწყალას; მისი ერთი კირქვოვანი ნაპირი თითქმის შეგულია, მეორე ნაპირი კი წარმოადგენს ციცაბო სიბრტყეს, რომელზეც ფეხს ძლივს იკიდებს კაცი – ეს გახლავთ ქანთა დაშრეების სიბრტყე.

აღმა ხომ დიდხანს მიდიოდნენ, კიდევ უფრო გაჭიანურდა უკან დაბრუნება. ნიმუშებს ბლომად იღებდნენ და გიგლასა და ამირანს ერთხელ მოუხდათ ნიმუშებით სავსე ზურგჩანთებით მანქანასთან დაბრუნება და იქ გადმოცლა, შემდეგ ისევ მომუშავე გეოლოგებს შეუერთდნენ.

მთელი დღე დაძაბულად შრომობდნენ; ჩვეულებრივ სიტყვაწყლიანი ბატონი გიორგი მხოლოდ ძუნწად ჰკარნახობდა ჩასაწერს მანანას, უფრო მეტად კი – მოამტვრევდა ხოლმე ქანის ნიმუშს, აკვირდებოდა, ან ვახტანგთან ერთად ზომავდა დასტების სიმძლავრეებსა და ქანთა წოლის ელემენტებს.

თუმცა ძალიან ჩქარობდნენ, მზის ჩასვლამდე ჭრილის დასრულება ვერ მოასწრეს. გამართლდა ბატონ გიორგის სიტყვები – ადრე დილით უნდა დაეწყოთ საქმე. ამჯერად ზურგჩანთები ყველას ნიმუშებით ჰქონდა გამოტენილი და არა მხოლოდ გიგლასა და ამირანს. ვახტანგმა ჩამორჩენილ დეილა მაკას ჩამოართვა მისი ზურგჩანთა.

უკვე მანქანა გამოჩნდა, როცა წინ წასული გიგლა და ამირანი შეჩერდნენ, ზურგჩანთები მიწაზე დადეს და სული მოითქვეს. საშინლად შიოდან, თან ძალიან დაიდალნენ.

უცებ იმედო დადგათ თავს. ალბათ შავწყალას ხეობაში დაშლივინობდა – ბიჭებს უწვდის ხელისგულებით თხილს, ასკილს, კვრინჩხს, კუნელის ნაყოფებს.

– რაღაც ვერ ხართ ხასიათზე, მაგრად დაიდალეთ? – ამბობს იმედო და პაპიროსს აბოლებს.

– გეთრია შენც მშიერ კუჭზე ტყვისასვით მიმე ზურგჩანთები – ბურტყუნებს გიგლა. – ერთი მეც მომაწვეინე...

– შენ იცი, მაკა დეიდამ როგორ გამჯღორა, ნუ აძლევ ჩუმ-ჩუმად პაპიროსსო? – იმედომ მიხედ-
მოიხედა, შემდეგ ერთი ღერი გაუწოდა გიგლას და ასანთს გაჰკრა: – კარგი, ეს უკანასკნელი იყოს,
პაპიროსიც მითავდება.

– გიგლა, შეეშვი, რად გინდა ახლა ცარიელ კუჭზე... – ეუბნება ბალახზე წამოწოლილი ამირა-
ნი.

– ბოლოა, მეტს აღარ მოეწევ, მორჩა!

– რამდენჯერ თქვი, ბოლოაო...

– გიორგიმ რომ დაგინახოს... – შეფიქრებდა იმედო, – ყვირილს კი არ დამიწყებს, მაგრამ მისი
წყნარი საყვედური უარესია, ხომ იცი. ერთხელ მეც გემოზე გამჯღორა. შარშან ფშავის არაგვის ხეო-
ბაში ვიყავით, იქ მომიწია ბენზინის მათხოვრობა. უკან წამოსვლისას შუაგზაზე ბენზინი გამოგვე-
ლია, იგრე დავედქით, როგორც ჯორი. იქ მანქანა ძვირად დადის, თან მოსალამოვდა. ორმა-სამმა
მანქანამ ჩაგვიარა, შენც არ მომიკვდე, ვინ მოგცემს ბენზინს მივარდნილ ხეობაში... ახი კი იყო ჩემ-
ზე – გზაში რამდენჯერაც ბენზინის ჩამოსასხმელს ჩაგუარეთ, გიორგიმ იმდენჯერ მითხრა, ბიჭო,
ბენზინი ხომ სამყოფად გვაქვსო; კი-მეთქი, რა ვიცოდი, თუ სულ აღმართები იქნებოდა...

– მერე? – ჰკითხა ამირანმა.

– რა მერე? ჩამოგხრიგინდით ფასანაურამდე, როგორც იქნა; ერთმა ღვთისნიერმა შოფერმა გვიხ-
სნა – უკვე დაღამებული იყო და შევეცოდეთ. მას მერე გაჩერებულს თუ ვნახავ მანქანას, შოფერს
აუცილებლად ხელს გაეუმართავ, რითაც შემიძლია. სადმე თუ მივდივარ, თუნდაც ახლოს იყოს,
პირთამდე ვავსებ ორივე ავზს. ეგ როგორ დაგემართათ, რო სამი პურის მეტი არ წამოგიღიათ?

– საჭმელი აღარაფერი დაგვრჩა? – ნერწყვი გადაყლაპა გიგლამ.

– ათიოდე კარტოფილი იყო დარჩენილი, ის მოვხარშე... აბა, წამოხტით, თორე კიდევ მოგხვდე-
ბათ. – იმედომ ერთი ზურგჩანთა ზურგზე მოიგდო და მიიმედა, ხრამხარშით დაუყვა თეთრი როჭ-
კნარით ავსებულ მდინარის კალაპოტს. მეორე ზურგჩანთას აქეთ-იქიდან საზურგე ქამრებში ჩააფ-
ლეს ხელები ამირანმა და გიგლამ და სიბნელეში მანქანასთან აბრიალებული კოცონისკენ აიღეს
გეზი.

ვახშმად თითო-თითო კარტოფილი შეხვდათ, თუმცა ვახშამიც ეგ იყო მათთვის და სადილიც.
ბიჭებმა თავიანთ სიცოცხლეში პირველად დალიეს ჩაი კარტოფილით.

ლაპარაკის თავი ვისღა ჰქონდა, დალილებმა საძილე ტომრებს მიაშურეს.

მთვარე ისევ ვახშმობდა, ვარსკვლავებით მოჩითული ცა გადმომხობოდა ბნელ ხეობას, ღრმა გა-
რინდებასა და მღუმარებას ბუნებისა ხაზს კიდევ უფრო უსვამდა დაუცხრომელი თემის ჩხრიალი.

ერთხელ კი გაიჭრიალა საველე საწოლმა – იმედო გამოძვრა საძილე ტომრიდან და მდინარეს
მიაშურა – უხარმაზარი თევზების ამოსაყვანად, რომლებიც ალბათ უკვე კარგა ხანია, მოთმინებით
ელოდნენ, მის მიერ ჩაგდებულ ანკესებს წამოგებულნი.

კარი XIV. დღეობა

ჩვეულებამ თავისი გაიტანა – დალილობის მიუხედავად დილით საკმაოდ ადრე გავეღვიძათ.

საუზმის გაწყობას დიდი დრო არ დასჭირდა: წყალი აადუღეს ჩაიდნით და ეს იყო სულ. მხო-
ლოდ შაქარი დარჩათ – ერთ კილოგრამამდე, სხვა არაფერი ებადათ. ძალაუნებურად ჩაის სმით გა-
იჭყიპნენ; სვამდნენ ჩუმად და გულმოდგინედ.

– იმედოს კურკიანი მურაბა რად გვიღირს ახლა! – თქვა ბატონმა გიორგიმ, როცა მესამე ჭიქა
ჩაის გამოცლას შეუდგა. ყველამ გაკვირვებით შეხედა – აქამდე მხოლოდ იგი არ იღებდა მონაწი-
ლეობას დილა-საღამოს იმედოს მურაბის მიმართ ენაკვიმატობაში.

იმედოს კურკიანი მურაბის ხსენებამ გახსნა ხუმრობების “სეზონი”. თემები გასტრონომიის სფე-
როს არ სცილდებოდა. ჯერ ყველამ მოიგონა თავისი საყვარელი კერძები, შემდეგ შეადგინეს განრი-
გი: რა თანმიმდევრობით უნდა შეეწირონ იქ მყოფნი გეოლოგიური პარტიის დანარჩენი წევრების სი-
ცოცხლესა და კეთილდღეობას... საყოველთაო აზრით, პირველად მაკა დეიდა უნდა შეეჭამათ, რო-
გორც ყველაზე მსუქანი; შემდგომ აზრები გაიყო: ერთი ნაწილი ნათელას კანდიდატურას უჭერდა
მხარს, მეორე კი – მანანასი.

ამ ლაზღანდარობაში ვახტანგი ფეხზე წამოხტა:

– დღეს ჩემი დაბადების დღეა! როგორ დამავიწყდა!

და დაიძრა ნაკადი სადღეგრძელოებისა... ჩაით!

გუშინდელს შემდეგ გიგლა და ამირანი ცოტა შებორკილად გრძნობდნენ თავს, მაგრამ ნელ-ნე-
ლა ისინიც გახალისდნენ და ამირანმა სადღეგრძელოების კონკურსში პირველი პრიზიც კი დაიმსა-
ხურა – მისი საყვარელი კერძი – საცივი!

– მიდი, მანანო, ინდაურის საცივი მიაწოდე! – გაჰკრა მხარი მანანას გვერდით მჯდომმა იმედომ; მანანამაც მხარი აუბა:

– არ გცოდნია, გენაცვალე, ზაფხულში საცივს რა უნდა, ეს ინდაური ბაჟეთია გაკეთებული!

– აი დარდი!

ლხინმა ფრთები ლაღად გაშალა.

– არა, მხარი შენ მიირთვი, მე ბარკალი მომაწოდე!

– ინდაურის ბარკალს ვერ მოერევი, ჭირიმე, მეც მიწილადე!

– მოწყალეო ბატონო, მწყურის ტაბაკას ხომ არ ინებებთ?

– უღრმესი მადლობა, თუ არ შეწუხდებით, თქვენო ბრწყინვალეებო, ბარემ ტყემლის საწებელაც მომაწოდეთ!

– ამ შებრაწულ გოჭს ძალიან მეტიწრულად აუპრებია კუდი და, თუ ძმა ხარ, კარგს იზამ, თუ...

ვახტანგის ამ ფრაზას არ ეწერა დასრულება, რადგან ბატონმა გიორგიმ შეაწყვეტინა:

– აბა, დროზე მოვრჩეთ, ადექით, მეტისმეტი გაძღომა მაგნებელია! ჯერ საქმეს მივხედოთ და მერე ერთ ფრიად სასიამოვნო სიურპრიზს გაირდებით – ვახტანგის დაბადების დღეს ლხინით ღირსეულად აღვნიშნავთ!

ლხინს ვინ ჩიოდა, ჩაით გაჭყეპილ მშვიერ კუჭს გამხმარი პურის ნატეხიც ენატრებოდა. განწყობილება მაინც საკვირველად გამოკეთდა, ხალისიანად გაეშურნენ გუშინდელი ჭრილის დასასრულებლად. ბატონმა გიორგიმ მოკლე გზით გადაიყვანა პარტიის წევრები: ხეობას გვერდი აუარეს – დაბალი ტყით და ბუჩქნარით შემოსილი პატარა სერი გადაიარეს, რითაც თავიდან აიცილეს შავწყალას რიყნარ-ლოდნარში მიხვეულ-მოხვეული გზით სიარული; თან სერიდან საუცხოო ხედიც გადაიშალა მათ თვალწინ – ზედ გადაადგნენ ქვევით მწვანე ბუჩქნარში მოთეთრო-მოყვითალოდ ამოზიდულ იკვის საყდარს: ჯვრის ფორმის მკლავებიდან ამოზრდილია გუმბათის მალაღი ყელი; უფრო ქვევით კი შავწყალას ცისფერი ზოლი მიიკლანება თეთრ ქვიშნარში. ზევით ხეობა ვიწროვდება და მკვეთრი მოხვევის შემდეგ თვალთაგან იფარება...

მოკლეზე უბილიკოდ დაეშენენ – პირდაპირ საყდრისკენ.

იკვის მოცულობით პატარა, მაგრამ ფორმებით მეტად ნატიფ ეკლესიას გარშემო ქვით აგებული მცირე გალავანი არტყია. წითელი კრამიტის სახურავზე აქა-იქ ბალახ-ბუჯლახს მოუკიდებია ფეხი, ზოგი ჰყვავის კიდევ. საყდრის შიგნით გრილა, ბატონ გიორგის ბანი ბუბუნებს – იგი ჰყვება ფრესკათა ფერებზე, რომლებითაც კედლებია დაფარული (წმიდა გიორგის ცხოვრების სცენები), საყდრისთვის იდეალურად ამორჩეულ ადგილმდებარეობაზე, გუმბათის ყელის და ფანჯრების ჩუქურთმათა განსაცვიფრებელ სილამაზეზე – ყველაფერი როგორ ზედმიწევნით კარგად არის გააზრებული და მიგნებული, დახვეწილი და სრულყოფილებამდე მიყვანილი XI საუკუნეში აგებულ ამ ხუროთმოძღვრულ შედევრში...

გარეთ გამოსვლისას კი უმზერდნენ არანაკლებ მიმზიდველ სურათს: ხეობას აგებს ცხელი მზის კაშკაში, შავწყალას ხმაური, მწერთა გაწამაწია...

საყდრიდან მდინარისკენ ჩადის ნაურმალი; გალავნიდან დაახლოებით 30 მეტრის დაშორებით მრგვალი ფორმის ორმოს დაუღია ხახა, 3-4 მეტრის დიამეტრისა იქნება; ახლა თუ სიღრმე რამდენიმე მეტრი აქვს, წინათ ალბათ ბევრად ღრმა იქნებოდა. კედლებზე შერჩენია რამდენიმე ქვა, რომლებითაც თავის დროზე ამოყვანილი იქნებოდა მისი კედლები. რას ინახავდნენ შიგ? და რამდენი ორმოა კიდევ – მიწით ამოვსებული და ამჟამად ჩვენს თვალთაგან დაფარული? ღმერთმა უწყის... ყოველ შემთხვევაში, ახლა დისკუსიის დრო არ აქვთ, ეშურებიან გეოლოგიური ჭრილის დროულად დასამთავრებლად.

საქმე ხალისიანად მიიწევს წინ; შიმშილის მიუხედავად, ჩინებულ გუნებაზე არიან ყველანი და დღის თორმეტი საათისთვის დაამთავრეს საქმე და აი, უკვე მანქანისკენ მიეშურებიან. ზურგჩანთებით დამძიმებულებს, სერზე გადაფოფების თავი არ აქვთ და ისევ შავწყალას რიყნარს მიუყვებიან. ჩაუარეს იკვის საყდარს, უკანასკნელად შეავლეს მზერა...

უზარმაზარი, შავწყალას რიყნარის შიგ შუაგულში ამოსული ბებერი ტირიფის ჩრდილში დასხდნენ სულის მოსათქმელად. ტირიფი სამი მეტრის დიამეტრის მაინც იქნება, ამაყად გაუშლია ტოტები. ვინ იცის, რამდენი ღვარცოფისთვის გაუძლია და რამდენი წყალდიდობა გადაუტანია; რამდენი რამ უნახავს ამ ხეობაში, ვის არ გაუგვია აქ – მტერსაც და მოყვარესაც; მრავალს დაუტოვებია თავისი ფეხის ანაბეჭდი მდინარის ქვიშაზე... მათი ყოველგვარი კვალი გადასულა, გამქრალა, მხოლოდ იკვის მშენებლების ნახელავმა გაუძლო საუკუნეებს...

აგერ ქვიდან ქვაზე ხტუნვით მოდის გაღიმებული იმედო, მისალმების ნიშნად ხელებს იქნევს. დასწვდა ამირანის ზურგჩანთას, ზურგზე მოიგდო და მსუბუქად გაეშურა უკანვე თავკეც.

სხვებსაც ეჩქარებათ; ამირანი და გიგლა მეორე ზურგჩანთას ჰკიდებენ ხელს – ამჯერად ნიმუშები გუშინდელზე ნაკლები აიღეს და დანარჩენები მსუბუქად მოდიან.

მაღე მანქანაც გამოჩნდა.

მანქანა მოუთმენლობისგან ძიგძიგებს; როგორც კი ვახტანგმა უკანასკნელმა ჩააგდო გეოლოგიური ჩაქუჩი ძარაში და თვითონაც დანარჩენებს შეუერთდა, იმედომ დაძრა მანქანა ადგილიდან.

მშვიდობით, რკონო, იკვო, შავწყალაგ, სამოჭალოსხეეო! ბევრი იწვალეს აქ, ბევრი კარგიც ნახეს. რაც მთავარია, საბოლოოდ დიდი კმაყოფილების გრძნობა იპყრობთ – დასახული გეგმა წარმატებით შეასრულეს!

ხეობის დაღმართში მანქანა უფრო ხალისიანად მიჯაყვავებს, დროდადრო გაიდგაფუნებს თეძამში. უკანა გზა ბევრად მოკლე ეჩვენებათ – უფრო ჩქარა მიდიან. აჰა, ჯავახას ციხეც გამოჩნდა ხელმარცხნივ, ალბური ასაკის მუქ ვულკანოგენურ ქარაფებზე არწივივით წამოფოფრილი – მალე სოფელ ახალქალაქსაც მიაღწევენ... იქ იყიდიან სოფლურ სურნელოვან პურს, პომიდორს, კიტრს, ყველს... მოკლედ, რაც კი მოეწონებათ და მოესურვილებათ ბაზარში და...

ასფლტიან გზაზე გავიდნენ. ბატონი გიორგი კაბინის სახურავს ორჯერ უკაკუნებს – იმედოს პირობითი ნიშნით ატყობინებს, რომ მანქანამ მარჯვნივ უნდა გაუხვიოს – სოფელ გარიყულასკენ და არა მარცხნივ – მეტეხისკენ... რატომ? ბაზარში ხომ არ აპირებენ გავლას? მაგრამ დღეს საბაზრო დღე რომ არ არის? და არც ბაზარია ამ მხარეს...

მალე ყველაფერი ცხადი გახდა.

ბატონმა გიორგიმ კაბინის სახურავზე სამჯერ დააკაკუნა – იმედოს ანიშნა, გაჩერდით. უკვე გარიყულაში იყვნენ, რომელიც სოფელ ახალქალაქს უწყვეტლივ აგრძელებს სამხრეთით.

ყველანი მანქანიდან ჩამოხტნენ და შვებით გაშალეს ფეხი.

აქ სასადილო აღმოჩნდა – ერთსართულიანი, საკმაოდ ძველი, შეუხედავი შენობა. შესასვლელთან კედელზე დიდი ასოებით ეწერა: “ბაზილიკა”; იქვე ნიკო ფიროსმანაშვილის ცნობილი სურათი-ნატურმორტი იყო გადმოღებული: ტიკი, ბოთლები, ჭიქები, შემწვარი ვარია, თევზი, მწვადები, ლავაშები და ქვევით ეწერა უფრო წვრილად: “გაუმარჯოს პურმარილიან კაცსა!”

მშვირიც რომ არ ყოფილიყავი, ნერწყვი მოგადგებოდა პირზე!

ვიწრო ოთახში შესულებს დახუთული მხურვალეობა შეეგებათ.

– აბა, შენი ჭირიმე, დამშეული ხალხი მოგიყვანე! – გასძახა ბატონმა გიორგიმ სარკმლიდან მზარეულს, შემდეგ შემოსულებს მიუბრუნდა: – არ გაგიკვირდეთ, ამ გამჭვარტლულ სადგომში რომ მოგიყვანეთ... “ლონდრეს” როცა იღებდნენ მეტეხში, ეროსი მანჯგალაძე, რამაზ ჩხიკვაძე, გივი ბერიკაშვილი და სხვები თითქმის ყოველ საღამოს ამოდიოდნენ აქ. ის ნიკოს ნატურმორტიც ფილმის მხატვრის ქრისტესია ლებანიძის ნახელავი იქნება...

დაფაცურდა ოფიციალტი ქალი.

სწრაფად გაიწყო სუფრა...

მაგრამ სანამ კერძებს მოიტანდნენ, მაგიდაზე დადგმული თევზებიდან პური უცებ შემოეჭამათ.

– მოდით, ამ პირველი სასმისით ჩვენი იუბილარი ვადღეგრძელოთ!..

მერე კი, გიყვარდეს, შიშინებდა მწვადი, თევზეულს ენაცვლებოდა ხბოს ხაშლამა, დაბრაწული ვარიების ძელებს გაჰქონდა ენაწაკნუწი, იცლებოდა ბოთლები და გადასარეგ “ატენურს” ტკბილი ჟრუანტელი გაჰქონდა ძარღვებში...

ნაქებმა “ატენურმა” ქალებიც კი მოატყუა, მხოლოდ იმედო დაუდგა კაჟივით – ორ ჭიქაზე მეტი აღარ დალია.

გზა შინისკენ მშვიდობიანად, სულ სიმღერ-სიცილით გალიეს.

წაღვერს უკვე სიბნელეში მიაღწიეს.

ეზოში გამოეგებათ ნათელას მეუღლე ჯოტო – ლევანიკოთი და ზურიკოთი.

ძმები მაშინვე დედას ეცნენ და მოხარხარე ნათელა კინადამ წააქციეს:

– მამიკო ჩამოვიდა, მამიკო ჩამოვიდა! დიდი საზამთრო ჩამოგვიტანა!

– აი დარდი! – კისკისებდა ნათელა.

მალალი, გიგლასა და ამირანზეც უმადლესი, ჯოტო კი სათითაოდ ხელს ართმევდა მობრძანებულთ, თან გაკვირვებით ამბობდა:

– ეს რა სამუშაო გაქვთ ისეთი, რომ სიხარულით ფეხზე ვერა დგახართ... აფსუს, არ მერჩია, ჩემს ინჟინრობას, გეოლოგი გამოვსულიყავი?!

კარი XV. ტაბაწყური-რველი-კორტანეთი-ზანავი

ამირანის დღიურიდან.

25 აგვისტო. დღეს ვისვენებთ. დილის საუზმის შემდეგ მდინარეს მივაშურეთ საბანაოდ. შემდეგ ბატონმა გიორგიმ შემოგეთავაზა ტაბაწყურის ტბის მონახულება.

მშვენიერი მზიანი დღეა. ჩვენი მანქანა ძრავის ღრიალით მიბობდავს აღმართში. საექსკურსიოდ მეზობლები, წაღვერელი დამსვენებლები მოგვემატნენ; ოცამდე ადამიანი ვყანყალბებთ ძარაში.

ბაკურიანს ზევით უმეტესად ფოთლოვანი ტყეა. ტყის საზღვარზე გაჟერდით ცოტა ხანს, მერე უკვე მწვანე საძოვრებია, ალაგ-ალაგ გათიბული. ცხრაწყაროს უღელტეხილზე მზე თვალისმომჭრელად ანათებს, ქვევით, შორს, გაშლილ ხეობაში დიდი სოფლის – ციხისჯვრის – სახლები, ქუჩები მშვენიერად მოჩანს. ხეებმა და ქედებმა თითქმის უწყვეტლივ ფარავს წიწვოვანი ტყის მუქი ხალიჩა; შორს ცოტა ბუნდოვნად ისახება ქედები, რომელთა ზოგი მწვერვალი ალპურ სარტყელსაც აღწევს. ერთ-ერთ მათგანს მე და გიგლა ხელს ვუქნევთ – ლომისმთას ვესალმებით.

ავტვერით ცხრაწყაროს უღელტეხილზე. საკმაოდ ძლიერი და გრილი ქარი უბერავს. გადასასვლელს იქით ჯავახეთის ზეგანია – ტრამაღისფერი, უტყეო. ღრუბლებში მიმალულა აბულისა და სამსარის მწვერვალები, უფრო ქვევით მოჩანს მათი რუხი კალთები, დაფარული მოწითალო ლავეური ნაკადებით. სულ ქვევით კი კარტოფილის ნათესების მწვანე კვადრატებია, ნაცრისფერი და მოყვითალო ველები.

ცხრაწყაროს უღელტეხილის მარჯვნივ კოსმოსური ლაბორატორიის კორპუსებია, – ასე ამბობს ბატონი გიორგი. აქ ვუხვევთ მარცხნივ – ტაბაწყურის გზაზე, მარჯვნივ კი ახალქალაქისკენ ეშვება გზა (ჯავახეთის ახალქალაქია).

მივრჩინობთ დაღმართში, ცივი ქარი გვეგებება, მანქანა მტვრის კორიანტელს აყენებს. მთელი გზა მტვრის ბუღში მივდივართ. გზა მდინარის ნაპირს მიუყვება – ამ მდინარის ნარიანი რქმეგია. ვხედავთ ცხვრის ფარებს, მოღარაჯე ნაგაზებს, გრძელჯოხიან მეცხვარეებს.

ტაბაწყური მოხრდილი ტბა ყოფილა. შორს მოჩანს მწვერვალი თავკვეთილა, რომლის ამოფრქვევამაც ერთ დროს გადაკეტა თურმე ხეობა და რაც გახდა ტაბაწყურის გაჩენის მიზეზი.

აქ სოფელია. ტბაში შეჭრილ ნახევარკუნძულის მომადლებულ ცენტრალურ ნაწილში ძველი საკულტო ნაგებობის – ეკლესიის – დაზიანებული შენობაა. იგი რუს-მოყავისფრო თლილი კედლებით აღმართულია გარშემო შემოჯარულ სახლებს შორის. ბატონ გიორგის თქმით, მას წითელი საყდარი ეწოდება.

ტბის ლურჯ ზედაპირზე ქარისგან თეთრად იქოჩრება ტალღები. ტბის მეორე ნაპირზე აზიდულა აბულ-სამსარის უტყეო ქედი. არც სოფელში არის ხეები.

ნაპირზე გამოტანილ კატარდას რუსულად აწერია “არარატ” – აქ სომხები სახლობენ. იმედი გაგვიცრუეს – თევზი არ გვაქვსო. ნაპირზე ბადეები შრება, სოფლურ ყაიდაზე ჩაცმული ხალხი ირევა.

გავედით სოფლის გარეთ. ტბის ნაპირზე ჭანჭყობში ავტომანქანა “უაზი” გაჩხერილა. თბილისელი ექსკურსანტები იქვე დაბორილობენ. ჩვენმა მანქანამ ვერ შეძლო მათი მანქანის ამოთრევა, მერე ტრაქტორი მოიყვანეს სოფლიდან.

ამასობაში მოგვშივდა და სუფრაც გაიშალა. ბანაობაზე არც გვიფიქრია, ძალიან ციოდა.

უკანა გზობაზე ისევ მტვერი ვყვალავთ ფუთობით. წადვერში ჩამოსულები მეწისქვილეებს დავემგებანეთ.

ამ დღეს გუჯარეთისწყალს მეორედ ვეწვიეთ საბანაოდ.

26 აგვისტო. მთელი დღე ვმუშაობთ რკინიგზის ხაზის გასწვრივ. იმდენი მწიფე მაცვავია, რომ ხელები და ტუჩები გამიშავდა. რკინიგზის მარჯვნივ შუა ეოცენის ასაკის ვულკანოგენური ქანების გაშიშვლებებია (ასე ჩამაწერინა დეიდა მაკამ), რომლებიც ციცაბოდ ეშვებიან და მათზე აფორთხება ზოგჯერ შეუძლებელიცაა. მარცხნივ მტკვარი მოღელავს. როცა მოსახვევიდან მოულოდნელად მატარებელი გამოჩნდება, პანტაპუნტით გადავცვივდებით ხოლმე რკინიგზის ხაზიდან.

აქ, მტკვრის მარჯვენა ნაპირზე, გადმოვედით დაკიდებული – “კონწიალა” – ხიდით სოფელ ბეშეთთან. მშვენიერი პატარა სოფელია, სულ 18 კომლი სახლობს. ამ სოფელში გემრიელ წყაროსთან ვისაუზმეთ.

შუადღეზე მამაკაცებმა მტკვარზე ვიბანავეთ. რამდენჯერმე გადავცურე და გადმოვცურე მტკვარი.

სადამოს სოფელ კორტანეთთან გადმოვედით მდინარის მარცხენა ნაპირზე ისევ კონწიალა, მაგრამ ამჯერად ბევრად გრძელი და განიერი ხიდით; იქ უკვე იმედო გვიცდიდა მანქანით.

27 აგვისტო. წინა დღის რველი-კორტანეთის ჭრილს ვაგრძელებთ სოფელ ზანავთან. ციცაბო, რუხ ფერდობზე უნდა ავბობდეთ. საკმაოდ მაღალია, ალაგ-ალაგ დაფარულია ჯავარცხილის, კუნფლის, ასკილის, შინდისა და სხვათა ბუჩქნარით. რაზეც კი ხელი მიგვიწვდებოდა, ვებლაუჭებოდით და მივპერებოდით მაღლა-მაღლა. დროდადრო მუხლს ვასვენებდით მცირე მუხების ჩრდილში. შინდი თითქოს უკვე შემოსულია, შეფერილია, მაგრამ გემო ჯერ მწკლარტე აქვს; მაინც სიამოვნებით ვისველებთ პირს ამ ცხელ, დახუთულ დღეს.

ღრუბლები კარგა ბლომადაა, მზე ხან გამოჩნდება, ხან ისევ იმალება. მისი გამოჩენისას თითქოს თონეში ვხვდებით – ფერდი სამხრეთით არის მიმართული. პატარა ნიაგი მაინც იყოს, რომ აღმართით აალებულ სახეებს ცოტა შვება მიეცეს. ნეტავ სამუშაოს დამთავრებამდე არ გაწვიმდეს –

ყველა ამაზე ლოცულობს. მე და გიგლა წელზევით გაგმიშვლდით. ნიმუშებს იქვე, ადების ადგილას ვტოვებთ, უკან ჩამოსვლისას წამოვიღებთ ზურგჩანთით.

მივფორთხავთ ფერდობის ღარზე, აქ უკეთესი გაშიშვლებაა ქანებისა, მაგრამ ბურქნარი ხელის მოსაკიდებლად არაა.

როგორც იქნა, ავადწიეთ წყალგამყოფის ქარაფებამდე და გადმოვხედეთ ქვეყანას. დროდადრო წინათაც შევავლებდით თვალს ქვევით გაწოლილ ხეობას, ახლა კი განსაკუთრებით კარგად “დაიხატა” მტკვრის დაკლაკნილი ზოლი, მის მარცხენა ნაპირზე – ავტოზის ასფალტი, მარჯვენაზე – რკინიგზის ხაზი და მისი მოხვევა – რკალი სოფელ კორტანეთთან, კორტანეთის, ზანაგის, ბეშეთის სახლთა სახურავები; ყველაფერს თითქოს თვითმფრინავიდან დავეყურებთ. მარჯვნივ და მარცხნივ ხეობის კიდებზე და მადლა, გრეხილებზე, ნაძვანარის მუქი ხავერდია, ალაგ-ალაგ ფოთლოვანი ტყის ღია მწვანე ლაქებით და ნახნავთა მუქი ოთხკუთხედებით. უფრო შორს მოჩანს ბორჯომის შუშისა და ჩამომსხმელი ქარხნების თეთრად მბოლავი მილები.

დიდხანს ვუყურებთ ბაღებისა და ბაღჩების ლაქებს, გზაზე მანქანების ქროლვას, აქედან რომ დოღვად ჩანს; დროდადრო მატარებლის კივილი და ბორბლების რაკარუკიც აღწევს ჩვენამდე.

შუადღეზე დავიწყეთ ფსოკილით ქვევით დაშვება. მტკვრი დგება, ფეხები მიცურავს, ზურგჩანთა წონასწორობას გვაკარგვინებს. სულ ქვევით მანანა დაეცა, მას მეც მივეყვი. სამაგიეროდ, შემდეგ იყო შეება: სწორზე გასვლისას ჯერ მავალიანს მივაშურეთ, შემდეგ კი შინიდან წამოღებული პური, ყველი და პომიდორი მივირთვიეთ.

სწორედ ამ დროს ჩვენი მანქანაც გამოჩნდა. იმედო და დეიდა მაკა ხაშურის ბაზარს ესტუმრნენ და, სხვათა შორის, საზამთროებიც ეყიდათ! საზამთროებს არა უშავდა, ამ სიცხეში სწორედ ცხონება იყო.

წასვლამდე მტკვარშიც ვიბანავით.

სალამოს წაღვერში წვიმამ დასცხო, სეტყვაც გამოურია, ხომეკალი გაავორა. კინოში მაინც წავიდით.

28 აგვისტო. დილას მოწვიმა, მალე გადაიღო. მაინც ცას შევცქერით ყველანი – ღირს სამუშაოდ წასვლა თუ არა? ბოლოს, გადავწყვიტეთ ბორჯომს გამგზავრება სურსათ-სანოვარის შესაძენად. ბორჯომში წვიმის ერთი წვეთიც არ დაცემულა. ბაზარი მოვიარეთ – ბევრი ვერაფერი შვილია. აღრიანად გამოვბრუნდით უკან და ბატონმა გიორგიმ განიზრახა ჯოჯოხეთისხევის მონახულება, სადაც გეგმით დღეს უნდა გვემუშავა; აინტერესებს, როგორი იერი აქვს ამჟამად, ხვალ რა პირობებში მოგვიწევს მუშაობა.

ჯოჯოხეთისხევი თურმე თვით ქალაქ ბორჯომის ფარგლებში უერთდება მტკვარს. ადვილად მივაგენით – მანქანა დაგვტოვებდა და განაპირა სახლებს გავცდით თუ არა, პირდაპირ ხევში შევრგეთ თავი. სახლების ნაწილი თვით ხევში, ნაყარზე აუშენებიათ, ახლაც რამდენიმე ახალ სახლს აგებენ. ბატონ გიორგის უკვირს, ნუთუ ჯოჯოხეთისხევის თითქმის შუაგულში დასახლებულთ არ ეშინიათ, რომ ეს ხევი ძველ დროებს გაიხსენებს და თავის სახელს გაამართლებს? ხომ შეუძლია, ეს ძველი და ახალი სახლები თავის ბაღჩა-ბაღებიანად აბობოქრებულმა დვარცოფმა ზურგზე წამოიკიდოს და მტკვარში გადაუძახოს? იმიტომ დაურქმევიათ ალბათ ეს უცნაური სახელი, რომ კატასტროფული დვარცოფები სცოდნია: ძლიერი წვიმების დროს ქანთა ნაშალი მასალა, თიხა და წყალი, ერთმანეთში ახელილი, ტალახის ნიაღვრად მოედინება და თავის გზაზე წალეკს ყველაფერს – ხეებს, სახლებს, უზარმაზარ ღორებს...

საკმაოდ შორს შეგვეგრეთ ლოდნარით ამოვსებულ ღრმა ხევში.

უკან დაბრუნებისას ერთი ფიჭვის ძირას მოვიკალათეთ და ვიპურმარილეთ. ამ დროს ხევში ოთხმა ბიჭმა გამოიარა. ცხელი, დახუთული დღე იყო და ბატონმა გიორგიმ მათ სთხოვა დასალევი წყალი მოეტანათ. ყველაზე უფროსი დაუზარელად გაეშურა თავქვე და მალე პირმომტვრეული გრაფინით წყალი და ჭიქა მოარბენინა. ბატონმა გიორგიმ ჰკითხა ბიჭებს, რა გვარები ხართო. სამი მათგანი აკოფოვები გამოდგნენ: ძმები – თამაზი და ჯემალი – და მათი ბიძა ლავრენტი (რომელმაც წყალი მოგვიტანა), – ყველანი ასაკით შვიდიდან თერთმეტ წლამდე; მეოთხე ბიჭი, კაკო გაბლოვი, ოსი იყო, აკოფოვები კი – ქართველები; ჩვენმა პაპის პაპამაც არ იცოდა სომხურიო.

ბიჭები წავიდნენ, ჩვენ კი დავრჩით, ჩრდილში ვისვენებდით. ცოტა ხანში ბიჭებმა სადღაც ზევიდან, ტყიდან დაგვიძახეს – მინდორზე ხომ არ წამოხვალთო. მე წამოვხტი და ბატონ გიორგის ნებართვა ვთხოვე, ჩემთან ერთად ციცაბო ფერდობზე შერეულ ტყეში დაკიდებულ ბილიკს დაადგა ვახტანგიც. დეიდა მაკამ და ბატონმა გიორგიმ ხის ქვეშ დასვენება არჩიეს (პარტის დანარჩენი წევრები წაღვერში დარჩნენ, იმედოს კი ალბათ მანქანის კაბინაში სძინავდა).

ჯოჯოხეთისხევის მარცხენა ფერდს მივდევთ, უმეტესად წიწვოვანით არის შემოსილი. ზევით და ზევით ტყე ხშირდება, მუქდება, ჯაგრცხილის, კუნელის, ასკილის, შინდის ქვეტყე თითქმის სულ ქრება. ჩამოცვენილი წიწვის ხავერდის მსგავს რბილ ხალიჩაზე ფეხი ვერც კი გრძნობს მიწას. წინ ბიჭები გარბიან; სხვათა შორის, მათი მეტსახელებია: ლავრენტის – პელე, ჯემალის – პეპუა, თამა-

ზის – ქორბუდა და კაკოსი – წიკა. სულ მაღლა-მაღლა მივიღვართ. აქედან ხელისგულივით მოჩანს მტკვრის ხეობა ბარე ათი კილომეტრის სიგრძეზე. ტალახისფერი, ამღვრეული მტკვარი (ამას წინათ წვიმები იყო) ბორჯომს შუაზე ჰყოფს – მაკეტივით დაპატარავებული მოჩანს აქედან ქალაქის სახლები, ქუჩები, რკინიგზის ხაზი. მტკვარს მხოლოდ ჩქერებზე შეიძლება შეატყო მდინარება, სხვაგან – დამდგარი გეგონება. გაღმა ჩანს მუქი წიწვნარით დაფარული პლატო, გუჯარეთისწყლის შესართავი მტკვართან, მწვანე მთები, მთები, მთები... მარჯვნივ – ჯოჯოხეთისხევი, სიდანაც ახლა ამოვფოფხდით. ზევით იგი ღრმა ღარად გადაქცეულია, სანახევროდ გაშლილ წიგნს ჰგავს. მის ფრიალო, მოყვითალო-თეთრ კედლებზე მცენარეულობა სრულებით არაა, მხოლოდ ზოგან, გამონაშეგერებზე, ეული წერწეცა ნაძვი ან ფიჭვი მოკალათებულია.

გავედით მოვაკებულზე, შემდეგ ის მინდორიც გამოჩნდა, ბიჭები რომ გვეპატიუებოდნენ. აქ უტყეო უნაგირია. აქედან ბორჯომის ხეობის მეორე ბოლო ჩანს – თვით ტაშისკარამდე: ყვობისი, გაშლაჯვარი, მათათა მწვანე კალთებზე ხე-ტყის სათრევი ყვითელი გზები – სათრეველა ღარები. ჩვენს ჩრდილო-დასავლეთით, ქვემოთ, კომბაინი ოქროსფერ ყანას იღებს; უკვე მომიკილზე საქონლის ჯოგი გაშლილა.

დაჭერობანა ვითამაშეთ, მალე დავიღალეთ; ბიჭებმა ერთმანეთში იჭიდავეს. მალე გონს მოვედით და მოვაკურცხლეთ უკან. დაგვიანების საპატიებლად დეიდა მაკას გვირილების დიდი თაიგული მივართვით.

კარი XVI. ჯოჯოხეთისხევი

აჰა, უკანასკნელი საველე დღეც!

დღეს ამირანი და გიგლა თბილისს გაემგზავრებიან, ზეგ ხომ პირველი სექტემბერია, სკოლაში სწავლა იწყება.

ნუთუ ასე ჩქარა მიიღია აგვისტო? ამირანს ისეთი გრძელი მოეჩვენა ეს თვე და რამდენიმე დღის წინათაც კი გიგლასთან ერთად მოუთმენლად ელოდა თვის ბოლოს...

და აი, გამოთხოვების დღეც დადგა... ნუთუ ამ დილით უკანასკნელად მოესმათ ბატონ გიორგის ომახიანი შეძახილი: “აბა, ლომებო, დროზე წამოხტით!.. დროზე, დროზე!” ნუთუ უკანასკნელად ხედავენ, როგორ ენერგიულად ვარჯიშობს აივანზე პერანგის ამარა ბატონი გიორგი, ნუთუ მეტად აღარ შეეხუმრებიან უკურკო მურაბაზე იმედოს, როცა გრძელ მაგიდაზე ყვებლანი დილის ჩაის შემოუსხდებიან... მეტად აღარ მოუწევთ, წელს მაინც, ზურგჩანთების მომზადება მარშრუტზე წასვლის წინ, მერე მიმქროლა მანქანაზე დილის ცივი ნიავისთვის სახის მიშვერა... და, რაც მთავარია, ყოველდღე მრავალ ახალი რამის ნახვა...

მაშ დღეს უკანასკნელად მიდიან მარშრუტზე... რასაკვირველია, შეეძლოთ დარჩენილიყვენ შინ, მაგრამ როცა მთავრდება გიგლასა და ამირანის მოღვაწეობა გეოლოგიურ პარტიაში, ჯოჯოხეთის ხევის დაპყრობა არაჩვეულებრივად მიმზიდველი ეჩვენებათ...

და აი, გეოლოგიური პარტიის წევრები მიბობდავენ შუა ჯოჯოხეთისხევიში, მაღლა და მაღლა. ხეობა სულ უფრო ვიწროვდება, უზარმაზარი ღოდნარით ამოვსებულ კალაპოტში ხეები და ბუჩქები წამოზრდილან.

ამირანი და გიგლა წინ მიმავალ ბატონ გიორგის კვალში მისდევენ. არც ისე ჩქარობენ, მაგრამ ნათელა და მანანა მაინც კაი დიდი მანძილით ჩამოიტოვებს უკან; მათთანგვა ვახტანგიც – პარტიის უფროსთან რაღაც სადაო გეოლოგიურ საკითხზე სწორედ ჯოჯოხეთისხევიში მოუნდა ცხარე კამათი.

ხევის თავზე მოკრიალებული ლურჯი ცა ბრწყინავს.

ზევით და ზევით ხევის ფერდები სულ გაშიშვლდა, – მცენარეულობისგანაც და ნიადაგისგანაც, – თიხებისა და ქვიშაქვების თხელი შრეების ზოლებრივი მორიგეობა ჩაუჭრია ჯოჯოხეთისხევის კედლები ისეთი ციცაბო აქვს და შედარებით ფხვიერი, რომ იქ აფორთხება ყოველად შეუძლებელი ჩანს – ხშირად წყდება გამოფიტული ქვიშაქვების ნამტვრევები და ქვევით მიექანება.

ახლა რომ ხევიში წყალი მიედინებოდეს, ალბათ ჩანჩქერების მთელი წყება იქნებოდა, თუმცაღა ერთ ადგილას ცივი ანკარა წყარო გამოედინება პირდაპირ კედლიდან. ბატონი გიორგი მას იქვე გამოთლილ ღარს უდგამს და დასაკეც ჭიქასაც ავსებს წყლით. სასიამოვნო დასალევი წყალია, ცივი და გემრიელი.

ქალებმა ამ ადგილამდე რის ვაივაგლახით ამოადწიეს; შემდეგ ხევი ისეთი დაკიდებული შეიქნა, რომ კაცებსაც კი გაუჭირდათ ზევით სვლა. თან დიდი სიფრთხილაც იყო საჭირო, რათა საკმაოდ გამოფიტული ქანის ნატეხი არ გამოვშლოდა ფეხიდან და არ დაქანებულიყო ქვევით, მომყოლი კოლეგებისკენ.

მალე ხევი ხევსაც აღარ ჰგავს – ციცაბო ღარია, რომელშიც გაჭირვებით მიძვრებიან მაღლა მამაკაცები. ქალებიდან მათ მხოლოდ ნათელა მისდევს ცოტა ხანს, მაგარამ ისიც მალე კაპიტულაცი-

ას აცხადებს. ამ საშინელი დაკიდებული კედლების მხოლოდ ხილვაც კი შიშის მომგვრელია. ნუთუ კიდევ უფრო ზევით უნდა აპვრენ – იმ სიმაღლეზე?

კაცები მაინც შეუპოვრად განაგრძობენ მაღლა-მაღლა ლტოლვას... და აჰა, მიაღწიეს კიდევ საწადელს – ჯოჯოხეთისხევის დასაწყისს, მის სათავეს მოექცნენ ზევიდან!

ერთგვარად გული უცრუვდებათ: წყალგამყოფის მეორე მხარეს საკმაოდ დამრეცი, ნაძვნარით დაფარული, ბილიკებით დასერილი ფერდობია. ვინ იცის, რას მოელოდნენ, ალბათ გადასახედიდან უნდოდათ ეხილათ ჯოჯოხეთისხევზე კიდევ უფრო საშინელი ხევი... ახლა კი ყველანი წვანან ნაძვნარში ზურმუხტისფერი ხავსის ურბილეს ხალიჩაზე ზედ ჯოჯოხეთისხევის უზარმაზარი ქარაფის პირას და ზევიდან დაჰყურებენ ხევს, მის იქით – მწვანე მტკვრის ზოლს, ბორჯომის ღია ნაცრისფერ სახურავებს... კიდევ უფრო შორს – გუჯარეთისწყლის ხეობას.

ისვენებენ ასე და უკვირთ, როგორ ამოძვრნენ ამ სიმაღლეზე, თან გუნებაში ფიქრობენ: “ვინ იყო ნეტავ ის დალოცვილი, ვინც ამ ხევს ასეთი მოსწრებული სახელი შეარქვა?”

ახლა მთავარია, მშვიდობიანად ქვევით დაბრუნება. ისევ შუა ხევზე უნდა ჩაბობდნენ და არა მოსაგლეელი გზით, რადგან ნიმუშები აქვთ ასადები და ქანთა დასტები გასაზომი. ნაბიჯს ისე ვერ გადადგამენ, რომ რომელიმე ქვა ან მათი მთელი ჯოგი არ დაიძრას ადგილიდან და არ მოჰკურცხლოს ქვევით; ხანდახან ნაშალთან ერთად ჩახოხიალდებიან და ჩექმები ნაყარი მასალით ევსებათ. დროდადრო ნათელასაც უნდა შეეხმიანონ, რათა დაგორებული ქვისგან თავს უშველოს; ამავე დროს გზა-გზა ბიჭებმა ნიმუშებიც უნდა ჩაიწყონ ზურგჩანთაში, რომელთაც მათი აღწერის შემდეგ ყოველ ოთხ-ხუთ მეტრში სთავაზობენ ბატონი გიორგი ან ვახტანგი.

აქ ლაპარაკის გუნებაზე არავინაა, ბატონი გიორგიც კი სიტყვაძუნწობს, ყველანი დაძაბულნი მუშაობენ. კარგა ხანს მოუნდნენ თაკარა მზის ქვეშ იმ ადგილამდე მიღწევას, სადაც კედლიდან წყარო გადმოედინებოდა ღარიდან. იქამდეც ჩაბლოტიანდნენ და ცივი წყლის სმით იჯერეს გული.

ცხელა; დაიძალნენ, მოშივდათ...

– გიგლა, ამირან, დაგავიწყდებათ როდისმე ჯოჯოხეთისხევი? – ღიმილით იკითხა ბატონმა გიორგიმ.

– საკვირველი ადგილია... – უპასუხა გიგლამ. – დღეს ალბათ უკვე თბილისში ვიქნები და ამის წარმოდგენა უცნაურ გრძნობას ბადებს ჩემში – ჯოჯოხეთისხევიდან – თბილისში, ასფალტიან ქუჩებში...

ამირანი კი აბუტბუტდა:

– ხევო ჯოჯოხეთისაო, სტუმარია დვთისაო, ქვები ბევრი დაგვიშინე, ოჰმე, როგორ შეგვაშინე...

თითქოს ამ ირონიულ სიტყვებს ჯოჯოხეთისხევი პასუხს სცემსო, ხევის ზევიდან დაბალი დრუბლები გადმობობდნენ შავად და უცებ კოკისპირულმა წვიმამ დასცხო. სანამ აწრიალებულნი რამეს მოისაზრებდნენ, ან სად ან როგორ უნდა შეეფარებინათ თავი, თავსხმა შეწყდა და მზემ ისევ ააბრიალა მცხუნვარე თვალი.

რადღა უნდა ექნათ, გაწუწულებმა გადაწყვიტეს, კუჭისთვის მაინც ეცათ პატივი. შუა საქმეში რომ იყვნენ, ისევ გამოჩნდა ხევის თავზე დასაგლეეთით შავად მომავალი დრუბლები და ისევ დაუშვა უჩვეულოდ მსხვილწვეთებიანმა და ხშირმა წვიმამ. ყველაფერი ისევ ისე მოულოდნელად მოხდა, რომ განცვიფრებისგან ბევრს პურის ნაჭერი კარგა ხანს დაუდგავი შერჩა პირში...

ამჯერად ნიაღვარი ზევიდან ათიოდ წუთს გრძელდებოდა და წვიმის ხმაურს შეუერთდა – სიმდერა!.. სტიქიონის ასეთ გალაღებას ადამიანებიც აჰყვნენ – თითოეული თავისთვის გაჰკიოდა რაღაცას, ამ წამს შეთხზულს და მთელი ხმით გადმოფრქვეულს... ამირანი ატოკდა, გაშალა ხელები და ვიწრო, ერთი ფეხის დადგმა ადგილზე რომელიღაც გიჟური ცეკვა გააჩადა. აგერ გიგლაც აცეკვდა; ისე გრეხდა სხეულს, თითქოს ჯოჯოხეთში მუგუზლებზე დანავარდობდა... დანარჩენები ბიჭებს ტაშს უკრავდნენ და ყიჟინას სცემდნენ, შემდეგ ისინიც მათ აჰყვნენ – ხელები მაღლა აღმართეს, დატრიალდნენ, აკივლდნენ... წვიმის წვეთებიც არ უდებდნენ ტოლს: ცეკვავდნენ მროკავთა თავებზე, მხრებზე, მკლავებზე; წყალი ღვარად ჩამოსდიოდათ სახეებზე, მიძვრებოდა სახელოებსა და საყელოებში...

როგორც დაიწყო, ასევე უეცრად დაწყნარდნენ ბუნების ძალები; ცა ისევ გადაწკრიანდა, გალურჯდა.

ადამიანებიც გაჩერდნენ, მხოლოდ გიგლა განაგრძობდა ერთხანს ღრიალს და როკვას.

– რა ცეკვაა, გიგლა, ასეთი გაუთავებელი, აღარ დაიღალე? – ჰკითხა გაწუწულმა, მობუზულმა მანანამ. – თუ ხურდები?

– შეიკია, შეიკია! ამერიკელები ზოგჯერ სადამოდან დიღამდე ცეკვავენ! ადგილი არ მყოფნის, თორემ გაჩვენებდი კლასს!

– აბა დროზე, დროზე დავამთავროთ ჭრილი! – დაფაცურდა ბატონი გიორგი. – წვიმის შემდეგ ქვების ცვენა ძლიერდება და დროულად გავცილდეთ ამ ადგილს, ხაფანგში გამომწყვდეულ ვირთხე-ბივით ვართ!

ბატონ გიორგის სიტყვებზე მეტად მუშაობა დაახქარა ქვებმა, რომლებიც დროდადრო შურდული-დან გატყორცნილივით მიექანებოდნენ ქვევით.

მალე ჯოჯოხეთისხევის ქვედა ნაწილს მიაღწიეს. მაღალი ქარაფების თავზე მერცხლების გუნდი ჭიკჭიკით მიმოფრენდა...

კარი XVII. ბორჯომი-თბილისი

ნახევარ საათში ბორჯომ-თბილისის მატარებელი ჩამოდგება ჩარხისწყალში. მანქანა ერთი საათის წინ ჩამოვიდა წადვერიდან და წამსვლელთა წინდაწინ გამზადებული ბარგი-ბარხანა ჩამოიტანა; აგრეთვე ჩამოიყვანა დეიდა მაკა გახარებული პატარა ნოდართ, რომელიც სულ დედიკოს ეკვროდა, და ნათელას მეუღლე ჯოჯო უჩვეულოდ წყნარი, დანადგლიანებული ლევანით და ზურიკოთი... სულ ცოტა ხნის წინ მათ კარგა საფუძვლიანი მიტყეპა იგემეს მამიკოსგან, როცა ტყუპებმა სირბილ-ყვირით თითქმის მთელი მოსაცდელი დარბაზისა და ბაქნის ტერიტორია აიკლეს; ამგვარი წამლობა, როგორც ჩანს, აქამდე გამოჰყვათ და ნამტირალევი ბიჭები ჩუმიდ ისხდნენ ჩემოდნებზე.

სამაგიეროდ, მოზრდილები გაცელქდნენ, ბავშვობის დროინდელი თამაში გაიხსენეს: სკამებზე გვერდიგვერდ დამსხდრებს ხელისგულები შეეტყუებინათ; წამყვანი ჩამოუვლიდა მათ და რომელიმეს ჩუმიდ ხურდა ფულს ჩაუდებდა ხელში, შემდეგ დაიყვირებდა: “ფული ჩემთან!” და ფულიანს მოხერხებით თუ ეშმაკობით ფეხზე წამოხტომა უნდა შესძლებოდა, დანარჩენები კი ცდილობდნენ, ამოეცნოთ ასეთი და დაეჭირათ. ყველაზე მეტად მხიარულობდა ბატონი გიორგი. მისი ხმამაღალი სიცილი და ხორხოცი მგზავრთა ყურადღებას იქცევდა, თუმცა სხვებიც არანაკლებ ხმაურობდნენ.

უეცრად ბორჯომ-ბაღის მხრიდან მოაკივლა მატარებელმა და ყველანი დაფაცურდნენ.

ჩამოდგა მატარებელი და დაიწყო გეოლოგიური პარტიის ორად გაყოფა – წამსვლელებად და დამრჩენებად. ცხადია, ეს პროცესი მეტად მტკივნეული და ამავე დროს ამაღელვებელი იყო ორივე მხარისთვის, განსაკუთრებით კი – გიგლასა და ამირანისთვის. სადღაც გულის კუნჭულში მიიმაღლა თბილისში დაბრუნებით გამოწვეული სიხარული და გაიზარდა, გაფართოვდა და მკერდში ვეღარ დაეტია განშორების კაეშანი... ამირანს თვალთ ცრემლიც კი მოადგა, როცა ეხვეოდა მანანას, ხელს ართმევდა მღიმარე ბატონ გიორგის, ძუნწად, ვაჟკაცურად გამოეთხოვა ვახტანგს, მეგობრული ქი-მუნჯით და მხარზე ბარაქიანი ტყაპუნით ხელისა გაუმასპინძლდა იმედოს... არც გიგლა იყო უკეთეს დღეში, თუმცა ცდილობდა, უხერხული ღიმილით დაეფარა გულის აწვილება.

ნელა დაიძრა ელექტრომატარებელი. ერთხანს კიდევ მოჰყვებოდნენ ბაქანს ხელის ქნევით დარჩენილები, შემდეგ ბორბლების რელსთა პირაპირებზე კაკუნი გახშირდა და აი, თვალს მიეფარნენ ადამიანები, რომლებთანაც ბიჭები დააკავშირა ბედმა – მხოლოდ ზაფხულის ერთი თვით – და ესოდენ დიდი კვალი დაამჩნია მათ გულებში...

რამდენი რამ ნახეს, განიცადეს ახალი, რომელიც ახლა იგრძნეს მთელი სიმძაფრით. იყო, რასაკვირველია, ნაღვლიანი საღამოებიც, წვიმიან-ბურუსიანი მომაბეზრებელი დღეებიც გამოერია, იყო თაკარამზიანი დღეებიც, როცა ერთი ჭიქა ცივი წყალი სანატრელი ხდებოდა; ოფლიც ბევრჯერ იდინეს უსასრულო აღმართებში სამფუთიან ზურგჩანთააკიდებულებმა... ზოგჯერ დაღლილ-დაქანცულებს კუჭიც ეწვოდათ შიმშილით, რამდენჯერ ხმელა პურის ნაჭერი ღვთიურ ნექტრად მოსჩვენებიათ, გრილ ხეობაში მწვანეზე გაშლილ სუფრაზე უბრალო საუზმე – უგემრიელესად... რა დაავიწყებთ, როცა ამაყად გადმოხედავდნენ მწვერვალიდან ქვევით გაწოლილ ხეობებს, ან ცის ქვეშ გათეულ ღამეს, როცა მოხეტიალე ნიავს არაფერი უშლის, მოგიფათუროს გრილი ხელები სახეზე, ვარსკვლავები კი დაგციმციმებენ თავზე და მათი ცქერით აღძრული იღუმალი ფიქრები ძილშიც ტკბილად მიგყვება...

და ყოველთვის მათ გვერდით იყვნენ უფროსი ამხანაგები, რომლებიც ტოლივით ექცეოდნენ, ხანდახან, მართალია, ტუქსავდნენ კიდევ, მაგრამ უფრო ხშირად – ამხნევებდნენ, ასწავლიდნენ, მაგალითს აძლევდნენ...

ძნელი იყო მათთან განშორება, ალბათ ახლა უკვე ყველანი მანქანაში სხედან და იმედო მათ წადვერისკენ მიაქროლებს... ბატონ გიორგისაც, ვახტანგსაც, მანანასაც... მანანა ალბათ კაბინაში ხის, ძარბაში კი ბატონი გიორგი, როგორც ყოველთვის, რაიმეს საინტერესოს ჰყვება და ვახტანგი ყურადღებით უსმენს... ან იქნებ რაღაც გეოლოგიურ საკითხზე დაობენ...

დეიდა მაკა ნოდარიკოთი, ნათელა და ჯოჯო ბიჭებით – აგერ მათთან ერთად სხედან; ლევანი და ზურიკო უკვე გაშინაურდნენ ვაგონში და მეტისმეტად ხმაურობენ, თუმცა ჯერ ერთმანეთთან წაჩხუბება ვერ მოუსწრიათ. ნოდარი დედას მიკვრია და თვალს ადევნებს ტყუპების ცელქობას.

მატარებლის ფანჯრებს იქით კი ნაცნობი ადგილები მოჩანს. აი აქ, მტკვრის მარჯვენა ნაპირზე, სულ რამდენიმე დღის წინათ მუშაობდნენ, ამ ფლატესა და მტკვარს შუა რამდენი მაყვალე ჭამეს!.. აგერ კი, სოფელ ზანავთან რომ ჭრილს აკეთებდნენ – აუტანელ ხვატში მიბობლავდნენ ციცაბო ფერდობზე... როგორ მოსწყურდათ მაშინ!

თითქოსდა მხოლოდ ახლა შეამჩნიეს ბიჭებმა, როგორ გაშავებულან – მატარებელში მსხდომ მგზავრებთან შედარებით ნამდვილად ზანგებივით გამოირჩეოდნენ. ამირანს შავი თმა წამოზრდია, თავხოტორა კი ჩამოვიდა წაღვერში. შინ ალბათ გაუჭირდებოთ გარუჯული ბიჭის ცნობა. თითქოს ოდნავ გახდნენ კიდევ, თუ სიმაღლეში მოიმატეს და ამიტომ ჩანს ასე?

ელექტრომატარებელი კი მიირწევა და მირიხინობს, აგერ ტაშისკარის ვიწროებსაც გასცდა და ქართლის ვაკეზე გაინავარდა.

სალამოვდება.

უკან დარჩა ბორჯომის ხეობა, წაღვერი, გოგოლაძეების უბანი, ბატონი გიორგი, მანანა, ვახტანგი, იმედო, ასე შეჩვეული ავტომანქანაც, რომელმაც უღალატოდ ამდენი ატარა ბიჭები აღმართ-დაღმართებში...

ყველაფერი შორს დარჩა.

და ბიჭებს ისეთი გრძნობა ეუფლებათ, თითქოს განვლილი ერთი თვეც ასევე შორს დარჩა, დიდი ხნის წინ მოხდა ყველაფერი, წარსულმა გონებაში ნელ-ნელა სადღაც სიღრმეში ჩაიფურყუმელავა, ადგილი სხვას დაუთმო.

მთელმა ფიქრებმა კი მომავლისკენ გადაინაცვლეს – წინ თბილისი ელით!..

ელით ნათესავ-მეგობრები, ნაცნობები, სკოლები, ქუჩებიც კი...

და ბიჭებს მოუთმენლობა იპყრობთ: როდის გამოჩნდება მცხეთის ჩირაღდნები, პროექტორებით განათებული ჯვარი და შემდეგ – თბილისის სინათლეების ოკეანე გადაიშლება...

1969 წლის 25 დეკემბერი –

1971 წლის 13 მარტი,

თბილისი.

ფეხბურთის კომედია

სალაღობო მოთხრობა

მე მინდა, მოთმინებით აღსავსე მკითხველს ერთი უცნაური თავგადასავლის შესახებ ვუამბო და თვითონვე განსაჯეთ – მოგონილია ის თუ ნამდვილი, მხიარული თუ სამწუხარო.

კარი I. ტასოს პირველი შეხვედრა ფეხბურთთან

აგვისტოს ცხელ, გამოხუნებულ ცაზე მთელი დღის ხეტიალით დაღლილი მზე უკვე დასასვენებლად აპირებდა წაბრძანებას და უკანასკნელ გამოსათხოვარ სხივებს უგზავნიდა სიცხით გათანგულ თბილის-ქალაქს, როცა მარაკანას ქუჩაზე ტაქსიდან გადმოვიდა შუახნის მანდილოსანი ტასო ხვანცალაშვილი.

ჯერ გატიკნილი ტიკტორა გადმოიღო და აკაციის ტანს მიაყუდა, მას ჩანთა დაუღო გვერდით, მერე ფუთა დააგდო, კალათიც მიაყოლა, ბოლოს კი ხურჯინიც გადმოათრია და შვებით ამოისუნთქა. შიდა ქართლის ვაკეზე გაშენებული დიდი სოფლიდან თბილის-ქალაქს მატარებლით ჩამოსულმა ტასომ ჯერ არ იცოდა, რომ მთავარი გასაჭირი წინ ელოდა.

XIX საუკუნის მიწურულს თუ XX საუკუნის დასაწყისში აშენებული ორ-სამსართულიანი სახლების რიგი მთლიან უწყვეტ კედლად გაწოლილიყო, ყოველ ამ სახლს გვირაბით ეზოში შესასვლელი ჰქონდა დატანებული.

რამდენადაც ჩვენი მოთხრობის მთავარი მოქმედი პირი ანუ გმირი ტასო გახლავთ, ურიგო არ იქნებოდა, მოკლედ გაგვეცნო იგი დაინტერესებული მკითხველისთვის. ტასო ჯერ ორმოცდაათის არ შესრულებულა, მაგრამ ბევრად ხნიერის შეხედულება აქვს – გამხდარი, კაფანდარა ქალია, რომლის მზით დამწვარ, არცთუ უნაოჭო სახეს საოცრად ცოცხალი თაფლისფერი თვალები ამშვენებს.

ტასომ საკმაოდ მიიმე ხურჯინი მსუბუქად ასწია, გადაიკიდა მხარზე, ტიკტორა იღლიაში ამოიღო, დანარჩენი ბარგი ხელში დაიჭირა და № 20 სახლის ეზოში შევიდა – მხოლოდ ის ახსოვდა, რომ კარლოს სახლის ნომერი ორიანით იწყებოდა.

საკმაოდ დიდ ეზოში ბავშვებს ფეხბურთი ჰქონდათ გაჩაღებული.

ტასომ ბარგი დადო და თბილისური ეზოს ირგვლივ შემორტყმული აივნები შეათვალიერა. ვის ჰკითხოს ბიძაშვილის ამბავი?

– ბიჭიკო, ბიჭიკო! – დაუძახა ტასომ ერთ ონავარს, გვერდზე რომ ჩაურბინა, მაგრამ ბურთის დევნით გართულ ბიჭს რა გააჩერებდა. აგერ მეორემ ჩაურბინა გვერდით, იმასაც დაუძახა – იგივე შედეგით. ბავშვები ისეთი აზარტით დასდევდნენ ბურთს, რომ მშობლების დაყვირება არ ესმოდათ, არამცთუ ვიღაც უცნობის თხოვნისა...

ტასოს რამდენჯერმე დაეჯახნენ ბავშვები, მის ხურჯინ-ტიკტორა-ჩანთა-ფუთასთან შეიქნა ძიძგი-ლაობა; ამ სიშორიდან ჩამოტანილ ხორავს განადგურება ემუქრებოდა და ტასო კრუხივით გადაეფარა ბარგს; მერე ამჯობინა, საჩქაროდ გასცლოდა იქაურობას, მით უმეტეს, რომ ერთხელ ბურთი საკმაოდ ზუსტად მოხვდა თავში და ოდნავ დაარეტიანა კიდევ...

მეზობლად, № 22 სახლის ეზოში შესულ ტასოს იგივე სურათი დახვდა – ბავშვები თავგამოდებით დასდევდნენ ბურთს და სულ ტყუილი ცდა იყო, თუნდაც ყვირილით მათთვის რაიმე ეკითხა. არადა, არც უფროსი გამოჩნდა ვინმე... უკვე გამოცდილმა ტასომ თადარიგი დაიჭირა და ცოტა მოშორებით დადგა, ვითომ უსაფრთხო მანძილზე მოთამაშეთაგან, მაგრამ, მოგეხსენებათ, ბურთი სად არ გაგორდება – ტასომდეც მიადწია. სანამ აუთვივებულ ბავშვების გუნდი დაესეოდა, ტასომ იმარჯვა, ფეხსაცმლის წვერი მარჯვედ გაჰკრა ბურთს და ეზოს მეორე ბოლოსკენ გასტყორცნა.

ტასომ ცხვირსახოცი ამოიღო და ეზოს შუაგულში მდებარე ონკანს მიაშურა. ჯერ ხელი გადაიბანა, მერე პეშვით წყალი დალია, სახეზეც შეისხა და ცხვირსახოცით შეიმშრალა. ამ დროს მის გარშემო ატყდა ერთი ორთმტრიალი – ბურთი აღარ შორდებოდა ონკანს: ურტყამდნენ, დახტოდნენ, ერთმანეთს ეჯიკავებოდნენ...

– ი-ი-ი, ჯანდაბა! – დაბნეულმა ტასომ ამჯერად გაბრაზებით გაჰკრა ფეხი მასთან დატრიალებულ ბურთს და გატყორცნილ ბურთს ბიჭბიჭობაც თან მიჰყვა. ბურთი მიგორდა ტასოს მიერ დატოვებულ ბარგთან და ახლა იქ შეიქნა ბუდრაობა. სანამ ტასო მიასწრებდა, კალათი ამოყირავდა და ლოყაწითელი ვაშლები გორვა-გორვით მიმოიფანტა...

თამაში მხოლოდ ახლა შეწყდა. ბავშვები დაესივნენ ვაშლებს, შეუგროვეს ტასოს და ისევ კალათში ჩაუყარეს.

– მოდით, ბავშვებო, ვაშლი მიირთვით!

გულაჩუყებულმა ტასომ კალათი ონკანთან მიიტანა, ვაშლები გარეცხა და ყველა ბავშვს სათითაოდ ჩამოურიგა; იმათაც ჯერ ხელები დაიბანეს, შემდეგ ვაშლი ჩამოართვეს და მაღიანად ჩაკბინეს – ფეხბურთმა მაგარი მოშიგება იცის! მერე იქვე, ბებერი მამალი თუთის ხის ძირში, ჩამოსხდნენ ყველანი.

ტასომ კარლოს ამბავი იკითხა.

– კარლო ბიძია მეზობელ ეზოში ცხოვრობს!

– მიგიყვანთ, დეიდა!

და აი, ბავშვები ეცნენ ბარგს; ვინ ტიკტორა ამოიიღლიავა, ვინ ფუთა დაიდო თავზე, ორმა ბიჭმა ჩანთა გააცუნცულა, კიდევ ორმა – ხურჯინი...

ხორხოც-სიცილით მიაშურეს მეზობელი სახლის ეზოს და, რა თქმა უნდა, იქაც გახურებული ფეხბურთის თამაში დახვდათ.

ტასოს გამყოლი ბავშვები თითქოს გამოფხიზლდნენ, გაახსენდათ, რომ ფეხბურთის თამაშს მოსწყდნენ, სასწრაფოდ დაყარეს ბარგი და ტასოს არც გამოშვიდობებინა, ისე თავქუდმოგლეჯილი გაიქცნენ უკან თავიანთ ეზოში, ყვირილით:

– ორით-ორი იყო!

– ჩვენ ვიწყებთ!

– არა, ჩვენ!

ეზოს განაპირას მიტოვებული ტასო უკვე ვეღარ ბედავდა, შეეცურა ამ აღელვებულ ზღვაში – ბავშვთა აზიმიზიმებულ ბრბოს სულ მტვრის ბული ასლიოდა, ერთმანეთში ირეოდა ყვირილის, ხვნეშის, ბურთზე ფეხის დარტყმის ხმები...

ტასოს თვალთ აუჭრედდა, ღრიანცეღმა დაარეტიანა; გადაწვივდა, სასწრაფოდ გასცლოდა ამ ეზოს და კარლოსთვის ქუჩაში მოეცადა; გადაიკიდა ხურჯინი და დანარჩენ ბარგსაც დასწვდა, როცა მასთან შეჩერდა უზარმაზარლიპიანი, მელოტი, დიდულვაშა, მთასავით კაცი. ეს იყო ზურა – როხროხა, მოქეიფე, დარდიმანდი, ყველას რომ მფარველობს და ეფერება... რა დასამაღია, ახლაც, როგორც თითქმის ყოველთვის, როგორც ითქმის, ცოტა გადაკრულშია – თვალეები უბრწყინავს, ფართოდ იღიმება:

– ქვე რაჭველი ხომ არ ხარ, შენ გენაცვალე, რაღაც ისე დინჯად დგახარ! – მოხვია ხელი ტასოს, თან მიესიყვარულა, თან ყური მის პირთან მიიტანა, რომ ბავშვების ჟივილ-ხივილში ტასოს ჩივილი მოესმინა. – ჩვენს კარლოსთან ხარ? კარლოს გენაცვალე, ოქრო კაცია, ოქრო!

მერე ისე დაიდრიალა, რომ ყველა სხვა ხმა დაჩრდილა:

– ჰაიტ, თქვე მამაძაღლებო! გაჩერდით!

ბიჭები განაგრძობდნენ თამაშს, ვითომც არაფერი. ზურამ ცალი ხელით აიტაცა ტასოს ხურჯინი, მეორე ტასოს მფარველურად მოხვია და – “წავედით!” – გაუძღვა აბობოქრებულ სტიქიონში... გზა-გზა ხან ერთს წაუთაქა მსუბუქად ქერში, მეორეს ხუმრობით დაუცაცხანა – “იქით, შე ღამე გაკეთებულო!”, მესამეს წინ გადაუდგა, რომ ტასოს არ დასჯახებოდა... ბავშვები მაინც არ ცხრებოდნენ, გაუნელებელი ჟინით განაგრძობდნენ თამაშს, აინუნშიაც არ აგდებდნენ მთა კაცის ყასიდად გაბრაზებას – “რა გიყოთ, თქვე ლიფსიტებო!”

არადა, გაუჭირდათ გზის გაკვლევა, ერთი-ორჯერ ბურთიც მოხვდათ...

ზურამ განიზრახა ბურთის წართმევა, მაგრამ ვერ მიაღწევს! ბავშვები ჟივილ-ხივილით აპამუღებდნენ ძუნძულით დადევნებულ ზურა ბიძიას. მაშინ ზურამ ხურჯინი დადო და ისე გამოუდგა ონაგრებს, მაგრამ არც ამან უშეგლა, ბურთი ვერ ჩაიგდო ხელში – ბავშვთა ორი მოქიშპე გუნდი გაერთიანდა მის წინააღმდეგ თამაშში. ეს ბავშვებისთვის იყო თამაში, თორემ აბა, ზურასთვისაც გეკითხათ! თუმცა ზურა იცინოდა, ეხუმრებოდა ბიჭებს, ვითომ ემუქრებოდა და წყველიდა კიდევ, მაგრამ მალე ქოშინი აუვარდა, გაჩერდა – არაქათი გამოეცალა, თუმცა არც ახლა გაბრაზებულა, პირიქით, გადაფიჩინდა საკუთარ თავზე ხარხარში...

ტასო სულ გადააგვიწყდა.

განცვიფრებულმა ტასომ ბრაზით გადააფურთხა, აკრიფა თავისი ბარგი-ბარხანა და გაჩერდა – აღარ იცოდა, რა უნდა ექნა, საით წასულიყო.

ბიჭები კი განაგრძობდნენ ღრიანცველით აქეთ-იქით სირბილს ბურთის დევნაში.

ამ დროს ზურამ ხელთ იგდო შემთხვევით მასთან მიგორებული ბურთი, მოიქნია ფეხი და ისე მძლავრად დაარტყა, რომ... მესამე სართულიდან მოისმა ჩამსხვრეული შუშის ჭახანი!..

პირველ-მეორე სართულებზე რკინის გისოსებიანი ფანჯარა-შუშაბანდები გაიღო (ადვილი მისახვედრია, რომ ამ სართულებზე მცხოვრებნი დიდი ხანია, დარწმუნდნენ, რომ ბავშვებზე არ ჭრის არც მუქარა, არც ხვეწნა-მუღარა და შეგონება და მათ ვერ მოაშლევენ ფეხბურთის თამაშს, ამიტომ არჩიეს, ამგვარად დაეცვათ თუ მყუდროება არა, საკუთარი ფანჯრების უსაფრთხოება მაინც); ბავშვები მაშინვე თითქოს ქარის დაბერვამ მოხვეცა – აივნებზე გამოფენილმა მეზობლებმა დაინახეს მხოლოდ შუა ეზოში დარჩენილნი: დაბარგული ტასო და მელოტმზინვარე ბატონი ზურაბი...

წუთით ჩამომდგარი უჩვეულო სიჩუმე ამჯერად დაარღვია მეზობლების გაცხარებულმა კამათ-კინკლაობამ – არ დაგიწყებიათ ძველი ანგარიშების გახსენებაც...

– შენი იქნებოდა, ვერ დააბამ შინ?

– ჰო, როგორ არა, ძინძიბამეს ამას წინათ ვინ ჩაუმტვრია ერთბაშად ოთხი შუშა, ჩემმა ბიჭმა თუ შენმა მუტრუკმა?

– არც შენი აკლებს ხელს: ეზოში ონკანი ვინ მოშალა უკვე მერამდენედ?

– შენ პროფესორს მაინც ჯობს, დღე და ღამე ყურები წაგვჭამა ფორტეპიანოზე უაზრო ლაყუნით...

– შენს აგარას მოუარე, ჯერ ხეირიანად სწავლა არ დაწყებულა და უკვე მესამედ გიბარებენ სკოლაში!

კარლოც გამოვიდა აივანზე უფასო წარმოდგენის სახილველად და საკმაოდ გაცვეთილი ძველ-თაძველი ბურთიც აღმოაჩინა, რომელიც გატეხილი მინის სანაცვლოდ ეგდო იქ.

კარლომ დააპირა ოთახში შებრუნება ბურთის დასაჭრელად დანის ასაღებად, რომ ამ დროს მოესმა ტასოს კაპასი ხმა:

– კარლო, შე უსინდისო!

უნდა მოგახსენოთ, რომ ბატონი კარლო შუახნისაა, მელოტი, ღიპიანი, ოღონდ, ბატონ ზურასგან განსხვავებით, დაბალია და თვალბეზადმოკარკლული. კიდევ უფრო გადმოუცვივდა თვალები და აღშფოთებისგან ხმასაც ვეღარ იღებს – მინა ჩაუმსხვრიეს და ვიღაც კიდევ აქეთ ლანძლავს!

გოლიათმა ზურამ ჯერ ტასოს გადახედა ამაყად:

– ხომ მაგარი ვარ, შენ გენაცვალე?! – მერე გაღიმებული სახე მალა ასწია, მესამე სართულისკენ და აროხროხდა: – ერთით ნოლია, კარლო, ერთით ნოლი – ჩემს სასარგებლოდ! კათხა ლუდი მეკუთვნის შენგან! ნათესავი მოგიყვანე, ვეღარ სცნობ? მეორე კათხაც მეკუთვნის, ნაღდად! ქვე შენი ჭირიმე, ფეხბურთის მეორე ნახევარი ხომ არ დაწყებულა? გავთავდი კაცი, რაფა მკვდრებით დალოდავენ მინდორზე ეგ უბედურები!

– აუჰ! – კარლომ მელოტზე შემოირტყა ხელი ტასოს დანახვაზე, მეორე ხელით ეზოში ისროლა ბურთი და მაშინვე კიბეზე დაეშვა.

ბურთს კი იმავე წამს დაეპატრონა ერთ-ერთი ბიჭი, რომელიც თითქოს მიწიდან ამოძვრა: დასტაცა ხელი ბურთს და სირბილით გაიჭრა მოფარებულში.

კარლომ კიბეზე ჩამოიბინა (მას ასე ეგონა, თორემ, მართალი მოგახსენოთ, მისი ჩამორბენა უფრო ღოღვას ჰგავდა – ღიპის ქნევით და ქშენა-ქშენით), მიიბინა ტასოსთან (მის სირბილს რა ვუთხრა!) და, სანამ ტასოს გადაეხვეოდა, დაიყვირა:

– ხალხო, ჩემი ბიძაშვილია, ტასო! – მერე ზურას მიმართა: – სიყვარულით გიჟ ტასოს ვეძახით, იცი, რა მაგარი გოგოა?!

– ამ ღდინძაღლებმა კი კინაღამ გადარიეს და! – როხროხებს ზურა.

გამარჯვება, გო! – მიეტანა კარლო ტასოს საკოცნელად, დარცხვენნილმა ტასომ კი გაიღიმა და ერთი მწარედ გაუტყვლაშუნა ლოყაზე გამხდარი ხელი:

– რეებს როშავ, შე სასიკვდილე, რა დროს ჩემი გოგოობაა! მაგ გოგრაში ქატო გიყრია?

– კარგი რა, ტასოჯან, ვეღარ მოიშალე პილპილმოყრილი ლაპარაკი? – მოეხვია ტასოს და აკოცა. – შენ ისა ჯობია, მითხარი, როგორა ხართ? აქეთ რა ქარმა გადმოგაგდო, ხომ მშვიდობაა?

– შენი ლოცვა-კურთხევით რა უნდა გვიჭირდეს! შენ რაღას შერები, შე მამაძაღლო, როდის უნდა დაოჯახდე, ქორწილი აღარ უნდა გვაჭამო?! – გაუშალა ტასომ და ახლა ღიმილით მეორე ლოყაზე გაულაწუნა კარლოს კარგა გვარიანად.

საწყალი კარლო, ლოყაზე ხელმიდებული, საწყალობლად იყურება, თვალებს აივნებისკენ აცეცებს, სირცხვილით აღარ იცის, რომელ სოროში შეძვრეს... მერე ხან ბარგს ეცა, ხან ტასოს ექაჩება:

– წამო, ქალო, შინ შევიდეთ, იქ, თუ გინდა, მომკალი! ჩქარა, ჩქარა, შესვენება დამთავრდებოდა!

– რომელი შესვენება?

– ფეხბურთის!

და აივნებზე გადმოყუდებული და ფანჯრებში თავგამოყოფილი მეზობლების სიცილ-ქირქილში აიკიდა ტასოს ბარგი და სირბილით (თითქმის სირბილით!) მიაშურა კიბეს.

ტასო მისდევდა უკან და ამკობდა:

– იჰ, ერთი პატრონი არ გამოგინდა, მეხი კი დაგაყარე მაგ სლიპინა თავზე!

ზურამ კი როხროხით დაადევნა გაქცეულ კარლოს:

– ე, ბიჭო, იცოდე, ცოტა ხანში შენთანა ვარ! მაგ კოხტა ტიკჭორა-ძმობილი რომ ამოგვიდლიაგვებია, სურნელზე ვატყობ, ურიგო ღვინო არ უნდა იყოს, ცოდოა მაგის დაძმარება! ლუღს გაპატიობ!

კარი II. ტასო, ფეხბურთია, მაცურებინე, ღმერთი არა გწამს?

კარლომ ფეხის კერით გააღო ბინის კარი და ხენეშით ძლივს შევიდა. ჯერ ხელები გაითავისუფლა კალათებისა და ჩანთებისგან, მერე ხურჯინი დადო იატაკზე, ხელებიც გაითავისუფლა და მანვე ტელევიზორის ეკრანს მიაჩერდა – ფეხბურთის მატჩის მეორე ნახევრის გადაცემა დაწყებულიყო.

უკან შემოჰყვა ტასო.

– ტასოჯან, ვატყობ, ისევ ის ძველებური გიჟი ტასო ხარ! – კარლო ეკრანს არის მიშტერებული, თან სტუმარს ელაპარაკება; მის საყვედურში მოწიწებაც იგრძნობა.

– მაშ არა და, შენა გგეგვარ! – პასუხობს ტასო და, დაღლილ-დაქანცული, სკამზე მოწყვეტილი ეშვება. – ძველებურად სულ ვიკრიჭები, მაგრამ ამ ბოლო დროს პირზე ხელის მიფარება მიწევს – კბილები დამაკლდა! შენს ჯინაზე, მაინც სულ ვიცინი!

– შენც დაბერდი, ტასოჯან? – გულს იფხანს კარლო და მიუმდერებს: – დაბერებულხარ, ქალაუ, კბილები ჩამოგცვენია...

– დიდება რომ გავხდი, უკვე დამაბერე? ვინ არი ბებერი, ჰა? – უტევეს ვითომ ძალიან გაბრაზებული ტასო. – შენ მაინც ყოველთვის გაჯობებს! ვინ არი ბებერი? აბა, შემეჯიბრე, თუ ბიჭი ხარ! შემეჯიბრე, რაშიც გინდა, შენ გაჩვენებ სერს!

ვითომ გაანჩხლებული ტასო წამოხტა სკამიდან და კარლოსკენ მუშტებმოღერებული გაიქაჩა.

კარლო მთელი თავით მაღალია ქალზე, ღიპმორეული, მისგან ორი ტასო მაინც გამოიჭრება, მაგრამ სადღაც მაინც ეშინია კაფანდარა გიჟ ტასოსი – ორივე ლოყამ უკვე იგემა მისი პატარა, გამხდარი, მაგრამ მაგარი ხელის გემო; მორიდებით ელაპარაკება, თან ხელი მისდა უნებურად ლოყისკენ მიაქვს, თითქოს თავის დასაცავად... თანაც, ცდილობს, ყოველი შემთხვევისთვის, მრგვალი მაგიდის მეორე მხარიდან ელაპარაკოს – წამოხტა და საჭირო მიმართულებით გადაინაცვლა, ტელევიზორი ვიდას ახსოვს!

– ტასოჯან, ახლა გეჭამ ცოცხლად და შენ რომ კბილები ჩაისვა, მაშინ რაღა გვეშველება?

ტასოს მისი სიტყვები სულაც არ სწყინს:

– შენისთანა მძინარა ლოქოებს კებნა უხდება, არ იცოდი? აბა, კაცი რომ მილიონიან ქალაქში ერთ ქალს ვერ ნახავს შესაფერს, ცოლის თხოვნა გაუჭირდება, ბედოვლათი არ არის? საცაა ორმოცდაათს მიუკაკუნებ, აწი ვინდა გამოგყვება! ეტყობა, სარკეში ჩახედვაც გეზარება, ერთი შენს მოტყვევილ თავს შეხედე, ბუზი ფეხს ვერ მოიკიდებს, მუცელი ალბათ უკვე მეცხრე თვეზე წამოგეზარდა, გიჟი მე ვარ თუ შენა? თბილისი რომ დიდი საგიჟეთია, დიდი ხანია, ვიცოდი, ეს ბავშვები რაღამ გააგიჟა? ყველა ბურთს დასდევს, კინაღამ მეც მართლა გამაგიჟეს!

ტასო კარლოსკენ მიიწევს, კარლო გაურბის – ნელ-ნელა მაგიდას გარშემო უგლიან, თითქოს დაჭერობანას თამაშობენ.

– ფეხბურთს თამაშობენ, ტასოჯან, რას ერჩი?! – ცდილობს, რაც შეიძლება შორს იყოს ტასოსგან კარლო, თან ცალ თვალს ტელევიზორის ეკრანს არ აშორებს. – ბავშვებს საყვედურს როგორ ვეძევი!

– გატყობ, შენც მაგათი ჭკუისა ხარ! ძალიან კარგი, ფანჯარა რომ ჩაგიმსხვრიეს, ახია შენზე! – ეკაპასება ტასო. – უნდა დავიბარო, ცოტა მოგივიდა და კიდევ დაგიმატონ, მეორე ფანჯარაც ჩაგიმსრთელონ!

– ვაჰ, ტასოჯან, შენ შენს კბილებს მიხედე, ჩემი ფანჯრები რა შენი საზრუნავია!.. ერთით ნოლი! – ტაში შემოჰკრა ტელევიზორს მიჩერებულმა გახარებულმა კარლომ.

– მიგხედავ, მაშა! მაგითვინ არ ჩამოვეთრიე ამ საგიჟეთში და? – მერე კიდევ უფრო გაახურა: – გაანებე თავი მაგ ეშმაკის ყუთსა, კაცო, მაგის მამგონი კი დაიწვას! გამოიხედე აქეთა!

– შე ოჯახსაშენებულს, ერთი-ორი საათით გვიან ვერ მოხვედი? იცი, დღეს რა საინტერესო თამაშია? მთელი კვირა ველოდი! ერთით ნოლია!

– შინაც შამჭამეს ამ ფეხბურთით, ეს ქალაქი რაღამ გადარია? შეილიშვილებმა დამაბარეს, უბურთოდ არ ჩამოხვიდეთ, შინ არ შამოგიშვებთო, გამიგიჟდნენ ნაღდათა! დიდი ბურთებიც გვინდა, ნამდვილიო და პატარებიცაო...

– ხვალვე წავიდეთ, ტასოჯან, რამდენნაირიც გაგიხარდება, იმდენნაირი ბურთი ვიყიდეთ და კიდევ ერთი იმდენი, თუ გინდა, ოღონდ ახლა ცოტა ხანს მაცალე, გლეჯვა თამაშია, ვერა ხედავ?! ხვალ დილით სამსახურში ერთკვირიან შვებულებას ავიღებ და მალაჩიები დავიაროთ...

– გადარეული ბიჭები მყვანან, გადარეული, იმათ კი ვენაცვალე!

– აბა, ნორმალური გინდოდა, გყოლოდა, გიჟ ტასოს, გენაცვალე? დაჯე, ქალო, დაბრძანდი, ნუ მარბენინებ ტრაწიანი ხარივითა, კისერი მომეღრიცა!

– დააყე ეგ მყრალი ენა! შე მურდუგო, შენა, შენ რო არც ძაღლი, არც კატა გყავ შინა, შეილებზე და შეილიშვილებზე ხო აღარაფერს ვამბობ? თუ ჩემზე პატარა გგონია თავი? თავიც რო მიტროს დოლივითა გაქვ გადატკლექილი! მოიცა, სად გარბიხარ, მოიცა, ერთი ჩაგთხლიშო!

– ცოლი რომ მეთხოვა, ჩემთან ხომ ვეღარ მოხვიდოდი, ტასოჯან?! – ცოცხლად მოძრაობს მაგიდის გარშემო კარლო, თან ცალკობად პასუხობს, მატჩში დაძაბული მომენტი შეიქმნა და საინტერესო კომბინაციას თვალს ვერ აშორებს.

– მაშინ უფრო მოვიდოდი, ხმის წესიერად გამცემი მეყოლებოდა...

ტასო სავარძელში ჩაესვენა, ამოიხენეშა, თვალები მილულა...

კარლოც დაწყნარდა, სკამზე ჩამოჯდა და განცხრომას მიეცა...

– არის! არის! – უცებ დიქტორის ღრიალს ააყოლა ხმა კარლომ, – ორით ნოლი!

მოზღვაგებული სინარულით აღტყინებული კარლო წამოვარდა, ჯერ ტაში დასცხო, შემდეგ კი ხმაურისგან თვალედაჭყეტილ, შეშინებულ ტასოს მივარდა და გულში ჩაეკონა; შემდგომ ამისა ხელები მადლა ასწია და რაღაც უცნაურ ცეკვა-სიმღერას მოჰყვა... მაგიდას გარშემო უგლიდა, მის ძუნძულს იატაკი საწყალობელი ჭრიალით და სერვანტის თაროებზე ლამაზად ჩამწკრივებული ბროლ-ფაიფურის სხვადასხვა ძვირფასი ნაკეთობა კი წკრიალით ესალმებოდა...

– გიჟია, ე ოხერი! – მხოლოდ ესლა თქვა ტასომ, წამოდგა, დაიწყო რაღაც-რაღაცების ამოლაგება ხურჯინ-ჩანთებიდან; ამოიღებდა და ხმაურით ყრიდა: ზოგს – იატაკზე, ზოგს – მაგიდაზე, ნაწილი ბარჯისა კი სამზარეულოში გაიტანა. კარლო ვერ ეკარებოდა მისახმარებლად: ცალკერძ – შიშის გამო, ცალკერძ – ფეხბურთის ეშხით იყო დამწვარი...

ტასო კი ბუზღუნებდა:

– რა ლენჩივით მისჩერებიხარ ამ ფეხბურთსა, ამდენი წლის უნახავი ბიძაშვილი ჩამოგივიდა... არც იმას კითხულობ, სოფელში რა ამბავია – ვინ დაოჯახდა, ვინ მოკვდა... ტერეზამ ახალი სახლი აიშენა... აჰა, ამაში კურკა ღობიოა, მთელი ზამთარი გეყოფა (მოზრდილი პარკი გრიალით დააგდო მაგიდაზე, კარლო შეშინებული შეხტა), მარუსას გოგო გათხოვდა და უკვე ბიჭიც შეეძინა (ბრახს! იატაკზე დააგდო რაღაც შეკრული და მტვრის ბუჭი დააყენა)...

– ეგ რომელი მარუსაა? – ზრდილობის გულისთვის იკითხა კარლომ, შეეშინდა, თუ შემატყო, არ ვუსმენ, თავში არ გამომიქანოს რამეო.

– შე ოხერო, შენი ღვიძლი მამიდაშვილი დაგავიწყდა? არც მის გოგოს იცნობ? არა? არც არა-ფერი დაგიკარგავს! ეგ ცხვირმოუხოცელი, ეგა, რა ეჩქარებოდა, ჯერ სკოლა დაემთავრებინა, თავში ტვინი გასწნოდა და მერე გაქცეულიყო, ვიღაც ლაწირაკთან ერთად რო იპარებოდა...

– მართლა გაიპარა? – კარლოს რაღაც ხომ უნდა ეთქვა.

– გაიპარა, მაშ!

კარლოს ლობიოს პარკი ეფარება, ტელევიზორის ეკრანს ვერ ხედავს ხეირიანად, თავს ხან მარცხნივ გადასწევს, ხან – მარჯვნივ; ადგილის შეცვლისაც ეშინია: აქ, ტასოსგან მოშორებით, უფრო უსაფრთხოდ გრძნობს თავს.

ტასო კი განაგრძობს მოყოლას, ერთ წამს არ ჩერდება – ვისი შვილი მოეწყო უმაღლესში, ვინ მოკვდა, ვინ რა და ვინ რა... ჰყვება გემრიელად, მთელი ეშხით, გატაცებით – მათი მრავალრიცხოვანი დეიდაშვილ-მამიდაშვილების, მათი შვილების და ზოგის – შვილიშვილების ამბებს... მათგან უმრავლესს კარლო არ იცნობს, მეტიც – მათი სახელები დღეს პირველად გაიგონა, – განსხვავებით ფეხბურთელთა გვარ-სახელებისგან, – მოწინააღმდეგის გუნდის მოთამაშეებსაც კი სათითაოდ დაგი-სახელებთ, ზოგიერთის სიმაღლეს ზუსტად იცის, დაბადების წელიც, ვინ რამდენი ბურთი გაიტანა ამ თუ სხვა სეზონებში და სხვა ამგვარი.

– ამ პატარა თეთრი ქვებით თათარა წამოვიდე, ალბათ მისი გემო აღარც გახსოვს – ღვინის სმას ხარ ალბათ გადაყოლილი...

ტასომ ქვაბი მაგიდაზე დადგა, კარლომ სკამიანად ხრიგინით მოინაცვლა ადგილი – ქვაბი ჩამოეფარა, მერე გიჟივით წამოიყვირა:

– აუჰ!.. მაგ დებილს ნეტა ვინ ათამაშებს, ორი მეტრიდან ბურთს ააცილებს კარს ნორმალური კაცი?!

– აქეთ მოიხედე, დაბღურო! – ქვაბს სახურავს ხდის და თითქმის ცხვირში ჩურთავს ტასო. – საით იყურები, ნორმალურო! დასუნე, რა გადასარევი სურნელი აქვს! არ მოგენატრა?

– მადლობა მომიხსენებია, კარგი ხარ, მაგრამ უკეთესი ქალი იქნები, თუ ცოტა ხანს მომასვენებ!

– მოსვენება მაგ შენს ფაშვსა ჰკითხე, რო გადმოგიგდია ხონთქარივითა! – ახლა ტასომ დიდი გოგრა ამოიღო საიდანღაც, მადლა ასწია, კარლოს თავს დაუმიზნა: – აი, მოვიდა მაგ გასიგებულ გოგრაში!

შეშინებული კარლო ხელებში სწვდა და გოგრა გამოართვა – ამ ქალს ცოტა უფრიკინებს და მისგან ყველაფერია მოსალოდნელი, იქნებ მართლაც ორი გოგრა ერთმანეთს დააბგეროს! ერთხანს დასცქეროდა გოგრას, არ იცოდა რა მოეხერხებინა მისთვის, ფეხბურთის ყურებასაც ასე გემოს ვერ ატანდა... ხვწმით წამოდგა და გოგრა ოთახის კუთხეში მიიტანა.

ამ დროს კომენტატორმა საზეიმო ხმით ფეხბურთის მატჩის დამთავრება გამოაცხადა.

– დაადგა საშველი! – გაუხარდა ტასო. – გამორთე ეგ ოხერი და მომისმინე... ჰოდა, იმას გეუბნებოდი, შვილიშვილებს მოგესწარ, ეხლა ჩემს თავსაც მიგხედო-მეთქი, უფრო სწორედ, ქმარი ამიხირდა, დამადგა კბილი: “სულ რომ ყველის ვაჭარივით იკრიჭები და ქვეყანას აცინებ, ვერ ხედავ, მთელი ქვეყანა შენ დაგცინის, საკუთარ პირს ვერ მოუვლიო”? მემუქრება, ახალ ცოლს ვითხოვო... გეუბნები: “შე ისედაც ლამაზი ვარ, რახან ქალაქში მაგდებ, წავალ, შენს ჩამომტირალ თავ-პირს მაინც აღარ დავინახავ, ერთ კვირას თვალებს დავასვენებ-მეთქი!”

– ხომ შეგეშინდა! – კარლო ტელევიზორს მაინც არ სცილდება, არხების გადასართველ სახელურს ატრიალებს.

– იჰ! იმის ბუტურს ვინ უყურებს, ერთმა კბილმა წინა ღამეს კინაღამ მამკლა... ახლა ცოტა გამიყურდა, მაგრამა... აეს ღვინო გამამატანა ქმარმა, თითქოს ქალაქს ღვინო აკლდეს... – და ტასომ მაგიდაზე ახლა ტიკტორა წამოაგორა.

კარლოს ხედვის არე საბოლოოდ დაეფარა, იკითხა:

– ქიწინურაა? – და მზრუნველად მოუთათუნა გამობერილ გვერდზე ხელი.

– ქიწინურაა თუ ფრანგულა, კაცებმა უფრო არ იცით? გაგისკდეთ ეგ მუცელი!

კარლო ფეხზე დაამდგარი და ისე უყურებს ტელევიზორს. ტასო ისევ გაანჩხლდა:

– ბიჭო, დაჯექი, კიდევ მაგ ეშმაკის ყუთს მისწერებიხარ?

– ტასო, ფეხბურთია, მაყურებინე, ღმერთი არ გწამს?

– კიდევ ფეხბურთია? ხომ დამთავრდა!

– ეს სხვა არის, ლიდერები ხვდებიან ერთმანეთს!

– არ მამაკვლენო ეხლა თავი, მამიჩემის სულსა ვფიცავ! მომისმენ თუ არა? – და დაიძრა კარლოსკენ.

– ტასოჯან, შენ თვითონ დაჯექი რა, ბიბაჩემის სულს გაფიცებ... ნუ დამდევ ეგრე დაგეშილი ძაღლივით! იქით გაიწი, ქალო, ვაჰ რა მომენტი გამომჩნა! – ოხრავს კარლო.

– შე უბედურ დღეზე გაჩენილო, მეტი არაფერი გამოგრჩა ცხოვრებაში? – ტასო ახლა გატიკნილ ტომსიკას ახეთქებს მაგიდაზე: – აჰა, კაკალიც... იმ ხისაა, ეზოს კუთხეში წყაროს თავზე რომ გვიდგა... ჩვენებურია, თხელნაჭუჭა, ორი თითით ადვილად დაამტვრევ, ხომ გახსოვს?.. გასინჯე!

ტასო ხსნის ტომსიკის თასმებს, ამოიღებს რამდენიმე კაკალს და კარლოს უწვდის; კარლო პირდაღებული უცქერის ეკრანს:

– დამაცა, ქალო, შვილთვიანი ხომ არ ხარ!

ტასო გაბრაზდა:

– უი, წაგიწყმდა გამჩენი! – უცებ ორი ხელით მაღლა ასწია ტომსიკა და კარლოს თავზე გადმოაპირქვა...
ტომსიკიდან ჩხრიალა ნაკადად გამოსული კაკლები მთელ ოთახში ხრიალით იბნევა...

კარლო, ვითომც არაფერი, განაგრძობს ფეხბურთის ყურებას.

– არა, ამის საშველი არაა! – ხელი ჩაიქნია ტასომ და გაფანტული კაკლების აკრეფას შეუდგა.
– მიწისძვრა რომ მოხდეს და ნახევარი ქალაქი დაინგრეს, მაშინაც ასე გამოთაყვანებული მიაჩინებები მაგ დასაწვავს?

ტასო მივიდა ტელევიზორთან, უნდოდა გამოერთო, მაგრამ სახელურებს ვერაფერი გაუგო.

– ხელი არ ახლო, დენი დაგარტყამს! – აფრთხილებს კარლო.

ტასო მაინც ვერ შეაშინა, ხან აქეთ გადაართო, ხან – იქით, ყველგან ფეხბურთია!

– ჯანდაბა ამის მომგონს! – ტასო ბურღუნით გაეცალა ტელევიზორს, კმაყოფილ კარლოს თვალები უბრწყინავს.

ამ დროს დენი გამორთეს, ტელევიზორის ეკრანი ჩაბნეულა.

– დიდება შენდა, ღმერთო! – ღაღადებს ტასო.

კარი III. როგორ, ფეხბურთის სანახავად არ წავიდე? უკეთესი რა უნდა ვაკეთო?

მეორე დღის ადრიალი დილაა.

ტასო და კარლო კიბეზე ჩამოდიან.

– დღეს ფეხბურთია, ტასოჯან, – ეუბნება კარლო, – საქმეებს დროულად მოვრჩეთ, საღამოს სტადიონზე მივდივარ. საით გირჩევენია – საყიდლები გინდა, მოითავო თუ...

– ჯერ კბილი დამიამდეს, ამ დამესაც მაწვალა, მე რე დანარჩენს მივხედავ... ოჯახისთვის ვიყიდი წვრილმანებს, იქნებ ჩემთვისაც ღმერთმა მამაშავოს რამე...

– ქმარს? – ელიმება კარლოს.

– ქმარს – ჩემი ჭირი, არ არის ღირსი; თუ შეეცდი, იქნებ იმასაც მიუტანო გადასაყრელი რამე...

ჩამოვიდნენ ეზოში, ახლაც, როგორც ყოველთვის, ბავშვები ფეხბურთს თამაშობენ. მეზობლები გამოფენილან აივნებ-შუშაბანდებში და თამაშს უყურებენ; გაცხარებული აზრთა გაცვლა-გამოცვლაა, ეზო საესეა შეძახილებით, მოთამაშეთა ყვირილით.

– მინადორა, როგორაა საქმე? – ეკითხება ერთ-ერთი ხნიერი ქალბატონი მოპირდაპირე მხარეს აივანზე გადმოყუდებულ დობილს. – ერთი ფეხბურთელი ვეღარ გაჩუქა რძალმა?

მინადორა მკერდზე იბრაგუნებს მუშტს:

– იხარე, ჩვენო მტერო, მესამეც გოგო შეგვეძინა!

– არა უშავს, შვილთაშვილი გეყოლება ფეხბურთელი! – აიმედებს მეორე ხნიერი ქალბატონი.

გაბრაზებული მინადორა შეგარდა ოთახში და კარი გაიჯახუნა.

ტასო შეცბუნებულია – როგორ გაიაროს ეზოში? ბავშვები ბურთის მეტს ვერაფერს ხედავენ, ისე დარბიან, ერთი რომ დაეჯახოს, წააქცევს კიდევ.

კარლო ჰკიდებს ხელს ტასოს და ფრთხილად მიჰყავს ეზოდან გასასვლელისკენ.

ტასო სულ ცდილობს, კარლო დამცავ ფარად გამოიყენოს, კარლოც მარდად იგერიებს მათკენ მიმგორავ ბურთებს და ერთი სული აქვს, თვითონაც ჩაერთოს თამაშში, მაგრამ ვაგლახს... მისი ასაკი და ღიპი... ერთხელაც მიგორდა ბურთი კარლოსთან, მანაც ვეღარ მოითმინა და, აზარტში შესულმა, ისე ძლიერად მოიქნია ფეხი, რომ... მიწას გამოჰკრა ფეხის წვერი და ზღართანით წაიქცა.

მის ხელზე ჩაფრენილი ტასო კინაღამ მიჰყვა და ისეთი იკივლა, რომ ფეხბურთის თამაში მაშინვე შეწყდა.

– უჰ, შენი დედა ვატირე! – ივინება გაწბილებული კარლო, რცხვენია, რომ ბურთს ფეხი ააცილა და შუა ეზოში მეზობელთა თვალწინ მიწაზე გაიშხლართა.

ტასო მიეხმარა კარლოს წამოდგომაში და ისევ იკივლა – ბიჭებს თამაში გაეგრძელებინათ და ახლა სწორედ მისკენ მოფრინავდა ბურთი. ამჯერად კარლომ ივაჟაცა, ბურთს ისე გამეტებით სდრუხა ფეხი და ისე კარგად “მოაჯდა” ბურთი ფეხს, რომ... მესამე სართულზე გაისმა ღაღანი –

ბურთი მიზანს მოხვდა! ამავე დროს, მეორე მხრიდანაც ჩამოიფრქვა საშინელი გრიალ-ლაწალუწი... იქ რაღა მოხდა? კარლომ ფეხზე დაიხედა და გაშრა – მარჯვენა ფეხსაცმელი არ აცვია!

კარლომ მიიხედ-მოიხედა – ბავშვები იმ წამსვე აორთქლდნენ, ეზო დაცარიელდა. მხოლოდ თითქოს ამ მიმე სიჩუმის მხრებზე დაწოლისგან შეშინებული და წელში მოხრილი კარლო და ასევე მოკუნტული ტასო დგანან ეზოს ერთ კუთხეში... თუმცა, ეზო მხოლოდ ბავშვების ღრიანცელისგან განთავისუფლდა, მას მეზობლების ხარხარი ჩაენაცვლა.

– ჰა, აღარ წავიდეთ? მომკლა ამ კბილმა!

– სად წავალ, ქალო! – პასუხობს კარლო, თან ათვალიერებს თეთრ წინდას საკუთარ მარჯვენა ფეხზე. – არაფერია, ბარიბარში ვართ! გუშინ მე ჩამიმსხვრიეს ფანჯარა, დღეს მე ვივაჟაკე! აფსუს, რა იტალიური ფეხსაცმელი დავკარგე! ვინდა დამიბრუნებს...

– ბარიბარში, როგორ არა! – დასცინის ტასო. – მაგ შენმა იტალიურმა ფეხსაცმელმა მართლაც ივაჟაკა, ალბათ მურაბების მთელი ზამთრის მარაგი იმსხვერპლა, მწარედ არ გადაგახდევინონ!

– არა უშავს, შენი ჩამოტანილიდან ვზღავ!

კარლომ ტასოს ხელი ხელში ჩასჭიდა და კოჭლობა-კოჭლობით მესამე სართულზე ახანხალდა და მაშინვე საწოლზე გაიშოტა.

სანამ კარლოს ტერფზე ტასომ ცივი საფენი დაადო და ტკივილი დაუამა, მერე კი სხვა ფეხსაცმელი მოუძებნა, სადილობის დრომაც მოაწია.

მერე – დაისვენეს, ისაუბრეს და გადაწყვიტეს, საქმეს სწეოდნენ – მართალია, კოჭლობით, მაგრამ კარლო სიარულს მაინც შეძლებდა.

როცა ქუჩაში გავიდნენ, შუადღე კარგა გადასული იყო.

ბელად პირდაპირ ეზოს შესასვლელთან ტაქსი იდგა, ვიღაც მგზავრი უკვე გადმოდიოდა მანქანიდან.

– თავისუფალია? – კარი გამოაღო კარლომ და პასუხს არ დაუცადა, ისე თითქმის შეაგლო ტასო უკანა სკამზე და სასწრაფოდ თვითონაც მოკალათდა.

კარლო მოიკუნტა სალონში, მძღოლს შეეხვეწა:

– ძმურად, ძალიან მეჩქარება, წავიდეთ!

ეტყობა, შოფერი სულაც არ ჩქარობდა ადგილიდან დაძვრას: თავი გაეყო სარკმელში და გაცხარებით ეპაექრებოდა ვიდაცას.

– ყველგან გიჟებში მოვხვდი! – თავი ვერ შეიკავა წამოძახებისგან ტასომ, კამათისა თუ გარჩევის საგანი დღევანდელი მატჩი იყო!

ვიღაც მეორე სართულის ფანჯრიდან თავგამოყოფილი ვერაფრით ეთანხმებოდა შოფრის მიერ შემოთავაზებულ ოპტიმალურ შემადგენლობას გუნდისა და ვერც ტაქტიკურ მონახაზს უქებდა მწვრთნელს...

გულწრფელად მიკვირს ტასოს გაკვირვებისა – თუ გინახავთ, ორი კაცი ფეხბურთზე საუბრობდეს და შეთანხმებულიყვნენ?

კარლომ ვერ მოითმინა და თვითონაც ისროლა ერთი-ორი რეპლიკა. კოცონს კიდევ თივის დამატება უნდოდა? ბოლოს, მგზავრ-შოფერ-ფანჯრიდან თავგამოყოფილის დისპუტი იმდენად გამძაფრდა, რომ გაბრაზებულმა შოფერმა, რომელიც ყველაზე ცხარე მოპაექრე ჩანდა, აღარ იცოდა, რა ექნა: გადამხტარიყო მანქანიდან და მეორე სართულიდან ქედმადლურად მოკამათესთვის ზევიდან ქვევით ჩამობრძანება შეეთავაზებინა ანგარიშის გასასწორებლად, თუ ჯერ მის მანქანაში მჯდომ პიროვნებასთან გაერჩია, ვინ იყო მტყუან-მართალი. საბედნიეროდ, შოფერმა ვნებების აბოზოქრებას ფხიზელი ანგარიში არჩია – ერთი მოწინააღმდეგე საკმაოდ შორს იმყოფებოდა, მეორე უფრო ხელმისაწვდომი იყო, მაგრამ ეს მეორე საკმაოდ მიმე წონისა გახლდათ, თანაც სწორედ მისგან ელოდა შოფერი მგზავრობის საფასურის მიღებას...

– ყვეენო, შენ ფეხბურთის ინჩიბინჩი არ გაგეგება, რა უნდა გელაპარაკო! – ხურდასავით მიუგლო ფანჯრიდან თავგამოყოფილს შოფერმა, ძრავა ჩართო და გაეცალა მოპაექრეს.

– სულელია ვიდაცა! – დაეთანხმა კარლო, უფრო იმიტომ, რომ კიდევ კარგი, ადგილიდან დაიბრუნენ და მძღოლს წესით არასდროს უნდა ეკამათო.

– პროფესორი! – ვერ ისვენებდა შოფერი. – ჩერჩეტი! ბაიბურში არ არის! დაცვაზე უნდა ზრუნვაო! ფეხბურთი ფლავის ჭამა ჰგონია! ჭკუის კოლოფი! დაცვა! დაცვა კარგია, მაგრამ ბურთი აღარ უნდა გაიტანო?! ეგ რაღა ფეხბურთია!!!

ამ ტირადის დროს გაფიცებულმა შოფერმა ორივე ხელი უშვა საჭეს, თან, დადასტურების მოლოდინში, კარლოსკენაც მოიხედა უკან, მანქანამ გვერდზე ისკუპა და შემხვედრ მანქანას შეასკდებოდა, რომ შოფერს არ მოესწრო და საჭის მკვეთრი მობრუნებით არ აეცილებინა შეჯახება.

– ვაიმე, დედა! – ჯერ კარს და მერე კარლოს მიეხეთქა ტასო. – არ გადაგვაყოლეთ ამ ფეხბურთს?! ნადლი გიჟები!

– ი?! – კვლავ უკან მოღრიაჯა თავი შოფერმა და ტასო უცხო ფრინველივით შეათვალიერა.

მანქანა ისევ გაექცა გვერდზე და კინაღამ ტროტუარზე ავარდნენ, მაგრამ შოფერმა ახლაც იმარჯვა და ბოლო წამს გამოასწორა მდგომარეობა.

მშვიდობიანად განაგრძეს გზა, მაგრამ ტასოს კი ყოველ მოხვევაზე გული უქანდებოდა და ერთი სული ჰქონდა, როდის ჩამოვიდოდა მანქანიდან.

– ფეხბურთია ჩემი ცხოვრება! – ტასოს გულის გასახეთქად ლაპარაკს აგრძელებდა შოფერი. – ეს ერთადერთი ჩემი სიამოვნებაა! თამაშიდან თამაშამდე აღარ ვიცი, დრო როგორ გავლიო! როცა თბილისის “დინამო” თამაშობს, ის დღე წითელი ფანქრით მაქვს კალენდარზე შემოხაზული... ოცი წელიწადია, ერთი თამაში არ გამიცდენია. ერთხელ ორმოცი მქონდა სიცხე, ვიწქე; შინიდან ვინ გამოიშვებდა, ჩუმად გავიპარე – ფანჯრიდან გადავძვერიო...

– ახლაც სიცხე ხომ არ გაწუნებ? – უბოდიშოდ მიახალა ტასომ. – გააჩერე, გააჩერე! ფეხბურთზე სიარულს არ ჯობდა, მანქანის მართვა გესწავლა?!

გადმოვიდნენ მანქანიდან, კარლომ მეორე ტაქსი გააჩერა და გზა განაგრძეს.

ეს შოფერი უარესი გამოდგა. ისე გააჭენა მანქანა, რომ ტასომ შიშით ხელი ჩაავლო გვერდით მჯდომ კარლოს, ინანა, რა მაყვირებდა, რას ვერჩოდი წინა მძღოლსო. თავში ერთი ფიქრი უტრიალებდა: “ოღონდ ახლა კი გადავრჩე და აწი თუ მე თბილისურ ტაქსში ჩავჯდე, ფეხი მომტყდეს!”.

შუახნის შოფერი ისე იყო აღრენილი რაღაცაზე, რომ წამდაუწუმ იგინებოდა, ვერ იტანდა, როცა ვინმე უსწრებდა ან მის საკუთარ თარეშს ხელს უშლიდა ამ თბილისურ ავტორალიში.

– ო, შე კარგ... გაიწი, შენი დედა... – სულ ბურტყუნებდა.

– ცოტა ნელა, კაცო! – კარლოც კი შეფიქრიანდა.

– მეჩქარებაო, შენ არ მითხარი? – მოუბრუნდა შოფერი და კინაღამ კარლოსაც შეუკურთხა. – მეც მეჩქარება, ძმაო, დღევანდელი გეგმა დროზე უნდა ამოქაჩო...

– ჰო, ყველას სადღაც ეჩქარება, – დაეთანხმა კარლო.

– დღეს ფეხბურთია, ვეროპის ჩემპიონთა თასის მეოთხედფინალია, მთელი კვირაა, ამ დღეს ველი... როგორ, ფეხბურთის სანახავად არ წავიდე? მაშ უკეთესი რაღა უნდა ვაკეთო? დაწყებამდე ბევრი დრო აღარ დარჩა, შინ მისვლა, ჭამა და ტანზე გამოცვლა ხომ უნდა მოვასწრო? – განუწყვეტლივ ლაქლაქებდა, თან საჭეს მარდად ატრიალებდა, მანქანებს ერთიმეორეზე უსწრებდა, უმეტესობას – წესების დარღვევით. – კიდევ კარგი, ბილეთი სამი დღის წინ ვიყიდე, თორემ ახლა რაღას იშოვი, ხუთ თუმანზე ნაკლები არ ეღირება. ეკეთი თამაში ამ სეზონში არ ყოფილა...

– აუჰ! – შემოიკრა მელოტზე ხელი კარლომ. – ჩემი ამხანაგი შემჭამს!

– კაი გემრიელი ჩასახრამუნებელი ხარ, – გაეცინა ტასოს, – მაგრამა ზამთრამდე მოცდა ჯობს, გადულუნებულ ბუნართან ცხელ-ცხელი მწვადის მირთმევა...

– ჯანდაბას, ჩემი ბილეთი გაუქმდეს, შალვას როდისღა მივცე? სულ დამავიწყდა, რომ სამსახურში აღარ უნდა მივსულიყავი... გადავყევი ამ ორი ბილეთის შოვნას, ტყუილად ვიწვავლე! ტყუილად დავპირდი! – კარლომ საათზე დაიხედა და ტასოს შეეხვეწა: – ნახევარი საათი მაჩუქე, შევირბენ სამსახურში და ბილეთს მივცემ...

ტასო ყაბულს იყო, მაგრამ ამჯერად ტაქსისტმა მანქანა გააჩერა და გამოაცხადა:

– მორჩა, პოლიკლინიკამდე ვეღარ მიგიყვანთ!

– რატომ? – გულუბრყვილოდ იკითხა ტასომ.

– გზები მილიციამ უკვე შეკრა, იქით მანქანებს აღარ ატარებენ, სამ საათში ფეხბურთი იწყება!.. სწრაფად, სწრაფად დატოვეთ მანქანა!..

– ფეხბურთი, ფეხბურთი – ჯანდაბა და დოზანა! – ბურდღუნებს ტასო და მანქანიდან გადმოდის.

– არა უშავს, ახლოს ვართ, ფეხით ხუთ წუთში მივალთ... – ამშვიდებს კარლო. – აფსუს, ნახევარი საათით აღრე გამოვსულიყავით, ბილეთის მიცემას მოვასწრებდი...

– მე წამიყვანე! – მოულოდნელად აცხადებს ტასო. – ამდენი ხალხი გააგიჟა ამ ფეხბურთმა და ერთი მეც ენახო, რა ხილია!

– ხუმრობ თუ მართალს ამბობ? – უკვირს კარლოს. – ჩემი თავი გენაცვალოს! ოღონდ ფეხს მოუნქარე, ჯერ შენს კბილს დროზე მოვუაროთ...

– ნამდვილად ვხუმრობ, ეს თბილისის საგიჟეთია და ის სტადიონი კიდევ – საგიჟეთის საგიჟეთი, ქალს რა უნდა იქ?

კარი IV. აქ ექიმთან მომიყვანე თუ ფეხბურთზე სალაყბოდ მოეხეტე?

მიადგნენ სტომატოლოგიურ პოლიკლინიკას, რომლის კარებიც დაკეტილი დახვდათ – დღეს ფეხბურთია!

- რაღა ვქნათ? – წუხს ტასო. – თუ ძალიან შამაწუნა, შენ ამოგაღებინებ, იცოდლე!
- მეორე პოლიკლინიკაში წავიდეთ, იქ ძმაკაცი მყავს, ურიგოდ მიგიღებს.
- მეტე, ამხანაგი თუ გყავდა, სხვასთან რატომ მიგყავდი? – შარზეა ტასო.
- შორსაა...
- ტაქსი არ გამაგონო, თორემ ვიკივლებ!
- ავტობუსით და ტრამვაით მოგიწევს ყანყალი...
- შეეტენენ ხალხით გადატვირთულ ავტობუსში.
- სუნთქვა ჭირს, ხალხის ყაყანი ტასოს ცოტა შეეხებას ჰგერის.
- რამდენი დარჩა? – კითხულობს ვილაცა.
- მოჩანს ხელის საათების რიგი, მათი პატრონები ვინც ავტობუსში ცალ მხარეს მარცხენა ხელბით ჩამოკონწიალებულან – ყველა საათი უჩვენებს ხუთის ნახევარს.
- ორსაათნახევარი! – ისმის რამდენიმე ხმა, არაგინ კითხულობს, რა მოვლენამდე, ყველაფერი ისედაც ცხადია.
- შემდეგ გადასხდნენ ტრამვაიში.
- იქაც საათების რიგი...
- ყანყალი და ყაყანი...
- ხუთს აკლია ათი წუთი, როცა ტრამვაი ჩერდება და ტასო და კარლო ჩამოდიან.
- შედიან პოლიკლინიკის შენობაში, კედლის საათი უჩვენებს ზუსტად ხუთ საათს.
- კარლო და ტასო სხედან მისაღებში და იცდიან; მათ გვერდით რამდენიმე ყბაახვეული კაცი და ქალი კრუსუნებს.
- ტასომ რომ დაინახა მასავით გაჭირვებულები, ცოტა გულს მოეშვა.
- ორი მათგანი განსაკუთრებით ვერ ისვენებს, წრიალებენ, აღარ იციან, რა ქნან. ერთი მათგანი დიდცხვირაა, მეორეს თბილისური, საჩეხიანი ქული ახურავს, რომელსაც ხუმრობით “აეროდრომს” უწოდებენ და სულ არ შეეფერება ხანშიშესულ კაცს.
- გრძელცხვირამ დროის გასაყვანად ამოიღო ფეხბურთის მატჩის პროგრამა და უკვე მეთხუთსეულ ათწუღიერებს გუნდების შემადგენლობას.
- ქულიანმა გვერდიდან ჩაიჭყიტა ფურცელში და ჰკითხა:
- პატივცემულო, შემადგენლობას ზეპირად სწავლობ?
- მაგი არა შენი საქმე! – შეუღრინა გრძელცხვირამ; ისედაც კბილმა გატანჯა და ახლა ვილაც ხუმარა აკლდა კიდევ!
- წიწიბურაძე თუ ითამაშებს? – დაინტერესებულია “აეროდრომის” პატრონი.
- კი, აგერ წერია, მარცხენა გარემარბად, – პასუხობს გრძელცხვირა, გაუხარდა: ფეხბურთის მოყვარული ყოფილა ეს პატიოსანი კაცი, რას ერჩი!
- კარლო ჩაერთო საუბარში:
- წიწიბურაძეს ტრავმა აქვს, მის მაგივრად კალუბლიშვილი ითამაშებს.
- რა დამარტა? – კითხულობს “აეროდრომი”.
- ვარჯიშის დროს დაშავდა, – ავტორიტეტულად აცხადებს კარლო.
- რა იცი? – კითხულობს გრძელცხვირა.
- გუშინ ვიყავი სტადიონზე, მცირე ვარჯიში ჩაატარეს.
- გაიბა საუბარი.
- არა, ძმაო, ეგეთი ძლიერი გუნდი წელს თბილისში არ ჩამოსულა! – ამბობს გრძელცხვირა. – აი, შმიდტი, როტლუფი, ნაგელი, მონკი, კოკოშკა, – ხუთი კაცი შედის ნაკრებში, მაგარი გუნდია.
- სწორია, – კვერს უკრავს “აეროდრომი”, – მაგრამ თბილისის “დინამო” მაგას მაინც წამოაჩოქებს... ჩვენები მაგარ ფორმაში არიან! ტყუილად კი არ არის ოთხი კაცი ნაკრებში გამოძახებული!
- მე რომ მკითხვო, ორ-სამს კიდევ ავიყვანდი ნაკრებში, – ამბობს კარლო. – ჯონჯოლია, მსხალიაშვილი და კიტრაძე თუ არ მომწიფდნენ ნაკრებისთვის, ვინ გყავს მაგათზე უკეთესი?
- ჯონჯოლია და მსხალიაშვილი კი, ბატონო, ზოგიერთ შეხვედრაში საუცხოოდ თამაშობდნენ, მაგრამ სტაბილურობა რომ აკლიათ? – “აეროდრომიანმა” მოპაექრემ ქული მოიხადა და მელოტზე ცხვირსახოცით ოფლი შეიმშრალა. – ვერც კვახიძეს ვენდობი, ერთ თამაშში რომ ბრწყინვალეა, შემდეგ მატჩში ვეღარ იცნობ, ისე გააფუჭებს თამაშს.
- კვახიძესაც და კიტრაძესაც, – დააზუსტა კარლომ. – ასეა თუ ისე, დღეს მაგ გერმანელებს დავამყნობთ გემოზე!
- მთავარია, აქ ბურთი არ გავატანინოთ, – აცხადებს დიდი სტრატეგის იერით გრძელცხვირა. – აქ ისე როგორ გავფუჭდებით, ორი-სამი ბურთი არ გავუტანოთ!
- მე მგონი, 3 : 0 ან, უკიდურეს შემთხვევაში, 3 : 1 იქნება ანგარიში! – ვარაუდობს “აეროდრომი”.

- ქვეყნის ჩემპიონატში თხუთმეტი ტურია ზედიზედ, ჯერ არ წაგვიგია, თან ბოლო თამაშებს სულ დიდი ანგარიშით ვიგებთ, - ამბობს კარლო და მხოლოდღა ახლა ამჩნევს, რომ ტასო კარგა ხანია, ქიმუნჯებს ჰკრავს გვერდში. - რა იყო, ტასოჯან, არ ვარ მართალი?
- აქ ექიმთან მამიყვანე თუ ფეხბურთზე სალაყბოდ მოეხეტე? - ეკითხება ტასო.
- ტასოჯან, შემოგვიერთდი, ამაზე კარგი სალაპარაკო რაღა იქნება; ნახე, თუ შენც არ გაგია-როს კბილის ტკივილმა!
- რა კარგია, როცა სხვასა სტივია კბილი, არა?! - წყენით ეუბნება ტასო. - ტყუილად დაგწო-წიალობთ აქეთ-იქით...
- რა ვქნა, დაო, ჩემს ძმაკაცს გუბაზაძეს წესით ოთხი საათიდან აქვს ავადმყოფთა მიღება, უკვე ექსის ოცი წუთია და ჯერაც არ მოსულა.
- ზუსტად შენა გგაგ შენი ძმაკაცი!
- ფუი, როგორ ვერ მოვიფიქრე!.. დღეს ხომ ფეხბურთია!
- ისიც ფეხბურთის გიჟია?
- არ მოვა!
- რატომ, კაცო, ჰა? მაშ, რაღას ვუცდით, უნდა მამკლა აქა? - უტევეს ტასო.
- მოიცა, რაღაცას მოვიფიქრებ... მთავარ ექიმთან შევალ, თავს მოვისაწყველებ, შენც წამო... სოფ-ლიდან ჩამოსული ხარ, უთხარი, ერთი კვირა არ დამიძინია-თქო...
- ათ წუთში ტასო ზის გაჭიმული, დაჭიმული ნერვებით სტრმატოლოგიურ სავარძელში და პირი აქვს დაფჩენილი დღაგვივით, თითქოს მთელ ქვეყნიერებას უპირებდეს გადაყლაპვას...
- ჭაღარა ექიმი კაცი რაღაც მანიპულაციებს უტარებს, მერე წამალს უდებს კბილში.
- პირი არ დახურო, ახლავე მოვალ! - ამბობს ექიმი და გადის ოთახიდან.
- დიდ ოთახში ათამდე სტრმატოლოგიური სავარძელი დგას, თითქმის ყველა დაკავებულია ავად-მყოფებით, მხოლოდ ტასოს გვერდზეა თავისუფალი.
- შემოვიდა ლამაზი ქალი, ხელი ლოყაზე აქვს მიღებული; ლამის ტირის, ისე აწუხებს კბილის ტკივილი.
- ტასოს პირი ღია აქვს, გვერდზე უდგას კარლო.
- რაღა ვქნა?! - კრუსუნებს ლამაზმანი და ცარიელ სავარძელში ჯდება.
- ტასო თვალებს უბრიალებს კარლოს, მერე იძულებულია, იდაყვი გაჰკრას: მიხედე, ბიჭო, შეხედე, რა ქალია, არ გეცოდებაო?
- კარლო ფეხბურთის პროგრამას ჩაჰკირკიტებს, დროდადრო მაჯის საათს დახედავს. ტასოს შე-მოტევის გამო, იძულებულია, ქალბატონს ყურადღება მიაქციოს.
- ძალიან გაწუხებთ, ქალბატონო? - მიმართა მოწიწებით.
- ქირურგიულ განყოფილებაში არავინ არის, იქნებ აქ მიშველოს ვინმე ქრისტიანმა?
- რა გტკივათ?
- კბილი მაქვს ამოსადები, სულ ვაჭიანურები, სანამ ცუდად არ გავხდით...
- მე რა შემიძლია, ქალბატონო... - დაბნეული ხელებს შლის კარლო და უცებ წამოიყვირა: - ვაი!..
- თქვენც გაწუხებთ კბილის ტკივილი? - თანაგრძნობით შეხედა ქალბატონმა კარლოს.
- ქალბატონო, მე სხვა ჭირი შემეყარა...
- ტასომ ისევ მტკივნეულად დაადგა ფეხი კარლოს ფეხზე და თვალებიც დაუბრიალა - მიდი, ეგერ კედლიდან ჩამოსხენი თეთრი ხალათი და ჩაიცვი, ხომ ხედავ, რა მშვენიერი ქალია, ყასიდად მაინც ჩახედე პირშიო.
- კარლო უძალიანდება, ხელებით და მიმიკით ელაპარაკება ტასოს, ხომ არ გააფრინე, რომელი ექიმი მე მნახეო. ტასომ მუშტი უჩვენა, კარლომ ამოიხენეშა და ხელის კანკალით ჩაიცვა ხალათი, თან ენის ბორძიკით ესაუბრება ქალს:
- ქალბატონო, ასეთი მწუხარე, მარტო რატომ გამოგიშვეს შინიდან? ქმარი ან შვილი რატომ არ გამოგყვამთ?
- გაუთხოვარი გახლავართ! - ამაყად განაცხადა ქალბატონმა, ეტყობა კბილის ტკივილს ყოყ-ლოჩინობამ სძლია.
- ტასოს უნდოდა ქალისთვის რაღაცის თქმა, ერთი მენი კი დაგაყარე, ვისთვის ინახავ მაგ სილა-მაზეს, მალე დატკნებით, კარლოს კი მალღა ამართული ცერი აჩვენა, კარგად მიდის შენი საქმეო. თან კანჭში ერთი ისეთი გამოჰკრა ფეხსაცმლის წვერი, რომ ოცდაათი წლით ახალგაზრდა რომ ყო-ფილიყო და ქალთა ფეხბურთიც დაფუძნებულიყო, მისგან მშვენიერი მცველი დადგებოდა.
- ტასოს ამ შეტევას კარლომ საჩქაროდ შეაგება საპასუხო სვლა, მშვენიერ ქალბატონს მიმართა:
- აბა, ერთი მანახვეთ!
- ქალმა პირი დაადო, კარლო გულდასმით ათვალთვლებდა მის პირის დრუს, ამისთვის პროექტო-რივით მოწყობილობაც კი მიანათა... ამით ქალს თვალები დაახუჭვინა და უფრო თავისუფლად იგ-

რძნო თავი – ხელ-ფეხი იმდენად აღარ უკანკალებს. კარგა ხანს ათვალიერებს, მაგრამ ვერაფრით მიხვდა, რომელია მტკივანი კბილი, თან თავი სულ ტასოსკენ აქვს მიღრეჯილი – ახლა რა ვქნაო. ტასოც მუნჯურად ელაპარაკება – გაიხედე, შენს გვერდით სავარძელში დაჯდა ვიღაცა კბილის ამოსაღებად და იმას უყურე და შენც გაიმეორეო.

ერთ ინგლისურ კომედიურ ფილმში რომ სიტუაციაა ნაჩვენები, მსგავსად განვითარდა მოვლენები ჩვენს შემთხვევაშიც.

კარლოს ახლა მეორე მხარეს აქვს მიბრუნებული სახე – გვერდზე ექიმი პაციენტს სინჯავს. კარლო გულდასმით აკვირდება და ცდილობს, მიბაძოს ”კოლეგის” მანიპულაციებს.

აილო პატარა მონიკელებული ჩაქუჩი, მსუბუქად მიუკაკუნა ერთ კბილს:

– ხომ არ გეტკინათ?

შემდეგ კბილზე მიკაკუნება ოდნავ ძლიერი მოუვიდა, ქალმა წამოიკივლა და, გაბრაზებული, წამოხტა.

– ეს ყოფილა! – უხარია კარლოს.

ქალი დაეშვა სავარძელში, წამოიკნავლა:

– არა, გვერდზე...

კარლო მეთოდურად განაგრძობს კაკუნს კბილებზე, ოღონდ უფრო ფრთხილად.

– ვაი! – წამოიყვირა ქალმა.

– ხომ მივაგენი!

– შე ოხერო, ხელით მოგესინჯა, მოფამფალებულ კბილს ველარ არჩევ ჯანსაღისგან? – ჭინჭყლობს ქალი. – გაჭირვება თქვი, თორემ აქ მომსვლელი ვიყავი?

კარლო ცდილობს, ტკბილი სიტყვებით დააწყნაროს ქალი, თან მეზობლად მოფუსფუსე ექიმს აკვირდება.

აილო ერთი გაზი, არ მოეწონა, მერე მეორე შეარჩია...

ჯერ ვითომ ტასოზე უნდოდა ცდის ჩატარება, მაგრამ ბიძაშვილმა ისე დაუბრიალა თვალები და ლაზათიანი ქიმუნჯიც უთავაზა, რომ...

– მოდი, ჯერ საკუთარ კბილს ამოვიღებ, – ამბობს კარლო. – ერთი კბილი მეც კარგა ხანია, მაწუსებს და ვერაფრით მოვიცალე მის მოსაგლეჯლად, ახლა უკეთეს დროს როდისღა ვიშოვიო...

კარლო სარკესთანაც კი მივიდა და პირიც დაადო, მაგრამ შეეშინდა და ლამაზმანს მიუბრუნდა.

– წესით, ნემსის გაკეთებაა საჭირო... – ბურტყუნებს თავისთვის კარლო. – გეთაყვა, კარგად გააღეთ პირი!

კარლო კბილს დაეჯაჯგურა...

ჰოი, საოცრებაე!

გაოგნებული კარლო დგას და ხელში გაზით ამოღებული კბილი უჭირავს... ეტყობა, კბილი ისეთი მოფამფალებული იყო, რომ მხოლოდ ერთი სულის შებერვასღა უცდიდა...

– ჰა, როდის დააყენებთ საშველს? – კრუსუნებს ლამაზი ქალი და მაქმანიან ცხვირსახოცს პირზე ისვამს.

– ა, ბატონო, თქვენი კბილი, აწი მოისვენებთ! – კარლო აჩვენებს კბილს, შემდეგ გამოწვილი ცხვირსახოცზე დებს.

ქალმა გააკვირვებით დახედა:

– მე არაფერი გამიგია! უღრმესი მადლობა! ბოდიშს ვინდი, რომ უსაფუძვლო საყვედურები გაკადრეთ! უღრმესი მადლობა! – წამოხტა და კარებისკენ წააცუსცუსდა.

ტასომ ხელით მოქაჩა კარლოს პიჯაკის სახელოზე, შემდეგ მიმიკით და თავის ქნევით აგრძნობინა – შე ბედოვლათო, გაყვე, ორიოდე სიტყვა უთხარიო.

კარლო ქალს გაეკიდა, დერეფანში გავიდა და იქ ტასოს ექიმს გადაეყარა, რომელიც გრძელცხვირას ცხარედ ეპაექრებოდა რომელიღაც ტაქტიკური სქემის გამო.

– ერთი რა შემადგენლობაა, ძმურად მანახე, – ექიმმა გრძელცხვირას გამოართვა მატჩის პროგრამა. – კიტრადე, ჯონჯოლია... ბედოვლათები... ხახვადეს საერთოდ გავაგდებდი გუნდიდან... წიწიბურაშვილი... დამბლა, ეგ რაღამ გამოაყვანინა...

– წიწიბურაშვილის მაგივრად ალუბლიშვილი ითამაშებს! – ამაყად აცხადებს გრძელცხვირა. – ტრავმა მიიღო გუშინ ვარჯიშის დროს!

– ალუბლიშვილი კი არა, კალუბლიშვილი, პატივცემულო! – არ შეუძლია არ გაჩერდეს და არ შეუსწოროს კარლომ; მერე ექიმს ეხვეწება: – პატივცემულო, იქ გაჭირვებული ავადმყოფი გელით, ჭერზე ყველა ბუზები დათვალა და გადათვალა...

– ახლავე, ჭირიმე... მსხალიაშვილი და ატამაძე საბალეტო სკოლაში უნდა გაუშვა, რა მაგათი საქმეა ფეხბურთი! – ამბობს ექიმი. – კვახიძე კიდევ დიდი ხვითო, ნაღდად რამდენიმე ბურთს გაიტანს, დასეირნობს მინდორზე თავაწეული საადგომო ბატივით, ვაი მაგის პატრონს, უბედურს!

– კვახიძე მინდორს ხელავს კარგად, მშვენიერი დრიბლინგიც აქვს... – არ ეთანხმება დიდცხვირა.

– მინდორს მეც კი ვხედავ და მაგაზე კარგადაც. ბურთი თუ არავის მიაწოდა და იბორიალა ზე-
ვით-ქვევით უთავო ქათამივით, დიდი შეღავათია, – თავისას განაგრძობს ექიმი.

– შენც გესმის რაღა! მთელი გუნდის დისპეტჩერი ეგაა, მაგაზეა აწყობილი თამაში და მოთხარე
ძირიანად! – ისევ ეპაექრება დიდცხვირა.

– მე მგონი, მსხალიაშვილი ცენტრში უნდა გადიოდეს დროდადრო, სულ მარჯვენა ფრთაზე რო-
მაა მიბმული, – ამბობს “აეროდრომი”.

– იქაც არ უქნია ღმერთს და ცენტრში რას იხეირებს, საკუთარ თავს მოატყუებს... – პასუხობს
ექიმი.

კარლო სახელოში ექაჩება:

– ბრწყინვალე სპეციალისტი ბრძანდებით, პატივცემულო, და ჩემი საწყალი ბიძაშვილი პირდაფ-
ჩენილი რომ გიცდით, არ მიხედავთ?

– მოვდივარ, მოვდივარ... – როგორც აბეზარ ბუზს, ისე იცილებს კარლოს ექიმი. – დღეს გა-
მოჩნდება, ვინ რას წარმოადგენს, ნათქვამია, აბანოში გამოჩნდება თეთრი და შავიო.

– დავამყნით გერმანელებს, დამიჯერეთ, თუ გინდათ, დავნაძღვევდეთ! – ამბობს კარლო, უფრო
ექიმის ჯინაზე. – წამობრძანდით, პატივცემულო!

– წელს თბილისის “დინამო” მაგარია, დღეს რას იხამს, არ ვიცი და ჩემპიონატში გამარჯვების
დიდი შანსი აქვს! – ამბობს გრძელცხვირა.

– მსაჯებმა თუ გაგვიჩმახეს, დარჩენილ ოთხ შეხვედრაში ოთხ “ბუბლიკს” მოგვართმევენ, – ვა-
რაუდობს “აეროდრომი”.

– შენ მაგრად ითამაშე და მსაჯი, ბოდიში და, რა ფეხებს მოგჭამს! – პასუხობს ექიმი.

– წინა შეხვედრაში რომ წიწიბურაშვილი მცველებმა მოცელეს საჯარიმოში, ასპროცენტისანი პე-
ნალტი არ იყო? – გაცხარდა “აეროდრომი”. – მსაჯი გვერდზე იდგა და დავიჯერო, ბრმა იყო?

– წიწიბურაშვილი თავისით წაიქცა, ბურთისთვის ძალისმიერი ბრძოლა დასაშვებია, – ამბობს
ექიმი.

– კაცს კინაღამ ფეხი მოსტეხეს და ამას უწოდებ შენ წესების დაცვას? – პასუხობს “აეროდრო-
მი”. – ვერ ხედავთ, დღესაც ვერ ითამაშებს?

– კაცო, ჩემი თვალით დავინახე, კოსტად მოცელეს, წყალი არ გაუვიდოდა! ვისაც გინდა, ჰკითხ-
ე! – ეთანხმება წინა ორატორს დიდცხვირა.

– მაგარი დაოსტატებული არიან ლამაზად წამოგორებაში! – თავისას გაიძახის ექიმი. – სიმუ-
ლიანტობას არ ჯობს ვაჟკაცური ბრძოლა?

– არც ის იყო ნაღდი თერთმეტმეტრიანი, ჯონჯოლია რომ ჩავიდა საჯარიმოში და ისეთი სარ-
მით გაუმასპინძლდნენ, ათი მეტრი იფრინა ჰაერში! – წამოიძახა “აეროდრომმა”.

– ბატონო ექიმო, ჩემი ბიძაშვილი გაჭირვებულა... გიცდით, რა ხანია... – ეხვეწება კარლო.

– ახლავე, ახლავე... – პასუხობს ექიმი. – ჰო, საკაცით გაიტანეს ვითომ და ხუთ წუთში კვიცი-
ვით დაკუნტრუშობდა მოედანზე! გოლიც კი გაიტანა!

– დღესაც გიტანს, ორს ან სამს, ერთს კი – უეჭველად! – ამბობს დიდცხვირა.

– ბატონო ექიმო, ფეხბურთზე გვაგვიანდება, ექვსი საათი სრულდება... – ბოლო ხერხს მიმართა
კარლო.

– რაა?! – დაფაცურდა ექიმი. – აუჰ, დავაგვიანეთ, კაცო? მერე, აქამდე რატომ არაფერი მითხა-
რი?

სირბილით დაბრუნდა კაბინეტში, უკან კარლო მიჰყვებოდა.

მაშინვე ტასოს პირიდან ბამბები ამოაცალა, “თავისუფალი ბრძანდებით! ხვალ-ზეგ გამოიარეთ!”
– ეს სიტყვები ესროლა; შემდეგ თეთრი ხალათი სწრაფად გაიხადა, ისიც მოისროლა გვერდზე და
სწრაფად გაუჩინარდა.

– აქ სად მამიყვანე? – ლამის მუშტები დაუშინა ტასომ კარლოს. – არ გეცოდები, შე მუდრეგო,
შენა, ჰა? აქ ათასი ექიმი ქალია, რაღა ერთადერთ კაცთან მიმიყვანე, ისიც – გიჟთანა, ჰა?

– ტასოჯან, მილიონიან ქალაქში სულ ცოტა ნახევარი მილიონი ფეხბურთის გულშემატკივარი
მანც იქნება და, შენის აზრით, ისინი ყველანი გიჟები არიან?

– იჰ!.. – ჩაიქნია ხელი ტასომ. – შენც იმათ სიაში წერიხარ!

– მაშ, მეც გიჟი ვყოფილვარ, არა?! მაშინ, მოდი, ერთი გიჟური ახირება შემისრულე!

– არ მითხრა ახლა, მესამე სტომატოლოგიურ პოლიკლინიკაში წავიდეთო!

– არა, ტასოჯან, ფეხბურთის სანახავად წავიდეთ!

– გაგიჟდი?!

– შენ არ მითხარი ახლა, გიჟი ხარო? არ გინდა, განახო ერთად შეყრილი კიდევ სამოცდათხუთ-
მეტი ათასი გიჟი? წავიდეთ, რა! დღეს ისეთი თამაშია, რომ არ ვნახო, გადავირევი! როდისღა ვნახავ
კიდევ შმიღტის, როტლუფის, ნაგელის, კოკოშკას თამაშს!

– ეგენი ვინ ოხრები არიან, მაგათი გულისთვის მე თავი მოვიკლა!

- ამ ფეხბურთელებს მთელი მსოფლიო იცნობს! ტასოჯან, დიდ სიამოვნებას ნახავ მაგათი თამაშისგან...
- მე რა, მსოფლიოს გარეთ მტოვებ? მთვარეზე ხომ არ ვცხოვრობ? მე რატომ არ გამიგია მაგათი სახელი?
- ამგვარი ლაპარაკ-ლაპარაკით გამოვიდნენ პოლიკლინიკის შენობიდან და ქუჩას დაუყვნენ.
- კარგი, ტასოჯან, მივდივართ თუ არა?
- ჯანდაბას შენი თავი, გიჟ ტასოს მაშ ტყუილად მეძახიან?
- შენ კი გენაცვალე! - ეცა კარლო და გადაჰკოცნა... და - ტკაც! - გემრიელი ალიყურიც მიირთვა ტასოს პატარა, მაგრამ ქვასავით მაგარი ხელისგულისგან.
- კარლოს გაბადრულ სახეს ოდნავი ჩრდილიც კი ვერ მიაყენა ან მცირე ინციდენტმა:
- ოქრო ხარ, ოქრო, ტასოჯან!
- მაშ არა და, შენა გგეგვარ!
- კარლომ ჩაავლო ხელი ტასოს ხელში და თითქმის სირბილით გასწიეს.
- არიქა, ტასოჯან, ჩქარა! ორმოცდახუთ წუთში სტადიონზე უნდა ვიყოთ! აგერ ტრამვაი მოდის, იქნებ გაჩერებასთან მივასწროთ!

კარი V. პლექსანოვის გამზირზე მიედინება მოზიმზიმე ბრბო...

- მაგრამ... ქუჩაზე გადასვლა არ გინდა? მართლაც ფეთიანებივით მიგლიჯინობენ მანქანები...
- მივიდნენ გზაჯვარედინთან და უცდიან მწვანე სინათლეს შუქნიშანზე.
- როცა ფეხით მოსიარულეთათვის გადასვლის ჯერი დადგა, გადასვლა მაინც გაუჭირდათ - მანქანები პატივცემულმა თბილისელმა მძღოლებმა პირდაპირ გადასასვლელებზე გააჩერეს.
- ტასო მივარდა უახლოესი მანქანის მძღოლს და შეუტია:
- სადაც წესით უნდა გაჩერდეს, იქ ვერ დააყენებ მანქანასა, ჰა? თუ ეს ერთი მეტრით წინ წამოწევა აგაშენებს? კაცო, გადასვლა აღარ მინდა? შენს მანქანას გადავასტე? თავგედო!
- ამ დროს მძღოლთათვის მწვანე შუქნიშანი აინთო და შოფერმა ამჯობინა, წასულიყო, ვიდრე ვიდრე კაპას ქალთან პაექრობაში ჩაბმულიყო, მხოლოდ წაიბურღლუნა: “წადი, შენი...” ალბათ ფეხბურთზე მიექჩარებოდა.
- ზღვა მანქანები მიედინებოდა.
- როცა ისევ მწვანე აინთო შუქნიშანში ტასოსა და კარლოსთვის, ისევ ვერ შეძლეს გადასვლა, რადგან მათი გადასასვლელი გზა ისევ ჩაიხერგა გაჩერებული მანქანებით, ნაწილი კი მოუთმენლად წინ მიძვრებოდა, რამდენადაც შეეძლო.
- ტასო ისევ გაიქაჩა, ვინმე შოფერი უნდა გაელანძღა, მაგრამ კარლომ დააკავა.
- ვაჰ, ჩემს მწვანე შუქზე ვერ გადავდივარ, მაშ სულ აქ უნდა ვიდეგე? - გაწიწმატდა ტასო.
- სხვა გზა არ არის, წითელზე უნდა გადაიბინო! - გაეხუმრა კარლო.
- შენა, ბიბიკო, მოხისელი ხომ არ ხარ? - დაეჭვდა ტასო.
- ჩაიარა ტრამვაი, ისე იყო დახუნძლული მგზავრებით, პირდაპირ სასწაულებრივად.
- ამ პატრონძალებს სიცოცხლე მობეზრებიათ?! - გაოცდა ტასო. - ნამდვილი საგიჟეთია, უკან რაღას ეკიდებიან, ჰა?
- ფეხბურთზე მიექჩარებათ, რას იზამ! ისევ ფეხით უნდა ვიაროთ, ტასოჯან, შეიძლება, მეორე ტაიმს მაინც მივუსწროთ!
- შენ გინდა, რომელიმე ამ დამთხვეულმა გამჭყლიტოს?
- ამ დროს გაჩერდა მანქანა - წითელი ფერის “უიგული” - და მისი ფანჯრებიდან კარლოს ძმაკაცებმა გამოყვეს თავები.
- საით, კარლო? ფეხბურთზე არ მოდიხარ?
- ფეხბურთზე კი არა, ვერსადაც ვერ მოვდივართ... გავეჩხირეთ!
- ბილეთები გაქვთ?
- გვაქვს...
- დასხედით, წაგიყვანთ!
- ტასო გაოცებულია - მანქანაში ისედაც უკვე ხუთნი სხედან, კარგა მოსული, დიპლორული კაცები, კიდევ ორი მგზავრი სადღა უნდა ჩატენონ? მერე, მანქანა დაძრავს ამდენ ტვირთს?
- მძღოლის გვერდზე მჯდომმა თავისი ადგილი ტასოს დაუთმო, თვითონ უკანა სავარძელზე ერთ-ერთ მჯდომს კალთაში ჩაუჯდა, მეორეს - კარლო ჩაუჯდა ასევე მუხლებზე...
- მანქანა მიიმედ დაიძრა ადგილიდან და განუწყვეტელი დაპიპინებით წინ მიიწივს მანქანებითა და ხალხით გატენილ ქუჩაში, მანქანების უწყვეტად ჩართულ სიგნალებს ყურთასმენა მიაქვს...

ნახევარ საათში უკვე ჩელუსკინელების ქუჩაზე არიან, იქით მანქანებს აღარ უშვებენ. მანქანის დასატოვებლად ერთ-ერთ ეზოში შედიან და ხორხოცით გადმოცვივდებიან მანქანიდან – გაოფლილები, დაჭმუჭენილებიც კი...

პლენარის გამზირზე მიედინება მოზიმზიმე ბრბო... ყიდულობენ მოხალულ მზესუმზირას, ნაყინს (სთავაზობენ ტასოსაც, მაგრამ ის მტკივან კბილზე მიუთითებს), ბლომად ძველ გაზეთებს...

– გაზეთები რაღად გინდათ? – კითხულობს ტასო.

– ერთი – სკამზე დასაფენად, მეორე – ქულის გასაკეთებლად!

ყიდულობენ პროგრამას, დღეულებს და დეჟავა-დეჟავითა და მხიარული ლაპარაკ-ლაპარაკით, სიცილით, ხალისიანად მიაბიჯებენ სხვებთან ერთად სტადიონისკენ.

– ამდენი მოცლილი ხალხი რომ ავსებს ქუჩას, ყველანი ფეხბურთის საყურებლად მოდიან? – განცვიფრებულია ტასო. – სად უნდა დაეტონ?

– არა, ტასოჯან, სტომატოლოგიურ პოლიკლინიკაში მიექარებათ! – გაეხუმრა კარლო.

– მერე, რაღა ყველას ახლა ასტივდა კბილი? – ვითომ ვერ გაიგო ხუმრობა ტასომ. – ყველა კი რომ ავადმყოფია, კარგად ვხედავ!

მიედინება ფართო მდინარესავით ხალხის ჭრელი ნაკადი და – აჰა, სტადიონიც გამოჩნდა! აქ მილიციონერთა პირველი ძეწკვი უნდა გაიარონ.

– სალაპი, ბეჟანი! – ესალმება ბურთივით მრგვალ, შუახნის კაცს კარლო. – რამდენი წელია, ერთმანეთი არ გვინახავს! როგორ ხარ?

– ცუდად, ჩემო კარლო! კაცო, ვწრიალებ, ვტრიალებ საფანგში დაჭერილი თაგვივით, არ ვიცი, რა ვქნა – ბილეთი ვერ ვიშოვე!.. – ხელებს შლის ბეჟანი.

– რაღა, უშენოდ არ იწყებენ თუ? – იცინის კარლო და ხელს მიუტყაპუნებს ღიპზე. – ხომ გითხარი, სპორტს მისილე, ბიბიკო-მეთქი, ახლა ქე გადაძვრებოდი კოხტად სტადიონის მესერზე აიმ ბიჭივით! შეხედე, შეხედე, რა მარჯვე ბიჭია, ორი მილიციონერი გაეკიდა და მაინც ვერაფერი დააკლეს!

– ეჰ, ჩემს ჯველობაში იმდენჯერ გადავბარულვარ, არც დამითვლია! – ხელი ნაღვლიანად ჩაიქნია ბეჟანმა.

– კარგად იყავი!

აჰა, სტადიონის შესასვლელიც!

კარი VI. ზევით-ქვევით რომ დატორღიალობენ ამხელა მუტრუკები, გადაირია ქვეყანა?

თავიანთი ადგილების მაძიებელი მაყურებლები ძლივს მიიკვლევენ გზას – კიბეებიც კი უკვე დაჭედებულია ხალხით. არის ყაყანი, ბუზღუნი, მაგრამ ყველა მაინც სასიამოვნო სახილველის მოლოდინშია და უფრო ხუმრობა ისმის, ვიდრე უკმაყოფილება. ხანდახან, სხვა გზა რომ აღარაა, ვიღაც უნდა ააყენო, გადააბოტო ერთი რიგიდან მეორეზე...

– ე, მუტრუკ ივანიჩ, ფეხს თავზე მაღვამ და ბოდიში მაინც მოიხადე!

– დიდი ბოდიში, ბატონო ჩემო, ეს ცხელ-ცხელი ნაყინი მიირთვი საფასურად!

– მოდი, კაცო, აქაც გამოიარე, ნაყინიც წამოიძვანე!

– შენ ცოდო ხარ, ყელი გაგიცივდება და ველარ იყვირებ!

წინ მიმავალმა გზის გამკვალავმა კარლომ ტასო მიიყვანა მათ ადგილებამდე, მაგრამ... ისინი უკვე დაკავებული იყო და მეტიც – თითო ადგილზე ორ-ორი კაცი იყო ჩატენილი.

– ჩემი ბიბიე, ერთი ყლუპით ჩაიწიე! შენც!.. – შეეხვეწა კარლო ორ ახალგაზრდა ბიჭს. – ეს ჩვენი ადგილებია და რამენაირად...

დროზე მოვიდნენ: ფეხბურთელები უკვე მოთელვას ამთავრებენ, დიქტორი აცხადებს მოპაექრე გუნდების შემადგენლობებს.

კარლო მეზობლად მსხდომთ ათვალიერებს – თუ გვერდით “კარგი ხალხი” შეგხვდა, თამაშით მიღებული სიამოვნება ორკეცდება; როგორც ცნობილია, ადამიანი საზოგადოებრივი არსებაა და კოლექტივში გრძნობს სიძლიერეს, სიამაყეს... და თამაშის ყურების დროს აზრთა ურთიერთგაცვლა საოცარ ღრმა დაკვირვებებს გაგაკეთებინებს და აფორიზმებსაც კი წარმოგათქმევინებს; მეორე მხრივ, მწუხარება და იმედგაცრუება ბევრად ადვილი გადასატანია, როცა შენთან ერთად ამასვე განიცდის რამდენიმე ათასი ადამიანი...

– ნიდერშტადტის “ქიუქამბერი” გამოდის შემდეგი შემადგენლობით... – აცხადებს დიქტორი, – პფიცნერი, კაიზერი, შმიდტი, მუნკი, ოტო, ზინგერი, როტლუფი, კოკოშკა, ტუსოლსკი, ვოლფი, ნაგელი... მწვრთნელი – რუდოლფ ბერგერი. თბილისის “დინამო” თამაშობს შემდეგი შემადგენლობით: მეკარე, №1 – ოთარ კინწურაია, №2 – ლომგულ თავაძე, №3 – იაგორ ხახვიაშვილი, №4 – ქიშვარდ ერბოქილაშვილი, №5 – კიტა პურიჭამიაშვილი, №6 – ჯგებე კვახიძე, №7 – ლაშა მსხალიაშვილი,

№8 – ბაკურ ატამაძე, №9 – ბერდია გარგარაშვილი, №10 – ალიო ჯონჯოლია და №11 – ზვიად კალუბლიშვილი; მთავარი მწვრთნელი – კახა ბოთლიაური...

მოთელვა მთავრდება. მინდვრიდან გადიან ფეხბურთელები და გააქვთ ბურთებიც. სტადიონზე ყაყანი საგრძობლად კლებულობს, დაძაბული მოლოდინით აღსავსე წუთებია.

ისმის ფეხბურთის მარშის ურჯოლის მომგვრელი ჰანგები და მოედნის ცენტრისკენ მიემართებიან მსაჯები – სამი შავ ტანსაცმელში გამოწყობილი მამაკაცი. მთავარ მსაჯს ბურთი უკავია ხელში. გაჩერებიან ცენტრში და მთავარი მსაჯი ჩაჰბერავს სასტვენს. სტადიონზე ატყდება სტვენა, ტაშის-ცემა, ყვირილი... მათი აკომპანიმენტით მოედანზე გამოვლიან ორი მოპაექრე გუნდის წევრები; თბილისელები ღურჯ მათსურებში და თეთრ ნიფხებში არიან გამოწყობილები, გერმანელები – თეთრ მათსურებში და შავ ნიფხებში.

მისალმების ცერემონიალი, მოედნის მხარეების გათამაშება და მალე თამაში იწყება – ერთი-თად მატულობს მაყურებელთა სტვენა-გნიასი.

თბილისელები იწყებენ იერიშს, სწრაფად გაითამაშებენ მრავალსვლიან კომბინაციას და ლაშა მსხალიაშვილი მარჯვენა ფრთიდან აწვდის ბურთს მოწინააღმდეგის საჯარიმო მოედნის ცენტრში. იქ ბერდია გარგარაშვილი და გერმანელთა ცენტრალური მცველი ოტო ერთდროულად ახტებიან, მაგრამ ვერც ერთი ვერ სწვდება თავით მაღალ ბურთს და გერმანელთა მარჯვენა მცველი ბურთს მიუგორებს საკუთარ მეკარეს.

მეკარე ფეხის მძლავრი დარტყმით ბურთს გზანის მოედნის ცენტრისკენ...

– რატომ იჭერს ის კაცი ხელით ბურთს? – კითხულობს ტასო.

– რომელი? – კითხვითვე პასუხობს კარლო.

– აი, ერთიანი რომ აწერია ზურგზე, ბოძებს შორის რომ დგას.

– ეგ მეკარეა, მარტო მას აქვს უფლება, ხელით ითამაშოს, – უხსნის კარლო.

– აბა, ფეხით რატომღა დაარტყა ბურთს?

კარლო უპასუხოდ ტოვებს ამ კითხვას, ამჯერად გერმანელები უტევენ სახიფათოდ.

ტასო პირველადაა სტადიონზე და ფრიად გაკვირვებულია გარშემო მყოფ მაყურებელთა ქცევით. აგერ ერთი საკმაოდ ხანში შესული მოქალაქე ისე დედაგს, რომ ვალიდოლით აბრუნებენ და თავზე სველ ცხვირსახოცს აფენენ. წაყვანა უნდათ, მაგრამ ცოცხალი თავით სხვაგან სად წავა? მეორე მაყურებელი შეშლილს დამსგავსებია: გამწარებით იკვნეტს ტუჩებს, ციებიანივით ცახცახებს და ლამის არის, მასაც გული შეუღონდეს...

ტასოსთან შედარებით ახლო მჯდომი ერთი მაყურებელი წამდაუწუმ ყიდულობს ნაყინს, თანაც – წყვილს ერთ ჯერზე; ერთს ხან ვის მიაჩეჩებს, ხან – ვის, მეორეს თვითონ გამაღებით ჭამს, ალბათ გახურებული გულ-მუცელი უნდა დაიწყნაროს, თორემ ნაყინის გემოს ვერც გეგულობს... გამაღვალე ტკბილი წვენი აქვს მოთხვრილი ტუჩები, ნიკაპი, თითები, რძის თეთრი წვეთები ეღვენთება ტანსაცმელზე... მორიგ უღუფას რომ იყიდის, რატომღაც ჯენტლმანობა გაახსენდება და ერთ ნაყინს ტასოს გამოუწვდის: “მიირთვით, ქალბატონო!” ტასო გაოცებულია, კარლოს მიაჩერდება – “გიჟია?” – თვალებით უსიტყვოდ ეკითხება... ნაყინს არ იღებს, ის კაცი კი ჯიუტად ცდილობს, ჩაუწაროს ხელში ნაყინი... პატარა ჭიდაობის მსგავსიცი გაიმართა, სანამ ნაყინი არ გაღვდა...

აგერ კიდევ ერთი მადააღძრული: გამაღვებით აკნატუნებს მზესუმზირას, ტყვიამფრქვევით ისვრის ჩენჩოს და წინ მსხდომთ უბოდიშოდ აფრქვევს თავზე და მხრებზე... კაციშვილი ხმას არ სცემს – მაგისტვის სცხელათ? ფეხბურთია გახურებული!..

გერმანელები ისევ უტევენ, მაგრამ მეტისმეტად ფრთხილობენ, დიდხანს უგორებენ ერთმანეთს ბურთს თბილისელთა საჯარიმოს მისადგომებთან – მაყურებელი ყურისწამდებად უსტვენს; ბოლოს, ჩაჰკიდებენ მეკარის მოედანზე, სადაც ორი ტანმაღალი გერმანელი ცდილობს, აჯობოს მეკარეს, მაგრამ ამაოდ, – ერთ-ერთმა ჯარიმაც კი დაიმსახურა მეკარეზე თავდასხმისთვის.

თბილისელთა იერიში... რამდენიმე სწრაფი გადაცემა და ალიო ჯონჯოლია შორიდან ძლიერად ურტყამს გერმანელთა კარში – მეტისმეტად ზუსტად, პირდაპირ მეკარის ხელებში... მართალია, ფეხბურთელს დარტყმა გაუცუდდა, მაგრამ ბევრად უარესი იყო ის, რომ ამ დარტყმასთან ერთდროულად ტასოს ფერდში ვიღაცის ფეხი მოხვდა.

ტასომ უკან მოიხედა.

– უჰ, ბოლიში, ქალბატონო! – დამნაშავის ღიმილით დაიხარა მისკენ ჭადარა მამაკაცი.

– არაფერია, რა მოხდა მერე! – უკანვე მოატრიალა გრძელი ცხვირი ტასომ – ჭადარა მამაკაცი საკმაოდ სიმპათიური გახლდათ.

ამასობაში თბილისელები მორიგ იერიშს ავითარებდნენ, მაგრამ ერთი უხეირო გადაცემის გამო ბურთი დაკარგეს და უკან დაიხიეს.

– ჰი! – ქირქილებს ტასო, გრძელ ცხვირს იბზუებს, თან კარლოს ეუბნება: – ზევით-ქვევით რომ დატორღილობენ ამხელა მუტრუკები, გადაირია ქვეყანა?! ის ერთი მობურთალი მაინც რამ გააგიჟა,

სანახევროდ გამელოტება მოუსწრია, არ რცხვენია, ამხელა კაცი ბიჭბუჭებში რომ გარეულა და ნიფხვის ამარა ბურთს დასდევს?

– ეგ ალიო ჯონჯოლია, – უხსნის კარლო. – ხნიერი ნუკი გგონია, ჯერ ოცდახუთი წლისაა. ქართველები ადრე ვმელოტდებით, ზოგს ჯიში გვაქვს ასეთი! – იხსნის ქაღალდისგან გაკეთებულ ქულს, მოკრიალებულ თავზე ხელისგულს ისვამს და ისევ იხურავს.

ახლომასლო მსხლომთაგან ზოგიერთმა ცერად გადმოხედა ტასოს (ბევრი მათგანი მელოტია), მაგრამ მხოლოდ წამით – თბილისელები ისევ უტყვენ!

– ბიჭო, ამ თხუთმეტ წუთში შეგჭამეთ ესენი და ესაა, ბურთი აღარ უნდა გავიდეს?! – მოლოდინით გულაფანცქალებული ვერ ისვენებს ერთი.

ალიო ჯონჯოლია სწრაფია, ქარივით შევარდა საჯარიმო მოედანში, მაგრამ გვერდითი მსაჯი აღამს იქნევს – თამაშგარე მდგომარეობააო. ჯონჯოლია ჩერდება, ბურთს აღარ გზავნის კარისკენ, დანანებით ჩაიქნევს ხელს, – ვერ გაიგებ, მსაჯზე ნაწყენი თუ საკუთარ თავზე, – შემდეგ გულაცრუებული უკან გამორბის.

– ვინ არის ის ჩერჩეტი, წამდაუწუმ დროშას რომ აფრიალებს? – კითხულობს ტასო. – ვერ დაეტყვა თავის ადგილზე? ის კიდევ, მეორე, უთავბოლოდ რომ დარბის წინ და უკან, რომ უსტვენს, ფეხბურთელები აღარ უნდა ათამაშოს? რატომ არ გააგდებენ მოედნიდან, მოთამაშეებს ხელს უშლის, სულ ფეხებში ებლანდება! ამდენი მილიციელია გამწკრივებული მოედნის გასწვრივ და ერთი მაინც ვერ მოაშორებს მოედანს? ვერ ეტყვის, თამაშს რატომ აფუჭებო?

– ტასიკო, უმსაჯოდ თამაში სად გაგონილა! – უხსნის კარლო. – ეგ აწესრიგებს თამაშს! ისე, ჩემზე რომ იყო დამოკიდებული, მსაჯების უმეტესობას ნამდვილად არ გაგაკარებდი მოედანს!

ამ დროს ჯონჯოლიამ მორიგი გარდგევა განახორციელა, კონტად მოატყუა მცველი და ზუსტად ჩააწოდა ბურთი საჯარიმოს ცენტრში, პირდაპირ თავზე “დაუსვა” ტანმაღალ ბერდია გარგარაშვილს, რომელმაც თავით გადაუგდო წინ გაგარდნილ ბაკურ ატამაძეს; ამ უკანასკნელის უძლიერესი და უზუსტესი დარტყმა – და ბურთი კარების ბაღეში აფართხალდა, მეკარე კი ფუჭი ნახტომის შემდეგ მიწაზე გაგორდა...

1 : 0!

წარმოუდგენელი ყიჟინა აყრუებს ტასოს; ალბათ ის ერთადერთი მაყურებელია, პირგამეხებული უხმოდ რომ ზის თავის სკამზე (გერმანელთა გუნდის მესვეურთ და მათ სათადარიგო მოთამაშეებს თუ არ ჩავთვლით).

ბაკურ ატამაძის დარტყმასთან სინქრონულად ტასოს ფერდში კვლავ ღონივრად წაჰკრეს უკნიდან ფეხი, მაგრამ ამას ამჯერად ბოდიშის მოხდა არ მოჰყოლია (თუმცა, შესაძლებელია, მთელი სტადიონის ღრიალში ტასომ ვერ მოახერხა მისი გაგონება). ტასო დაბდვერილი მიტრიალდა და ისეთი მზერა ესროლა ფეხის მომრტყმელს, რომ სურდა, ერთ წამში ფერფლად და ნაცრად ექცია... სამწუხაროდ, სიმპათიური ჭადარა მამაკაცი სკამზე არ იჯდა, ათიათასობით სხვა მაყურებელთან ერთად ისიც ფეხზე წამომხტარიყო და ტაშისცემითა და ღრიალით ისე იყო გახურებული, ტასოს მზერა კი არა, ეტნის ამოფრქვევაც ვერაფერს უზამდა.

– მოგეწონა, ტასოჯან, ხომ მაგარი ბურთი გავიტანეთ?! – სახეგაცისკროვნებულმა ჰკითხა კარლომ.

– იმ! ეს ფეხბურთია თუ თავბურთი? – ესდა უპასუხა ტასომ.

ღრიანცელი ნელ-ნელა მიწინარდა, თამაში ცენტრიდან დაიწყო.

გერმანელებმა მალე დაკარგეს ბურთი და თბილისელები “დასახლდნენ” მათი საჯარიმო მოედნის სიახლოვეს.

– მიდი, მიდი!.. – ამხნევებდნენ თბილისელებს ტრიბუნები.

მაყურებლები ბრწყინვალედ გატანილი გოლით გამოწვეულ შთაბეჭდილებებს უზიარებდნენ ერთმანეთს, იდგა ერთი ჩოჩქოლი.

– პირდაპირ “ცხრიანში” არ ჰედა?! – აღტაცებას ვერ ფარავდა კარლო. სამი ცალი ნაყინი იყიდა; ერთი ტასოს მისცა, მეორე – იმ მაყურებელს, ადრე ნაყინს რომ სთავაზობდა მათ (ეტყობა, საწყაღს, ფული გაუთავდა), მესამეს თვითონ შეექცა.

– რა არის ეს “ცხრიანი”? – იკითხა ტასომ. – გადაგრიათ ჩემმა გამჩენმა, ადამიანურ ლაპარაკს ვერ გაიგონებ აქ!

კარლო მის ბურტყუნს ყურადღებას არ აქცევდა, ინიციატივა ისევ თბილისელებს ჰქონდათ. ტასო გაკვირვებული იყო, საოცრება მოხდა: კარლო – დამბლა, დაბდური, ზარმაც-კიკო, ჩხირს რომ ვერ გადააბრუნებინებ, – აქ, სტადიონზე, სულ სხვა ადამიანი გახდა! განსაცვიფრებლად ბობოქრობს – ყვირის, ღრიალებს... წამდაუწუმ ფეხზე წამოხტება, ხელისგულებს მიიღებს პირთან და ხან ფეხბურთელებს ამხნევენ, ხან უნდა, სხვა მაყურებლებიც აიყოლიოს...

ტასო ექაჩება ხალათზე:

– დაჯე, დაჯე, რა ბუზმა გიკბინა! – კინაღამ შემოახია, მაგრამ ვერაფერს გახდა და მაშინ კი ლაზათიანად უჩქმითა: – დეეგდე, შე ოხერო!

ისევე – უშედეგოდ, კარლო უგრძნობელი გახდა! “მიდით, ლომებო!” – ღრიალებს მთელი სტადიონი...

აი, კიდევ მოატყუა ჯონჯოლიამ თავისი “ღარაჯი” ზინგერი, თვითონვე მოჭრა გზა კარისკენ, მიუახლოვდა, მოიქნია ფეხი...

– ვაიმე, დედა! – წამოხტა ტასო, სიმპათიური ჭაღარა მამაკაცის მარჯვენა ფეხსაცმელის წვერმა მისი გვერდი არც ახლა დაინდო...

ჭაღარამ აღარ იცის, ბოდიში როგორ მოიხადოს, მოკვდა სირცხვილით კაცი, რა ქნას!

მის ბოდიშების ჩანჩქერზე ტასო ამრეხით აიქნევს ხელს და საკმაოდ ძლიერად თვითონ ქიმუნჯს უთავაზებს კარლოს:

– აქ სად საგიჟეთში მომიყვანე!

კარლო გაფაციცებით ადევნებს თვალს თამაშს, ტასოსთვის სცალია? მაშინ ტასოც წამოხტება ფეხზე, ძალით გადმოიყვანს თავის მხარეზე კარლოს და თვითონ მის ადგილზე ჯდება – ჭაღარა მამაკაცი სიმპათიურია, მაგრამ ისევე აქეთ ჯობს ყოფნა...

თბილისელები “აწვებიან”, მაგრამ არაფერი გამოსდით, მეორე გოლი ვერა და ვერ გააქეთ... თითქმის ყველა დინამოელი მოწინააღმდეგის საჯარიმო მოედანთან “დასახლდა”, შეხვედრა ცალ კარში თამაშს დაემსგავსა, მაგრამ გერმანელთა გუნდი საოცარი თავგამეტებით და აწყობილად იცავდა საკუთარ კარს...

და აი, ერთმა გერმანელმა მცველმა ისე ძლიერად მოიგერია ბურთი, რომ ის მიუგორდა მოედნის შუაში ეულად მყოფ თავდამსხმელს; ძალზე სწრაფმა ვოლფმა უკან ჩამოიტოვა ყველა ჩვენი მოთამაშე და მიუახლოვდა თბილისელთა საჯარიმო მოედანს...

სტადიონი გაისუსა...

ტასო წამოხტა და იყვირა:

– **Schnell, schnell!**.. მიდი, შენ გენაცვალე!

ტასოს მხოლოდ ეს ერთი სიტყვა გაახსენდა ორმოცი წლის წინათ სკოლაში ნასწავლი გერმანულიდან.

მაყურებლები ისევე გასუსულები იხდნენ, თუმცა ტასოს წამოძახილი ნემსივით შეერჭოთ გულში. და როცა სახელგანთქმულმა ბომბარდირმა ვოლფმა მეტისმეტი მონდომებით ნაადრევად დაარტყა, – არადა, წინ წაწვევაში ხელს არავინ უშლიდა, – და ბურთი ერთი ხუთი მეტრით მაინც ააცილა თბილისელთა კარს, უნდა გენახათ და მოგესმინათ, როგორი შეგებით ამოისუნთქა სტადიონმა... ღიახ, მთელმა სტადიონმა და არა მხოლოდ მაყურებლებმა!

– მაგარია, ხომ იცი, ეს ვოლფი! – ნიშნის მოგებით თქვა ერთმა ახლო მჯდომმა ტასოს გასაგონად, მეორემ კი სხვაგვარად გაატრიზავა, წვრილი ხმით დაიწიკინა:

– **Schnell, schnell!**

ტასოს წარბიც არ შეუხრია, ამაყად თავაწეული იჯდა და როცა გერმანელები გადმოვიდნენ შეტევაზე, წამოხტა, ტაშით და შეძახილებით გაამხნევა:

– მიდით, მიდით, **schnell, schnell!**

ამ დროს თბილისელებმა ისევე ააწყვეს თამაში და ტასოს ძალაუნებურად ჩუმად ყოფნა მოუხდა. ერთი-ორჯერ კარლო წამოხტა მხოლოდ, არა იმდენად საფეხბურთო სიტუაციის გამო, რამდენადაც მის უკან მჯდომი ჭაღარა მაყურებლის ფეხის რეფლექსური მოძრაობა წაეხმარა...

ერთხელაც ალიო ჯონჯოლია ისევე გაუსხლტა თავის “ღარაჯს”, გაექანა მოწინააღმდეგის კარისკენ, მეორე მცველს ფეხებში გაუტარა ბურთი, მესამეს ფინტით მარჯვნიდან აუარა გვერდი და... ამ უკანასკნელმა უკნიდან ფეხი გამოსდო. ჯონჯოლია ბარე ხუთჯერ გადაკოტრიალდა; მსაჯმა მაშინვე თერთმეტმეტრიანი საჯარიმო დარტყმის ნიშნულისკენ გაიშვირა ხელი...

ისევე ვულკანის ყელივით გახურდა სტადიონი, ამოხეთქა ლავამ-ყიჟინამ, მაგრამ მხოლოდ მცირე ხნით. როცა ქიშვარდ ერბოქილაშვილმა საგულდაგულოდ გაასწორა ბურთი თერთმეტმეტრიანის თეთრად მონიშნულ ადგილზე, სტადიონმა თითქოს სუნთქვა შეწყვიტა...

ერბოქილაშვილი გამოქანდა... გაიქნია ფეხი...

და მეკარე მარჯვნივ გადახტა, ბურთი კი მარცხნივ შეგორდა კარში!

– ი!.. გიჟია? ბურთი საითაც გაგორდა, იქით ვერ გადახტა? – გული დაწყდა ტასოს.

2 : 0!

სტადიონი ბობოქრობს!

გვერდით მჯდომი ახალგაზრდა უცებ ებღღვნა ტასოს და გადაჰკოცნა!

ტასოს განცვიფრებისგან ყბა ჩამოუვარდა, მერე ეცა ახალგაზრდას და სტიცა ლოყაში, მაგრამ რა სტიცა!

იმისმა ხმამ წარმოუდგენელ სტვენა-ღრინცვლშიც კი გააღწია და ახლო მსხდომნი ისევ წამო-
ახტუნა ზეზე – გოლის ეშხით წამომხტარი მაყურებლები უკვე ნელ-ნელა უკანვე სხდებოდნენ; შემ-
დებ უკვე ჯაჭვური რეაქციით, – რა მოხდაო, – იმათ ტაღდასავით მომდევნო რიგები აჰყვნენ, მერე
და მერე, წყალში ჩაგდებული კენჭისგან წრიულად ატაღლებასავით, გავრცელდა ყველა მხარეს: წა-
მოყვლეყვლაგებული მაყურებლები იგრძელებდნენ კისრებს...

არეგ-დარეგის ადგილისკენ საჩქაროდ დაიძრნენ მორიგე მილიციონერები...

კონფლიქტი მალევე მოგვარდა, ახალგაზრდამ ბოდიში მოიხადა და ვიღაცას გაუცვალა ადგილი.
გერმანელები ცენტრიდან იწყებენ თამაშს და მაშინვე მსაჯმა ისევ ჩაჰბერა სასტვენს – შეხველ-
რის პირველი ნახევარი დამთავრდა.

ოფლად გახვითქული ფეხბურთელები დასასვენებლად მიდიან.

მაყურებლები ნამცხვრებს და ნაყინს ეტანებიან, იწყებენ ბჭობას – კიდევ რამდენ გოლს გაიტა-
ნენ თბილისელები მეორე ტაიმში...

კარი VII. gaCer di , qal o , wer as xo mar aut ani xar !

კარლო ფეხბურთელებზე არანაკლებ გაოფლილია – ნერვიულობისა და წამდაუწუმ ფეხზე წა-
მოხტომისა და ყვირილ-ღრიალის გამო. სახეგაბადრული ჯდება და ცხვირსახოცს იღებს ჯიბიდან.

ტასო, პირიქით, წამოხტა ფეხზე:

– ადგე, კაცო, წავიდეთ!

– სად მიდიხარ, ტასოჯან? – გაცოცხლებს განმოსკრკლული თვალები ლამის გაღმოსუცვივდეს
კარლოს.

– შინ!

– გიჟი ხომ არ ხარ, ნახე, რა თამაშია!

– მეყოფა ამდენი ფეხბურთის ყურება, დარბიან წინ და უკან ტრაწიანი ხარებივითა! წავიდეთ!

– კაი, შენ გენაცვალე, შუა პურის ჭამაზე რომ წამოგაგღონ სუფრიდან, წავიდეთო, რა გუნებაზე
დადგები?

– შენი არ ვიცი და მე კი ყელამდე ვარ, საკმარისია! წავიდეთ!

– დაჯგე, სად მიდიხარ, ქალო, ხომ ხედავ, გაჭედილია სტადიონი, გასასვლელები და კიბეებიც კი
სავსეა ხალხით!

– სუ ფეხებზე მკილია!

– ვერ გაგაღო!

– ფუი, ამის მამგონიცა! რა ქალის საქმეა სტადიონი, რად წამამიყვანე?

– აბა, გაიხედე, შენს მეტს ქალს ვერავის ხედავ?

– ესენიც შენი ჭკუისა იქნებიან!

მოკლედ, დიდხანს გასტანა მათმა დავამ და კარლომ ყოველმხრივ გადაუწურა წასვლის იმედი
ტასოს. ტასო თავისას მაინც გაიტანდა, მაგრამ თვითონაც კარგად ხედავდა, რომ სტადიონი ისე
იყო გატენილი ფეხბურთის გულშემატკივრებით, რომ გაღწევა ყოველად შეუძლებელი ჩანდა. თან ამ
დროს რეპროდუქტორებში დებმა ჩაფიჩაძეებმა ტკბილი ხმებით დააგუგუნეს: ”თბილისო, მზის და
ვარდების მხარეო!..”. ტასოს გუნება-განწყობილება ოდნავ გამოუკეთდა და აღარ გამოსცრა კბილებ-
ში უკვე მომზადებული წინადადება: “ჰო, დამატყვევეთ აქა კიდევცა... თბილისსაცა და თქვენცა – ყვე-
ლას ჯანდაბა!”

რიგებს მიუყვება თამბაქოს ლურჯი კვამლი, კმაყოფილი ხალხის ყაყანთან ერთად იფანტება ჰა-
ერში...

– რამ აგაჩერჩეტა ამოდენა კაცი, ჩემი დანახვა არ გაგხარებია ისე, როგორც გატანილმა ბურ-
თმა გაგახარა! – საყვედურობს ტასო კარლოს.

– ნახევარფინალში გავდივართ!

– მერე, შენ რა?

კარლომ ხელი ჩაიქნია – ქალს რა უნდა ელაპარაკო, თანაც ფეხბურთზე? არადა, ახლა ჰაერ-
ით სჭირდება ვინმე მოსაუბრე... წრიანებს, აქეთ-იქით მწყურვალე მზერით იხედება, მერე მასავით
გაჭირვებულს აღმოაჩენს გვერდით და მეზობელს გაუბამს საუბარს.

– ჰა, ხომ ვართ მაგრები! ხომ მივართვით ორი კოხტა გოლი!

– ისე ვატყობ, იმათ მოედანზეც არ ვარგან, ტყუილად კი არ მოგუგეთ ერთით ორი! – მხარი აუ-
ბა სათვალთანმა, ხნიერმა მოქალაქემ. – საერთო ანგარიში რამდენი იქნება ჩვენს სასარგებლოდ, აი,
ეს მაინტერესებს!

– საინტერესოა, ნახევარფინალში ვის შეხვდებით?

– თავი მომჭერი, თუ ფინალშიც არ ვითამაშოთ! ბიჭებმა გერმანელები ისე შეჭამეს, რომ, მე ვფიქრობ, წინ ვეღარავინ დაუდგებათ!

– გემოზე წამოვარჩოქეთ, მე და ჩემმა ღმერთმა! – ეთანხმება კარლო. – ფინალში ვართ ულაპარაკოდ! იქ კიდევ – ვნახოთ...

– ჯერ ბავშვი არ დაბადებულა, აბრამს არქმევდნენო! – ჩაერია კაცების საუბარში ტასო.

– ქალბატონო, როგორ გეკადრებათ მასეთი ლაპარაკი! – ეწყინა ოპტიმისტ მოქალაქეს. – ოცდაათხუთმეტი წელია, ფეხბურთის გიჟი ვარ, ზოგი რამე გამეგება!

– გეტყობათ, გეტყობათ... – ირონიულად მიუგო ტასომ. – სხვა არაფერი გაწუხებთ, ბატონო?

– ქალბატონო, ფეხბურთი მთელ მსოფლიოს აღელვებს და მე რატომ უნდა ვიყო გამონაკლისი? წინათ, ქალბატონო, ზოგიერთ ხალხში წმინდად ითვლებოდა ბურთის თამაში, ბურთი მიაჩნდათ მზის, მთვარის თუ დედამიწის სიმბოლოდ. ძველ მექსიკელებს ბურთით თამაშის ღმერთიც ჰყავდათ – ქსოლოთლი...

– რა ვქნა, ბატონო, არ გახლავართ თქვენსაგით განათლებული! ჩვენს სოფელში კი არის ტელევიზორი, მაგრამ მის საყურებლად სად მცალკია! – სიტყვა არ შეარჩინა ტასომ. – ამდენი უსაქმური თუ იყო ქვეყანაზე, ესეც პირველად გავიგე! თქვენც კი მოცლილი ბრძანებულხართ – აქ დროის დაკარგვას არ სჯერდებით და კიდევ ფეხბურთის ისტორიას სწავლობთ! ბარაქადა!

ეტყობა, სათვალთანმა ბატონმა არ იცოდა, რომ ქალთან ყოველგვარ დავაში ბოლო სიტყვა ყოველთვის ქალს რჩება და აპირებდა ეკითხა, რატომ შეიწუხეთ თავი, ქალბატონო, და სტადიონზე მობრძანება ინებეთო, მაგრამ ამ დროს მსაჯები და ფეხბურთელები ისევ გამოჩნდნენ მწვანე მოედანზე.

დაიწყო მატჩის მეორე ტაიმი.

ჯონჯოლიას წინააღმდეგ მოთამაშე მცველი გერმანელებმა სათადარიგო მოთამაშით შეცვალეს.

თამაში თბილისელთა თავბრუსდამხვევი იერიშებით დაიწყო. გერმანელები მედგრად იცავდნენ თავს, მაგრამ ეტყობოდა, რომ მორიგი გოლი მწიფდებოდა, მესამე გოლი!

მთელი სტადიონი გულდაგულ ამხნევებდა დინამოელებს – სტვენით, ყიჟინით, წამოძახილებით! ამ აუტანელ ღრინაცვლში, მგონი, ერთადერთი, ვინც განდევნილი ვიყავით და უშფოთველად იჯდა – ტასო გახლდათ.

თბილისელებმა, ეტყობა, იფიქრეს, მოგება ჯიბეში გვაქვსო და დაიწყეს მასხარაობა, ბურთის უმიზნოდ ტარება, უაზროდ წვალება.

– ითამაშეთ! – აყვირდნენ ტრიბუნებზე, – გაინძერით!

თბილისელები განაგრძობდნენ უგემურ, უეშხო თამაშს – ტრიბუნებზე სტვენა გაისმა. მხოლოდ მარჯვენა გარემარბი ლაშა მსხალიაშვილი აქტიურობდა, გასცდა კიდევ ორ მოწინააღმდეგეს და ბურთი ჩაჰკიდა საჯარიმო მოედნის ცენტრში, მაგრამ გერმანელთა მეკარემ იმარჯვა და ბურთი ზედ თავიდან მოუხსნა მაღლა ამხტარ ბერდია გარგარაშვილს; შემდეგ არ დაუხანებია და ხელით ზუსტად მიაწოდა მარჯვენა ფრთაზე ნაგელს. გარემარბი სწრაფად დაიძრა წინ, გერმანელთა გუნდი კარგად აწყობილი მექანიზმივით ამუშავდა და შეტევა გემგამზომიერად წარმართა.

სტადიონი დაძაბულმა სიჩუმემ მოიცვა, მხოლოდ აქა-იქ მოწინააღმდეგის გამაბრიაბრუებელი სტვენა გაისმა. გასუსულ ტრიბუნებზე პატარა ეული ოაზისი გამოჩნდა გახურებული ტაშისცემისა – ფეხზე წამომხტარი ტასო ხელისგულებს არ იზოგავდა და გამკივანი ხმით ამხნევებდა თეთრმაისურნიანებს: **“Forwerts, forwerts! Schnell, schnell!”** – როგორც ჩანდა, ტასომ მეორე გერმანული სიტყვაც გაიხსენა... მოდი და ამის შემდეგ ამტკიცე, უცხო ენის ცოდნა არაფერში გამოადგაო!

ტასოს ახლომახლო მსხდომნი შემწყნარებლურად უყურებდნენ ქალის გამომწვევ გამოსდომას, უწყინარად გაეხუმრნენ კიდევ:

– აი პატრიოტიც შენაირი უნდა! ყოჩაღ, გერმანელო ქალო, რამსიშორიდან ჩამოსულხარ!

– **Sehr gut, frau! Achtung, achtung! Halt, hande hoch!** – უყვიროდნენ საყველპურო გერმანულის მცოდნენი პირველ სიტყვებს, რაც კი მოაგონდათ.

ტასოს ერთი სული ჰქონდა, გერმანელებს ერთი გოლი მაინც გაეტანათ – ამდენი თავდაჯერებული საქმედალეულის ჯინაზე!

აი როტლუფმა შორიდან დაარტყა კინწურაიას კარში – ააცილა, სამაგიეროდ ტასომ გაჰკრა მარჯვენა ფეხი მის წინ მჯდომ ახალგაზრდას.

– ბოდიში! – დაიხარა მისკენ ტასო.

– არაფერია, არა უშავს!.. – თავის მოუბრუნებლად ეუბნება ახალგაზრდა – თბილისელების სპასუხო შეტევა ცხარეა!.. მაგრამ გერმანელთა მეკარე ბრწყინვალე ნახტომით იღებს “მეკვარ” ბურთს და მაშინვე ხელით აწვდის მცველს, მცველი კი – უფრო წინ, თავდამსხმელს.

რამდენიმე გადაცემის შემდეგ ბურთი ჩაჰკიდეს თბილისელთა საჯარიმოში, ტუნოლსკიმ მაღალი ნახტომით აჯობა მცველებს და თავით ძლიერი დარტყმით ბურთი გაგზავნა კარისკენ – ზედა ძელისგან არეკლილი ბურთი მოედანს დაუბრუნდა.

– ფუი! – გული დასწყდეს ტასოს
 – უჰ, შტანგა! მაგას მწვრთნელმა დავალება მისცა, შტანგას უნდა ურტყას! – შეგებით ამოისუნ-
 თქა კარლომ და ამ ხუმრობით უნდოდა, ტასო ცოტა დაეშოშმინებინა.

– ეგ წოწოლა თუ არ გაგიტანს ბურთს, იმასაც ვნახავთ! – დაიქაღნა ტასომ.

ეს სიტყვები დაამთავრა თუ არა, სტადიონზე უჩვეულო სიჩუმემ დაისადგურა – სწორედ ისევე
 ვილჰელმ ტუხოლსკიმ შორიდან, საჯარიმო მოედნის გარედან, ძლიერად და ზუსტად დაარტყა თბი-
 ლისეელთა კარისკენ და მეკარე არც კი განძრეულა, ბურთი ისე გავიდა “ცხრიანში”.

– თქვენ კი გენაცვალეთ, ეგრე, ეგრე უნდა! – გაჰკიოდა ფეხზე წამომხტარი ტასო, ტაშისცემით
 აყრუებდა გარემოს (სხვათა შორის, მანამდე ისევე წაჰკრა ფეხის წვერი წინ მჯდომ ახალგაზრდას,
 მაგრამ ამჯერად ბოლიში არ მოუხდია).

ახლა კი გაისმა აქა-იქ უკმაყოფილო ბუზღუნი:

– ვინ არის ეგ დამთხვეული, ხომ არ აურია!

– მოგზავნილია ვიღაცა, ქალი არ იყოს, ვაჩვენებდი სეირს!

– ნერვების მოშლა გვაკლია კიდევ? გააჩერეთ ეგ ნაბოზარი!

– გაჩუმდი, ქალო, ხალხი გვიყურებს! – ცდილობდა ტასოს სკამზე დაბრუნებას კარლო.

– რას მექაჩები, შენ რომ ღრიალებდი, მე გიშლიდი?! – პასუხობს ტასო და რა უნდა უთხრა?

2 : 1!

თბილისელები თამაშს ცენტრიდან იწყებენ.

ორი გადაცემის შემდეგ ბურთი მოწინააღმდეგეს “ჩააბარეს”, გერმანელებმა გარდევვაზე გაიყვა-
 ნეს ნაგელი, რომელმაც მოუმზადებლად უძლიერესად დაარტყა კინწურაიას კარში... მეკარე მისწვდა
 ბურთს.

ტასომ შეამჩნია, რომ ნაგელის ფეხის გაქნევა და წინ მჯდომი ახალგაზრდასთვის მისი ფეხის
 წვერის ზურგში მორტყმა ერთი იყო... ტასომ გემო გაუგო ფეხბურთს!

ტასომ ისევ ითხოვა პატიება, ახალგაზრდა უგემურად გაიღმეჭა:

– გვაცალეთ, ქალბატონო, თამაშის ყურება!

...ბურთი ბაკურ ატამაძემ აიტაცა, მარცხენა ფრთიდან შეიჭრა გერმანელთა საჯარიმო მოედანში,
 დროზე გადაცემა დააგვიანა და ფეხებში ჩავარდნილმა კაიზერმა ბურთი აართვა.

რამდენიმე გადაცემა და ტუხოლსკი ისევ თავით ურტყამს ბურთს კინწურაიას კარისკენ. მეკარე
 ამჯერადაც მისწვდა ბურთს, მაგრამ ხელში დაჭერა ვეღარ მოახერხა, მას მცველთაგან უყურადღე-
 ბოდ დარჩენილმა ნაგელმა მიუსწრო; დარტყმა – და ბურთი ბადეშია!..

2 : 2!

კინწურაია წელმოწყვეტით დგება, უხალისოდ გამოაქვს ბურთი ბადიდან და გამეტებით ურტყამს
 ცენტრისკენ... რას ერჩის, არ ვიცი!

ტრიბუნებზე გაბმულად უსტვენენ, გაისმის უკმაყოფილო შეძახილები...

ტასო აღფრთოვანებულია:

– ეგრე, თქვენ გენაცვალეთ! – ირგვლივ მიმოიხედავს და დამცინავად აგრძელებს: – რა სიფათე-
 ბი ჩაგმეფავებით, კბილი მე მტკივა თუ თქვენ?

კარლო ჩუმიდაა, დროდადრო ოხრავს, ვიღაცას პაპიროსს სთხოვს...

თბილისელების თამაში სულ აირია, ცენტრიდან თამაშის განახლებისთანავე დაკარგეს ბურთი.
 გერმანელები, პირიქით, ძალიან გააქტიურდნენ, თითქოს ფრთები შეესხათ, გამუდმებით უტვენენ.

მარცხენა ფრთიდან კოკოშკა შეიჭრა თბილისელების საჯარიმო მოედანში, უნდა მიეღო ნაგე-
 ლის მიერ ჩაწოდებული ბურთი, მაგრამ ხახვიაშვილთან ძიძგილაობაში წაიქცა... წაიქცა და ვეღარც
 ადგა.

მსაჯმა ხახვიაშვილს ხელით მიუთითა – გაძევებული ხარ მოედნიდანო, მერე თერთმეტმეტრი-
 ნის ნიშნულისკენ გაიშვირა ხელი...

პენალტი!..

სტადიონი აღრიალდა, სტვენამ კინაღამ გახვრიტა ყურები. ფეხზე წამომხტარი მაყურებლები
 გაჰყვიროდნენ:

– “სუღია”, ფაშისტ!

– პროვოკატორ!

– ჩომბე!

– მეხაშე!..

შიგადაშიგ უწმაწური გინებაც გაისმა...

ტასო მშვიდად იჯდა.

კარლომ ცხვირი მოიხოცა, ტუჩებს იკენეტდა და ლამის გულშეღონებული დაჯდა, თავი ჩაჰკიდა,
 მოედნისკენ გახედვის ეშინია...

მოედანზე კი დიდი აყალმაყალია: თბილისელები მსაჯს დასვეიან, რადაცას უმტკიცებენ, ხელებს შლიან, ზოგი თითქოს ცდილობს, წაუჯიკაგოს კიდევც...

მსაჯი გვერდზე გავიდა, მასთან პირველად მივარდნილ კიტა პურიჭამიაშვილსაც მოედნის დატოვება უბრძანა... ამ უკანასკნელმა ხელი ჩაიქნია და მომწვარული ნაბიჯებით მოედნიდან გავიდა.

მსაჯმა გვერდით მსაჯებს მოუხმო და მათთან თათბირი გამართა.

ამასობაში ტუხოლსკიმ ბურთი დადო თერთმეტმეტრიანის ნიშნულზე და გულდაგულ გაასწორა, შემდეგ დონივ შემოყრით ელოდებოდა მსაჯის ნიშანს.

მსაჯი თბილისელ მოთამაშეებს სთხოვს, გავიდნენ საჯარომო მოედნიდან, გვერდითი მსაჯები გარბიან თავიანთი ადგილებისკენ.

მსაჯი ნიშანს იძლევა, ტუხოლსკი გამოქანდა და უძლიერესი დარტყმით მეკარისგან მარჯვენა ქვედა კუთხეში მოათავსა ბურთი. კინწურაიამ გამოიცნო დარტყმის მიმართულება, ვეფხვივით გადახტა, თითქოს თითის წვერებით შეეხო კიდევ მიმქროლავ ბურთს, მაგრამ...

სტადიონი ისევ სტვენამ გააყრუა – 2 : 3!

სახეგაბადრულმა ტასომ – თითქოს ნაოჭებიც კი გაუსწორდა! – ტაში დასცხო.

ირგვლივ ყველანი უბღვერენ, ბრაზიანი მხერით ლამის არის შეჭამონ.

– გაჩერდი, ქალო, წერას ხომ არ აუტანიხარ! – ვიღაცა მხარზე ექაჩება უკანიდან.

კარლოს ვითომ არ ესმის მუქარა ტასოს მიმართ, სამაგიეროდ ტასო წამოხტა და მხარზე ხელის მომიკიდებელს იქით შეუტია და ხმა ჩააქემენდინა:

– რომ გაგკრავ ერთი ხელუკულმა!..

– ვაჰ, ვინა ყოფილა ესა, კაცო! – მუხლზე ხელს ირტყამენ კაცები. – ნამდვილი ქაჯია!

თბილისელების თამაში სულ მოირღვა.

გააქტიურებული გერმანელების შეჩერება სხვა გზით რომ ვერ შეძლეს, უხეშობას მიმართეს, წამდაუწუმ ისმოდა მსაჯის სასტვენის ხმა.

– ამხელა მუტრუკები ბურთს დასდევენ თუ ერთმანეთს ფეხებს ამტვრევენ? – ტასომ გამომწვევად მიმოიხედა გარშემო.

– გააჩერეთ ეს ქალი, თორემ არ ვიცი, რას ვიზამ! – იქადნება ვიღაც ხმამაღლა.

კარლო ეკლებზე ზის, ატყობს, მდგომარეობა იძაბება და საკმაოდ სერიოზული ჩხუბის შესაძლებლობაც მწიფდება.

– ქალი არ იყო, გაგხეთქავდი ნაკერავზე!

– გამიშვი, მე მაგის... – იქაჩება ვიღაც ნერვებმოშლილი.

– ჩანს, რა გაჟაკაციც ბრძანდები, ე, გაბრძანდი მინდორში და იქ გვიჩვენე, თუ რამე შეგიძლია! – არ ეპუება ტასო.

– მილიციონერ! მოდი, წაიყვანე, ვერ ხედავ, ნასვამია! – ყვირის ვიღაცა, ვერ გაიგებ, სერიოზულად თუ ხუმრობით.

კარლო თამაშს აღარ უყურებს (ან რა არის იქ საყურებელი! თბილისელები უთავო ქათმებივით დაბორილობენ მინდორში, გერაფრით ახერხებენ, მათზე ორი მოთამაშით მეტ მოწინააღმდეგეს ბურთი წაართვან), უნდა, როგორმე ტასო სტადიონიდან გამოიტყუოს – სანამ გალახვამდე მივა საქმე, მანამდე გაეცალონ აქაურობას...

– ტასოჯან! წავიდეთ, ხომ ხედავ, ხალხი ნელ-ნელა დაიძრა კიდევ გასასვლელებისკენ... მერე გაჭირდება გასვლა... ხომ ხედავ, თამაში კი არა, პამპულობაა, წავიდეთ, დროს ნუ დაგეკარგავთ...

ტასო გაჯიქდა:

– გერმანელები შესანიშნავად თამაშობენ! ძალიან მომწონს! მიდით, მიდით! **Forverts, schnell!** აჩვენეთ ამ ბედოვლათებს, როგორ უნდა თამაში!

თბილისელები ისე უხალისოდ დალოდავენ მინდორზე, მაყურებელნი სტვენით აჯილდოებენ; კალუბლიშვილი ხომ სულ გაჩერდა ოჩანი ხარივით, მოწყენილი, თითქოს ისვენებს ერთ ადგილზე; ტრიბუნებიდან დაცინვა დაუწყეს:

– დაჯექი, ბიჭო, არ დაიღალე ფეხზე დგომით!

– მიდი, “სუდიას” უკბინე!

როგორც იქნა, თბილისელებმა ერთი შეტევა წამოიწყეს, მაგრამ გადაწყვეტ მომენტში მოწინააღმდეგის საჯარომო მოედანში ჯონჯოლიას ფეხი დაუცდა, წაიქცა და არ ჩქარობდა წამოდგომას; ალბათ ფიქრობდა, იქნებ მსაჯს თერთმეტმეტრიანი საჯარომო დარტყმა გამოეტყუო... მაყურებლებმა არც ის დაინდეს:

– რავა ასი წლის ბერიკაცივით წამოწექი, წელს არ აპირებ ადგომას?

– იწექი, იწექი, საქმე მაინც არაფერი გაქვს!

– სირბილს გრილ ბალახზე წოლა არ ჯობს?!

– მომიცადე, ნაყინი უნდა მოგიტანო, შენ ნუ შეწუხდები, ჭირიმე!

სამაგიეროდ, როცა ბურთს სტუმრები დაეუფლებოდნენ, ტრიბუნები ტაშით აჯილდოვებდნენ – ამოტენეთ ეგ უმაქნისები გემრიელადღო.

კალუბლიშვილმა თავის გამოჩენა სცადა და შორიდან ძლიერად დაარტყა მოწინააღმდეგის კარისკენ, მაგრამ ისე უხეიროდ, რომ ბურთი კარგა თხუთმეტი მეტრით ასცდა მიზანს და მეორე იარუსის ერთმა მაყურებელმა დაიჭირა.

– მეც დამირტყი, დავიჭერ! – დაუძახა ფეხბურთელს ერთმა; მერე გვერდით მსხდომთ ხუმრობით უთხრა: – ეგ ჩემი ძმაკაცია, პირდაპირ მე მაწვდიდა, მაგრამ ცოტა შეეშალა, ნახე, თუ შემდეგი დარტყმა ზუსტი არ გამოუვიდეს!

თბილისელთა მწვერთნელმა ერთბაშად ორი მოთამაშე გამოცვალა, იქნებ რამე გვეშველოსო. მართლაც, თამაშში ახალ ჩართულებმა ენერგიულად დაიწყეს ბრძოლა და ტყემალაშვილმა ერთი მტკაველით დააცილა ბურთი მოწინააღმდეგის კარს. არ გასულა რამდენიმე წუთი და ახლა ჯონ-ჯოლიას მიერ ძლიერად დარტყმული ბურთი რის ჭაპანწვევით მეკარემ კუთხურზე გადაიყვანა.

ტრიბუნები გამოცოცხლდნენ, გასასვლელებისკენ მიმდინარე ხალხი შეჩერდა.

თბილისელებმა რამდენიმე კუთხური ჩამოაწოდეს ზედიზედ, მოწინააღმდეგეს ამოსუნთქვის საშუალებას არ აძლევდნენ. ერთი ზუსტი დარტყმა – და თბილისელებს მატრის გადარჩენა შეეძლება!

ტრიბუნებზე იმედი ჩაესახათ – თამაშის დამთავრებამდე ხუთი წუთი დარჩა და თუ თბილისელებმა ასეთივე შემართებით განაგრძეს თამაში, ვინ იცის, იქნებ სასწაული მოხდეს?!

ბურთი გამუდმებით ტრიალებს გერმანელთა საჯარიმო მოედანში, თბილისელები ზედიზედ ურტყამენ ბურთს კარის მიმართულებით, მაგრამ მოწინააღმდეგის კარი თითქოს მოჯადოებულია – ბურთი არა და არ გადის! ბურთი ხან მცველს მოხვდება, ხან – საკუთარ მოთამაშეს, ხანაც – მეკარეს გაუღიმებს ბედი...

მთელი სტადიონი, როგორც ერთი ადამიანი, ისეა წამომხტარი ფეხზე – ახლა თბილისელებს ყველაფერს აპატიებენ, ოღონდ ერთი გოლი გაიტანონ! კარლო ხომ პირდაპირ ლოცულობს, მხოლოდ გატანილმა გოლმა შეიძლება გადაარჩინოს ის გალახვას...

...გოლფმა ბურთი წინ გაიგდო, ხელს ვერაგინ შეუშლიდა – თბილისელები, მეკარის გარდა, ყველანი მოწინააღმდეგის საჯარიმოსთან იყვნენ შეჯგუფულნი. სტადიონი სტვენამ გააყრუა, იქნებ ვოლფს რამე შეეშალოსო. უკნიდან უკვე ქიშვარდ ერბოქილაშვილი ეწეოდა, მეკარე კინწურაია ვეფხვივით გამოვარდა კარიდან და ფეხებში შეუვარდა... ამავე დროს ერბოქილაშვილმა ვარდნით გამოჰკრა ფეხი თავდამსხმელს და აი, სამი ფეხბურთელი გაგორდა ბალახზე...

ბურთიც ნელ-ნელა გაგორდა და მშვიდად შეგორდა თბილისელთა კარში...

2 : 4!

კარი VIII. დამაგვირგვინებელი

მე რომ კინოსცენარს ვწერდე, ამ ამბავს ასეთ ეფექტურ დაბოლოებას დავურთავდი:

ჩამომდგარი მატარებელი; ბაქანზე თავისი ვაგონისკენ მიდის ტასო, ძლივს მიათრევს ნაირფერი დიდ-პატარა ბურთებით სავსე მოზრდილ ბაღურას... უკან ხვნეშით მისდევს კარლო, მას უფრო დიდი ორი ბაღურა წამოუკიდებია ზურგზე; ისინიც გატენილია, ოღონდ მხოლოდ ფეხბურთის ბურთებით...

ისინი გვშორდებიან, გვშორდებიან, სულ უფრო პატარავდებიან, სანამ ეკრანზე არ დაიწერება:

“ფილმის დასასრული.”

თუ მკაცრ რეალობას გავუსწორებთ თვალს, ასეთი დაბოლოება სინამდვილეს ნაკლებად შეეფერება – ნამდვილად ტასოს რა ამბავი ეწია, არ ვიცი, რამდენადაც კარლომ მჩრის დასასრულს არ მოუცადა და ტასოს ჩუმად გამოეპარა...

1985 წლის 5 –11 აგვისტო, ბაკურიანი;

2005 წლის 15 – 29 ივლისი, თბილისი.

ნოველები

ზამთრის დღის ჩანახატი

გაუმარჯოს ზამთარს!

უჰ, კაცი, ეს რა ზღვა თოვლი მოსკდა: ხე-ბუჩქი, ეზო, სახლი, ქუჩა – ყველაფერი თეთრად გადაპენტა!

ეტყობა, მთელი ღამე თოვდა, არც დღისით აპირებს შესვენებას – ცვივა და ცვივა ფანტელი; გამგელეთ მხრებზე და ქუდებზე ედება, სახეზე აღნება; თავმომწონე თავშიშველა ყმაწვილების თმებზე გამლხვალი, მარგალიტის უთვალავ მძივებად ბრწყინდება...

ყველას უხარია, პატარების გუნდაობას და ჟივილ-ხივილს ხომ კაცი ვერ აღწერს. მხოლოდ ბელურები არიან დადონებულნი: მშიერნი, შიშველ ტოტებზე სუსხისგან მობუზუნნი, სხედან და ალბათ ნატრობენ – ნეტავი ერთი ცხენი მაინც გამოჩნდებოდეს, რომ ცხელ ჩონჩორიკს დავესიოთ, მაგრამ ამაოდ...

მტკვარი ყინულის ნამტვრევებს მოათამაშებს დაწმენდილ წყალში, ალაგ-ალაგ ნაპირებთან რიყავს და გროვებს ჰქმნის. შუადღისთვის თოვლი ფეხქვეშ დნება, ჭყაპუნობს, მანქანების საგაღ ნაწილზე კი ჭუჭყისფრად იზილება; ქალაქის მომალღებულ ადგილებში – კუკიაზე, მთაწმინდასა და სხვაგან – ციცაბო ქუჩებზე ბავშვები ჯერ კიდევ ციგაობენ; გოგოები ჩასაფრებულ ბიჭებს ევეღრებიან – ნუ, ნუ მესვრი გუნდასო...

ყველგან სიცილი ისმის, ყველგან გაღიმებული სახეებია – გაუმარჯოს თოვლს!..

1973 წლის 10 დეკემბერი.

წეროები

დღეს კვირადღეა, 2006 წლის 2 აპრილი. მე და ბესარიონი მივდივართ მანქანით ლოჭინის ხეობაში, იქ საბალე ნაკვეთი გვაქვს “ბროწეულაში”.

საკმაოდ გვიან გავედით შინიდან. მოღრუბლული დღეა, წყნარი.

გავცდით თუ არა ლილოს ბაზრობას და მდინარე ლოჭინის ხიდზე გადავედით, გაზაფხულის სუნთქვა უფრო თვალსაჩინო გახდა – მუქ ფერდობებზე თეთრად, ვარდისფრად გადაპენტილა აყვავებული ხეხილი.

გზას ვკეცავთ და ორივე მხრიდან მიცურავენ ამწვანებული კორდები...

ნორიო-მარტყოფისკენ გავუხვიეთ თუ არა, ვხედავთ: ტრაქტორი თუხთუხით ხნავს მიწას... ბოლო ათი წელია და ბევრად მეტიც, ამგვარი სურათი უჩვეულო გახდა – მიწა სარეველებმა დაიპყრო.

ჩვენს ნაკვეთში, თანაც თითქმის მიტოვებულში და მწყემსებისგან აქ ორკვირიანი დგომისგან გაპარტახებულში, საქმეს რა გამოლევეს (ღობე გაარღვიეს, ბუდრუგანაში რომ ორი ხის ტახტი გვედგა, საწვავად გამოიყენეს, თხა-ცხვარმა, ცხენებმა და ძროხებმა დაბალი ნარგაობა პირწმინდად მოსპეს, აღარას ვამბობ ხენდროზე, ყვავილებზე, ნერგებზე)...

სამუშაოდ მშენიერი ამინდია, მზე მხოლოდ იშვიათად თუ გამოიხედავს ნაცრისფერი ციდან; შრომაში უსიამოვნო განწყობა ნელ-ნელა გვეფანტება. აყვავებულ ნუშს, გარგარს, ჭერამს, ტყემალს ფუტკრები ბზუილ-ზუზუნით ეხვევიან, ამოხეთქილი ლორთქო ბალახის სიმწვანეში ბაბუაწვერების ყვითელი თვალები ანათებენ...

ბესარიონი ღობეს ამაგრებს, ხეებს ძირებს უბარავს, მე ნუშის ქვეშ ამოსული ნერგები გადავრგვახდალ ადგილებზე (ეტყობა, როცა ბალახი მოიძოვა, ნუშის ნაყოფები წვიმისგან დამბალ ნიადაგში საქონელმა ჩლიქებით ჩაზილა და ახლა, დათბა თუ არა, ამოვიდა).

გაზაფხულია და – გაცვეთილ სიტყვებს ვერ გაექცევი – ხარობს ბუნება!

შუადღეს კარგად გადასცილდა, როცა უეცრად რაღაც უცხო ხმამ თავი აგვადერებინა და მზერა ცას მივაბჯინეთ.

მაღლა-მაღლა – წეროები მიფრინავენ, ისმის მათი განუწყვეტელი ჭყლოპინი-სიმღერა, რომ აი, ეღირსნენ, დადგა სანატრელი დრო და ბრუნდებიან მშობლიურ მხარეში...

სამასამდე ფრთა იქნება, განზე გაშლილან, რამდენიმე სამკუთხედად დაყოფილან და ფრთების მოზომილი, ნარნარი ქნევით ჩრდილოეთისკენ მიიღტვიან – იაღნოს ქედისკენ და შემდგომ განაგრძობენ შორეული გზის ძლევას იმის იქითაც – კავკასიონს გადაღმა...

გუცქერდით, როგორ გადაგვიფრინეს თავზევით, შემდეგ ნალ-ნელა დაპატარავდა მათი მწკრივი, დაპატარავდა და ცაში გაუჩინარდა.

მხოლოდ ამ დიდებული სურათის სანახავად ღირდა აქ წამოსვლა!

2006 წლის 2 აპრილი.

ანანური, წვიმს...

“მიძინების ეკლესია ერთი უმთავრეს ძეგლთანია გვიანი ფეოდალური ხანის ქართული ხუროთმოძღვრებისა. აუგია 1689 წელს არაგვის ერისთავის შვილს მდივანბეგს ბარბიმს. მხატვრობა XVII-XVIII საუკუნეებისა”.

ასეთი წარწერიანი ფირფიტაა დამაგრებული ანანურის ტაძრის სამხრეთის კედელზე – შესასვლელის მარჯვნივ.

დღეს 2006 წლის 25 აპრილია, ვიყავით ანანურის სასაფლაოზე გარდაცვლილთა დღესთან დაკავშირებით – იქ არიან დაკრძალულნი ღიას მშობლები: დათიკო და ვიქტორია ყანაშვილები, აგრეთვე – ნათესავებიც.

მთელი დღე ხან წვრილად წვიმს, ხან გადაიკარებს...

გარშემო მთა-ველი ამწვანებულია; ანანურის ხუროთმოძღვრული კომპლექსის ზემო ეკლესია, კოშკები, სამრეკლო და გალავანი, მონაცრისფრო-მოშავო ფერის რიყის ქვითა და კლდოვანი ქანით ნაშენი – ყველაფერი მუქია და მოღუშულ ცას ეხმიანება თითქოს... და ამ მუქი მასივიდან დიდებულიად ასვეტილა ნათელი მასა – თბილი, ოქროსფერი ქვიშაქვისგან აგებული მიძინების დიდებული ტაძარი!..

აღმოსავლეთის ფასადზე დიდი ოსტატობითაა ამოკვეთილი განუმეორებელი სილამაზე: ჩუქურთმებით შემკობილი უზარმაზარი ჯვარი, მის მარცხნივ და მარჯვნივ სიმეტრიულად – სიმბოლური სიცოცხლის ხე, რომლის ყურძნის მტევნებსაც მისწვდომიან ტუნებით რქაბორჯღაღა ირმები... ჯვრის ძირში – დეკორატიული მოტივი: ორი გველეშაპი კუდებით გადასკენილა...

როცა სამრეკლოს მოედნიდან დიდი ტაძრისკენ მოვიხედე, გალავნის მაღალი კედლის ნაპრაღში, სათოფურებს ქვევით, გამოზრდილ ქრისტესისხლას ვხედავ; გადმოკიდებულია ჰაერში, არცთუ დაკნინებული ჩანს და აყვავებულია კიდეც, თითქოს გვეუბნება – მშვენივრად ვგრძნობ აქ თავსო...

ზევით კი, მოტივებულ ეზოში, ერთადერთი ხეა – თეთრი ყვავილებით დამშვენებული ვაშლი.

მეორე მხარეს, სამხრეთ-აღმოსავლეთით – ჟინვალის წყალსაცავის ხედია: მღვრიე არაგვი მიედინება მისკენ, გარშემო ამწვანებული მთებია, ზევიდან კი წყლის სარკეს დასწოლია მრუმე ღრუბლები, მათ შორის კი თვალებს გგჳრის ნათელი ზოლი – ნუთუ გამოიღარებს?

უფრო ახლოს – დაცარიელებულ, სახურაგნაქცეულ სახლთა კედლები, ამ სახლების შიგნით უკვე მაღალი ხეები ამოზრდილან, აზიდულან და მაღლა კედლებსაც კი ასცილებიან...

გარშემო ფერდობებზე: მწვანე ტყეში აქა-იქ თეთრ ლაქად ჩართული ტურფა თეთრი ლაქები – აყვავებული პანტა, მაჟალო, ტყემალი...

ისმის მონოტონური, უწყვეტი შრიალი ადიდებული არაგვისა – წინა მხრიდან და არყალისა – მარჯვნიდან.

მე, გულიკომ, ღიამ, ნათელამ და ბესომ გარშემო შემოვუარეთ დიდ ტაძარს. კედლების გასწვრივ გაღაღებულია ჭინჭარი, ფუტკარა, აქა-იქ – ფურისულასა და ქრისტესისხლას ყვითელი ყვავილები ანათებენ.

როგორ მოღუშულია გარემო; ალბათ სწორედ ასეთ ამინდში სჯობს იხილო ანანური, მაშინ უფრო მძაფრად შეიგრძნობ მისი ბედის სიმწარესაც და მისი ამშენებელ-დამამშვენებელთა შრომის სიღიადესა და სირთულეს – რამდენი ასეთი დიდი ქვა და ლოდი უნდა ამოგეზიდა აღმართში აქ არაგვის პირიდან, რამდენი კირი მოგეზიდა... რამდენჯერ მოუხდათ დანგრეულის, იავარქმნილის, ხანძრისგან და დუშმანთაგან დაქცეულ-განადგურებულის აღდგენა...

რა ხმაური, ბრძოლის ყიჟინა, დაჭრილთა კენესა და მომხდურთა ღრიანცველი ესმოდათ ამ კედლებს, ხანძრის შავი კვამლი ერეოდა თოფისწამლის ცისფერს...

ანანური – მკაცრი მზეთუნახავია, აბჯარასხმული, სისხლის წვიმების მრავალ ჭირგამოვლილი, ქონგურებ-სათოფურებით საბრძოლველად ჯაგარაშლილი.

ბევრი უნახავს და მოუსმენია ამ ფერშეცვლილ და ზოგან საკმაოდ გამოფიტულ-ჩამოშლილ კედლებს...

ახლა კი სიჩუმეა და სიწყნარე (ტაძრის შიგნით სანთლების გამყიდველსაც კი ჩასძინებია) და მხოლოდ წვიმის ნელი შრიალი უერთდება არაგვისა და არყალის მარადიული მდინარების ჩურჩულს...

გალაგანში დატანებული ისრული გამოსასვლელიდან გარეთ გამოვდივართ; აქ შავგანიანი აკაციები ჯერ შიშვლად დგანან და მათი ტოტებზე შარშანდელი ნაყოფები-თესლპარკები ჰკილია, ხოლო ბებერ, დაძარღვულტანიან, უკვე შეფოთლილ კომშებს დაბერვით ყვავილთა ბუტკოები და აპირებენ აყვავებას, რათა კიდევ უფრო გააღამაზონ აქაურობა.

ჩვენ მივდივართ და აქ რჩება მარადისობა...

2006 წლის 25 აპრილი.

ნინოწმინდა

გოგი (ანზორ) ჩაგელიშვილს

დღეს 2006 წლის 3 იანვარია, სამშაბათი. შუადღეზე ტელეფონით მირეკავს გოგი, ჩემი მეგობარი მხატვარი – თუ გინდა, ლილოში გავისეირნოთ, იქ ბაზრობაზე საღებავები მაქვს საყიდელი, თხუთმეტ წუთში მანდ ვიქნებიო.

ტანზე საგარეოდ ჩაცმა და ეზოში ჩასვლა ძლივს მოვასწარი, რომ გოგის ჯიპი “ტოიოტა” უკვე იქ მელოდა.

გუთხარი, ჯერ ცოტა წავიხემსოთ, საახალწლოდ თითო ჭიქაც ავწიოთ, დავილოცოთ და ისე წავიდეთ-მეთქი, მაგრამ გოგი ვერ დავითანხმე – სწორედ გაუთავებელ სუფრებს გამოვექეცი, საცივს და სადღეგრძელოებსო; თანაც, დამაგვიანდება ბაზრობაზე მისვლაო.

წავედით.

აეროპორტის ავტოსტრადაზე დინჯად მივსრიალებთ. აქ ისეთი საგზაო პირობებია, თითქოს გამორიცხული უნდა იყოს ავტოავარიები, მაგრამ... ახალი წელი გუშინწინ დაგვიდგა და, ეტყობა, დღემდე ვერ ჩადგა ზოგი მძღოლი ნორმალურ კალაპოტში: აგერ, ვხედავთ, უზარმაზარი მანქანა ფართო გზიდან მარჯვნივ გადასულა და ამოყირავებულა. ერთი ოცამდე მანქანა გზის კიდეზე მიუყენებიათ, მძღოლები სეირს უყურებენ... ნეტა რა ნახეს აქ საინტერესო?

მეორე ავარია ზედ ლილოს ბაზრობის შესასვლელის წინ ვნახეთ: ორი მსუბუქი მანქანა ყოჩებით ცხვრებოთ შესკდომიან ერთმანეთს...

ის მაღაზია, სადაც გოგის სამხატვრო საღებავები უნდა შეეძინა, დაკეტილი დახვდა.

გოგიმ ქალაქგარეთ გასეირნება შემომთავაზა, გეზი კახეთისკენ ავიღეთ.

ძალიან წყნარი დღეა, შორეთაბურუსებული; მზე დილიდანვე არ ჩანს, ალბათ ამიტომაც ძალიან არ ცივა. ავიარეთ აღმართი, გავცდით ვაზიანს; ვიარეთ, ვიარეთ; სართიჭალის შემდეგ გადავედით იორზე ხილით.

რადაცის მოლოდინით არის გატრუნული გარემო: რუხ-მოყვითალო გორაკები, აქა-იქ თეთრად თოვლწაფიფქული ველები... მონაცრისფრო-მოცისფრო თხელი ნისლი პოეტური გაუკვევლობლის პირბადესავით აბუნდოვნებს შორეთს; მანქანის ნელ რწვევაში (მშვენიერ ავტომანქანებს აკეთებენ იაპონელები), სკამის საზურგეს ნებიერად მიყრდნობილი, მშვიდი და მეღანქოლიური მზერით აცილებ ფანჯრიდან დანახულ ჩვეულ და მაინც სიამის მომგვრელ სურათებს: გზისპირად ჩამწკრივებულ ვერხვებში ალაგ-ალაგ კენწეროზე ბუდის მუქ, მრგვალ ბურთს ხედავ, მერე ხელმარცხნივ დამრეც ფერდობზე ყორნების ჯარია მიმოფანტული, ერთი ასი ფრთა მაინც იქნება; წყნარად სხედან, მხოლოდ დროდადრო რომელიმე თუ აფრინდება და ადგილს მოინაცვლებს... აგერ კიდევ ერთი მუქი ბურთი ზის გაშვერილ გაშიშვლებულ ტოტზე – ამჯერად ეს ფითრი უნდა იყოს... ცხვრის მომცრო ფარა რუხ ფერდობზე, მის ოდნავ ზევით – ცალკე ძოვენ ნაირფერი ძროხები: დეკემბერში ცოტა კი წამოთოვა, მაგრამ მაღევე გადნა თოვლი, მხოლოდ მაღლობებზე და ალაგ-ალაგ მზისგან მოფარებულ ადგილებში შემორჩენილა.

დაღმართით ჩავსრიალდით საგარეჯოში, სოფელი ნინოწმინდა ხელმარცხნივ დაგვრჩა – მუქი, თავზე თოვლმოვლებული დაბალი ქედის ძირში მიყუჟულა, სახლებს თითქოს მოიისფრო-მონაცრისფრო პირბადე აუფარებიათო; გაშიშვლებულ-გაძარცვულ ვენახ-ბალებს სევდიანი იერი დაჰყენია...

საგარეჯოში გოგი ბენზინს ასხამს მანქანის აგზში, შემდეგ გზის გაგრძელებას მთავაზობს – ალავერდში ხომ არ წავიდეთო.

– შორია! – ვპასუხობ. – იქ წასასვლელად დილიდავე უნდა დაიჭირო თადარიგი; უკვე შუადღეა...

გოგი არ მეთანხმება:

– გემო იმას აქვს, მოუმზადებლად რომ იხილავ რამეს – ბედის მოულოდნელი საჩუქარივითაა!

– მაშინ, ჯობს, აქვე ვართ და აგერ ნინოწმინდის ტაძარი და მისი სახელგანთქმული სამრეკლო მოვინახულოთ. ამ გზაზე უთვალავჯერ გამატარა გეოლოგის ბედმა და მრცხვენია: თითქმის 70 წლისა მოვიყარე და ეს ტაძარი არ მინახავს!

გოგი აღიარებს, რომ მონადირის ბედმა ისიც მრავალჯერ გაატარა ამ გზაზე და არც მას უნახავს ნინოწმინდის ტაძარი. გოგიმ მანქანა მოატრიალა და უკანვე წამოვედით – ბენზინის ჩამსხმელმა ხნიერმა ძიაკაცმა დაგვაკვლიანა, როგორ უნდა მივსულიყავით ძველთან.

აღმართი არ გვქონდა ათავებული, როცა მარჯვნივ ცისფრად ოდნავ დაბურუსებულში დაგვანდეთ სოფლის შორეულ კიდეზე მაღალი, თავწაწვეტებული სამრეკლო.

მივჯაყვავებთ ორლობეში ასფალტიან, მაგრამ საკმაოდ შეღანძულ გზაზე. წინ მუქი მთებია, მის ზევით კი ღრუბლიან, ნაცრისფერ, ხეწარივით ერთფეროვან ფონზე ფარფატებს მტრედთა დიდი გუნდი – გაიწეეს მარჯვნივ, შემდეგ ფრთების ფართქუნით შებრუნდება საწინააღმდეგო მხარეს... თითქოს ჯიდად, გვირგვინად ადგას იმ ადგილს, საითკენაც მივისწრაფვით.

ჩავუარეთ სკოლის შენობასაც და პირდაპირ მივადექით მონასტერს – უჰ, რა მაღალი და მძლავრი ზღუდე შემოუფლიათ ჩვენს წინაპრებს!

მანქანა კედელთან გავაჩერეთ.

გოგის ეშინია:

– სუფრასთან არავინ მიგვიწვიოს – მოდით, დაგვილიეთო!

შევფურებ უხეშად გათლილ დიდრონ ქვებს გალავნის წყობისა და საქართველოს ძნელბედობაზე ვფიქრობ... როგორც ქართლ-კახეთის მრავალი სხვა ეკლესია, – ალავერდი, გრემი, სვეტიცხოველი, სამთავისი, ახტალა და სხვა და სხვა, – ნინოწმინდის მონასტერიც ომიანობის დროს წარმოადგენდა მოსახლეობის თავშესაფარსა და ციხესიმაგრესაც.

ფეხით შევდივართ რკინის ჭიშკარში და აჰა, შემოგვეგება ნინოწმინდის დიდებული ტაძარი, აწ დაქეული, მაგრამ მაინც მშვენიერი, თავისი სწორუპოვარი, აგურისგან აგებული ოთხსართულიანი სამრეკლოთი...

დიღხანს ვდგავართ თავადერილნი – შემორჩენილია მხოლოდ აღმოსავლეთის, საკურთხეველის, აფსიდი, საკმაოდ დაზიანებული, მაგრამ მაინც მშვენიერი ფრესკით: ყრმა ქრისტე ღვთისმშობელს კალთაში უზის. ზამთრის ამ მქრქალ დღესაც კი რა ცხოველხატული ფერები შემოგვაშუქა!

– რა კარგად არის შესრულებული ტანსაცმლის ნაკეცები! – მხატვრის თვალით აფასებს გოგი.

მარჯვნივ, ძალიან მაღლა, ოთხკუთხა ნიშა მოჩანს მუქად, შიგ კი – მტრედი გატრუნულა.

– როგორ გუგულივით ზის! – ამბობს გოგი.

თითქოს სიმბოლური სურათია: შავი ნიშა – მიმე წარსული და მტრედის ნათელი სხეული – იმედი მომავლისა...

ამ ნაწილით, აგრეთვე სხვა სამი აფსიდის ნარჩენებით, ცხადი ხდება მნახველისთვის ტაძრის წარსული სიდიადე... ახლა ბებერი, თითქმის ნანგრევებად ქცეული, მაინც ამაყად, დაუმორჩილებლად აჩენს რუხ კედელთა ნარჩენებს...

იდილიური სიმშვიდე განფენილა ირგვლივ, მხოლოდ სოფლის ძაღლების ყეფა იჭრება სიწყნარეში.

განვაგრძეთ ტაძრის ირგვლივ შემოვლა; დასავლეთის აფსიდისთვის მიშენებული მცირე სადგომი გადარჩენილია დანგრევას.

შემოგვხვდა შავგვრემანი, შავწვერა, ჯანიანი ბერი, იქნება 35 წლისა.

გავაბით საუბარი.

აპირებენ გაზაფხულიდან, სითბოს დადგომისთანავე, სამხრეთ ნაწილში გალავანთან გრძელი, აწ დანგრეული სადგომი აღადგინონ, რომ ხალხმა წირვა-ლოცვა უფრო ნორმალურ პირობებში შესძლოს.

– კარგი იქნებოდა ტაძრის აღდგენა, – ვამბობ მე.

გოგი არ მეთანხმება:

– ჯობს, წესიერი გამაგრება-კონსერვაცია ჩაუტარდეს ძველს – იგი ამ სახითაც დიდებულია! ახლა ბაგრატის ტაძრის აღდგენის პროექტია დამუშავებული, ოღონდ იქ ნაკლები ადგილები ქვით კი არ აშენდება, მინის ნაწილებით შეივსება. ზღაპრული იერი ექნება!

გამოჩნდა მეორე შაოსანი ახალგაზრდაც – ისიც ახოვანი, შავი წვერით შემკული, ერგვარად მკაცრი და თითქოს სადღაც განზე თუ სიღრმეში წასული მზერით...

როდის არის აშენებული ტაძარი? როდის დაინგრა?

ვატყობ, ამ კითხვებზე პასუხის გაცემა უჭირთ.

ახალგაზრდები საუბარს სადგომის ადდგენაზე აგრძელებენ – თურმე ვიდაც მდიდრული მანქანით – “ჯიპით!” – მოსულეობა დაამედეს აქაურები, რომ დააფინანსებდნენ ადდგენით სამუშაოებს; როცა წასულან, გზა-გზა რესტორნებში უქეიფიან, მერე ავტოავარიაც მოუხდენიათ... და მას შემდეგ ისინი აღარ გამოჩენილან.

ეჭვი მაქვს, რომ მთელი ეს საუბარი იმიტომ მიმდინარეობს, რომ “ფულიანი” ხალხი ვგონივართ, იქნებ რაიმე დახმარება გაგვიწიონო, მაგრამ... ჩვენ საქმოსნები არ ვართ, გოგი მხატვარია, მე კი – 28-ლარიანი პენსიის შემყურე...

თბილად გამოვეთხოვეთ ერთმანეთს.

ერთ-ერთმა ახალგაზრდამ (არ ვიცი, რა გუწოდო: მღვდელი, ბერ-მონაზონი, თუ სხვა რამ?) ანაფორის კალთა გადაიწია, მუჭით ამოიღო ხურმის ჩირი და სამ-სამი ცალი გამოგვიწოდა; მეც ჩავიყავი ვიბეში ხელი და სანაცვლოდ შოკოლადის ფილა მივართვი...

შინ “ქართული ენიკლოპედიიდან” (ტ. 7, 1984 წ., გვ. 440) ამოვიწერე:

“ნინოწმინდაში შემორჩენილია გალავანშემოვლებული სამონასტრო კომპლექსი – ტაძარი, აგურის ოთხსართულიანი სამრეკლო (XVI ს.), მიგროპოლიტი საბა გუსიშვილის ორსართულიანი სასახლე (1774-77 წწ.) და სხვა ნაგებობათა ნანგრევები. ნინოწმინდის ტაძარი VI ს. საყურადღებო ძეგლია. დიდი გუმბათქვეშა სივრცის შესაქმნელად ცენტრალური კვადრატის კუთხეებში ოთხ აფსიდს შორის დიაგონალურ ღერძებზე თითო დამატებითი მცირე სადგომია ჩასმული. გარედან ტაძარი გეგმით ვარსკვლავისებური ნაგებობა იყო, სიდიდის მიხედვით მონაცვლეობით განლაგებული ნახევარწრიული მოხაზულობის შევრილი აფსიდებით. მხოლოდ საკურთხევის აფსიდს შუა ნაწილში, სადაც სარკმლებია გაჭრილი, აქვს წახნაგოვანი ფორმა. შენობა წარმოადგენდა გეგრაკონქის განვითარებულ სახეს და ჯვრის ტიპის ძეგლთა უშუალო წინამორბედს. ტაძარი მრავალჯერ შეუკეთებიათ საფუძვლიანად (XI-XII სს., XVI ს.), საბოლოოდ დაინგრა 1824 და 1848 წლების მიწისძვრების დროს.

ნინოწმინდის სამრეკლო ერთ-ერთი პირველთაგანია საქართველოში. იგი XVI-XVIII სს. აგურის არქიტექტურის საუკეთესო ნიმუშია. ქვემო სამ სართულში თითო კამაროვანი ოთახია ისრული სარკმლებით, ნიშებითა და ბუხრებით. მეოთხე სართული საკუთრივ სამრეკლოა – რვაბოძიანი თაღებით გახსნილია ფანჩატური. ფასადები დამუშავებულია აგურის წყობით გამოყვანილი და სიმეტრიულად განლაგებული ისრული თაღებით, რომლებით, ჯვრებით.

მონასტერში მდიდარი წიგნთსაცავი ყოფილა, რასაც მოწმობს ჩვენს დრომდე მოღწეული ხელნაწერები. აქ მოღვაწეობდნენ მწიგნობრები და პოეტები: მღვდელმთავრები – ათონის ლიგერატურული სკოლის მოღვაწე ექვთიმე მთაწმინდელის ახლო თანამშრომელი არსენ ნინოწმინდელი (X-XI სს.), მიგროფანე ნინოწმინდელი, იოანე ნინოწმინდელი (XVIII ს.), საბა გუსიშვილი და სხვ.”.

2006 წლის 3 იანვარი.

კახელი კაცი და აფეთქებული ნუში

გვიანი შემოდგომაა და ისევ არმაზში ვარ, გოგის აგარაკზე. ორი კვირის წინ რომ ვიყავი, წვიმით დაბურუსებული გარემო ერთიან მონაცრისფრო-რუხ საერთო ტონში იყო ჩამჯდარი, დღეს კი მტკვარგაღმა სავანეთის ქედის ციცაბო სამხრეთი ფერდი ჩამავალი მზის ირიბი სხივებითაა განათებული და ბევრად ფერადოვანია. დოჯებივით ამოშვერილ, მოღუშულ კლდე-ღრეში აქა-იქ ღამაზ ლაქებად მოჩანს დვიის ხასხასა მწვანე თუ თრიმლის კოცონივით წითლად აბრიალებული ბუჩქები. მტკვარი შედარებით დაწმენდილა, დუღუნ-შრიალებს და მოაქვს თეთრი ქაფი, მის ზედაპირზე ირეკლება და წვრილად იტალღება ცის ნათელიც; ხელმარცხნივ, სილიანი ნაპირის იქით, ჭაღის ვერხვები დაყვითლებულან...

...ქვემო ოთახში გაშლილ მაგიდას რვა მამაკაცი უზის; ერთ-ერთმა მათგანმა, სახენათელმა, მოსული ტანის გოჩა პატარძემ, რომელიც მანამდე მზარეულობას გვიწევდა, ახლა კი სუფრას შემოუერთდა და რამდენიმე სადღევრძელოც დალია, სასიამოვნო ბარიტონით ერთი ამბავის მოყოლა წამოიწყო:

– ასეთი, ძალიან ტკბილი კოლექტივი გვაქვს; დიდ პატივს ვცემ უფროსებს, ყოველნაირად მხარში ვუდგევარ, – ახალგაზრდა ბიჭი ვარ, – რომ იტყვიან, ერთუზიანობით დამუხტული... პურის მჭამელ კოლექტივს ვემხნით: სადამოს აუცილებლად უნდა წავსულიყავით რესტორანში ან სადღაც სხვაგან, სულ ერთად ვართ. ფულს მე არ მახდევინებდნენ, მეუბნებოდნენ: “არა გაქვს იმდენი; სანამ

ჩვენთან იქნები, რატომ უნდა დახარჯო, ჩვენ შენზე მეტი გვაქვს”. ამაზე მე ვდარდობ, მეც მინდა რომ წილში ვიყო.

მოდის რევიზორი, – კახელი კაცი, გიორგი, – გვარი არ მახსოვს; არის სამოცდაათ წელს გადაცილებული, ხმელი კაცი, თხელი კაცი. ჩვენ არ ვიცნობთ – ახალი მოსული არის ჩვენს სისტემაში, – გამოგზავნეს ჩვეულებრივად შემოწმებაზე. არადა, მკვლარი სულები გვყავს გაფორმებული, ასე იყო მიღებული მაშინ.

უბედურება ის არის, რომ არ იცნობ, ხომ რაღაცნაირად უნდა მიუდგე ამ კაცს. ჩვენი ქართული მიდგომა ის არის, რომ უნდა წაიყვანო სადმე საპურმარილოდ, ერთ-ორ ჭიქას დალევს და რაღაცნაირად შეუამხანაგდები, რაღაცას ათქმევინებ, გათქმევინებს და...

ჩავთვალეთ, რომ, რამდენადაც ეს მოხუცებული კაცი არის, დიდი დამლევი არ იქნება, ჰა-ჰა – ერთი ბოთლი დალიოს და ღირექციამ არ მიაქცია დიდი ყურადღება.

რევიზიის პირველი დღეა და როგორც წესია, შემოვიდა ბუღალტერიაში, დალუქა სალარო, ესა, ისა, უწყისები მოითხოვა – უწყისებშია ეს მკვლარი სულები.

შესვენების დროა პირველიდან ორ საათამდე. მთავრობამ გადაწყვიტა, რომ რაღამც მოხუცებული კაცი არის, მოდი, პირველ სადილზე გაეშვება წარმოების უფროსი ჩოფიკაშვილი. დიდი მსმელი კაცი არ იყო, ორ ლიტრას – ჰა-ჰა! დიდ სათვალეს ატარებდა, ნაღდი ქართველი იყო – “მთის არწივს” უწოდებდა საკუთარ თავს. კარგი ლაპარაკი იცოდა. რომ შეხვიდოდი მის კაბინეტში, კედელზე დიდი რუკა ჰქონდა გაკრული: “ჩვენ, ქართველები... საქართველო აქედან აქამდე იყო!” ყაზბეგელი კაცი იყო, მოხევე, ჩოფიკაშვილების შთამომავალი; დიდი მწერალი მაგის ნათესავი იყო და, სხვათა შორის, იმის სახელში ცხოვრობდა, როცა იქ ჩადიოდა.

გააგზავნეს ეს ჩოფიკაშვილი, გააყოლეს რევიზორი – ჩასხეს ორივე სამსახურის მანქანაში და წაიყვანეს, უთხრეს. რევიზორი კაცია, ხომ უნდა ასადილონ, წესი იყო მაშინ ასეთი. ჩავთვალეთ, რომ ესენი უცბად წაისადილებენ და მალე მოვლენ.

ნახევარ საათს გადააცილეს შესვენებას და ბრუნდება უკან მანქანა. ხომ გვანტერესებს, უნდა შევეკითხოთ, როგორი პიროვნებაა რევიზორი, დამყლი კაცი თუა, როგორ დამთავრდა ყველაფერი... რა უნდა შევეკითხო, ისეთი მთვრალია ჩოფიკაშვილი, პირში ენას ვერ აბრუნებს. ზის და სათვალედან უაზროდ იყურება...

ეს მოხუცებული კაცი, რევიზორი, გადმოვიდა მანქანიდან ჩვეულებრივად, ავიდა ბუღალტერიაში, ახსნა ლუქები და განაგრძო ისევ მუშაობა.

ამ ჩოფიკაშვილს ეკითხებიან: “რა ქენი, ბიჭო, მარტო შენ დალიე, კაცო?” “არაო, რას ლაპარაკობთო, იმანაც დალიაო”. “რამდენი დალიეთ მაინცო?” “ჯერ თითო-თითო ბოთლი ხომ არ დავლიეთო?” “კიო, შვილო”, ასე მითხრაო. მომატანია ერთი ბოთლიო, მერე – მეორე ბოთლიო...”, – ჰყვება, რაც ახსოვს. “დალიაო?” – ეკითხებიან, “დალიაო”. “შენ რა დღეში ხარ და იმ კაცს არაფერი ეტყობაო”.

ჩავთვალეთ, რომ, შესაძლოა, ჩოფიკაშვილს რაღაცა აერია, ან კიდევ ის ვითომ სვამდა: ხომ არის მოჩვენებითად – ვითომ სვამს.

დილას ხომ გამოფხიზლდა ეს ჩოფიკაშვილი და მიდის ისევ საუბარი: “როგორი კაცია და რა გქნათ?”; “კაი კაცი არისო, გემრიელი კაციო”; “დალია თუ არა?”; “დალიაო”.

კაი, ბატონო, და მოდის ისევ შესვენება, შემდეგი სტადია დადგა. “ახლა მე წავიყვანო”, – მთავარი ინჟინერი არის მეგრელი, კაკო, მეგრული არაფერი იცის. ეს მართლა კარგად სვამს, ესეც სათვალეანია. რაღაცა ხომ უნდა დაეღაპარაკო რევიზორს, ყველაფერი სუფრაზე უნდა გადაწყდეს.

წაიყვანა ამ კაკომ, – მთავარი ინჟინერია, – სასადილოდ რევიზორი.

გადასცილდა შესვენებას ორი საათი. ველოდებით, ველოდებით და გამოჩნდა ეს მანქანა სამსახურის. კი ვხედავთ, მანქანა მოდის, მძღოლსაც, ეს კაცი, რევიზორი, წინ ზის და კაკო არსად ჩანს. ჩვენ ვფიქრობთ, ვიღაცამ დაურეკა ან სამინისტროში წავიდა ან სხვა რაღაც მოხდა. მოვიდა ეს მანქანა, გადმოვიდა რევიზორი და ამბობს: “ბოდიში, ძალიან ვთხოვე, შინ წავიყვან-მეთქი და არაფრით ქნაო”. ჩავხედეთ – კაკო გატრეტილი მთვრალია, გაუბედურებულია. რევიზორი ისევ ბოდიშს გვიხდის: “არ მინდოდაო, მთავარი ინჟინერი ასეთ მდგომარეობაში აქ, წარმოებაში მოგვეყვანაო...”.

შევაქანჯალეთ კაკო, იკითხა: “სად არის?”. “კაცი ბუღალტერიაში ზის, მუშაობს, შენ რა ქენი?”. “სვამსო, დაამტკიცა ამ კაცმა, რომ სვამსო”. “რამდენი დალიეთო?”. “რაც მე დავლიეთ, იმანაც დალიაო...” “როგორ დალია, არაფერი ემჩნევა, თან – ხნიერი კაცია...”, “დალიაო, შვილებს გეფიცებითო, ყველაფერს ვფიცავარო, დალია რაო”. “შენც სათვალეანი ხარ, რაღაცა ვერ დააკვირდი კარგადო”...

მესამე დილა თენდება – მესამე ეტაპი მოდის.

ღირექტორი ახალგაზრდა კაცი არის, ყოფილი რაგბისტია. ესეც მაგრად სვამს, ამას არც სათვალე აქვს, არც არაფერი. “ამის დედა ვატირე, არაფერში არ ვარგისხართ, სულ ჩემი გასაკეთებელია ყველაფერიო”.

გახდა პირველი საათი, ჩასვა თავის მანქანაში დირექტორმა ეს რევიზორი, წავიდნენ.

გახდა ოთხი საათი, ხუთი, ექვსი – არ ჩანან...

დირექტორია, თუ უნდა, სულ არ მოვა; ჩავთვალეთ, რომ დირექტორმა რევიზორი მიაცილა შინ.

გავიხედეთ – შვიდი საათია უკვე, მუშები და მოსამსახურეები სუყველა წასულეებია, ინჟინერ-ტექნიკური პერსონალი გვიანობამდე ვრჩებოდით.

გხევათ – მანქანა მოლაყვლაყვებს... ეს კაცი, რევიზორი, ზის, დირექტორი არ ჩანს... სად არის? დამჯღარა თურმე უკან, მერე წამოწოლილა, მერე ამ ჯანჯღარში ამ სკამებს შორის ჩავარდნილა, გაჩხერილა...

ეს გიორგი, რევიზორი – გამხდარი, თხელი კაცია, დირექტორი – დიდი, ზორბა, ნავარჯიშევი – ძლივს ამოვიყვანეთ.

რომ დაგვინახა, სულ გაიხადა ტანზე: “აბა, ერთი, შამპანურები!” – ძალიან უყვარდა, რესტორანში ჰგონია თავი.

“ბიჭო, რა შამპანურები, – რევიზორმა თქვა, – დაკეტილია ბუღალტერია და ბოდიშს ვიხდით”, – გადაჯდა თანამშრომლის მანქანაში, – “რა მექნა, არ მინდოდა, ასეთ მდგომარეობაში მომეყვანათ”, – ბოდიშს იხდის.

დირექტორს ვუტყაპუნებთ სახეში, აქეთ-იქით, – აზრზე არ არის, სად იმყოფება...

დილაა – მეოთხე დღე.

მოდის კადრების განყოფილების უფროსი და მეუბნება – დირექტორი გეძახისო. შევედი კაბინეტში. დირექტორს თავი აქვს გაკოჭილი, ეს წინა დღეებში დამარცხებულები გვერდს უმშვენებენ.

მე მგონია, საქმეზე დამიძახეს, მეტალობაზაში უნდა წავიდე; ჩვენი მეტალკონსტრუქციების ქარხანა იყო, იქ გვქონდა ფონდები და სულ იქ დავდიოდით – რომ იტყვიან, ჭიპი მქონდა იქ მოჭრილი. შევედი და თან არ მინდოდა წასვლა: მეტალობაზაში რიგები იყო რაღაც სასწაული და მეზარებოდა იქ წასვლა, ყოველდღე რომ იქ დადიხარ... რა უნდათ ჩემგან ახლა, მე ვიცი ჩემი საქმე, როდის სად უნდა წავიდე.

თურმე სხვაგან მიშვებენ!

“მოხურე კარი!” – მოვიხურე.

ჩემი სიძე – საწყობის გამგე იყო, ცხონებულნი, გადის და გამოდის, სამტრედიელი კაცია, ყვირის: “ის კაცი ვერ დაათვრეთ?” – ანჩხლობს, ჩხუბობს.

დირექტორი ფეხზე ვერცა დგება. “ახლაო, ერთ დავალებას გაძღვეო”. “რა დავალებას?”. “ახლა წავიყვანთ ამ კაცსო, დაათრობ – დაათრობ, თუ არ დაათრობ, დაწერ განცხადებას და წახვალ სამსახურიდანო... არ მაინტერესებს, კარგად მუშაობ, თუ ცუდად მუშაობ; დაათრობო – ათასი მანეთი თუ არ მოგცე პრემიაო, უკანასკნელი კაცი ვიყოო”.

გამიხარდა. მეტალობაზაში წასვლის მაგივრად – მოხუცებულის დათრობას რა უნდა, თან ათას მანეთს მომცემენ, ამაზე კარგი რა უნდა იყოს?

– მართალს ამბობ?

– ნაღდად!

სუყველა მოდის: დირექტორი, მთავარი ინჟინერი, წარმოების უფროსი, ჩემი სიძე – ყველანი ამ საქმეში არიან. პურმარილი გვინდა გავაკეთოთ რაღაც გრანდიოზული, რომ ამ სმაში შევიტაცოთ ეს კაცი. “აფრიკაში” ვმუშაობდით ჩვენ – თბილისის ერთ-ერთი გარეუბანია, იქ არის ჩვენი ქარხანა. იქვე ახლოსაა სადგური ველი – ქალაქში რომ გვერიდებოდა, გავდიოდით და იქ სრულიად თავისუფლად ვიყავით – პირველი ციკანი, პირველი ჩაქაფული, ცივი შამპანური... ყველა გვიცნობს, იციან, ვინა ვართ, სად ვმუშაობთ... იქეიფებ, ანგარიშს დაგიდებს – თუ ფული არ გაქვს, ხვალ, ზეგ გადაიხდის... იქ წავიყვანოთო, თათრებში წავიყვანოთო და იქ დავახრჩოთ ღვინოშიო ის კაცი – განიანში...

ჩემი იმედი აქეთ. ამათში ყველაზე ახალგაზრდა ვარ და არა უშავს, ამათთან შედარებით კარგად ვსვამ, რა: რომ არ მოგატყუილოთ, შვიდ-რვა ლიტრ ღვინოს მივირთმევედი, თან ყანწებით და დიდი იმეებით – გიყვარდეს!

წავედით. დამაბარეს: “წინ წადი იქაო და უთხარი, რომ შემოვალთო, არ თქვან იქაურებმა: “ა, რომან, ა, გონაჯან!” – ამ კაცმა არ თქვას, რომ სულ აქ დადიანო. მოლარეა, მეტუფეტეა, მიმტანია, მზარეულია – ყველა გააფრთხილეს: ვითომ არ გვიცნობენ, პირველად ვართ აქ მოსულნი!”.

ჩამოვიდნენ, შემოვიდნენ... “გამარჯობა!”. “გამარჯობა!”. “რას ინებებთ?”. “რაღაცა პატარა წახემსება გვინდა...”. “ღარბაზში?”. “ღარბაზში არ გვინდა, კუპეში გვირჩევიან”.

ვიწრო კუპე იყო, იქ შევიყვანეთ და სულ ბოლოში დავსვით; აქედანაც შემოუსხდნენ, იქიდანაც, რომ მოსაფსმელადაც ვარ გავიდეს.

რევიზორს ჩემი თავი გააცნეს: “ეს არისო ჩვენი ახალგაზრდა თანამშრომელი გონა პატარიძე – მომარაგება-გასაღების განყოფილების უფროსიო; ბატონი გიორგი, თუ თქვენც წინააღმდეგი არ იქნებით, მოლით ერთი, შანსი მივცეთ, ახალგაზრდა კაცია, ვათამაღოთო, მერე ხომ უნდა გაიზარდოსო...”. “კი, ბატონო, შეილოო, აბა, ახალგაზრდებს უნდა მივცეთ შესაძლებლობაო, მე, პირიქით, მო-

ხარული ვიქნებიო”. “ჰოდა, დაგნიშნოთ თამადად გოჩა პატარიძეო”. “როგორ გეკადრებათ, – მე ვუთხარი, – უფროსები ხართ!”

აქეთ-იქით, ბოლოს, დამიყოლიეს.

იქ ზარი არის, თუ რამე დაგჭირდება, მიმტანს გამოიძახებ.

ოფიციალტი სომეხი ქალია – სუსანა. ვითომ არ გეიცნობს: “აბა, რას დალევო?” “მე, შვილო, კახელი კაცი ვარო, ღვინოზე გაზრდილიო და ღვინოს დავლევო” – რევიზორი ამბობს. “რა ღვინო დავლიოთ?”. “თუ კახური იქნება, ძალიან კარგი”. მაშინ უფრო მეტად შამპანურს ვსვამდით, მოდაში იყო შემოსული: “შამპანურს ხომ არ მიირთმევო?”. “თუ თქვენ გნებავთ, შამპანური დალიეთ, მე კახელი კაცი ვარ და ღვინო დამალევინეთო, რა”. “ჩვენც ღვინოს დავლევო!” – გაგვიხარდა, უფრო იაფად გამოვალოთ, შამპანური ძვირი ღირდა. “რამდენი მოვიტანო?”. “ორ-ორი ბოთლი!”. “რამდენნი ვსხედვართ?”. “ამდენი ვსხედვართ”...

ეს ჩვენი რევიზორი მოქცეული გეყავს ალყაში – სულ ბოლოში.

ორ-ორი ბოთლი მოიტანა სუსანამ, დაგვიწყო მაგიდაზე, გადავანაწილეთ, დაგიწვეთ სმა.

ერთი სადღეგრძელო, მეორე – მიყვებით, მიყვებით...

მთელი განცდა მაქვს: ამ კაცს ვუყურებ – სვამს თუ არა სვამს?

ყველა უყურებს – სვამს!

როგორც ყველანი ვსვამთ, ისე სვამს, მაგრამ მერე დაიწყება, მერეა საქმე.

ორ-ორი ბოთლი არ გვეყო. დავაზარუნე, მოვიდა სუსანა, ორ-ორი ბოთლი კიდევ მოვატანინეთ.

კიდევ დავლიეთ, დავცალეთ ეს ბოთლებიც. კიდევ ორ-ორი დაგვიწყო სუსანამ მაგიდაზე. ცარიელი ბოთლები მაგიდის ქვეშ აღარ ეტევა.

ეს კაცი ზის!.. არც მოსაფსმელად გადის, არც არაფერი...

ვატყობ, რომ ვთვრები, ვთვრები, ბიჭო, და ეს კაცი – ზის რა!.. ზის ჩვეულებრივად.

– რამე განსხვავებული ხომ არ დავლიოთ? – ვეკითხები.

– კი, შვილო, უხდება ქართულ სუფრას!

დავუზარუნე სუსანას, მოვიდა და ვუთხარი: “რამე განსხვავებული სასმისი გაქვო?”. “ჩანახის ქოთნები გვაქვს თიხის”. “ნახმარი ხომ არ არის?”. “არა, ახალია!”. “მოიტანე!”.

– ამ კოჭობით მამა-პაპისა დავლიოთ!

ჩოფიკაშვილი უკვე აქ აღარ არის, ჩემი სიძეც მკვდარია. ეს ორნი – მთავარი ინჟინერი და დირექტორი – გაბრაზებულები სხედან.

მე უკვე მაგარი მთვრალი ვარ. ათას მანეთს ხომ ვკარგავ და ვკარგავ, სამსახურიდანაც გამო-მაგდებენ – ამაზე ვგიჟდები... ეს კაცი რა უბედურებაა!!!

კოჭობი ორ-ორჯერ დავლიეთ და გადავდგით, გადავედით ისევ ჭიქებზე. ეს კაცი კი სვამს, არის ჩვეულებრივად. გიორგი უკვე ორად მეჩვენება, ფოკუსში ვერ არის. ავიღებ ჭიქას, სადღეგრძელოს ვიტყვი და: “ალავერდი თქვენთანა ვარ! თქვენ პაპის ტოლა კაცი ბრძანდებით-მეთქი”, – მართალა ასეა. “შენ გენაცვალეო”, – რევიზორი ტკბილად მომმართავს, დალევს ამ ჭიქას, სულ ბოლომდე დაცლის ჭიქას, დადებს მაგიდაზე. საინი უდგას იქა; მე ცხოვრებაში ამისთანა რამ არ მინახავს: სულ ბოლომდე დაცლის, დადგამს საინის გვერდზე, ასე მოარტყამს წიპურტს და დატრიალდება ჭიქა, მოვა, მოვა, მოუვლის ამ საინს ირგვლივ და ისევ ძველ ადგილას ჩერდება... არ მინახია ასეთი რამე, ამან გამაგიჟა, ცირკია! გამიგია, ჭიქას ააგდებენ, ათამაშებენ, ატრიალებენ ჰაერში, დაიჭერენ და რაღაცა, მაგრამ... 58 წლის კაცი ვარ და იმის შემდეგ არსად მინახავს – ჭიქაზე ასე ამორტყმა, დატრიალება და ისევ იმ ადგილზე შებრუნება. ნაღდად აკეთებდა, იმან გამაფუჭა!

მე ვთქვი გუნებაში: “გოჩა, სამსახური დაკარგე, ათასი მანეთიც... რაღაცა უნდა მოვიგონო, დმერთო მიშველე! რაღაცა ცოტა ძალა მომეცი, ახალი ძალა – ეს ხალხი არ შევარცხვინო, ჩემს იმედზე არიან... ჩემს ამბავს არ ვჩივი, რა დღეში ჩავარდებიან, სულ დაგვხსნიან სამსახურიდან ყველას! რა ვქნა?”.

მერე გამახსენდა, რომ ყავა აფხიზლებს ადამიანს, ჰოდა, შევთავაზე სუფრას: “ყავა ხომ არ დავლიოთ, ყავა?”. ამათ ხომ იკივლეს: “კი, კი!”. “ბატონო გიორგი, თქვენ ხომ არ მიირთმევო?”. “არაო, შვილოო, კახელი კაცი ვარო, ყავა ჩემს დღეში არ დამილევიაო; თქვენ თუ გინდათ, დალიეთ და მე არ მინდაო, მე ღვინოს დავლევო”.

დავაზარუნე, მოვიდა სუსანა. “სუსანა, ამდენი ყავა გაგვიკეთე!”. მე მინდა, რომ გარეთ გავიდე, წყალი შევისხა სახეზე ან რაღაცა გავაკეთო... მე ვუთხარი: “ბატონო გიორგი, მე გავეყვები, ცოტა მაგარი ყავა მიყვარს და როცა რესტორანში ხარ, ცოტა წყლიანი მოაქვთ... თავზე დავადგები, შეგხედო – რა ხდება, წესიერად გააკეთონ-მეთქი”. “კიო, კაცოო”.

მომეცა შანსი, გარეთ გამოვედი ეზოში და სუსანას ვეუბნები: “ქალო, ახლა უცებ არ მოადულო, ცოტა დრო გაჭიმე! მე აქ ჩამოვჯდები მანქანაში, შენ რომ ყავას გააკეთებ და გამოივლი, შენთან ერთად შემოვალ, კარგი?”. ვიფიქრე, მანამდე ცოტას აზრზე მოვალ-მეთქი. “კი, გენაცვალეო”, – ქალი წავიდა.

რა მანქანითაც ვართ ჩამოსული, – მაშინ “ვოლგობა” იყო, – ეზოში ნუშის ქვეშ იდგა. გაზაფხულია, ადრეული გაზაფხული. უკანა კარი გამოვადე, დავჯექი და ფეხები გარეთ გამოვყავი. და დავჯექი თუ არა, მაშინვე წამიღო უფაღმა – გავითიშე... წამოვწოლილვარ და მიინავს!

რალაც დრო გავიდა, მოაქვს ეს ყავა სუსანას და ხომ არ შეიტანს უჩემოდ – მოვიდა, ხელიში ეს ყავა უჭირავს და ფეხს ფეხზე მირტყამს: “გონა, გონაჯან!.. გაიღვიძე!”

გავახილვე თვალები, შევხედე – სუსანა! მე ვთქვი: “სახლში ვარ, საიდან გაჩნდა აქ ეს ქალი?”. “გონაჯან, გაიღვიძე, ყავა მომაქვს!”.

აუჰ! გამახსენდა! წამოვვარდი, თავი მიბრუნის... თმებს ვისწორებ... ხელი მაქვს მოკიდებული იმ კარზე, უნდა გადმოვიდე და ზევით ავიხედე... ახედე ზევით და ეს მანქანა არის გაჩერებული ნუშის ქვეშ; ჩვენ რომ მოვედით, ეს ნუშები იყო დაკვირტული და იმ სამსაათიან სმაში – აყვავებული! გადაპენტილია თეთრად!

შევხედე და ვიყვირე:

– თოვლი მოვიდა! გა-ჰა-ჰა-ჰა!.. თოვლი მოვიდა!

ჰოდა, როგორ მინდა, ეს ხალხიც გავახარო!

ქალი მომდევს:

– გონაჯან, ეს თოვლი არ არის!

გავადე კარი:

– თოვლი მოვიდა!

“თოვლი მოვიდაო?!” – ყველა გახარებულია – ხელს სახეზე მიისფ-მოსვამენ, გამოფხიზლდებიან!

– ბატონო გიორგი, თოვლი მოვიდა!

იმ კუპეს ფანჯრები არ ჰქონდა, რევიზორი გამოვიდა გარეთ – მზიან ამინდში თოვლი როგორ მოვიდოდა?

– სადაა, შვილო, თოვლი?

ხეს ვაჩვენებ; მან შეხედა, მოვიდა და თავზე ხელი დამადო:

– წამო, დავლიოთ!

მეც შევხედე – სად იყო თოვლი!

შევვდით ისევ და გიორგიმ თქვა: “აი, ეს ახალგაზრდაო ყველაზე კარგად სვამსო; რატომ დანიშნეთ თამადად, ძალიან კარგად ვიცისო; ესენი მთვრალეები არიან ახლათ, ეს კი თქვენზე კარგად სვამსო... ამ სიბერის დედა ვატირეო, 72 წლის კაცი ვარო, სიბერემ როგორ გამაფუჭაო... (ყურები დაგ-ცქვიტეთ!) ერთი ათი წლის წინათო ერთი ოცდაორ ბოთლ ღვინოსა ვსვამდიო, ახლა – თვრამეტ-ოც-ზე ავდივარო...”.

“თვრამეტ ბოთლზე ავდივარო” – ოთხი ლიტრით ნაკლებს სვამდა და ამას დარდობდა!

მე ვუთხარი:

– აქამდე რატომ არაფერი გვითხარით, ბატონო გიორგი?

– მე ისედაც ვიცოდი, რატომ დაგნიშნეს შენ თამადად! – ხელი მომკიდა: – წამო, წავიდეთ!

წამოგვიყვანა ეს გაუბედურებული ხალხი.

მოვიდა დილით, დაგვიძახა ყველას – რა კაი კაცი იყო, ღმერთმა აცხონოს! “ეხლა მე ვიცისო, რასაც თქვენ წვალობდითო, ჩემი დათრობა გინდოდათო; რევიზორი კაცი ვარო და გინდოდათ, რა-დაცა... ახლათ, შვილებო, კაი ხალხი ჩანხართო, ახალგაზრდა ხალხი; მე კარგ აქტს დაგიწერათ, არ გაგაფუჭებთო; მონდომებული ხართო... ამ ბიჭს მიმიხედეთო, – ჩემზე თქვა, – არ მოხსნათო, რაც შეეძლო, გააკეთათო”...

ყველაფერი ნათელი გახდა. ამ კაცმა საუკეთესო დასკვნა დაწერა, რალაც შენიშვნებიც ჰქონდა, რა თქმა უნდა, თავისიც მიიღო... მეორე წელსაც უნდა მოვიდეს ეს კაცი – ყოველწლიურ გეგმიურ შემოწმებას ჩაატარებს.

გემრიელი კაცი იყო. “მე ხომ ჩემი ავიდეო, ახლა, იმის დედა ვატირეო, წავიდეთ რესტორანში – ახლა მე ვკისრულობო?”.

წავედით რესტორანში და ეს კაცი დადგა თამადად – საუკეთესო თამადობა გაგვიწია! მოატანი-ნა დიდ-პატარა სასმისები – რაც ჩვენ იქ ვსვით! მაგრამ საერთოდ არ დავმთვრალვართ!

კაცი გადაირია – რა ჭირი დაგემაართათო.

– თქვენს რომ იხდილით, ეტყობა, მაშინ იმიტომ დათვერით!

2007 წლის 26 ნოემბერი.

გასეირნება თბილისის ქუჩებში

ხანდახან, როცა ცუდ გუნებაზე ვარ, საოცარი აპათია მიპყრობს ხოლმე: არც მუსიკის მოსმენა მიტაცებს, წიგნების კითხვაც მბეზრდება, არც ვინმე მყავს გვერდით ისეთი, ვისთანაც ორიოდე სიტყვას ვიტყვოდი, საუბრის კვესი აზრის ნაპერწკალს გააჩენდა... მაშინ მომინდება ხოლმე ფეხბურთზე წასვლა, მაგრამ არა უმაღლესი ლიგის გუნდებისა, სავსებით მაკმაყოფილებს საშუალო რანგის გუნდების ოდნავ მოუხეშავი, მაგრამ მით უფრო აზარტული თამაში, ნახევრად ცარიელ ტრიბუნებზე წარმოშობილი ხუმრობები... უფრო ხშირად კი სტადიონის მაგივრად მივდივარ ქუჩებში საყიადოდ, შემდეგ მბეზრდება გარემოს ნელი ცვლა და ვჯდები ტრამვაიში. უცნაურად იძაბება რატომღაც ტვინი, საკვირველი აზრები და იდეები იბადება; მერე კი, როცა დაგუკვირდები, ისინი სრულიად ჩვეულებრივი, ყველასთვის ცხადი და ბანალურიც კი მეჩვენება... რა სიღრმე ან ორიგინალობა შეიძლება იყოს, მაგალითად, იმაში, რომ დრო სწრაფად მიჰქრის, საოცრად სწრაფად... და განცვიფრებით და სადღაც გულისტკივილითაც კი, შენს თავს ამჩნევ – სიბერემ თავისი მაღემსობოლები გამოგიგზავნა, თუმცა ჯერ მხოლოდ სამ ათეულ წელზე ცოტა მეტი ხანია, ტკეპნი ცოდივლ დედამიწას. ანდართ გაგამხნეებს ის აზრი, რომ ჯერაც არაფერი შეგიქმნია ისეთი, რაც სხვებსაც კი არა, შენ მაინც მოგეწონებოდა. ანდა ეგოიზმის რაოდენი გამოვლინება ჩანს შენს თვალწინ ყოველდღე და ხანდახან გულისტკივილით იმასაც კი ფიქრობ, რომ ამ ქვეყნიერებაზე ადამიანური სიმდაბლე და ბოროტება ჯერ კიდევ მეტისმეტად ბევრია, დემაგოგიის რაოდენი სახესხვაობაა და სხვა და სხვა...

ბოლოს, გბეზრდება ესოდენ ნაღვლიანი ფიქრები და ამჯობინებ ადარაფერზე იფიქრო, მხოლოდ ტრამვაის ვაგონის რიტმულ რახრახს მიუგდო ყური და, ასე ვთქვათ, მხოლოდ თვალგებად იქცე – თითქოს საკომპენსაციოდ მხედველობა გიმახვილდება, ყოველ წვრილმანს აკვირდები, ბევრ რამეს ამჩნევ, რაც წინათ სულ არ მიიპყრობდა შენს ყურადღებას.

ფეხზე მდგომი მგზავრები – მაიმუნებივით ეკონწიალებიან საკიდებს...

მანქანები – ვიწრო ქუჩაზე ტროტუარზე შემჯდარნი...

ეზოებში ბევრგან ვახს ვხედავ, ვითვლი, რამდენ ეზოში გამოკრთება წამით მისი სიმწვანე.

და ამდენი ცვლილება და მოძრაობა ნაღვლიანი ფიქრებს გიფანტავს. მზეც რომ ასე აცხუნებს – გაზაფხულია და გსიამოვნებს...

ერთ-ერთი საუკეთესო გადასახედი მე ბარათაშვილის აღმართიდან მეგულება... ჩამოვდივარ ტრამვაიდან და ფეხით მივუყვები აღმართს ნელ-ნელა, ნება-ნება, სვენებ-სვენებით და სიამის ღიმილით გავეყურებ მტკვრის მეორე ნაპირზე გაწოლილ ქალაქის უბნებს, ვუცქერ, როგორც კარგად ნაცნობ საყვარელ ადამიანს. მოწითალო და რუხი სახურავების ჯუნგლებს ვხედავ, მათში აქა-იქ ამოწოწილა ნათელი გუმბათები ქართული ეკლესიებისა, თითქოს თეთრი მარგალიტები ჩაუსვამთ მზის თბილი სხივებით ნახ, ოქროსფერ-მოწითალო ტონად შეფერილ სახლთა ჯარში. უფრო ზევით ნარიყალას ბებერი კედლები ჩაფიქრებულან, გადაწყურებენ ხმაურიან ქუჩებს, თვალს ადევნებენ სანაპიროებზე მიმქროლავ ავტომანქანებს, ახარებთ მტკვრის ტალღებზე არეკლილი მზის სხივების ლიცლიცი... და ვერ გაიგებ, რატომ იყურებიან ასე ბრძნულად და ოდნავ დაბნეულად – ფიქრი უნდა გაუზიარონ მასთან ერთად დაბერებულ მეტეხის ტაძარს თუ უნდათ, გაერკვნენ შეჩვეული და შეთვი-სებული გარემოს ესოდენ სწრაფ ცვლილებებში...

კიდევ უთვალავჯერ და მრავალმხრივ აღწერენ ალბათ თბილისის ამ უბნებს და ყველა თავისე-ბურად შესანიშნავი იქნება, რადგან თითოეული მათგანი განსხვავებული თვალთ შეხედავს, სხვა ფერებს შეარჩევს, ბევრს სხვისი თვალისთვის გამორჩენილსაც შეამჩნევს... უმეტესობა ფერწერაში იმარჯვებს, ეპითეტების თაიგულს შეკრავს, ზოგიც ქუჩების ხაზების რიტმული ნახაზისა და ფასადთა ნახატის განაწილებას აღნიშნავს, სხვები – ქალაქის მოუღლეულ სუნთქვას მიაპყრობენ ყურს, განსაკუთრებით მგრძნობიარენი მისი ხმაურის სიმფონიაში გამოჰყოფენ მტკვრის ტალღების ნელ დუდუნსაც, მანქანების ძრავათა დუდუნს, სახურავებსა და ასფალტზე მოხტუნავე ბელურების ჟიჟივს, ქუჩაში მოსიარულეთა ლაპარაკსა და სიცილს...

და ყველა ეს აღწერა იქნება გულიდან ამოსული ლამაზი სიმღერა...

აღმართი ავიარე და ავლაბრის ვიწრო შუკებით მინდა, მეტეხის ტაძართან მივიდე და იქიდანაც გადავხედო ძველ ქალაქს.

შევეყურებ ბებერ სახლებს, მოუფლელ, დანგრეულ ქვაფენილს, გადაქანებულ ქუჩის ბოძებს – და ყველაფერი მიზიდველი მეჩვენება. განა მოხუცის წლებისგან დაღარული, დანაოჭებული სახე და ბრძნულად მომზირალი თვალები არ არის მშვენიერი?

“საერთოდ, რა არის სილამაზე? – ახლა ეს კითხვა ამეკვიტა, – როგორ განვსაზღვროთ იგი, როგორ შევაფასოთ, რა კრიტერიუმები მივუყენოთ?”

ჩვენ შეგვიძლია, მივიღტვოდეთ ავსახოთ ეს სილამაზე, ეს ძველი, მიხვეულ-მოხვეული ქუჩა თავისი თითქოსდა შეუხედავი სახლებით, რაც შეიძლება მეტი სისრულით... ყველა მხატვარი, ვინც ამ მიზანს დაისახავს, თავისი ნიჭისა და მონდომების, ცოდნისა და გამოცდილების შესაბამისად მეტ-ნაკლებად მიუახლოვდება მას. თუ იდეალურ შეტყვისებას წრედ წარმოვიდგენთ (გამახსენდა: ო. ჰენრი ბუნებრიობის იდეალად ყველაფერს წრიულს, მრგვალს მიიჩნევდა), მაშინ ზოგი ამ წრეში ტოლგვერდა სამკუთხედს ჩახაზავს და მინიმალურად მიუახლოვდება საწადელს, ზოგი, შედარებით ნიჭიერი და მონდომებული – ტოლგვერდა ექვსკუთხედითაც კმაყოფილი დარჩება, ვინაიდან უფრო დაუახლოვდება იდეალს; სხვა, დაუდგომელი, 36-გვერდა მრგვალკუთხედს ჩახაზავს... იშვიათად გამოჩნდება ფანატიკოსი ხელოვანი, რომელიც მწვერვალის მიღწევას განიზრახავს, ესე იგი, წრისადმი უსასრულო მიახლოებას მოინდომებს და ამისთვის არ დაიშურებს დროსა და ძალ-ღონეს – ეს არის ნამდვილი ხელოვანი.

სამწუხაროდ, გამოჩნდებიან ისეთი “არტიტებიც”, რომლებიც უგვანო და უფორმო გეომეტრიულ სხეულებს ჩახატავენ წრეში, ზოგჯერ წრესაც გადასცილდებიან, ან ერთმხრივ გაბერავენ, მეორე მხრივ – შეავიწროებენ, დეფორმირების ნიკრისის ქარები შეუდგებათ და ყველაზე ხმამაღლა ისინი დაიწყებენ ყვირილს – ჩვენი ნახელავია სამაგალითო, თანამედროვე, ყველა ეს ტრადიციის მიმდევარნი კი მაჩანჩალები, ესთეტიკურად კარნაკეტილები, ბრძები არიან და მათთან დავა არ ღირსო...

ზოგჯერ უცნაური ფიქრებიც ამედევნება...

მივდივარ, ქუჩის ჩვეულ ხმაურს ბინებიდან გამოსული ტელევიზორების ხმა უერთდება; ქართული ომანიანი სიმღერები უწყვეტლევ მიმაცილებს ერთი სახლიდან მეორესთან და უკვე სასაცილოდ მერყეობა, რომ სულ ცოტა ხნის წინ უგუნებობა მჭირდა.

1970 წლის 21 აპრილი.

2007 წლის 3 ოქტომბერი.

აბოს სიკვდილი

აბო კვანახურიძის მამას ოთხი შვილი ჰყავდა – ორი გოგო და ორი ვაჟი. მამარი ფულის მკეთებელი იყო, ოჯახი ძვირფასად ჰქონდა მოწყობილი, ცოლ-შვილი – გამორჩეულად ჩაცმულ-დახურული.

ნაბოლარა აბო ზარმაცი ახალგაზრდა გაიზარდა და არც იყო გასაკვირი – ყველაფერი მზამზარეული მთართვეს: მამამ მსუბუქი ავტომანქანა უყიდა, იმხანად ბევრისთვის საოცნებო ახალთახალი “ვოლგა”; დიდ სახლს უშენებდა საკუთარი კერძო სახლის გვერდით; შერთო მზეთუნახავი გოგო, ისიც – შეძლებული ოჯახიდან...

აბოს ჭაპანწყვეტით დაამთავრებინეს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამშენებლო ფაკულტეტი და მამამ მაშინვე უფროსი ინჟინრის ადგილი გაუჩარხა...

...დამის 12 საათზე ორმა ბიჭმა მოაკითხა შინ აბოს. დედამისმა მათ უთხრა, რომ აბო შინ არ იყო, ბიძამისის ბინაში ათევეს დამესო (ბიძა სადღაც იყო წასული და აბო დამე მის ბინას ყარაულლობდა), მისცა მისამართი.

ბიჭები წავიდნენ, ეზოდან გასვლისას შეეჩხათ აბოს მამა – პირი მოარიდეს, ჩასხდნენ ქუჩაში მომლოდინე მანქანაში და წავიდნენ.

მამამ ცოლს ჰკითხა, ვინ იყვნენ ის უზრდელები, რომ არც კი მომესალმნენო. მერე ყვირილი დაიწყო (ცოტა ნასვამი მოვიდა): ხომ გითხარი, ვერ ვიტან ერთ-ერთ მათგანს, ვიცანი, მაგათი ფეხი არ ენახო ამ ოჯახშიო, რატომ მიეცი მისამართიო.

მერე ჩაჯდა მანქანაში და მივიდა ძმის სახლთან. იქ სიბნელე იყო. იტრიალა ცოტა ხანს, მერე იფიქრა, რატომ ავაფორიაქო შვილი ტყუილადო და დაბრუნდა შინ. იქიდან ყოველი შემთხვევისთვის დარეკა და აბოს ჰკითხა, ბიჭები მაქ არიანო? ჰოო, – უპასუხა შვილმა. ეტყობა, იქ მისვლისას აბოს იმ ბიჭებმა უთხრეს, ბინაში სინათლე ჩაექრო, რადგან მათგან ერთ-ერთმა იცოდა, რომ აბოს მამას სძაგდა და ისიც გაითვალისწინა, ცოლთან საუბრის შემდეგ აბოს მამა უკან გამოგვეყვებო.

რატომღაც აბოს მამამ ხვალისთვის გადადო შვილთან საუბარი, ალბათ ნასვამი რომ იყო, ეძინებოდა.

დილით აბო შინ დაბრუნდა და თქვა:

– გორში მივდივარ.

– გორში რა გინდა? – ჰკითხა მამამ.

– ბიჭებს უნდა გავეყვე.

– რა დაგრჩენია იქ? – მამის ხმაში გაბრაზება იგრძნობოდა. – ძალიან ცუდი ამხანაგები გაიჩინე, ნარკომანებს ჰგვანან... ხომ აგიკრძალე მათთან ურთიერთობა, ჩემი სიტყვა შენთვის არაფერია?

– რა გინდა, რას მერჩი?
 – რას გერჩი და შენს უტვიზობას... რას გადაგეკიდნენ, რამე ვალი ხომ არ გაქვს მათი? გირჩევნია, ჩემთან ერთად წამოდი, რუსთავში საქმე მაქვს.
 შვილმა თავისი ღაიჯინა, თან დედას უსაყვედურა, რატომ გამოუშვი ჩემთან ის ბიჭებიო...
 მამამ აბოს უთხრა, ფეხი არსად გაადგაო, მისი ტანსაცმელი გასაღებით ჩაკეტა კარადაში, შვილის მანქანის გასაღებიც ჯიბეში ჩაიღო... აბო მეორე სართულზე ფართო აივანზე იჯდა საქანელა-სავარძელში, წიგნს კითხულობდა და შესცინა მამას. მამა დაწყნარებული წავიდა.
 ცოტა ხანში ორნი მოვიდნენ, სრულიად უცნობები, აბო იკითხეს. “არ არის შინო”, – უთხრა მათ დედამ. “აბა, მანქანა რომ დგას აქო”. “მამას გაჰყვა რუსთავშიო”. “არა, მამამისი მარტო წავიდაო”...
 მოკლედ, ეს ბიჭებიც გაისტუმრა დედამ და თავის საქმეს მიუბრუნდა – თევზს წმენდა სადილისთვის.
 ნახევარი საათის შემდეგ დედა ავიდა მეორე სართულზე და... შვილი თოკზე ჩამოკიდებული ნახა – თავი ჩამოეხრჩო...
 აივანზე სარეცხის თოკი მოუჭრია სამართებლით, მოაჯირზე ასულა და იქიდან ჩამომხტარა – სკამი არ უხმარია, ხმაურს მორიდებია.
 დედა ახლა თავს იკლავს – დილას საუზმე რომ არ ჭამა, უხალისოდ იყო, რატომ ყურადღება არ მივაქციეო...
 ორი კვირის წინ ქუთაისში ყოფილა აბო ცოლოურში – ორი წლის ბავშვი და ცოლი მოუნახულეობა; სულ ჩაუკოცია ისინი, რაღაცას გრძნობდა ალბათ. ეტყობა, უნდოდა, იმ წრეს გასცლოდა, იქაც მიავენს... მერე ცოლს უთხრა: თუ გინდა, ცოცხალი მნახო, სასწრაფოდ თბილისში დაგებრუნდეთო. ცოლს გაუცინია მხოლოდ.
 აბოს ბოლო სურათი ქუთაისში აქვს გადაღებული შვილთან, ორი წლის ბიჭთან – მისი სიდედრიც ჩივის: როგორ ვერ მივხვდით, რომ რაღაც უჭირდა, როგორი საცოდავი, სასოწარკვეთილი გამოხედვა აქვსო...

1984 წლის 12 მაისი.

2007 წლის 15 ოქტომბერი.

ო, ჩემო მზეო!

*გიორგი (გოგი) გაბრიელის ძე
 ჟღენტის ხსოვნას*

მაქვს ნეაპოლური სიმღერის “ო, ჩემო მზეო!” უამრავი ჩანაწერი – ვანო სარაჯიშვილით დაწყებული და რობერტინო ლორეტითა და ლუჩანო პავაროტით დამთავრებული.

როცა ამ საოცრად ლამაზ სიმღერას ვუსმენ, საწყალი ლაშა მაგონდება, ლაშა და... არა, ქალიშვილის ნამდვილ სახელს ვერ ვიტყვი, რადგან ის ალბათ დღესაც ცოცხალია, ქმარ-შვილიც ჰყავს, დავარქმევ მას თუნდაც ლიკას.

მე ლაშაზე 15 წლით ვიყავი უფროსი, ცოლ-შვილიც მყავდა, მან კი პოლიტექნიკური ინსტიტუტი რამდენიმე წლის წინათ დაამთავრა და ერთ-ერთ დიდ საწარმოში რადიოინჟინრად მუშაობდა. დიდ სახლში ერთ სადარბაზოში ვცხოვრობდით, სხვადასხვა სართულზე. ძალიან დავახლოვდით; ჩვენ-ჩვენი ასაკის მეზობლები საკმაოდ იყო, მაგრამ რატომღაც სხვებთან ნაკლებად ვმეგობრობდით. ეს ალბათ რამდენიმე მიზეზით იყო განპირობებული: ორივენი მწიგნობრები ვიყავით – საკმაოდ მდიდარი ბიბლიოთეკები გვქონდა, ორივე – რადიოტექნიკის მოყვარულნი (მე ბევრად მჯობნიდა ცოდნით – რადიოტექნიკა მისი ძირითადი სპეციალობა იყო), დიდ-დილაობით ერთად ვვაჯიშობდით ეზოში, შემდეგ სანაპიროზე 10-15 კილომეტრს გავირბენდით; ლაშა ყოველთვის მიწევდა ანგარიშს – მასავით ახალგაზრდა აღარ ვიყავი და მის შესაძლებლობებს სისწრაფესა და გამძლეობაში აშკარად ვერ ავუბამდი მხარს; გზაში ათასგვარ საკითხებს ვიხილავდით – ასტრონომიითა და კიბერნეტიკით დაწყებული და ხელოვნებითა და პოლიტიკით დამთავრებული... ყველაზე ნაკლებად – ქალებსა და ალპინიზმზე ვსაუბრობდით, არადა, ყველაზე მეტად ალპინიზმით იყო გატაცებული და იმ გოგოთი – ლიკათი...

ლაშას მამა თადარიგის პოდპოლკოვნიკი იყო – პირდაპირი, მოურიდებელი, უკომპრომისო, ხისტი და ცოტა უხეშიც კი. ერთი რამ იყო ღირსშესანიშნავი მის გარეგნობაში – ქოჩორი! უფრო სწორედ – ნამდვილი ლომის ფაფარი! ერთიანად გაჭაღარავებულ თავს კილომეტრიდან გამოარჩევდი! ლაშა ამ მხრივ დაემსგავსა – ისიც მაღალი იყო და ხშირთმიანი, ოღონდ – კუპრივით შავი თმით. დედა ექიმი იყო: ძალიან მშვიდი, ყურადღებიანი და მარად მდიმარი, ისიც – შავგვრემანი. ლაშას ბებია უყვარდა ძალიან – უბრალო, გაუნათლებელი სოფლელი ქალი, საოცრად თბილი გულის

ტკბილი მოსუცი – გურიიდან ზამთრობით ჩამოდიოდა ხოლმე და რამდენიმე თვეს შვილის ოჯახში ატარებდა; ერთი დერი სიტყვა არ იცოდა რუსული. ზაფხულობით ლაშა ჩადიოდა ხოლმე მასთან სოფელში; გამორჩეულად უყვარდა ლაშა, თუმცა ოთხი შვილისგან უამრავი შვილიშვილი ჰყავდა – ათზე მეტი.

ლაშა მეტად თავაზიანი და მორიდებული ყმაწვილი კაცი იყო, ზედმეტად თავშეკავებულიც კი; არ უყვარდა საკუთარ ამბებზე ლაპარაკი და ლიკას შესახებაც მხოლოდ სასხვათაშორისოდ მითხრა – რამდენიმე ალპინისტურ ექსპედიციაში ერთ გოგოსთან ერთად ვიყავიო. შემდგომ საუბარში გაირკვა, რომ ლაშას ლიკა ძალიან მოსწონდა, არც გოგო უნდა ყოფილიყო მის მიმართ გულგრილი... როცა ვკითხე, თუ გიყვარს, რატომ ცოლად არ თხოულობ, მალე ოცდაათი წლის გახდები-მეთქი, მან მიპასუხა: “ის ისეთია!.. მე რა უნდა მივცე სანაცვლოდ?”

საკუთარი თავის ფასი არ იცოდა... ოქროს გული ჰქონდა და ოქროს ხელიც! მეზობლებს ელექტრომწიფობილობას თუ ტელევიზორებს დაუზარებლად შეუკეთებდა ხოლმე. ყველაფერი გამოუდიოდა! ერთხელ მათი მეზობელი ახალ ბინაში გადავიდა და მესამე ოთახი შემომმატათ (მანამდე სამოთახიანი ბინაში ორი ოჯახი ცხოვრობდა); ლაშამ დაიწყო მისი საფუძვლიანი შეკეთება და ისეთი შესანიშნავი რემონტი გააკეთა, განცვიფრებული ვიყავი! ყველაფერი თავიდან საკუთარი ხელით გააკეთა: კედლებზე ახალი შპალერი გააკრა, იატაკზე ახალი პარკეტი დააგო, გამოცვალა რადიატორები, დაჰკიდა ახალი ჭადი... გარდა ამისა, უწინდელ საზიარო სამზარეულოსა და სააბაზანოში მაგარი რეკონსტრუქცია ჩაატარა და იქაც სანტექნიკა მთლიანად ახლით შეცვალა, გადაადგილა ონკანები, კედლები კაფელით შემოსა, მოაწყო ამწევი ვენტილაცია...

ალბათ დრო იყო, ლაშას ცოლის თხოვაზე ეფიქრა (მასზე დიდად უფროსი გაუთხოვარი დაც ჰყავდა), მაგრამ მამამ მის ოცნებას ცივი წყალი გადაასხა, უთხრა: “ეს ოთახი ჩემი ბიბლიოთეკა უნდა იყოს!”. ისე გამოვიდა, რომ ცოლის მოყვანის საშუალება მოუსპეს... ლაშას გული გაუტყდა, შინ ყოფნა აღარ უნდოდა...

და ამ დროს ერთმა შეხვედრამ ძირფესვიანად შეცვალა მისი ცხოვრება და ალბათ გადამწყვეტი როლიც შეასრულა მის ცხოვრებაში.

ერთხელ მათ ოჯახს ესტუმრა შორეული ნათესავი, ბიძია სერგო – უკვე ხანში შესული, საოცრად ენერგიული კაცი. ძველ ალპინისტს მსოფლიოს მრავალი ქვეყანა მოუვლია, მაგრამ ლაშა ყველაზე უფრო მის ნაამბობში გაიტაცა ალპინიზმზე საუბარმა – შეჯიბრმა უხილავ მეტოქესთან, რომელსაც შიში ჰქვია: საკუთარი თავი უნდა გამოსცადო და გამოაწროთ ან არადა – პირველივე სიძნელის თუ ხიფათის გადატანის შემდეგ საერთოდ თავი დაანებო ამ საქმეს... ამ რომანტიკულ ელფერში მონათხრობმა ალპინიზმის მიზიდველობაზე, გახსენებულმა ახალგაზრდობის დროინდელმა სხვადასხვა თავგადასავლებმა ანთო ახალი ვნებით ლაშას გული, რომელიც კიდევ უფრო გაძლიერდა, როცა ბიძია სერგომ შემდგომ საკუთარი ალპენისტოციკ – მთამსვლელის ჯოხი – აჩუქა...

ლაშამ ლიკაც აიყოლია და დაიწყო ერთად სიარული მთებში. რამდენიმე ასეთი იოლი ექსპედიციის შემდეგ, როცა უკვე უფრო სერიოზული კატეგორიის მწვერვალების დალაშქვარზე უნდა გადასულიყვნენ, ლიკამ გადაჭრით თქვა უარი შემდგომ ასვლებში მონაწილეობაზე.

ლაშამ გერაფრით დათმო ახალშექმნილი მეგობრები, ახალი გრძნობებისა და განცდების სამყარო და განაგრძო სულ უფრო და უფრო რთულ ექსპედიციებში მონაწილეობა, ლიკა კი წერილებს სწერდა. ქალი ყოველთვის ასე იწყებდა: “ჩემო მზეო!” – #J^ vjt cjkysirj!# – ალერსიანად, მოფერებით. ორივენი ქართველები კი იყვნენ, მაგრამ დედები რუსები ჰყავდათ, რუსულად ჰქონდათ სკოლა დამთავრებული; მეტიც – ლაშა შესამჩნევი აქცენტით ლაპარაკობდა ქართულად: როგორც აღვნიშნე, მამა სამხედრო ჰყავდა და ბავშვობა საქართველოს გარეთ გაატარა სამხედრო დასახლებებში. როცა საკმაოდ დიდი ყმაწვილი – 14-15 წლისა – ჩამოიყვანეს საქართველოში, ქართული სრულებით არ იცოდა, მაგრამ მაშინვე – თავისით! – ქართულის შესწავლას შეუდგა და მშვენივრადც დაეუფლა.

და ერთ ზაფხულს, კავკასიონის ერთ-ერთ მწვერვალზე ასვლისას, ლაშამ გაჭირვებაში ჩავარდნილი ამხანაგი კი გადაარჩინა, მაგრამ ამ დროს მისი თოკი კლდის წამახულ ნაპირს გამოედო, გადაიჭრა და...

დიდი ხნის განმავლობაში ძალიან ცუდი ამინდი იდგა და მაშველმა ჯგუფებმა ლაშას ცხედარს მხოლოდ ორი კვირის შემდეგ მიაგნეს.

ლაშას მამას ღრმა სკლეროზი სჭირდა, უცნაურად იქცეოდა. როცა ცხედრის გადასაფარებელი იყიდეს, უკმაყოფილება გამოხატა: “რად უნდა ამდენი, მაინც დალპება მიწაში!”; ყოველ წუთს კითხულობდა, რა დაჯდებოდა ქელეხისთვის საჭირო ესა თუ ის სურსათ-სანოვარე, ყველაფერზე იძახდა: “ძვირია! უფრო იაფიანის ყიდვა არ შეიძლება?”. ყველა მასთან სანახავად მისულს თხოვდა, ერთი პური მომიტანეო და ბაღის ქვეშ საგანგებოდ ინახავდა...

ლიკა ლაშას პანაშვიდზე ვნახე: ლამაზი კი იყო – ქერა, ცისფერთვალეობა, მაგრამ მასზე უკეთესებიც იყვნენ ლაშას თანაკლასელები და თანაჯგუფელები შორის... ჩემთვის გამოცანად დარჩა: რატომ გამოარჩია ლაშამ მათ შორის ლიკა? თანაც ქალის ღირსად არ მიაჩნდა საკუთარი თავი...

ლიკა პანაშვიდებზე მხოლოდ ერთხელ მოვიდა, დაკრძალვას არ დასწრებია...

ერთ თვეში გავიგე: ლიკა გათხოვდა.

ლაშას დამ მომცა მუყაოს დიდი ყუთი, საგსე სპეციალური ლიტერატურით რადიოტექნიკაში. არ ვიღებდი, მაგრამ მითხრა – ლაშას სახსოვრად გქონდეს, ჩვენ მაინც რაღად გვინდაო. იქ ვნახე რამდენიმე წერილი ლიკასი, მიწერილი ლაშასადმი. წერილები არ წამიკითხავს, მხოლოდ შევამჩნიე – ყველას დასაწყისი ერთნაირი იყო: “ო, ჩემო მზეო!” და ბოლოში: “ათასჯერ გოცნი, შენი ლიკა”.

დიახ, წერილები არ წამიკითხავს; რაც მათში ეწერა მხოლოდ ორი ადამიანის ურთიერთობას ეხებოდა, ამიტომ წერილები ოჯახსაც არ დაგუბრუნე – ფერფლად გაქცეი...

და მხოლოდ რამდენიმე ათეული წლის შემდეგ მომინდა, დავიწყების ფერფლიდან ლაშას აწ უკვე დაბურუსებული სახის ზოგიერთი მხარის მაინც შეძლებისდაგვარად გაცოცხლება...

1985 წლის 12 ოქტომბერი.

2000 წლის 25 დეკემბერი.

2007 წლის 13 ოქტომბერი.

წათე

– ის თუ გაიგე, წათე რომ გარდაიცვალა?
 – რას ამბობ, კაცო!
 – ჰო, სამი დღის წინ დავასაფლავეთ.
 – რა დავმართა საცოდავს? კაი ოცი წელიწადია, აღარ შევხვედრივარ, რაც ინსტიტუტი დავამთავრეთ...

– თურმე მანქანით მიდიოდა და პირდაპირ ქუჩაში, საჭესთან განუტევა სული – გული გაუჩერდა. რამდენიმე თვის წინ ჰქონია შეტევა და კლინიკური სიკვდილიც დამდგარა, ძლივს გადაურჩენიათ ელექტროშოკით. ექიმებს უთქვამთ, თუ სასწრაფოდ გულზე ოპერაცია არ გაუკეთდა, შეჭველად მალე დაიღუპებოდა. ოპერაციას სჭირდებოდა ათი ათასი დოლარი. მეგობარ-ამხანაგებმა, ნათესავებმა ყურები ჩამოყარეს – მათთვის ეს ზღაპრული თანხა იყო. გაიგო ეს ნავთობის უცხოური ფირმის პრეზიდენტმა, გამოუღია უჯრა თუ სეიფი, ამოუღია ეს თანხა, მიუცია ფირმის ექიმისთვის და უთქვამს – წაყვეი შენც ერევანში და რაც საჭიროა, ყველაფერი გააკეთეთ, ეს ფული მოიხმარეთო. იქაურ კლინიკაში ოპერაციამ კარგად ჩაიარა, ჩამოიყვანეს და სარეაბილიტაციო პერიოდმაც მშვენივრად ჩაიარა; თავს უკეთ და უკეთ გრძნობდა და სამუშაოდაც გავიდა... მაგრამ ერთი საბედისწერო შეცდომა დაუშვია: ექიმებმა გამოუწერეს ასპისინი – სისხლში პროტრომბინის მაჩვენებელი რომ დაწეულიყო, მუდმივად უნდა მიეღო. ამ წამალს სდევდა თურმე გვერდითი მოვლენა – კუჭის წყლულიდან სისხლდენა. ამიტომ წათემ გადაწყვიტა, რაღამც კარგად გვგრძნობ თავს, წამალს აღარ დავღევი, რამაც გამოიწვია თრომბი...

– კარგი ბიჭი იყო, საწყალი, ალალი... ისე მოხდა, რომ მასთან ახლო ურთიერთობა არასდროს მქონია; მომდიოდა ხმები, რაღაც ოჯახური უსიამოვნებები აქვსო.

– მართლა მოსაწონი ბიჭი იყო, მაგრამ, ხომ იცი, რომ არ გაგიმართლებს ცხოვრებაში, რა უნდა ქნა...

– მეონი, ორი ცოლი გამოიცვალა, არა?

– მეტი. პირველი ცოლი ადრე ითხოვა. ხომ გახსოვს, პარალელურ ჯგუფში ჯულიეტა რომ სწავლობდა – კარგი შესახედავი გოგო იყო, ბევრი ეარშიყებოდა. შეხვედრია ერთ სუფრაზე ეს ჯულიეტა და წათეს გამოუტყდა თურმე, ძალიან მომწონხარო. წათეს ესიამოვნა, რასაკვირველია, მაგრამ არაფერი უპასუხია. მერე, როცა სუფრა აიშალა, რა ბზიკი შეუჩნდა, არ ვიცი, ნასვამი იყო და იმის ბრალი იყო ალბათ, უთქვამს გოგოსთვის, წამოდი ამაღამ ჩემთან შინო. მეორე დღეს თურმე გოგო აღარ წასულა წათეს სახლიდან... ამასაც ვეღარ გაუგდია. ჯულიეტამ დარეკა თურმე, სადაც იყო და დაადგნენ თავზე ქალის ბიძები, ლომებივით გაჟაკცები – თუ არ ითხოვ, ვაი შენი ბრალიო. კი ითხოვა, რაღას იზამდა, მაგრამ სახლზე გული აიცრუა, ცოლს არ ელაპარაკებოდა; ხშირად დამესხვავან ათევედა... ერთი წლის შემდეგ ქალი თავისით წავიდა, გაშორდა. მიხვდა, ასეთ ცოლქმრობას აზრი არ ჰქონდა. დარჩათ შვილი – ქალიშვილი...

– ახლა დიდი იქნება უკვე.

– ნანული? გათხოვილია და შვილებიც ჰყავს. კაი ოჯახის ქალია.

– წათე?

– წათეს ისე ჰქონდა გული გატეხილი, ქალისკენ ვერ გაახედებდი. გავიდა თხუთმეტი წელი და წათემ მეორე ცოლი მოიყვანა – ახალგაზრდა, ლამაზი, ნავთობის კომპანიაში პრეზიდენტის მდივანად მუშაობდა. ქალი აშარი გამოდგა, თანაც დალატობდა – წათეს ხშირად უხდებოდა სამსახუროდან მივლინებაში წასვლა და ცოლმა თავი აიშვა.

– წათე როგორ ეგუებოდა ამ ამბავს?

– წათე მასაც გაეყარა, ამასთანაც გოგო შეეძინა. ცოტა ხნის წინ წათეს მესამე ცოლი უთხოვია, მისი ცოლი, ორმოცდახუთი წლის ქალი – მოსვენებით მინდა დარჩენილი ცხოვრება გავატარო... წათე მისმა უფროსმა ქალიშვილმა – ნანულომ დამარხა.

1997 წლის 23 სექტემბერი.

2007 წლის 4 ოქტომბერი.

ამბავი ძაღლის გადარჩენისა

შესანიშნავი მხატვრის

ომარ დურმიშიძის ხსოვნას

ახალგაზრდა მხატვარი ქალაქის ღამის პეიზაჟებით იყო გატაცებული. უკვე ორ ათეულამდე ამგვარი ნამუშევარი შექმნა – მთელი ციკლი შესანიშნავი სურათებისა, ყველანი რომ აღფრთოვანებაში მოიყვანა; მაგრამ ინტერესი არ გაუნელდა, სულ ახალ-ახალ სილამაზესა და მომხიბველობას ხედავდა უკაცრიელ, უდაბურ ქუჩებში შუქჩრდილის თამაშში, ღამპიონებით განათებული სახლების კედელთა უჩვეულო გამომსახველობაში, დამეული ქუჩის იღუმალებისა და სიწყნარის, დაძაბულობისა და შფოთვის ერთდროულად შეგრძნებაში...

მისი წარმატებით წახალისებული მეგობარი მხატვრებიც აიყოლია, ღამის პეიზაჟებზე ემუშავათ მასთან ერთად, მაგრამ რაც მას დიდ სიამოვნებას ანიჭებდა, სხვებს სატანჯველად ექცათ – ვერაფრით შეძლეს აღდგოს ადგება, როგორ უნდა ემუშავათ ნატურაზე ნახევრად სიბნელეში...

ერთხელ წვეროსანი, გამხდარი მხატვარი ღამის სეანსიდან ფრიად კმაყოფილი ბრუნდებოდა შინ, ძალიან ციოდა (ზამთარში უფრო უყვარდა მუშაობა და ინტენსიურადაც შრომობდა, რადგან ხეები ფოთოლგაძარცვული იყო და არ ფარავდა სახლებს და ქუჩის პერსპექტივას). გზად პატარა ბაღი უნდა გაეფლო. უცებ წკაფწკაფი მოესმა. შეამჩნია, რომ შადრევნის აუზში ძაღლი ჩავარდნილა და ამოსვლას ამოდ ღამობს. არადა, აუზი სანახევროდ წყლით იყო სავსე და საწყალი ძაღლი მაღე გაითოშებოდა.

მხატვარმა დაუწრუწუნა, გაამხნევა, აგრძობინა – მოდი ჩემთან, ჩემსკენ მოცურდი, ამოგიყვანო. ძაღლი პირიქით, გაუბრბოდა; ისეთი დამფრთხალი ჩანდა, რომ აღარავის ენდობოდა. არც ისე დიდი ძაღლი იყო, უჯიშო, ალბათ მაწანწალა. ასეთი ძაღლები მეტად ფრთხილები არიან, ჭკვიანები და როგორ მოახერხა ვიღაც ნაძირლამ მისი აუზში ჩაგდება?

მხატვარი ტკბილი სიტყვით, დაყვავებით ცდილობდა, აუზის კიდესთან მოეყვანა ძაღლი. როცა არაფერი გამოუვიდა, მაშინ ერთი სანაგვე ურნა მოიტანა ფეხის ჩასადგმელად, მაგრამ ის ურნა ამოუტრიალდა და არამცთუ ორივე ფეხით ჩადგაფუნდა აუზში, კინაღამ წაიქცა და თავფეხიანად დასველდა.

რადამც ფეხები მუხლებამდე უკვე სველი ჰქონდა, ძაღლთან მივიდა და დიდი წვალებით, როგორც იქნა, აუზიდან ამოიყვანა. ძაღლი უმადური გამოდგა და დამშვიდობებისას კბილი გაჰკრა ხელზე...

დასველებულმა, გათოშილმა მხატვარმა შინისკენ გზა განაგრძო; მაინც კმაყოფილი იყო – კეთილი საქმე გააკეთა და, რაც მთავარია, მორიგი ღამის ქუჩის პეიზაჟი ურიგო არ გამოუვიდა...

ამ დროს ღამის სიმყუდროვე ღმუილმა დაარღვია – ეტლიანი მოტოციკლით დათვივით ზორბა მილიციონერი წამოეწია მხატვარს და გააჩერა:

– მოქალაქე, აქ რას აკეთებთ ამ შუადამისას?!

– მე მხატვარი გახლავართ, ბატონო, ვმუშაობდი და ახლა...

– რა დროს მუშაობა! – უხეშად შეაწყვეტინა მილიციონერმა.

– ღამის სურათებს ვხატავ, ბატონო! – აჩვენა სურათი მხატვარმა.

მილიციონერი მაინც ეჭვიანობდა, სურათისთვის არც შეუხედავს, უბრძანა:

– დაჯექი და განყოფილებაში გაარკვევენ ყველაფერს!

გაძაღიანებას აზრი არ ჰქონდა, მხატვარი ჩაუჯდა ეტლში და ხუთიოდე წუთში მილიციის რაიონული განყოფილების სამორიგეოში აღმოჩნდნენ...

არც იქ აღმოჩნდა ვინმე გამგები; ოჯახში ან მეგობრებთან ტელეფონით დარეკვის უფლება არ მისცეს, მხატვარი შეაგდეს კამერაში და დილაამდე აყურყურტეს იქ.

დილით უკვე სხვა მორიგემ დარეკა მხატვართა კავშირში, იქიდან მოვიდა წარმომადგენელი, გარკვეულ მხატვრის პიროვნება და შინ გაყინული გაუშვეს.

მხატვარი სველი ფეხსაცმელების ჭყაპუნით მიაბიჯებდა ქუჩაში და მაინც კმაყოფილი იყო გასული ღამისა და ღიღინიც კი დაიწყო: მშვენიერი ნამუშევარი გამოუვიდა – “ქუჩა სოლოლაკში ღამით”!

1984 წ. 9 იანვარი.

2007 წ. 3 ოქტომბერი.

მხატვარი

გია ჟიჟმატაძე ჩემი მეზობელი იყო ამ ოცდაათი-ორმოცი წლის წინათ. 17 წლისა უკვე მაღალი ბიჭი იყო, გამხდარი, ლამაზი – შავი მბზინავი თმები და გრძელი წამწამებით დამშვენებული დიდი თაფლისფერი თვალები... მხატვრობას აპირებდა: აბარებდა მისაღებ გამოცდებს სამხატვრო აკადემიაში და არ მიიღეს – შენი ნამუშევარი არასაკმარისად აკადემიურია, საგამოცდო დავალების შესრულებისას თავნებობა გამოიჩინე, შენგან ზუსტი ნახატის გაკეთებას მოვითხოვდითო. თავისებურება დაუწუნეს, რაც ყველაზე უფრო დასაფასებელია მხატვრობაში.

ბავშვობიდანვე უცნური ხასიათით გამოირჩეოდა. მამამისი, ვანო ჟიჟმატაძე ცნობილი ქირურგი იყო, შვილის მისამართით, არცთუ პედაგოგიურად, დაუფარავად ამბობდა: “დეგენერატია, ამისგან კაცი არ გამოვა! შეხედე, მთელი ეზოს ბავშვები რა დღეში არიან, მთელი დღე ბურთს დასდევენ, ეს კი გამოკეტილია შინ და რაღაცებს ბლაჯნის გაუთავებლად ან ბავშვივით ერთობა”.

გაუცინარი ბავშვი იყო, ოდნავ გაგიკვირებოდა კიდეც, როცა მუდმივად ჩაფიქრებულს, საკუთარ თავში ჩადრმაგებულს, სერიოზულს ხედავდი.

ბავშვებში იშვიათად გაერეოდა. ფოტოსურათის გადაღების დროს ყოველთვის სულ უკანა რიგში მოექცეოდა ხოლმე და იქაც დამალვას ღებობდა. როცა დედა მას ახალ წელს ნაძვის ხის ზეიმზე წაიყვანდა, გია სადღაც კუთხეში მიიყუებოდა, ბავშვთა გართობა-ჟრიაშულში არ ჩაერთებოდა... ერთხანს დედამისს მუსიკის შესასწავლად დაჰყავდა, ვიოლინოზე დაკვრას ეუფლებოდა, მერე დაბნება თავი – უჭირდა უხეშ და მეტისმეტად მომთხოვნ მასწავლებელ ქალთან ურთიერთობა. მისი ასაკით ბევრად უმცროსი დაიკო სულ სხვანაირი იყო – ახტაჯანა, მოუსვენარი, უყვარდა ყურადღების ცენტრში ყოფნა.

ღიას, გიას ძალიან უყვარდა შინ ჯდომა. წიგნებიდან, ჟურნალ-გაზეთებიდან ამოჭრა უამრავი ფიგურა შინაური თუ გარეული ცხოველებისა: ცხენების, ძაღლების, კატების, ცხვრების, თხების, ფრინველების, აქლემების, დათვების, მგლების, ვეფხვების, ლომების, სპილოების და უამრავი სხვა ცხოველის, რომელთა გამოსახულებაც კი ხელთ ჩაუვარდებოდა; ეს გამოსახულებები ჰქონდა ჩაწყობილი ერთ ყუთში და ვინმეს ერთი ცალიც კი რომ ამოეღო, მაშინვე შეამჩნევდა დანაკლისს. ამოაწყობდა ცხოველ-ფრინველთა ამ გამოსახულებებს ყუთიდან, გაშლიდა მაგიდაზე... საათობით იჯდა და ათვალთვლებდა, გადაადგილებდა ერთიმეორის ადგილზე... მშვენივრად გაიცნო ცხოველ-ფრინველთა ანატომია და ინტუიციით მიაგნო შესწავლის ყველაზე საუკეთესო ხერხს – თამაშს; არ სწყინდებოდა და შესანიშნავადაც აითვისა ყველაფერი საოცარი ცნობისწადილისა და შესანიშნავი მეხსიერების წყალობით. სხვები რომ წლებს ანდომებენ ცხოველთა თუ ფრინველთა შესწავლას, თანაც მხოლოდ გარკვეული შეზღუდული რაოდენობის სახეობებისა, გიამ ბუნებრივად შეითვისა უზარმაზარი ცოდნა, თან ისე, რომ არავის დაუძალებია და დამრიგებელ-მსწავლელიც არავინ ჰყავდა.

ჯერ რომ სკოლაშიც არ დადიოდა, დაიწყო ცხოველების, თევზებისა და ფრინველების ხატვა – ფრთად უცხო და უცნაური არსებებისა. გიას დახატული მაიმუნები უცნაური ლაქებით იყვნენ აჭრულბუნნი, კატისნაირთა ოჯახის წარმომადგენლები – გეპარდები, ავაზები, ვეფხვები, ჯიქები და სხვები – ზუსტად კი არ ჰგავდნენ ამ ცხოველებს, ყოველ მათგანში გია რაღაც თავისებურს უმატებდა – შეფერვას, ზოლებს, წინწკლებს, ლაქებს და ასე შემდეგ – დეკორაციულ ელფერს აძლევდა, ფანტაზიით თხზავდა, არსებული ცხოველის “ბაზაზე” საკუთარ, ბუნებაში არარსებულ ცხოველთა ვარიაციებსაც იგონებდა, გადაშენებულ დინოზავრებს რომ მაგონებდნენ...

ყველგან და ყოველთვის განუწყვეტლივ გატაცებით ხატავდა. მაშინაც კი, როცა აგად იყო, სიცხიანი, ფერად ფანქრებს და სახატავ ალბომს მოითხოვდა და ოჯახის ფისოს ან ფანტაზიით შექმნილ უცნაურ არსებებს ხატავდა. გიას ნახატებით გაგსებული აუარებელი ასეთი ალბომი ჰქონდა შენახული დედამისს და სტუმრებს სიამაყით ათვალთვლებინებდა.

ერთხელ (უკვე სკოლას ამთავრებდა) ფიზიკის გაკვეთილი უნდა მოემზადებინა. დაჯდა დაბალ მაგიდასთან, წიგნი დაიდო და... პირდაპირ მაგიდაზე ბიზონის ხატვას შეუდგა. ჯერ ერთი ბიზონი

დახატა, მერე – სხვა რაკურსში – მეორე, ინდიელი მონადირის მიერ ისრით განგმირული, მერე – მესამე, მეოთხე... დამით დედამისი რამდენჯერმე ადგა, ეუბნებოდა: “შვილო, უკვე გვიანია, დროზე დაიძინე... ამას რას აკეთებ, ფიზიკაც რომ უსწავლელი დაგრჩა?” ჯერ უნდოდა, საყვედური ეთქვა მაგიდის გაფუჭებისთვის, შემდეგ თვითონაც მოეწონა შვილის ნამუშევარი და გაჩერდა.

გიამ გაიჩინა აკვარიუმი – სხვადასხვა ჯურის დეკორაციული თევზებით; გაიტაცა ახალი ჯიშების გამოყვანამ – განსხვავებული ფორმებითა და შეფერილობით.

უფროს კლასებში სწავლისას გიამ დაიწყო რუკების ხატვა: უცნაური სახელმწიფოები, არარსებული ქალაქები, მდინარეები, ზღვათა უბე-ყურეები, კუნძულები – ფანტაზიით ასხვავებულა ან წარმოსახვით ჰქმნიდა მისთვის საოცნებო მხარეებს, ასახლებდა ინდიელებით და სხვადასხვა მისივე მოგონილი ცხოველებით... რვა წლით უმცროს დასთან ერთად თამაშობდა – მოგზაურობა ინდიელთა ქვეყანაში, მათ ბრძოლებსა და ნადირობებში მონაწილეობა... ის სახელმწიფოს პრეზიდენტი იყო ხოლმე, დაიკო – ვიცე-პრეზიდენტი; მინისტრებს ნიშნავდნენ, ექსპედიციებს აწყობდნენ, ინდიელებთან მოგზაურობდნენ... ოთახის კედლები დაფარული იყო შურნალ-გაზეთებიდან ამოჭრილი სურათებით: ხეზე გასული ჩასაფრებული ინდიელი ისარს სტყორცნის დედალ ვეფხვს, რომელსაც გარშემო სამი ბოკვერი დასევია, დაჭრილის ღრიალზე დასახმარებლად მოიჩქარის მამალი ვეფხვი; ძალიან ფერადოვნად გამოძერწილი ინდიელი ცალ მუხლზე დგას და თვალმოჭუტული შორეთს აკვირდება; ტუნდრაში ირმის მარხილი მისრიალებს უსასრულო, დათოვლილ ვაკეზე, მას კაიური გრძელი ჭოკით მართავს... უამრავი ინდიელთა ყოფის ამსახველი სცენები, ალბათ სხვადასხვა კინოფილმების კადრებით შთაგონებული.

ერთ ზაფხულს, როცა სოფელში ისვენებდნენ, გიამ საგანგებოდ იშოვა ძროხის ტყავი, საკუთარი ხელით გამოიყვანა და შეიკერა ტყავის შარვალი, ფეხზე ჩასაცმელად – ტყავისავე მოკასინები, ეს მოკასინები ფერად-ფერადად შედებოდა. მეორეჯერ დედამისს აყიდვინა ზამში და თავისი თარგითა და მოდელით შეკერა პიჯაკი... სხვა დროს დედამისის საშინაო ხალათი აიღო და სადა, უბრალო ტანისამოსი სულ შეცვალა – ზევით, მხრებზე და გულზე, ფუმფულა რაღაც-რაღაცეები დაამატა, ქვედა ნაწილში – თარგით გამოჭრილი სხვადასხვაგვარი ნაჭრები მიაკერა. დედამისი საათობით იჯდა სარკესთან – შვილის ნახელავი მოსწონდა. ვინც კი ოჯახში სტუმარი ქალი მოვიდოდა, ყველა ეკითხებოდა, რა მშვენიერი ხალათია, სად შეიძინეო, მაგრამ რატომღაც მალევე ხალათს ყველაფერი დააძრო და ძველებური იერი დაუბრუნა. გიას, რა თქმა უნდა, ეწყინა...

გიას დედა ფრანგულს ასწავლიდა სკოლაში, უკვირდა, საიდან გამოაჩნდა მის ვაჟს ამგვარი ნიჭი თუ უნარი? ალბათ მამისგან გამოჰყვა – ვანოს ძალიან უყვარდა ანტიკვარული ნივთები, ხანდახან ყიდულობდა კიდევ საკომისიო მაღაზიაში: ხან – სტატუეტს, ხანაც – ბულის კარადას ან განსაკუთრებული სინატიფით გაფორმებულ საჭადრაკო კომპლექტს... უფრო ხშირად გიას დედა შეძენილ ნივთს მაშინვე მაღაზიაში დააბრუნებინებდა ქმარს – სად გვაქვს მაგის 200 მანეთი, ბავშვებისთვის წესიერი ტანსაცმელი ვერ გვიყიდიაო.

მალე ეს ოჯახი საცხოვრებლად სხვა უბანში გადავიდა და გიას კვალი დაგვარგე.

მას შემდეგ სამ ათეულ წელზე მეტი გავიდა.

ამას წინათ ქუჩაში შემთხვევით დიდი ხნის უნახავი ჩემი ბავშვობის დროინდელი მეგობარი შემხვდა; სალაპარაკოდ და ძველი ამბების მოსაგონებლად სალუდეში შევედით – სწორედ იქ გამახსენდა რატომღაც გია... დავინახე ვიღაც შუახნის ღოთი, გაუბედურებული კაცი – გაუპარსავს, თმაგაჩეჩილს, ჭუჭყიანი, დაღეჭილი ტანსაცმელი ემოსა; ბანცალით უვლიდა მაგიდებს და კათხებში მონარჩენ ლუდს სვამდა... ჯერ რატომღაც გია შეშატაპეს მივამგვანე, თუმცა, როცა დავაკვირდი, სხვა აღმოჩნდა.

ჩემს მეგობარს მოუყევი ახალგაზრდა, გამორჩეულად ნიჭიერი ბიჭის ამბავი.

მერე კარგა ხანს ვფიქრობდი: რა ბედი ეწია გიას, რატომ არსად ჩანს, როგორც ხელოვანი? ნიჭი არ აკლდა, მაგრამ, როგორც ჩანს, კიდევ მრავალი რამ სჭირდება ადამიანს, რომ მასში მყოფი შესაძლებლობები სრულად თუ არა, ნაწილობრივ მაინც გამოავლინოს. ახლა იგი ალბათ ორმოცდაათ წელიწადს უკაკუნებს... მხატვართა შორის მრავალი მეგობარ-ნაცნობი მყავს და მათგან გიას შესახებ არასდროს არაფერი გამიგონია, არც გამოფენებზე შემხვედრია მისი გვარი, არადა, არც ერთ გამოფენას უნახავს არ ვტოვებ...

ნეტავ როგორ წარიმართა მისი ცხოვრება, რატომ დაიკარგა?

იქნებ თავი მოიკლა გოგოს გულისთვის?

ჯერ კიდევ ახალგაზრდა, ხულიგნებმა მოკლეს ქუჩაში?

ქირურგის დაუდევრობით დაიღუპა?

მანქანამ გაიტანა?

გალოთდა, გადაჰყვა ძმაბიჭებში ქეიფს?

ფულს გამოეკიდა, საქმოსანი ხელოსანი გახდა?

მუხტი გამოვლია, საერთოდ თავი დაანება შემოქმედებით მუშაობას და მხაზველია საპროექტო ბიუროში ან ბუღალტერი რომელიღაც დაწესებულებაში?

ჩუმად მუშაობას განაგრძობს მხატვრობაში – თავისთვის, გაურბის რეკლამას?

ათასგვარი ნაღველგარეული ფიქრი მომეძალა და მანამ ვერ მოვისვენე, სანამ ის სტრიქონები არ დაიწერა, რომლებიც თქვენ წაიკითხეთ.

1974 წლის 9 იანვარი.

2007 წლის 14 ოქტომბერი.

მოკლეფესა დეტექტივი

როცა აგვისტოს მიწურულს მწვანე კონცხიდან ხალხი გაიკრიფა, ნაცნობ-მეგობრებიდან დაგრჩით მხოლოდ მე და ირინე... როცა ზღვაში შევცურავდით – დელფინებით მხიარულად ჩაგვივინთავდით-ამოგვივინთავდით, უმიზეზოდ ვიცინოდით, ხელიხელ ჩაჭიდებულნი – წყალქვეშ გაუთავებლად ვიმეორებდი: “მიყვარხარ!”, ხმამაღლა კი ვერაფრის თქმას ვუბედავდი... რატომღაც გადავწყვიტე თბილისში გადამედგა გადამწყვეტი ნაბიჯი.

მერე, ისე მოხდა, რომ ირინე რაღაც ჩემთვის უცნობი მიზეზის გამო სასწრაფოდ დაბრუნდა თბილისში, ისე, რომ მისი სახლის ზუსტი მისამართის გაგება ვერ მოვასწარი...

რამდენიმე დღეში მეც თბილისში ვიყავი. ირინესთან შეხვედრის სურვილი არ მასვენებდა. დახლოებით კი ვიცოდი, სადაც ცხოვრობდა, მაგრამ მიდი და ავლაბარში ეძიე ერთი ტანმორჩილი, მაგრამ კონტა, ცისფერთვალა გოგო, ხომ დაგცინა გამგელელ-გამომგელელმა... შეიძლება, ეზო-ეზო იარო და მობინადრეთა გვარებშიც ეძიო, რამდენი ხანი დაგჭირდება ნეტავ მისაგნებად?..

მერე გამახსენდა, ხშირად ახსენებდა მამამისის სამსახურის ადგილს, – მინისტრთა საბჭოში რომელიღაც განყოფილებაში მთავარი ეკონომისტი იყო, – ერთხელ მისი მამა რამდენიმე დღით ჩამოვიდა კიდევ მწვანე კონცხზე და ნახული მყავდა. გადავწყვიტე, მივსულიყავი მთავრობის სახლთან და საღამოს, როცა მამამისი გამოვიდოდა სამუშაო დღის დამთავრების შემდეგ, უკან დავდეფნებოდი სახლამდე.

ასეც ვქენი. საგანგებოდ ნაშუადღევს ოთხი საათისთვის უკვე დარჩობილი ვიყავი სათვალთვალო ადგილას და თვალს არ ვაცილებდი კარს, საიდანაც მამისი უნდა გამოსულიყო.

თითქმის სამი საათი გავიდა, სანამ “სამსხვერპლო” გამოჩნდებოდა (მანამდე მომწყინდა ქუჩის, ხალხის თვალიერება, ათას რამეზე ფიქრი...). ეტყობა, არსად ეჩქარებოდა. ნელ-ნელა დაუყვა ქუჩას დაღმართში, შემდეგ მეტროში ჩავიდა; ამოვიდა მარჯანიშვილის მოედანზე... მე ყველგან კუდივით უკან მივდევი.

მეტროს სადგურის შესასვლელთან თავისაზე ბევრად ახალგაზრდა ქალი შეხვდა – საკმაოდ სანდომიანი; ერთი ეს იყო მხოლოდ, ცოტა ჭუტალა იყო, მისი ცალი თვალი გვერდზე იყურებოდა. კინოთეატრ “კომკაგშირელისკენ” წავიდნენ; ცოტა ხანს კინოთეატრის წინ ბილეთების რიგში იდგნენ, ჭუპკჭუპკდნენ, შემდეგ ფილმის სანახავად შევიდნენ.

მეც შევყევი და მათ უკან მოვკალათდი. რაღაც სულელურ, სანტიმენტალურ დრამას აჩვენებდნენ, არც სახელი დამამახსოვრდა, არც – შინაარსი; მე უფრო მათ ვუთვალთვალედი – ხშირ-ხშირად მიადებდნენ ერთმანეთს თავებს და ალბათ რაღაცას გადაუჩურჩულებდნენ.

თითქმის ათი საათი სრულდებოდა, როცა კინოფილმის დამთავრების შემდეგ გარეთ გამოვედი. რა ხანია, ქუჩებში სინათლეები აენთოთ. ისე ავედევნე მათ. წავიდნენ მარჯანიშვილის ქუჩით, სეირნობა-სეირნობით გაიარეს კლარა ცეცქინის ქუჩის კარგა დიდი მონაკვეთი; ერთ სახლის წინ შეჩერდნენ, იქაც იჭუპკჭუპკეს, მერე განაგრძეს ხელმკლავით გზა და ერთ-ერთი ეზოს შესასვლელთან ერთმანეთს კოცნით დაემშვიდობნენ. ქალმა გზა განაგრძო და მალე რომელიღაც ეზოში შევიდა; კაცი უკან გამობრუნდა – მეტროსკენ. მეტროთი მეც დავემგზავრე. ჩამოვიდა “300 არაგველის” სადგურზე. ხევით ამოსვლის შემდეგ, იქვე, სულ ახლოს, სამსართულიანი სახლის სადარბაზოში შევიდა, მე უკანვე გამოვბრუნდი.

გადავწყვიტე, მეორე დღეს რამდენიმე ლექციის გაცდენა და დილიდანვე ირინეს მისი სახლის წინ დავდარაჯებოდი.

დილით ექვს საათზე წამოვხტი (რითაც დიდად გავაკვირე დედაჩემი), საგულდაგულოდ გავიპარსე პირი, სასწრაფოდ ვისაუზმე და მოვკურცხლე ირინეს სახლისკენ. რვის ნახევარზე უკვე ჩემს “სადარაჯო” ადგილზე ვიყავი.

კარგი ყოფილა ადრე დილით ქალაქის ახმაურების ყურება! აგერ რძის საყიდლად მიიჩქარიან, დამგველი ქუჩას ხვეტს და მტვრის ბუღს აყენებს, ახალთახალი “ჟიგული” ჩერდება ქუჩის კიდეს-

თან, მძღოლი საეჭვოდ არ გადმოდის მანქანიდან, ალბათ ჩემსავით ვიღაცას უთვალთვალვებს; ისიც კი გავიფიქრე – გამეცინა – ირინეს ხომ არა?..

ცხრის ნახევარზე გამოვიდა ირინეს მამა, საქმიანად გაემართა მეტროს სადგურისკენ.

სადარბაზოს ვიყავი მიჩერებული – დიდიდანვე თავ-თავიანთ საქმეზე მიეშურებოდნენ ბავშვებიცა და მოზრდილებიც, გამოვიდა ერთი გოგოც; პირველად ირინეს მივამგვანე და გული ამიჩქროლდა, მერე სიარულზე შევატყვე, ირინე არ იყო. ცოტა ხანში ახლა ორი ქალიშვილი გამოჩნდა, ერთად გაემართნენ ტრამვაის გაჩერებისკენ. საკმაოდ შორს ვიდექი და ჯერ შეგეჭვდი – ერთ-ერთი მათგანი ირინე ხომ არ არის-მეთქი. სირბილით დავეწვიე უკანიდან და მაშინვე შევბრუნდი – სახეზე შეხედვა არ დამჭირებია, მხოლოდ მისი ფეხებით დავასკეენი, რომ არც ამჯერად გამოსულა ირინე შინიდან...

გეურყუბებს ასე; აგერ კაი 10 საათი შესრულდა, აწი რის იმედი მაქვს? ლექციები რა ხანია, დაწყებულია... სწორედ ამ დროს გამოვიდა სადარბაზოდან მაღალი ქალიშვილი, ხელში ვიოლინოს ბუდე ეჭირა; ალბათ ირინეს დაა, ერთხელ მითხრა, ჩემი და კონსერვატორიაში სწავლობსო... ხომ არ ვკითხო ირინეს ამბავი? სისულელეს ჩავიდენ, ალბათ გაგიჟდება – ჩემზე იფიქრებს, ეს ვინ არის, თავხედო და ის ვიოლინოს ბუდე არ ჩამთხლიშოს...

გამეცინა და ინსტიტუტში წასვლა ვიფიქრე – ბოლო ლექციებს ხომ არ დავესწრო?.. არა, რადამც მოვედი, ჯობს, პირველ საათამდე მაინც მოვიცადო...

ფეხები ჩამომამწყდა ადგილზე დგომითა და წინ-უკან სიარულით და აჰა, პირველი საათიც შესრულდა... ტყუილად ხომ არ ვუთვალთვალვებ ირინეს აქ? იქნებ სულაც მამამისი ცალკე ცხოვრობს, იქნებ დედამისთან გაყრილია... ხომ ჩემი თვალით ვნახე, ვიღაც ქალს რომ ხვდება?

ბოლოს, გადავწყვიტე: რაც იქნება – იქნება, ირინეს შინ მივადგები! თუ, რა თქმა უნდა, აქ ცხოვრობს.

გულის ფანცქალით შევდივარ სადარბაზოში და ნელა ავდივარ კიბეზე. ვკითხულობ მოსახლეთა გვარებს კარებებზე გაკრულ ფირფიტებზე: აბუსერიძე, აბაღაკი, კანკავა... მეორე სართულზე: სარუხანანი, ბაღათურია, ისევ სარუხანანი... მესამე სართულზე: ბაკაკური, კანდელაური... კანდელაური! რამდენჯერმე ვკითხულობ ირინეს გვარს, ვყოყმანობ – მივაჭირო ხარს თითი თუ უკან გაგბრუნდე?..

და ამ დროს ზარის დილაკს თითს აჭერს მაღალი ქალიშვილი, ხელში ვიოლინოს ბუდე უჭირავს; ეტყობა, კიბეზე დამეწია. კარი გაიღო და გამოჩნდა... ირინე!

შემომანათა საყვარელი, ცისფერი თვალები...

ყელი შეხვეული აქვს, გრძელი, თბილი საშინაო ხალათი აცვია.

შემიპატიჟეს...

მერე გამოირკვა, ავად ყოფილა, ანგინის მსგავსი ჰქონია რაღაცა, ამიტომ აღარ წასულა დღეს ლექციებზე...

უჰ, მაგარი დეტექტივი ვარ! ხომ ვიცოდი, უნივერსიტეტში სწავლობდა, ფაკულტეტიც ვიცოდი, კურსიც და სპეციალობაც – განა იქ უფრო მარტივი არ იქნებოდა მისი ნახვა? უფრო ბუნებრივიც იქნებოდა და არ მომიხდებოდა რაღაც ჩახუჭუჭებული ამბის ხელდახელ თხზვა, რათა ამეხსნა, როგორ მოხვდი აქ...

მერე გამოირკვა, რომ ვიოლინონიანი ქალიშვილი, ვიოლა, როგორც ვგარაუდობდი, ირინეს და ყოფილა. გაგახურეთ საუბარი მუსიკაზე – ვიოლა შოპენისტია, თუმცა შოპენს ვიოლინოსთვის არაფერი დაუწერია, მე კი – ბეთჰოვენისტი. ირინე ჩვენს კამათში არ ერთევა – ყელი სტიკვა. მგონი, ისე ვატყობ, ვიოლა მეკეკლუცება კიდევც... უჰ!.. ჩემზე მაღალიცაა და ფეხები, ირინესგან განსხვავებით, არც ისეთი ნატიფი აქვს – ასეთი რამ არ გამოიმეპარება!

ამ დროს მოვარდა მათი დედა, – შესვენება ჰქონია, – ლამაზი ქალი, მაგრამ, როგორც შევატყვე, საკმაოდ დაღლილი ცხოვრებით... ცდილობს, წინანდებურად მიმზიდველი იყოს – შეღებილი ტუჩები, დახვეული თმა, მისი ასაკისთვის შეუფერებელი პრეტენზიული ჩაცმულობა, მსხვილი ფერადი მძივები, დიდი საყურეები... ამ ოჯახში მხოლოდ ირინე რატომ არის შედარებით დაბალი?

დედამისმა ფართხაფურთხით დააღაგა მაგიდაზე წამლები – ამათ საშოვრად დავბრბოდი და იმიტომ დამაგვიანდაო, – საჩქაროდ გაუცხელა შვილებს საჭმელი (ამ დროს სკოლიდან მოვიდა 12-13 წლის ლამაზი ბიჭი, მესამე შვილი), ჩაიდო პირში რამდენიმე ლუკმა და სამსახურში გაიქცა.

შემოთავაზებულ სადილზე უარი ვთქვი და, უხერხულობა რომ არ გამოემეწვია, ყველას გამოვემშვიდობე.

შინ რომ მივდიოდი, გუნებაში ვიანგარიშე: თუ მინდოდა, სასაუბროდ ირინესთან მარტო დავრჩენილიყავი, ალბათ დილით, დაახლოებით ათი საათისთვის უნდა მოვსულიყავი ირინეს სახლთან; ამ დროს ვიოლა წავიდოდა კონსერვატორიაში, სხვები უფრო ადრე იქნებოდნენ გასული შინიდან... ტყუილად დავუწყე დავა ვიოლას, სხვას რომ თავი დავანებოთ, ვიოლინო მე თვითონ ძალიან მიყვარს, თითქმის ყველა მეტ-ნაკლებად ცნობილი და სარეპერტუარო სავიოლინო კონცერტის ჩანაწერი მაქვს... გამახსენდა: ზოგი სპეციალური წიგნიც მაქვს, რომლებიც მხოლოდ პროფესიონალ მუსიკის-

მცოდნეებსა და მევიოლინოებს თუ დააინტერესებს – და ჩემსავით უსაზღვრო ცნობისმოყვარეობით შეპყრობილს! რომელიმე მათგანი ხომ არ წამოგულო ვიოლას? კარგი საბაბიც მექნება მათ ოჯახში სტუმრობისთვის!

მეორე დღით თავი ძლივს წამოვწიე ბალიშიდან – ისე მტკიოდა ყელი!

ერთი კვირის შემდეგ შევასრულე ადრე ჩაფიქრებული: ამოვიღლიავე “სავიოლინო ხელოვნების ისტორიის” I ტომი (მეორე ტომი მეორედ მისვლისთვის შემოვიანახე) და დილის 11 საათზე დავაზარუნე უკვე ნაცნობ კარზე...

კარი ვიოლამ გააღო... რა უნდოდა ამ დროს შინ? შემომცინა და მახარა:

– ირინე საქორწინო მოგზაურობაში გაემგზავრა!.. გუშინ!..

ერთი წლის შემდეგ ვიოლა ცოლად მოვიყვანე.

1984 წლის 4 სექტემბერი.

2007 წლის 7 ოქტომბერი.

გადათელილი ბუჩქები, გადამტვრეული ხე... ესკიზი დეტექტიური მოთხრობისთვის

როგორც თვითმხილველთა ნაამბობიდან ჩანს, ტრაგიკული შემთხვევა მოხდა დაახლოებით საღამოს ოთხ საათზე. ძირმაგარაშვილის გამზირზე უკვე რამდენიმე დღეა, ქალაქის კეთილმოწყობის სამმართველოს მუშაკებს გაჰყავთ ღრმა თხრილი კანალიზაციის ახალი მაგისტრალური მილგაყვანილობის მოსაწყობად. უზარმაზარი თვითმცლელის “კამაზის” მძღოლმა აბესალომ ცალტვინაძემ გააჩერა თავისი ავტომანქანა ექსკავატორის ცოტა წინ, მარჯვენა მხრიდან და სანამ მანქანა ამოღებულ იქნებოდა, გადმოვიდა კაბინიდან და იქვე გზისპირა იფნის ხის ქვეშ გაჩერდა სიგარეტის მოსაწევად. როცა მანქანის ძარა ექსკავატორმა ამოღებული მიწით გაავსო, მოვიდა მეორე ასეთივე მანქანა, ცარიელი, მაგრამ წინა მანქანა არ მიდიოდა. მეორე მანქანის მძღოლმა, კარპეზ ნუკაძემ ერთხანს აპიპინა, დროზე წადიო, მერე გადმოვიდა კაბინიდან და წინა მანქანის შოფრისთვის საყვედურის სათქმელად და წასასვლელად დასაჩქარებლად წამოვიდა... დაინახა, რომ აბესალომი ხის ქვეშ ეგდო, ნატყვიარი მკერდიდან სისხლი გადმოსდიოდა... დაუძახა ექსკავატორის მემანქანეს, გააჩერეს სასწრაფოდ პირველივე გამგლეელი მსუბუქი ავტომანქანა და დაჭრილი საავადმყოფოში გააქანეს, მაგრამ დაჭრილის გადარჩენა შეუძლებელი შეიქნა – აბესალომი გზაში გარდაიცვალა.

დაიწყო გამოძიება. გასროლა, როგორც ჩანდა, მხოლოდ ერთი იყო; გასროლის ხმა არავის გაუგია; ეს არც იყო გასაკვირი – მომუშავე ექსკავატორის ხმაურში არავინ მიაქცევდა ყურადღებას თუნდაც რამდენიმე გასროლასაც.

უცნობი და გაუგებარი იყო მკვლელობის მიზეზი. უამრავი კითხვა ბუნებრივად დაიბადა:

იქნებ შემთხვევითი გასროლის მსხვერპლი გახდა?

ვის შეეძლო, ესროლა?

საიდან შეიძლებოდა, ესროლა?

ცალ მხარეს გზას სათამაშო მოედნები და პატარა ბაღი ესაზღვრებოდა, მეორე მხარეს მრავალსართულიანი სახლები იყო ჩამწკრივებული.

თუ ვივარაუდებდით, რომ ხის ქვეშ ჩრდილში მდგომი მძღოლი სროლამდე მანქანისა და ექსკავატორისკენ იყო პირით მიბრუნებული და ასე უცდიდა მისი მანქანის დატვირთვას, მისთვის მკერდში მოხვედრილი ტყვია უახლოესი ცხრასართულიანი სახლიდან უნდა ესროლათ...

დაიწყეს ამ სახლის ყველა ოჯახის წევრთა საგულდაგულო გამოკვლევა, – ძარცვა-ყაჩაღობისთვის ან იარაღის უკანონო ტარებისთვის თუ იყო ვინმე ადრე პასუხისგებაში მიცემული ან სხვა მხრივ საეჭვო, – მაგრამ ხელმოსაკიდი ვერაფერი იპოვეს.

მაშინ გამოძიებელმა აბესალომის ნაცნობ-მეგობრებისა და მტერ-მოყვრის წრის შესწავლა დაიწყო – იქნებ ვინმე რაიმე მიზეზი ჰქონდა აბესალომისთვის ანგარიშის გასასწორებლად, მაგრამ ძიება ამ მიმართულებითაც უშედეგოდ დასრულდა.

დრო მიდიოდა, ახალი გარემოებები ამ დანაშაულის მიმართ არ გამოჩნდა, აღძრული საქმე უკვე უნდა დაეხურათ – გაუსხნელი მკვლელობის კვალიფიკაციით...

საბოლოო ვერდიქტის გამოტანამდე პროკურატურამ მოითხოვა, ერთხელ კიდევ შეესწავლათ ეს საქმე, რადგან იგი მძიმე დანაშაულს ეხებოდა.

ახალმა გამოძიებელმა დაიწყო დანაშაულის ჩადენამდე ცოტა ადრე არსებული მდგომარეობის შესწავლით...

უპირველესად გარდაცვლილის კოლეგებს, შოფრებს გაესაუბრა.

– როდის მოვიდა მანქანა ექსკავატორთან?

– დაახლოებით სამ საათზე, ესე იგი, მომხდარ მკვლელობამდე ერთი საათით ადრე. ამ მანქანის წინ მასზე ადრე მოსული რამდენიმე მანქანა თავის რიგს ელოდა და ამიტომ აბესალომს საკმაოდ რთო დარჩა დასასვენებლად...

– თვითონ სად დააყენა ამ დროს მანქანა?

– მანქანა ბაღში შეიყვანა...

– რატომ? ქუჩაში რატომ არ გააჩერა?

– ღმერთმა უწყის... რიგში რამდენიმე მანქანა იდგა, ქუჩა გადატვირთული მოეჩვენა და ალბათ იმიტომ.

– სად იდგა აბესალომის მანქანა ბაღში?

– აი, აქ...

– აქ რა უნდოდა, კაცო, გადაუჯვებია ბუჩქები და ეს ნორჩი იფნის ხეც გადაუმტვრევია... მშვენიერი მოვლილი ჩანს აქაურობა, რატომ შემოჯლივინდა აქ?

– აქაურობას ერთი პენსიონერი უფლის, თავს ევლება, თითქმის ყოველდღე რწყავს. ეს ხეც თავისი ხელით დარგო და გაახარა. შინ აივანზე თესავს სხვადასხვა ხეთა თესლს და მეორე-მესამე წელს, უკვე მოღონიერებულ ნერგებს გადმორგავს აქ, ამ ბაღში...

– ვინ არის ეს პენსიონერი?

– გაბრიელ გაბედაური. ყოფილი მასწავლებელია, მერე იძულებული გახდა, ტაქსისტობა დაეწყო, რათა შიმშილით არ მომკვდარიყო – აბა ეს პენსია პენსიაა? დაცინვაა და მეტი არაფერი... რამდენჯერმე ღამე თავს დაესხნენ და გაძარცვეს, ერთხელ ქალაქგარეთაც წაიყვანეს, ტანზე სულ გახადეს, სცემეს და ხელფენშეკრული დააგდეს – დილით შემთხვევით მწყემსმა იპოვა ხევში ჩაგდებული... სიკვდილს ძლივს გადაურჩა. იშოვა იარაღი თავდასაცავად...

გაბრიელ გაბედაური დააკავეს.

პენსიონერი მაშინვე გამოტყდა დანაშაულში...

როცა “კამაზის” მძღოლი შეგლიჯინდა მის ნალოლიავე ბაღში, წინ-უკან დაიწყო მანევრი და ხე-ბუჩქები გადათელა, გაბრაზდა! უნდოდა, აივანიდანვე ესროლა, მაგრამ შორს იყო. შემდეგ, როცა მანქანამ სახლთან ახლოს გადაინაცვლა, მოხდა ის, რაც არ უნდა მომხდარიყო...

– მოკვლა არ მინდოდა, ფეხებში ვუმიზნებდი, მაგრამ ვერ გავითვალისწინე, რომ მეცხრე სართულიდან ქვევით ვისროდი და მაღლა მომივიდა ნასროლი...

2006 წლის 5 სექტემბერი.

2007 წლის 5 ოქტომბერი.

კვირადღე

ჟუჟუნა წევს საავადმყოფოში. ქალთა პალატაში ექვსნი არიან: თვითონ ჟუჟუნა, ჰენრიეტა, ყველანი რომ გეტას უწოდებენ, მანონი, ნინო, ეთერი და მარო – სულ განსხვავებული ხასიათის, ასაკის, გარეგნობის ქალბატონები... ავადმყოფობამ შეყარა ისინი ერთ, საერთო სადგომში, ყველას თავთავისი სატვივარ-ავადობა აწუხებს. ერთს აპენდიქსი ამოსჭრეს, მეორემ შინ გაიჭრა დანით პატარაზე ხელი და დაუჩირქდა, ძალიან გაუმიზნებდა, მესამემ ვენები გადაიჭრა და ძლივს გადაარჩინეს, მეოთხეს ისე ჩაეზარდა ფეხის ცერზე ფრჩხილი, რომ საოპერაციო შეიქნა...

კვირადღეა, საღამოსპირი. ხუთ ქალთან მოვიდნენ მნახველები – ქმარი, შვილი, მეზობელი, მეგობარი...

მხოლოდ ჟუჟუნას სანახავად არ მოსულა არავინ.

იცის: ქმარი ავადაა, თან რაღაც აუცილებელი საქმე გამოუჩნდა, ალბათ მოგვიანებით მოახერხებს მოსვლას... ქეთინოს რაღა დაემართა? ორი კვირაა უკვე, დედამისი საავადმყოფოში წევს და ერთხელაც არ მოინახულა! არადა, ჟუჟუნამ საკმაოდ რთული ოპერაცია გადაიტანა – გაჭედილი თიაქარი ჰქონდა; ექიმების თქმით, ერთი დღით რომ დაგვინებულიყო მისი აქ მოყვანა, ვეღარ გადავარჩენდით. მართალია, გოგო მუშაობს და საღამოს ლექციებზეც დადის პედაგოგიურ ინსტიტუტში, მაგრამ ნუთუ ერთხელ ვერ მოახერხა სამსახურიდან განთავისუფლება დედის სანახავად ან ლექციები ერთხელ მაინც არ გაუცდა? ბოლოს და ბოლოს, შაბათ-კვირას რა უშლიდა ხელს, რატომღა ვერ მოახერხა მოსვლა? არც დღეს მოვა? პაემნებზე კი დაწანწალებს ალბათ, ამისთვის დრო რჩება... არც კინოსა და თეატრს იკლებს... ერთხელ ქალიშვილის ჩანთაში გასაღებს ეძებდა და სიგარე-

ტის კოლოფი ნახა... ახლა აგონდება, რომ ხშირად სრულიად მოულოდნელად დაურეკავდნენ ქეთინოს, საჩქაროდ მოდი სამორიგეოდო, – ექთანად მოეწყო, ოღონდ სხვა საავადმყოფოში, – თუმცა რა ისეთი შეუცვლელი სპეციალისტია, რომ ასე აუცილებელი გახდა მისი მთელი ღამით მორიგეობა? ამ ვითომ მორიგეობების დროს ქეთინო ორჯერ მოხვდა ავტოავარიაში, ორივეჯერ მსუბუქი მანქანის მძღოლი ვაჟი მთვრალი იყო და არც ქეთინო გახლდათ მთლად ფხიზელი...

ჟუჟუნა იხსენებს წარსულს – შორეულსაც და ახლობელსაც... ქეთინო რომ დაიბადა, როგორ ეფერებოდნენ, თან ჰყვებოდნენ... ერთადერთი ქალიშვილი ჰყავდათ და შემდეგაც არაფერს აკლებდნენ, აუცილებელს, რასაკვირველია, რადგან დიდი შეძლების ოჯახი არ ჰქონდათ. ჟუჟუნა ექთანად მუშაობს ერთ-ერთ სამედიცინო სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტში, ქმარი გამწვანების ტრესტშია ავრონიმად. ცოლ-ქმარმა ისეთ დროს გაატარეს ახალგაზრდობა, მათი მეგობრებ-ამხანაგებიდან დიდად არავინ გამოირჩეოდა ჩაცმა-დახურვით, გარდა თითო-ოროლა კოპწია ქალიშვილისა.

ქეთინო სხვა დროს გაიზარდა.

ქეთინო ჯერ კიდევ სკოლაში სწავლობდა, როცა მისმა დაქალებმა გააჩაღეს შეჯიბრი ჩაცმა-დახურვაში. “რით ვარ მე სხვებზე ნაკლები? – ფიქრობდა ქეთინო. – გარეგნობით ბევრს ვჯობივარ, არც ჭკუით ჩამოვრჩები ვინმეს!” ქეთინო არ ტყუოდა – ლამაზი გოგო იყო, ჭკუაც არ აკლდა, მაგრამ, ახლა რომ უკვირდება ჟუჟუნა, საკითხავი ეს იყო – როგორი იყო ეს ჭკუა? ძალიან ანგარიშიანი, ეგოისტური... ალბათ მშობლებიც არიან დამნაშავენი მათი ქალიშვილის ხნობრივ ხინჯში – მეტიმეტი ზრუნვა და ზღვარგადასული მიტყევა რომ კარგ შედეგს არ მოიტანდა, ამაზე დროზე უნდა დაფიქრებულიყვნენ. თუნდაც ამასწინანდელი ამბავი... ქეთინოს 1500 მანეთად ტყავის პალტო უყიდეს – დიდი ეკონომიის ხარჯზე; ჟუჟუნა წვალობდა, სად არ დადიოდა, ავადმყოფებს შინ უკეთებდა ნემსებს, რომ ორიოდ გროში ეშოვნა, ქმარმა ხილი ჩამოიტანა სოფლიდან და ბაზარში გაყიდა – როგორც იქნა, მოაქურჩეს ჭაპანწყვევით საჭირო თანხა და შვილი გაახარეს. არ გასულა ერთი კვირა და როცა ქეთინო საკუთარი სახლის სადარბაზოში შევიდა, ლიფტში დაემგზავრნენ ახალგაზრდები და... გაძარცვეს – პალტო გახადეს და ჩანთაც წაართვეს. შვილს გული არ ეტკინოსო და ერთი თვის თავზე ისევ უყიდეს ახალი ტყავის პალტო... და რა შრომისა და დამაბვის ფასად შეძლეს ეს მშობლებმა, ქეთინოსთვის ალბათ ძნელი წარმოსადგენია... 800 მანეთი ახლაც ვალად აწვეთ და როდის ან როგორ გაისტუმრებენ, ღმერთმა უწყის...

პალატის ღია ფერის მოყვითალო კედლებისა და თეთრი, ალაგ-ალაგ მოყავისფრო-რუხად დაღა-ქავებული ჭერის ყურება ისე ამოუვიდა ყელში, ლამის იკივლოს. მის საწოლთან კედელზე თავმო-ბეზრებულებს ამოუფხაჭნიათ: “ნაირა”, “ქეთო”... ერთ ადგილას კი – “გია + ...” მეორე სახელი წაშლილია; ეტყობა, ვიღაც გოგოს მოენატრა ვინმე გია, მერე კი შერცხვა და თავისი მიწერილი სახელი მოშალა. ყველაფერი ეს უკვე ისეთი ნაცნობია, ისე მობეზრდა... მხოლოდ ფანჯრების ცისფერი ფარდები ამშივდებს მზერას. საავადმყოფოს ეზოში უზარმაზარი ჭაღის ვერხვი იზრდება. მისი თეთრი ტანი პალატის ფანჯარაში ჩანს. ჟუჟუნა ხშირად უყურებს მის ტანსაც და ერთ ტოტსაც – ფოთლები ნელ-ნელა უყვითლდება და აკლდება, აკლდება... ჟუჟუნა ფიქრობს: როგორ შეუმჩნევლად გახდა 50 წლის, რა იმედები ჰქონდა ცხოვრებისა და რა დარჩა ამ იმედებიდან? ბინას არა უშავს: მართალია, არც ისე ფართოდ არიან, – ორი მომცრო ოთახი აქვთ, აქვთ ტელევიზორი, ძველი ავეჯი და კარგა ხნის მაცივარი... ნახმარი ავტომანქანის ყიდვაზე ოცნებობდა ქმარი, – საბაღე ნაკვეთში წვალებით დადიან ცოლ-ქმარი, – ქეთინო იქ მხოლოდ ერთხელ თუ ორჯერ იყო საერთოდ ნამყოფი, – მაგრამ როგორ, საიდან იშოვონ სამყოფი ფული?..

პალატაში ზუზუნის დგას – იმდენი ხალხი ლაპარაკობს ერთდროულად... გეტას ბოხი ხმა ყველაფერს ფარავს და უბოდიშოდ ახშობს. აქ მოყვანამდე წონით ას კილოგრამზე მეტი იყო, ახლა ოთხმოცია, ძალიან დასუსტებულია. მარტოხელა, ძალიან ნერვიული ქალია; ცხოვრობს საშინელ პირობებში – დიდი კომუნალური ბინის ერთ ოთახში, ყველა მისმა მეზობელმა რომ მასში უნდა გაიაროს. არადა, ის ოთახიც წიგნებით აქვს სავსე, მეცნიერებათა კანდიდატი ყოფილა, ფილოსოფოსი. ოცი წელიწადია რაიადმასკომში ბინის მიღების აღრიცხვაზე არის აყვანილი, ყოველ წელს პირდებიან ბინის მიცემას. როგორც იქნა, აღმასკომში შესთავაზეს თურმე ახალი ბინა, ბევრად უარესი. გეტა გაბრაზდა და იქვე, ბობოლის კაბინეტში მარცხენა ხელის ვენები გადაიჭრა; იხუვლა სისხლმა და მიუშვირა სხდომაზე მყოფთ, სულ მოთხვარა იქაურობა. ვერავინ მიეკარა ახლოს, ისე იყო გააფთრებული, ვერ გააჩერეს, სანამ სისხლისგან არ დაიცალა და გონება დაჰკარგა... აქ მორიდებით ეპყრობიან – მამალი ქალია, ყველას უტყვის: “რატომ აძლევეთ ფულს მომვლელებს, ზედმეტი გაქვთ? რყვით მათ!.. სად მაქვს იმდენი ფული, ყოველ გარეთ გასვლაზე თითო მანეთი მივცე “სუდნოს” მოსატანად ან სისხლის გადასასხმელად!”. ქალ ფილოსოფოსთან მთელი ორი კვირა არავინ მოსულა, დღეს უცებ ხუთნი მოვიდნენ, ყველანი – შუახნის ქალები, სულ დაფარეს ყველა მხრიდან და გულანუყვებული ჰენრიეტა ატირდა... აქამდე ავადმყოფები უწილადებდნენ გეტას ნუგბარ საჭმელს, ახლა კი მას რაც მოუტანეს, მთლიანად გაუნაწილა დანარჩენ ავადმყოფებს... მერე რაღაც ფილოსოფიურ პრობლემებზე გაცხარებით გააჩაღეს მსჯელობა.

ჟუჟუნას მეზობლებმა მოჟუკითხეს ხილი – ვაშლი, მსხალი, ხურმა... ყველაფერი მსხვილ-მსხვილი, ძვირფასი, ბაზარში საგანგებოდ ნაყიდი. ჟუჟუნას ხილი ძალიან უყვარს, ახლა კი ისეთ გუნება-განწყობილება დაუფლებოდა, მხოლოდ მადლობა გადაუხადა და ხილისთვის ხელი არ უხლია. ცრემლი მოერიდა...

მაროს ცხელ-ცხელი ხინკალი მოჟუტანეს, დანარჩენ ავადმყოფებს ნერწყვი მოუვიდათ – არ ეჭმევათ...

ჟუჟუნას გვერდით მწოლიარე ავადმყოფი, მანონი, საერთოდ პირს ვერაფერს აკარებს – ტვინის შეწყვეტა აქვს; აბანოში დაეცა ქვის იატაკზე, 101 კილოგრამს იწონის... როცა ცოტა მომჯობინდება, თავზე რაღაც მრგვალი წამონაზარდი განუვითარდა და ის უნდა მოაცილონ.

სამაგიეროდ, ნინო სულ ჭამს... ძალიან ცნობისმოყვარე ქალია და გვერდით საწოლზე მყოფ მანონს დაწვრილებით გამოჰკითხა, როდის გაჰყვა ცოლად ქმარს – როცა იმ ქმარს ფეხი დაკარგული ჰქონდა თუ მანამდე... მანონს სულ არ აქვს ლაპარაკის თავი, მაინც იძულებული გახდა, აბეზარ შეკითხვებზე ეპასუხა, რომ უკვე გათხოვილი ვიყავი მასზე, როცა ტრამვაიმ ფეხი მოაჭრაო, დაწვრილებით ამ თემაზე საუბარი არ ისურვა. ნინომ ვერ მოისვენა, ყველა მანონთან მომსგელელს გაუბამდა მუსაიფს და ბოლოს დაადგინა, რომ მანონს თურმე დედა და ძმები კარგა ხანს არ ელაპარაკებოდნენ – რატომ გაჰყვე ცოლად ცალფეხასო... არადა, მანონის ქმარი რაღაც იშვიათი სილამაზის კაცია: ამაყი, მეფური გამომეტყველება აქვს, შაგვგრემან, ეშხიან სახეს უმშვენებს ლურჯი თვალები – პირველად რომ შემოვიდა პალატაში ცოლის სანახავად, უმაღ ყველას ყურადღება მიიპყრო...

პალატაში შემოვიდა მომგელელი ქალი მანია – წელში მოხრილი მოხუცი – ძლივს დაფარავტებს, შემოსვლისას მღერის: “ცოცხალი ვარ, ცოცხალი...”, თან ცხვირსახოცს მადლა აფრიალებს ბაირადივით. ხუმარაა, მუდამ მღიმარი, მაგრამ თუ ავადმყოფი გაჭირვებულა, – ასეთი რამ აქ ხშირად ხდება, – შეუტევს კიდევ მკაცრად. მეორე ხელში რომ დიდი ტოლჩა მოჰქონდა, მაგიდაზე დადგა:

– რძე ვისაც გინდათ, დაისხით!

ფიქრებში ჩაფლულმა ჟუჟუნამ ვერც კი შეამჩნია, როგორ დაადგა თავს ქმარი. მანაც მოიტანა ხილი – წვრილი, შეუხედავი... ჟუჟუნას გული ეტკინა. კი, როგორ არ იცის, რომ ქმარმა ალბათ ერთი ათჯერ მაინც დაუარა მთელი ბაზრის დახლებს, რომ როგორმე იაფად შეეძინა ხილი, თვითონ ჟუჟუნაც ხომ სულ ასე შვრება მთელი თავისი სიცოცხლე. ერთხელაც არ ყოფილა შემთხვევა, რომ ბაზარში იმ აზრით შესულიყო, ყველაზე საუკეთესო ხილი ან სხვა სანოვანე ეყიდა ოჯახისთვის; ძვირიანიც უყიდა, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სხვებისთვის უნდოდა მისართმევად ან ქუთინოს დღეობის დღისთვის. ჟუჟუნას კვლავ ცრემლები მოადგა თვალებზე. ქმარი გაკვირვებული ეკითხებოდა მიზეზს, ჟუჟუნამ კი მხოლოდ ჰკითხა:

– ქეთინო არ მოვიდა?

ქმარმა არაფერი უპასუხა, უთქმელადაც ცხადი იყო ყველაფერი...

ჟუჟუნამ ისევ ამოიხსრა: პალატაში შემოცქრილდა შავთვალწარბა, ეშხიანი ექთანის ლალი – თხელი, წერწეტა, უბრალოდ თმადავარცხნილი, რაც მთავარია – ძალიან ყურადღებიანი და დაუზარელი, უანგარო; ის რომ მორიგეობს, ყველანი კარგ გუნებაზე არიან, მძიმე ავადმყოფებიც კი. სხვებს ყოველ წვრილმანზე თუ ფული არ მიეცი, არც თეთრეულს გამოგიცვლიან დროზე, არც “სუნდოს” მოგიტანენ... ლალი ჟუჟუნას ძალიან მოსწონს და ძმისთვის, ავთოსთვის უნდოდა საცოლედ; დააკვირდა – საქორწინო ბეჭედს არ ატარებდა (არც საყურე ჰქონდა, არც ყელსაბამი თუ მძივები – ძალიან სადა გოგო ჩანდა და ჟუჟუნას ესეც ხიბლავდა). მერე გაიგო: ლალი უკვე ოცდაათ წელს გადაცილებული ყოფილა, კარგა ხნის გათხოვილია და ორი შვილიც ჰყოლია – ორივე უკვე სკოლაში დადის...

ლალიმ სტუმარ კაცებს თხოვა, ათიოდე წუთით დაეტოვებინათ პალატა – ერთ-ერთ ავადმყოფს სამედიცინო პროცედურა უნდა ჩავუტაროთ (სინამდვილეში – სუნდოზე უნდა დაესვათ).

ძმის ბედიც აწუხებს ჟუჟუნას...

ავთო არ არის ცუდი ბიჭი (რაღა ბიჭია, ორმოც წელს უკაკუნებს), გარეგნულადაც მოსაწონია, ვაჟკაცური ხასიათიც აქვს, მაგრამ ძალიან უხეშია და პირდაპირი, დიპლომატიისა არაფერი სცხია. ცოლი ჰყავდა, ვერ აიტანა ავთოსგან უხეში მოპყრობა, თან ავთო სასმელსაც ეტანებოდა და განცილდა ქმარს. შვილი ჰყავთ, 12 წლის მშვენიერი ბიჭი. დედა არ აძლევს უფლებას ყოფილ ქმარს, იგი მონახულოს, – თვითონ ისევ გათხოვდა, ვიღაც მალაზიის გამყიდველს გაჰყვა, – უნდა, შვილს მამა გადაავიწყოს, ავთოს სკოლაშიც კი უკრძალავს შვილთან შეხვედრას. ერთხელ ამის გამო ყოფილი ცოლ-ქმარი შელაპარაკდნენ და ავთომ ძველებურად წაუთაქა ნაცოლარს; ახალი ქმარი ცოლს გამოესარჩლა და ავთომ იმასაც უთაქა, კარგად დააღილაგა – ხითხურთა, მკლავები მორგებოვით მსხვილი აქვს, ხარვივით ღონიერია. ნაცემებმა უჩივლეს, ავთო დაიჭირეს, გაასამართლეს და ორი წელი იჯდა საპატიმროში... მერე გაანთავისუფლეს, ისევ სმას მიჰყო ხელი – უფრო მოუმატა კიდევ. ოქროს ხელი აქვს, ფულიც არ აკლია, მაგრამ სულ ასე უთავბოლოდ ეხარჯება...

ამ დროს ჟუჟუნას ძმაც გამოჩნდა – საკმაოდ შეზარხოშებული. კაცებს საერთოდ რცხვენიათ ხოლმე ქალთა პალატაში შემოსვლა და ხშირად ცოტა შეჭიკჭიკებული მოდებიან. ავთოს ძალიან კარგი ხილი ეყიდა ბაზარში, თან ბლომად; ერთი უზარმაზარი საზამთროც ჰქონდა ამოღლიავებული, რომელიც პალატის შუაში მდგარ მაგიდაზე დადო – აქ ასეთი დაუწერელი წესია: ავადმყოფთათვის მნახველებისგან მოტანილი საზამთრო “საერთოა”, ყველას დაურიგდება.

გახარებულ ჟუჟუნას ისევ ცრემლები მოერია – დღეს უკვე მერამდენედ – და თითქმის მთლიანად დაარიგა ძმის მიერ მოტანილი ხილი...

1976 წლის 1 აგვისტო.

1984 წლის 22 ოქტომბერი.

2007 წლის 10 ოქტომბერი.

სენსი

1.

პირველკურსელი მედიკოსი სტუდენტი გოგონები ნატოსთან მივიდნენ სტუმრად. უკვე ტრადიციად დამკვიდრდა: ხან ერთთან იმართება წვეულება, ხან – მეორესთან (დაბადების დღე, 8 მარტი, ახალი წელი, სემესტრის ჩათაგება და სხვა, ახალგაზრდებისთვის მიზეზს რა გამოლევს!).

ამჯერად ისინი ნატო სიგუაშიღთან შეიკრიბნენ ოჯახში – ვეძისში, ორსართულიან კერძო სახლში, რომელსაც მოზრდილი ბაღიც ეკვროდა. ნატო ლამაზი ქალიშვილია, ნიჭიერიც – სულ ფრიადებს იღებს გამოცდებზე, მაგრამ ამასთანავე ჯგუფში ძირითადი “ამრევი” – კოლექტიური გაცდენების სულის ჩამდგმელი; სკოლის დროინდელ ჩვევებს ახლაც ვერ ელევა და პედაგოგებს უწყობს სხვადასხვა ოინებს, ხშირად არცთუ უწყინარებს.

ნატოს ოჯახში სტუმრები პირველად იყვნენ და გაოცებულნი დარჩნენ გაშლილი ზღაპრული სუფრით; ოჯახის მამა ვაჭრობის დარგში “ტუზია”, ეტყობოდა, რომ შემოსავალი არ აკლდა.

სუფრასთან ტრიალებდა ახალგაზრდა ლამაზი ვაჟი, ბექა – ნატოს ბიძაშვილი, გოგონებს თავს აწონებდა; უვსებდა მათ ჭიქებს – საუცხოო ღვინით, შამპანურით თუ ძვირფასი კონიაკით. ქალიშვილები ცოტ-ცოტას წრუპავდნენ, ნატო კი მხოლოდ არაყს ეტანებოდა – ვაჟკაცივით სვამდა.

როდესაც შუა ღვინში იყვნენ, ნატომ გამოაცხადა, ახლა კი სიურპრიზი მოგიმზადეთ, ფერად კინოს განახვებთო. ქალიშვილები მხიარულად აწიკვინდნენ – ჩქარა, ჩქარაო.

კედელზე გაკიდეს ზეწარი, ჩააქრეს სინათლე და ბექამ ჩართო კინოპროექტორი.

ეკრანზე გამოჩნდნენ ტიტველი ქალები და კაცები და დაიწყო სექსუალური ბაკქანალია.

გოგონები ჯერ გაოგნებულნი უყურებდნენ, მერე ერთმანეთს გადაუჩურჩულეს, მერე წამოხტნენ და გამოუმშვიდობებლად სირბილით დატოვეს ესოდენ სტუმართმოყვარე ოჯახი...

ნატო კიბუზე კისრისტეხით ჩამრბენ მეგობრებს ამოდ უმტკიცებდა, რომ პროექტორში შემთხვევით სხვა ფირი ჩადეს...

2.

მივლინებიდან დაბრუნებულ ვახტანგს შინ არავინ დახვდა. ძალიან დაღლილი იყო, ზაღაში ტახტზე გაუხდელად მიწვა დასასვენებლად და მაშინვე ტკბილად ჩაეძინა.

მეზობელ ოთახში ხმამაღალმა საუბარმა გამოადვიდა – მისი ცოლი მათა და ქალიშვილი, ისიც მათა, ბაიბურში არ იყვნენ, რომ შინ დაბრუნებულ ვახტანგს ეძინა. განსაკუთრებით ცოლის ხმა იყო გამაღიზიანებლად გამყვიანი, თითქოს ქალიშვილს სადღაც შორს მყოფს ელაპარაკებოდა.

– კარგი სუფრა ჰქონდათ? რა უყიდეთ საჩუქრად? კარგად ცხოვრობენ? სად მუშაობს ნატოს მამა? დედამისი იქ იყო? არა? მერე რა, რომ არ მოგეწონა... რა მოხდა მერე, არ უნდა წამოსულიყავი... ეგ ახალი მოდაა – მარტოდ დატოვება ახალგაზრდების? მართლა კაცივით სვამდა არაყს? სიგარეტსაც ეწევა? მოკლედ, მაგარი ვიღაცა ყოფილა... მდიდრული აგეჯი აქვთ? რა ფერის?.. სად იყიდეს, თუ იცი?..

ვახტანგს ნერგებს უშლიდა ცოლის კითხვების ნიაღვარი, რომელსაც ბოლო არ უჩანდა; რამდენჯერმე დააპირა, რეპლიკის სროლა, მოასვენე ბავში და მეც მომასვენეო, მაგრამ თავი შეიკავა. უხაროდა, რომ მისი ქალიშვილი არ დაემსგავსა დედას – არც ენაჭარტალაა და არც ქეიფებსა და დროსტარებაზე მიუღის გული... ხანდახან ეშინოდა კიდევ, ჩემი ქალიშვილი არ დაინაგროსო; შემდეგ ცხოვრებაზე გული არ გაუტყდეს, როცა მის ჩრდილოვან და ბნელ მხარეებს გაიცნობსო.

როცა დედა-შვილი შევიდნენ ხალაში, ვახტანგმა თავი მოიმიწინარა...

1984 წლის 16 მარტი.
2007 წლის 19 ოქტომბერი.

სტუმარი

ქეთინო შუახნის, გაუთხოვარი ქალია, თან ამპარტავანი, არასდროს რომ არავის არაფერს დაუთმობს, ქვიდან რომ წვეწვს გამოადენს; ამავე დროს – მშიშარა, წინდახედული, ქვეშქვეშა...

მისი ხასიათის დამახასიათებელი შტრიხისთვის ერთი პატარა ამბავი...

ერთხელ მივლინებაში წავიდა, თან წაიყვანა ახალგაზრდა ბიჭი – კეთილი, მიამიტი და თავაზიანი ახალგაზრდა, ბონდო...

თუ მიხვდებით, რატომ?

იქ, რაიონში, იმ დაწესებულებაში, სადაც მივლინებით მიდიოდა, (ბოდიში!) ფეხსაღაგი ღია ადგილას იყო, საკმაოდ ციოდა და ქეთინო პალტოს დააკავებინებდა, სანამ თვითონ მოისაქმებდა...

ერთხელ კი თვით მოურიდებელ ქეთინოსაც მოუწია უხერხულობის მდგომარეობის განცდა...

მისმა მეგობარმა, ჭორაობის მოყვარულმა ლალიმ, შესთავაზა:

– რა ხანია, ერთად არ გვიჭუჭუკუკია; წამო ჩემთან, ვივასშმოთ, ღამეც ჩემთან დარჩი, ქმარი მივლინებით არის წასული!

მართლაც, დასხდნენ, იმუსაიფეს, ათასი რამ მოიგონეს, მერე ივასშმეს, ტელევიზორსაც უყურეს, მერე დაწვეწვენ დასაძინებლად – უკვე საკმაოდ გვიან.

შუაღამისას – ბრახ. ბრახ, ბრახ!!! – ვიღაცა გამეტებით ურტყამდა კარს, კინაღამ შემოანგრია.

– რომელი ხარ? – შეშინებულმა იკითხა ლალიმ.

– მინაგო ვარ, დროზე გააღე კარი, გავიყინე!

ლალის ქმარი, მინაგო, დროზე ადრე მოულოდნელად დაბრუნებულა!

ლალი წამოხტა და კარი გაუღო.

მინაგომ ვახშამზე უარი თქვა, ძალიან დაღლილი ვარ და დაძინებას არაფერი მირჩევენიაო.

რადღა უნდა ქნან? საწოლი ორია მხოლოდ...

ერთზე მინაგო დაწვა, მეორეზე – ორივე ქალი, თავშექცევით.

არ გასულა ნახევარი საათი და ლალიმ წამოყო თავი – დააკვირდა, ქეთინოს სძინავს თუ არაო, მერე ჩუმად წამოდგა, გადაძვრა ქმრის საწოლში.

ქმარმა ჩხუბი დაუწყო, ჩურჩულით, რასაკვირველია:

– შენს საწოლში დაბრუნდი, სირცხვილია, ქალო!

ლალი ძალით უწევებოდა:

– ქეთინოს ძინავს...

– წადი აქედან, დამაძინე გემრიელად!

– გეხვეწები რა, შენს ფეხებთან დავწვები, შემცივდა!

მინაგო გაბრაზდა, უკვე ლამის წიხლს უშენდა:

– მომწყდი თავიდან, სირცხვილი სულ დაკარგე?!

ვერაფერი გააწყო ცოლის სიჯიუტესთან, ლალი მაინც შეუძვრა საწოლში...

საწყაღმა ქეთინომ მთელი ღამე გვედარ დაიძინა...

1986 წლის 19 ივნისი.

ზრდილობა სად დაკარგე?

მესამე კლასის კარი სამი წუთის დაგვიანებით შეაღო მერაბ ღუტუშაურმა, კოხტად, სუფთად ჩაცმულმა – ეტყობა, კარგი ოჯახის შვილმა. დარცხვენილი იყო და ალბათ საღმის თქმაც ამიტომ დაავიწყდა, კართან აიტუზა.

რუსიკო მასწავლებელი გაუწერა:

– ასე უნდა კლასში შემოსვლა? ზრდილობა სად დაკარგე? გადი და ისევ შემოდი, ისე, როგორც შენი მამა შემოდის ოჯახში!

მერაბი უხმოდ გატრიალდა და კარი გაიხურა.

ერთი წუთის შემდეგ ძლიერი წიხლის კვრით კარი ზათქით გაიღო და შემოვიდა კი არა, შემობარბაცდა მერაბ ღუტუშაური – თმაგაჩნეილი, საყველო შემოდღეუბილი, შარვაღჩაჩაჩული...

უაზროდ მიმოატარა მზერა კლასზე და ხრინწიანი ხმით ხმამაღლა იკითხა:

– არ მელოდით, ხომ?! ვერ მიცანით, ხომ?!.

1987 წლის 9 იანვარი.

გესაღმებით, ფეხბურთის მოყვარულებო!

...ძვირფასო ფეხბურთის მოყვარულებო! როგორც მოგახსენეთ, მიმდინარეობს ჩვენი პირდაპირი რეპორტაჟი საფეხბურთო შეხვედრის მეორე ნახევრისა და იმედს გამოვთქვამთ, რომ ეს ტაიმი უფრო საინტერესო იქნება და საბოლოო ჯამში თამაში სავსებით გაამართლებს მასზე დამყარებულ იმედებს. ჩვენი “ტრაქტორის” მოთამაშეებს ადვილად გამოარჩევთ ჭადარდიდის “კომბაინის” მოთამაშეთაგან – მათ ბევრად გრძელი ნიფხვები აცვიათ და, ამას გარდა, მათ გუნდში ერთი მელოტი გამოვიდა; ეს განხლავთ ჭიჭიკო გაჭეჭილაძე, რომელიც თამაშობს მესამე ნომრიანი მაისურით. თუმცა არა, იგი უკვე შეცვალა ჭოლა ჭიჭეიშვილმა, რომელსაც ულვაშები ამშვენებს და გამელოტებას იწყებს; ამრიგად, მოკლე ხანში “ტრაქტორის” რიგებს ორი მელოტი მოთამაშე დაამშვენებს. მოვინიშნოთ: ეს შეცვლა მოხდა თამაშის დაწყებიდან ორმოცდამეჩვიდმეტე წუთზე. სხვათა შორის, ამჟამად “კომბაინის” გუნდში, “ტრაქტორისგან” განსხვავებით, სამი ულვაშიანი თამაშობს, ხოლო ერთი წვერულვაშისადაც განხლავთ. გაგახსენებთ: ზუსტად ორი თვის და ცამეტი დღის წინ ჭოლა ჭიჭეიშვილი ასევე შეცვალა შემოვიდა, ოღონდ მაშინ მან მეოთხე ნომრად მოთამაშე მევლუდ მელოტაურის ნაცვლად ითამაშა და ეს მოხდა არა ორმოცდამეჩვიდმეტე წუთზე, როგორც დღეს, არამედ თამაშის დაწყებიდან ზუსტად ორმოცდამეცამეტე წუთზე; ასე რომ, ადვილად მიხვდებით, რომ ეს მოვლენა მოხდა მეორე ტაიმის დასაწყისში. საინტერესოა იმის აღნიშვნაც, რომ ორივე გუნდის დღევანდელ შემადგენლობაში ოთხ მოთამაშეს თავი გადააპარსული აქვს და არ უნდა აგურიოთ მელოტებში; აქედან სამი მოთამაშე “ტრაქტორის” ღირსებას იცავს, ერთი კი – “კომბაინისა”, ამ მხრივ აშკარა უპირატესობა, როგორც ვხედავთ, “ტრაქტორის” მხარესაა და მის ლიდერობას საფრთხე არ ემუქრება. სამაგიეროდ, “კომბაინის” გუნდს ამშვენებს ოცდაცამეტი წლის ფეხბურთელი ვეფხო კნუტაძე, რომელიც უკვე თხუთმეტი წელია, რაც უმაღლეს ლიგაში თამაშობს და უკვე ათი კლუბის მაისურის გამოცვლა მოასწრო, ამ მხრივ მართლაც ჩემპიონია... დიახ, კარგია წარსულის გახსენება, მაგრამ უკეთესია, ჩვენ თვალი მივადევნოთ დღევანდელი დაძაბული, თუმცა ჯერ უშედეგო მარის მსვლელობას. ახლა, როგორც ვხედავ, “ტრაქტორის” მოთამაშეს შესაძლებლობა ეძლევა, აუტიდან მოაწოდოს ბურთი მოედნის საკუთარი ნახევრიდან. ამას გააკეთებს მეოთხე ნომერი ლევან ჭინჭილეიშვილი. ეს დიდი წარმატებაა, მეგობრებო! სტატისტიკის მოყვარულთათვის: ეს ხდება თამაშის დაწყებიდან მესამე წუთზე. თუმცა, ბოდიშს ვიხდი, ჭინჭილეიშვილმა გადაიფიქრა და ბურთი დაუტოვა შალა შითანავას, ამ უკანასკნელმა კი ბურთი მეკარეს მიაწოდა... უნდა დავაზუსტო, რომ შილა შითანავა რამდენიმე წუთის წინათ გამოუცვლიათ და მეკარეს ბურთი მიაწოდა არა მან, რასაც იგი ვერ შეძლებდა, რადგან, როგორც მოგახსენეთ, რამდენიმე წუთის წინათ მოედანი დასტოვა, არამედ მესუთე ნომერმა ბალათურ ბულაშვილმა. ბოდიშს ვიხდი, მეგობრებო, ამ უნებლიე შეცდომის გამო, კარგად ვერ გავარჩიე მოთამაშის ნომერი მაისურზე – გუშინ ქალაქში წვიმდა და, ეტყობა, მინდორი ვერ გაშრა წესიერად, წაქცევისას ეთხვრებათ ტანსაცმელი და ზოგჯერ ვერც კი გაარჩევ, ვინ რომელი გუნდის მოთამაშეა... ახლა მეათე ნომერი ჯიმშერ ჯამიაშვილი აწვდის მორიგ კუთხურს... სტატისტიკის მოყვარულთათვის: ეს მეშვიდე კუთხური დაინიშნა სამოცდამესამე წუთზე; უნდა აღვნიშნო, რომ ეს კუთხური მარცხენა კუთხიდან დაინიშნა. ამრიგად, სამი კუთხური მარცხნიდან იქნა მოწოდებული და, შესაბამისად, ოთხი – მარჯვენა მხრიდან ანუ გამოდის, რომ 3/4 მარცხენა მხრიდან ჩაწოდებულ კუთხურ ჩაწოდებაზე მოდის, 4/7 კი – მარჯვენა მხრიდან ჩაწოდებულზე. ვნახოთ, იქნებ ამ ჩაწოდებამ წარმატება მოუტანოს ჩვენს საყვარელ გუნდს... ჩამოაწოდა... თავური დარტყმა – არის! არის, ძვირფასო ტელემყურებლებო! ერთით ნოლი “ტრაქტორის” სასარგებლოდ! დიდებული დასაწყისია!.. მაგრამ ეს რა ხდება?.. როგორც ჩანს, მსაჯმა წესების დარღვევა დააფიქსირა – მეკარეზე თავდასხმა მეკარის მოედანზე... საწყენია... ახლა ბურთი ტრიალებს მოედნის ცენტრში... მორიგი ჯარიმა! ეს ხდება თამაშის მიწურულს, საჭიროა მთელი ძალების დაძაბვა ამ გადაწყვეტ მომენტში... ჯარიმას ურტყამს მეშვიდე ნომერი ბადი რიჩიაშვილი, თუმცა არა, მან გადაიფიქრა და ბურთი დაუთმო მეოთხე ნომრით მოთამაშე ტიკო ტელორაშვილს, რომელიც ძლიერად აწვდის ბურთს

მარცხენა ფრთაზე, მაგრამ დარტყმა მეტისმეტად ძლიერი გამოუვიდა, გადაუფრინა ყველას და ყველაფერს და ტრიბუნებზე მყოფი მრავალრიცხოვანი მაყურებელი გაახალისა. სტატისტიკის მოყვარულთათვის: ტიკო ტეილორაშვილს 48 ნომერი ფეხსაცმელი სჭირდება და მისთვის შესაფერისი ზომის ბუცების შოვნა დიდი პრობლემაა, ამისთვის საგანგებო ღონისძიებებია ჩასატარებელი – შეკვეთით ინგლისში უმზადებენ და, მეგობრებო, არც არის გასაკვირი, რომ ასეთი ძლიერი დარტყმა აქვს. ჩვენ ამ საინტერესო ინფორმაციის მოწოდებით გავერთეთ და ამასობაში “ტრაქტორს” გოლიც გაუტანია... ეს ბარნაბა ბაბუღაძეს მოუხერხებია, ყოჩაღ! მოვინიშნოთ: თამაშის დაწყებიდან გასულია ოთხმოცდასამი წუთი და ჩვიდმეტი წამი, გოლიც მეჩვიდმეტე ნომრის ანგარიშზეა, საკვირველი არ არის? გაგახსენებთ: ბარნაბა ბაბუღაძემ გასულ სეზონში ამავე გუნდების შეხვედრისას ასევე გოლით აღნიშნა მისი მონაწილეობა მაჩში, ოღონდ თამაშის დაწყებიდან სულ სამი წუთი იყო გასული... სასიამოვნოა, რომ ამჯერადც იმარჯვა და გაგახარა! ბოდიში, როგორც ჩემი კოლეგა აზუსტებს, გოლი გოლა ძიბილაურს გაუტანია და წინ გასულა “კომბანი” და არა “ტრაქტორი”... ალბათ, მაპატიებთ უნებლიე შეცდომას, მოთამაშეები ისე ამოთხვრილნი არიან, რომ ალბათ უფრო ახლოდანაც გაჭირდებოდა მათი ცნობა... კიდევ და კიდევ ბოდიშს ვიხდი და ახლავ დაგაზუსტებ, რომელმა გუნდმა იმარჯვა... როგორც სანდო წყაროდან მაცნობეს და ტაბლოდანაც კარგად ჩანს, ანგარიშია ნოლით ერთი ჩვენი დღევანდელი სტუმრების სასარგებლოდ; თამაშის დამთავრებას თითქმის აღარაფერი უკლია და ალბათ “კომბანი” შეძლებს მომგებიანი ქულების ჩვენთვის წართმევას... არადა, რა კარგად თამაშობდა “ტრაქტორი”, მიუხედავად შეუფერებელი პირობებისა... რა დასამაძლია და მსაჯიც ვერ იდგა სათანადო სიმაღლეზე. თუმცა, არის დარჩენილი დამატებული სამი წუთი და... არა, პატივცემულმა მსაჯმა ჩაჰბერა სასტვენს და მაჩი დამთავრებულად ჩათვალია... ნამუსიც კარგი საქონელია! რაღას ვიზამთ, ისღა დაგვგრჩენია, რომ შემდგომ შეხვედრებში უკეთესი მსაჯობის იმედით დაგვემშვიდობოთ! თამაში მიჰყავდა... ბოდიში, რეპორტაჟი მიჰყავდა დიდძალ დიდტვინაძეს. მომავალ შეხვედრამდე ეთერში, მეგობრებო!

1999 წლის 10 სექტემბერი.
2007 წლის 5 ოქტომბერი.

ერთდროული თამაშის სეანსი
სალადობო მოთხრობა

აუჰ, რა დროა მას შემდეგ გასული!

მეოთხედი საუკუნის წინათ დამებადა უცნაური ჩანაფიქრი: ერთი და იგივე თემა დამემუშავებინა სხვადასხვაგვარად – დამეწერა რამდენიმე ნოველა-ვარიაცია განსხვავებული ქარისა თუ სტილისა, სახელდობრ: კომედიური, გრაგელიური, დრამატული, კარიკატურული (ბურლესკა), ფარსული, საგირული, დეტექტიური, ლირიკული, სანტიმენტური, მლაპარაკო-ნოველა, ფანტაზიური, ეგზოტიკული...

მაშინ და შემდეგაც კარგა ხანს ვერ მოვიცალე, რათა ამ თემას ჩავჯდომოდი. ახლა, 2007 წლის მიწურულს, იმ ძველი ჩანაფიქრის ხორცშესხმის დრო და რიგიც მოვიდა, მაგრამ ჯერჯერობით მხოლოდ ერთი მოთხრობის შექმნას მოვახერხებ – სამაგიეროდ, მრავალნაირი ამბავი იქნება მასში: კომედიურიც, საგირულიც, ფარსულიც, დეტექტიურიც...

ჩემო მკითხველო, ბედმეგი ლაქლაქით თავი რომ არ შეგაწყინო, დროა, საქმეს მივხედო.

* * *

გოჭოლოგის სამეცნიერო-საკვლევ, საცდელ და საპროექტო-საკონსტრუქტორო სანიმუშო-საჩვენებელ ინსტიტუტში გოჭოლოგის ინტერესების საღარაჯოზე ფხიზლად და მკაცრად იცავდნენ საწარმოო და საზოგადოებრივ დისციპლინას – ყოველმხრივ, ყოველთვის და ყოველ სამუშაო ადგილზე; ამიტომ თავიდანვე გადაჭრით უარყვეს წინადადება, რომ მოწვეულ საერთაშორისო დიდოსტატთან, აბრია აბრამოვიჩაშვილთან, ჭადრაკის ერთდროული თამაშის სეანსი 12 დაფაზე ჩატარებულიყო შუადღეზე, შესვენების დროს. ცხადზე უცხადესი გახლდათ: შუადღის შესვენებისთვის გამოყოფილი ერთი საათი – 13 საათიდან 14 საათამდე – სრულიად არასაკმარისი იყო და მხოლოდ ჭადრაკში, ამ უბრძნეს და უძველეს თამაშში, აბსოლუტურად ჩაუხედავი პიროვნება წამოაყენებდა ასეთ ყოველად აბსურდულ და საღი აზრისთვის სრულიად მიუღებელ წინადადებას.

ამ საკითხის განხილვისას, აგრეთვე შეჯიბრში მონაწილეობის მსურველთა მეტისმეტად დიდი რაოდენობისა და კონკურენტთა გაფიცების გამო ატეხილი აყალმაყალისა და ჩხუბის შედეგად, ჯერ იძულებულნი გახდნენ, სასწრაფო დახმარების მანქანა გამოეძახათ ორი გატეხილი თავისა და სამი გულწასული ქალბატონის გამო, შემდგომ კი ბრძნულად დაადგინეს, რომ ბევრად ჯობდა, საბ-

რძოლო სულისკვეთება დიდოსტატთან შეჯიბრისთვის შემოენახათ და ჭიდილი გადაეტანათ საჭადრაკო დაფებზე; აგრეთვე, უპრიანი იქნებოდა, ჭადრაკში ერთდროული თამაშის სეანსი გამართულიყო მოწვეულ დიდოსტატთან დათქმულ დღეს, ოღონდ სამუშაო დღის დამთავრების შემდეგ...

ღირეპტორი ამ დარგში ფრიად საჭირო და წამყვანი ინსტიტუტისა გახლავთ რადიშა ძაღლიწო-რაშიელი – ყოველგვარ წვრილმან-მსხვილმანს აუცილებლად მას უთანხმებენ, ვითარცა ინსტიტუტის აღიარებულ თავგაცსა და ყველა საკითხში ყველაზე ავტორიტეტულ პიროვნებას. ბრტყელი პირისახე ნიჩაბს მიუგავს – ტანის მაგივრად რომ შესაბამისი ჯიშის ხის ტარი გაუკეთო, ძალიან კარგი მოსახმარი იქნებოდა, მაგალითად, ინსტიტუტის საგოჭეებიდან სკორეს გამოსატანად, ოღონდ, რა თქმა უნდა, წინდაწინ სათვალეა მოსახსნელი. სათვალეს არასდროს იცილებს, ალბათ მიაჩნია, რომ სათვალით უფრო სოლიდური იერი აქვს და თანამშრომლებს ასე მსჭვალავს ცივი, მსუსხავი მზე-რით... არც გადიმებას კადრულობს, სიცილზე ხომ ზედმეტია ლაპარაკი – ნაღდი გაუცინარი ხელ-მწიფეა! ოღონდ ერთი განახათ, როგორი დათაფლული ღიმილით ხვდება ხოლმე მოსკოვიდან ჩამოსულ სამინისტროს “ხელმძღვანელ ამხანაგებს!” შემდგომ რესტორანში დაპატიუბულებს ხომ მზად არის, ფეხქვეშ საწმენდ ჩვრად გაეფინოს – ბატონ რადიშას ვეღარ იცნობთ!

ფუი ეშმაკს, ამჯერადაც სადღაც გაეუხვიე, ალბათ ჯობს, ისევე ამბავს მიეხედო.

ღიან, გაზაფხულის ერთ საღამოს, სამუშაო დროის დამთავრების შემდეგ, ინსტიტუტის სააქტო დარბაზში შეიკრიბნენ ჭადრაკის ტრფიალნი, აგრეთვე – სეირის მოყვარულნიც, როგორც წესი და რიგია.

დიდოსტატს, აბრია აბრამოვიჩაშივილს, მქუხარე ტაშით შეხვდნენ, მართვებს ყვაილები და საჩუქრები, მათ შორის – ჭადრაკის სათამაშო კომპლექტი, რომელიც საგანგებოდ იყიდეს საკომისიო მაღაზიაში. ჭადრაკის კომპლექტი სუვენირის ყადისა იყო: რაღაც უცხოფიგურებიანი უნიკალური ნაკეთობა. ასეთი უცნაური ჭადრაკი ჯერ არ ენახათ და დიდხანს ათვალეირებდნენ. მეფის ფიგურა მეფეს კი ჰგავდა, ლაზიერიც დედოფლის შესაფერისად იყო ჩაცმული, მაგრამ რაღაც უცნაურად – ზოგმა თქვა ინდურად არიან შემოსილნიო, ზოგმა – ჩინურადო; მხედრის ფიგურა გამოსახავდა ყალყზე დამდგარ ცხენზე ამხედრებულ მხედარს, კუ – წაწვეტებულჩაქანინან, ფარ-შუბით აღჭურვილ მეომარს, რომელსაც ცალი ხელი თვალვებთან მიუტანია და შორეთს ზვერავს, ეტლი – ხალიჩა-გადაფარებულ, მდიდრულად მორთულ-მოკაზმულ სპილოს ზედ ამხედრებული მეომრით, ხოლო პაიკი – ფეხოსან მებრძოლს, რომელიც ცალ მუხლზე დამდგარა, მშვილდი მოუზიდავს და საცაა ისარს სტყორცნის მტერს. ეჭვი მაქვს, რომ ფიგურები ნაღდი სპილოს ძვლის ნაკეთობა არ იქნებოდა, მაგრამ თუ იმიტაცია იყო ამისა, ნამდვილად მაგარი გაკეთებული... ბევრი რომ აღარ გავაგრძელო, დიდებული რამ იყო!

სახელგანთქმული დიდოსტატი აბრია აბრამოვიჩაშივილი ამჟამად გახლდათ 55 წლის – წითურქორიანი, საკმაოდ ჩაპუტკუნებული; ძალიან დინჯი, თავდაჭერილი, ერთგვარად ფლეგმატურიც კი – თითქოს ძინავსო; ბუბუნა ბანით ჰყვება: სად რა მოიგო, რომელ ტურნირში რა იადლიში დაემართა, დამსწრეთ უზიარებს საჭადრაკო სამყაროს უახლეს ამბებს... გაიხსენა საინტერესო მაჩები კოლეგებთან, დიდი საერთაშორისო მაჩ-ტურნირები, მოჰყვა ჭორები სპასკისა და კორჩნის შესახებ, დაუმატა რამდენიმე საჭადრაკო ანეკდოტიც; შემდეგ მომავალი მსოფლიო ჩემპიონობის შესარჩევი მაჩების საკუთარი პროგნოზებიც გააცნო დამსწრე საზოგადოებას, უპასუხა მრავალრიცხოვან კითხვებს ბობი ფიშერის და ახალი ვარსკვლავის – გარი კასპაროვის შესახებ... აცინებს ხალხს, თვითონ სერიოზულია, არც კი გაიღიმებს, მხოლოდ დროდადრო თვალვებს ირონიულად ჭუტავს...

აი, ყველა ანეკდოტი მოყოლილია, ყველა კითხვას ამომწურავი პასუხი გაეცა...

ისმის ღონისძიების განკარგულებლისა და, იმავდროულად, შეჯიბრების მსაჯის, ინსტიტუტის ღირეპტორის მოადგილის სამეურნეო დარგში ტატო ნიფხვიტოტაძის ბანის გრგვინვა:

– ახლა სასწრაფოდ გავათავისუფლოთ დარბაზი სკამებისგან!.. ჩავამწკრივოთ მიტყუპებული ოთხი მაგიდა სეანსში მონაწილე ბედნიერთათვის!.. განაღვთე ჭადრაკის დაფები!.. მაესტროსთვის “ბორჯომის” ბოთლი და ჭიქა აქ, ცალკე მაგიდაზე დადგით!.. დავამთავროთ, დავამთავროთ სკამების ხრიგინი!.. დროულად დასხედით ყველანი – მონაწილენიცა და მაყურებელ-გულშემატკივარნიც... აბა, სიჩუმე იყოს, აბსოლუტური სიჩუმე: ჭადრაკის დაფა ბრძოლის ველი კი გახლავთ, მაგრამ აქ ყოფილად დაუშვებელია ოდნავი ჩქამიც კი!.. მოთამაშეთ ყურადღებას ნუ გავუფანტავთ, ხელს ნუ შეგუშლით!.. ჩურჩულ-ფურჩუნსაც მოუკვდა პატრონი – დაუყონებელიც გავაძევებ დარბაზიდან წესრიგის დამრღვევს!.. კვარტალურ პრემიასაც გამოემშვიდობება, ღიანს!.. სიმყურდოვე, სიჩუმე, სიმშვიდე!..

სიმშვიდე ბოლომდე მიანც ვერ დამყარდა, რადგან თანამშრომელთა მნიშვნელოვანი ნაწილი უკმაყოფილო იყო ერთდროულ სეანსში დიდოსტატის მოწინააღმდეგე მოთამაშეთა შერჩევით და სამართლიანადაც – სულ ღირეპტორის “კუდის ამწეები”, ლაბორატორიათა ხელმძღვანელები იყვნენ პირადად ღირეპტორის მიერ დანიშნულნი.

დანომრილ ადგილებს ერთი მხრიდან მიუსხდნენ თამაშში მონაწილენი; მეორე მხარეს კი კედელთან შეჯგუფდნენ ინსტიტუტის სხვა თანამშრომლები და მათი საგანგებოდ მოსული ოჯახთა წევრები – ჭადრაკში 12 დაფაზე ერთდროული სეანსის მაცურებელი და გულშემატკივარი.

– აბა, ყველანი მზადა ხართ?.. – დარბაზს მზერა მოავლო ტატო ნიფსვიტოტაშვილმა. – მაესტრო, შეგვიძლია, დავიწყოთ?

გრძელ მაგიდას უსხედან:

I დაფა: რა თქმა უნდა, ზრდილობა მავალდებულებს, რომ უპირველესად წარმოვადგინო კეკელო კეკელუცაშვილი! პატივი სცეს სეანსში მონაწილე ერთადერთ მანდილოსანს, ახალშობილ გოჭთა თერაპიისა და აღზრდის ლაბორატორიის წამყვან მეცნიერ მუშაკს და პირველ დაფაზე თამაშში არგუნეს; დიდოსტატმა სეანსორმაც ანგარიში გაუწია მის სქესს და ყოველგვარი წესების დარღვევით თეთრი ფიგურები დაუთმო!

II დაფა: 85 წლის ვანუა მურაბაშვილი – ინსტიტუტის ეკონომისტი, ბერბიჭა, მისი მოსაწონი ქალი რომ ვერაფრით მოიძებნა. მელოტი თავი მწიფე ნესვს მიუგავს – წაგრძელებული კი არა, აი, მრგვალი ნესვები რომ არის, მბრწყინავი, მოყვითალო-რუხი, სწორედ იმგვარი; ბეჭებში საკმაოდ მოხრილია და ისეთი გამხდარი, რომ იფიქრებ, ნეტა სული რაში უდგასო... სამსახურში ერთ წამს ვერ ნახავ უსაქმოდ: მთელი დღე კუთხეში თავის მაგიდასთან ზის და ფუტკარივით ფუსფუსებს: ძალიან დახრილი, მიუხედავად ძლიერი სათვალისა, ქაღალდებზე თითქმის ცხვირმიდებული, სულ წერს, წერს, თან საანგარიშოს კოჭებს არხაკუნებს, არხაკუნებს... (ელექტრული საანგარიშო შეუძინეს, მაგრამ ვერ შეეგუა, ისევ ძველებურად მუშაობა ურჩევნია). შესვენების დროსაც კი არ წამოდგება სკამიდან, იქვე ხუთიოდ წუთში მშრალად მეცუცქნის შინიდან წამოდებული ბუტყერბოცის, თან ცალი თვალთა შინც ქაღალდებისკენ გაურბის, და ისევ საქმეს მიუბრუნდება. ვანუას შესახებ ქირქილებენ, რომ სამსახურში მხოლოდ ეგ და ლიფტი მუშაობენ (თუმცა ლიფტი ზოგჯერ გაფუჭდება ხოლმე), – დანარჩენები მხოლოდ პენსიას იღებენ. დილას ყველაზე ადრე მოდის სამსახურში, საღამოს ყველაზე გვიან მიდის. არავის უნახავს, რომ მას შესვენებისას გაზეთი წაეკითხოს ან ჭადრაკი ეთამაშოს, ან დერეფანში იდგეს სიგარეტის მწვევლებთან და რაიმეზე, თუნდაც ფეხბურთზე ან ქაღალდებზე საუბარში ჩართულიყოს, ან ანეგალოტი მოეყოლოს... თუმცა, არც ის უნახავს ვინმეს, რომ მისი ნაღვაწი ვინმეს დასჭირებოდეს და გამოეყენებინოს...

III დაფა: ბარნაბ ბაბულაძე – სამ თვემდე ასაკის გოჭების ზომა-წონაში მატების დინამიკაზე კვების რაციონისა და სხვა ფაქტორების გავლენის შემსწავლელი ლაბორატორიის გამგე; ზორბა კაცია, თან ცხარე ხასიათის, ვერავინ გაუბედა, უარი ეთქვა მისთვის, ვერ გათამაშებო, ძალიან სუსტი მოთამაშე ბრძანდებითო. არადა, თავი მოიკლა, ჩემი განყოფილებიდან სხვას ვერავის ვენდობიო – ეშინოდა, რომელიმე ჩემმა ხელქვეითმა რომ წარმატებას მიაღწიოს, ჩემს სახელს ჩრდილი მიაღებო, იფიქრებენ: ბარნაბას შეეშინდა პაექრობაში ჩაბმა, იმან კი როგორ იმარჯვაო.

IV დაფა: ჭაბუკა გოჭანჭაური – გოჭთა ჭყვირილის აკუსტიკური პარამეტრების გამოკვლევისა და ხმოვანი სპექტრის მიხედვით ინდენტიფიკაციის ჯგუფის ხელმძღვანელი. აქამდე არავინ იცოდა, თუ საერთოდ ჭადრაკის თამაშში იცოდა! კოხტად არის გამოწყობილი, პეპელა-ჰალსტუხი უკეთია მანტროსავით – ხუმრობა ხომ არ არის, კონსერვატორია აქვს დამთავრებული! უბედურად ჯიუტი მოპაექრე გახლავთ – ყველაფერზე კამათი უყვარს, თანაც მეტისმეტი თავდაჯერებით სწორედ ისეთ საკითხებზე, რომელზედაც წარმოდგენა არ აქვს. ბრეკიაა, ჰგონია, რომ მინისტრადაც ივარგებს, არადა, პატარა, ელემენტარული დავალების შესრულების დროსაც აუცილებლად რამეს აურევს. უყვარს კარგი ჭამა-სმა, ოცნებობს თანამდებობაზე და დიდ კაბინეტზე; უნდა დისერტაციის დაცვაც, მაგრამ თითის განძრევა ეზარება, მაგის თავი არ აქვს. ჯერჯერობით მაგარი წელის იმედადაა – ფულიანი სიმამრი შეხვდა!

V დაფა: აგაბო განაბოშვილი – ინდაურის ინტელექტისა და სივრცეში ორიენტაციის განყოფილების უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი. რა უნდა საერთოდ ამ განყოფილებას გოჭოლოგის ინსტიტუტში? არც ის იცის ვინმემ, რას აკეთებენ მისი თანამშრომლები... საიდუმლოდ გეტყვით, რომ პარტიის ცეკაში ბიძაშვილი პყავს – საორგანიზაციო-საკადრო განყოფილების გამგის შოფერი! და იმან “ჩაუწყო” საქმე – შტატი “გაუმანსა” ლაბორატორიაში. რატომღაც მარად უკმაყოფილო სახე ამშვენებს, ინდაურივით გაბღენძილია... უწყინარი მეტსახელი აქვს – “პატიოსანი კაცი”: სულ თავის პატიოსნებაზე და დაჩაგრულობაზე ლაპარაკობს, სულ დასტირის თავის ბედს, არადა ორჯერ იყო საზღვარგარეთ, ყოველთვის საკუთარი მანქანით დადიოდა და დადის, შვილები მოსკოვში სწავლობენ... სულ წუწუნებს, რომ ძალიან ბევრი სამუშაო აქვს, არავინ ეხმარება, მთელი სამსახურის საქმეს მას აჰკიდებენ ხოლმე...

VI დაფა: ჭიჭიკო ჭიჭიტურაშვილი – შესაწავი გოჭების კომპლექსური პარამეტრების საკვლევი ჯგუფის უფროსი: ლოყებლაჟღაჟაა, ეტყობა, ხშირად ატარებს პრაქტიკულ ექსპერიმენტებს და წარმატებითაც. ხნიერია, მაგრამ ცქვიტი – დირექტორის “ხელზე მოსამსახურე ბიჭი” გახლავთ: გავარდება, მოიტანს მისთვის თვითმფრინავის ბილეთს, გაეგზავნება ვინმესთან რაღაც დავალებით, დაჰ-

ყვება უფროსს სანადიროდ და, რა თქმა უნდა, წინასწარ ბაზარში ყიდულობს სანოვაგეს და ღვინო-არაყს ბუნების წიაღში დროის გასატარებლად... ბოროტი ენები იმასაც ამბობენ, რომ ბატონი ჭიჭე-ტურაშვილი ნადირობისას დიდი გულმოდგინებით და საკმაო წარმატებითაც ბატონ ღირეკტორის-თვის მეძებარი ძაღლის მოვალეობასაც ასრულებს და ზურგს უკან “ჭიჭეძალდაშვილდაც” მოიხსენიებენ.

VII დაფა: ბაქარ ბაქიბუქაური – გოჭის შეწვის დროს ხრაშუნა ქერკის სტრუქტურის წარმომქმნელი პროცესების საკვლევი პრობლემური ლაბორატორიის გამგე: ჩია, მოძრავი. წინათ არაყის შემწნევა მისთვის პატივმოყვარეობა, ახლა კი ერთ ამბავშია: ერთდროული სეანსის დაწყებამდე სულ კითხულობდა: “ტელევიზიიდან არაყინ იქნება? გაზეთების რედაქციებში ხომ დარეკეთ?” – სამეცნიერო პუბლიკაციებით სახელის მოხევეთ არ კმაყოფილდება და ახლა იმედი აქვს, რომ მისი სახელი გაზეთების ფურცლებზე მოხვდება ან ტელევიზიით გადაცემაში გაბრწყინდება...

VIII დაფა: პაატა პატატინაშვილი – გოჭის კულის დახვევის მიმართულების და ინტენსივობის გენეტიკური განპირობებულობის საკვლევი სექტორის უფროსი: მარად დაბლვერილი. მსუქანია, ვითომ დიეტას იცავს და შუადღეს მხოლოდ ერთ ჭიქა მაწონს მიერთმევეს ხოლმე, მაგრამ ახლა კი ენერჯის მოსამატებლად ჩუმჩუმად რაღაცას ილუკმება. თვალები დაწითლებული აქვს – მთელი დამე კაპაბლანკას ჭადრაკის სახელმძღვანელოს სწავლობდა. ახლაც ის სახელმძღვანელო დიდ პორტფელში უდევს, რომელიც ფეხებზეა აქვს ჩადგმული. სერიოზული კაცია, ამ პორტფელს არსად იცილებს, ეშინია, ჩემი ძვირფასი იდეები არაყინ მომპაროსო და სულ თან ატარებს. ვგონებ, ის და პორტფელი ერთად დაიბადნენ, როგორც ტყუპები; ცალ-ცალკე ისინი არაყის უნახავს, სამსახურში ფეხსაღაგშიც არ იცილებს და ამბობენ, ლოგინშიც პორტფელჩახსუტებულ იძინებსო... ზოგს მიაჩნდა, თითქოს პორტფელი ცოლის ოქროსფერობით ჰქონდა სავსე, მერე კი კოლექტივის უმრავლესობაში ის აზრი გამოიკვეთა, რომ პორტფელი შარშანწინისწინდელი გაზეთებითაა გატენილი-გამომბერილი; მაგრამ ეს თეორიული მოსაზრება პრაქტიკულად ვერაყინ და ვერაფრით შეამოწმა, რადგან ის პაწია გასადებით ჩაკეტილი პორტფელი გახსნილი არაყის უნახავს... დაცინვით “პროფესორას” უწოდებენ, თუმცა მართლაც მეცნიერებათა დოქტორია, მაგრამ, როგორც ზოგიერთები ამტკიცებენ, უკანასკნელად წიგნი ამ ოცი წლის წინათ წაიკითხა; გაზეთებშიც კი მხოლოდ სპორტულ ინფორმაციას ეცნობა. დილაობით უყვარს ორსაათიანი ლაყაფი წინა დღეს ჩატარებული საფეხბურთო მატჩის შესახებ; შაბათ-კვირას დადის სათეგზაოდ ან სანადიროდ – უფრო წინაში დასაკვებად, თუმცა უშედეგოდ. ეწევა თუთუნს, მერე თავს ანებებს (“მსიამოვნებს, ხომ იცი, რომ ნებისყოფა გამოვიჩინე”); ერთი თვე უძლებს და ისევ იწყებს მოწევას (“როცა ხელი გამეკცევა სიგარეტისკენ და გავირჭობ პირში, გემრიელად გავაფუილებ, მაშინაც მსიამოვნებს!”) – და ასე დაუსრულებლად. ასევე, უღვაშს: ხან – მოუშვებს, ხან – მოიპარსავს, მოუშვებს – მოიპარსავს... ახლა ერთი კვირის მოშვებული აქვს უღვაშში, ჯერ ნამდვილ უღვაშამდე არ მომწიფებულა და კვლავ როდის მოიპარსავს, ძნელი სათქმელია.

IX დაფა: გოჭიკო გაჭეჭილაძე – ინფორმაციისა და საპატენტო საქმის განყოფილების უფროსი: ვითომ სერიოზული, მაგრამ შინაგანად კინკიცა; მაღალი მეტისმეტად და მელოტი, თვალვდაჭყეტილი. მთელი დღე ოთახიდან ოთახში დაბორილობს, თვითონაც დაუსრულებლად ლაქლაქებს და სხვებსაც აიყოლიებს ლაპარაკში. თუ უბრალო კითხვა მისცეს, ერთი წამი რომ ეყოფა პასუხისთვის, გემრიელად მოკალათდება სკამზე, ფეხს ფეხზე გადაიდებს და... ჰერი! გაუტევეს და გაუტევეს – ორსაათიან ლექციას გამოაცხობს და მიართმევს მსმენელს – ინტელექტუალური ტერორისტია! ჯერ კაპიკის საქმე არ გაუკეთებია სამსახურში, სამაგიეროდ, საკუთარი საქმე აქვს აწყობილი საათივით – არაფერზე ნერვებს არ აიშლის, საკუთარი წყალწყალა სამეცნიერო ანგარიშების დაცვის დროს ოსტატურად ასადებს შავს თეთრად, დიდხანს ილაპარაკებს ძალიან და არაფერს იტყვის, ოპონენტებს გააოგნებს წყლის ნაყვის ოსტატობით – ბოლოს, ყველანი ხელს ჩაიქნევენ და მოეშვებიან. თუ ოთახებში არ დაბორილობს, მაშინ ქუჩაში ნახავთ დაწესებულების წინ – ხელები ზურგსუკან შემოუწყვია და აღმა-დაღმა უზრუნველად დასეირნობს, ქალებს თვალს აყოლებს.

X დაფა: ჯანრუჭ ჭუჭრუტანაძე – მეცნიერულ კვლევათა შედეგების წარმოებაში დანერგვის სექტორის ხელმძღვანელი: სამსახურში უხმოდ დაფარფატებს, როგორც ჩრჩილი, ჩუმჩუმედა... თვალები ცუდლუტ მელასავით დაურბის, სულ იცინის, მაგრამ რაღაცნაირად ცალყბად... სულ სადღაც აგვიანდება, სამსახურში ათი-თხუთმეტი წუთით თუ შემოიბრუნს; პალტოს (ზამთარში) ან ლაბადის (გაზაფხულიდან აცივებამდე) გაუხდელად რამდენიმე ოთახში შეიხედავს, გამარჯობას იტყვის, არც ჩამოჯდება ისე, რამდენიმე ანეკდოტს მოჰყვება და ასევე შეუმჩნეველად გაიპარება. იმდენად იშვიათად ხედავენ სამსახურში, რომ ბევრი თანამშრომელი არც იცნობს და ახლა რომ მონაწილეთა შორის იხილეს, ზოგიერთმა იკითხა – ვინ არისო. ახლაც ფეხზე მდგომი თამაშობს, თითქოს სადღაც წასვლა ეჩქარება.

XI დაფა: მინაგო მიჭენავა – გარეგნობით ერთი უფერული ვიდაც გახლავთ, ვერაფრით რომ ვერ დაიმახსოვრებ, გინდაც მრავალგზის გქონდეს ნახაი. მისი პიროვნებისადმი საყოველთაო ინტერესს იჩენენ: სრულიად უცნობია თანამშრომლებისთვის, მოთამაშეებში საიდანღა მოხვდა? მითქმა-მოთქმა,

ვარაუდები... აღშფოთების წამოძახილებიცი კი! ბოლოს გაირკვა, ღირეპტორის შოფრის მამა ყოფილა! ყველა მაშინვე დაშოშმინდა.

XII დაფა: ლექსო თხლეთხელიძე – ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს მდივანი; თხელი ბიჭი, მარად მლიმარი; გიჟბოტა, კედლის გაზეთ “საბჭოთა გოჭოლოგიის ახალი მიღწევებისთვის!” რედაქტორი და წამყვანი ავტორი; ჰგონია, რომ იმ გაზეთის გამოშვებაზეა დამოკიდებული მსოფლიოს ბელი!

ღიახ, შეჯიბრების მსაჯმა ტატო ნიფხვიტოტაძემ ერთხელ კიდევ მოავლო თვალი მაგიდასთან მსხდომ მოჭადრაკეებს:

– ყველაფერი მზად არის? მზად ხართ? – მერე დიდოსტატს მიმართა: – გთხოვთ, დაიწყეთ, მაესტრო!

დიდოსტატი I დაფასთან მივიდა და მეტოქის პირველი სვლის გაკეთებას დაელოდა. როგორც მოგახსენეთ, I დაფა ქალბატონ კეკელო კეკელუცაშვილს დაუთმეს, თანაც დიდოსტატმა დიდსულოვნება გამოიჩინა და თეთრი ფიგურებით თამაშის უფლება მისცა; მაგრამ ქალბატონი კეკელო ამით არ დაკმაყოფილდა, უცებ უცნაურმა სურვილმა მოუარა და მართლაც ყველასთვის უცნაური სვლა გააკეთა:

– ნაჩუქარი ჭადრაკით მინდა თამაში! ორი დღე დავწოწიალობდი, მთელი ქალაქი მოვიარე და ძლივს ვიშოვე! ამ შესანიშნავი ჭადრაკის, ხელოვნების განუმეორებელი ნიმუშის, თამაშით სიამოვნება ერთხელაც არ უნდა მივიღო? – და თვალები გულუბრყვილო გოგოსავით დააფახუნდა, რომელსაც პირველად აუხსნეს სიყვარული.

აქამდე ფრიად თავდაჭერილმა დიდოსტატმა პირველად გაიღიმა, როიალის სახურავზე შემოდებული ნაჩუქარი ჭადრაკის ყუთი შემოხვეული ქალაქისგან გაანთავისუფლა და კეკელოს მაგიდაზე დადო; შემდეგ გახსნა ყუთი და ფიგურები ამოაწყო... ამ დროს ყუთის ძირში ორად გაკეცილი ლამაზნახატინი ქალაქის ფურცელი შენიშნა. ფურცელი გაშალა...

გაუკვირდა: წერილი ინგლისურად იყო დაწერილი. შავი მელნით გაკრული ხელით ნაწერი იუწყებოდა:

“მეირფასო მაესტრო!

ცაიგნოგში ხარ, ფიქრის და სხვა სვლის არჩევანის დროც აღარ გაქვს – ცუცკვანგში ბრძანებები! ჩემი ბრძანების მიხედვით უნდა იმოქმედო: თუ გინდა, უსიამოვნებას გადაურჩე, ჩემთან ყაიმის გაკეთებასაც კი არ ეცადო! ოც სვლას არ გადააცილო, ისე დამნებდი, თორემ ქიშისაც არ გეგყვი – ჩემი ფიშგოს გყვია პირდაპირ მენს მუბლზე ქიშისა და შამათს ერთდროულად დასვამს!

შენი კეთილისმყოფელი ქიშო შამათაძე”.

დიდოსტატი დაიბნა – მის ცხოვრებაში მსგავსი რამ არასდროს მომხდარა! მომავალში, როცა ერთდროული თამაშის სეანსის ჩასატარებლად მიიწვევენ, წინარე ლექციის დროს ამ კურიოზის შესახებაც მოუყვება მსმენელებს... მართლა სასაცილოა! თუ – ამის დამწერი არ ხუმრობს? ამქვეყნად გიჟსა და გადარეულს რა გამოლევს...

დიდოსტატმა არ იცის, რა ქნას, რომელი სვლა ჯობს: შეატყობინოს მილიციას?... მოიავადმყოფოს თავი და უარი თქვას შეხვედრაზე?... თუ მაინც ჩაატაროს ჭადრაკის ერთდროული სეანსი?..

ამ სამი ვარიანტის რამდენჯერმე აწონ-დაწონვის შემდეგ დიდოსტატი შემდეგ გადაწყვეტილებამდე მივიდა: ალბათ ჯერ უპრიანია, დაიწყოს თამაში და მერე რადაცას მოიფიქრებს – ყოველ შემთხვევაში, წერილში ოცი სვლის ფორა აქვს მიცემული...

ასე აფორიაქებულმა დააწყო I დაფაზე მისთვის ნაჩუქარი ჭადრაკის ფიგურები და კეკელოს შესთავაზა პირველი სვლის გაკეთება, რომ ამ დროს დარბაზში შემობარბაცდა უზომოდ მთვრალი, ზორბა ტანისა და მქუხარე ხმის პატრონი ბუბა ბუბუშუაძე – კონდიციურ წონამდე მიყვანილი გოჭის კვებით და გემოს მხრივ ღირებულების შემსწავლელ-დამდგენი ლაბორატორიის უფროსი ექსპერტ-დეგუსტატორი – და იყვირა:

– უჩემოდ დაიწყეთ თამაში განა?... ვაი თქვენს პატრონს, უბედურს – ვისზე ნაკლები გგონივართ ან ჭკუა-გონებით, ან განათლებით, ან ვაჟკაცობით?... ვინმეს თვალში ხომ არ ვეპატარავები?... დამსვით და მე გიჩვენებთ, ვინცა ვარ!.. პირველ დაფაზე, ღიახ!.. თუ არადა...

მოჩხუბარს თვალები კი არ უჭუჭუნებს, სულ მთლად ებლიტება, სახე მორღვეული აქვს – ეტყობა, “სიმხნევისთვის” 100 გრამი არაყის გადახუხვით არ დაკმაყოფილდა და კიდევ საკმაოდ ბლომად დაუმატა...

– “რეგვენს ქორწილში არ უშვებდნენ, ის კი გაიძახოდა, ნეფე-დელოფლის გვერდით დამსვითო!” თუ თამადად დამაყენეთო? – იკითხა მინავლ მიჭენავამ.

ტატო ნიფხვიტოტაძე მინავლსთან მივარდა, მისი ყურისკენ დაიხარა და, დამფრთხაღმა, ჩასჩურჩულა:

– სუ, სუ!.. შენ არ იცნობ, უბედური სიმთვრალე იცის, სულ დაღეწავს აქაურობას!.. – მერე წელში გაიმართა და გალიაში ახალდამწყვედული მხეცივით აწრიალდა, უამრავი სხვადასხვა ფიქრი თუ აზრი თითქოს ყუმბარასავით სკდებოდა მის თავში: “ეს გვინდოდა კიდევ ჩვენ?.. ვაი, სირცხვილო, ერთდროული თამაშის სეანსის ჩატარება შეუძლებელია და ეს არის... იქნებ ჯობდა, ბუბა ბუბ-ბუბაძე პანჩურის ამორტყმით თუ არა, კინწინკერით მაინც გაებრძანებინათ ქუჩაში და, თუ ძალიან აიშვებდა, მილიციაში დაერეკათ კიდევ?.. მაგრამ... მაგრამ ბუბა ბუბ-ბუბაძე ბატონ ღირექტორის ცოლისძმა გახლავთ!.. ასეა თუ ისე, სამსახურიდან გაგდება ნაღდად არ ამცდება!..”.

სეანსორს კი გაუხარდა: სეანსი ჩაიშლება და მას საფრთხე ასცდება! გასამრჯელო წინდაწინ გადაუხადეს და უპრინია, ამ არეულობის ჟამს დროზე ჩუმი გაეცალღოს აქაურობას! ამ ნაჩუქარ ჭადრაკის კომპლექტს კი მოუკვდა პატრონი, – არ გამოეკიდება, აქვე დატოვებს!.. დიდოსტატი ზრდილობიანი კაცი გახლდათ და აღარ გაუტეხა გული მასპინძლებს – ზუსტად ასეთი ჭადრაკი მის კოლექციაში უკვე ათზე მეტი დაუგროვდა. ეტყობა, რომელიღაც არტელ-სახელოსნოს მიერ სერიულად გამოშვებულმა სამხატვრო-სასუვენირო ნაკეთობამ თბილისშიც ჩამოაღწია.

– დაუდგით მაგასაც სკამი! – ბრძანა ბატონმა რადიშა ძაღლიორაშვილმა – ღირექტორს ოღონდ მეცნიერულ აზროვნებას ნუ მოსთხოვთ (თუმცა, რაღაც მანქანებით მეცნიერებათა დოქტორი კი გახდა!) და ასეთ დახლართულ გარემოებებში გამოსავლის მოძებნაში დაოსტატებული გახლავთ.

ტატო ნიფხვიტოტაძემ შვებით ამოისუნთქა, მაშინვე გავარდა და მოარბენინა მეცამეტე სკამი “მეცამეტე გოჭისთვის”.

ბატონი ბუბა ბუბ-ბუბაძე დაშოშმინდა და მიიმედა დაეხეთქა სკამზე:

– ნახეთ, თუ ბურღდა არ გავაცალო თქვენს ნაქებ დიდოსტატს!.. მე ვინა გგონივართ?!

დიდოსტატმა აბრია აბრამოვიჩაშვილმა სწრაფად დაუარა თორმეტივე დაფას და ყველგან ერთი და იგივე სვლა გააკეთა: e2 – e4 (გარდა პირველი დაფისა, რის მიზეზიც თქვენთვის ცნობილია).

12 საჭადრაკო საათი ჩაირთო.

ბუბა ბუბ-ბუბაძისთვის საბავშვო შამათის დასმა თამაშის ის-ის იყო ნასწავლ ბავშვსაც არ გაუჭირდებოდა, მაგრამ დიდოსტატმა ეს ვერ შეძლო, რადგან... რადგან ბუბა ბუბ-ბუბაძემ დიდოსტატის პირველ სვლაზე პასუხის გაცემაც კი ვერ მოასწრო (თუ საერთოდ მოახერხებდა ამას) – ტკბილად ჩაეძინა... დაეძინა კი არა, სკამის საზურგეზე მისვენებულმა, ისეთი ხვრინვა ამოუშვა, რომ თამაშის გაგრძელება სხვა დაფებზეც შეუძლებელი შეიქნა...

ღირექტორმა რადიშა ძაღლიორაშვილმა ისევე ჩვეულად აულო აღლო შექმნილ ვითარებას და თვალი უყო ჭიჭიკო გაჭეჭილაძეს; ჭიჭიკო ფიცხლად წამოხტა, სიჩქარეში საკუთარი ჭადრაკის დაფაც კი ამოაყირავა და ბუბასკენ გაქანდა. XIII დაფასთან მისულს ფეხი შეებორკა შიშით; მერე, როცა ღირექტორმა გასამხნეველად შეუძახა და მასზე გაბედული მშველელიც გამოჩნდნენ, ღირექტორის ცოლისძმა ფრთხილად შეაჯანჯღარა – ერთხელ... მეორეჯერ... მესამეჯერ...

ბოლოს, პასუხად ისეთი ზმუილი მოისმა, რომ ყველას გააჟრჟოლა; მხოლოდ დიდოსტატი უცდიდა და დაბებული მდგომარეობის განმუხტვას ხაზგასმულად მშვიდად, აუღელვებლად.

მთვრალმა უაზროდ დააჭყიტა თვალები, წამოიწია ასადგომად – ყველას ისევე შიშით დაბურბგლა, ჭიჭიკომ კი გასასვლელისკენ მოჰკურცხლა...

– ბორჯომი, ბორჯომი! – დაიღრიალა უცებ ბუბამ.

კართან მისულმა ჭიჭიკომ მაშინვე იცვალა მხარი და დიდოსტატისთვის გამზადებული გაუხსნელი ბოთლი მიუცუნცულა; სასწრაფოდ ბუბას მაგიდის კიდეს ჩამოჰკრა ბოთლის თავი, გაუხსნა და მორიდებით გაუწოდა შფოთისთავს...

ბუბამ ბოთლი დაიქნია და გაწუწა მისი კეთილისყოფელი ჭიჭიკო, მერე თვალები მიღულა, ბოთლი მოიყუდა, გამოსცალა და კვლავ დაიდრიალა:

– კიდევ!

ჭიჭიკო დაფეთებული გავარდა დარბაზიდან და მალევე დაბრუნდა ორი ბოთლი “ბორჯომით”.

ბუბას მეორე ბოთლის დაგემოვნება აღარ გახსენებია: ერთი ხელის მოსმით გადახვეტა მაგიდიდან მისი ჭადრაკის დაფა ფიგურებიანად და იყვირა:

– კიდევ ხუთი ბოთლი კახური მოგვართვით თავის რამერუმებით!

ჯერ ჩაჰკიდა თავი, მერე კი ხმაურით დაანარცხა თავი მაგიდაზე. ეგონათ, საზამთროსავით გაუსკდებოდა, მაგრამ გადარჩა: თავი ასწია – ვითომც არაფერი! თვალები დააჭყიტა და დაიდრიალა:

– ყველანი მიყვარხართ!

ამჯერად თავი უკან გადაუგარდა, ერთიანად მოეშვა და, პირდაღებულმა, ისევე ხვავრიელი ხვრინვა ამოუშვა.

ღირექტორი თითქოს პანტომიმაში თამაშობდა, უხმოდ, ხელებითა და თვალებით ბრიალით, უჩვენებდა ჭიჭიკოს, ტატოს და მაცურებლებში მყოფ ახალგაზრდა თანამშრომლებს – მიდით, საჩქაროდ მიხედეთო.

ორი ჯანიანი ბიჭი ფრთხილად მიუახლოვდა ბუბას, მერე აქეთ-იქიდან ამოუდგნენ, იდლიაში ხელები გაუყარეს, მაგრამ დიდი ძაღლისხმევის მიუხედავად, ძვრაც ვერ უყვეს – ძაღლიან მოსული ტანისა იყო, ოხერი! მათ რამდენიმე ყმაწვილი მიეშველა და ის-ის იყო, აპირებდნენ, წამოეყენებინათ და ციმციმ გაეყვანათ დარბაზიდან, რომ მოულოდნელად ბუბა საოცარი სიმკვირცხლით წამოხტა, დამჭერები აქეთ-იქით მოისროლა; მაგიდის აყირავებაც მოინდომა, მაგრამ ეცნენ და არ დაანებეს. მაშინ, გაბრაზებულმა, ბარბაცით გაიარა დარბაზი, თან ყველა მაგიდას ხელი გადაუსვა, რამდენიმე დაფას კი დაავლო ხელი და იატაკზე გამეტებით დაანარცხა... დაახეთქებდა და ფეხის დარტყმით ნაფოტებად აქცევდა – ეტყობა, მსხვერვის ხმა დიდად სიამოვნებდა.

– ხომ მაგარი ბიჭი ვარ, ჰა?! ხომ კარგი ბიჭი ვარ?! ავოე!.. გაინარეთ ყველამ, იმხიარულეთ!.. ვიცეკვოთ!.. ყველას გენაცვალეთ!..

ბუბა თავისით გაბარბაცდა დარბაზიდან – ახლოს მიკარება ვერაფერს გაბედა; ტატო ნიფხვიტოტაძე და ჭიჭიკო ჭიჭეტურაშვილი უკან დაეღვენენ, ხვეწნა-მუდართით ღირექტორის კაბინეტში შეიყვანეს და ტყავის დივანზე დააწვინეს მოსასვენებლად.

ჭადრაკში ერთდროული თამაშის სეანსი, ახალი საჭადრაკო დაფების მოძიების შემდგომ, მოგვიანებით ისევ გაგრძელდა (თუმცა, ზემოხსენებული მოვლენების გამო, წესიერად დაწყებულიც არ იყო).

დიდოსტატი აბრია აბრამოვიჩაშვილი, გარეგნული უშფოთველობის მიუხედავად, დაძაბული და ერთგვარად გაორებულიცაა: ცალკერძ წერილში გამოცხადებული მუქარის აღსრულების ეშინია და უნდა, რაღაც იღონოს საშიშროების აღსაკვეთად, მაჩის ორგანიზატორებს მაინც გაანდოს მოსალოდნელი საშიშროების შესახებ, მეორე მხრივ – ვაითუ სასაცილოდ აიგდონ და თავი შეირცხვიონოს ცრუ განგაშით? სწრაფად აკეთებს მორიგ სვლას და გადადის შემდგომი პარტნიერისკენ, ამასთანავე, ცდილობს, გამოიცნოს, რომელია წერილის მომწერი? აკვირდება მოწინააღმდეგებს – რომელი შეიძლება იყოს მუქარის წერილის ავტორი? აგაბო განაბოშვილმა განსაკუთრებით მიიპყრო მისი ყურადღება – შეამჩნია, მარცხენა ხელის მტევანის ზურგი სვირინგით ჰქონდა დამშვენებული... რამდენჯერაც მის დაფასთან მოუწევდა სვლის გაკეთება, აკვირდებოდა, იქნებ დაგლანდო, ფიშტო სად აქვს დამალულიო...

ბოლოს, თვით თამაშის ატმოსფერომ გაიტაცა და... სულ დაავიწყდა მუქარის წერილის არსებობა!

I დაფაზე კეკელო კეკელუცაშვილს ძაღლიან სერიოზული სახე აქვს და ცდილობს, ყურადღება არ მიაქციოს დარბაზში გაცხოველებულ საუბარს, არც აქეთ-იქით იყურება: ქვასავით გაყინული სახით დასცქერის დაფას; მხოლოდ ის არ იჭმუნის შუბლს (სხვა ღროს – არც იცინის ხოლმე) – ნაოჭების გაჩენის ეშინია!

დიდოსტატი ჯენტლმანია: სუსტ სვლებს აკეთებს, მოწინააღმდეგის კიდევ უფრო სუსტ სვლებს არ იყენებს...

II დაფაზე განუა მურაბაშვილი სეანსის ღროს უხერხულობას განიცდის, რომ მის მშობლიურ მაგიდასთან არ ზის და ქალაღებში არ აქვს ცხვირი ჩარგული, ვერ ისვენებს. ყოველ სვლაზე დიდხანს ფიქრობს... ვიდაცამ იხუმრა: "მოდო, ჩვენს სტუმარს ბალიში მოგუტანოთ, ცოტა წაუშინოს ხოლმე, სანამ განუა მორიგ სვლას გააკეთებს!"

III დაფაზე დიდოსტატისთვის თავიდანვე ცხადი შეიქნა – ბატონი ბარნაბ ბაბუღაძე მხოლოდ დაწყებითი საჭადრაკო განათლების ბაგაჟით იყო მობრძანებული საპაექროდ და სულ რამდენიმე სვლაში საბავშვო შამათი მიატოვა.

IV დაფაზე ჭაბუკა გოჭანჭაურს ჰგონია, რომ იოლად მოუგებს დიდოსტატს. დიდოსტატი დადაობს – შეგნებულად "სწირავს" ერთ ფიგურას, მეორეს... ჭაბუკა სიხარულით გაგიჟებულია – "ვიგებ!" სწორედ ამ ღროს მიატოვეს შამათი – მეორემ წააგო! გაკვირვებული ხელებს შლის:

– აგებდა, კაცო, და არ ვიცი, რა ჯადო გამიკეთა ისეთი, რომ გამომგრა გამოუვალა მდგომარეობიდან და მომიგო კიდევ! არა, ნაღდად რაღაცაშია საქმე, ჰიპნოზი გამიკეთა!

მერე დიდოსტატს ფინიასავით კულში დასდევს – თან აკვირდება, მართლა რაიმე ფსიქოლოგიურ ზემოქმედებას ხომ არ ახდენს პარტნერებზე დიდოსტატი? თან იმდენად თავხედია, რომ... რჩევებს აძლევს! დიდოსტატი იობის მოთმინებით არაფერს ეუბნებოდა არამკითხე მოამბეს, მხოლოდ მორიგი სვლის გაკეთების წინ ირონიულად უთხრა:

– ყოჩაღ, მაგარი სვლა მოიფიქრე! სწორედ მაგ სვლის გაკეთებას ვაპირებდი, მაგრამ ახლა იძულებული ვარ, სხვა გაგრძელება გამოვიძებო! – უნდოდა, ზრდილობიანად ეგრძობინებინა, ხელს ნუ მიშლიო, მაგრამ ჭაბუკა ვერ მიხვდა:

– არა, სწორედ ეს სვლა გააკეთეთ! – და როცა აბრია აბრამოვიჩაშვილმა "არ დაუჯერა", უსაყვედურა: – თუ წააგებო, ჩემი ბრალი არ იყოს!..

V დაფაზე საოცრება ხდებოდა: დიდოსტატი წრეს წრეზე უვლიდა, ზოგ დაფაზე ათზე მეტი სვლაც ჰქონდა უკვე გაკეთებული, აგაბო განაბოშვილი კი მხოლოდ მეორე სვლაზე ფიქრობდა. დი-

დოსტატი მიხვდა, რომ ბატონ აგაბოს ფიგურათა სვლები ადარ ახსოვდა (აღბათ წინა დღეს თუ ასწავლეს თამაში!) და მისკენ ზრდილობიანად დახრილი, უჩურჩულებდა ხოლმე – ეს სვლა ხომ არ სჯობსო... არ ჩქარობდა მისთვის შამათის გამოცხადებას, თან მის მოსვირინებულ ხელს არიდებდა თვალს – უფრო ცდილობდა, გამოეცნო, სად ჰქონდა დამალული ბატონ აგაბოს ფიშტო?

VI დაფაზე დირექტორის “ხელის ბიჭი” – ჭიჭიკო ჭიჭეტურაშვილი – საკმაოდ მოხერხებულად ცდილობდა შექმნილი გართულებებიდან თავის დაღწევას; ვერ ხვდებოდა, რომ დიდოსტატი მასაც ეთამაშებოდა, ვითარცა კატა თავის – უხანგრძლივებდა “საჭადრაკო სიცოცხლეს”... თუმცა, მაღე მოსწეინდა და ჭიჭიკო მაყურებლების რიგებს შეუერთდა.

VII დაფაზე ბაქარ ბაქიბუქაური სულ კარის მხარეს იყურება – ტელევიზიიდან მოსვლას რატომ აგვიანებენ? და ამ მოლოდინში, ვერც კი შეამჩნია, რომ შამათის ქსელში გაება ორთავ ფეხით...

VIII დაფაზე პაატა ტატატვინაშვილი სულ ილუკმება და ილუკმება, თავს არ სწევს მაღლა და დაძაბულად ითვლის ვარიანტებს...

IX დაფაზე გოჭიკო გაჭეჭილაზე ადგილზე ვერ ისვენებს, სულ ცმუკავს, აქეთ-იქით აცეცებს თვალებს, თითქოს ვიღაცისგან სწორი სვლის კარნახს ელოდებოდ; ერთხელ ძალზე დაძაბულ მომენტში დაიყუფა კიდევ. დიდოსტატს გაუკვირდა – აქ ძალი საიდან მოხვდაო; ჯერ გოჭიკოს მტისმეტად სერიოზულ სიფათს შეხვდა, მერე მაგიდის ქვეშ შიშით თვალებს აცეცებდა... დანარჩენებმა კი მშვენივრად იცინან, ვინც არის ამ ფანდის ავტორი და ჩუმჩუმად ფხუკუნებენ, ზოგან – საკმაოდ ხმაილადაც...

მაღე გოჭიკომ მაყურებლებში გადაინაცვლა, თუმცა, სანამ მათ დაუმშვენებდა გვერდს, რამდენჯერმე სერიოზული სახით ისევ დაიყუფა. დირექტორმა, ბატონმა რადიშა ძაღლინიორაშვილმა არ დააფასა გოჭიკოს მსახიობური ნიჭი და მთავარ მსაჯს ტატო ნიფხვიტოტაძეს უბრძანა – ახლავე ჩემთან მობრძანდეს პატივცემული გაჭეჭილაძე, ვარგენებ ერთი, როგორ უნდა ყფა, იქნებ წკმუტუნიც ვასწავლო.

X დაფაზე მორიგი სვლის გასაკეთებლად მისულ დიდოსტატს პარტნერი – ჯანრუჭ ჭუჭრუტანაზე – ადგილზე არ დახვდა! ეტყობა, საკუთარი პოზიციის გადარჩენა უიმედოდ ჩათვალა და ჩუმად გაიპარა!

XI დაფაზე მინაგო მიჭენავას ტანჯვა-წვალება მაღე დასრულდა – სულ ათიოდე სვლაში წარმატებით მიჭენდა შამათამდე.

XII დაფაზე ლექსო თხლეთხელიძე – საჭადრაკო დაფის მაგივრად მაღიმად მაყურებელთა შორის მდგომ თავის შეყვარებულს, მადონა ბამბაქულაძეს, უყურებდა, ვინმეს ხომ არ ეკურკურებოდა... აუცილებლად უნდა მოიგოს! იცით, რატომ? ამ სეანსის გამართვამდე ერთი დღით ადრე ლექსოსა და მადონას შორის ამგვარი საუბარი გაიმართა:

I eqso . ნუ გადამაყოფე, ან ჰო თქვი, ან – არა... გამომყვები ცოლად?

nado na. თუ მოუგებ... შემდეგ – გნახოთ... თუ მოუგებ!

I eqso . თუ წავაგებ? ნახვამდის?

nado na. დიახ, ნახვამდის, არა – მშვიდობით!

I eqso . თუ ყაიმი იქნა?

nado na. რას მევაჭრები, ბაზარში მწვანის ყიდულობ?

ლექსოს მთელი ღამე არ დაეძინა... სადებიუტო ვარიანტებს კი არ არჩევდა ან როგორი სტრატეგია და ტაქტიკა ეხმარა – სულ იმას ფიქრობდა, რა ხერხით შეიძლებოდა წარმატების მიღწევა?

სეანსის დაწყების წინ ტრაბახით ფიქრობდა: “ნახე, მაგას რა ვუყო! ისეთ სისტემას გამოვიყენებ, ბაიბურში არ არის!”

დიახ, ლექსომ დიდოსტატის წინააღმდეგ მართლაც უჩვეულო “სისტემა” გამოიყენა: როცა გოჭიკო გაჭეჭილაძემ ძალივით დაიყუფა და აურზაური შეიქნა, ამ დროს ლექსომ ჩუმად ზედმეტი სვლა გააკეთა. თუმცა, მის მაგიდასთან დაბრუნებულ დიდოსტატს ვერაფერი გამოაპარა და ლექსოს მაშინვე უკან დააბრუნებინა ფიგურა – ეტყობა, ამგვარი “სისტემა” ადრე უკვე მრავალჯერ ჰქონდა შესხვედრილი. ლექსო არ შეეპუა დიდოსტატს და რამდენიმე სვლის შემდეგ ისევ გაიმეორა ფანდი – სვლა “მოიპარა”. დიდოსტატს არც ამჯერად გამორჩა ლექსოს ცუდლუტობა და მის ფიგურას კუთვნილი ადგილი მიუჩინა... ისევ და ისევ ცდილობდა ლექსო დიდოსტატის გაცურებას, მაგრამ არაფერი გამოუვიდა – ყოველ მის მცდელობას, თავისი გაეტანა, დიდოსტატზე არავითარი გავლენა არ მოუხდენია, აუღელვებლად უკანვე აბრუნებდა ლექსოს მტისმეტად “ფიცს” ფიგურას...

ლექსოს ჭიდაობა სულ ზედმეტი გამოდგა – დიდხანს იხვანცადა, იეშმაკა, კარგა ხანს გაუძლო დიდოსტატს, თუმცა სავესებით შეეძლო, დიდი ხნის წინ გაეჩერებინა საათი...

ჭიჭიკო ჭიჭეტურაშვილმა დაცინვით ჰკითხა:

– ყოჩად, ბოლო ფიგურამდე თამაშობ? ჰო, კარგი, ქენი სიკეთე, დროზე მოკაკვე თითი! ლექსების საწერად მეტი დრო დაგჩვენა!

როცა ლექსო იძულებული გახდა, წაგება სიმწრით აღეარებინა, ბირკასავით მოუცილებელმა ჭიჭიკო ჭიჭიტურაშიღმა ისევ ჩაუნისკარტა:

– არ გეგონა, ხომ, რომ ასეთი ძლიერი იყო?!

ლექსომ პასუხი არ დაუგვიანა:

– ჭიჭიკო, შენ რომელ სვლაზე დანებდი? კარგად დასვენებაც მოასწარი და ხუმრობის გუნებაც დაგიბრუნდა? მოდი, სენსის დასრულების შემდეგ დავრჩეთ და ერთ კარგ პურმარილზე ვითამაშოთ, პა? წინდაწინ ფიგურას გაძღვევ ფორად, მეტი რაღა გინდა? თუ გინდა, რადიშაც დაიხმარე თამაშის დროს, სულ შენ ემსახურები, სულ გოშიასავით შესცქერი თვალებში, რას მიბრძანებსო და ერთხელ შენც დაგეხმაროს, ამით არაფერი დაშავდება! ყაბულსა ხარ?..

ჭიჭიკომ დუმილი ამჯობინა.

ამ დროს V დაფაზე აგაბო განაბოშივილის ტანჯვა-წვალებაც დასრულდა.

I დაფაზე კეკელო კეკელუცაშივილისთვის ხუმრობით შეთავაზებული ყაიმი ქაღალტონმა გაბედულად უარპყო და შემდეგ სვლაზე შამათიც მიიღო...

II დაფაზე ვანუა მურაბაშივილი პედანტურად იწერდა ფურცელზე ყოველ სვლას. მის პარტიაში ჯერ ერთი ფიგურაც არ იყო გაცვლილი, რომ საათზე დროშა ჩამოუვარდა...

– ეჰ, რა დროს წავაგე! ორ სვლაში შამათს ვაკეთებდი! – დანანებით წამოიძახა ვანუამ. დიდოსტატმა არ დაიხარა და აჩვენა, რამდენად ცდებოდა პოზიციის შეფასებაში – ყველა გაგრძელება ვანუასთვის კრახით მთავრდებოდა. ვანუა სკამიდან არ წამომდგარა, თავიდან დააწყო ფიგურები და პარტიის ჩანაწერის მიხედვით მეთოდურად დაიწყო ყოველი სვლის აგ-კარგის შესწავლა, რათა დაეღვინა, სად დაუშვა შეცდომა...

ამ დროს V დაფაზე აგაბო განაბოშივილი დიდოსტატის დახმარებით წარმატებით იხსენებდა, საჭადრაკო ფიგურები რა სვლებს აკეთებენ – ნიჭიერი გამოდგა! და სწორედ მაშინ მიჭენდა ლოგოკურ დასასრულთან, როცა უკვე აღარ ეშლებოდა კუსა და მხედრის სვლები ერთმანეთში – ამ დროს ჩათვალა დიდოსტატმა მისი გაწვრთნა დამთავრებულად და თვალსაჩინოდ აუხსნა კიდევ, ქიშისგან განსხვავებით, რა შემთხვევაში აღინიშნება შამათი.

დარჩა ერთი დაუმარცხებელი მონაწილე სენსისა – VIII დაფაზე მოთამაშე პაატა პატატვინაშივილი! ძალიან უნდოდა მოგება თუ არა, ყაიმის მიღწევა მაინც!

დიდოსტატი აბრია აბრამოვიჩაშივილი დასეირნობდა დარბაზში და ერთადერთი დარჩენილი მეტოქის მორიგ სვლას ელოდა. როცა დიდოსტატმა “ბორჯომი” მოსვა და პაატას მაგიდასთან მივიდა, გოჭის კუდის დახვევის მიმართულებისა და ინტენსივობის გენეტიკური განპირობებულობის საკვლევი სექტორის დაბღვერილ-დაფიქრებული უფროსი დილემის წინაშე იდგა; რთულ სიტუაციაში ჯეროვნად ვერ გაერკვა და უხეშად შეცდა, – შამათი მიიღო ერთ სვლაში!

პაატა პატატვინაშივილი უცებ შეშლილივით წამოვარდა, ჭადრაკის დაფას დაავლო ხელი და ესროლა ქაღალტონ დიანა ბატიჭუკაძეს, რომელიც მთელი სენსის განმავლობაში პირს არ აჩერებდა, ჯერ კიდევ დიდოსტატის ლექციის დროს დაწყებული ამბავის თხრობა ჯერაც ვერ დაემთავრებინა... ასჯერ დაუცაცხანეს, გაჩუმდით, მაგრამ ვერაფრით გააჩერეს – ცოტა ხნით კი დაუწევდა ხმას, მაგრამ მისი ფუნქნი კიდევ უფრო უშლიდა ნერვებს მოთამაშეს; ასევე, არ ჩამორჩებოდნენ დობილს მისი დაქალები: მინდორა კვანაბაძე და ლამზირა თაგვიკუდაძე; მათი ხითხითი, საპასუხო რეპლიკები, ხანდახან – სიცილიც, პაატას საკმაოდ აღიზიანებდა...

ეს სამი მანდილოსანი დიდი ხანია, პაატასთან მუშაობენ, თავი მოაბეზრეს, მეტი რომ არ შეიძლება – უსაქმურები, ჭორაობის მეტს არაფერს აკეთებენ – ყავა, სიგარეტი და ქაქანი გაუთავებლად... კარგა ხანია, მათ თავიდან მოშორებას ცდილობდა, მაგრამ ეცოდებოდა და სულ ფეხს ითრევდა, ახლა კი ყოფას უტირებს!

წლების განმავლობაში დაგროვილმა ბოლმის მეწყერმა ზრდილობისა და თავშეკავების ჯებირები გაარღვია და მათ დაუღრიალა:

– უზრდელო ძროხებო! რომ იცოხნებით უშნოდ და უადგილოდ – გარეთ გათრეულიყავით და იქ მოგეკავებინათ ენები! სისხლი გამიშრეთ, თქვენი დანახვა აღარ შემიძლია! რა დავაშავე ისეთი, რომ ღმერთმა ასე დამსაჯა! აბა, აწი მიყურეთ თქვენ, რასაც გიზამთ!

დიანა მოსწონდა კიდევ და მისთვის ხელის თხოვნასაც კი აპირებდა...

შეჯიბრების დამთავრების შემდგომ აბრია აბრამოვიჩაშივილი ინსტიტუტის რჩეულ საზოგადოებასთან ერთად მის საპატივცემულოდ რესტორანში გამართულ ბანკეტს უნდა დასწრებოდა, მაგრამ დიდოსტატმა მასპინძლებს მიპატიუებისთვის დიდი მადლობა მოახსენა და წაყოლაზე უარი განაცხადა; დღევანდელი მოვლენები იმდენად შთაბეჭდილავი იყო, რომ შთაბეჭდილებებით ყელამდე გამაძლარი გახლავართო.

შინ დაბრუნებულ დიდოსტატს გაახსენდა მუქარის წერილი, კიდევ ერთხელ ყურადღებით წაითხა და ვერაფერს მიხვდა...

ვასშობის შემდგომ კი გადახედა დღევანდელ გაზეთებს და ერთ-ერთში დაბეჭდილ საპირველპირილო ნოველას წააწყდა, რომლის სათაურიც იყო: “ერთდროული თამაშის სენსი”...
სწორედ ის ნოველა წაიკითხა, რომელსაც თქვენ ეს-ეს არის გაეცანით...
არა გჯერათ?

2007 წლის 2 დეკემბერი.